

სრავთა ისტორია

(V - XV სს.)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MERAB TIKADZE

HISTORY OF THE ARABS

(5-th - 15-th Centuries)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერაბ ტიკაძე

არაბთა ისტორია

(V - XV სს.)



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ნაშრომი მოიცავს არაბთა ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წინაისლამური ეპოქიდან XV საუკუნის ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორცაა ისლამის გაგრძელება, არაბთა დიდი დაპყრობები, უმაიანთა და 'აბასიანთა სახალიფოები, არაბები და საქართველო, არაბულ-ისლამური ცივილიზაცია. სათანადოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა დროს აღმოცენებული ისლამური სახელმწიფოების (ფატიმიანები, აიუბიანთა და მამლუქთა სასულთნო, უმაიანთა საამირო და სახალიფო ესპანეთში) ისტორია. წიგნს თან ერთვის ძირითადი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ვრცელი სია, რაც აადვილებს ამა თუ იმ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღებას.

„არაბთა ისტორია (V-XV სს.)“ განკუთვნილია სტუდენტებისთვის და ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია არაბთა შუა საუკუნეების ისტორიით.

The study covers the significant period of Arabs history from the pre-Islamic age, to 15-th century, inclusive. Special attention was paid to such issues as Islam dissemination, great conquests of Arabs, the Umayyad and Abbasid Caliphates, Arabs and Georgia, Arabic-Islamic civilization. There is widely represented the history of Islamic states emerged at different times (Fatimids, Ayyubids, Mamluk Sultanate, Umayyad Emirate and Caliphate in Spain). The book is accompanied with the vast list of major sources and special literature, facilitating obtaining of additional information on one or another issue.

“History of the Arabs (5-th - 15-th Centuries)” is intended for students and for all, interested in the medieval history of Arabs.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გოჩა ჯაფარიძე
რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დავით კაციტაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. აპოლონ სილაგაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნანი გელოვანი

Editor Professor **Gotcha Djaparidze**
Critiques Professor **David Katsitadze**
Professor **Apolon Silagadze**
Professor **Nani Gelovani**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-060-1

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა	9
შესავალი	11
მედი I	
არაბები ისლამის წარმოშობის წინ	13
1. არაბთა სამშობლო – არაბეთის ნახევარკუნძული და ისლამამდელი არაბული ტომები	13
2. ევროპელ მოგზაურთა და მეცნიერთა წვლილი არაბეთის ნახევარკუნძულის შესწავლაში, სამხრეთ არაბეთის ისლამამდელი ცივილიზაცია	17
3. არაბული ტომები არაბეთის ნახევარკუნძულს გარეთ (ნაბატიანთა, პალმირას, ღასანიანთა, ლახმიანთა სამეფოები)	22
მედი II	
მექის ადგილი ჯაჰილიის პერიოდის არაბთა უზენაესობაში და ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის წარმოქმნა	27
1. მექის გვაროვნული არისტოკრატია და მუჰამედის სამოციქულო მისია	27
2. მუჰამედის მოღვაწეობა მედინაში და პირველი ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნა	30
მედი III	
მართლმორწმუნე ხალიფები და არაბთა დიდი დაპყრობები (632-661)	33
1. ისლამის განმტკიცება არაბეთის ნახევარკუნძულზე ირანის, სირია-პალესტინის და ეგვიპტის დაპყრობა	33
2. სახალიფო უსმანისა და ალის ხალიფობის პერიოდში, პირველი სამოქალაქო ომი და მისი შედეგები	37
მედი IV	
ყმაიანთა სახალიფო (661-750)	42
1. არაბთა სახელმწიფო სამოქალაქო ომის შემდეგ და უმაიანთა დინასტიის აღზევება	42

2. არაბთა ახალი დაპყრობები (VII ს. მეორე ნახევარი – VIII ს. 30-ანი წლები)	50
3. უმაიანთა სახალიფოს პოლიტიკური სისტემა, მისი დასუსტების და დაცემის მიზეზები	55
4. უმაიანთა სახალიფოს სამეურნეო ცხოვრება, მეცნიერება და კულტურა	58
თავი V	
‘აბასიანთა სახალიფო (750-1258)	64
1. ‘აბასიანთა პირველი ხალიფების საშინაო და საგარეო პოლიტიკა	64
2. მონობის ინსტიტუტი სახალიფოში და ზინჯების აჯანყება, კარმატების სახელმწიფო	72
3. ‘აბასიანთა სახალიფოს მმართველობის სისტემა	75
4. მიწათსარგებლობა და ფისკალური სისტემა	80
5. სოფლის მეურნეობა, საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა	83
6. რელიგიურ უმცირესობათა სტატუსი ‘აბასიანთა სახალიფოში	87
თავი VI	
‘აბასიანთა სახალიფოს დამტყა და მისი შედეგები	91
1. ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოების წარმოქმნა	91
2. ‘აბასიანთა სახალიფო ბუვაიჰიანთა და სელჩუკთა ბატონობის პერიოდში	94
3. თბილისის საამირო და არაბთა ბატონობის დასასრული საქართველოში	98
4. მონღოლთა ექსპანსია და ‘აბასიანთა სახალიფოს დაცემა	101
თავი VII	
‘აბასიანთა ეპოქა და არაბულ-ისლამური კვიტიზაცია	104
1. განათლება და მეცნიერება	104
2. არაბული ლიტერატურა	121
3. ბაღდადი – შუა საუკუნეების ისლამური კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	127
თავი VIII	
ისლამი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის იდეოლოგია	132
1. ისლამის საფუძველი – ყურანი და სუნნა, შარი‘ათი	132

2. ისლამური დოგმატიკა, მუსლიმის უფლება-მოვალეობანი, რიტუალი	135
3. ოჯახი და ქალის სტატუსი ისლამურ საზოგადოებაში, ეთიკური ნორმები, ჰიჯრის კალენდარი და ისლამური დღესასწაულები	140
4. მაზჰაბები	144
5. შიიზმი და ხარიჯიტობა, სექტები	146
შაჰი IX	
ფატიმიანთა სახელმწიფო არაბულ მაღრიბსა და გვიპტეში (910-1171)	152
1. ფატიმიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა არაბულ მაღრიბში	152
2. ფატიმიანთა სახალიფო ეგვიპტეში	155
3. ფატიმიანთა სახალიფოს პოლიტიკური სისტემა, სამეურნეო ცხოვრება, მეცნიერება	159
შაჰი X	
წინა აზიის არაბული ქვეყნები XI-XII საუკუნეებში	162
1. სირია-პალესტინა თურქ-სელჩუკებისა და ჯვაროსნების ექსპანსიის პერიოდში	162
2. ზანქიანთა და აიუბიანთა სახელმწიფო, სალაჰ ად-დინი და ჯვაროსნები	165
3. აიუბიანთა სასულთნო სალაჰ ად-დინის მემკვიდრეების დროს	172
შაჰი XI	
მამლუქთა სახელმწიფო ეგვიპტესა და სირიაში	176
1. ბაჰრელი (1250-1390) და ბურჯელი (1390-1517) მამლუქები	176
2. მამლუქთა სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური სისტემა და სამეურნეო ცხოვრება	183
3. მამლუქთა სახელმწიფოს ადგილი არაბთა ისტორიაში (მეცნიერება, კულტურა)	187
შაჰი XII	
არაბები ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში (VIII-XV სს.)	195
1. ესპანეთის უმაიანთა საამირო (756-929)	195
2. უმაიანთა სახალიფო ესპანეთში (929-1031)	198
3. მუსლიმური ესპანეთი და არაბული მაღრიბი XI-XV საუკუნეებში (გრენადის სასულთნო და რეკონკისტა)	201
4. ისლამური ესპანეთის ადგილი არაბთა ისტორიაში (ადმინისტრაციული სისტემა, სამეურნეო ცხოვრება, მეცნიერება და კულტურა)	206

შენიშვნები	216
ძირითადი წყაროები და ლოცერაცყრა არაბთა ისტორიაში (თავების მიხედვით)	228
შესავალი	228
თავი I. არაბები ისლამის წარმოშობის წინ	228
თავი II. მექის ადგილი ჯაჰილიის პერიოდის არაბთა ცხოვრებაში და ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის წარმოქმნა	230
თავი III. მართლმორწმუნე ხალიფები და არაბთა დიდი დაპყრობები (632-661)	230
თავი IV. უმაიანთა სახალიფო (661-750)	231
თავი V-VI. 'აბასიანთა სახალიფო (661-750). 'აბასიანთა სახალიფოს დაშლა და მისი შედეგები	232
თავი VII. 'აბასიანთა ეპოქა და არაბულ-ისლამური ცივილიზაცია	235
თავი VIII. ისლამი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის იდეოლოგია .	238
თავი IX. ფატიმიანთა სახელმწიფო არაბულ მადრიბსა და ეგვიპტეში (910-1171)	240
თავი X. წინა აზიის არაბული ქვეყნები XI-XII საუკუნეებში	241
თავი XI. მამლუქთა სახელმწიფო ეგვიპტესა და სირიაში	242
თავი XII. არაბები ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში (VIII-XV სს.)	243
დამატებითი ლოცერაცყრა	246
არაბები და საქართველო	246
არაბები და ახლო აღმოსავლეთი	252
ენციკლოპედიები, ცნობარები, ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა	254
დანართი	255
1. მართლმორწმუნე ხალიფები (632-661)	255
2. უმაიანთა დინასტიის ხალიფები (661-750)	255
3. ბაღდადის 'აბასიანთა დინასტიის ხალიფები (750-1258)	255
4. ფატიმიანთა ხალიფები (910-1171)	256
5. ეგვიპტის აიუბიანთა სულთნები (1169-1250)	257
6. ბაჰრელი მამლუქები (1250-1390)	257
7. ბურჯელი (ჩერქეზი) მამლუქები (1382-1517)	258
8. ესპანეთის პირველი მუსლიმი გამგებლები (716-756)	258
9. მუსლიმური ესპანეთის ამირები და ხალიფები (756-1031)	259
10. შიიტი იმამები (იმამიტები)	260
11. რუკები	260

ავტორის წინასიტყვაობა

„არაბთა ისტორია (V-XV სს.)“ შეიქმნა იმ სალექციო კურსის საფუძველზე, რომელიც მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე და რომელსაც ავტორი კითხულობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე 40 წლის მანძილზე. სახელმძღვანელოს ხასიათის შრომები უკვე მოცემულია ოსმალეთისა და ირანის ისტორიაში (მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, I-II, თბ., 1999; თურქეთის ისტორია, III, თბ., 2005; თურქეთის ისტორია (1299-2000), თბ., 2007. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII სს., თბ., 2001), რაც უდავოდ აადვილებს ამ ქვეყნების ისტორიის შესწავლას. ასეთივე დანიშნულებისაა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მოიცავს არაბთა ისტორიის ვრცელ მონაკვეთს ისლამამდელი, ე.წ. „ჯაჰილის პერიოდიდან“ ოსმალთა ბატონობის დაწყებამდე. გარდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხებისა, გარკვეული ადგილი დაეთმო ისლამს, მსოფლიო მესამე მონოთეისტურ რელიგიას, შუა საუკუნეების არაბებისა და ახლო აღმოსავლეთის იდეოლოგიას. ნაშრომს თან ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს ქართველი ორიენტალისტების წვლილს არაბთა ისტორიის, ისლამის, არაბეთ-საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კვლევის საქმეში. რა თქმა უნდა, შესასწავლი საგნის გარშემო არსებული წყაროების და სპეციალური ლიტერატურის წრე გაცილებით ფართოა და მისი სრულად წარმოდგენა სახელმძღვანელოში პრაქტიკულად შეუძლებელია. ყურადღება გამახვილდა ისეთ მონოგრაფიებსა და სტატიებზე, რომელთა მოპოვებაც არაა პრობლემატური და რომლის დამუშავებაც საშუალებას გვაძლევს მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს არაბთა ისტორიაზე XV საუკუნის ჩათვლით. რაც შეეხება არაბული ქვეყნების ოსმალთა ბატონობის პერიოდს (1516-1918 წწ.), იგი ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი არაბულ-ოსმალური ურთიერთობების ხასიათის, აგრეთვე ამ დროს არაბთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოქმნილი სტაგნაციის ან ევოლუციური პროცესების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს სპეციფიკური ხასიათის და სასწავლო დანიშნულების შესაბამისად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ძირითადი წყაროებისა და ლიტერატურის განაწილება თემატურად. არაბული ტერმინები, გეოგრაფიული და საკუთარი სახელები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოცემულია გრძელი ხმოვნების, აგრეთვე ყრუ ხშული გლოტალის ჰამზას –’ და ‘ინის –’ აღნიშვნით. ემფატიკური თანხმოვნების დიაკრიტიკული ნიშნების მოტანა, ვფიქრობთ, მეტისმეტად დაამძიმებდა სიმბოლოებით ისედაც გადატვირთულ ტექსტს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწავლო დანიშნულებისაა. იგივე შეიძლება ითქვას ჰიჯრის წელთაღრიცხვის შესახებ: თარიღები ჰიჯრით მოტანილია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ან მოღვაწის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმისათვის გამოყენებულ-

ლია მსხვილი შრიფტი, რომელიც მკითხველის ყურადღების გამახვილებას და მასალის უკეთ ათვისებას ემსახურება. დანართის სახით მოცემულია დინასტიების ქრონოლოგიური ცხრილები, შიიტი იმამების (იმამიტების) გენეალოგიური სქემა და რუკები. ზოგიერთ სადავო თარიღთან ან ტერმინთან დაკავშირებით უპირატესობა მიენიჭა იმ ვერსიას, რომელიც მოცემულია „ისლამის ენციკლოპედიაში“ (Enciclopedia of Islam, N. ed.). არაბული სახელების გადმოცემისას ასევე ვხელმძღვანელობდით „ისლამის ენციკლოპედიაში“ მიღებული წესით, მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის გათვალისწინებით.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობით აღვნიშნოთ რეცენზენტების **პროფ. დავით კაციტაძის**, **პროფ. აპოლონ სილაგაძის** და **პროფ. ნანი გელოვანის** დახმარება. არაბული ლიტერატურის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით არაერთხელ მივმართეთ **პროფ. ნანა ფურცელაძეს**. წიგნის რედაქტორი, საქართველოს ელჩი ქუვეითში, **პროფ. გონა ჯაფარიძე** გულდასმით გაეცნო ნაშრომს და მოგვაწოდა საყურადღებო შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა. კომპიუტერზე ტექსტის აწყობისა და სპეციალური სიმბოლოების გამოყენებისას ხშირად ვსარგებლობდით ბატონ **ლევან აპრესოვის** რჩევით. მიუხედავად აღნიშნულისა, მასალის დიდი მოცულობისა და სირთულის გამო სახელმძღვანელო, ალბათ, არ იქნება დახდევული ხარვეზებისგან. ვფიქრობთ, არსებული ნაკლოვანებები გამოსწორდება მომავალში. თუ წარმოდგენილი ნაშრომი რამდენადმე მაინც გაუადვილებს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს არაბთა ისტორიის მოკლე კურსის ათვისებას, ჩვენ მიერ დასახული მიზანი მიღწეულად ჩაითვლება.

შესავალი

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სამხრეთ კავკასია რჩებოდა ისლამური აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების და ინტერესების სფეროში. ისლამის გავრცელების შემდეგ, კერძოდ VII-X საუკუნეებში, ე.ი. არაბთა ბატონობის პერიოდში, არაბულ-ისლამურმა კულტურამ, რომელიც ძველი ირანის, წინა აზიის და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციების საფუძველზე აღმოცენდა, საქართველოზეც მოახდინა გავლენა. მიუხედავად პოლიტიკური და რელიგიური წინააღმდეგობებისა, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სავაჭრო-ეკონომიკური და ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობანი ისლამურ სამყაროსთან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი **აკად. ივ. ჯავახიშვილი** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობელი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლას, აუცილებლად მიიჩნევდა აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) წყაროების გათვალისწინებას. სწორედ **ივ. ჯავახიშვილის** ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ინტენსიური მუშაობა აღმოსავლური ენების, ისტორიის და კულტურის შესწავლის მიმართულებით. ეს საქმიანობა 1950 წლიდან **პროფ. ვ. გაბაშვილის** ხელმძღვანელობით გაგრძელდა თსუ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე და საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების, მათ შორის არაბისტი ისტორიკოსების მიერ მიკვლეული, შესწავლილი და გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს შესახებ არაბ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობები, დაიწერა სამეცნიერო სტატიები შუა საუკუნეების არაბეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხებზე. თანდათანობით მკვლევართა საქმიანობა გასცდა ქართველოლოგიის სფეროს, მოიცვა მთელი ახლო აღმოსავლეთი და კოპლექსური კვლევის სახე მიიღო. ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსების მიერ გამოითქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალიზმის გენეზისის, ისლამური ქალაქის წარმოქმნისა და სტრუქტურის, ფეოდალური ხანის პერიოდიზაციის და სხვა საკითხებზე. ვინაიდან არაბული ქვეყნები ისლამური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება მათზეც ვრცელდება, თუმცა ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში (მაგ., არაბულ მაღრიბში) გამორიცხული არ იყო გარკვეული სპეციფიკური თავისებურებანი. მრავალფეროვანი ორიენტალისტური ლიტერატურის გაცნობა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა შეხედულებების შეჯერება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს, გამოვაავლინოთ საზოგადოებრივი განვითარების ან სტაგნაციის განმსაზღვრელი მიზეზები. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების რიგი თავისებურებების გათვალისწინებით ქართველ მკვლევართა მიერ შემუშავდა ადრეფეოდალური (VI-X სს.), განვითარებული ფეო-

დალიზმის (XI-XVI სს.) და გვიანდელი ფეოდალიზმის (XVII-XVIII სს.) ქრონოლოგიური სქემა, გამოითქვა მოსაზრება გვიანდელი ფეოდალიზმის XIX საუკუნემდე გახანგრძლივების შესახებ (**ვ. გაბაშვილი**).

ახლო აღმოსავლეთისა და არაბული ქვეყნების ისტორიის შესწავლას დღეს არა მარტო სამეცნიერო, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება. გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ერთი ნაწილი ისლამს აღიარებს, საქართველო გარშემორტყმულია მუსლიმური ქვეყნებით, სადაც რელიგია სრულიად არ ითვლება წარსულის კუთვნილებად. უფრო მეტიც, ისლამი დღესაც ამტკიცებს თავის სიცოცხლისუნარიანობას და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს ფრთხილ, გაწონასწორებულ ურთიერთობას ისლამურ სამყაროსთან, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ახლო აღმოსავლეთის ხალხების ენის, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის ცოდნით და, რაც მთავარია, პატივისცემით. როგორც **ვალერიან გაბაშვილი** არაერთხელ მიუთითებდა თავის მოწაფეებს, **თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პროცესების გაგება და სწორად შეფასება შეუძლებელია შუა საუკუნეების ისტორიისა და ისლამის ცოდნის გარეშე**. ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეში არსებით როლს ქართველი აღმოსავლეთცოდნეები, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღზრდილი არაბისტები ასრულებენ, მიგვითითებს ამ დარგის განვითარების არა მარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკულ აუცილებლობაზე.

თხზი I

არაბები ისლამის წარმოშობის წინ

1. არაბთა სამშობლო – არაბეთის ნახევარკუნძული და ისლამამდელი არაბული ცომები

არაბთა სამშობლო არის არაბეთის ნახევარკუნძული, რომელსაც მისი მკვიდრი მოსახლეობა არაბთა კუნძულს (ჯაზირათ ალ-‘არაბ) უწოდებს. იგი უდიდესია აზიაში და შეადგენს დაახლოებით 3 მლ. კვ. კილომეტრს. აღმოსავლეთით მას აკრავს სპარსეთის (არაბთა) და ომანის ყურეები, აგრეთვე ორმუზის სრუტე (მადრეკ პურმუზა), დასავლეთით წითელი ზღვა და ‘აკაბის ყურე. ჩრდილოეთით ნახევარკუნძულის საზღვარი გადის ‘აკაბისა და სპარსეთის ყურეების შემაერთებელ ხაზზე. არაბი გეოგრაფები გამოყოფდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის რამდენიმე რეგიონს, რომელთაგან მთავარია: იემენი (ალ-დამან) და მის ჩრდილო-დასავლეთით თიჰამა, რომელიც ჩრდილოეთით ჰიჯაზში გადადის; თავის მხრივ, ჰიჯაზი ვრცელდება სირიამდე და მოიცავს წითელი ზღვის სანაპიროს; ნაჯდი – ცენტრალურ არაბეთში; ალ-იამამა (ან ალ-არუდი) – თიჰამასა და სპარსეთის ყურეს შორის; ჰადრამავთი და ომანი იემენის აღმოსავლეთით. შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფები სირიის უდაბნოსაც არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილად მიიჩნევდნენ.¹ აქ არ არის არც ერთი დიდი მდინარე ან ტბა, ხოლო წვიმები იშვიათია. უდაბნოს შეჩვეული მომთაბარეებისთვისაც კი გამანადგურებლად ითვლება აღმოსავლეთის ცხელი ქარი სამუმი (სამუმი).²

გეოგრაფიულმა მდებარეობამ და კლიმატმა განსაზღვრეს არაბეთის ნახევარკუნძულის მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაც: ჩრდილოეთ და ცენტრალურ არაბეთში ოდითგანვე გავრცელებული იყო მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეობა, ხოლო ოაზისებში (გნჰა, ღრტა) და სამხრეთ არაბეთში, მაგალითად, იემენში, შეიძლება ინტენსიური მეურნეობის წარმოება. ნახევარკუნძულის ზოგიერთ რეგიონში, კერძოდ ცენტრალურ არაბეთში (დამამა), ოაზისების რიგი გრძელდებოდა დაახლოებით 700 კილომეტრის მანძილზე, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი მომთაბარეობას მისდევდა. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ნახევარკუნძულზე (იემენის და ჰადრამავთის გამოკლებით) უნდა ყოფილიყო 75 ათასი ჰექტარი მიწა, რომელსაც შეეძლო 300 ათასი მიწათმოქმედის შენახვა.

„არაბებს“ უძველესი დროიდან მოკიდებული უწოდებდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ტომებს, თუმცა თავის წარმომავლობას თავად არაბები, პირველ რიგში, საკუთარ ტომს უკავშირებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე მომთაბარე და მის საზ-

ღვრებს გარეთ გასულ ტომებს ბევრი საერთო ნიშანი და ტრადიცია ჰქონდათ, ხოლო არაბული ენა არაბთა საერთო ენად ითვლებოდა, ეთნიკური კუთვნილების მჩვენებელ ტერმინად „არაბი“ („არაბ“) მხოლოდ ისლამის შემდეგ, დიდი დაპყრობების დროს გახდა. შუა საუკუნეებში და უფრო გვიან ოსმალთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის დროსაც არაბებს თითქმის ყოველთვის ბედუინებთან აიგივებდნენ.

არაბული ტომების გენეალოგიასთან დაკავშირებული ტრადიციის თანახმად, სამხრეთარაბული ტომების წინაპრად ითვლება კაჰტანი, რომლის შთამომავლები (ბანუ კაჰტანი) შუამდინარეთიდან გადასახლებულან მდინარე იორდანესა და მკვდარი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ გადასულან არაბეთის ნახევარკუნძულზე. წინაპრების გენეალოგიით დაინტერესებულ არაბ ავტორებს მიაჩნდათ, რომ ნამდვილი არაბები (ალ-ნარიბა) იყვნენ სამხრეთ არაბული ტომები. რაც შეეხება ჩრდილოეთის არაბებს, მათი წარმომავლობა უკავშირდება **იბრჰჰიმის (აბრაამ, აბრაჰამ) უფროს ვაჟს ისმა'ილს (ისმა'ილ), უფრო სწორად მის ერთ-ერთ შთამომავალს 'ადნანს ('ადნან)**³. მუსლიმი არაბები თვლიან, რომ აბრაამის მიერ შვილის მსხვერპლშეწირვის ცნობილი ბიბლიური ეპიზოდი ეხება ისმა'ილს და არა მის უმცროს ვაჟს ისაკს (ისჰაკ). ცენტრალური და ჩრდილოეთ არაბეთის ტომები გაარაბებულად (მუსთარაბა) ითვლებოდნენ. ამ ჯგუფს, ე.ი. 'ადნანიტებს ეკუთვნოდნენ ჰიჯაზის კურაიშიტები (ბანუ კურაჲშ), ნაჯდის, ნაბატინთა და პალმირას (თადმურის) არაბები, ხოლო იასრიბის, აღმოსავლეთ სირიის დასანიანთა და ერაყის დახმინთა არაბები სამხრეთარაბული წარმომავლობისა იყვნენ. მეტოქეობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის არაბებს შორის თავს იჩენდა ისლამის გავრცელების შემდეგაც და არაერთხელ ყოფილა მწვავე დაპირისპირების მიზეზი.

ჩრდილოეთი და ცენტრალური არაბეთის მომთაბარე ტომების (კაბჰლა, მრ. კაბჰ'ილ), ან ბედუინების (სიტყვისგან ბნდიჲა – უდაბნო, ბადაჲ – ბედუინი) ძირითად საქმიანობად მომთაბარე მესაქონლეობა, კერძოდ მეაქლემეობა ითვლებოდა. ამასთან ერთად, ბედუინები დაკავშირებული იყვნენ საქარავნო სატრანზიტო ვაჭრობასთან, მით უმეტეს, რომ მათ ხელში იყო მთავარი სატრანსპორტო საშუალება – აქლემი, ხოლო უდაბნოში ორიენტაციის უნარი და გზების ცოდნა მათ გამყოლის სახით აუცილებელს ხდიდა. არაბული ცხენით, რომელიც ბედუინისთვის ფუფუნების საგანს შეადგენდა, განთქმული იყო ნაჯდი, სახედრებით – ალ-ჰასა, ხოლო აქლემებით ომანი. ცხენი და აქლემი არაბეთიდან სირია-პალესტინაში გავრცელდა ისლამამდე დიდი ხნით ადრე. ბედუინთა ტომის სათავეში იდგა არჩევითი შეიხი (შაჲხ)⁴ ან სეიდი (საჲიდ)⁵, რომელიც თანატომელთა ნდობასა და პატივისცემას იმსახურებდა გონიერებით, გულუხვობით და სიმამაცით. სამხედრო და სასამართლო ფუნქციებს, აგრეთვე საერთო ინტერესებში შემავალ საკითხებს შეიხი უთანხმებდა უხუცესთა საბჭოს, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ტომში შემავალ გვართა გავლენიანი წარმომადგენლები. შეიხის უფლებამოსილება გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იგი სარგებლობდა ავტორიტეტით და საერთო მხარდაჭერით. იმ შემთხვევაში, როცა მძიმე კლიმატური პირობები, განსაკუთრებული სიცხე ზაფხულში ან სიცივე ზამთარში, იწვევდა არსებობის ძირითადი

წყაროს – ჯოგის დაცემას ან შემცირებას, ბედუნთა ტომები იძულებული ხდებოდნენ თავის გადასარჩენად განეხორციელებინათ დარბევითი თავდასხმები (დაზვ) ქარავენებზე, მეზობელ ტომებსა და სოფლებზე. ასეთი რეიდის დროს ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მსხვერპლი და იარაღს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებდნენ, მაგრამ საძოვრებისთვის ბრძოლა, მეტოქეობა და სისხლის აღების ინსტიტუტი (სა'რ)⁶ ზოგჯერ ტომთა ხანგრძლივ დაპირისპირებას იწვევდა. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებული შეტაკებები ბანჷ ბაქრის და ბანჷ თაღლიბის ტომებს შორის, რომელიც აისახა ისლამამდელ არაბულ პროზაულ ძეგლში „ადამ ალ-‘არაბ“ („არაბთა დღეები“).⁷ თავისი ტომისადმი ერთგულება და პატრიოტიზმი ('ასაბიდა) ბედუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო. ისლამის გავრცელების შემდეგაც ტომის სტრუქტურა უცვლელი დარჩა და არაბთა დიდი დაპყრობების დროს მუსლიმთა ჯარი სწორედ ტომობრივი პრინციპით იყო აგებული. არაბი ვერ იარსებებდა თავისი ტომის გარეშე. ამიტომ, ჩადენილი დანაშაულისათვის ტომიდან განკვეთილი ბედუნი იძულებული ხდებოდა შეეკედლებოდა სხვა ტომს, ესარგებლა მისი მფარველობით და გამხდარიყო „დახნლ“ („შეკედლებული“). სუსტი და მცირერიცხოვანი ტომიც ასევე შეიძლებოდა შესულიყო უფრო ძლიერი ტომის მფარველობაში.

ისლამამდელი არაბული ტომი პატრიარქალური იყო, მაგრამ ქალი სარგებლობდა მეტი თავისუფლებით, ვიდრე ისლამის გავრცელების შემდეგ. ყურანში რამდენიმეჯერაა ნახსენები არაბების მიერ გოგონების ცოცხლად დამარხვის ტრადიცია (მაგ'ულა), რაც კატეგორიულად დაგმობილ და აკრძალულ იქნა მოციქულ მუჰამედის მიერ. ეს ბარბაროსული წესი, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო წინაისლამური პერიოდის მომთაბარე არაბების მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებთან, აგრეთვე ტომის მუდმივ საომარ მზადყოფნასთან, როცა ქალი მძიმე ტვირთად ითვლებოდა. ამასთან ერთად, მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ დედის მხრიდან შთამომავლობას არაბები ანგარიშს უწევდნენ, ხოლო ქურუმი ქალები (რაბბთ ალ-ბადათ), წინასწარმეტყველები (ნაბნა, ქაჰინა) დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ჰიჯაზში იყვნენ ქალები, რომლებიც სავაჭრო საქმიანობასაც ეწეოდნენ (მაგ., მუჰამედის პირველი ცოლი ხადიჯა). მართალია, მრავალცოლიანობა (პოლიგამია) მიღებული იყო, მაგრამ არაბების დიდი ნაწილი მას არ მისდევდა ხელმოკლეობის გამო. დასაშვებად ითვლებოდა ენდოგამიური ქორწინება,⁸ თუმცა წარმართობის ხანაში არაბებმა იცოდნენ, რომ ჯანსაღი შთამომავლობისთვის და სანათესაოს გაფართოებისთვის სასურველი იყო საქორწინო ურთიერთობანი სხვა გვარისა და ტომის წევრებთან. მთელ ნახევარკუნძულზე არსებობდა მონობის ინსტიტუტი თავისი სპეციფიკური ნიშნებით, რომელთაგან ძირითადი იყო მონის გათავისუფლების ტრადიცია. ცნობილია, რომ ყოფილმა მონამ **‘ანთარამ** (**‘ანთარა იბნ შადნლ ალ-‘აბსნ, 525-615**), სახელი გაითქვა, როგორც მეომარმა და პოეტმა. გათავისუფლებული მონა, როგორც წესი, ტომში რჩებოდა, სარგებლობდა მისი მფარველობით და მავლად (მავლნ, მრ. მავნლნ) იწოდებოდა. უფრო გვიან, არაბთა დაპყრობების პერიოდში ეს ტერმინი გავრცელდა იმ არაარაბებზე, რომლებმაც ისლამი მიიღეს და არაბ მუსლიმთა მფარველობაში შევიდნენ.

ნახევარკუნძულზე არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას შეესაბამებოდა არაბთა პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები, რაც ვლინდებოდა კერპთაყვანისცემაში ტოტემიზმის⁹ და ანიმიზმის¹⁰ მკვეთრად გამოკვეთილი ნიშნებით. წარმართულ ღვთაებებს წარმოდგენდნენ ალ-ლჰჰ (სიტყვისაგან „ალ-ილჰჰ“ – ღვთაება) და ქალღმერთების ტრიადა – მანათ, ალ-ლჰთ, და ალ-უზზა. არაბებს სწამდათ ბოროტი და კეთილი სულების (ჯინ, შაიტან) არსებობა და თვლიდნენ, რომ დროდადრო მათ ადამიანებთანაც შეეძლოთ ურთიერთობა. წარმართი არაბები იცნობდნენ მონოთეისტურ რელიგიებსაც, რომელთაც ისლამის წარმოშობის წინ უკვე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ სამხრეთ არაბეთში, მეზობელ სირიასა და ერაყში. იუდეველთა თემები არსებობდნენ იასრიბში (ჰიჯაზი) და იემენში.

მომთაბარეებსა და სამხრეთ არაბეთის მიწათმოქმედ არაბებს შორის გარკვეული ანტაგონიზმი იყო: ბედუინები ბინადარ ცხოვრებას არაბისთვის შეუფერებლად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს არ გამოირიცხავდა მათ მშვიდობიან თანაარსებობას სამხრეთ არაბეთის (იემენის) ტომებთან, რაც განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო ურთიერთობებით და ამ სფეროში თანამშრომლობის სასიცოცხლო აუცილებლობით. ჩრდილოეთ და ცენტრალური არაბეთის მომთაბარე ტომების აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმინი კაისიტები, ხოლო სამხრეთის ტომებს ქალბიტებს ან იემენელებს უწოდებდნენ.

ისლამის წარმოშობის წინ (V-VI სს.) არაბეთის ნახევარკუნძულის მომთაბარე ტომებში გაჩნდა კერძო საკუთრება ჯოგზე, თემური საკუთრება საძოვრებზე და წყალსატევებზე. ამგვარად, ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს, როგორც გარდამავალი ეტაპი თემური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ტომობრივი სისტემის რღვევისა და კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის საერთო პროცესი. გარდა სოციალური დიფერენციაციისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, ახალი მონოთეისტური რელიგიის წარმოქმნას ხელს უწყობდა ზოგიერთი საგარეო პოლიტიკური ფაქტორიც. ახლო აღმოსავლეთის ორი დიდი სახელმწიფოს – სასანიანთა ირანის და ბიზანტიის, აგრეთვე სამხრეთ არაბეთის სამეფოების ცდას თავისი გავლენისთვის დაემორჩილებინათ არაბეთის ნახევარკუნძული და კონტროლი დაეწესებინათ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო სატრანზიტო გზებზე, მოჰყვა პოლიტიკური ვითარების გამწვავება ამ რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ V-VII საუკუნეებში ჩრდილოეთისა და ცენტრალური არაბეთის ტომებმა გაიარეს პერიოდი, როცა შეიქმნა რეალურად არსებული საგარეო საფრთხის წინაშე მათი გაერთიანებისა და არაბული სახელმწიფოს შექმნის პირობები. VII საუკუნის დამდეგს არაბთა შინასოციალური და საგარეო პრობლემები კონცენტრირებული აღმოჩნდა ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – ჰიჯაზში. რაც შეეხება სამხრეთ არაბეთს, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია წინაისლამური პერიოდის არაბთა ისტორიაში და მისი გათვალისწინება აუცილებელია არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის წარმოშობის დროს არსებული ვითარების სრულად წარმოსადგენად.

2. ევროპელ მოგზაერთა და მეცნიერთა წვლილი არაბეთის ნახევარკუნძულის შესწავლაში, სამხრეთ არაბეთის ისლამამდელი უივილიზაცია

არაბეთის ნახევარკუნძულის, კერძოდ სამხრეთ არაბეთის ისლამამდელი პერიოდის ისტორიის შესახებ ევროპაში დიდი ხნის მანძილზე ძალიან ცოტა იცოდნენ. მართალია, ჰეროდოტე (ძვ.წ.ა. V ს.) თავის „ისტორიაში“ ახსენებს „ბედნიერ არაბეთს“ („Arabia Felix“), ე.ი. იემენს, მაგრამ უდაბნოების ნახევარკუნძული მაინც დიდხანს რჩებოდა „ტერრა ინკოგნიტად“ („უცნობ ქვეყნად“). მუსლიმი არაბები თავისი ისტორიის ისლამამდელ პერიოდს ჯაჰილიის (ჯაჰილიდია – სიბნელე, უმეცრება) ეპოქად მიიჩნევდნენ იმის გამო, რომ მაშინ მათთვის უცნობი იყო „ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია – ისლამი“. შუა საუკუნეების არაბი ავტორები, დაინტერესებულნი იყვნენ სამხრეთ არაბეთის ისტორიით, მაგრამ მათი ცნობები ძირითადად ლეგენდებზე და ფოლკლორულ მასალაზეა აგებული.¹¹ აქედან გამომდინარე, ნახევარკუნძულის აღნიშნული რეგიონის მეცნიერულ შესწავლაში უპირატესობა ევროპელ მოგზაურებს და მეცნიერებს ეკუთვნით.

XVI საუკუნიდან მოკიდებული, ცნობისმოყვარე ევროპელები დაჟინებით ცდილობდნენ შეეღწიათ არაბეთის ნახევარკუნძულზე, რისთვისაც უხდებოდათ ისეთი რთული დაბრკოლებების გადალახვა, როგორც იყო საკომუნიკაციო საშუალებათა ნაკლებობა, მძიმე კლიმატური პირობები და მუსლიმი მოსახლეობის მეტად ფრთხილი, ზოგჯერ არამეგობრული დამოკიდებულება არამუსლიმებისადმი. ერთ-ერთი პირველი ევროპელი, ვინც მოახერხა ნახევარკუნძულზე შეღწევა და მექის მონახულება, იყო იტალიელი **ლოდოვიკო დი ვარტემა** ქ. ბოლონიიდან. 1502 წელს იგი ვენეციიდან ეგვიპტეში გაემგზავრა, ხოლო იქიდან სირიის გავლით ჰიჯაზში გააჰყვა მუსლიმ პილიგრიმთა ქარავანს. ვარტემამ დეტალურად აღწერა თავისი ორწლიანი (1503-1505) მოგზაურობა, რომლის დროსაც მოინახულა მექა, მედინა, სანა და ადენი. სამხრეთ არაბეთიდან იგი სპარსეთში გაემგზავრა, ხოლო იქიდან ინდოეთში გადავიდა. პორტუგალიელების დახმარებით ვარტემა დაბრუნდა ჯერ ლისაბონში და შემდეგ იტალიაში, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მოგზაურის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ ცოტაა ცნობილი. ფიქრობენ, რომ ის გარდაიცვალა 1512 – 1517 წლებს შორის. მისი „მოგზაურობა“ მრავალ ენაზე ითარგმნა და დიდხანს ევროპელი მკითხველისათვის ისლამური აღმოსავლეთის შესახებ ინფორმაციის საიმედო წყაროდ ითვლებოდა.

მეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციას, რომელიც 1761 წელს დანიის მეფის ფრედერიკ V-ის ინიციატივით მოეწყო არაბეთის ნახევარკუნძულის შესასწავლად. ექსპედიციის ექვსი წევრიდან გადარჩა მხოლოდ ერთი – **კარსტენ ნიბური**. 1765 წელს იგი დაბრუნდა კოპენჰაგენში და გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „არაბეთის აღწერა“. ეს იყო პირველი სამეცნიერო გამოკვლევა არაბეთის ნახევარკუნძულისა და იემენის შესახებ შესრულებული ევროპელი მეცნიერის მიერ და მან უდიდესი გავლენა მოახდინა გვიანდელ მკვლევართა შრომებზე. მის განცხა-

დებას სამხრეთ არაბეთში ისლამამდელი ეპიგრაფიკული ძეგლების არსებობის შესახებ უნდა გამოეწვია მეტი დაინტერესება ამ ქვეყნით, მაგრამ ახალი სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა სამხრეთ არაბეთში თითქმის ასი წლით გადაიდო.

XIX საუკუნეში, კოლონიალიზმის ეპოქაში გაძლიერდა ევროპელთა ინტერესი არაბული სამყაროს, ისლამისა და მისი სამშობლოსადმი. აღმოსავლეთისადმი ინტერესის მანქვნებელი იყო ისიც, რომ ტერმინი „ორიენტალისტი“ ინგლისურ ენაში შევიდა 1779 წლიდან, ხოლო ფრანგულში 1799 წელს. არაბი მეცნიერი **ფ. ჰითთი** თვლიდა, რომ ამ პერიოდში ევროპამ ახლად აღმოაჩინა არაბეთის ნახევარკუნძული. პირველი სიტყვა ამ საქმეში თქვეს ევროპელმა მოგზაურებმა, რომლებიც სხვადასხვა მიზნებით მიემართებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. მათგან შეიძლება გამოვყოთ ისინი, რომელთა წვლილი არაბეთის ნახევარკუნძულის შესწავლაში საყოველთაოდაა აღიარებული. პირველ რიგში, ესაა გერმანელი **ულრიჰ ზეიტცენი**, რომელმაც 1802 წელს დაიწყო მოგზაურობა, მოიარა სირია-პალესტინა, ჰიჯაზი, იემენი, მაგრამ 1811 წელს თა'იზისაკენ მიმავალ გზაზე მოკლეს. ინგლისელი მოგზაური (წარმომშობით შვეიცარიელი) **იოჰან ლუდვიგ ბურკჰარდტი** აღმოსავლეთში გაემგზავრა 1809 წელს და შეის იბრაჰიმ იბნ 'აბდ ალლაჰის სახელით მოიარა სირია-პალესტინა, ჰიჯაზი და ეგვიპტე. 1817 წელს იგი კაიროში გარდაიცვალა და დაკრძალულია იქ მუსლიმურ სასაფლაოზე. ი.ლ. ბურკჰარდტის მოგზაურობის აღწერა არაერთხელ გამოვიდა ევროპულ ენებზე. სხვადასხვა დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე მოგზაურობდნენ **ა. ვალინი**, **რიჩარდ ფ. ბარტონი**, **ლელი ა. ბლანტი**, **ჩარლზ მ. დოუტი** და სხვები. ევროპელ მოგზაურთა და მკვლევართა დეაწლმა ნათელი მოჰფინა არაბეთის ნახევარკუნძულის როლსა და ადგილს მუსლიმურ სამყაროში და მოამზადა გარკვეული ნიადაგი ისლამამდელი პერიოდის ისტორიის შესწავლისათვის. ლეიდენელმა პროფესორმა **სნუკ ჰიურგრონემ** 1885-86 წლებში მოიარა ჰიჯაზი და მექის რელიგიური ცხოვრებაც კარგად შეისწავლა.

XIX ს. მეორე ნახევარში ევროპელმა მეცნიერებმა განაგრძეს ის საქმე, რომელსაც დასაბამი მისცა კარსტენ ნიბურის ექსპედიციამ სამხრეთ არაბეთში. 1869-70 წლებში ახალგაზრდა ფრანგმა სემიტოლოგმა **ჟოზეფ ჰალევიმ**, რომელიც თავს იემენელ ებრაელად ასალებდა, მოიარა მთელი იემენი – ჯაფი, მა'რიბი, სირვაჰი და აღმოაჩინა მრავალი მანამდე უცნობი ძეგლი. ქ. სან'ას მკვიდრი ერთი ებრაელი იუველირისა და ექიმის **ხაიმ ჰაბშუმის** დახმარებით მას გაუკეთებია 700-დე სამხრეთარაბული წარწერის ნუსხა. ჟ. ჰალევიმ დიდი წვლილი შეიტანა ამ ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში.

სამხრეთარაბული ცივილიზაციის კვლევას მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე ავსტრიელმა მეცნიერმა **ედუარდ გლაზერმა**. მისი სამი ექსპედიციის შედეგად (1882-1884, 1885-1886, 1892-1894 წწ.) აღმოჩენილ იქნა 1800-დე ეპიგრაფიკული ნიმუში. გლაზერმა დაამტკიცა, რომ მისი წინამორბედის ჟ. ჰალევის მიერ მიკვლეული წარწერების ნუსხები ძირითადად ეკუთვნის ხაიმ ჰაბშუმს.

XIX ს. მიწურულს ევროპელმა მეცნიერებმა საინტერესო არქეოლოგიურ მასალას მიაკვლიეს ჩრდილოეთ არაბეთსა და ჩრდილოეთ ჰიჯაზში (**მ. იუბერი**, **იუ. ოიტინგი**, **ა. ჟოსენი**, **რ. სავინიაკი**). არაბეთის ნახევარკუნძულის

კვლევა გაგრძელდა XX საუკუნეშიც და აღინიშნა ახალი მიღწევებით. თავისი წვლილი ამ საქმეში შეიტანეს რუსმა მეცნიერებმა, რომლებმაც შეისწავლეს და გამოსცეს სამხრეთარაბული ეპიგრაფიკული ნიმუშები. ამგვარად, ევროპელ მოგზაურთა და მკვლევართა თავდადებული, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში შრომის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საბეისტიკას, დარგს, რომელიც მიზნად ისახავს ისლამამდელი სამხრეთ არაბეთის ენის, ისტორიის და კულტურის შეწავლას.

დღეისათვის დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს ჯაჰილიის პერიოდში სამხრეთარაბული ცივილიზაციის არსებობა. მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობისა და უკეთესი კლიმატური პირობების გამო აქ შესაძლებელი იყო მიწათმოქმედების განვითარება, რამაც ხელი შეუწყო ნახევარკუნძულის ამ რეგიონში ადრინდელი მონათმფლობელური სახელმწიფოების წარმოქმნას. ზღვაოსნობისათვის გამოსადეგი ბუნებრივი ნავსადგურების და იმ სახმელეთო სატრანზიტო გზების წყალობით, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებთან აკავშირებდა, სამხრეთ არაბეთი საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაება. ადგილობრივ ზღვაოსნებსა და ვაჭრებს, რომელთაც „სამხრეთის ფინიკიელებსაც“ უწოდებენ, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ბაბილონთან, ასურეთთან, ეგვიპტესთან, ფინიკიასთან და ინდოეთთან. ამავე დროს, საკუთრივ სამხრეთ არაბეთიდან ხდებოდა რიგი აღმოსავლური საქონლის ექსპორტი. ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები წერდნენ, რომ სამხრეთ არაბეთის მცხოვრებნი (საბაელები) იყვნენ „ყველაზე მდიდარნი მთელ ქვეყანაზე“, რაც მათი საზღვაო ვაჭრობით იყო განპირობებული. **სტრაბონის (დაახლ. ძვ.წ.ა. 64/63 – წ.ა. 23/24 წ.)** ცნობით, სამხრეთ არაბეთის ქალაქებს ამშვენებდნენ დიდებული ტაძრები და სასახლეები, ხოლო რომაელი ავტორი **პლინიუსი (23/24–79)** თვლიდა, რომ „საბაელები ყველა არაბულ ტომებს შორის განთქმული იყვნენ თავისი საკმეველით.“ სწორედ, აღნიშნულის გამო, სამხრეთ არაბეთი ცნობილი გახდა „ბედნიერი არაბეთის“ სახელით.

ისტორიული მეცნიერება დღესაც ვერ გვაძლევს ისლამამდელი სამხრეთ არაბეთის წარსულის მკაფიო და სრულ სურათს. ნარატიულ (ძირითადად ბერძნულ) წყაროებში დაცული ცნობების სიმცირე და სამხრეთარაბული ეპიგრაფიკული ძეგლების ფრაგმენტული ხასიათი ამნელებს აქ წარმოქმნილი წინაისლამური სახელმწიფოების პოლიტიკური ისტორიის კვლევას, მით უმეტეს, იქ არსებული თავისებური ქრონოლოგიის ფონზე. სამხრეთ არაბეთი არის ქვეყანა, რომლის ისლამამდელი ისტორიის შესწავლა გვიხდება ძირითადად ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე.

მკვლევართა ხელთ არსებული წყაროების წაკითხვისა და ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ძვ.წ.ა. პირველ ათასწლეულში სამხრეთ არაბეთში წარმოიშვა **საბას (საბა', ბიბლ. შება)** ძლიერი სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგნენ რელიგიური პირები – მუქარიბები (ქურუმები). მისი პირველი დედაქალაქი ყოფილა სირვანა, რომელიც შემდეგ შეცვალა მა'რიბმა (ან მარიბ) დღევანდელ ქ. სან'ას (სან'ა) აღმოსავლეთით. ამ სამეფოს ისტორიის მეორე პერიოდში (ძვ.წ.ა. 610-115 წწ.) აშენდა მა'რიბის დიდი წყალსაცავი, რომელიც სამშენებლო ხელოვნების დონით და მასშტაბით თავისი დროის უდიდეს მიღწევად ითვლება. როგორც ჩანს, ამ დროს საბას სახელმწიფომ

განიცადა ევოლუცია, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომი უმაღლესი ქურუმი ახლა მეფემ შეცვალა, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით არსებითი ცვლილება არ მომხდარა და სამხრეთ არაბეთი IV საუკუნემდე ძირითადად მაინც პოლითეისტური იყო. არაბთა შორის პოპულარობით სარგებლობდა ამბავი საბას დედოფლის ბილკისის პალესტინაში ყოფნისა და მეფე სოლომონთან (სულადმანთან) ურთიერთობის შესახებ.

საბას სამეფოს მემკვიდრე გახდა მისი მეზობელი და ვასალი (ალ-ჯავფის რეგიონში, დღ. სან'ას ჩრდილოეთით) **მინას სამეფო**, რომლის დედაქალაქი იყო კარნავეუ (დღ. მა'ან, სან'ას ჩრდილო-აღმოსავლეთით), ხოლო რელიგიური ცენტრი იასილი (დასწლ, დღ. ბარამიში, მა'რიბის ჩრდილო-დასავლეთით). მინას სამეფოსთანაა დაკავშირებული ჩრდილოეთის სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე სამხრეთ არაბეთის კოლონიზაციის დასახლება ისეთ ქალაქებში, როგორცაა მა'ანი (მა'ან, დღ. იორდანიაში, პეტრას სამხრეთ-აღმოსავლეთით), აგრეთვე ალ-'ულა და თაბუკი (ჰიჯაზის ჩრდილოეთით).

IV-V საუკუნეებში სამხრეთ არაბეთში არსებობდა სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებიც, მაგალითად, ჰადრამავთის (დედაქალაქი შაბვა) და კათაბანის ან ზუ-რადანის (დედაქალაქი თამნა, დღ. ქუჰლან) სახელმწიფოები, რომლებიც საბას და მინას სამეფოების ვასალებად ითვლებოდნენ.

ჯაჰილიის პერიოდის სამხრეთ არაბეთის ბოლო სახელმწიფო იყო **ჰიმიარის (ჰიმიარ, ბერძნ.-რომაული Homeritae) სამეფო** (ძვ.წ.ა. 115 წ. – ჩვ.წ.ა. VI ს.), რომელიც IV ს. დამლევს და V ს. დამლევს ნახევარკუნძულის თითქმის მთელ სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. ამ უზარმაზარ რეგიონში გავრცელდა სამხრეთ-თარაბული ენა გარკვეული დიალექტური თავისებურებით. სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ზაფარი (ზაფარ), დღევანდელ ქ. ღარიმის მახლობლად, სან'ასა და თა'იზს შორის. ჰიმიართა მეფეები საბას დინასტიას ენათესავებოდნენ და წინა ორი სახელმწიფოს ტრადიციებს აგრძელებდნენ. ისევე, როგორც მანმადე, სამხრეთ არაბეთის კეთილდღეობა ახლაც საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ „სამხრეთის ფინიკიელებს“ ამ საქმეში მკაცრი კონკურენციის დაძლევა უხდებოდათ. ძვ.წ.ა. IV საუკუნიდან მოკიდებული, მათ ჰეგემონიას წითელ ზღვაზე დაემუქრა ეგვიპტის პტოლემეაოსთა¹² სახელმწიფო, ხოლო რომის დამკვიდრებამ წინა აზიაში და სამხრეთ არაბეთის სავაჭრო პარტნიორების – პეტრას და თადმურის დანგრევამ საგრძნობლად დაასუსტა ჰიმიარის სამეფო. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო საშიში აღმოჩნდა იემენის უახლოესი მეზობელი, ქრისტიანული ეთიოპიის სამეფო.

სამხრეთ არაბეთის სიახლოვე აფრიკის კონტინენტთან საშუალებას აძლევდა არაბებს აეთვისებინათ აღმოსავლეთ აფრიკის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. იემენიდან და ჰადრამავთიდან გადასახლებულმა კოლონიზებმა მტკიცედ მოკიდეს ფეხი წითელი ზღვის დასავლეთით დღევანდელი ეთიოპიის ტერიტორიაზე, სადაც საფუძველი ჩაუყარეს ე.წ. „აქსუმის სამეფოს“, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიმიარის სახელმწიფოს ისტორიაში. ეთიოპიის (აბისინიის) ქრისტიანული სამეფოს გაძლიერებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა სამხრეთ არაბეთშიც: ჰიმიართა დროს მონოფიზიტურმა ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა ჩრდილოეთ იემენში, კერძოდ

ნაჯრანში, სადაც გადიოდა სავაჭრო გზა ჩრდილოეთიდან (ჰიჯაზიდან) და აღმოსავლეთიდან (დამამადან). რელიგიურ ვითარებას ართულებდა ისიც, რომ უკვე II-III საუკუნეებში სამხრეთ არაბეთში გავრცელდა იუდაიზმი, რომელიც აქ ებრაელმა ვაჭრებმა შემოიტანეს. VI ს. დამდეგს ჰიმიართა მეფემ **ზუ ნუ-ფსმა (აჟსუფ აშარმა)** და მმართველმა ელიტამ იუდაიზმი მიიღეს, რაც ქრისტიანულ ეთიოპიასთან საბოლოო გამოიჯენას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ 517 წ. ეთიოპელებმა სცადეს ჰიმიართა მეფის დამხობა ძალის გამოყენებით, მაგრამ მარცხი განიცადეს. მას შემდეგ, რაც სამეფო კარმა პოლიტიკური ორიენტაცია სასანიანთა ირანზე აიღო, ქრისტიანთა მდგომარეობა სამხრეთ არაბეთში გაუარესდა. მართალია, ქრისტიანობის გავრცელება ამ რეგიონში ხდებოდა სირიიდანაც, მაგრამ ეთიოპია, რომლის უკან ბიზანტია იდგა, იემენელი ქრისტიანების მთავარ მფარველად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, მათი ყოველი დისკრიმინაცია ან დევნა, მაგალითად, ნაჯრანის ქრისტიანთა დარბევა 523 წლის შემოდგომაზე, ეთიოპელებს სამხრეთ არაბეთის საქმეებში ჩარევის საბაბს აძლევდა.

525 წელს (ზოგიერთი ცნობით 531 წლამდე რამდენიმე წლით ადრე) ბიზანტიის წაქეზებითა და მხარდაჭერით **ეთიოპელებმა დაიკავეს სამხრეთ არაბეთი**. 534-535 წლებში ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გახდა ეთიოპი სარდალი **აბრაჰა (აბრაჰა ალ-აშრამი)**, რომელსაც მიეწერება მა'რიბის წყალსაცავის აღდგენა. აბრაჰა აგრძელებდა ჰიმიართა მეფეების ტრადიციას და ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას ჩრდილოეთით. ყურანის 105-ე სურაში მოტანილი ცნობა აბრაჰას მიერ მექის წინააღმდეგ ორგანიზებული ლაშქრობის შესახებ, მეკლევართა აზრით, ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვინაიდან ისიც, ისევე როგორც ჰიმიართა მეფეები, დაინტერესებული იყო ჩრდილოეთისკენ მიმავალ სავაჭრო მაგისტრალზე სრული კონტროლის დაწესებით. აბრაჰა ფაქტობრივად დამოუკიდებლად მართავდა სამხრეთ არაბეთს და მისი წინამორბედების მსგავსად ატარებდა ტიტულს – „საბას და ზუ-რადანის, ჰადრამავთის და იემენის, მისი ტაფობებისა და ხეობების არაბთა მეფე“.

570 წელს მა'რიბის წყალსაცავის მესამედ დანგრევის შემდეგ სამხრეთ არაბეთის სამეურნეო ცხოვრება საგრძნობლად დაქვეითდა. ამავე დროს გაძლიერდა ბედუინთა ტომების მიგრაცია ჩრდილოეთიდან. სამეფო კარის ერთ-ერთი წარმომადგენელი საეფ იბნ ზნ-აზანი ლახმიანთა შუამავლობით ეახლა ხოსრო ანუშირვანს კტესიფონში და დახმარება სთხოვა. საპასუხოდ, სპარსელების ჯარმა ვაჰრაზის მეთაურობით იემენი დაიკავა. ფიქრობენ, რომ საბოლოოდ **სამხრეთ არაბეთის გათავისუფლება ეთიოპელებისგან მოხდა 576-577 წლებში**, რის შემდეგაც სპარსელები ერთხანს იემენელებთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ მალე მთელი ძალაუფლება მათი სატრაპის (მარზბანის) ხელში გადავიდა. სამხრეთ არაბეთში ჩასახლებული სპარსელები უკვე მოციქულ მუჰამედის დროს გამუსლიმდნენ და აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სახელი „ჰიმიართა“ შემორჩა მხოლოდ ერთ ნაკლებად ცნობილ არაბულ ტომს ქალაქ ადენის აღმოსავლეთით¹³.

ამგვარად, ისლამის წარმოშობის წინ სამხრეთ არაბეთისთვის დამახასიათებელი იყო უცხოური, კერძოდ სპარსული ელემენტის არსებობა, შინა-ტომობრივი კონფლიქტები და ბედუინთა მოძალეობა ჩრდილოეთიდან.

3. არაბული ტომები არაბეთის ნახევარკუნძულის ვარეთ (ნაბატეანთა, პალმირას, ტასანანთა, ტახშიანთა სამეფოები)

ჯაჰილიის პერიოდში არაბული ტომების მიგრაცია ხდებოდა ნახევარკუნძულიდან წინა აზიის და შუამდინარეთის მიმართულებით. ჩრდილო არაბეთის ტომები, ე.ი. კაისიტები გადადიოდნენ დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, ხოლო სამხრეთარაბული ტომები (ბანუ ქალბ), რომელთაც ზოგჯერ იემენელებსაც უწოდებდნენ, სირიაში დამკვიდრდნენ. ნახევარკუნძულიდან გასული არაბები უპირველეს ყოვლისა სირიულ-არამეული ცივილიზაციის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ და ჩართული იყვნენ იმ პროცესებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ვრცელ რეგიონში.

ყველაზე ძველი სახელმწიფო, რომელიც არაბული წარმოშობის ტომებმა შექმნეს წინა აზიაში ისლამამდელ ეპოქაში იყო **ნაბატეანთა (ნაბატ, ნაბრტ, ნაბატინ, მრ. ანბატ)** სამეფო.¹⁴ იგი არსებობდა ძვ.წ.ა. პირველ ათასწლეულში და მოიცავდა არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს და სამხრეთ პალესტინას. არაბული ტომები აქ გადმოსახლებულან ძვ.წ.ა. VI ს. დამდეგს. ნაბატეანთა ეპიგრაფიკული ძეგლები მეტად მცირეერიცხოვანია, ხოლო ბერძნულ-რომაულ ნარატიულ წყაროებში დაცული ცნობების ლაკონიური ხასიათი არ გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ ამ სახელმწიფოს სრული ისტორია. დღეისთვის ცნობილია, რომ ნაბატეანთა სამეფო ადრინდელი არაბული მონათმფლობელური სახელმწიფო იყო და არსებობდა ძირითადად სატრანზიტო ვაჭრობის წყალობით. აქ გადიოდა საქარავნო გზები სამხრეთ არაბეთიდან სირია-პალესტინის და ძველი ბაბილონის მიმართულებით. დედაქალაქი იყო **პეტრა** (ძვ. ბერძნ., „კლდე“) დღევანდელი ვანდ მუსას ტერიტორიაზე იორდანიაში, ‘ამანის სამხრეთით, რომლის ნანგრევებიც აღმოაჩინა **ი. ლ. ბურჰარდტმა 1812 წელს**. ამ სახელმწიფოში გავრცელებული იყო არამეული ენა და კულტურა.¹⁵

ნაბატეანთა უკანასკნელ მეფედ ითვლება **რაბაილ II (71-106)**, რომლის მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი. ფიქრობენ, რომ მან სამეფო რეზიდენცია სამხრეთ სირიის ქალაქ ბუსრაში (ბოსრა ან ბოსტრა) გადაიტანა. 106 წელს იმპერატორ ტრაიანეს დროს რომაელებმა ნაბატეანთა სახელმწიფო თავიანთ „არაბეთის პროვინციას“ შეუერთეს. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ არაბები სირიულ ქრისტიანებსაც ნაბატეანებს უწოდებდნენ.

ძვ.წ.ა. პირველ ათასწლეულში სირიის უდაბნოს ოაზისში (დღ. ჰიმსის აღმოსავლეთით) არაბული წარმომავლობის ტომებმა შექმნეს კიდევ ერთი სამეფო, რომელიც ცნობილია **პალმირას (არაბ. თადმურ)** სახელწოდებით. ჩვ.წ.ა. II-III საუკუნეებში იგი ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ მისმა მეფემ **ოდენატ II-მ** რომისგან მიიღო „აღმოსავლეთის მბრძანებლის“ ტიტული. მიუხედავად ამისა, იმპერიის დედაქალაქში ეჭვის თვალით უყურებდნენ პალმირას გაძლიერებას, ვინაიდან ამ უდაბნოს სახელმწიფოს შეეძლო თავისი კონტროლი დაეწესებინა დამასკოდან ეფფრატისა და კტესიფონისკენ მიმავალ გზაზე, რასაც სპარსეთთან მეტოქეობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მას შემდეგ, რაც ოდენატი და მისი ვაჟი მოკლეს (267 ან 268 წ.), ალბათ, რომიდან მიღებული

ბრძანებით, ძალაუფლება ხელში აიღო ოდენატის ქვრივმა, ენერგიულმა და ამბიციურმა **ზენობიამ (ზადნაბ)**, რომელმაც რომისგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება გადაწყვიტა და თავი „ადმოსავლეთის დედოფლად“ გამოაცხადა. მან შეძლო გაეფართოებინა სახელმწიფოს საზღვრები მცირე აზიაში (დღ. ანკარამდე) და თავისი ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინა რომის უდიდესი პროვინცია ეგვიპტე, რასაც იმპერატორ ავრელიანეს (214/215-275) დამსჯელი ექსპედიცია მოჰყვა. რომაელებმა შეძლეს ზენობიას ჯარის დამარცხება ანტიოქიასთან და ჰიმსთან, რის შემდეგაც 272 წლის გაზაფხულზე პალმირაში შეიჭრნენ. ზენობიამ სცადა გაქცევა, მაგრამ რომაელებმა დაატყვევეს და იმპერიის დედაქალაქში წაიყვანეს. მალე იმპერატორმა მიიღო ცნობა პალმირაში დაწყებული აჯანყების შესახებ. ავრელიანე მეორედ შეიჭრა ზენობიას დედაქალაქში და საბოლოოდ დაანგრია იგი. ამის შემდეგ სირიის უდაბნოს ამ ბრწყინვალე ქალაქის აღდგენა აღარ მომხდარა.

პალმირას ცივილიზაცია აერთიანებდა ბერძნული, სირიული და სპარსული კულტურის ელემენტებს, ხოლო ენა წარმოადგენდა დასავლური არამეულის დიალექტს, რომელიც არაბული ლექსიკის ელემენტებსაც შეიცავდა. არაბეთის გავლენა იგრძნობოდა პალმირელების რელიგიურ წარმოდგენებშიც.

III საუკუნის მიწურულს, მა'რიბის ცნობილი წყალსაცავის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, სამხრეთ არაბეთის ერთ-ერთი ძველი **დასანიანთა ტომი (ბანუ დასან)** გადასახლდა სირიაში – ჰავრანის და ალ-ბალკას (ალ-ბალკა) რაიონში. მათი სამეფოს დედაქალაქი გახდა ჯაბია (ჯაბია) დამასკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჯუვლანზე (გოლანზე). დასანიანებმა აითვისეს არამეული ენა და კულტურა, მაგრამ თავისი ენაც შეინარჩუნეს. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ისინი აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში ბიზანტიის მხარეზე სასანიანთა ირანის წინააღმდეგ. სარწმუნო ცნობების მიხედვით, დასანიანთა ხელთ ყოფილა 60-დე გამაგრებული ქალაქი, მათ შორის სამხრეთ სირიის უძველესი ქალაქი ბუსრა. არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩენილია დასანიანთა დროინდელი ძეგლები საბაელთა ენაზე შესრულებული წარწერებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბერძნულ-რომაული პერიოდის ნიმუშებისაგან.

დასანიანებმა, ისევე როგორც მათმა მეტოქე ლახმიანებმა (ერაყში), განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწიეს VI საუკუნეში. იმ წარმატებისთვის, რომელიც დასანიანთა მეფემ **ალ-ჰარის II-მ (529-569)** მოიპოვა, იმპერატორმა იუსტინიანემ იგი დანიშნა სირიის ყველა არაბული ტომების მბრძანებლად და უბოძა მას პატრიციუსის და ფილარხის ტიტული. მართალია, 544 წელს ლახმიანთა მეფემ ალ-მუნზირ III-მ იგი დაამარცხა, მაგრამ ათი წლის შემდეგ ჩრდილოეთ სირიაში, **კინნასრინთან (ჰალეების სამხრეთით)** მომხდარ დიდ ბრძოლაში დასანიანთა ბელადმა რევანში აიღო და მოკლა თავისი მეტოქე არაბული წარმომავლობის ორი სამეფოს დაპირისპირების ეს ეპიზოდი ცნობილი გახდა „ჰალემას დღის“ სახელით, რადგანაც არაბთა შორის გავრცელებული გადმოცემით, ალ-ჰარის II-ის ქალიშვილმა ჰალემამ სპეციალური ნელსაცხებელი გადაავლო ასამდე გამორჩეულ მეომარს და თეთრი მოსასხამები დაურიგა, რამაც განსაკუთრებული ენთუზიაზმი და ძალა შესძინა მათ. 563

წელს ალ-ჰარის II ესტუმრა იმპერატორ იუსტინიანეს კონსტანტინოპოლში, სადაც „ბედუნთა ფილარხს“ წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია.

ალ-ჰარის II-მ განსაკუთრებული როლი შეასრულა სირიაში მონოფიზიტური ქრისტიანობის განმტკიცებაში. სწორედ მის დროს მოხდა ედესელი მონოფიზიტი ეპისკოპოსის **იაკობის (დაკუბ)** კურთხევა (გარდ. 587 წ.), რის შემდეგაც **სირიის მონოფიზიტურ ეკლესიას იაკობიტური ეწოდა**. ალ-ჰარისის შვილი **ალ-მუნზირ იბნ ალ-ჰარისი (569-582)** ასევე წარმატებით ებრძოდა თავის ერაყელ მეტოქეებს და 580 წელს დროებით მათი დედაქალაქი **ალ-ჰირაც** დაიკავა, მაგრამ დასანიანთა მეტისმეტი გაძლიერება არ აწყობდა ბიზანტიას. განსაკუთრებულ შემფოთებას კონსტანტინოპოლში იწვევდა სირიაში მონოფიზიტობის გავრცელება, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ალ-ჰარის II-ის მემკვიდრეების მუნზირის და ნუშნის დასჯა. ამავე დროს, დასანიანთა სახელმწიფო დაახუსტა ცენტრიდანული ძალების გააქტიურებამ და შინაგანმა ანარაქიამ. 613-614 წლებში ირანის შაჰმა ხოსრო II-მ ბიზანტიასთან ომში წარმატებას მიაღწია და სირიაც დაიკავა, მაგრამ **ჰერაკლე კეისარმა (610-641) 625 წელს შეძლო ირანელების განდევნა**. როდის აღსდგა დასანიანთა სამეფო არ ვიცით, თუმცა ცნობილია, რომ არაბთა დაპყრობების წინ იგი ბიზანტიის სატელიტს წარმოადგენდა. დასანიანთა ბედი გაიზიარა მათმა მეტოქემ, ლახმიანთა სამეფომაც, რომელიც დასანიანთა ირანის ორბიტაში რჩებოდა.

არაბეთის ნახევარკუნძულიდან ტომების მიგრაცია ხდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებითაც. მაგალითად, III საუკუნის დამდეგს სამხრეთარაბული წარმომავლობის ტომებმა, რომელთაც **თანუხთა** სახელწოდებით იცნობდნენ, დაიკავეს ვრცელი ტერიტორია ეფრატის დასავლეთით. მათი ერთი ნაწილი ლიბანში გადავიდა, სადაც უფრო გვიან დრუზებს შეუერთდა, ხოლო მეორემ სამეფო შექმნა დღევანდელ ერაყში დედაქალაქით **ალ-ჰირაში (ალ-ჰირა, სირიული სიტყვისგან „hirtā“ – ბანაკი, დღ. ქალაქ ქუფის სამხრეთით)**. დინასტიის ფუძემდებლად ითვლება **ადრ იბნ ნასრ იბნ რაბი'ა იბნ ლახმი**, თავად სახელმწიფო კი ცნობილია **ლახმიანთა სამეფოს** სახელწოდებით. განსაკუთრებულ წარმატებას ამ სამეფომ მიაღწია VI საუკუნეში მეფე **მუნზირ III-ის (მუნზირ იბნ ნუშნ, 503-554)** ხანგრძლივი გამგებლობის დროს. ნესტორიანობის¹⁶ გავრცელებას და მეფის გაქრისტიანებას ხელი არ შეუშლია ლახმიანთა ურთიერთობისათვის ნახევარკუნძულის არაბებთან. იგივე შეიძლება ითქვას დასანიანთა სამეფოზეც. ჯაჰილიის პერიოდის ცნობილი პოეტები **ან-ნაბილა აზ-ზუბაიანი (დაახლ. 535-604-10), ლაბიდ იბნ რაბი'ა (გარდ. 657 ან 660/661 წ.) და ჰასან იბნ საბითი** (გარდ. წ. უცნობია), ხაზრაჯის ტომიდან, ლახმიანთა და დასანიანთა კარზე მოღვაწეობდნენ. სალაპარაკო ენა ალ-ჰირაში იყო არაბული, მაგრამ ისევე, როგორც წინა აზიის არაბული წარმომავლობის სხვა სამეფოებში, აქაც სამწერლობო ენის ფუნქციას სირიული ასრულებდა. წიგნიერებისა და კულტურის გავრცელების თვალსაზრისით, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, არაბეთის ნახევარკუნძულზე განსაკუთრებული დამსახურება ერაყელ არაბებს მიუძღვის. შესაძლებელია, ნაჯრანშიც ქრისტიანობამ სწორედ ალ-ჰირას სირიული ეკლესიის საშუალებით შეაღწია. ამავე გზით არაბეთის ნახევარკუნძულზე გზას იკაფავდა სპარსული კულტურა, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ერაყზე, რომელიც VI საუკუნის

მიწურულს მეფე **ნუშან III-ის (580-602)** შემდეგ მთლიანად ირანს დაექვემდებარა.

დასანიანთა და ლახმიანთა სამეფოები ბიზანტიისა და ირანისთვის ბუფერულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, პირველ რიგში, არაბეთის ნახევარკუნძულზე მომთაბარე არაბული ტომების მიმართ. ორ სამეფოს შორის დაპირისპირებას და კონფლიქტებს კარგად იყენებდა ორი მეტოქე მხარე – ბიზანტია და სასანიანთა ირანი. მაშინ, როცა დასანიანები დამოკიდებული იყვნენ ბიზანტიაზე, ხოლო ლახმიანები ირანზე, ე.წ. **ქინდას სამეფო**, რომელიც ცენტრალურ და ჩრდილოეთ არაბეთში წარმოიშვა, სამხრეთ არაბეთთან იყო დაკავშირებული. **ბანუ ქინდა** წარმომავლობით ჰადრამავთის დასავლეთით მდებარე რეგიონს ეკუთვნოდა. ადრეულ სამხრეთარაბულ წარწერებში მის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ცნობილია, რომ უფრო გვიან (V-VI სს.) ჰიმიართა მეფეების ხელშეწყობით ქინდამ ფეხი მოიკიდა ცენტრალურ და ჩრდილოეთ არაბეთში, სათავეში ჩაუდგა ტომთა გაერთიანებას ან „ტომთა კონფედერაციას“ და უმაღლეს ავტორიტეტად აღიარა ვინმე **ნქილ ალ-მურარი (ჰუჯრი)**, რომელიც ზოგიერთი ცნობით, ჰიმირიელთა მეფის ნახევარძმა იყო და მისი მფარველობით სარგებლობდა. მისმა მემკვიდრემ **ამრმა** და შვილიშვილმა **ჰარისმა** კიდევ უფრო გააძლიერეს ქინდას გავლენა. ისარგებლა რა ირანში წარმოქმნილი გართულებებით, VI საუკუნის პირველ მეოთხედში **ჰარისმა** ლახმიანთა დედაქალაქი ალ-ჰირაც კი დაიკავა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მარცხი განიცადა და მოკლულ იქნა (დაახლ. 528 წ.). მის შვილებს შორის დაიწყო გაუთავებელი შეტაკებები, რასაც VI ს. მეორე ნახევარში ამ სამეფოს დაშლა მოჰყვა. ტომის გადარჩენილი ნაწილი ისევ ჰადრამავთში დაბრუნდა.

ქინდას სამეფოს შექმნა შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთი ხელისუფლების ქვეშ არაბული ტომების გაერთიანების ცდა, რომელიც მარცხით დამთავრდა, მაგრამ თავისი კვალი დატოვა არაბთა ცნობიერებაში. ამ სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო ჯაჰილიის პერიოდის გამორჩენილი პოეტი **იმრუ' ალ-კაჰს-ი**, რომლის მუშაღლაკა ისლამამდელი არაბული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. იმრუ' ალ-კაჰსმა სცადა ბიზანტიის დახმარებით აღედგინა დაშლილი სამეფო, მაგრამ უშედეგოდ. ქინდას რამდენიმე წარმომადგენელმა სახელი გაითქვა ისლამის მიღების შემდეგაც. მათ შორის იყო ცნობილი სარდალი ჰადრამავთიდან **ალ-აშას იბნ კაჰს-ი**, რომელიც მონაწილეობდა სირიისა და ერაყის დაპყრობაში, მის შთამომავლებს კი მაღალი თანამდებობა ეკავათ უმაიანთა სახალიფოში. დიდი არაბი ფილოსოფოსი **ალ-ქინდიც** ამ ტომს ეკუთვნოდა.

არაბეთის ნახევარკუნძულს გარეთ დამკვიდრებულმა არაბულმა ტომებმა (სირია-პალესტინა, ერაყი) განიცადეს დიდი სირიულ-არამეული კულტურის გავლენა, თუმცა მათ საბოლოოდ მაინც არ გაუწყვეტიათ კავშირი არაბეთის ნახევარკუნძულთან. თავისთავად ცხადია, რომ არაბული ენა (ე.ი. ჩრდილო-არაბული), რომელიც სამხრეთ-არაბულთან და ეთიოპურთან ერთად სემიტური ენების სამხრეთ-დასავლურ შტოს ეკუთვნის, არაბთა ურთიერთობის საშუალებად დარჩა, ხოლო არაბული დამწერლობა ჩამოყალიბდა იმ არამეული დამწერლობის საფუძველზე, რომელიც ნაბატეურის და ნეოსინურის სახელწოდებითაა ცნობილი. არაბეთის ნახევარკუნძულზე ამ დამწერლობის გავრ-

ცელების პროცესს ძნელია თვალი გაავადვენოთ, მაგრამ, როგრც ჩანს, მოციქულ მუჰამედის დროს, ე.ი. VII ს. დამდეგს არაბებს უკვე ათვისებული ჰქონდათ იგი (**გ. წერეთელი**).

ამგვარად, ჯაჰილიის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძული არ ყოფილა იზოლირებული გარესამყაროსაგან. არაბებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესუსტება, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ არაბეთში ეთიოპიისა და ირანის დამკვიდრების შემდეგ, ორი დიდი სახელმწიფოს – სასანიანთა ირანის და ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება, ტომობრივი დაპირისპირება, ფართოდ გავრცელებული მევახშეობა და სოციალური დაძაბულობის ზრდა ჰიჯაზში ქმნიდა იმ ფონს, რომელიც წინ უძღოდა ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის წარმოქმნას.

თხზი II

მექის ადგილი ჯაჭილიის პერიოდის არაბთა უხორცეობაში და ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის წარმოქმნა

1. მექის გვაროვნული არისტოკრატია და მუჰამედის სამოციქულო მისია

მთავარი ქალაქი, რომელიც წარმოადგენდა არა მარტო ჰიჯაზის, არამედ მთელი ჩრდილოეთი და ცენტრალური არაბეთის რელიგიურ და სავაჭრო ცენტრს, იყო მექა (მაქქა). შესაძლებელია, იგი წარმოიშვა როგორც ქარავნების შესასვენებელი ადგილი ზამზამის ჭის¹⁷ მახლობლად. ზოგიერთ მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია მექის იდენტურობა ბერძნულ წყაროებში ნახსენებ მაკორაბასთან. ქალაქის ცენტრს და მის უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს წარმართობის დროინდელი ტაძარი ქააბა (ქა'ბა) რომელიც, როგორც არაბები თვლიდნენ, აუშენებიათ ბიბლიურ აბრაამს (იბრაჰიმ) და მის შვილს ისმა'ილს (ისმ'ილ). ქააბაში თავმოყრილი 360 ფეტიშიდან ერთ-ერთი – შავი ქვა (ალ-ჰაჯარ ალ-ასვად) დღემდე ამშვენებს ტაძრის აღმოსავლეთის კუთხეს და მუსლიმთა თაყვანისცემის საგანია. წარმართ არაბებებს ჰქონდათ სხვა ტაძრებიც, რომელთაც ასევე ქააბას უწოდებდნენ, მაგრამ მათ შორის მექის ქააბა უპირველესად ითვლებოდა. კერპების ერთი ნაწილი საერთო იყო, მაგრამ ცალკეულ ტომს ან გვარს შეიძლება თავისი კერპი ჰყოლოდა.

მექის რელიგიური სტატუსი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის სავაჭრო საქმიანობასთან. მექელები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში, რაც ქალაქში ბედუინებსაც იზიდავდა. ყოველ წელს აქიდან სულ ცოტა ორი დიდი ქარავანი მაინც გადიოდა, ერთი ჩრდილოეთის (სირია-პალესტინის) მიმართულებით, ხოლო მეორე სამხრეთისაკენ (იემენი). ამ ვაჭრობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა კურაიშის (ბანუ კურაიშ) ტომის ერთ-ერთი უმაიას გვარი (ბანუ უმაიდა). სულ ცნობილია ათამდე გვარი, რომელიც მექის გვაროვნულ არისტოკრატიას ქმნიდა. კურაიშის ტომი, რომელსაც სათავეში ედგა ლეგენდარული ბელადი კუსაი (კუსაიდ) მექაში დასახლებულა ისლამის გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე. ტომის ბელადის სახლი, რომელიც ქააბას ტაძრის მახლობლად იდგა, უხუცესთა საბჭოს შეკრების ადგილად („დარ ან-ნადვა“) ითვლებოდა. მოციქულ მუჰამედის გვარის, ე. ი. ჰაშიმიანთა (ბანუ ჰაშიმ) წარმომავლობა უკავშირდება კუსაის შვილიშვილის ჰაშიმ იბნ 'აბდ მანაფის სახელს.

ვაჭრობისათვის განკუთვნილ დროს, ტრადიციით იკრძალებოდა ყოველგვარი კონფლიქტები და სამხედრო შეტაკებები, რაც უაღრესად ხელ-

საყრელი იყო არა მარტო ჰიჯაზისათვის, არამედ მთელი არაბეთის ნახევარკუნძულისთვის. ისლამის პირველი მიმდევრები და თავად მოციქულიც ვაჭართა წრეს ეკუთვნოდნენ. ვაჭრობასთან ერთად მექაში დიდი გაქანება მიიღო მევახშეობამ, (რიბჰ), რაც, თავისთავად, აძლიერებდა სოციალურ დიფერენციაციას და შინაგან წინააღმდეგობებს. უმაიანთა გვარის წარმომადგენლები სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით: მათ ხელში იყო ქარავნების ორგანიზება და წარმართული ტაძრის ქააბას ზედამხედველობა. შეძლებული მექელი ვაჭრები ფულთან ერთად ფლობდნენ ჯოგებს, მონებს ('აბდ, მრ. 'იბდ) და ზოგჯერ დამუშავებულ მიწებსაც ჩრდილოეთ ჰიჯაზში. მართალია, ისლამამდელ მექას არ ჰქონდა თავისი ფულადი ერთეული და ბრუნვაში იყო ბიზანტიური, სასანური ან სამხრეთარაბული მონეტები, მაგრამ ეს არ აფერხებდა სავაჭრო საქმიანობას და ჩრდილს არ აყენებდა მექელი ვაჭრების რეპუტაციას. მკვლევართა მიერ ამ ბოლო დროს გამოთქმული ვარაუდით, წინაისლამური მექის მოსახლეობა 7 ათსს არ აღემატებოდა.

მექასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰიჯაზის მეორე დასახლებული პუნქტი ტაიფი (ტა'იფ), რომლის მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობდა მექის ვაჭრობაში და ამარაგებდა ქალაქს ხილითა და ბოსტნეულით. ტა'იფი ითვლებოდა მდიდარი მექელების სააგარაკო ადგილად. მექიდან 350 კმ. მანძილზე ჩრდილოეთით, იასრიბის ოაზისში შესაძლებელი იყო მიწათმოქმედება. ეს ტერიტორია ეკავა ნადირის, კურაიზას და კაინუკას (ბანჰ ნადირ, ბანჰ კურაიზა, კაინუკა) ებრაულ ან შესაძლებელია, იუდაიზმზე მოქცეულ არაბულ ტომებს. მათ გვერდით მოსახლეობდა ავისის და ხაზრაჯის ორი არაბული ტომი, რომელთა შორის არსებობდა წინააღმდეგობები. იუდაიზმის გარდა, ამ რაიონში კარგად იცნობდნენ ქრისტიანობასაც. იასრიბელი არაბები მტრულად იყვნენ განწყობილი მექის გვაროვნული ზედაფენის – მდიდარი ვაჭრების მიმართ, თუმცა მექელებს, მათ შორის მოციქულის ოჯახსაც, მათთან ნათესაობა აკავშირებდა.

ისლამის ფუძემდებელი **მუჰამედი (მუჰამად იბნ 'აბდ ალლჰ)** დაიბადა მექაში 570 წელს ღარიბი ვაჭრის ოჯახში და ეკუთვნოდა ჰაშიმიანთა გვარს. მშობლების ადრე გარდაცვალების გამო მისი აღზრდა ითავა ჯერ ბაბუამ 'აბდ ალ-მუტტალიბმა, ხოლო შემდეგ ბიძამ აბუ ტალიბმა. მცირეწლოვანი მუჰამედი თხების ფარას აძოვებდა მექის გარეუბანში, ხოლო უფრო გვიან ქალაქის სავაჭრო საქმიანობაში ჩაება. მდიდარი მექელი ქვრივის **ხადიჯას (ხადიჯა ბინთ ხუვალიდ)** ცოლად შერთვის შემდეგ მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ წვრილი და საშუალო ვაჭრების შეხედულებები და ინტერესები მისთვის კვლავ ახლობელი დარჩა. სავაჭრო მოგზაურობის დროს სირიაში მას საშუალება ჰქონდა ახლო გასცნობოდა ქრისტიანობას, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მუჰამედის მისიონერულ მოღვაწეობას ბიძგი მისცა არაბი მონოთეისტების – **ჰანიფების**¹⁸ მოძრაობამ. უფრო გვიან მუსლიმთა შორის გავრცელდა ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს აბუ ტალიბთან ერთად სირიაში ყოფნისას ქრისტიანმა ბერმა ბაჰირამ¹⁹ 12 წლის მუჰამედში ამოიცნო მომავალი მოციქული. **610 წელს 40 წლის ასაკში მუჰამედმა თავი გამოაცხადა ერთადერთი ღმერთის ალლაჰის მოციქულად (რასულ ალლჰ), მოუწოდა მექელებს უარყოფთ მცდარი წარმართული შესხედულებები და ელიარებინათ „ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია – ისლამი“.**

მეკელი ვაჭრებისათვის, რომელთა სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ისევ წარმართულ ტრადიციას უკავშირდებოდა, ისლამი მიუღებელი აღმოჩნდა. მოციქულის ქადაგება ხშირად მდიდარი ვაჭრების, მევახშეების და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც თანაგრძნობით ხვდებოდნენ დაბალი ფენების წარმომადგენლები, თუმცა ახალი რელიგიის არსი მათთვის დიდხანს გაუგებარი რჩებოდა. ისლამის პირველ მიმდევართა შორის იყვნენ მოციქულის ცოლი ხადიჯა (რომელთანაც მას შეეძინა ქალიშვილები ზაინაბი, რუკაია, უმმ ქულსუმი და ფატიმა), ბიძაშვილი ‘ალი და მისი ძმა ჯა‘ფარი, ავტორიტეტული მეკელი ვაჭრები აბუ ბაქრი, ‘უმარი, ‘უსმანი, აზ-ზუბაირი, ტალჰა, მუჰამედის ბიძა ჰამზა, მონა ზაიდი და კიდევ რამდენიმე ათეული სხვა მეკელი. მიუხედავად ამისა, მოციქულის მისიონერული საქმიანობა მექაში არ შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. **613 წელს ქალაქის გარეუბანში მოხდა შეტაკება მუსლიმებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის: მოციქულის მიმდევარმა სა’დ იბნ აბნ ვაკკასმა დაჭრა ერთ-ერთი მეკელი, რაც ისლამისათვის ბრძოლაში სისხლის დაღვრის პირველ შემთხვევადაა მიჩნეული.** ამის შემდეგ ახლად მოქცეულ მუსლიმთა თავშეყრის ადგილი გახდა მოციქულის ერთ-ერთი ახალგაზრდა მიმდევრის სახლი.

619 წელს გარდაიცვალა მოციქულის ბიძა და მფარველი აბუ ტალიბი. ჰა-შიმიანთა გვარს სათავეში ჩაუდგა მისი ძმა ‘აბდ ალ-‘უზუა (აბუ ლაჰაბ)²⁰, რომლის შეილებსაც ცოლად ჰყავდათ მუჰამედის ქალიშვილები რუკაია და უმმ ქულსუმი. გვარის ახალი წინამძღოლი და მისი ცოლი უმმ ჯამილ-ი მოციქულისა და ახალი რელიგიის სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ, რისთვისაც მუჰამედმა დაწყევლა ისინი. ვინაიდან მეკელი ვაჭრების გულგრილი დამოკიდებულება მონოთეისტური რელიგიისადმი თანდათან აშკარად მტრულ განწყობილებაში გადაიზარდა, მოციქულმა სცადა თავი შეეფარებინა მეზობელი ტა’იფისათვის, მაგრამ მუსლიმური თემის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რადგანაც მეკელებმა მას აშკარა ბოიკოტი გამოუცხადეს. ამან აიძულა მოციქული მორწმუნეთა ორი ჯგუფი (მათ შორის ‘უსმანიც) დროებით ეთიოპიაში გაეხიზნა და მოლაპარაკება დაეწყო იასრიბელ არაბებთან. მუსლიმი ავტორების ცნობით, მოციქული ორჯერ შეხვდა მათ წარმომადგენლებს მექის გარეუბანში ‘აკაბაში და მიიღო მხარდაჭერისა და თანადგომის პირობა. ამ შეთანხმების საფუძველზე, 622 წლის შემოდგომაზე მუჰამედმა აბუ ბაქრთან და ორ მსახურთან ერთად ფარულად დატოვა მექა და გაემართა იასრიბისკენ. **ყველაზე სარწმუნო ცნობებით მოციქული და მისი მსლებლები იასრიბში შევიდნენ 622 წლის 24 სექტემბერს (12 რაბი’ ალ-ავეალ-ი).** ამიერიდან იასრიბი გახდა წინასწარმეტყველის ქალაქი (მადინათ ან-ნაბი) ან უბრალოდ მედინა. ეს გადასახლება ცნობილია, როგორც ჰიჯრა და მას უკავშირდება მუსლიმური ანუ ჰიჯრის წელთაღრიცხვა. მოციქულის მეკელ მიმდევრებს, რომელთა დიდი ნაწილი ასევე იასრიბში გადავიდა, მუჰაჯირებს (მუჰაჯირ, მრ. მუჰაჯირუნ), ხოლო მათ მედინელ თანამოაზრეებს ანსარებს (ანსირ, მრ. ანსარ) უწოდებდნენ.

2. მუჰამედის მოღვაწეობა მედინაში და პირველი ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნა

მედინაში დაიწყო მუჰამედის მოღვაწეობის მეორე და რაც მთავარია ნაყოფიერი პერიოდი. შეიქმნა მუსლიმური თემი (უმმათ ალლჰ), რომელიც აერთიანებდა მუჰაჯირებსა და ანსარებს, ე. ი. მექელ და მედინელ მორწმუნეებს. მუჰამედი სათავეში ჩაუდგა მუსლიმურ თემს არა მარტო როგორც მისიონერი, არამედ როგორც უმაღლესი მოსამართლე, პოლიტიკური მეთაური და სარდალი. მან შექმნა მედინის არაბული ტომების გაერთიანება თავისი მონოთეისტური მოძღვრების საფუძველზე, რომელიც ახალი მოვლენა იყო არაბთა ცხოვრებაში. მას შემდეგ რაც ნათელი გახდა, რომ მედინის მუსლიმური თემის ხელთ არსებული მატერიალური რესურსები საკმარისი არ იქნებოდა მისი არსებობისთვის, მოციქულმა თავალი მიაპყრო მეზობელ იუდეველთა ტომებს, რომლებიც სამეურნეო საქმიანობისა და ცხოვრების დონით საგრძნობლად სჯობნიდნენ არაბებს. იუდეველთა უარი ისლამის მიღებაზე და მუსლიმთა ყოფითი ინტერესები საკმარისი აღმოჩნდა მედინის ოაზისიდან ბანუ კაინუკას და ბანუ ნადერის გაძევებისთვის. ამის შემდეგ მოციქულს საშუალება მიეცა ყურადღება მექაზე გადაეტანა და თავისი მისიონერული საქმიანობისათვის შეეთავსებინა ურწმუნოებთან (წარმართებთან) იარაღით მებრძოლის ფუნქცია, რაც საღვთო ომის (ჯიჰად) დაწყებას ნიშნავდა. მედინაში თავმოყრილმა მუსლიმებმა სცადეს მოეშალათ მექის არსებობის ძირითადი საფუძველი – სატრანზიტო ვაჭრობა. ამ მიზნით გადაწყდა თავდასხმა მექის დიდ ქარავანზე, რომელიც სირიიდან ბრუნდებოდა, მაგრამ ქარავნის ნაცვლად მუსლიმებს, რომელთაც თავად მოციქული მეთაურობდა, შეტაკება მოუხდათ მექიდან გამოგზავნილ ძლიერ რაზმთან. ბრძოლა გაიმართა 624 წ. მარტში ბადრთან, 150 კილომეტრზე მედინიდან (მის სამხრეთ-დასავლეთით). მექელები რიცხოვნობით ბევრად აღემატებოდნენ მუსლიმებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. მედინელებმა დაკარგეს მხოლოდ 6 მუჰაჯირი და 9 ანსარი. ბრძოლის ველზე დაეცა მუჰამედის დაუძინებელი მტერი, მაჰზუმის გვარის წარმომადგენელი ‘ამრ იბნ ჰიშამი, რომელსაც მუჰამედმა შეარქვა „აბუ ჯაჰლ“ („უვიცობის მამა“). ბადრთან გამარჯვება ნიშნავდა მუსლიმთა დიდ წარმატებას, რამაც მუჰამედს მოუტანა ავტორიტეტი და მდიდარი ნადავლი. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ გაჩნდა „ღვთით მოვლენილი“ მითითება ნადავლის განაწილების შესახებ, რომელიც აისახა ყურანის მე-8 სურაში. ამიერიდან დადგინდა, რომ უმმას მეთაურს, ამ შემთხვევაში მუჰამედს, ეკუთვნოდა ნადავლის 1/5. ბადრთან დამარცხების შემდეგ მექელებმა გადაწყვიტეს სამაგიერო მიეზღოთ მუსლიმებისთვის. ამ მიზნით, მომდევნო 625 წლის გაზაფხულზე კურაიშიტებმა მდიდარი მექელი ვაჭრის აბუ სუფიანის (აბუ სუფიან) წინამძღოლობით დამსჯელი ლაშქრობა მოაწყვეს მედინის წინააღმდეგ და მოციქულის მიმდევრები დაამარცხეს უჰუდის მთასთან (5 კმ. მედინის ჩრდილოეთით). განსაკუთრებული წვლილი მექელების გამარჯვებაში შეიტანა ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა. შეტაკებისას დაიჭრა თავად მოციქული, ხოლო მისმა მიმდევრებმა დაკარგეს დაახლოებით 70 კაცი, მათ შორის მუჰამედის

ბიძა ჰამზა. გამარჯვებულმა მექელებმა არ განავითარეს შეტევა მედინაზე და უკან გაბრუნდნენ.

მიუხედავად მძიმე მარცხისა, მედინის მუსლიმური თემი განაგრძობდა არსებობას და ორ მხარეს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა. 627 წელს მექელებმა ალყა შემოარტყეს მედინას, მაგრამ მუსლიმებმა ყოფილი სპარსელი მონის, გამუსლიმებული სალმან იბნ ჭარისის რჩევით, ქალაქს თხრილი (ხანდაკი) შემოავლეს, რომელიც მექელებმა ვერ გადალახეს. ამგვარად, მედინის ალყა მარცხით დამთავრდა, რის შედეგადაც მუსლიმთა ავტორიტეტი და გაგლენა გაიზარდა. მუჰამედმა ბრალად დასდო მედინის ოაზისის მესამე ებრაულ ტომს ბანუ კურაიზას მექელებთან ურთიერთობა, რაც ამ ტომის მთლიანად განადგურების საბაბი გახდა.

628 წელს პილიგრიმობის, უფრო სწორად მცირე ჰაჯის (უმრას) საბაბით ალლაჰის მოციქული მიმდევრების დიდი რაზმის თანხლებით მექისაკენ გაემართა, მაგრამ მას გზა გადაუღობეს მექელებმა. **კურაიშიტების მომხრეებსა და მუსლიმებს შორის ჰუდაიბიასთან (ჰუდაიბია) გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა ათწლიანი ზავის დადებით. ამ ზავით მუჰამედმა ხელი აიღო სავაჭრო ქარავნების დარბევაზე, რის სანაცვლოდაც უფლება მიიღო მომავალ წელს თავის მიმდევრებთან ერთად ეპილიგრირა მექაში.**

ჰუდაიბიას ზავის შემდეგ ისლამმა ფეხი მოიკიდა მედინის გარეთ რიგ არაბულ ტომებში, ცალკეულ ოაზისებში და მექელებშიც კი, რომელთა შორის იყვნენ ისლამის მომავალი სარდლები **ხალიდ იბნ ალ-ვალიდი (ხალიდ იბნ ალ-ვალიდ)** და **ამრ იბნ ალ-ასი (ამრ იბნ ალ-ას)**. მას შემდეგ, რაც 629 წელს ზუ-ლ-კადას თვეში (მთვ. კალ. XI თვე) მოციქულმა მშვიდობიანად ჩაატარა უმრა, კურაიშიტები დარწმუნდნენ, რომ ახალი რელიგია უნარჩუნებდა მექას ტრადიციულ რელიგიურ სტატუსს და, მაშასადამე, სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობასაც, რის გამოც ისლამი მათთვის მისაღები გახდა. აბუ სუფიანის შემრიგებლური პოზიციისა და მუჰამედის გამუსლიმებული ბიძის აბასის მონაწილეობით მიღწეული შეთანხმების თანახმად **მუსლიმები მოციქულის წინამძღოლობით 630 წლის დამდეგს მექაში შევიდნენ.** მუჰამედმა ხელშეუხებლობის გარანტია მისცა იმ მექელებს, ვინც თავის სახლებში დარჩებოდა ან ახლადგამუსლიმებული აბუ სუფიანის სახლს შეაფარებდა თავს. დასჯილ იქნა მხოლოდ რამდენიმე ქალი და კაცი, ვისაც მოციქულის შეურაცყოფა ან სხვა მძიმე დანაშაული ედებოდა ბრალად. მექელებს გააცნეს ახალი რელიგიის ძირითადი პრინციპები და მოთხოვეს მათი აღიარება. ქაბაში თავმოყრილი კერპები, შავი ქვის გარდა, მუჰამედის მითითებით გაანადგურეს. ამით მექის წარმართული ისტორია დამთავრდა, ხოლო ახალი მონოთეისტური რელიგია საყოველთაოდ იქნა აღიარებული. მალე ისლამი მიიღეს ტა'იფმა და ნახევარკუნძულის არაბული ტომების დიდმა ნაწილმა.

630 წელს მექისა და მედინის გაერთიანებით საფუძველი ჩაეყარა პირველ ისლამურ სახელმწიფოს. მოციქულის იდეალი „ერთი ღმერთი, ერთი სარწმუნოება, ერთი ხალხი და ერთი კანონი ყველასთვის“, მიღწეულ იქნა ჰიჯაზში, თუმცა მისი გამარჯვება არ იყო სრული და საბოლოო. არაბეთის ნახევარკუნძულის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მუსლიმები აკონტროლებდნენ გაჩნდა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – გადასახადები ზაქათი და სადაკა, რომელთაც, მართალია, რელიგიური და საქველმოქმედო

ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ფისკალური სისტემის წარმოქმნაზე მიუთითებდნენ. არაბულ წყაროებში არის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მოციქულმა წერილებით მიმართა მეზობელი სახელმწიფოების – ბიზანტიისა და ირანის მონარქებს და მოსთხოვა მათ ისლამის მიღება, მაგრამ მკვლევართა მიერ ეს ფაქტი საეჭვოდაა მიჩნეული. მოციქულის დროს მუსლიმებმა სცადეს ფეხი მოეკიდათ ჩრდილოეთ ჰიჯაზში, რომელსაც ბიზანტიის სატელიტი სირიელი დახანიანები თავის ტერიტორიად თვლიდნენ. არაბთა გამომჩენა პალესტინის საზღვართან კონსტანტინოპოლის განსაკუთრებულ შემოფოთებას ჯერ კიდევ არ იწვევდა, ვინაიდან მაშინ არც ისლამს და არც მის მატარებელ უდაბნოს ტომებს იქ სერიოზულ საფრთხედ არ მიიჩნევდნენ.

632 წელს მუჰამედმა შეასრულა დიდი ჰაჯი, იპილიგრიმა მექაში ზჷ-ლ-ჰიჯჯას თვეში (მთვარის კალენდრის XII თვე) ყველა იმ რიტუალის დაცვით, რომელიც შემდეგ სავალდებულო გახდა მუსლიმებისთვის. ეს იყო მოციქულის უკანასკნელი ჩასვლა მშობლიურ ქალაქში და ცნობილია, როგორც „გამოთხოვების ჰაჯი“ („ჰიჯჯათ ალ-ვადუ“). იმავე წელს ალაჰის მოციქული გარდაიცვალა მედინაში, სადაც ძნელბედობის დროს საიმედო თავშესაფარი და მხარდაჭერა მიიღო. აქ აგებული მუჰამედის მავზოლეუმი და მეჩეთი („მასჯიდ ან-ნაბავე აშ-შარეფ“), დღესაც ქააბას შემდეგ მეორე საპილიგრიმო ადგილია მილიონობით მუსლიმისათვის.

მოციქულ მუჰამედის პიროვნების შესახებ მუსლიმ ავტორთა და დასავლელ მკვლევართა შეხედულებები განსხვავებულია, რაც ადვილად შეიძლება აიხსნას: ისლამურ სამყაროში დამკვიდრდა მოციქულის იდეალიზირებული სახე, რომელიც მისაბაძი უნდა ყოფილიყო ყველა მორწმუნისათვის. ევროპელ ისლამოლოგთა დიდი ნიწილი არასოდეს არ უარყოფდა მოციქულის ორგანიზატორულ უნარს და მიზანდასახულობას, თუმცა სამოციქულო მისიასთან დაკავშირებით ეჭვი შეჰქონდა მის გულწრფელობაში. როგორც არ უნდა იყოს ისლამოლოგთა დამოკიდებულება მუჰამედის შინაგანი მრწამსისა და მისიონერული საქმიანობისადმი, ძნელია იმის უარყოფა, რომ მისი სახით არაბთა შორის გამოჩნდა მოქნილი პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო შეეთავსებინა – თავისი იდეალი რეალურ პირობებთან, ტრადიციები ახალ მონოთეისტურ რელიგიასთან, ტომობრივი დემოკრატიზმის ელემენტები ერთ-პიროვნულ ხელისუფლებასთან და სოციალური სამართლიანობის პრინციპი თავისი მიმდევრების პირად ინტერესებთან.

თაპი III

მართლმორწმუნე ხალხი და არაბთა დიდი დაპყრობები (632-661)

1. ისლამის განმცოცება არაბეთის ნახევარკუნძულზე. ირანის, სირია-პალესტინის და ეგვიპტის დაპყრობა

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმურმა თემმა თავის მეთაურად აირჩია **აბუ ბაქრი (632-634)**, მოციქულის ძველი მიმდევარი და ნათესავი (მუჰამედს ცოლად ჰყავდა აბუ ბაქრის ქალიშვილი 'აიშა). აბუ ბაქრი და ისლამის შემდეგი მეთაურები ცნობილი გახდნენ ხალიფას სახელით (ხალფა, მრ. ხულაფა – მოადგილე), რაც, უპირველეს ყოვლისა, მოციქულის მოადგილეს ნიშნავდა. ხალიფა აერთიანებდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლებას. ყოველივე ეს მიუთითებდა ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე დედაქალაქით მედინაში. სახალიფოს მართვის საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ მოციქულის უახლოესი მიმდევრები, მაგალითად, 'უმარი და აბუ 'უბაიდა. ხალიფა აბუ ბაქრს ბრძოლა მოუხდა ისლამის განმტკიცებისთვის არაბეთის ნახევარკუნძულზე, ვინაიდან მოციქულის გარდაცვალების შემდეგ ბევრმა არაბულმა ტომმა წარმართობისკენ იბრუნა პირი, რაც არაბულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ტერმინით „არ-რიდდა“. ამავე დროს, არაბეთის ნახევარკუნძულზე ცრუ მოციქულებიც გამოჩნდნენ. განსაკუთრებით საშიში იყო ჰანიფების მეთაური **მუსაილიმა** იამამაში. ხალიფ იბნ ალ-ვალიდისა და სხვა მუსლიმი სარდლების ენერგიული ბრძოლის შედეგად ჰანიფები და ისლამის რენეგატი ტომები დასაჯეს, ხოლო მედინის კონტროლს მთელი არაბეთი დაემორჩილა. ახალი რელიგიის დროშით არაბული ტომები გაერთიანდნენ ერთ ისლამურ სახელმწიფოში, მაგრამ არაბეთის მწირსა და ხრიოკ ტრამალებზე მას არ ჰქონდა არსებობისთვის აუცილებელი ეკონომიკური პირობები. სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება მყარი ბაზისის გარეშე შეუძლებელი იყო. უდაბნოს მრავალრიცხოვან არაბულ ტომებს უფრო მეტად ამოდრავებდათ პრაგმატიზმი, ე. ი. მძიმე საარსებო პირობების შეცვლის სურვილი, ვიდრე რელიგიური ერთუზიანობი, მით უმეტეს, რომ ისლამის ძირითადი პრინციპები მაშინ მხოლოდ მოციქულის უახლოესი მიმდევრებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი. ასეთ პირობებში, ისლამის და მუსლიმური სახელმწიფოს მომავალი უკავშირდებოდა არაბული ტომების გაყვანას ნახევარკუნძულიდან იმ მდიდარ სამიწათმოქმედო რეგიონებში, რომელთა შესახებ მათ საკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ. ასეთ სასურველ ქვეყნებად მათ მიაჩნდათ მეზობელი სირია და ერაყი, რომლებიც

ფაქტობრივად ორი დიდი სახელმწიფოს – ბიზანტიისა (არაბ. ბილდ არ-რუმ) და სასანიანთა ირანის ტერიტორიას წარმოადგენდა. ამ ქვეყნების დაპყრობისათვის, ან როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, უნაყოფო უდაბნოდან უფრო ნაყოფიერ მიწებზე მასობრივი გადასახლებისათვის არაბები სწორედ ზემოდასახელებულ სახელმწიფოებს უპირისპირდებოდნენ (**ლ. კაეტანი**). ისტორიული ვითარება მუსლიმი არაბებისთვის ხელსაყრელი იყო: ბიზანტიამ და ირანმა უკანასკნელ ხანგრძლივ ომში (602-628 წწ.) საგრძნობლად დაასუსტეს ერთმანეთი. ბიზანტიის ძლიერებას არყევდა შინაგანი სოციალური და რელიგიური კონფლიქტები. იმპერიის ქრისტიანული თემი შორს იყო სასურველი ერთიანობისაგან: ორთოდოქსულ ეკლესიას, რომლის რელიგიური დოქტრინა დაამტკიცა **ქალკედონის საეკლესიო კრებამ 451 წელს**,²¹ თავად იმპერატორი მფარველობდა, მაშინ როცა მეორე მხარე, ე.ი. მონოფიზიტები უმრავლესობას შეადგენდნენ სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. დაპირისპირება ორ მხარეს შორის კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც 541 წ. იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565) მიერ მონოფიზიტობა ერესად გამოცხადდა. ირანი ასევე არ იყო თავისუფალი ანალოგიური მოვლენებისგან, სეპარატიზმი და ცალკეულ დაჯგუფებათა ბრძოლა ხელისუფლებისათვის აქ პერიოდულად იჩენდა თავს. ასეთ პირობებში, ენერგიით სავსე არაბული ტომებისათვის ისლამის გავრცელების მისია და საღვთო ომი გახდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობისა და მწირი სამშობლოდან მიგრაციის რეალური საშუალება. არაბთა დაპყრობები VIII საუკუნის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა, მაგრამ ძირითად წარმატებებს მათ მეორე ხალიფა **‘უმარ I-ის დროს (634-644)** მიაღწიეს.

უკვე 633 წლის გაზაფხულზე მუსლიმი არაბთა რაზმები ერაყში შეიჭრნენ **ხალიდ იბნ ალ-ვალიდის და მუსანნა იბნ ჰარისას მეთაურობით**. ხალიდი უკვე კარგად იყო ცნობილი ისლამის რენეგატ ტომებთან ენერგიული ბრძოლით, ხოლო მუსანნა სათავეში ედგა ჩრდილოეთ არაბეთის ბედუინთა შაიბანის ტომს, რომელიც შედიოდა ერაყის სამხრეთ-დასავლეთით მომთაბარე ტომთა გაერთიანებაში. 633 წელს ხალიდმა აიღო ქალაქი ალ-ჰირა, რომელიც ძირითადად არაბული წარმომავლობის მოსახლეობისგან შედგებოდა. ერაყისა და ირანის საბოლოო დაპყრობა წილად ხვდა ხალიფა **‘უმარ I-ს**. მისი ბრძანებით ხალიდ იბნ ალ-ვალიდი გადავიდა სირიაში, ხოლო ერაყში გაიგზავნა ახალი რაზმები აბუ ‘უბაიდ იბნ მას‘უდის მეთაურობით. 634 წელს ეფფრატის ნაპირზე მუსლიმებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ მომდევნო 636 წელს ბუვაიბასთან გამარჯვების შემდეგ თითქმის მთელი შუამდინარეთი დაიკავეს. სამხრეთ ერაყის დაპყრობაში მონაწილეობდა მედინიდან გამოგზავნილი რაზმი, რომელსაც სათავეში ედგა **‘უთბა იბნ ღაზვანი**. **სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული 638 წელს იმ სამხედრო ბანაის წარმოქმნა, რომელიც საფუძვლად დაედო ქალაქ ბასრას (ალ-ბასრა)**. **‘უთბას გარდაცვალების შემდეგ (17/638 წ.)** მისი ადგილი დაიკავა **ალ-მუღღრა იბნ შუ‘ბამ**.

636 წელს ხალიფამ ერაყის დაპყრობა დაავალა **სა‘დ იბნ აბი ვაკასს**, რომელიც მუსანნას შემდეგ სათავეში ჩაუდგა მუსლიმთა რაზმებს. 636 წლის მიწურულს **ალ-ჰირას მახლობლად, დღევანდელი ქუფის სამხრეთით, კადისისთან (კადისინა) არაბებმა დაამარცხეს ირანელები, რომელთაც რუსთეში მეთაურობდა, მომდევნო 637 წელს კი დაიკავეს სასანიანთა დედაქალაქი კტე**

სიფონი (არაბ. ალ-მადინ)²² და აიძულეს შაჰინშაჰი იეზიდგერდ III ქალაქიდან გაქცეულიყო. იმავე წელს, როცა მთელი ერაყი არაბთა ხელში აღმოჩნდა, სა'დ იბნ აბი ვაკასი დაბრუნდა ალ-ჰირაში, რომლის მახლობლად 638 წელს შექმნა ახალი სამხედრო ბანაკი. უფრო გვიან აქ გაჩნდა ისლამის ისტორიაში კარგად ცნობილი ქალაქი ქუფა (ალ-ქუფა).

კადისიასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ არაბებს საშუალება მისცა დაეკავებინათ ხუზისტანი და ირანის ზოგიერთი სხვა რაიონი. 642 წელს ნეჰავენდთან (ნიჰანდ, ირანის ქალაქ ჰამადანის სამხრეთით) მომხდარ დიდ შეტაკებაში მუსლიმებმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას, რითაც საბოლოოდ გადაწყდა ირანის ბედი. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე ვეღარ ახერხებდა ძალების გაერთიანებას და მის წინააღმდეგობას მხოლოდ ლოკალური ხასიათი ჰქონდა.

ერაყში განვითარებულ მოვლენებს დაემთხვა მუსლიმთა შეჭრა სირიაში. უკვე 633 წელს აქ გამოჩნდნენ არაბთა პირველი რაზმები, მაგრამ 634 წელს, როცა მათ სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი სარდალი ხალიდ იბნ ალ-ვალიდი, ბიზანტიელებთან ომმა ფართო ხასიათი მიიღო. 635 წ. არაბებმა დაიკავეს დამასკო, მაგრამ მოახლოებული საფრთხის გამო გადაწყვიტეს დროებით დაეტოვებინათ იგი. 636 წლის აგვისტოში, პალესტინაში, მდინარე იარმუქის (მდ. იორდანეს აღმ. შენაკადი) ველზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიელებსა და არაბებს შორის. ეს შეტაკება დამთავრდა მუსლიმთა სრული გამარჯვებით, რასაც, ზოგიერთი არაბი ავტორის ცნობით, ხელი შეუწყო იმანაც, რომ სირიის ქრისტიანი არაბები (ლასანიანები) მუსლიმთა მხარეს გადავიდნენ. წყაროებში აღნიშნულია ისიც, რომ ლასანიანთა უკანასკნელი მეფე ჯაბალა იბნ ალ-აიჰამმა ისლამი მიიღო და მექაში იპილიგრიმა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა ახალ რელიგიაზე და გადასახლდა კონსტანტინოპოლში, სადაც დიდი პატივით მიიღეს. სხვა წყაროების მიხედვით, ლასანიანთა მეფის მონაწილეობა იარმუქის ბრძოლაში ფორმალური იყო, მას ისლამი არ მიუღია და ამიტომ იძულებული გახდა კონსტანტინოპოლისთვის შეეფარებინა თავი. იარმუქის შემდეგ ლასანიანთა ნაწილი ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასახლდა, ნაწილმა ისლამი მიიღო და არაბებს შეუერთდა, ხოლო დანარჩენებმა ქრისტიანობა შეინარჩუნეს და სირიაში დარჩნენ.

იარმუქის ბრძოლის შემდეგ მუჰამედის მიმდევართა ხელში აღმოჩნდა ქალაქები დამასკო (636 წ.), ჰიმსი (ემესა), ჰამა (ეპიფანია) და ჰალეები (ჰალაბ). უსაფრთხოების გარანტიის (ამანის) საფუძველზე არაბებს ჩაბარდა იერუსალიმი (ალ-კუდს, ბაიბ ალ-მაკდის ან ბაიბ ალ-მუკადდას – წმ. შობის ადგილი). წყაროებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ოფიციალურად 638 წლის დამდეგს ქალაქი ჩაიბარა პალესტინაში ჩასულმა ხალიფა 'უმარ I-მა, რომელსაც ეახლა იერუსალიმის პატრიარქი სოფრონიუსი. 638-640 წლებში, როცა არაბებმა დაიკავეს ანტიოქია და კეისარია (კაფსარია, დღ. ისრაელის ტერიტორიაზე, ქ. ჰაიფას სამხრეთით), სირია-პალესტინის დაპყრობა დამთავრდა. ქვეყნის ისტორიაში დაიწყო დიდი ისლამური ეპოქა, რომლის სათავეებთან 'უმარ I-ისა და ხალიდ იბნ ალ-ვალიდის გარდა იდგნენ გამოჩენილი არაბი სარდლები აბუ 'უბაიდა, 'ამრ იბნ ალ-'ასი, იაზიდ იბნ აბუ სუფიანი, მისი ძმა მუ'ავია და სხვები. წყაროების თანახმად, პალესტინაში ყოფნი-

სას 'უმარ I-მა, რომელიც გამოირჩეოდა ბედუინის უბრალოებით, უსაყვედურა არაბ სარდლებს გამდიდრებისკენ ღტოლვისა და ფუფუნებისთვის, რაც მათთვის გახდა დამახასიათებელი სირიაში დამკვიდრების შემდეგ. არაბთა შემდგომი წარმატებების ერთადერთი ბარიერი ამ დროს იქცა ჭირის ეპიდემია, რომელსაც სირიასა და ერაყში 639 წელს ბევრი ცნობილი მუსლიმი შეეწირა.

სირიის დაპყრობის შემდეგ არაბთა ექსპანსიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ლაშქრობა ეგვიპტეში, რომლის ინიციატორი და მეთაური გახდა 'ამრ იბნ ალ-'ასი. არაბული წყაროების მიხედვით ეს, ერთი შეხედვით, უადრესად საშიში და ხალიფას ნებართვის გარეშე განხორციელებული სამხედრო ღონისძიება 'ამრმა წამოიწყო 639 წელს. რამდენად კარგად იყვნენ ინფორმირებული არაბები იმ დროს ეგვიპტეში არსებული მდგომარეობის შესახებ ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია ის, რომ იქ არსებული პრობლემებით მუსლიმებმა კარგად ისარგებლეს.²³ ბიზანტიის იმპერიის უმნიშვნელოვანესი პროვინცია – ეგვიპტე, არაბთა გამოჩენის წინ მწვავე რელიგიური კონფლიქტის ასპარეზი გახდა, რაც გამოიხატა დაპირისპირებით პატრიარქ კიროსს (ან კვიროს, არაბ. მუკაკის)²⁴ და მის მოწინააღმდეგე მეღქიტებსა და კოპტებს შორის. ბიზანტიისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი ეგვიპტელი ებრაელებიც, რომელთა დევნა გაძლიერდა იმპერატორ ჰერაკლეს დროს. ეგვიპტეში ბიზანტიის ჯარის სარდლად ითვლებოდა თეოდორე, მაგრამ 631 წლიდან ქვეყნის რელიგიურ საქმეებს და პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავდა პატრიარქი კიროსი. კოპტების დევნამ და ეკლესია-მონასტრების დარბევამ აიძულა მათი პატრიარქი ბენიამინი ზემო ეგვიპტისთვის შეეფარებინა თავი.

მიუხედავად სირიაში მიღებული მწარე გაკვეთილისა, ბიზანტიელები ეგვიპტეშიც მოუმზადებელი დახვდნენ მოახლოებულ საფრთხეს და შინაგანი წინააღმდეგობებით მოცული ქვეყანა არცთუ მრავალრიცხოვანი და რაც მთავარია თავის ძირითად ბაზას მოწყვეტილი არაბებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. 640-641 წლებში ეგვიპტის დიდი ნაწილი მუსლიმთა ხელში გადავიდა. 'ამრი დაბანაკდა კოპტების ძველ ქალაქ ბაბალიუნთან (იგივე ბზბლიჟნ, ბაბილონი), სადაც ააგო მეჩეთი, მუსლიმთა პირველი საკულტო ნაგებობა ეგვიპტეში. თანდათანობით მისი სამხედრო ბანაკი ქალაქად იქცა და არაბთა ისტორიაში შევიდა **ფუსტატის (ფუსტატ)** სახელწოდებით.

ბაბალიუნის დაკარგვის შემდეგ კიროსი იძულებული გახდა სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო არაბებთან, რამაც კონსტანტინოპოლის უკმაყოფილება გამოიწვია. იმპერატორმა ჰერაკლემ იგი ეგვიპტიდან გაიწვია და ღალატი დასდო ბრალად, მაგრამ ამასობაში არსებითი ცვლილებები მოხდა ბიზანტიის სამეფო კარზე. 641 წლის ზაფხულში ახალმა იმპერატორმა კონსტანტინე II-მ (641-642) რეაბილიტირებული კიროსი ეგვიპტეში დააბრუნა. იმავე წლის შემოდგომაზე 'ამრთან მოლაპარაკების შემდეგ კიროსმა ხელი მოაწერა ალექსანდრიის²⁵ ჩაბარების აქტს, რომელიც რვა პუნქტისგან შედგებოდა. ამ ხელშეკრულებით ქალაქის მოსახლეობა, მათ შორის იუდეველებიც, ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ.

642 წლის შემოდგომაზე ბიზანტიელებმა დატოვეს ალექსანდრია და ქალაქი მშვიდობიანად ჩაბარდა არაბებს. თავისი მოვალეობის შესრულებას

შეუდგა დევნილი პატრიარქი ბენიამინი, რომელმაც კოპტების სახელით არაბებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, 'ამრმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ფუსტატში, რომელიც იმ დროს უკვე მუსლიმური ეგვიპტის დედაქალაქად ითვლებოდა. ალექსანდრიის დაკავების შემდეგ არაბები ქვეყნის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ, მაგრამ ბრძოლა ეგვიპტისათვის ამით არ დამთავრებულა. 645 წელს ბიზანტიელები ძლიერი ფლოტით ალექსანდრიასთან გამოჩნდნენ, ქალაქი დაიბრუნეს და ფუსტატისაკენ გაემართნენ, მაგრამ არაბებთან შეტაკებისას მარცხი განიცადეს. იმავე წლის დამდეგს 'ამრი თავად გადავიდა შეტევაზე და **646 წელს საბოლოოდ განდევნა ალექსანდრიიდან ბიზანტიელები**. გამარჯვებულმა მუსლიმებმა ქალაქი გაძარცვეს და დამცავი გალავანი მიწასთან გაასწორეს. ეგვიპტე მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანი, ამიერიდან არაბულ-ისლამური სამყაროს განუყოფელი ნაწილი გახდა. 'ამრის დიდ დამსახურებას ამ საქმეში ერთხმად აღიარებენ არაბი ისტორიკოსები.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის დაპყრობა მოხდა ხალიფას ნებართვის გარეშე, 'უმარ I-მა სწორად შეაფასა მიღწეული წარმატების მნიშვნელობა და სცადა მაქსიმალურად გამოეყენებინა მისი რესურსები. 643 წელს 'ამრის ბრძანებით აღდგენილ იქნა ე.წ. „ტრაიანეს არხი“,²⁶ რომელმაც ნილოსი დააკავშირა სუეცის ყურეს. ამ არხმა გააძლიერა ეგვიპტის ახალი დედაქალაქის ფუსტატის სატრანზიტო როლი და ხელი შეუწყო ქვეყნიდან სასოფლო-სამეურნეო საქონლის, კერძოდ ხორბლის გატანას ჰიჯაზში.

2. სახალიფო 'უსმანისა და 'ალის ხალიფობის პერიოდში, პირველი სამოქალაქო ომი და მისი შედეგები

ეგვიპტეში არაბთა წარმატებული დაშქრობის დროს სახელისუფლებო ცვლილება მოხდა სახალიფოს დედაქალაქში. 644 წლის ნოემბრის დამდეგს სპარსელმა მონამ ფაირუზმა, რომელსაც პირადი პრეტენზიები ჰქონდა ხალიფასთან, სასიკვდილოდ დაჭრა 'უმარ I. მომაკვდავმა ხალიფამ მოასწრო დასახელება ნდობით აღჭურვილი ექვსი გამოჩენილი მუსლიმისა, რომელთაც მისი სიკვდილის შემთხვევაში უნდა აერჩიათ ახალი ხალიფა. სამი დღის შემდეგ 'უმარ I გარდაიცვალა და უკანასკნელი სურვილის შესაბამისად დაკრძალეს მედინაში მოციქულისა და აბუ ბაქრის განსასვენებელთან.

'უმარის ანდერძის თანახმად, ახალი ხალიფას არჩევა დაეკისრა ავტორიტეტულ საბჭოს (აშ-შურა), რომელშიც შევიდნენ: 'აბდ არ-რაჰმან იბნ 'ავფი, 'ალი, 'უსმანი, აზ-ზუბაირი, ტალჰა და სა'დ იბნ აბი ვაკასი. სამდღიანი თათბირის შემდეგ ხალიფად გამოცხადდა **'უსმანი (644-656)**, უმაიას გვარის წარმომადგენელი და მუჰამედის სიძე.

ხალიფა 'უსმანის სახელთანაა დაკავშირებული ყურანის კანონიკური ტექსტის (მუსჰაფი) დადგენა და გავრცელება. მოციქულის მდივნის ზაიდ იბნ სნბითის მეთაურობით შექმნილმა ძველი მუსლიმების ჯგუფმა შეძლო შეგროვებინა მოციქულის ქადაგებათა ცალკეული ფრაგმენტები და ერთი წიგნის

სახით წარედგინა იგი ხალიფასთვის.²⁷ ამგვარად, შეიქმნა მოციქულის ავტორიტეტზე დამყარებული „საღვთო წიგნი“, რომლის პირველი ეგზეგეტიკური თავისი ხელით გადაუწერია ‘უსმანს (ე.წ. „უსმანისეული ყურანი“). ამიერიდან ყურანის გადაწერა და მისი ცოდნა ყველა მუსლიმისათვის უადრესად სასურველ საქმედ ითვლებოდა. „საღვთო წიგნი“ დაეგზავნათ არაბ სარდლებს პროვინციებში და ებრძანათ ეხელმძღვანელათ მასში ჩამოყალიბებული პრინციპებით, ხოლო ყველა განსხვავებული და არაკანონიზირებული ტექსტი ხალიფას ბრძანებით გაანადგურეს. ‘უსმანის დროინდელ სიახლედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მედინაში 623 წელს აკებული მოციქულის დროინდელი უბრალო სამლოცველოს ნაცვლად აშენდა ახალი, დამუშავებული ქვით გაწყობილი მეჩეთი.²⁸

მესამე ხალიფას დროს შესამჩნევი გახდა გადახრა იმ პოლიტიკიდან, რომელსაც პირველი ორი ხალიფა ატარებდა. თანდათანობით ‘უსმანის ახლობლებმა და უმაიას გვარის წარმომადგენლებმა ხელში ჩაიგდეს გავლენიანი თანამდებობები და მოხერხებულად გამოიყენეს თავისი მდგომარეობა გამდიდრებისთვის. მაგალითად, ხალიფასთან დაახლოებულმა მარვან იბნ ალ-ჰაქამმა (მომავალმა ხალიფა მარვან I-მა) და მისმა ძმამ ალ-ჰარისმა მოკლე დროში დიდ ქონებას მოუყარეს თავი. შექმნილ მუსლიმთა ახალი სოციალური ფენის წარმოქმნა მორწმუნეთა დიდმა ნაწილმა მოციქულის გზიდან გადახვევად მიიჩნია, ხოლო ხალიფას ბრალი დასდო მიკერძოებასა და უსამართლობაში. ამავ დროს, ხალიფას გაურთულდა ურთიერთობა ეგვიპტის დამპყრობ სარდალთან ‘ამრთან,²⁹ რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა გადაეცათ მისთვის ეგვიპტე. მაგრამ ‘უსმანმა უპირატესობა მიანიჭა თავის ფავორიტს ‘აბდ ალლაჰ იბნ სა‘დს. ეგვიპტის ახალმა გამგებელმა სცადა გამართლებინა ხალიფას ნდობა, ახალი დაპყრობები წამოიწყო და ხაზინის სასარგებლოდ გადასახადები გაზარდა, მაგრამ ეგვიპტელების აშკარა უკმაყოფილების გამო იძულებული გახდა ჰიჯაზში გაქცეულიყო, სადაც ‘უსმანის მფარველობის იმედი ჰქონდა. 656 წლის ზაფხულში პილიგრიმობის საბაბით ჰიჯაზში ჩასული მუსლიმები, რომელთა შორის იყვნენ ეგვიპტელებიც, თავს დაესხნენ ხალიფა ‘უსმანს მედინაში და მოკლეს მართლმორწმუნეთა მეთაური ყურანით ხელში.

‘უსმანის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მეოთხე ხალიფად არჩეულ იქნა მუჰამედის სიძე (მოციქულის უმცროსი ქალიშვილის ფატიმას მეუღლე) და ბიძაშვილი, აბუ ტალიბის შვილი **‘ალი (656-661)**, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მორწმუნეთა შორის. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მას დაუპირისპირდა გავლენიან მუსლიმთა ერთი ჯგუფი ტალჰას და აზ-ზუბაირის მეთაურობით. მათ ბანაკში აღმოჩნდა მუჰამედის ქვრივი ‘აიშა (‘ა’იშა). აჯანყებულთა ხელში გადავიდა ქალაქი ბასრა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა **656 წლის მიწურულს (36 წ. ჯუმად II) ბასრას მახლობლად. ტალჰა და აზ-ზუბაირი, რომლებიც დაახლოებით 700 კაციან რაზმს მეთაურობდნენ ბრძოლაში დაიღუპნენ.** ეს შეტაკება ისტორიაში შევიდა „აქლემის ბრძოლის“ სახელით, რადგანაც მასში მონაწილეობდა აქლემზე

ამხედრებული 'აიშა ბინთ აბი ბაქრი („რაჯულა“ – „ქალკაცა“). გამარჯვებულმა 'ალიმ 'აიშა ჰიჯაზში დააბრუნა და აუკრძალა სახელმწიფო საქმეებში ჩარევა, მით უმეტეს, რომ მუსლიმებს არ მიაჩნდათ ეს ქალისთვის შესაფერის საქმედ. სიცოცხლის მომდევნო წლები მოციქულის ქვრივმა გაატარა მედინაში, სადაც იზრდებოდა თავის შეცდომას და ჰადისების შეგროვებით იყო დაკავებული (გარდ. 58 წ. რამადანის თვეში/678 წ. ივლისი).

ხალიფა 'ალი აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მართვას აპირებდა მორწმუნეთა შორის მეტად პოპულარული 'უმარ I-ის მაგალითისამებრ. მან გადააყენა 'უსმანის მიერ დანიშნული გამგებლები და ორიენტაცია აიღო ერაყის არაბულ ტომებზე, რამაც გაართულა მისი ურთიერთობა უმაიანთა არისტოკრატიასთან, რომელიც, სხვათა შორის, ბრალად სდებდა 'ალის უმოქმედობაში 'უსმანის მკვლელობასთან დაკავშირებით. გაითვალისწინა რა ჰიჯაზში არსებული ვითარება, **'ალიმ დატოვა სახალიფოს პირველი დედაქალაქი მედინა და 657 წელს ქუფაში გადავიდა.** შესაძლებელია, ხალიფა იმასაც ითვალისწინებდა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოებული ისლამური სახელმწიფოსთვის არაბეთის მწირ უდაბნოში ჩაკეტილი მედინა ვეღარ შასრულებდა პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას. რაც შეეხება უმაიანთა მტრულ დამოკიდებულებას 'ალისადმი, ხალიფას ერაყში გადასვლის შემდეგ იგი არსებითად არ შეცვლილა. უკვე პირველი სამი ხალიფას დროს ისინი გაფლენით სარგებლობდნენ მუსლიმურ თემში, მონაწილეობდნენ არაბთა დაპყრობებში და 'უმარ I-ის დროს მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სირიაში. ჰიჯაზს გარეთ უმაიანთა ამბიციებს გამოხატავდა სირიის გამგებელი, აბუ სუფიანის ვაჟი მ'უავია, რომელიც უარს ამბობდა მორჩილებაზე და აშკარად უპირისპირდებოდა 'ალის. ხალიფას ერაყში გადასვლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, რაც ორ მხარეს შორის შეტაკებას გარდუვალს ხდიდა.

657 წლის ივლისში ეფერატის დასავლეთ ნაპირზე, დღევანდელი სირიის ქალაქ არ-რაკას მახლობლად, სიფინთან მოხდა პირველი შეტაკება 'ალისა და მუ'ავიას ჯარებს შორის. სირიელებს სარდლობდა ამ დროს უკვე კარგად ცნობილი 'ამრ იბნ ალ-'ასი, ხოლო 'ალის ჯარს მალიქ ალ-აშთარი. ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, რის შემდეგაც 'ალის ბანაკში თავი იჩინა განხეთქილებამ. ხალიფას განუდგა მუსლიმთა დიდი ჯგუფი, რომელიც ხარიჯიტების (ალ-ხავარიჯ) სახელითაა ცნობილი. თავად ხარიჯიტები, რომელთა ლოზუნგიც იყო „არაა სამართალი თუ არა დვთისა“ („ლა ჰუქმა ილლა-ლი-ლლჰ“) თავს „მუჰაქქიმებს“ უწოდებდნენ და ხალიფა 'ალის ადანაშაულებდნენ მუ'ავიასთან შემრიგებლობაში. ასე წარმოიშვა ისლამის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული და, ამავე დროს, ექსტრემისტული მიმდინარეობა. მართალია, 658 წლის გაზაფხულზე ან-ნაჰრავანთან (ალ-მადაინის ჩრდილოეთით) 'ალიმ დაამარცხა ხარიჯიტები, რომელთაც იბნ ვაჰბი მეთაურობდა, მაგრამ მათი საბოლოო განადგურება ვერ შეძლო. იმავე წელს კონფლიქტში ჩათრეული მხარეების დასაშოშმინებლად და სისხლისღვრის

ასაცილებლად შედგა ორი „მომრიგებლის“ – ‘ამრის და აბუ მუსას შეხვედრა კურაიშიტების ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით, მაგრამ მან შედეგი არ გამოიღო. 659 წელს იერუსალიმში მუ‘ავიამ თავი ხალიფად გამოაცხადა, ხოლო 660 წელს ძლიერი რაზმი გაგზავნა ჰიჯაზში, რათა ‘ალის ყურადღება სირიიდან არაბეთის ნახევარკუნძულზე გადაეტანა. სირიის მხრიდან თავდსხმები ხდებოდა ერაყის სასაზღვრო ციხესიმაგრეებზეც.

კანონიერ ხალიფასა და მის სირიელ მეტოქეს შორის დავა მესამე ძალამ გადაწყვიტა: 661 წლის 23 იანვარს (14-დან 15 რამადანის ღამეს, მთვ. კ. IX თვე), ქუფის კათედრალურ მეჩეთში ‘ალის თავს დაესხა ხარიჯიტების მიერ მიგზავნილი მკვლელი იბნ მულჯამი და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მას. ორი დღის შემდეგ ხალიფა გარდაიცვალა და დაკრძალეს ქუფის მახლობლად, სადაც შემდეგ გაჩნდა ქალაქი ან-ნაჯაფი, ‘ალის მიმდევრების ერთ-ერთი მთავარი საპილიგრიმო ადგილი. ანდერძით და ბედუინთა ტრადიციით, მისი საფლავი არ უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ამიტომ მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფას და შიიტების (აშ-შე‘ა – ალის მომხრეები) პირველი იმამის დაკრძალვის ადგილი მორწმუნეთა დიდი ნაწილისთვის ზუსტად ცნობილი არ იყო. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ‘ალის მავზოლეუმი ან-ნაჯაფში შეიძლება იყოს კენოტაფი, ე.ი. ცარიელი, სიმბოლური საფლავი (ო.გ. ბოლშაკოვი). ხარიჯიტებს განზრახული ჰქონდათ მუ‘ავიას და ‘ამრის მოკვლაც, მაგრამ მათი მსხვერპლი მხოლოდ ‘ალი აღმოჩნდა. **მეოთხე ხალიფას სიკვდილით დამთავრდა პირველი სამოქალაქო ომი (656-661 წწ.) და ე.წ. „მართლმორწმუნე ხალიფების“ („ალ-ხულაფა‘ არ-რეშიდუნ“) პერიოდი (632-661 წწ.).**

პირველი ოთხი ხალიფას (განსაკუთრებით პირველი ორის) გამგებლობის პერიოდი შუა საუკუნეების არაბი (ძირითადად სუნიტი) ავტორების მიერ ოქროს ხანადაა მიჩნეული, ხოლო „მართლმორწმუნე“ ხალიფა განასახიერებს ისლამური საზოგადოების სამართლიან და ღირსეულ მეთაურს. ასეთი იყო აბუ ბაქრი (აბუ ბაქრ ას-სიდდეკ), შეძლებული მექელი ვაჭარი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ისლამი და მატერიალური დახმარება გაუწია მოციქულს. ის გაჰყვა მედინაში მუჰამედს 622 წელს, აქტიურად მონაწილეობდა მის ყველა ღონისძიებაში, ხოლო 631 წელს სათავეში ჩაუდგა ჰაჯის ქარავანს. აბუ ბაქრის დამსახურებაა ისლამის განმტკიცება არაბეთის ნახევარკუნძულზე და არაბთა დიდი ექსპანსიის დაწყება.

მუსლიმთა განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ხალიფა ‘უმარ I (‘უმარ იბნ ალ-ხატტაბ ალ-ქანრუკ), რომელმაც 616 წელს მიიღო ისლამი, ხოლო მედინაში საჰიბების (მრ. ასჰაბ), ე.ი. მოციქულის უახლოესი მიმდევრების ათეულში შევიდა. აბუ ბაქრის რეკომენდაციით მუსლიმთა საჭომ ერთხმად აირჩია ის ხალიფად. არაბული ისტორიოგრაფია ‘უმარს ისლამური სახელმწიფოს ნამდვილ დამაარსებლად მიიჩნევს, ვინაიდან სწორედ მისი ხალიფობის დროს არაბები დამკვიდრდნენ სირიაში, ერაყში და ეგვიპტეში. ‘უმარ I, რომელიც მოციქულის ნათესავიც გახდა (მუჰამედმა ცოლად შეირთო ‘უმარის ქალიშვილი ჰაფსა), მუსლიმთა ცნობიერებაში დარჩა როგორც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხალიფა, ისლამისთვის თავდადებული

მებრძოლი და პირველი, ვინც მიიღო „მართლმორწმუნეთა მბრძანებლის“ („ამნრ აღ-მუშინნ“) ტიტული. უფრო გვიან იმავე შინაარსით გამოიყენებოდა ტერმინი „მუსლიმთა მბრძანებელი“ („ამნრ აღ-მუსლიმნ“). ‘უმარ I-ის დამსახურებად ითვლება 638 წელს ჰიჯრის წელთაღრიცხვის შემოღება.

მესამე არჩეული ხალიფა ‘უსმანი (‘უსმან იბნ აღ-‘აჰჰან) იყო მდიდარი მექელი ვაჭარი, რომელიც უკვე 610 წელს დაუნათესავდა მოციქულს (მას ცოლად ჰყავდა მოციქულის მეორე ქალიშვილი რუკაია, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მესამე ქალიშვილი უმმ ქულსუმი). ‘უსმანის პოზიტიური როლი ისლამის ისტორიაში ძირითადად ყურანის ტექსტის საბოლოო დადგენასთან და რედაქტირებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბრალდება, რომელიც საკუთარი ნათესავებისა და ახლობლების მომხვეჭელობის ხელშეწყობისთვის ედება, აშკარად უარყოფითად ახასიათებს მას. ხალიფას პოლიტიკით უკმაყოფილო მუსლიმთა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა აბუ ბაქრის შვილი ‘აბდ ალლაჰი თავს დაესხა ‘უსმანს და სიცოცხლეს გამოასალმა.

მეოთხე ლეგიტიმური ხალიფა ‘ალი (‘ალნ იბნ აბნ ტალიბ), როგორც მოციქულის „ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს შიიტურ ისლამში. მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე (მისი მეოთხე ქალიშვილის ფატიმას მეუღლე), საჰიბი და შიიტების პირველი იმამი, ‘უსმანის სიკვდილის შემდეგ დაწყებული სამოქალაქო ომის მსხვერპლი გახდა. ‘ალის მიმდევრების ბრძოლა ხელისუფლებისათვის შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სწორედ მის დროს დადგა მწვავედ ხალიფას, ისლამური სახელმწიფოს მეთაურის ლეგიტიმურობის საკითხი. თუ მეოთხე ხალიფას მომხრეები აუცილებლად მიიჩნევდნენ ხელისუფლების სათავეში ‘ალისა და მისი შთამომავლების მოსვლას,³⁰ ხარიჯიტები უპირატესობას არჩევითობის პრინციპს ანიჭებდნენ და თვლიდნენ, რომ ხალიფად შეიძლებოდა არჩეულიყო ყველა მუსლიმი, რომელიც დაიცავდა ისლამური თემის ინტერესებს. მუა‘ვიას მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ბანუ კურაიშის, ე.ი. მუჰამედის ტომის მუსლიმებს სრული უფლება ჰქონდათ ხელისუფლებაზე. ასეთი პლატფორმა აწყობდათ აბუ სუფიანის შთამომავლებს, ვინაიდან მათი წინაპარი უმაია იბნ ‘აბდ შამსი კურაიშიტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

„მართლმორწმუნე“ ხალიფების დროს ისლამის დროშით არაბებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ორ უძლიერეს სახელმწიფოზე – ბიზანტიასა და სასანიანთა ირანზე. ნიჭიერმა არაბმა სარდლებმა, რომლებმაც ისარგებლეს ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემებით, მიზანმიმართულად წარმართეს უდაბნოს ტომების ენერჯია და ენთუზიაზმი, რომელიც უფრო მატიერიალურ ინტერესებს ეფუძნებოდა, ვიდრე რელიგიურ ფანატიზმს. პირველი ოთხი ხალიფას დროს საფუძველი ჩაეყარა არაბთა უზარმაზარ იმპერიას, რომელმაც თავისი ადგილი დაიკავა ახლო აღმოსავლეთის და მსოფლიო ისტორიაში.

თაჰი IV

ყმაიანთა სახელმწიფო (661-750)

1. არაბთა სახელმწიფო სამოქალაქო ომის შემდეგ და ყმაიანთა დინასტიის აღზევება

მეოთხე ხალიფა 'ალის სიკვდილის შემდეგ შიიტებმა კანონიერ მემკვიდრედ და ხალიფად აღიარეს მისი უფროსი ვაჟი ჰასანი. მაგრამ ახლად გამოცხადებულმა ხალიფამ გადაწყვიტა უარი ეთქვა თავის უფლებებზე, რადგანაც მუ'ავიასთან დაპირისპირებას უპერსპექტივოდ მიიჩნევდა. 661 წლის ივლისში ქუფაში შეხვედრისას ორ მხარეს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლითაც ჰასანმა ხალიფად ცნო მუ'ავია I (მუ'ავია იბნ აბნ სუჰაინ), სამაგიეროდ მიიღო თავისი და 'ალის ოჯახის სხვა წევრების ხელშეუხებლობის გარანტია, აგრეთვე სრული მატერიალური უზრუნველყოფა დიდი პენსიის სახით. ამ შეთანხმებით მუ'ავიას შემდეგ ხალიფა უნდა გამხდარიყო ჰასანი. ასეთ კომპრომისს ორივე მხარე ხსნიდა მუსლიმური თემის ერთიანობის აუცილებლობით, თუმცა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მუსლიმთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომელსაც გავლენიანი ჰიჯაზელებიც ეკუთვნოდნენ, მუ'ავიას აღზევება მიუღებელი იყო და ახალი სამოქალაქო ომიც გარდუვალი ჩანდა.

მუ'ავიამ ჯერ კიდევ გახალიფებამდე მოამზადა საფუძველი უმაიანთა (ბანუ უმაია) ბატონობისთვის, რაშიც მას ხელს უწყობდა კარგი სარდლისა და ორგანიზატორის რეპუტაცია. მართალია, მან ისლამი მიიღო მექის კაპიტულაციის შემდეგ 630 წელს, მაგრამ 634 წლიდან აქტიურად ჩაება სირია-პალესტინის დაპყრობაში და 640 წელს თავი გამოიჩინა კეისარიის აღებისას. 'უმარ I-ის დროს სირიის გამგებლის თანამდებობაზე მან შეცვალა თავისი ძმა იაზიდი, რომელიც ჭირის ეპიდემიას გადაჰყვა 639 წელს. მუ'ავიას ამბიციებს შესაძლებელია ისიც ამაგრებდა, რომ მისი ქვრივი და, უმე ჰაბიბა ცოლად გაჰყვა მოციქულს, რითაც აბუ სუფიანის ოჯახი ისლამის დამაარსებელს დაუნათესავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მუ'ავია და უმაიანთა გვარი წარმომავლობით კაისიტები იყვნენ, მათ ორიენტაცია აიღეს ჯაჰილიის პერიოდში სამხრეთ არაბეთიდან სირიაში გადმოსახლებულ ქალბატონებზე. მუ'ავია წარმატებით ებრძოდა კაისიტების ოპოზიციას სირიაში, ხოლო ერაყში მისი იარაღი მიმართული იყო ხარიჯიტების და შიიტების წინააღმდეგ. განსაკუთრებული როლი უმაიანთა ხელისუფლების განმტკიცებაში შეასრულა 665 წელს ერაყ-

ისა და მთელი აღმოსავლეთის პროვინციების გამგებლად დანიშნულმა **ზიად იბნ აბიჰიმ (ზიად იბნ აბნჰი)**, რომელიც მუ'ავიამ თავის ძმად გამოაცხადა. ხალიფა და მისი მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ზიადი იყო აბუ სუფიანის შვილი ტა'იფელი მონა ქალისგან, თუმცა ამ თვალსაზრისს თავიდანვე ბევრი არ იზიარებდა. ზიადს, რომელიც ამიერიდან აბუ სუფიანის შვილად ითვლებოდა (ზიად იბნ აბნ სუფიან), საფინანსო მოხელის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ხოლო ერაყში ყოფნისას მუ'ავიას ერთგული სარდლისა და მკაცრი ადმინისტრატორის სახელი დაიმკვიდრა. 673 წლამდე, ე.ი. გარდაცვალებამდე ის ცეცხლითა და მახვილით განაგებდა ქუფასა და ბასრას, ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდა შიიტებს და ხარიჯიტებს.

არსებული სპეციფიკური პირობების ადეკვატური იყო მუ'ავია I-ის რელიგიური პოლიტიკა სირიაში. იმ დროს დამასკოში ფუნქციონირებდა 10-ზე მეტი (დახლ. 12-დან 15-დე) ეკლესია და რამდენიმე კონფესია. კერძოდ: მელქიტებისა და მონოთელიტების³¹ (მარონიტების), მონოფიზიტების (კოპტები, იაკობიტები, სომხები) და, ბოლოს, ნესტორიანელების, განსაკუთრებით სასანიანთა ირანის პროვინციებში. თითოეულ ეკლესიას თავისი მეთაური, კათალიკოსი ან პატრიარქი ჰყავდა. კოპტების პატრიარქი იმყოფებოდა ალექსანდრიაში, მელქიტებისა ანტიოქიაში, იაკობიტების მეთაური თაქრითში (ერაყში), ნესტორიანელებისა ალ-მადა'ინში. იერუსალიმის საპატრიარქოს სათავეში ედგა ორთოდოქსი პატრიარქი, მაგრამ სოფრონიუსის სიკვდილის შემდეგ 706 წლამდე ეს ადგილი ვაკანტური რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სირია-პალესტინის ისლამიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდა, იერუსალიმი ძირითადად მაინც ქრისტიანულ ქალაქად რჩებოდა. ხალიფა მუ'ავიას დამოკიდებულება ყველა ეკლესიისადმი ერთნაირად ლოიალური იყო. ცნობილია ფაქტები, როცა მას უხდებოდა ქრისტიანთა შორის ამტყდარი დავის მოგვარება. მაგალითად, მუ'ავიამ აქტიური როლი შეასრულა მარონიტებისა და იაკობიტების დაპირისპირების დროს და საბოლოოდ საქმე მარონიტების სასარგებლოდ გადაწყვიტა. თუ რამდენად ენდობოდა უმაიანთა ხალიფა სირიელ ქრისტიანებს იქიდან ჩანს, რომ მისი კანცელარიის მთავარი მოხელე და ხაზინადარი გახდა ქრისტიანი **სერგი (სარჯუნ)**, შემდგომში ცნობილი თეოლოგის **იოანე დამასკელის (დაახლ. 675-753) მამა**.

არამუსლიმურ თემებთან თანამშრომლობა და ქრისტიანთა კეთილგანწყობა რა თქმა უნდა ვერ მოხსნიდა იმ საფრთხეს, რომელიც მუ'ავიას ელოდა უკმაყოფილო მუსლიმთა მხრიდან. ამის დამადასტურებელია ხარიჯიტების ცდა მოეკლათ ხალიფა. საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით 661 წლიდან მუ'ავია I-ის ბრძანებით მეჩეთში მისთვის გამოიყო ადგილი – **მაკსურა**, რომელიც სპეციალური ღობით უნდა ყოფილიყო დაცული. ასეთი პრაქტიკა შემდეგ დაინერგა ყველა კათედრალურ მეჩეთში.

მუ'ავია I-მა სირია-პალესტინის სანაპიროზე, კერძოდ 'აქქაში საფუძველი ჩაუყარა საზღვაო ფლოტის მშენებლობას, რაც განპირობებული იყო ბიზანტიასთან მეტოქეობით და ხმელთაშუა ზღვაზე არაბთა სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებით. მართალია, უმაიანთა ცდას აეღოთ კონსტანტინოპოლი, შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ საზღვაო ფლოტი თანდათან მნიშვნელოვან ძალად

იქცა და ხელი შეუწყო მუსლიმთა გასვლას მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებზე. სამხრეთ არაბეთისა და სირიის სანაპიროს მკვიდრთა საზღვაოსნო გამოცდილებამ ხელი შეუწყო მუ'ავიას მიერ დაწყებული საქმის წარმატებას და უფრო გვიან სახალიფო ხმელთაშუა ზღვის აუზის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. საზღვაო საქმის განვითარებამ მუსლიმ არაბებს საშუალება მისცა აეთვისებინათ აღმოსავლეთ აფრიკის თითქმის მთელი სანაპირო: დღევანდელი კომორისა და სეიშელის კუნძულები, მადაგასკარი, სუკოტრა და ზანზიბარი. სირია-პალესტინიდან ეგვიპტესა და მალრიბის ქვეყნებში, ხოლო სამხრეთ არაბეთიდან ინდოეთში ვაჭრობას ახალი იმპულსი მიეცა. ამასთან ერთად, საზღვაო ფლოტის შექმნას შორს მიმავალი სამხედრო და პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა. 645 წელს ბიზანტიელთა შეჭრამ ალექსანდრიაში ცხადყო ხმელთაშუა ზღვაში მუსლიმთა ძლიერი ფლოტის არსებობის აუცილებლობა და განსაზღვრა კიდევ მუ'ავიას პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით. უკვე 649 წელს მან შეძლო ხელში ჩაეგდო ბიზანტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზღვაო ბაზა კუნძული კვიპროსი (კუბრუს), ხოლო მომდევნო წელს პატარა კუნძული არვადი, რომელიც ძალიან ახლოა სირიის სანაპიროსთან. სირიელებთან ერთად ხმელთაშუა ზღვისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ეგვიპტელებიც, რომელთაც მეთაურობდა 'აბდ ალლაჰ იბნ სა'დი. 653 წელს არაბთა ფლოტმა ალექსანდრიასთან პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა ბიზანტიის ფლოტზე.

658 წელს ხალიფა მუ'ავია I-მა გადააყენა ეგვიპტის მაშინდელი გამგებელი, ხალიფა აბუ ბაქრის შვილი მუჰამედი, რომელსაც ხალიფა 'უსმანის მკვლელობაში მონაწილეობაც ედებოდა ბრალად. მუ'ავიას ბრძანებით 'ამრი, რომელიც კარგად იცნობდა ქვეყანას, ეგვიპტეში შეიჭრა და სიკვდილით დასაჯა მუჰამედი. უმაიანთა ხალიფას სახელით იგი ეგვიპტეს განაგებდა გარდაცვალებამდე, ე.ი. 663 წლამდე.

არაბთა სახელმწიფოს მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც მუ'ავია I-მა მიიღო თავისი გამგებლობის დასასრულს: მან თავის მემკვიდრედ და მომავალ ხალიფად გამოაცხადა საკუთარი ვაჟი იაზიდი, რითაც უარყოფილ იქნა არჩევითობის პრინციპი და საფუძველი ჩაეყარა მემკვიდრეობით მონარქიას. მოფლენების ასეთ განვითარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იმამი ჰასანი, რომელიც მუ'ავიას მემკვიდრედ მოიაზრებოდა, 669 წლის აპრილში მოულოდნელად გარდაიცვალა მედინაში. გავრცელდა ხმა, რომ თითქოს იმამი მოწამლეს³². ხარიჯიტებისა და შიიტების პროპაგანდა, რომელიც უმაიანთა წინააღმდეგ იყო მიმართული, მოხერხებულად იყენებდა ამ ვერსიას, მომხდარში ადანაშაულებდა მუ'ავიას და ბრალს სდებდა მას ხელისუფლების უზურპაციაში. სახალიფოს ამგვარი ევოლუცია და მემკვიდრეობითობის პრინციპი სავსებით მისაღები იყო სირიელებისათვის, მაგრამ მას უარყოფითი რეაგირება მოჰყვა იმ ძველი მორწმუნეების მხრივ, რომელთაც კარგად ახსოვდათ უმაიანთა გვარის, კერძოდ აბუ სუფიანის ადრინდელი, არცთუ მეგობრული ურთიერთობა მოციქულთან. გარდა ამისა, ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქად დამასკოს გადაქცევა და უმაიანთა დინასტიის დამკვიდრება

ასუსტებდა ჰიჯაზის როლს და გზას უჭრიდა ძველ მუსლიმებს ხელისუფლებისაკენ. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, მუ'ავიამ შეძლო იაზიდის ერთგულებაზე დაეფიცებინა მუსლიმთა ერთი ნაწილი, მაგრამ მის გარდაცვალებას და იაზიდის (დაზნდ I-ის) განხალიფებას (680-683) მოჰყვა ე.წ. „ჰიჯაზის ოპოზიციის“ ამბოხება, რაც მეორე სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავდა.

უმაიანთა წინააღმდეგ შექმნილი ჰიჯაზის გაერთიანებული ოპოზიციის სათავეში იდგნენ – მუჰამედის შვილიშვილი, 'ალის და ფატიმას მეორე ვაჟი ჰუსაინი და 'აბდ ალლაჰ იბნ აზ-ზუბაირი, მოკლული აზ-ზუბაირის შვილი. 680 წლის შემოდგომაზე იმამი ჰუსაინი, რომელმაც ერაყიდან დახმარების დაპირება მიიღო, მცირერიცხოვანი რაზმით თავის მომხრეებთან შესაერთებლად გაემართა, მაგრამ ქუფის ჩრდილო-დასავლეთით მას გზა გადაუჭრა ერაყის უმაიანთა გამგებლის 'უბაიდალლაჰ იბნ ზიადის მიერ გამოგზავნილმა რაზმმა, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი სარდლის სა'დ იბნ აბი ვაკასის შვილი 'უმარი. 680 წლის 10 ოქტომბერს (61 წ. 10 მუჰარრაში) ქარბალასთან მომხდარ უთანასწორო ბრძოლაში ჰუსაინი დამარცხდა და მოკლულ იქნა. დაიდუმნენ ჰასანისა და ჰუსაინის ოჯახის წევრები (შვილები, ძმები), ტყვედ ჩავარდნენ 'ალის და ფატიმას ქალიშვილი ზაინაბი, ჰუსაინის შვილი 'ალი და ჰასანის შვილი 'უმარი. ტყვეები და მოკლულთა თავები ჯერ დამასკოში, ხოლო შემდეგ მედინაში გაგზავნეს. ზოგიერთი ცნობით, ხალიფა იაზიდმა სინანული გამოთქვა მოციქულის შვილიშვილის დაღუპვის გამო და ბრძანა მისი მოჭრილი თავი ქარბალაში გადაესვენებინათ. აქ, იმამ ჰუსაინის დაკრძალვის ადგილზე გაჩნდა ქალაქი ქარბალა (ქარბალა'), რომელიც შიიტების მეორე საპილიგრიმო ადგილი გახდა ან-ნაჯაფის შემდეგ. ქარბალას ტრაგედიამ გააერთიანა შიიტები და სტიმული მისცა მოძრაობას, რომელიც ისლამური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში გაიშალა ლოზუნგით: „შურისძიება 'ალისა და ჰუსაინისთვის“.

მოციქულის შვილიშვილის გზიდან ჩამოცილების შემდეგ იაზიდმა შეძლო ერაყის შემოტკიცება, მაგრამ ჰიჯაზში რჩებოდა ოპოზიცია, რომელსაც ახლა 'აბდ ალლაჰ იბნ აზ-ზუბაირი ჩაუდგა სათავეში. მისი დედა (ასმა') იყო აბუ ბაქრის ქალიშვილი და 'აიშას და, რაც ზრდიდა ოპოზიციის მეთაურის ავტორიტეტს. იმამ ჰუსაინის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ ჰიჯაზის ძველი მუსლიმები აზ-ზუბაირის გარშემო გაერთიანდნენ, ხალიფა იაზიდი ისლამიდან განკვეთეს და მისი მოხელეები გააძევეს. ამის საპასუხოდ ხალიფას ბრძანებით უმაიანთა ჯარი, რომლის დიდ ნაწილს სირიელი ქრისტიანები შეადგენდნენ, მუსლიმ იბნ 'უკბას მეთაურობით ჰიჯაზისკენ დაიძრა და 683 წლის 27 აგვისტოს მიუხედავად მედინელების სასტიკი წინააღმდეგობისა ქალაქში შეიჭრა. გარდა იმისა, რომ შეტაკებისას ბევრი ძველი მუსლიმი დაიდუმა, ზოგიერთი არაბი ავტორის ცნობით, იაზიდის ჯარმა მედინა გაძარცვა. ჰუსაინმა აიძულა გადარჩენილი მედინელები ერთგულების ფიცი დაედოთ იაზიდისთვის, ხოლო ვინც ეს არ ისურვა სიკვდილით დასაჯა. მოციქულის ქალაქის აღების შემდეგ ავადმყოფი მუსლიმ იბნ 'უკბა გადადგა და ჯარი ჩააბარა ჰუსაინ იბნ ნუმაირს, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა.

683 წლის სექტემბერში უმაიანთა ჯარი მექას მიადგა და ლოდსატყორცნებიც კი გამოიყენა, რამაც ისლამის წმინდა ქალაქი საგრძნობლად დააზარალა. ერთოვიანი დაპირისპირების შემდეგ, როცა ქალაქის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მოვიდა ცნობა ხალიფა იაზიდ I-ის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ. ჰუსაინ იბნ ნუმაირი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და სირიაში დაბრუნებულიყო. ჰიჯაზის კამპანიის დროს ხალიფას ჯარს აქტიურად ეხმარებოდნენ მარვან იბნ ალ-ჰაჰამი და მისი შვილი 'აბდ ალ-მალიქი, რომელთაც ისტორიამ მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა უმაიანთა სახელმწიფოს ისტორიაში.

იაზიდ I-ის შემდეგ სირიელმა ქალბიტებმა ხალიფას მემკვიდრედ გამოაცხადეს მისი სუსტი და ახალგაზრდა (თუ მცირეწლოვანი) ვაჟი **მუ'ავია (მუ'ავია II)**, რომელიც იმავე წელს გარდაიცვალა. ვინაიდან იაზიდის მეორე ვაჟი ხალიდი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ხალიფად აღზევების პერსპექტივა გაუჩნდა 'აბდ ალლაჰ იბნ აზ-ზუბაირს, მით უმეტეს, რომ მას უკვე აღიარებდნენ ჰიჯაზში და მხარს უჭერდნენ აღმოსავლეთის პროვინციებში. საბოლოოდ ხალიფას საკითხი ისევ სირიაში გადაწყდა: მას შემდეგ, რაც ქალბიტებმა კვლავ მოიპოვეს უპირატესობა მეტოქე კაისიტებზე, უმაიანთა სარდლის ჰუსაინ იბნ ნუმაირის წინადადება მიიღეს და ხალიფად გამოცხადდა უმაიანთა გვარის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი მარვან იბნ ალ-ჰაჰამი.

მარვან I (684-685) ცნობილი იყო, როგორც ხალიფა 'უსმანის უახლოესი მრჩეველი და უმაიანთა მაღალი მოხელე ჰიჯაზში. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაპირისპირება ძველ მუსლიმებსა და იაზიდ I-ს შორის სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა, იგი იძულებული გახდა დამასკოში გადასულიყო. მარვანის გახალიფება შესაძლებელი გახდა იმ პირობით, რომ მისი მემკვიდრე იქნებოდა იაზიდის მეორე ვაჟი ხალიდი. ამ შეთანხმების დასადასტურებლად მან სიმბოლურად ცოლად შეირთო განსვენებული ხალიფას ქვრივი, ხალიდის დედა.

მარვან I-ის აღზევება დამასკოში და კაისიტების დამარცხება არ ხსნიდა იმ საფრთხეს, რომელსაც ქმნიდა „ჰიჯაზის ოპოზიციის“ და მისი მრავალრიცხოვანი მომხრეების შეურიგებელი პოზიცია. 684 წლის დამლევს მარვან I დიდი ჯარით შეიჭრა ეგვიპტეში, რომლის გამგებელი 'აბდ არ-რაჰმან იბნ 'უთბა მხარს უმაგრებდა იბნ აზ-ზუბაირს. ხალიფამ გატეხა ეგვიპტელების წინააღმდეგობა, დაიკავა ფუსტატი და ქვეყანა ჩააბარა თავის შვილს 'აბდ ალ-'აზიზს ('აბდ ალ-'აზიზ იბნ მარვან). ამის შემდეგ სირიაში დაბრუნებულმა ხალიფამ სცადა შეამბოხე მედინის დალაშქვრაც, მაგრამ ძველმა მუსლიმებმა დახმარება მიიღეს ქუფიდან და, ამგვარად, დამასკოს გეგმა განუხორციელებელი დარჩა. თავისი ხანმოკლე ხალიფობის დასასრულს მარვან I-მა დაარღვია ადრე დადებული პირობა და მემკვიდრეებად დაამტკიცა თავისი შვილები 'აბდ ალ-მალიქი და 'აბდ ალ-'აზიზი. ამ გადაწყვეტილების შედეგად სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა უმაიანთა დინასტიის მეორე – „მარვანიანთა“ შტო, რომელმაც შეცვალა აბუ სუფიანის პირდაპირი შთამომავლები ან ე.წ. „სუფიანიანთა“ ჯგუფის ხალიფები (მუ'ავია I, იაზიდ I და მუ'ავია II). ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ვერსიით, ხალიფას კანონიერი მემკვიდრის ხალიდ იბნ იაზიდის დედამ, აღშფოთებულმა ხალიფას გადაწე-

ვეტილებით, იგი დაახლო, მაგრამ უმაიანთა საგვარეულოს წევრები შეეცადნენ არ გაეხმაურებინათ ეს ფაქტი. უფრო გვიან ხალიდი დაუახლოვდა ხალიფა 'აბდ ალ-მალიქს, შეერთო მისი და 'აიშა და ჰიმსის ამირას თანამდებობაც დაიკავა. არაბი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ხალიდ იბნ იაზიდო მეცნიერის რეპუტაციითაც სარგებლობდა.

მუ'ავია I-ის შემდეგ, ხალიფა 'აბდ ალ-მალიქი ('აბდ ალ-მნლიქ იბნ მარვან, 685-705) უმაიანთა დინასტიის ყველაზე გამორჩენილი მოღვაწეა. მისი გამგებლობის დასაწყისი საკმაოდ რთული გამოდგა, ვინაიდან მოსაგვარებელი გახდა რამდენიმე საგარეო და საშინაო პრობლემა. ისარგებლეს რა იაზიდ I-ის გარდაცვალების შემდეგ დამასკოში წარმოქმნილი დაბნეულობით, ბიზანტიელებმა არაბებს წაართვეს კუნძულები როდოსი, კრეტა და კვიპროსი, ხოლო 685 წელს სირია-პალესტინის სანაპირო ქალაქებიც დაარბიეს. ხმელთაშუა ზღვა ფაქტობრივად ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა. ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო მცირე აზიაშიც, სადაც სამხედრო ზეწოლის შედეგად არაბები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბიზანტიასთან ბრძოლისთვის აუცილებელი საბაზო ქალაქები მალატია, მარ'აში და, ბოლოს, ჩრდილოდასავლეთ სირიის ქალაქი ანტიოქია. ამავე რეგიონიდან ბიზანტიელთა მხარდაჭერით მოსალოდნელი იყო მარდაიტების³³ თავდასხმაც. 'აბდ ალ-მალიქმა სწორად შეაფასა ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბიზანტიასთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო. 685 წლის ივნისში მან მიაღწია ბიზანტიასთან შეთანხმებას, რომელიც არაბებისთვის მომგებიანი არ იყო, მაგრამ იგი საშუალებას აძლევდა ხალიფას ყურადღება გადაეტანა მწვავე საშინაო პრობლემებზე, რომელთა მოუგვარებლობა ისლამური სახელმწიფოს არა მარტო ერთიანობას, არამედ არსებობასაც კი ემუქრებოდა. ამ დროისთვის უმაიანთა ხელისუფლება რეალურად მხოლოდ სირიასა და ეგვიპტეზე ვრცელდებოდა. ერაყში გააქტიურდნენ შიიტები, რომელთა რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი გახდა ქუფა, ხოლო მათი მეტოქე ხარიჯიტები გამაგრდნენ ბასრაში. 685-687 წლებში დამასკოს ერაყელ მოწინააღმდეგეთა შორის უპირატესობა მოიპოვეს შიიტებმა, რომელთაც მუხთარი (ალ-მუხთარ იბნ აბნ 'უბაიდ ას-საკაფი) მეთაურობდა, მაგრამ იგი დაამარცხა იბნ აზ-ზუბაირმა. საბოლოოდ აზ-ზუბაირიც იძულებული გახდა დაეტოვებინა ერაყი და ისევ მშობლიური ჰიჯაზისთვის შეეფარებინა თავი.

ჰიჯაზის საკითხის გადაწყვეტა 'აბდ ალ-მალიქმა მიანდო ყოფილ ტა'იფელ მასწავლებელს ჰაჯაჯ იბნ იუსუფს (ალ-ჰაჯჯაჯ იბნ იუსუფ), რომელმაც უკვე 31 წლის ასაკში უმაიანთა ერთგული და სასტიკი მოხელის რეპუტაცია დაიმსახურა. 692 წელს სირიიდან გაგზავნილმა ჯარმა ჰაჯაჯის მეთაურობით მექას შეუტია. 'აბდ ალლაჰ იბნ აზ-ზუბაირი, რომელსაც ჰიჯაზელები კანონიერ ხალიფად თვლიდნენ, ბრძოლაში დაიღუპა. უფრო ადრე, 691 წელს ერაყში მოკლეს მისი ძმა მუს'აბი. ჰაჯაჯ იბნ იუსუფმა პირნათლად შეასრულა ხალიფას დავალება, აიღო მექა და შემომტკიცა მთელი ჰიჯაზი. მისი ბრძანებით მექაში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, კერძოდ ქააბას მოშორდა იბნ ზუბაირის მიერ მიშენებული ნაგებობა და ტაძარს ადრინდელი ფორმა დაუბრუნდა. ორი წლის მანძილზე ჰაჯაჯი იმყოფებოდა ჰიჯაზში და ორჯერ შეასრულა დიდი ჰაჯის წინამძღოლის საპატიო მოვალეობა. მეორე სამო-

ქალაქო ომი, რომელიც იაზიდ I-ის დროს დაიწყო, უმაიანთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ჰიჯაზის შემომტკიცება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ისლამური სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას. სახალიფოს ერთ-ერთი უმდიდრესი პროვინცია ერაყი შიიტების და ხარიჯიტების გაყვანის ქვეშ რჩებოდა. აქ მტკიცე კონტროლის დაწესების გარეშე დამასკოსგან მოწყვეტილი რჩებოდა იმპერიის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი.

694 წელს სრული ნდობით და ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი ჰაჯაჯ იბნ იუსუფი ხალიფამ ერაყში გაგზავნა იმ მიზნით, რომ ჰიჯაზის ანალოგიით აქაც ბოლო მოეღო სამოქალაქო ომის ყოველგვარი ნიშნებისათვის. ხალიფას ნაცვალმა კვლავ გამოიჩინა თავი სასტიკი რეპრესიებით და თითქმის შეუძლებელი შეძლო, მორჩილებაში მოიყვანა შიიტები და ხარიჯიტები, რომლებიც ზიად იბნ აბიჰის შემდეგ დამასკოსთან ბრძოლით და ერთმანეთთან შეტაკებებით იყვნენ დაკავებული. იმისათვის, რომ თანაბარი ზედამხედველობის ქვეშ ჰყოლოდა ხარიჯიტების ბასრა და შიიტების ქუფა, ჰაჯაჯმა ამ ორ ქალაქს შორის შექმნა კარგად გამაგრებული სამხედრო ბაზა, სადაც შემდეგ გაჩნდა ქალაქი ვასიტი. უმაიანთა სარდალი აქედან სისტემატურად აწყო დადამსჯელ ექსპედიციებს შიიტებისა და ხარიჯიტების წინააღმდეგ. 714 წლამდე, ე.ი. გარდაცვალებამდე ჰაჯაჯ იბნ იუსუფი ხალიფას სახელით მტკიცე ხელით განაგებდა არა მარტო ერაყს, არამედ მთელ აღმოსავლეთ სახალიფოს. არაბთა ისტორიაში იგი შევიდა, როგორც სასტიკი მოხელე, რომლის სახელით ბავშვებსაც აშინებდნენ. მაგრამ ისეთ რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროვინციაში, როგორც ერაყი იყო, იმ დროს სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გატარება სხვა გზით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ხალიფა 'აბდ ალ-მალიქთანაა დაკავშირებული რეფორმები, რომელთა მიზანს შეადგენდა სახალიფოს არაბიზირება. რეფორმა შეეხო, უპირველეს ყოვლისა, საკანცელარიო საქმეს, სადაც ოფიციალური სტატუსი არაბულ ენას მიენიჭა. შეიქმნა ერთიანი სამონეტო სისტემა, რაც გულისხმობდა ოქროს დინარის და ვერცხლის დირჰემის მოჭრას. არაბულ მონეტაზე ამოტვიფრული უნდა ყოფილიყო ხალიფას სახელი და თავჭიდის ფორმულა: „არაა ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამედია ალლაჰის მოციქული“. ოქროს დინარი (4,25 გრ. ოქრო) სხვადასხვა დროს უდრიდა 10, 12, ან 20 ვერცხლის დირჰემს (2,97 გრ. ვერცხლი). ამიერიდან, სახალიფოს ვრცელ ტერიტორიაზე ბიზანტიური, სპარსული და სხვა მონეტები არაბულმა მონეტებმა შეცვალეს.

'აბდ ალ-მალიქის რეფორმებში აქტიურად მონაწილეობდა ჰაჯაჯ იბნ იუსუფიც. სწორედ მისი ინიციატივით იქნა მიღებული ე.წ. „700 წლის კანონი“, რომლითაც არაარაბმა მუსლიმებმა დაკარგეს საგადასახადო შეღავათები. ამის შედეგად წარმოიშვა ხელისუფლებისათვის ძალიან მწვავე „მავალის საკითხი“ და დაიწყო სოციალური მოძრაობა სახალიფოს სხვადასხვა პროვინციაში. იმავე ჰაჯაჯის სახელთანაა დაკავშირებული არაბული დამწერლობის რეფორმა, რაც ოფიციალურ დოკუმენტებში დიაკრიტიკული ნიშნების და ხმოვნების შემოღებას გულისხმობდა. 'აბდ ალ-მალიქის რეფორმებს მოჰყვა კიდევ ერთი სიახლე – საფოსტო სადგურები (ბარდები), რაც, პირველ რიგში, სახელმწიფოს საკომუნიკაციო ინტერესებს ემსახურებოდა.

‘აბდ ალ-მალიქის ძმა და მემკვიდრე ‘აბდ ალ-‘აზიზი, რომელიც ეგვიპტეს მართავდა, ადრე გარდაიცვალა. ამან საშუალება მისცა ხალიფას ხელისუფლების სათავეში მოეყვანა თავისი შვილები, რომელთაგან პირველი იყო **ალ-ვალიდ I (705-715)**. ამ ხალიფას მოღვაწეობა აღინიშნა ახალი წარმატებებით არაბთა სახალიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ალ-ვალიდი მთლიანად აგრძელებდა ‘აბდ ალ-მალიქის და ჰაჯჯაჟ იბნ იუსუფის პოლიტიკას. მისი ძმისა და მემკვიდრის, ხალიფა **სულაიმანის (715-717)** ხანმოკლე გამგებლობა იმითაა ცნობილი, რომ მის დროს (716-717 წწ.) არაბებმა ერთხელ კიდევ სცადეს კონსტანტინოპოლის აღება, მაგრამ უშედეგოდ. მასვე მიეწერება ქალაქ არ-რამლას აშენება პალესტინაში.

ხალიფა სულაიმანის მემკვიდრე გახდა ‘აბდ ალ-მალიქის ძმისწული, ‘აბდ ალ-‘აზიზის შვილი და ‘უმარ I-ის შთამომავალი (დედით) **‘უმარ II (717-720)**, რომელიც ვალიდ I-ის დროს მედინის გამგებელი იყო. იგი უმაიანთა ისტორიაში შევიდა, როგორც „ჭეშმარიტად მორწმუნე ხალიფა“ მაშინ, როცა ამ დინასტიის წარმომადგენლები, არაბული წყაროების მიხედვით, არ გამოირჩეოდნენ ისლამისადმი დიდი პატივისცემით და, უმეტესად, „ცუდი მუსლიმების“ ან „ურწმუნოების“ რეპუტაციით სარგებლობდნენ. ‘უმარ II-მ სცადა თავისი პირადი მაგალითით და რეფორმებით შეეცვალა საზოგადოებრივი აზრი უმაიანთა სასარგებლოდ. იგი ცდილობდა სახელმწიფოს მართვას ყურანისა და ისლამური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, თუმცა, როგორც **აკად. გ. ვ. ბარტოლდი** თვლიდა, ‘უმარ I-ის პოლიტიკას განსაზღვრავდა არა მისი რელიგიურობა, არამედ დინასტიის განმტკიცების აუცილებლობა.

‘უმარ II-მ საჭიროდ ჩათვალა სახელმწიფოსთვის უაღრესად მწვავე „მაგალის საკითხის“ მოგვარება. ახლად გამუსლიმებული არაარაბები მან გაათანაბრა არაბებთან, რასაც უნდა მოჰყოლოდა მრავალრიცხოვანი სოციალური გამოსვლების შეწყვეტა. მის დროს შესუსტდა უმაიანთა პოტენციური მეტოქეების, შიიტებისა და ხარიჯიტების დევნა, რითაც გადაიდგა ნაბიჯი მათი შემორიგებისაკენ. რაც შეეხება ისლამის გავრცელებას, ხალიფა თვლიდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ნებაყოფლობით, ჯიჰადისა და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეთა ერთი ნაწილი ‘უმარ II-ის რეფორმებს კმაყოფილებით შეხვდა, ხოლო ხალიფამ დიდი პოპულარობა მოიპოვა (განსაკუთრებით ბერბერებში), მის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. შიიტებმა და ხარიჯიტებმა ხელი არ აიღეს ბრძოლაზე უმაიანთა წინააღმდეგ, ხოლო მავლების საგადასახადო მდგომარეობის შემსუბუქებას სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის შემცირება მოჰყვა.

‘აბდ ალ-მალიქის მესამე შვილის **აზინდ II-ის (720-724)** და განსაკუთრებით მეოთხე მემკვიდრის ხალიფა **ჰიშამის (724-743)** დროს მთლიანად აღსდგა მარვანიანთა შინაპოლიტიკური კურსი, რაც ‘უმარ II-ის რეფორმების უარყოფას ნიშნავდა. ხალიფა ჰიშამის კარგად ორგანიზებული ადმინისტრაციულ-ფისკალური აპარატის ფუნქციონირება და მკაცრი საშინაო პოლიტიკა, ერთი მხრივ, განამტკიცებდა უმაიანთა ხელისუფლებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამწვაებდა შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინეს

თავი მომდევნო ხალიფების დროს. ამასთან ერთად, უმაიანთა ხალიფამ დაუშვა შეცდომა, რომელიც ძვირად დაუჯდა მთელ დინასტიას: მუ'ავიას დროიდან დამკვიდრებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ ხალიფა ჰიშამმა გადაწყვიტა, დაყრდნობოდა კაისიტებს და არა ქალბიტებს. ახალი ორიენტაციის შესაბამისად, მან უარი თქვა ქალბიტურ დამასკოზე და თავის რეზიდენციად აქცია არ-რუსნაჰა პალმირას ჩრდილოეთით (ბიზანტიური სერგიოპოლისი), სადაც ძლიერი იყო კაისიტების გავლენა. უმაიანთა მომდევნო ხალიფების დროს შინაპოლიტიკური ორიენტაციის ასეთ შეცვლას მოჰყვა შეტაკებები ქალბიტებსა და კაისიტებს შორის, რაც ბოლოს მესამე სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

743-744 წლებში უმაიანთა ხალიფები იყვნენ **ვალიდ II, იბრაჰიმ III და იბრაჰიმ-ი**. არც ერთ მათგანს თავი არ გამოუჩენია, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს. ვალიდ II-ს არაბი ისტორიკოსები მიაწერენ ისლამისადმი სრულ უპატივეცემულობას და სახელმწიფო ხაზინის განიავებას. უმაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა **მარვან II (744-750)**, საქართველოს ისტორიაში ცნობილია **მურვან ყრუს** სახელით. მიუხედავად იმისა, რომ გახალიფებისას ის უკვე 60 წლის იყო, მარვანმა ენერგიულად შეუტია მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს, მაგრამ მისი სახელმწიფოს არსებობისთვის საჭირო რესურსები უკვე ამოწურული აღმოჩნდა. ერაყში ახალი ძალით განახლდა შიიტებისა და ხარიჯიტების მოძრაობა, სირიაში კი ხალიფას წინააღმდეგ გამოვიდნენ ქალბიტები. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ უმაიანებმა დაკარგეს კონტროლი სირიაზე, რომელიც ყოველთვის მათი საიმედო დასაყრდენი იყო. ასეთ ვითარებაში მარვან II-მ გადაწყვიტა გარიდებოდა სირიას და რეზიდენცია გადაიტანა მესოპოტამიის (ჯაზირას) ქალაქ ჰარრანში, სადაც კაისიტების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. მიუხედავად ხალიფას აქტიური ბრძოლისა ყველა ფრონტზე მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. 744 წელს ვალიდ II-ის დროს სირიაში დაწყებულმა მოძრაობამ, რომელიც ცნობილია სახალიფოს **მესამე სამოქალაქო ომის** სახელით, მარვან II-ის დროს თავისი გაგრძელება პოვა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციაში – ხორასანში. სირიის დაკარგვამ და აღმოსავლეთში უმაიანთა მოწინააღმდეგეების (შიიტები, 'აბასიანთა მომხრეები, სხვადასხვა უკმაყოფილო სოციალური ფენები და ა.შ.) გაერთიანებამ დღის წესრიგში დააყენა მუ'ავია I-ის და 'აბდ ალ-მალიქის მიერ შექმნილი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

2. არაბთა ახალი დაპყრობები (VII ს. მეორე ნახევარი – VIII ს. 30-ანი წლები)

არაბთა ექსპანსია, რომელიც მართლმორწმუნე ხალიფების დროს დაიწყო უმაიანთა აღზევების შემდეგაც გაგრძელდა როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთის (ჩრდილოეთ აფრიკის) მიმართულებით. 642 წ. ნეჰავენდთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ არაბებმა სულ ორი წლის მანძილზე დაიკავეს აზერბაიჯანი და ცენტრალური ირანის ქალაქები ჰამადანი, რეი, ყუმი და ქაშანი, ხოლო 648-649 წლებში მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიმორჩილეს ის-

ტახრი და ფარსი. 651 წელს, როცა მუსლიმები ხორასანში შეიჭრნენ, ირანის შაჰი იეზდიგერდ III მერვის ოაზისში გაიქცა და მოკლულ იქნა. ამით ფაქტობრივად ირანის დაპყრობა დამთავრდა. 704 წელს ჰაჯაჯ იბნ იუსუფის რეკომენდაციით ხორასანის გამგებლად (დედაქალაქით მერვში) დაინიშნა **ქუთაიბა იბნ მუსლიმი**, რომლის მეთაურობით არაბებმა განაგრძეს წინსვლა ავღანეთისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით. ხალიფა ვალიდ I-ის დროს 706 წ. ქუთაიბა, რომელიც უშუალოდ ჰაჯაჯს ემორჩილებოდა, შეიჭრა მავარანაჰრში (მნ ვარჰ ან-ნაჰრ – „რაცაა მდინარის იქით“, ივულისხმება ამუდარიას იქით). 709 წ. არაბებმა დაიკავეს ბუხარა, 712 წ. სამარყანდი, 711-712 წლებში ხორეზმი (ხნვა) და, ბოლოს, 751 წ. ალ-შაში (დღ. ტაშკენტი). ცენტრალური აზიის დაპყრობის დროს მუსლიმებს შეტაკება მოუხდათ ჩინელებთანაც. VII ს. მიწურულს და VIII ს. დამდეგს არაბებმა ფეხი მოიკიდეს დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე. 712 წელს კი შეიჭრნენ ინდოეთში, კერძოდ ქვეყნის ჩრდილო დასავლეთით სინდის პროვინციაში. ამ ლაშქრობის დროს დამპყრობლები დაუპირისპირდნენ თურქული და მონღოლური წარმომავლობის ხალხებს, რომლებმაც შემდეგ აქტიური როლი შეასრულეს ისლამური სახელმწიფოების ისტორიაში. არაბული წყაროების მიხედვით, ქუთაიბა იბნ მუსლიმთან ერთად ცენტრალური აზიის დაპყრობაში მონაწილეობდნენ არაბი სარდლები აბდ არ-რაჰმან იბნ ალ-აშ'ასი და მუჰამმად იბნ ალ-ჯასიმი.

VII ს. 40-იან წლებში არაბები სამხრეთ კავკასიაშიც გამოჩნდნენ და პირველად სომხეთი დაიკავეს. თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის **ა. ტერ-ღევონდიანის** აზრით, არაბულ წყაროებში არეულია არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამას ორი ლაშქრობა სომხეთში – 644 წელს და 654-655 წლებში. სწორედ მეორე ლაშქრობას მოჰყვა სომხეთის სრული დამორჩილება 655 წლის გაზაფხულზე. ამის შემდეგ არაბები საქართველოს მოადგნენ. არაბული წყაროების მიხედვით (ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი) არაბ სარდალს **ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ჰიჰრნს „დაცვის სიგელი“ (ამანი) მიუცია „ქართლის პატრიკიოზისათვის“ (ერისმთავრისთვის), რაც ქართველ მკვლევართა აზრით მომხდარა 644-645 ან 654-655 წლებში.** „დაცვის სიგელში“ გათვალისწინებული იყო ორივე მხარის ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე მყარდებოდა ურთიერთობა არაბებსა და დამორჩილებულ მოსახლეობას შორის. მთავარი ამ სიგელში იყო ის, რომ ქართული მხარე ინარჩუნებდა მანამდე არსებულ მდგომარეობას ხარკის გადახდისა და მუსლიმებისადმი ლოიალური დამოკიდებულების სანაცვლოდ. ამასთან ერთად, არაბები იღებდნენ ვალდებულებას დაეცვათ დამორჩილებული ქვეყანა გარეშე მტრისაგან.

საქართველოზე არაბებს ბიზანტიაც ეცილებოდა. 685 წ. ორ მხარეს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც კვიპროსიდან, სომხეთიდან და იბერიიდან მიღებული ხარკი ამ ორ სახელმწიფოს თანაბრად უნდა გაეყო. არაბების პოტენციურ მეტოქედ სამხრეთ კავკასიაში ითვლებოდნენ ხაზარებიც, მაგრამ ამ წინააღმდეგობების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ქართველები ვერ ახერხებდნენ.

დასავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობა ხანმოკლე გამოდგა. 697 წელს ეგრისის (დას. საქართველოს) გამგებელი სერგი ბარნუკისძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და თავისი ქვეყანა გადასცა არაბებს, რომლებმაც დაიკავეს

ციხეგოჯი (ნაქალაქევი) და რამდენიმე ციხე კოდორის ხეობაში, მაგრამ მალე დატოვეს დასავლეთ საქართველო.

VIII ს. დამდეგს არაბებმა ქართლში განიმტკიცეს პოზიცია და 704-705 წლებში აქ ვერცხლის მონეტაც მოჭრეს, მაგრამ 20-იან წლებში მდგომარეობა გაუარესდა. უმაიანთა ხალიფა ჰიშამმა საჭიროდ ჩათვალა გამოეგზავნა დამსჯელი ჯარი ჯარაჰ იბნ 'აბდ ალლაჰის სარდლობით, რომელსაც 729 (ან 730) წელს განუახლებია ამანი. იმავე მიზნით, 736 წ. საქართველოს მოადგა მარვან იბნ მუჰამადი (მომავალი ხალიფა მარვან II), რომელიც ქართულ წყაროებში **მურვან ყრუს** სახელითაა ცნობილი. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მის ლაშქრობას მოჰყვა ქართლის შემოტევა და თბილისში არაბთა მადალი მოხელის, ამირას (ამირ) დანიშვნა, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ თბილისის საამიროს შექმნა უნდა მომხდარიყო VIII ს. 70-იან წლებში (**გ. ალასანია**). ამირას ნიშნავდა არმიინის (სამხრეთ კავკასიის) ვალი ან ხალიფა. მურვან ყრუს ლაშქრობასთანაა დაკავშირებული ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლის „**მარტვილობა დავითისა და კონსტანტინესი**“-ს შექმნა უცნობი ავტორის მიერ. ამ ძეგლში აღწერილია არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს შეპყრობა მურვან ყრუს მიერ და მათი მოწამებრივი სიკვდილი.³⁴ ასევე, არაბთა ბატონობის პერიოდს ასახავს VIII ს. მეორე ნახევრის ქართველი ჰაგიოგრაფის **იოანე საბანისძის** თხზულება „**აბოს წამება**.“³⁵

შედარებით ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს არაბებმა მცირე აზიაში, სადაც ისინი ბიზანტიის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. კონსტანტინოპოლის აღების წარუმატებელი ცდის შემდეგაც შეტაკებები ამ სადავო ტერიტორიისთვის გრძელდებოდა, მაგრამ ორ მხარეს შორის ურთიერთობაში მათ რაიმე ცვლილება არ შეუტანიათ. საზღვარი ბიზანტიასა და სახალიფოს შორის გადიოდა კილიკიის მთებსა და მდინარე ევფრატის ზემო წელზე.

უმაიანთა დროს არაბები ბიზანტიის პოზიციებს დაემუქრნენ ჩრდილოეთ აფრიკაშიც. ეგვიპტე წარმოადგენდა იმ საიმედო ბაზას, საიდანაც არაბთა ექსპანსია გავრცელდა დასავლეთით და მოიცვა მთელი ჩრდილოეთ აფრიკა, რომელსაც დღეს აერთიანებენ სახელწოდებით „არაბული მადრიბი“. მიუხედავად იმისა, რომ არაბთა დაპყრობების ეს პერიოდი აისახა IX ს. არაბი ავტორის **'აბდ არ-რაჰმან იბნ ალ-ჰაქამის** ნაშრომში, ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი დღესაც ბუნდოვანია. როგორც ჩანს, მადრიბის დაპყრობა ხდებოდა ეგვიპტეში თავმოყრილი რაზმების ცალკეული არაბი სარდლების ინიციატივით და არაუშუალოდ ხალიფას მითითებით. მთელი 30 წლის მანძილზე არაბები კმაყოფილდებოდნენ ეგვიპტიდან განხორციელებული დარბევითი რეიდებით. მხოლოდ 670 წლის შემდეგ ასეთ რეიდებს დაპყრობითი ლაშქრობაც შეიძლება ვუწოდოთ.

უკვე 641-644 წლებში არაბებმა დაიკავეს დღევანდელი ლიბიის საზღვაო სანაპირო და ქალაქი ტრიპოლი (ტარაბულუს ალ-ღარბ), მაგრამ მუსლიმთა კონტროლი ამ რეგიონზე არ იყო მტკიცე. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ 647 წ. არაბმა სარდალმა **'აბდ ალლაჰ იბნ სა'დმა** დიდი გამარჯვება მოიპოვა ბიზანტიელებზე დასავლეთ თუნისში, მაგრამ მალე მუსლიმები იძულებული გახდნენ ეგვიპტეში დაბრუნებულიყვნენ. 13 წლის შემდეგ 'ამრ იბნ ალ-'ასის ნათესავი და თანამებრძოლი **'უბა ('უბა იბნ ნაჰი)** დაიძრა დასავლეთისკენ,

გაიარა ლიბია და გადავიდა დღევანდელი თუნისის ტერიტორიაზე. სადაც 670 წელს სამხედრო ბანაკის სახით საფუძველი ჩაუყარა ქალაქ კაირავანს და პირველ მეჩეთს მადრიბში.³⁶ 673 წელს ხალიფა მუ'ავია I-მა, რომელსაც ემინოდა უკბას მეტისმეტი გაძლიერებისა, გადააყენა იგი, მაგრამ ხალიფა იაზიდ I-მა გამოჩენილი სარდალი უფლებებში აღადგინა და მას მთელი მადრიბი ჩააბარა. 63/683 წელს ბიზანტიელების და ბერბერების გაერთიანებულ ჯართან შეტაკებისას უკბა დაიღუპა და არაბთა წინსვლაც დროებით შეჩერდა. მას შემდეგ, რაც 698 წელს არაბებმა ჰასან იბნ ნუ'მანის მეთაურობით დაიკავეს ყოფილი კართაგენი (კარტაჯანა)³⁷ მადრიბის დიდი ნაწილი მათ ხელში გადავიდა. 710 წ. მუსლიმებმა, რომელთაც სათავეში ჩაუდგა იბნ ნუსაირი (მუსა იბნ ნუსაიდრ), დაამთავრეს მადრიბის დაპყრობა, მიაღწიეს ატლანტის ოკეანის ნაპირებს (დღ. მაროკო) და საჰარის სავაჭრო-სატრანზიტო გზებზეც გავიდნენ.

ჩრდილოეთ აფრიკაში მიღწეული წარმატების შემდეგ არაბთა ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია ეგვიპტიდან დღევანდელი მაროკოს ჩათვლით. პოლიტიკური თვალსაზრისით მათი მოწინააღმდეგე აქ ბიზანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაქტობრივად ბიზანტიელები მხოლოდ საზღვაო სანაპირო ზოლს და ქალაქებს აკონტროლებდნენ. ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა – ბერბერები³⁸ შორს იდგნენ რომაულ-ბიზანტიური ცივილიზაციისაგან და არაბთა შემოსევის დროსაც მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ერთხანს ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს და სარდალი უკბაც მათთან ბრძოლას შეეწირა, მაგრამ ჩრდილოეთ აფრიკაში არაბთა საბოლოო გამარჯვების შემდეგ ბერბერთა ტომებმა ისლამი მიიღეს, არაბთა მფარველობაში შევიდნენ და, როგორც მავლებმა, თავისი წვლილი შეიტანეს ესპანეთის დაპყრობაში.

გამუსლიმებული მადრიბი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენდა იფრიკია (იფრუკია, დღ. თუნისი და აღმოსავლეთ ალჟირი) მთლიანად გამოეყო ეგვიპტეს და მისი გამგებელი (708 წლიდან იბნ ნუსაირი) მხოლოდ ხალიფას ემორჩილებოდა. სახალიფოს ახალი, დასავლეთის პროვინციის დედაქალაქი გახდა კაირავანი, რომლის კათედრალური მეჩეთი უკბას სახელს ატარებს და დღესაც მადრიბელი მუსლიმების საპილიგრიმო ადგილად ითვლება.

მადრიბში ისლამური სახელმწიფოებრიობისა და შესაბამისი ფისკალური სისტემის შექმნას მოჰყვა სოციალური დაძაბულობა, რომელსაც ამძაფრებდა უთანასწორობა არაბ და ბერბერ მუსლიმებს შორის. ასეთ პირობებში ბერბერებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა უფრო დემოკრატიული და რადიკალური ისლამი – ხარიჯიტობა, რომელიც სახალიფოს ამ რეგიონში უკმაყოფილო მოსახლეობისა და ოპოზიციური მოძრაობის იდეოლოგია გახდა.

ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობის შემდეგ შესაძლებელი გახდა ექსპანსიის გაგრძელება სამხრეთით, მაგრამ უნაყოფო საჰარა ნაკლებად იზიდავდა არაბებს, რომლებიც, პირველ რიგში, ნადავლით იყვნენ დაინტერესებული. ამ მხრივ უფრო პერსპექტიული ჩანდა ჩრდილოეთით, ვიწრო სრუტის იქით მდებარე ქრისტიანული ესპანეთი, რომლის სიმდიდრის შესახებ არაბებს საკმაო ინფორმაცია ჰქონდათ მადრიბელი ბერძენებისაგან, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, გემებით ესმარებოდნენ მუსლიმებს ევროპის კონტინენტზე გადასვლაში. პირველი რეიდი პირენეის (იბერიის) ნახევარკუნძულზე არაბებმა

განახორციელეს 710 წელს, როცა დაახლოებით 400 კაცისგან შემდგარი რაზმი მუსა იბნ ნუსაირის მავლას, ტარიფის მეთაურობით გადავიდა დღევანდელი გიბრალტარის დასავლეთით. არაბები დარწმუნდნენ ესპანეთის დაპყრობის შესაძლებლობაში და მომდევნო 711 წელს 7 ათასამდე მუსლიმი, რომელთა დიდ ნაწილს ბერბერები შეადგენდნენ, ასევე ბერბერი სარდლის ატ-ტარიკის (ტარიკ იბნ ზიანდ) მეთაურობით ესპანეთში შეიჭრა. შინაპოლიტიკური ვითარება ესპანეთის ვესტგუთების სახელმწიფოში ხელს უწყობდა არაბთა წარმატებას: სამეფო კარზე არ იყო ერთიანობა ტახტისთვის დაპირისპირების გამო, ქალაქებში მცხოვრები ებრაელები განიცდიდნენ რელიგიურ დევნას, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო ექსპლუატაციით და ძალადობით, რომელმაც ამ დროს ფართო ხასიათი მიიღო. გარდა ამისა, ისლამი ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო ესპანელებისათვის და აღიქმებოდა, როგორც ქრისტიანობის ერეტიკული მიმდინარეობა. ესპანელთა ერთი ნაწილი მუსლიმთა მოსვლას თვლიდა დროებით მოვლენად და უფრო ნაკლებ ბოროტებად მიიჩნევდა, ვიდრე ვესტგუთების არაპოპულარულ ხელისუფლებას. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, მუსლიმებს მოსახლეობის განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ და ესპანეთის დაპყრობაც წარმატებით მიმდინარეობდა.

პირველი პლაცდარმი, რომელიც არაბებმა შექმნეს ესპანეთის ტერიტორიაზე, განლაგებული იყო მადლობთან, რომელსაც ეწოდა ატ-ტარიკის მთა („ჯაბალ ატ-ტარიკ“, აქედან – გიბრალტარი). გადამწყვეტ ბრძოლაში რიო ბარბატეს ველზე ატ-ტარიკმა დაამარცხა მეფე როდრიგო (როდერიკი, არაბ. რუდრიკ, ლაზრეკ, რუდრიქ) რის შემდეგაც აიღო ქალაქი კორდოვა და ვესტგუთების დედაქალაქი ტოლედო.

712 წლის ზაფხულში ესპანეთში გადავიდა მუსლიმთა (ძირითადად არაბთა) დიდი ჯარი მადრიბის გამგებლის მუსა იბნ ნუსაირის მეთაურობით. მუსამ დაიკავა რამდენიმე ქალაქი და 713 წელს შეუერთდა ატ-ტარიკს. მალე, ამის შემდეგ (სავარაუდოდ 714 წ.), ესპანეთის დამპყრობი ორივე სარდალი ხალიფამ დამასკოში გაიწვია. ნახევარკუნძულის დაპყრობილ ტერიტორიაზე მთელი ძალაუფლება გადაეცა მუსა იბნ ნუსაირის შვილს ‘აბად ალ-‘აზიზს, რომელიც დაიღუპა 716 წელს. მისი საქმე განაგრძეს არაბმა სარდლებმა, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. 732 წელს ‘აბდ არ-რაჰმან ალ-ღაფიკენს მეთაურობით მუსლიმები, რომლებმაც თითქმის მთელი ესპანეთის დაპყრობა დაამთავრეს, ფრანკების სახელმწიფოში შეიჭრნენ. გადამწყვეტი ბრძოლა ფრანკებთან, რომელთაც კარლოს მარტელი (715-741) ედგა სათავეში, მოხდა ქ. ტურსა და პუატიეს შორის, რომელიც მუსლიმთა დამარცხებით დამთავრდა. ეს მარცხი შესაძლებელია განაპირობა განხეთქილებამ, რომელმაც თავი იჩინა არაბებსა და ბერბერებს შორის. 738 წ. კარლოს მარტელმა კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა არაბებს, ხოლო 751 წ. მათ წაართვა ნარბონა (არაბ. არბუნა), მუსლიმთა მიერ ფრანკების ტერიტორიაზე მიტაცებული ბოლო ქალაქი.

ევროპის ისტორიის მეკლევართ მიაჩნიათ, რომ 732 წ. მოპოვებული გამარჯვებით კარლოს მარტელმა იხსნა დასავლეთი ევროპა არაბთა ექსპანსიისგან, მაგრამ მან არსებითად ვერ შეცვალა მდგომარეობა ესპანეთში, რომელიც არაბთა სახალიფოს ერთ-ერთი პროვინცია გახდა სახელწოდებით

„ალ-ანდალუს“ (ანდალუსია).³⁹ თავდაპირველად არაბებმა დედაქალაქი ტოლედოდან სევილიაში გადაიტანეს, 717 წლიდან კი მუსლიმური ესპანეთის დედაქალაქი გახდა კორდოვა. ქვეყნის გამგებელი – ამირა უმაიანთა მოხელედ ითვლებოდა, მაგრამ კაირავანიდან, მით უმეტეს დამასკოდან მისი საქმიანობის წარმართვა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ამიტომ, ესპანელ მუსლიმებს არ შეეძლოთ საშინაო ან საგარეო საკითხების მოსგვარებლად ხალიფას დახმარების იმედი ჰქონოდათ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მიუხედავად მრავალი ცდისა, არაბებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთ ესპანეთის სრული დამორჩილება. ეს მთიანი რეგიონი ესპანელ ქრისტიანთა მიუდგომელ ციხესიმაგრედ იქცა, რაც, საბოლოოდ, დამღუპველი აღმოჩნდა ისლამური ესპანეთისთვის.

ამგვარად, VIII ს. პირველ ნახევარში არაბთა დაპყრობების შედეგად სახალიფოში გაერთიანდა ვრცელი ტერიტორია, რომელიც დასავლეთით იწეებოდა ატლანტის ოკეანის ნაპირებთან და აღმოსავლეთით ინდოეთამდე ვრცელდებოდა. ჩრდილოეთით სახელმწიფოს საზღვარი გადიოდა კავკასიონზე (დერბენდი, ძვ. დარუბანდი), ხოლო სამხრეთით წითელ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეზე. ძირითადი მიზეზი, რომელმაც განაპირობა არაბთა ესოდენ შთაბეჭდავი წარმატება უნდა მოიძებნოს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ დაპირისპირებაში, რომელიც ირანისა და ბიზანტიის პროვინციებში დახვდათ მობილურ და ენთუზიზაზმით სავსე მუსლიმთა რაზმებს. აღმოსავლეთის ორი უდიდესი სახელმწიფოს მარცხს მოჰყვა პირველის სრული განადგურება, ხოლო მეორის უმნიშვნელოვანესი ტერიტორიული დანაკარგი აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ისტორიის სარბიელზე გამოვიდა ახალი ისლამური იმპერია, რომელიც ისტორიაში შევიდა ჯერ უმაიანთა, შემდეგ კი ‘აბასიანთა სახელმწიფოს სახელით.

3. უმაიანთა სახალიფოს პოლიტიკური სისტემა, მისი დასაყრდენი და დაცემის მიზეზები

დაპყრობითი ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ, VIII ს. მეორე ნახევარში არაბები აღმოჩნდნენ ახალმოსახლეთა მდგომარეობაში სამ კონტინენტზე. დაპყრობილ ქვეყნებში მათ მიიტანეს არაბული ენა და ისლამი, ხოლო რიგ შემთხვევაში საფუძველი ჩაუყარეს ისეთ ქალაქებს, როგორცაა შირაზი (ირანში), ქუფა და ბასრა (ერაყში), არ-რამლა (პალესტინაში), ფუსტატი (ეგვიპტეში), კაირავანი (თუნისში) და სხვა. ყველა ის ქვეყანა, რომელიც მუსლიმებით იყო დასახლებული და უშუალოდ მათ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, იწოდებოდა „დარ ალ-ისლამ“-ად. ის ქვეყნები, რომელთაც შეინარჩუნეს თავისი რელიგია და მმართველობის წესი საგარანტიო ხელშეკრულების (ამანის) საფუძველზე იყო „დარ ას-სულჰ“, ხოლო ის ქვეყანა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მუსლიმებს და არ ცნობდა ისლამს, განიხილებოდა, როგორც „საომარი ქვეყანა“ („დარ ალ-ჰარბ“). სირიასა და ერაყში, სადაც მოსახლეობა სემიტური იყო და არამეული კულტურის გავლენას განიცდიდა, არაბიზაციის პროცესი სწრაფად განვითარდა, ხოლო ‘აბდ ალ-მალიქის რეფორმების შემდეგ ის მეტ-ნაკლებად სხვა პროვინციებზეც

გავრცელდა. თავის მხრივ, ადგილობრივმა ხალხებმა, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, დამპყრობლებზე მაღალი კულტურა და სახელმწიფოებრივი ტრადიციები ჰქონდათ, გავლენა მოახდინეს არაბებზე.

უმაიანთა პერიოდში არაბთა ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები მოხდა. ახალი მონოთეისტური რელიგიის მიღებამ, ფართო სამხედრო-პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლამ და კულტურული ხალხების გავლენამ შეცვალა მათი შეხედულებები, გემოვნება და გარეგნობაც კი. ამ დროს ისლამის ძალდატანებით გავრცელებას, იუდეველი ან ქრისტიანი მოსახლეობის დევნას ადგილი არ ჰქონია და არაბები ამჯობინებდნენ არამუსლიმებთან, ან როგორც მათ უწოდებდნენ, ზიმიებთან (აჰლ ალ-ზიმმა) მშვიდობიან თანაარსებობას სულადი გადასახადის – ჯიზიას დაწესების საფუძველზე. დაპყრობილი ტერიტორიების გადანაწილებამ, ბიზანტიისა და ირანის დროინდელი ექსპლუატაციის ფორმების შენარჩუნებამ, აგრეთვე მონათმფლობელობის ძლიერმა გადმონაშთებმა სახალიფოს სინკრეტული ხასიათი მისცა.

უმაიანთა ხალიფებმა ფაქტობრივად უარი თქვეს თეოკრატიაზე და საერო გამგებლებად იქცნენ. სახელმწიფო არ იყო მკაცრად ცენტრალიზებული და ცალკეული პროვინციების გამგებლები ფართო უფლებებით სარგებლობდნენ. სახალიფოს ადმინისტრაციული რუკა დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: 1) ერაყი, ირანის დიდი ნაწილი და აღმოსავლეთი არაბეთი ცენტრით ქუფაში. მოგვიანებით, ხორასნის გამგებელი ახორციელებდა კონტროლს ცენტრალური აზიის, სინდისა და ფენჯაბის პროვინციებზე; 2) ერაყის ჩრდილოეთი (ალ-ჯაზირა), აღმოსავლეთი ამიერკავკასია და მცირე აზიის აღმოსავლეთი; 3) ჰიჯაზი, იემენი და ცენტრალური არაბეთი; 4) ეგვიპტე; 5) იფრიკია, არაბული მალრიბი და ესპანეთი ცენტრით კაირავანში; 6) ე.წ. „დიდი სირია“, რომელიც თითქმის მთელ წინა აზიას მოიცავდა (დღ. პალესტინა, იორდანია, ლიბანი და, საკუთრივ, სირია) დედაქალაქით დამასკოში, წარმოადგენდა სახალიფოს ცენტრს და დინასტიის დასაყრდენს. აქედან გამომდინარე, **უმაიანთა სახელმწიფოს ზოგჯერ დამასკოს სახალიფოსაც უწოდებენ**. ცალკეული პროვინციების სათავეში იდგნენ ხალიფას მიერ დანიშნული გამგებლები – ამირები (ან საჰიბები), რომლებიც აერთიანებდნენ სამხედრო და ადმინისტრაციული მეთაურის ფუნქციებს. უმაიანთა დროს მათ ჰყავდათ ორი მოადგილე, რომელთაგან ერთი – ‘ამილი (‘ამილ) პასუხისმგებელი იყო გადასახადებზე, ხოლო მეორე – ყადი (კადი) ითვლებოდა სასულიერო და სასამართლო მოხელედ. სახალიფოს უმაღლეს საფინანსო მოხელეს ეწოდებოდა სნჰიბ ალ-ხარაჯ და ის უშუალოდ ხალიფას ემორჩილებოდა. ისლამამდელი ტრადიციების შესაბამისად ტომობრივი პრინციპით იყო აგებული უმაიანთა ჯარი, რომელშიც პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ სირიაში განლაგებულ ქალბიტურ ტომებს. მდგომარეობა შეიცვალა ხალიფა ჰიშამის დროს, როცა კაისიტებზე აღებული ორიენტაცია ახალი სამოქალაქო ომის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ უმაიანთა უკანასკნელი ხალიფა მარვან II ენერგიულად იბრძოდა დინასტიის გადასარჩენად, მისი მდგომარეობა უარესდებოდა. რეზიდენციის **ჰარრანში**⁴⁰ გადატანამ მას საბოლოოდ დაუკარგა სირიელების მხარდაჭერა. იმ დროს, როცა ხალიფა დაკავებული იყო სირიისა და ერაყის დაშოშმინებით, ირანსა და ცენტრალურ აზიაში დაიწყო შიიტების

მოძრაობა, რომელიც მოხერხებულად გამოიყენეს მოციქულის ბიძის 'აბასის შთამომავლებმა (ბანუ-ლ-'აბბას, ალ-'აბბასნუნ). ჯერ კიდევ VIII ს. პირველ ნახევარში ქუფაში შეიქმნა ფარული ორგანიზაცია, რომელიც თვლიდა, რომ სახალიფოს სათავეში უნდა მოსულიყვნენ მუჰამედის ოჯახის – აჰლ ალ-ბაითის წევრები. მუსლიმთა ერთი ნაწილი აჰლ ალ-ბაითს მიაკუთვნებდა აბუ ტალიბის და ალ-'აბასის, ე.ი. მოციქულის ორივე ბიძის ოჯახს, მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ ამ ტერმინით ერთიანდებოდა ჰაშიმიანთა გვარი. განსხვავებული აზრი ჰქონდათ შიიტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აჰლ ალ-ბაითს ეკუთვნოდნენ მხოლოდ 'ალის და ფატიმას შთამომავლები. იმ მოძრაობაში, რომელიც ხორასანში დაიწყო მონაწილეობდნენ 'აბასიანთა მომხრეები, რომლებიც შეეცადნენ აჯანყებულთა რიგებში მიეზიდათ სუნიტები, შიიტები, ხარიჯიტები და არამუსლიმებიც კი, ე. ი. ყველა, ვინც ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილი იყო უმაიანთა რეჟიმით. მიმართავდა რა სოციალურ დემაგოგიას, 'აბასიანთა პროპაგანდა მოსახლეობას არწმუნებდა, რომ თუ ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა მოციქულის საგვარეულო, ე.ი. ჰაშიმიანები, მუსლიმები მიიღებდნენ საგადასახადო შეღავათებს, ხოლო არამუსლიმები დაიბეგრებოდნენ მუსლიმური სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად. 'აბასის მიმდევრებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ხორასანში, სადაც უმაიანთა წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ენერგიული აბუ მუსლიმი (აბუ მუსლიმ ალ-ხურასანი), როგორც ფიქრობენ სპარსელი მავლა. 747 წლის ივნისში მერვის ოაზისის სოფლებიდან 'აბასიანთა შავი დროშის ქვეშ გამოვიდა 4 ათასამდე აჯანყებული (შიიტების დროშა იყო მწვანე ფერის, ხოლო ხარიჯიტებისა თეთრი). მალე აბუ მუსლიმის რაზმს შეუერთდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, ფელაჰები, ხელოსნები და მონებიც კი, რომლებიც ცალკე ბანაკად იყვნენ განლაგებული. განსაკუთრებულ ძალას ამ აჯანყებას აძლევდა ირანელი დეჰკანებისა და ხორასანში დამკვიდრებული არაბული ტომების (ქალბიტების) მონაწილეობა. უმაიანთა გამგებელმა ნასრ იბნ საიარმა დახმარებისთვის მიმართა ხალიფას, მაგრამ სირიისა და ერაყის პრობლემების მოუგვარებლობის გამო, მან ვერ შეძლო ჯარის გაგზავნა აღმოსავლეთით წარმოქმნილი საფრთხის აღმოსაფხვრელად. ამასობაში, ხორასანისა და მისი დედაქალაქის მერვის გარდა, აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა მთელი ირანი და ცენტრალური აზია, ხოლო 749 წლის შემოდგომაზე აბუ მუსლიმის სარდალი კაჰტაბა (კაჰტაბა იბნ შაბნ ატ-ტან) ერაყში შეიჭრა. ქუფის ჩრდილოეთით 'აბასიანთა შეჩერება სცადა უმაიანთა ჯარმა იბნ ჰუბაირას მეთაურობით, მაგრამ შეტაკება 'აბასიანთა გამარჯვებით დამთავრდა. მართალია, ბრძოლაში დაიღუპა კაჰტაბა, მაგრამ იგი შეცვალა მისმა შვილმა ჰასანმა, რომელიც ქუფაში შევიდა. იმავე წელს ქუფის კათედრალურ მეჩეთში 'აბასიანთა გვარის წარმომადგენელი აბუ-ლ-'აბასი ხალიფად გამოცხადდა ას-საფაჰის (ას-საჰჰანჰ) სახელით. მიუხედავად ახალი დინასტიის აღზევებისა, უმაიანთა ხალიფა არ აპირებდა წინააღმდეგობის შეწყვეტას. 750 წლის იანვარში უმაიანთა 12 ათასიანი ჯარი ჰარრანიდან დაიძრა და ტიგროსის შენაკადზე, მდინარე დიდი ზაბის მარცხენა ნაპირზე შეხვდა 'აბასიანთა ჯარს, რომელსაც სარდლობდა ხალიფას ბიძა 'აბდ ალლაჰ იბნ 'ალი. უმაიანები დამარცხდნენ, რის შემდეგაც 'აბდ ალლაჰი სირიაში შეიჭრა და 750 წლის აპრილში დამასკო დაიკავა. მარვან II გაიქცა ეგვიპტეში, სადაც

მოკლეს იმავე წელს. არაბთა ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა, რომელიც აღინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

4. ყმაიანთა სახალიფოს სამეურნეო ცხოვრება, მეცნიერება და კულტურა

მართალია, ისლამური ექსპანსიის პირველ წლებში უდაბნოს არაბული ტომების ძირითადი მამოძრავებელი ძალა ნადავლი (ჟაჰ) იყო, მაგრამ ხალიფები და მათი გარემოცვა კარგად ხედავდნენ, რომ სახელმწიფო მხოლოდ დარბევითი ლაშქრობების საშუალებით ვერ იარსებებდა. საჭირო გახდა, პირველ რიგში, იმ სამეურნეო ბაზისის გამოყენება, რომელიც მათ დაპყრობილ ქვეყნებში დახვდათ. არაბთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თანდათანობით მათ აითვისეს სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დაგროვდა საუკუნეების მანძილზე და, უფრო მეტიც, ხელი შეუწევს მის შემდგომ განვითარებას. ის ფისკალური სისტემა, რომლის ჩამოყალიბებაც უკვე უმაიანთა დროს დაიწყო და სრული სახე 'აბასიანთა პერიოდში მიიღო, თავისი საფუძვლებით ემყარებოდა ძველ სპარსულ და ბიზანტიურ ტრადიციას. უმაიანთა დროს, ისევე როგორც გვიანდელ ისლამურ სახელმწიფოებში, მიწის უმაღლეს მესაკუთრედ სახელმწიფო ითვლებოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა მასზე კერძო მფლობელობას, რომელსაც შემდეგ ეწოდა მულქი და გულისხმობდა მიწის ნაკვეთის თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას. მიწის დამუშავება ხდებოდა მოიჯარეების მიერ, მაგრამ არსებობდა სათემო მეურნეობაც. ხალიფა 'აბდ ალ-მალიქის დროს ჩატარდა დასამუშავებელი მიწების აღწერა, განისაზღვრა გადასახადის გადამხდელთა შესაძლებლობა და ვალდებულება ადგილობრივი პირობებისა და მოსავლის მოსალოდნელი სიდიდის მიხედვით. მიწის დამუშავებელს, ე.ი. ფელაჰებს ეკრძალებოდათ მიწების მიტოვება. არაბთა მოსვლამ რამდენადმე შეარყია ადგილობრივ მიწისმფლობელთა ფისკალური პრეროგატივები. მიწაზე დაწესებულ გადასახადს – ხარაჯს (ხარჯ) თავდაპირველად იხდიდნენ მხოლოდ არამუსლიმები ნატურით ან ფულით, მაგრამ, ე.წ. 700 წლის კანონით, ისლამის მიღება აღარ ათავისუფლებდა მოსახლეობას ხარაჯისაგან. მიწა, რომელზედაც დაწესებული იყო ხარაჯი, თავის ფისკალურ სტატუსს არ იცვლიდა, მიუხედავად იმისა, მისი მფლობელი მუსლიმი იქნებოდა თუ არამუსლიმი. როგორც **აკად. ვ.ვ. ბარტოლდი** შენიშნავდა, ხარაჯი ადრინდელ სახალიფოში ხშირად არამუსლიმებზე შეწერილ სულად გადასახად ჯიზიასთან იყო გაიგივებული, მაგრამ ამ გადასახადებს უკვე მაშინ ჰქონდათ კონკრეტული შინაარსი. მუსლიმებისთვის დაწესებული იყო გადასახადი ზაქათი (ზაქათ), ხოლო მოციქულის დროიდან დამკვიდრებული ტრადიციით დაპყრობითი ლაშქრობების დროს ხელში ჩაგდებული ნადავლის 1/5 მუსლიმური თემის მეთაურს, ე.ი. ხალიფას ეკუთვნოდა.

უმაიანთა აღზევების შემდეგ ისლამის სამშობლომ, ჰიჯაზმა დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა და ადგილი დაუთმო ეკონომიკურად განვითარებულ სირიასა და ერაყს. უმაიანთა ხალიფების ურთიერთობა ჰიჯაზელ მორწმუნეებთან არასოდეს არ ყოფილა მეგობრული, ხოლო იაზიდ I-ის გახალიფების შემდეგ ის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ასეთ პირობებში, უმაიანები ცდილობდნენ კიდევ უფრო შეესუსტებინათ ჰიჯაზის როლი არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ რელიგიაშიც. არაბ ავტორთა მეორე ნაწილი უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა იმ თვალსაზრისს, რომ უმაიანთა მიერ მონუმენტური მენეთების აგება განპირობებული იყო ქრისტიანებთან მეტოქეობით და ისლამის პრესტიჟის ამაღლების სურვილით. ამ მიზნით, მათ სცადეს გამოეყენებინათ პალესტინა, კერძოდ იერუსალიმი, რომლის რელიგიური სტატუსი კარგად იყო ცნობილი არაბებისთვის. მოციქულ მუჰამედის ცხოვრების იერუსალიმთან დაკავშირებული ეპიზოდების (პირველი ყიბლა, მი'რაჯი) საფუძველზე, უმაიანებმა სცადეს მორწმუნეთა ყურადღება გადაეტანათ პალესტინაზე. ამ მიზნით იერუსალიმში გაიშალა დიდი სამშენებლო საქმიანობა, რომელსაც მოჰყვა ისლამურ სამყაროში კარგად ცნობილი მენეთების აგება. 687-691 წლებში ხალიფა 'აბდ ალ-მალიქის ბრძანებით იერუსალიმის ცნობილ ბიბლიურ მადლობზე (**ალ-ჰარამ აშ-შარინი**)⁴¹ ააშენეს მენეთი „კუბბათ ას-სახრა“ („კლდის გუმბათი“), რომელსაც ზოგჯერ „უმარის მენეთსაც“ უწოდებენ, ვინაიდან, გადმოცემის თანახმად, პირველი პრიმიტიული სამლოცველო აქ სწორედ ხალიფა 'უმარ I-ის ბრძანებით აუგიათ. ხალიფა ვალიდ I-ის დროს აქვე აუშენებიათ „ალ-მასჯიდ ალ-აკსა“ („მორეული მენეთი“), რომელიც „კუბბათ ას-სახრასთან“ ერთად ქმნის საერთო კომპლექსს. გარდა ამისა, ხალიფას ბრძანებით მენეთად გადაკეთდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც ისლამური სირიის ისტორიაში შევიდა „უმაიანთა მენეთის“ სახელით. მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენიმეჯერ საგრძნობლად დაზიანდა (1068, 1174, 1401, 1479 და, ბოლოს, 1893 წწ.), მან დღემდე შეინარჩუნა კათედრალური მენეთის მნიშვნელობა. „უმაიანთა მენეთმა“ გარკვეული დიდი დაასვა საკულტო ნაგებობათა არქიტექტურას სირია-პალესტინაში და სხვა არაბულ ქვეყნებში. ისლამის გავრცელებასთან ერთად, მენეთები გაჩნდა დაპყრობილ პროვინციებშიც, მაგრამ ისინი ბევრად ჩამორჩებოდნენ სირია-პალესტინაში უმაიანთა მიერ აგებულ მონუმენტურ შენობებს. პირველი მენეთები აუშენებიათ გამონიღი არაბ სარდლებს: 'უთბა იბნ ღაზვანს ბასრაში (637-638 წწ.), სა'დ იბნ აბი ვაკასს ქუფაში (638-639 წწ.), 'ამრ იბნ ალ-'ასს ფუსტატში (642 წ.) და 'უკბა იბნ ნაფი'ს კაირავანში (670-675 წწ.). თანდათანობით არაბთა სამშენებლო გემოვნება და არქიტექტურა შეიცვალა დაპყრობილ ქვეყნებში მიღებული გამოცდილების გავლენით, რაც იქ აგებული მენეთების ფორმაზეც აისახა.

უმაიანთა სახალიფოს განვითარების დონის და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისი იყო ინტელექტუალური საქმიანობაც. მართალია, მართლმორწმუნე ხალიფებისა და უმაიანთა გამგებლობის დროს არაბულ-ისლამური მეცნიერება არ გამოიჩინოდა განსაკუთრებული მიღწევებით და ამ თვალსაზრისით მისი შედარება 'აბასიანთა პერიოდთან ძნელია, მაგრამ გარკვეული წარმატებების აღნიშვნა მაინც შეიძლება. პირველ რიგში, ეს ეხება არაბული ენის შესწავლასთან დაკავშირებული გრამატიკული

სკოლების შექმნას ქუფასა და ბასრაში. ყურანისა და ისლამის ენა ათასობით მუსლიმის ურთიერთობის ენაც გახდა, ხოლო 'აბდ ალ-მალიქის რეფორმების შემდეგ, ფაქტობრივად, მან სახელმწიფო ენის სტატუსი მიიღო. აქედან გამომდინარე, არაბული ენის ნორმების დადგენას ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა და ემსახურებოდა მის დამკვიდრებას იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ყოველდღიურ, ყოფით საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა, როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათანობით გადაიზარდა სამეცნიერო ინტერესებში და ბიძგი მისცა არაბული ენის პირველ ლინგვისტ მკვლევართა გამოსვლას ასპარეზზე. მათ შორის იყვნენ ბასრელი მეცნიერები **აბუ-ლ-ასვად ალ-დუ'ალბი (გარდ. 688 წ.)** და მისი მოწაფე **ალ-ხალნლ იბნ აჰმადი (გარდ. VIII ს. მიწურულს)**, რომელსაც შეუდგენია პირველი არაბული ლექსიკონი „ქითაბ ალ-‘აინ“. ბასრის გრამატიკული სკოლის ყველაზე დიდი წარმომადგენელია **ალ-ხალნლ იბნ აჰმადის მოწაფე 'ამრ იბნ 'უსმან ას-სიბავაჰი (გარდ. დაახლ. 796 წ.)**. მას ეკუთვნის დიდი ტრაქტატი არაბული ენის გრამატიკის საკითხებზე, რომელიც ცნობილი გახდა სახელწოდებით „ქითაბ“. ეს ნაშრომი განსაზღვრავდა არაბთა საქმიანობას ლინგვისტიკაში თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ისევე, როგორც უმაიანთა და 'აბასიანთა პერიოდის მრავალი სხვა მეცნიერი, ას-სიბავაჰიც წარმოშობით სპარსელი იყო. მასთან პოლემიკას ეწეოდა ქუფის გრამატიკული სკოლის მეთაური **'ალბ იბნ ჰამზა ალ-კის'ნი (გარდ. 804 წ.)**.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკურმა ცენტრმა დამასკოში გადაინაცვლა, ჰიჯაზის ძველი მუსლიმები და მათი შთამომავლები მოწყდნენ სახალიფოს მართვა-გამგებლობის საქმეს. ისინი ძირითადად პირადი ცხოვრებით იყვნენ დაკავებული და მეტი დრო ჰქონდათ მუსიკის, სიმღერებისა და პოეზიისთვის. მედინაში ცხოვრობდა თავისი დროის ერთ-ერთი ცნობილი ქალი, იმამ ჰუსაინის ქალიშვილი საჰდა სუჰაინა (გარდ. 735 წ.), რომელიც კარგად იცნობდა ისლამამდელ არაბულ პოეზიას, იყო მომღერალი და ჰიჯაზში იმ დროის მოდის ფუძემდებელი. მისი თანამედროვე და მეტოქე 'ა'იშა ბინთ ტალჰა ასევე ეკუთვნოდა გავლენიან ოჯახს და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

თავისებური სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ჰიჯაზში შეიქმნა, განაპირობებდა არაბული ლირიული პოეზიის წარმოქმნას. პოეზია ორი მიმართულებით ვითარდებოდა: ქალაქური (უმარიტული) ან სატრფიალო ლირიკა, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელია მედინელი პოეტი **'უმარ იბნ აბუ რაბი'ა (644-712)** და ბედუინური, ე.ი. უზრიული პოეზია, რომლის სახელწოდებაც უკავშირდება ჰიჯაზის ერთ-ერთი ტომის – ბანუ უზრას სახელს. ძირითადი ჟანრი, რომელიც ამ პერიოდის ჰიჯაზის ლიტერატურისათვის გახდა დამახასიათებელი არის ღაზალი, სატრფიალო პოეზია, რომელიც თავის საწყისს არაბთა ისლამამდელ წარსულში იღებს. პოეზიისა და მუსიკის მოყვარული ჰიჯაზელები, მათ შორის აბუ რაბი'აც, ხშირად იკრიბებოდნენ გამორჩენილი მომღერალი ქალის ჯამილას სახლში მედინაში. ჯამილამ თავი მოუყარა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მონა ქალებს და ჩამოაყალიბა მომღერალთა ანსამბლი. როგორც არაბი ავტორი ალ-ისფაჰანი გადმოგვცემს, ამ მომღერლის ინიციატივით მის სახლში ჩატარებულა სამდლიანი ფესტივალი ცნობილი მომღერლების მონაწილეობით. რაც შეეხება მეცნიერულ საქმიანო-

ბას, ჰიჯაზში მას ძველი მუსლიმების (საჰიბების) შთამომავლები ედგნენ სათავეში. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ მედინელი მეცნიერი **ანას იბნ მალიქი (გარდ. VIII ს. დამდეგს)** და **‘აბდ ალლჰ იბნ ‘უმარ იბნ ალ-ხატტაბი (გარდ. 693 წ.)**, ხალიფა ‘უმარ I-ის შვილი. პოპულარული ისტორიულ-ეპიური ხასიათის ძველი „აფჰამ ალ-‘არაბ“ წერილობით სწორედ ისლამის გავრცელების შემდეგ გაფორმდა.

უმაიანთა ხალიფების ხელშეწყობით არაბეთის ნახევარკუნძულს გარეთ გაგრძელდა არაბული პოეზიის ტრადიცია მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმართულ წარსულთან იყო დაკავშირებული. დაპყრობილი ხალხების კულტურული გავლენის ნეიტრალიზებისა და არაბული ენის დაცვის მიზნით, უმაიანებმა წამოსწიეს ისლამამდელი, ე.ი. ჯაჰილიის პერიოდის მემკვიდრეობა და მას ახალი სიცოცხლე შთაბერეს. უმაიანთა კონსერვატიზმი და მათი ერთგულება ბედუინების ტრადიციული პოეზიისადმი, ხელს არ უშლიდა ახალ გარემოსთან შეგუებას. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო „მუჰამედის პირველ მეხოტბედ“ ცნობილი პოეტის **ჰასან იბნ საბითის** ცხოვრება და შემოქმედება. ჰასანი მედინელი იყო და ეკუთვნოდა ხაზრაჯის ტომს. ისლამამდე მან სახელი გაითქვა სახოტბო ლექსებით, რომელთაც უძღვნიდა ღასანიან ან ღასანიან მეფეებს და ცდილობდა მეტოქეობა გაეწია ცნობილი **ნაბილა აზ-ზუბიანისთვის** (დაახლ. 535—604-610). 60 წლის ასაკში მან ისლამი მიიღო და მოციქულის თაყვანისმცემელი გახდა. ჰასანი დასცინოდა ახალი მონოთეისტური რელიგიის მოწინააღმდეგე წარმართებს, მათ შორის აბუ სუფიანსაც, ელეგიებით აღნიშნავდა მოციქულის, მისი ბიძის ჰამზას, ‘უსმანის და სხვა ძველი მუსლიმების სიკვდილს, არ ივიწყებდა ხაზრაჯის ტომის დამსახურებას ისლამის წინაშე. ფიქრობენ, რომ თავისი კარიერა პოეტმა მუ‘ავია I-ის დროს დაამთავრა, თუმცა გაურკვეველია მისი გარდაცვალების თარიღი (669, 673 წწ.). უფრო გვიანდელ თაობას ეკუთვნის არა მუჰამედის, არამედ „უმაიანთა პოეტად“ ცნობილი **ალ-ახტალის** შემოქმედება.

ალ-ახტალი (დაახლ. 640-710) წარმოშობით ქ. ჰირადან იყო და ეკუთვნოდა გაქრისტიანებულ (მონოფიზიტ) თაღლიბის არაბულ ტომს, რომელიც ისლამის გავრცელების შემდეგ ჩრდილოეთ სირიაში დამკვიდრდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ის ერთგულად ემსახურებოდა უმაიანთა ხალიფებს და ითვლებოდა იაზიდ I-ის პირად მეგობრად. პოეტის იდეალი იყო ბედუინი და ჯაჰილიის პერიოდის პოეზია, ხოლო საკუთარი ტომის ერთგულება და განდიდება მისი ცხოვრების ნორმას წარმოადგენდა. ალ-ახტალის პოეზიისათვის დამახასიათებელია სახოტბო ჟანრი – მადიჰი (მადჰჰ), რომელიც ძირითადად უმაიანთა ხალიფებს ეძღვნება, მეტოქე ტომის ან ცალკეული პირის გაკილვა (ჰიჯა), საკუთარი ტომის შექება (მუჰახარა), ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული კასიდები (ხამრჰჰჰ) და სხვა. მკვლევართა აზრით, ალ-ახტალის პოეზიაში განსაკუთრებით იგრძნობა ისლამამდელი პოეტების **ალ-ა‘შას (დაახლ. 570-625/26)**, **ტარაჰას (VI ს.)** და **ან-ნაბილა აზ-ზუბიანის გავლენა.**

ალ-ახტალს პირველობას ეცილებოდა ორი გამორჩენილი პოეტი – ალ-ფარაზდაკი და ჯარირი. **ალ-ფარაზდაკი (დაახლ. 641-732)** ბასრელი იყო და ეკუთვნოდა ჩრდილოეთ არაბეთის ბანუ თამიმის ტომს. პოეტი არ გამოირჩეოდა დიდი პრინციპულობით, ხშირად იცვლიდა თვალსაზრისს ერთსა და იმავე პიროვნებაზე და, შესაბამისად, მის შესახებ შეთხზულ სახოტბო

კასიდას ადვილად ცვლიდა გაკილევისა და დაცინვის შემცველი ლექსებით. აქედან გამომდინარე, მან დიდხანს ვერსად მოიკიდა ფეხი, თუმცა გავლენიანი მფარველის ძიებაში შემოიარა სახალიფოს სხვადასხვა პროვინცია. პირველობისათვის ბრძოლაში ის უპირისპირდებოდა თავის თანამედროვე პოეტებს, რომელთა შორის უფრო ხანგრძლივ მეტოქეობას მას უწევდა უმაიანთა პერიოდის მესამე დიდი პოეტი ჯარირი.

ისევე, როგორც ალ-ფარაზდაკი, **ჯარირიც (ჯარირ, დაახლ. 653-732)** ბანუ თამიმის ტომს ეკუთვნოდა. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პოეტისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ღარიბი ბედუნების გარემოცვა. მან დასძლია მომთაბარეებისთვის დამახასიათებელი ტომობრივი პატრიოტიზმი და სიამაყე, დატოვა მშობლიური იამამა და უმაიანთა კარის პოეტის მდგომარეობა არჩია. აქ მას მოუხდა თავისი ნიჭისა და უნარის გამომჟღავნება ისეთ ცნობილ პოეტებთან მეტოქეობაში, როგორც იყვნენ ალ-ახტალი და ალ-ფარაზდაკი. მიუხედავად იმისა, რომ ჯარირს მფარველობდა ჰაჯაჯ იბნ იუსუფი, მას გაუჭირდა მათი დამარცხება. მკვლევართა საერთო აზრით, საბოლოოდ პოეტი ჩამოყალიბდა, როგორც გაკილევის ჟანრის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი, რაც, ალბათ, მისი პირადი თვისებების გარდა მეტოქეებთან მუდმივი პოლემიკით და თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლითაც იყო განპირობებული.

უკვე უმაიანთა დროს მუსლიმებმა დაიწყეს სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც, პირველ რიგში, ყურანთან და ჰადისებთან იყო დაკავშირებული. თავის მხრივ, თეოლოგიური კვლევა ნიადაგს ამზადებდა ისლამური სამართლისა და შარი'ათის ნორმების ჩამოყალიბებისთვის. ისლამის პირველ თეოლოგთა შორის იყო მედინელი მეცნიერი **ჰასან ბასრელი (ჰასან ალ-ბასრი, 642-728)**, ქრისტიანი მონის შთამომავალი, რომელიც ბასრაში ცხოვრობდა. ჰასანი მკვეთრად ილაშქრებდა ფუფუნებისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ, არ ერიდებოდა უმაიანთა კრიტიკას. მას შემდეგ, რაც 694 წ. ერაყის გამგებელი გახდა ჰაჯაჯ იბნ იუსუფი, იგი აქტიურად მონაწილეობდა დიაკრიტიკული ნიშნების შემოღებასთან დაკავშირებულ რეფორმაში, რომელიც ჰაჯაჯის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, ხოლო ხალიფა 'უმარ II-ის დროს ბასრის ყალი გახდა. მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ჰასან ალ-ბასრი ედგა სათავეში გავლენას ახდენდა ინტელექტუალურ ცხოვრებაზე არა მარტო ბასრაში, არამედ მის გარეთაც. ჰასანის მოწაფე იყო ასევე წარმოშობით მედინელი და ბასრის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელი **ვასილ იბნ 'ატა (ვასილ იბნ 'ატა, 699-748)**, რომელიც ითვლება რაციონალიზმის ფუძემდებლად ისლამში. მასწავლებელსა და მოწაფეს შორის წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობის გამო ვასილმა დატოვა (ი'თაზალა) ჰასანის სკოლა და საფუძველი ჩაუყარა ახალ მოძღვრებას, რომელიც **მუ'თაზილობის** სახელითაა ცნობილი. მისი შეხედულებები განავითარეს სხვა ბასრელმა თეოლოგებმა **ალ-'ალლაფმა (აბუ-ლ-ჰუზაფლ ალ-'ალლანჰ, გარდ. დაახლ. IX ს. შუა წლებში)**, **იბნ 'აბბადმა (მუ'ამმარ იბნ 'აბბად, გარდ. დაახლ. 830 წ.)** და სხვებმა.

უმაიანთა პერიოდში შეიქნა არაბული ისტორიოგრაფიის წინამძღვრები, რაც, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულმა აუცილებლობამ განაპირობა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც განსაზღვრეს არაბთა დაინტერესება ისტორიით, იყო: ხალიფების სურვილი გაეცნოთ ადრინდელი მეფეების საქმიანობა

და მათი მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები; მორწმუნეთა დაინტერესება გადმოცემებით მუჰამედისა და მისი პირველი მიმდევრების შესახებ, რაც ბაზას უქმნიდა ბიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურას (სწრა) და არაბთა დაპყრობითი ომების აღწერას (ალ-მაღნჰნ); დაპყრობილი ხალხების (მაგ., სპარსელების) სურვილი, აღედგინათ თავისი ისტორიული წარსული და დაეპირისპინებინათ იგი არაბული შოვინიზმისთვის; დაბოლოს, არაბთა ინტერესი თავისი ტომების გენეალოგიისა და წარსულის შესწავლისადმი. გვიანდელი არაბი ისტორიკოსების შრომებში მოხსენიებულია პირები, რომლებიც ძველი ამბების მცოდნეებად ითვლებოდნენ. მათ შორის არიან: **‘აბნდ (თუ ‘უბაიდ) იბნ შარდა** სამხრეთ არაბეთიდან, რომელიც უმაიანთა კარზე მოღვაწეობდა (გარდ. ‘აბდ ალ-მალიქის ხალიფობის დროს), **ვაჰბ იბნ მუნაბბიჰ-ი (გარდ. 728 ან 732 წ.)**, სპარსული წარმომავლობის იემენელი, რომელმაც ისლამი მიიღო და **ქაზ ალ-აჰბარ-ი**, გამუსლიმებული ებრაელი, მუ‘ავია I-ის მასწავლებელი (გარდ. 652 – 654 წლებს შორის ჰიმსში). ამ ავტორთა ზეპირი გადმოცემები არ შეიძლება ყოფილიყო ისტორია ამ სიტყვის სრული გაგებით, მაგრამ ის აღვივებდა არაბთა ინტერესს წარსულისადმი და, ამგვარად, ამზადებდა ნიადაგს იმ დიდი საქმიანობისათვის, რომელიც IX-X საუკუნეებში კლასიკური არაბული ისტორიოგრაფიის შექმნით დამთავრდა. როგორც ისტორიოგრაფიაში, ასევე მეცნიერების სხვა დარგებში არაბთა უმნიშვნელოვანესი მიღწევები დაკავშირებულია უფრო გვიანდელ, ‘აბასიანთა პერიოდთან.

მ ა შ ი V

‘აბასიანთა სახალიფო (750-1258)

1. ‘აბასიანთა პირველი ხალიფების საშინაო და საგარეო პოლიტიკა

‘აბასიანთა გამარჯვება შესაძლებელი გახდა, პირველ რიგში, შიიტების მხარდაჭერით, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ დინასტია მზად იყო ეცნო მათი დამსახურება. ამიერიდან ‘აბასიანები მოწინააღმდეგედ თვლიდნენ ყველას, ვისაც პრეტენზია ჰქონდა ხელისუფლებაზე, თუმცა ერთხანს ცდილობდნენ არ გაემწვავებინათ ურთიერთობა იმედგაცრუებულ მოკავშირეებთან. ‘აბასიანმა ხალიფებმა თავისთვის შემოიღეს საპატიო ტიტული (ლაკაბი), რომელიც ხაზს უსვამდა მათ განსაკუთრებულ ადგილს ისლამურ საზოგადოებაში. სახელმწიფოს თეოკრატიულ ხასიათს უნდა უზრუნველყოფოთ ორთოდოქსული ისლამის სრული ლოიალობა ახალი დინასტიისადმი.

‘აბასიანთა პირველი ხალიფა **ას-საფაჰი (ას-საფჰჰჰ – გულუხვი, სისხლისმღვრელი, 750-754)**, როგორც მის სახელს შეეფერებოდა, უხვად არიგებდა დაპირებებს გადასახადების შემცირების შესახებ, მაგრამ მოწინააღმდეგეთა მიმართ მკაცრ ზომებსაც არ ერიდებოდა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ვითარება სახალიფოში მეტად არასტაბილური რჩებოდა. შიიტების ერთი ნაწილი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას ‘აბასიანთა აღზევებით, რაც აჯანყების საფუძველი გახდა ბუხარაში ვინმე **შარიჟის** მეთაურობით. აბუ მუსლიმის ჯარმა შეძლო ამბოხებულთა დამარცხება, მაგრამ წინააღმდეგობებმა იჩინეს თავი სპარსელებსა და არაბებს, ხარიჯიტებსა და შიიტებს, ‘აბასიანთა მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. შინაგანი დაპირისპირების გამწვავებას გადაეყვა საღამო იბნ ჰალალი, უმაიანთა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის ერთ-ერთი გამომჩენილი ორგანიზატორი, რომელიც მოკლეს 750 წელს. უკიდურესი პრაგმატიზმი, დაუნდობლობა და უმადურობა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, მთელი დინასტიის დამახასიათებელი თვისება გახდა.

იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ წინა ხელისუფლებისგან მოსალოდნელი საფრთხე, ‘აბასიანთა წარმომადგენლებმა, თითქოსდა შერიგების მიზნით, მიიწვიეს უმაიანთა დიდი ჯგუფი (დაახლოებით 80 კაცი) პალესტინაში, დღევანდელი ქ. იაფას მახლობლად და ფიზიკურად გაანადგურეს იგი 750 წლის ივნისში. ამ ტრაგედიას გადაურჩა დამხობილი დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მეათე ხალიფა ჰიშამის შვილიშვილი **‘აბდ არ-რაჰმანი**, რომელიც ესპანეთში გაიქცა და ექვსი წლის შემდეგ იქ უმაიანთა საამიროს ჩაუყარა საფუძველი. უმაიანთა გარდა ‘აბასიანებს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდათ სახალიფოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ას-საფაჰმა

შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება. უსაფრთხოების მიზნით ხალიფა გადავიდა ახალ რეზიდენციაში ქუფის მახლობლად, ეგვიპტის აღმოსავლეთ სანაპიროზე კაშიმიაში, ხოლო შემდეგ ერაყის ქალაქ ანბარში.

‘აბასიანთა სახალიფოს ძლიერების ფუძემდებლად ითვლება ას-საფაჰის ძმა და მემკვიდრე **ალ-მანსური (ალ-მანსურ, 754-775)**, რომელსაც გახალიფებისთანავე ბრძოლა მოუხდა თავისი ბიძის ‘აბდ ალლაჰის მიერ შექმნილ ძლიერ ოპოზიციასთან. ‘აბასიანთა დინასტიის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში ‘აბდ ალლაჰს დიდი დამსახურება ჰქონდა, ვინაიდან სწორედ მან დაამარცხა უმაიანები 750 წელს მდინარე დიდ ზაბზე. ამბიციური ბიძის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის აღსაკვეთად ალ-მანსური იძულებული გახდა დახმარება ეთხოვა აბუ მუსლიმისათვის, რომელიც ხორასანში იმყოფებოდა. თხოვნის საპასუხოდ 754 წლის ნოემბერში აბუ მუსლიმმა ჩრდილოეთ ერაყში, ნისიბისთან (იგივე ნასინონი, ალ-ჯაზირაში) სასტიკად დაამარცხა ‘აბდ ალლაჰი, რითაც განამტკიცა ხალიფას მდგომარეობა. მიუხედავად დინასტიისთვის გაწეული სამსახურისა, ალ-მანსური არ ენდობოდა აბუ მუსლიმს და მასში საშიშ მეტოქეს ხედავდა, მით უმეტეს, რომ სპარსელი სარდალი აღმოსავლეთ პროვინციებში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა. ხალიფამ, რომელსაც არ აწეობდა თავის პოტენციურ მეტოქესთან აშკარა დაპირისპირება, აირჩია სხვა გზა: 755 წელს მან თავის სასახლეში დიდი პატივით მიიღო აბუ მუსლიმი, რომელიც ჰაჯის შესრულებას აპირებდა, მოადუნა მისი სიფხიზლე და მეორედ მიღებისას ვერაგულად მოაკვლევინა იგი. ამის საპასუხოდ იმავე წელს აბუ მუსლიმისათვის შურისძიების ღოზუნგით ნიშაბურში დაიწყო აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცეცხლთაყვანისმცემელი **სუნბადი**. თავდაპირველად აჯანყებულებმა წარმატებას მიაღწიეს და ხელში ჩაიგდეს აბუ მუსლიმის ხაზინა, დატოვებული ქალაქ რეიში, მაგრამ ხალიფას ჯარებმა მაინც შეძლეს სუნბადის დამარცხება რეისა და ჰამადანს შორის. არაბული წყაროების მიხედვით, ეს აჯანყება 70 დღე გრძელდებოდა. ‘აბასიანთა ხალიფა არაპოპულარული გახდა შიიტებს შორის, რისი დამადასტურებელიცაა იმამ ჰასანის შთამომავლების მუჰამედისა და იბრაჰიმის გამოსვლა მის წინააღმდეგ, მაგრამ 762-763 წლებში მათაც მარცხი განიცადეს. ხალიფას ჯარებმა ჩაახშვეს აჯანყებები სხვა პროვინციებშიც, რის შემდეგაც ალ-მანსურს საშუალება მიეცა ყურადღება დაეთმო არა მარტო დინასტიის განმტკიცებისთვის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებთან დაკავშირებული სხვა საკითხებისთვისაც.

762-766 წლებში ალ-მანსურის ბრძანებით მდინარე ტიგროსის დასავლეთ ნაპირზე, სასანიანთა ირანის ყოფილი დედაქალაქის კტესიფონის მახლობლად, იმ ადგილზე, რომელიც ადრე ცნობილი იყო ბაღდადის სახელწოდებით, აშენდა მრგვალი ქალაქი, რომელსაც ხალიფამ უწოდა **მადნათ ას-სალამ (მშვიდობის ქალაქი)**. სახალიფოს ამ ახალ დედაქალაქს მოსახლეობა თავიდანვე **ბაღდადს** უწოდებდა, ხოლო მონღოლთა ბატონობის დროიდან იგი ოფიციალურადაც თავის ძველ სახელს ატარებდა. უკვე ალ-მანსურის დროს ქალაქი გადავიდა ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირზე და მომდევნო ასი წლის მანძილზე 5-6-ჯერ გაიზარდა. ადრინდელ ბაღდადს ჰქონდა ოთხი კარი, საიდანაც ქუჩები ცენტრისაკენ მიემართებოდა. 773 წელს ალ-მანსურმა ბრძანა ქალაქის ბაზარი გადაეტანათ ქარხის რაიონში – ქუფის კარის სამხრეთით.

ბაღდადის აშენება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება 'აბასიანთა ისტორიაში. ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობდა ათასობით ხელოსანი ჩამოყვანილი იმპერიის სხვადასხვა პროვინციებიდან. თავისი ახალი დედაქალაქისათვის ადგილის შერჩევას, როგორც ჩანს, ხალიფა ხელმძღვანელობდა ბაღდადის ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობით, აგრეთვე სპარსულ და არაბულ ელემენტებს შორის ბალანსირების შესაძლებლობით. ბაღდადისათვის დამახასიათებელი გახდა მუსლიმური ქალაქისთვის სპეციფიკური ყველა ატრიბუტი, მათ შორის ხალიფას სასახლურეზიდენცია, თუმცა ხალიფები გაურბოდნენ იქ ცხოვრებას სოციალური გამოსვლების შიშით. თავიდანვე ქალაქი გამოირჩეოდა რელიგიური და ეთნიკური სიჭრელით: შიიტები განლაგებული იყვნენ ქარხის რაიონში, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანები თავმოყრილნი იყვნენ შამმასიას უბანში. ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ ხალიფასა და მისი ახლობლების სასახლეებს. ბაღდადის პორტის დანიშნულებას ასრულებდა ქალაქი ბასრა. სულ მოკლე დროის მანძილზე, აღ-მანსურის მიერ აგებული დედაქალაქი გახდა არა მარტო სახალიფოსა და მუსლიმური სამყაროს, არამედ მთელი აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

'აბასიანთა დინასტიის აღზევების შემდეგ გაჩნდა კიდევ ერთი სიახლე – ვეზირის (ვაზირ) ინსტიტუტი, რაც უდავოდ სპარსული გავლენის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. პირველი, ვინც ას-საფაჰის დროს ვეზირის მოვალეობას ასრულებდა იყო აბუ სალამა, ყოფილი მონა და ქუფელი შიიტების ბელადი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო უმაიანთა დამხობაში. ამავე დროს, ასპარეზზე გამოვიდა სპარსელ **ბარმაქიანთა** ოჯახი, რომელიც ისტორიაში შევიდა სწორედ ვეზირის ინსტიტუტთან დაკავშირებით. ბარმაქიანები შუა აზიელი ბუდისტი ქურუმის შთამომავლები იყვნენ. ისლამამდელ ირანში ტერმინით „ბარმაქ“ აღნიშნავდნენ უმაღლესი ქურუმის მემკვიდრეობით წოდებას და არა გვარს ან კერძო პირს. გამუსლიმებული ბარმაქიანები 'აბასიანთა სამსახურში შევიდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. უკვე ას-საფაჰის დროს დაწინაურდა მათი პირველი წარმომადგენელი **ხალიდი (ხალიდ იბნ ბარმაქ, გარდ. 781 წ.)**, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა ხალიფას კანცელარიაში და მონაწილეობდა ბრძოლაში დინასტიის განმტკიცებისათვის, იყო ტაბარისტანისა და ფარსის გამგებელი. ბარმაქიანებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს სახალიფოს ადმინისტრაციული და ფისკალური სისტემის ჩამოყალიბებაში.

775 წლის 7 ოქტომბერს, საპილიგრიმოდ წასული აღ-მანსური გარდაიცვალა 60 წლის ასაკში და, იქვე, მექის მახლობლად იქნა დაკრძალული საიდუმლოდ, რათა მისი განსასვენებელი ადგილი უცნობი ყოფილიყო 'აბასიანთა მრავალრიცხოვანი მტრებისთვის. ისტორიამ შემოინახა აღ-მანსურის, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის დახასიათება: გარეგნობით ხალიფა განასახიერებდა ჩვეულებრივ ბედუნს, მაგრამ მისი უბრალოების უკან იმალებოდა დასახული მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა და სისასტიკე. თავისი დინასტიისთვის აღ-მანსურმა ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც მუ'ავიამ უმაიანთათვის. მართალია, გვიანდელი 'აბასიანები ცხოვრების წესით, ბრწყინვალე სასახლეებითა და ფუფუნებით ძალიან განსხვავდებოდნენ დიდი

წინაპრისაგან, მაგრამ პოლიტიკური მრწამსი და მეთოდები, რომელსაც აღმანსური მიმართავდა, მისაბაძი გახდა მისი შთამომავლებისათვის თაობების მანძილზე.

აღმანსურის შვილი და 'აბასიანთა მესამე ხალიფა **აღ-მაჰდონი (775-785)** დაუინებით ცდილობდა საყოველთაოდ დაემკვიდრებინა აზრი იმის შესახებ, რომ მოციქულ მუჰამედის შემდეგ მის კანონიერ მემკვიდრედ მუსლიმებს უნდა ეცნოთ მხოლოდ მისი ბიძა აღ-'აბასი (გარდ. 653 წ.), როგორც ჰაშიმიანთა გვარის უხუცესი წარმომადგენელი და არა 'ალი. ასეთი პროპაგანდის შედეგად წინააღმდეგობები 'ალის მიმდევრებსა და 'აბასიანთა მომხრეებს შორის უფრო გაღრმავდა: პირველნი ისევ შიიტური კონცეფციის პოზიციაზე დარჩნენ, ხოლო მეორენი სუნიტური დოგმატიკის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ცდილობდნენ.

აღ-მაჰდონის გამგებლობა აღინიშნა შინაპოლიტიკური ბრძოლით, როგორც სახალიფოს პროვინციებში, ასევე ხალიფას კარზე. 776 წ. ცენტრალური აზია მოიცვა აჯანყებამ აბუ მუსლიმის ერთ-ერთი მიმდევრის **მუჰანნას** მეთაურობით და მიმართული იყო როგორც არაბთა ბატონობის, ისე ორთოდოქსული ისლამის წინააღმდეგ. უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბრძოლა პირველობისათვის, რომელიც დაიწყო ხალიფას ორ ვაჟს – ჰარუნ არ-რაშიდსა და აღ-ჰადის შორის. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბარმაქიანთა ოჯახმა, კერძოდ ჰარუნის აღმზრდელმა **იაჰიამ (დაჰად იბნ ხალიდ)**. თავდაპირველად ხალიფამ მემკვიდრედ გამოაცხადა უფროსი ვაჟი აღ-ჰადი, მაგრამ 785 წელს შეცვალა თავისი გადაწყვეტილება ჰარუნის სასარგებლოდ, რამაც აშკარა დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის საფრთხე შექმნა. ასეთ ვითარებაში ბარმაქიანთა ოჯახმა კომპრომისი არჩია და დათანხმდა აღ-ჰადის (**აღ-ჰადონი, 785-786**) გახალიფებაზე, მაგრამ მალე ურთიერთობა ორ მხარეს შორის ისევ გამწვავდა, ვინაიდან ბრძოლაში აქტიურად ჩაება პრეტენდენტების დედა ხაიზურანი, ყოფილი მონა, რომელიც ჰარუნს უჭერდა მხარს. საბოლოოდ საკითხი გადაწყდა 786 წელს, როცა აღ-ჰადი მოკლეს და ბარმაქიანებმა ტახტზე აიყვანეს ჰარუნ არ-რაშიდი (**ჰარუნ არ-რაშიდი, 786-809**). სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმე მთლიანად ხელში აიღო ვეზირად დანიშნულმა იაჰიამ (დაჰად იბნ ხალიდ აღ-ბარმაქი), გვარის მეთაურმა. ხალიფას კარზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ სხვა ბარმაქიანებიც, კერძოდ იაჰიას შვილები ფადლი და ჯა'ფარი. თითქმის 17 წლის მანძილზე ეს ოჯახი მთელ სახელმწიფოს მართავდა: ფადლი განაგებდა ერაცს, ცენტრალურ ირანს, ტაბარისტანსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, ხოლო ჯა'ფარი ხალიფას პირადი მეგობარი და მრჩეველი იყო.

ჰარუნ არ-რაშიდის გარეგნულად ბრწყინვალე ხალიფობის დროს განსაკუთრებული გაქანება მიიღო სახელმწიფო ხაზინის განიავებამ, რასაც თავად ხალიფა უწყობდა ხელს. გაჩნდა სახალიფოს დასუსტებისა და ფეოდალური დაშლის პირველი ნიშნები. ასეთ ვითარებაში ხალიფამ გადაწყვიტა თვითონ აეღო ხელში სახელმწიფოს მართვის სადავეები, რისთვისაც საჭიროდ ჩათვალა ბარმაქიანთა ძლიერი ოჯახის ჩამოცილება, რაც ფაქტობრივად პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ გადატრიალებას ნიშნავდა. 803 წელს

ყველასთვის მოულოდნელად ჰარუნის ბრძანებით მოკლეს ჯა'ფარი, ხოლო იაჰია და ფადლი ციხეში აღმოჩნდნენ. ბარმაქიანთა უმდიდრესი ოჯახის უზარმაზარი ქონებით შეივსო დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინა, დინასტია კი გაათავისუფლდა საშიში მეტოქისგან. როგორც ზოგიერთი არაბი ისტორიკოსი თვლის, შესაძლებელია ასეთი რადიკალური ნაბიჯი ხალიფამ გადადგა მაშინ, როცა ცნობილი გახდა, რომ მის დას 'აბასას შეეძინა ჯა'ფარისგან ვაჟი, რომელსაც მომავალში უდავოდ გამოიყენებდა შიიტური ორიენტაციის ამბიციური ოჯახი. დინასტიის ინტერესებიდან გამომდინარე ჰარუნ არ-რაშიდმა აუცილებლად ჩათვალია ხალიფას ერთპიროვნული ძალაუფლების გაძლიერება, მაგრამ ბარმაქიანთა დამხობა სრულიადაც არ ნიშნავდა ვეხირის ინსტიტუტის გაუქმებას.

ჰარუნ არ-რაშიდის დროს გრძელდებოდა არაბთა შეტაკებები ბიზანტიასთან, მაგრამ არსებითი ცვლილებები ძალთა თანაფარდობაში არ მომხდარა. როგორც **აკად. ვ. ვ. ბარტოლდმა** დაამტკიცა, სინამდვილეს არ შეეფერება თვალსაზრისი 'აბასიანთა ხალიფასა და კარლოს დიდის (768-814) ურთიერთობის შესახებ. ამ დროს არაბები დასავლეთ ევროპას კარგად არ იცნობდნენ და მხოლოდ იტალიაზე ჰქონდათ მკრთალი წარმოდგენა.

ცნობილია, რომ ჰარუნ არ-რაშიდმა დიდი პოპულარობა მოიპოვა აღმოსავლეთში და შემდეგ დასავლეთშიც, უპირველეს ყოვლისა, როგორც „ათას ერთი ღამის“ ერთ-ერთმა პერსონაჟმა. მკვლევართა აზრით, ამ ხალიფას იდეალიზირებული, ლიტერატურული სახე ვერ წარმოაჩენს მას როგორც სახელმწიფოს მეთაურს ან მოღვაწეს, მით უმეტეს, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო იგივე თვისებები, რითაც ცნობილი იყვნენ დინასტიის სხვა წარმომადგენლები. ჰარუნ არ-რაშიდის დროს ადგილი ჰქონდა სახალხო გამოსვლებს, რომელთა მიზეზიც, როგორც ყოველთვის, მძიმე საგადასახადო პოლიტიკა იყო. განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა მღვლევალება აღმოსავლეთ პროვინციებში. ერთ-ერთ ასეთ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა არაბი სარდალი რაფი' იბნ ლაისი. ხალიფა თავად გაემართა აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ 809 წელს გარდაიცვალა ქალაქ ტუსში (ირანი).

ჰარუნ არ-რაშიდის მემკვიდრის **მუჰამმად ალ-ამინის (809-813)** გამგებლობის პერიოდში პოლიტიკური ვითარება სახელმწიფოში გართულდა. ახალი ვეხირის ფადლ იბნ არ-რაბი'ას შთაგონებით, მან ტახტის მემკვიდრის უფლება ჩამოართვა თავის ძმას ალ-მა'შუნს საკუთარი შვილის სასარგებლოდ, რითაც დაარღვია მამის ანდერძი. 811 წელს, როცა ალ-ამინმა გადაწყვიტა ალ-მა'შუნის გადაყენება ხორასნის გამგებლის თანამდებობიდან, საქმე აშკარა დაპირისპირებამდე მივიდა. 813 წელს ბრძოლა ჰარუნ არ-რაშიდის ორ მემკვიდრეს შორის დამთავრდა ალ-მა'შუნის გამარჯვებით. მისი წარმატება განაპირობა სპარსელი სარდლის **ატ-ტაჰირის** გაბედულმა მოქმედებამ. მიუხედავად გამარჯვებისა, **ალ-მა'შუნი (813-833)** ვერ ბედავდა ბაღდადში შესვლას და ერთხანს მერვში რჩებოდა. ამის მიზეზი იყო დედით სპარსელი ხალიფას პროსპარსული ორიენტაცია, რაც კარგად იყო ცნობილი არაბებისთვის.

ალ-მა'შუნი ხედავდა, რომ სახელმწიფოს ძლიერებას ძირს უთხრიდა ხშირი აჯანყებები, რომელთა დიდი ნაწილი შიიტური ლოზუნგით მიმდი-

ნარეობდა. ხალიფამ სცადა შიიტების შემორიგება, რისთვისაც 816 წელს მედინიდან მერვში მიიწვია მერვე იმამი **‘აღლ იბნ მუნს ალ-ქაზიმი**, ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი ჰაბიბა და 817 წელს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა ლაკაბით **„არ-რიდ“** (სპ. **„არ-რიზა“**). ამავე დროს, ხალიფამ ‘აბასიანთა შავი დროშა შიიტების მწვანე დროშით შეცვალა. ამ ღონისძიებით და იმითაც, რომ სიკვდილით დასაჯა ჰარუნ არ-რაშიდის ცნობილი სარდალი ჰარსამა, მან არაბების უკმაყოფილება გამოიწვია. მალე ხალიფა დარწმუნდა, რომ მის მიერ გადაღებულ ნაბიჯს არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, ვინაიდან შიიტების აჯანყებები, პირველ რიგში, სოციალურ ხასიათს ატარებდა. ის პოლიტიკური პრეროგატივები, რომელიც შეიძლებოდა მიეღო შიიტების ზედაფენას, არ ცვლიდა სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკას და, მაშასადამე, არც მასების მდგომარეობას. იმის გამო, რომ შიიტებთან დაახლოების ცდამ არ შეასუსტა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები, ხალიფამ უარი თქვა თავის ადრინდელ გადაწყვეტილებაზე. 818 წელს მან აღადგინა ‘აბასიანთა დროშა, მოაკვლევინა იმამი არ-რიდა და არაბებისთვის არასასურველი სპარსელი ვეზირი ფადლ იბნ საჰლი. მხოლოდ ამის შემდეგ 819 წელს ხალიფამ შესაძლებლად ჩათვალა იმპერიის დედაქალაქში – ბაღდადში შესვლა. ალ-მა’შუნს შეეძლო ხელისუფლების განმტკიცების ტრადიციული საშუალებები, რომელიც მან წინამორბედი ხალიფებისგან მემკვიდრეობით მიიღო, ირანის შემდეგ ბაღდადშიც გამოეყენებინა, მაგრამ მას ესმოდა, რომ საშიში ამბოხებებისაგან დაზღვეული მაინც არ იქნებოდა. ამიტომ, სხვა ხალიფების მსგავსად ისიც იშვიათად ცხოვრობდა დედაქალაქში.

ალ-მა’შუნი ცნობილია, როგორც განათლებული და მეცენატი ხალიფა. მისი ინიციატივით სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ისლამში წარმოქმნილი ერთ-ერთი მიმდინარეობა **მუ’თაზილობა**. პირველად ისლამის ისტორიაში მუ’თაზილებმა რელიგიური დისპუტის დროს მიმართეს ფილოსოფიური არგუმენტაციის მეთოდს, დასვეს ადამიანის ნების თავისუფლების საკითხი. მათი აზრით, ბოროტებისა და სიკეთისადმი ადამიანის დამოკიდებულებას განსაზღვრავს არა ალლაჰი, არამედ გონება (‘აკლ). ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი თავისუფალია თავის მოქმედებაში, ხოლო ყურანი არ შეიძლება ჩავთვალოთ უშუალოდ ღვთის მიერ წარმოგზავნილ და მუდმივ, ხელთუქმნელ წიგნად. როგორც მოსალოდნელი იყო, მუ’თაზილობა წააწყდა ორთოდოქსული ისლამის და მათი მეთაურის, ცნობილი თეოლოგის **აჰმად იბნ ჰანბალის** სასტიკ წინააღმდეგობას, მაგრამ ხალიფა დაჟინებით ცდილობდა ამ მოძღვრების დანერგვას. **847 წლამდე მუ’თაზილობა ოფიციალურ რელიგიად რჩებოდა**. მკვლევართა აზრით, სწორედ მუ’თაზილიტების შეხედულებებში შეიძლება დავინახოთ რაციონალიზმის ელემენტები.

ხალიფა ალ-მა’შუნის დროს გაგრძელდა არაბთა შეტაკებები ბიზანტიელებთან მცირე აზიაში, თუმცა სახალიფოს გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნიდა სოციალური ხასიათის გამოსვლები. თავისი გამგებლობის დასასრულს მას მოუხდა ბრძოლა აჯანყებებთან როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის პროვინციებში. განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო მოძრაობამ, რომელიც დაიწყო სამხრეთ აზერბაიჯანში და ირანის დასავლეთით მოიცვა. ხალიფამ ვერ შეძლო ამ აჯანყების ჩაქრობა და ეს მიიმე საქმე

მემკვიდრეობით გადასცა თავის ძმას, 'აბასიანთა მერვე ხალიფას **ალ-მუ'თასიმს (833-842)**, რომელიც დედით თურქი იყო.

ახალი ხალიფას მთავარი მიზანი, რომელსაც მან დაუმორჩილა არსებული სამხედრო და მატერიალური რესურსები, იყო სახალიფოს დაშლის პროცესის შეჩერება, რაც, პირველ რიგში, აზერბაიჯანში დაწყებული მოძრაობის აღკვეთას მოითხოვდა. ეს აჯანყება (**816-837 წწ.**), უპირველეს ყოვლისა, ატარებდა სოციალურ ხასიათს და იდეოლოგიურად თავის საწყისს მაზდაქელთა მოძრაობიდან (V-VI სს.) იღებდა. აჯანყებულებს, რომელთაც „ხურრამიტებს“ (**„ალ-ხურრამინა“**) უწოდებდნენ მეთაურობდა ვინმე **ბაბექი (ბაბიქ)**. 819-827 წლებში აჯანყებულებმა სახალიფოს ჯარებთან შეტაკებისას ექვსი დიდი გამარჯვება მოიპოვეს.

სოციალური აფეთქების მიზეზები სახალიფოში საკმარისზე მეტი იყო: უკვე ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის დროს საგადასახადო ტვირთის დამძიმებამ და ხარაჯის შედარებით მსუბუქი ფორმის მუკასამას შეცვლამ უფრო მძიმე მისაჰათი, საგრძნობლად გააუარესა მოსახლეობის მდგომარეობა. ბაბექის მიმდევრები სოციალური ჩაგვრის საფუძველს კერძო საკუთრებაში ხედავდნენ და სასოფლო თემის აღდგენას მოითხოვდნენ, თუმცა ძნელი გასარკვევია, პრაქტიკულად რამდენად ახორციელებდნენ სოციალური თანასწორობის პრინციპს. აჯანყება გამათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნებსაც შეიცავდა, რადგანაც მიმართული იყო ირანსა და სამხრეთ კავკასიაში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. წერილი ხელოსნებისა და მიწათმოქმედთა გარდა ამ მოძრაობაში მონაწილეობდნენ ფეოდალებიც, რამაც ხელი შეუწყო მის წარმატებას. მას შემდეგ, რაც ხალიფა მუ'თასიმმა შეძლო ძალების მობილიზება და ჯარს სათავეში ჩაუყენა გამოცდილი თურქი სარდალი **აფშინი (ალ-აჰშინ)**, მდგომარეობა შეიცვალა. აჯანყებულთა შორის მყოფმა ერთმა გავლენიანმა ჯგუფმა, რომელსაც არ აწყობდა ხურრამიტების ანტიფეოდალური სოციალური პლატფორმა, ადვილად გამონახა საერთო ენა ხალიფას სარდალთან, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა შიგნიდან დაესუსტებინა აჯანყებულთა ბანაკი. ბაბექის ცდამ, გამოეყენებინა ბიზანტია-სახალიფოს წინააღმდეგობები, შედეგი არ გამოიღო. 837 წელს ხალიფას ჯარმა აიღო ხურრამიტების უკანასკნელი ციხესიმაგრე ბაბი (მდ. არაქსზე). ტყვედ ჩავარდნილი **ბაბექი 838 წლის 4 იანვარს სიკვდილით დასაჯეს სამარაში**. ბაბექის ბედი სამი წლის შემდეგ გაიზიარა აფშინმაც, რადგანაც მეტისმეტად გაძლიერებული და პოპულარული სარდალი ხალიფამ საშიშად ჩათვალა. მას ბრალად დასდეს ფარული კავშირი ხურრამიტებთან და ხალიფას დამხობის განზრახვა, რაც, საბოლოოდ, მისი შეპყრობითა და მოკვლით დამთავრდა 841 წელს.

მართალია, ბაბექის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ასეთივე ხასიათის გამოსვლები გრძელდებოდა სახალიფოს სხვადასხვა პროვინციაში, რაც აშკარა საფრთხეს უქმნიდა სახალიფოს. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, ხალიფა მუ'თასიმმა შექმნა თურქებისაგან შედგენილი დაქირავებული გვარდია ანუ დულამების ჯარი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თურქი სარდალი – **ამირ ალ-უმარა (ამირ ალ-უმარა)**. თავისი ახალი გვარდით გარშემორტყმული ხალიფა ბაღდადში მაინც ვერ გრძნობდა თავს მშვიდად, რის გამოც რეზიდენცია გადაიტანა ბაღდადის ჩრდილოეთით ქალაქ სამარაში.

ფაქტობრივად სამარა დედაქალაქის როლს ასრულებდა 56 წლის მანძილზე (836-892) და რვა ხალიფას აღზევებისა და დამხობის მოწმე იყო.

აღ-მუთასიმის მემკვიდრეების დროს თურქული გვარდიის გავლენა სახალიფოს ცხოვრებაზე კიდევ უფრო გაიზარდა. ხალიფას შვილის **აღ-ფასიკის (842-847)** გამგებლობა ხანგრძლივი არ ყოფილა. მის დროს მუთასილობის მიმდევრებმა გააძლიერეს ზეწოლა ორთოდოქსულ ისლამზე, რასაც თავად ხალიფაც უწყობდა ხელს. რელიგიური დისპუტი ხშირად აშკარა დაპირისპირებასა და სუნიტი თეოლოგების დევნაში გადადიოდა.

ხალიფას ანდერძის საწინააღმდეგოდ ღულამებმა ტახტზე აიყვანეს მისი ძმა **აღ-მუთავაქქილ-ი (847-861)**. ცდილობდა რა თურქი გვარდიელებისაგან თავის დაღწევას, აღ-მუთავაქქილმა სიკვდილით დასაჯა მათი სარდალი, მაგრამ საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწია. სეპარატისტული ტენდენციების და სოციალური გამოსვლების გაძლიერების პირობებში, ხალიფამ სცადა მოსახლეობის ყურადღების გადატანა რელიგიურ საკითხებზე. **სუნიტური ისლამის აღდგენით (850-851 წწ.) და ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებით იგი იმედოვნებდა მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი მასების და ორთოდოქსი თეოლოგების მხარდაჭერის მოპოვებას.** მთავარი ყადის თანამდებობაზე დაინიშნა სუნიტი ტრადიციონალისტი, ხოლო იმამ 'ალის შთამომავალთ კვლავ საფრთხე დაემუქრა. 850 წელს შიიტების ერთი დიდი ჯგუფი მედინაში გაასახლეს, ხოლო დანარჩენებზე მკაცრი ზედამხედველობა დაწესდა. უმაღლესი ბრძანების თანახმად ამიერიდან სიკვდილით დაისჯებოდა ყველა, ვინც აუგად მოიხსენიებდა პირველ სამ ხალიფას.

აღ-მუთავაქქილის საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო არამუსლიმი მოსახლეობის (ზიმეების) დევნას. 853 წელს მან ცხოვრებაში გაატარა დისკრიმინაციული ღონისძიებები ქრისტიანთა და იუდეველთა მიმართ. საქმე იქამდე მივიდა, რომ არამუსლიმებს აეკრძალათ არაბული ენის სწავლა, რათა საშუალება არ ჰქონოდათ დაეკავებინათ ადგილი ადმინისტრაციაში. ხალიფას ბრძანებით არამუსლიმები განსხვავებულნი უნდა ყოფილიყვნენ მუსლიმებისგან არა მარტო უფლებრივად, არამედ ჩაცმულობითაც. თავად ხალიფა გარემოცული იყო თურქი სარდლებით, რომელთა შორის განათლებით და ადმინისტრაციული ნიჭით გამოირჩეოდა ვინმე აღ-ფათჰი, 'აბასიანთა კარზე გაზრდილი მოხელე, ხალიფას მეგობარი და მრჩეველი. მისი სასახლის ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები, მათ შორის ცნობილი პროზაიკოსი ჯაჰიზი.

აღ-მუთავაქქილის ღონისძიებებსა და არამუსლიმთა დევნას არ შეეძლო შეეჩერებინა სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც გაიშალა იმპერიის სხვადასხვა რეგიონში და მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. სწორედ აღ-მუთავაქქილის დროს (**853 წ.**) თურქული გვარდია ბუღა თურქის მეთაურობით გაიგზავნა მორჩილებიდან გამოსული თბილისის ამირა ისჰაკის წინააღმდეგ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების და მუსლიმთა კონსოლიდაციის ცდა დაქირავებული თურქების საშუალებით ან რელიგიური ანტაგონიზმის გაღვივებით უნაყოფო გამოდგა. მეტისმეტად გაძლიერებული და აულაგმავი თურქი გვარდიელები ახლა თავად უქმნიდნენ საფრთხეს სახელმწიფოს. თავის გადასარჩენად ხალიფა ფაქტობრივად გაიქცა ბაღდადიდან სამარაში, სადაც ააგო ძვირად ღირებული სასახლე, მა-

გრამ ამოდ – იგი მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ საკუთარი შვილის, მომდევნო ხალიფა **ალ-მუნთასირ-ის (861-862)** მონაწილეობით, რომელიც მალე თავადაც საწამლავს გადაჰყვა. თურქი მეთაურების საბჭომ ტახტზე აიყვანა ალ-მუნთასირის შვილიშვილი **ალ-მუსთაჰნი (862-866)**, რომელიც მოკლა თურქმა სარდალმა **აჰმად იბნ ტულუნმა**. ასეთივე ბედი ხვდა წილად მომდევნო ხალიფა **ალ-მუთაზსაც (866-869)**. მისი ძმა და მემკვიდრე **ალ-მუთამიდ-ი (870-892)** ცნობილია იმით, რომ სხვა 'აბასიანი ხალიფებისგან განსხვავებით, ხანგრძლივად, თითქმის ოცი წლის მანძილზე, ინარჩუნებდა ტახტს. მან მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფოს მართვის გაადვილებისათვის სახალიფოს გაყოფა ორ ნაწილად: თავის შვილს ჯა'ფარს მან გადასცა დასავლეთის პროვინციები – სირია, ეგვიპტე და იფრიკია, ხოლო აღმოსავლეთის ამირა გახდა ხალიფას ძმა, ენერგიული მუვაფაკი, რომელიც ფაქტობრივად ცვლიდა ხალიფას, როგორც რეგენტი.

უძიძესი ტვირთი, რომელიც ხალიფა მუთასიმმა თავის მემკვიდრეებს დაუტოვა იყო თურქული გვარდია. გარდა იმისა, რომ ღულამების თვითნებობამ და ამირ ალ-უმარას წამოწევამ შეასუსტეს ხალიფას და მისი ვეზირის ხელისუფლება, დაქირავებული რაზმების შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფო ხაზინას. ხალიფა მუთაზის დროს გვარდიისათვის გათვალისწინებული თანხა ორ მილიონ დინარს შეადგენდა. ასეთ ხარჯებს, როგორც წესი, ხაზინა ვერ ფარავდა, რაც ანაზღაურების გარეშე დარჩენილ თურქებს ძალადობისა და ბაღდადეგების ძარცვის საბაბს აძლევდა. ამგვარად, ხალიფა ალ-მუთასიმის სამხედრო რეფორმამ დასახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და ხელი შეუწყო 'აბასიანთა ხელისუფლების დასუსტებას. რაც შეეხება ალ-მუთაჰაჰიდის მიერ გატარებულ რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციის პოლიტიკას, იგი არ პასუხობდა არც დინასტიის და არც სახალიფოს ინტერესებს, რაც ნათელი გახდა მომდევნო ხალიფებისთვის. ალ-მუვაფაკი, ალ-მუთადიდი და სხვა 'აბასიანები აღარ თვლიდნენ მიუღებლად არამუსლიმთა გამოყენებას სხელმწიფო სამსახურში.

2. მონობის ინსტიტუტი სახალიფოში და ზინჯების აჯანყება, კარმატების სახელმწიფო

შუა საუკუნეების ისლამური სამყაროს ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად უნდა ჩათვალოს მონობის ინსტიტუტი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო წინაისლამური ეპოქიდან. ისლამმა, ახალმა მონოფიზიტურმა რელიგიამ, ფაქტობრივად, დააკანონა მონობა, თუმცა არა იმ ფორმით, როგორც ის არსებობდა რომის იმპერიაში ან ძველ აღმოსავლეთში. 'აბასიანთა სასახლეში ცხოვრობდა ათასობით მონა ქალი და მამაკაცი, რომელიც ასრულებდა მსახურის, მცველის, მომღერლისა და მოცეკვავის მოვალეობას.

მონობის ინსტიტუტი რეგლამენტირებული იყო შარი'ათით, რომელიც არ თვლიდა დასაშვებად მუსლიმის მონად გადაქცევას, მაგრამ ეს მოთხოვნა ხშირად არ სრულდებოდა: მაგალითად, ადამიანის მონის მდგომარეობაში გადასვლა შეიძლებოდა ვალის გადაუხდელობის გამო. გამუსლიმებული მონა თავისუფალი ხდებოდა მხოლოდ პატრონის კეთილი ნებით. ამასთან ერთად,

შარი'ათი ითვალისწინებდა მონათმფლობელის ვალდებულებას და უკრძალავდა მას მონის სიცოცხლის ხელყოფას. რელიგიური თვალსაზრისით მუსლიმი მონა თავისუფალ მუსლიმთან იყო გათანაბრებული და მეტ პატივისცემას იმსახურებდა, ვიდრე თავისუფალი ურწმუნო, მაგრამ ის ვერ დაიკავებდა რელიგიურ თანამდებობას, არ იხდიდა ზაქათს და სადაკას. ყურანში არაა აღნიშნული რაიმე უფლებრივი განსხვავება ნაყიდ, ტყვედ აყვანილ ან დაბადებით მონებს (მუვალლად) შორის. პატრონის ნებართვით მონას შეეძლო ჰქონოდა თავისი სახელოსნო, ევაჭრა, აელო ან გაეცა სესხი, მაგრამ მის საქმიანობაზე ზედამხედველი და პასუხისმგებელი მისი პატრონი იყო. მონებს ჰქონდათ ერთმანეთთან ქორწინების უფლება, ხოლო გათავისუფლების შემთხვევაში რჩებოდნენ მავლას მდგომარეობაში, ე.ი. ინარჩუნებდნენ გარკვეულ დამოკიდებულებას თავის ყოფილ პატრონთან. გათავისუფლება (ა'თაკა) უნდა ყოფილიყო დადასტურებული სათანადო საბუთით, რომელსაც მონის პატრონი გასცემდა. VIII საუკუნიდან მოკიდებული განსხვავება არაბებსა და მავლებს შორის საგრძნობლად შემცირდა. მავლა, რომელიც, როგორც წესი, ყოფილი პატრონის მფარველობით სარგებლობდა, ზოგჯერ მეტ კეთილდღეობასაც აღწევდა, ვიდრე ბევრი თავისუფალი მუსლიმი. მას და მის შთამომავლებს შეეძლოთ თავად ჰყოლოდათ მონები და მაღალი თანამდებობაც დაეკავებინათ. ამის დამადასტურებელია თუნდაც კარგად ცნობილი ფაქტი, როცა ხალიფა ალ-მანსურმა ბაღდადის ყადის თანამდებობა შესთავაზა ცნობილ თეოლოგს აბუ ჰანიფას, რომელიც მავლას შთამომავალი იყო.

შარი'ათის თანახმად, მონა ქალისგან შექმნილი შვილი თავისუფალი მამის მსგავსად ხდებოდა თავისუფალი და მემკვიდრეობის ყველა უფლებით სარგებლობდა. ცნობილია, რომ 'აბასიანთა ხალიფებს შორის სულ რამდენიმეს (მაგ., ას-საფაჰს, ალ-მაჰდის, ალ-ამინს) ჰყავდა თავისუფალი დედა, დანარჩენები ყოფილი მონა ქალების შვილები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ჰარუნ არ-რაშიდის დედა ხაიზურანი დიდი გავლენით სარგებლობდა სასახლეში და სახელმწიფო საქმეებშიც ერეოდა. ბაღდადში და სახალიფოს სხვა ქალაქებში ფუნქციონირებდა მონათა ბაზრები. მონების რაოდენობის განსაზღვრა ძნელია, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით სახალიფოს დედაქალაქში IX საუკუნეში იხინი მთელი მოსახლეობის 15 პროცენტს (50-70 ათასს) შეადგენდნენ (ო.გ. ბოლშაკოვი).

'აბასიანთა პერიოდის სახალიფოში მონის აღსანიშნავად გამოიყენებოდა რამდენიმე ტერმინი, კერძოდ: 'აბდ (მრ. 'იბნდ, 'აბნდ), რაკნკ (მრ. არიკკან'), ღულამ (მრ. ღილმან), ვასნფ (მრ. ვუსაფან'); მონა ქალისთვის – 'აბდა, ჯნრია, 'ამა (მრ. 'იმან') და სხვა. როგორც წესი, ყველა ეს ტერმინი საოჯახო მონობასთან იყო დაკავშირებული და მომსახურების სფეროს მოიცავდა, მაგრამ არსებობდა სახელმწიფო მონობაც. შაჰკანიანი მონები დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ კუნძულ ზანზიბარიდან (ზანჯიბარ) და ზინჯებს ან ზანჯებს უწოდებდნენ (ზინჯნ, მრ. ზუნჯუჯ, კრებითი – ზინჯ). ასეთ მონებს იყენებდნენ სამხრეთ ერაყსა და ხუზისტანში უკიდურესად მძიმე სამუშაოზე. მაგალითად, მარილის საბადოებზე, არხების გაყვანაზე და სხვა.

869 წელს ერაყში დაიწყო ზინჯების დიდი აჯანყება, რომელიც ერთი შეხედვით შიიტური იყო, მაგრამ უფრო მეტად ხარიჯიტობისკენ იხრებოდა. არაბი ავტორი ალ-მას'უდი ზინჯებს აზრაკიტების ხარიჯიტულ სექტას მია-

კუთვნივბდა, იმორწმებდა რა მათთვის დამახასიათებელ სისასტიკეს. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა **‘ალი იბნ მუჰამმადი (საჰიბ აზ-ზინჯ)**, რომელიც თავს ხალიფა ‘ალის შთამომავლად და იმამად აცხადებდა. იმის გამო, რომ ზინჯებს თანაუგრძნობდნენ ქალაქებისა და სოფლების უღარიბესი ფენები, ხოლო სახალიფოს ჯარებს უჭირდათ მოქმედება ჭაობიან სამხრეთ ერაყში და ხუზისთანში, აჯანყებულებმა თავდაპირველად წარმატებას მიაღწიეს. მათ ხელში აღმოჩნდა ქალაქები აჰვაზი და ‘აბადანი, ხოლო 871 წელს აიღეს და გაძარცვეს ბასრა, სადაც არაბული წყაროების მიხედვით, ამ დროს 300 ათასი მცხოვრები დაიღუპა. 875 წ. ზინჯებს გამოუჩნდათ ძლიერი მოკავშირე მეამბოხე სპარსელი სარდლის **ას-საფარის (იაკუბ იბნ ალ-ლადს ას-საჰიბ)** სახით, მაგრამ 876 წელს სუსთან მომხდარ შეტაკებაში სახალიფოს ჯარმა მოკავშირეები დაამარცხა. ამის შემდეგ ზინჯების მეგობრული ურთიერთობა ას-საფართან დაირღვა და აშკარად მტრულიც გახდა. მიუხედავად ამისა, 879 წ. ზინჯებმა აიღეს ვასიტი, რაც მათი უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა. უკვე მომდევნო წელს ‘აბასიანთა ჯარმა, რომელსაც სარდლობდა აბუ-ლ-‘აბასი (მომავალი ხალიფა ალ-მუ‘თადიდი, 892-902) დაამარცხა ზინჯები და ვასიტოდან განდევნა. იმავე წელს სახალიფოს ჯარი ხალიფას ძმის ალ-მუვაფაკის მეთაურობით და დიდი სამდინარო ფლოტის თანხლებით დაიძრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ზინჯები დამარცხდნენ. 883 წ. დაეცა მათი დედაქალაქი ალ-მუხთარა (ქუფის სამხრეთ-დასავლეთით), ხოლო ‘ალი იბნ მუჰამმადი მოკლეს. ალ-მუვაფაკი ტრიუმფით დაბრუნდა ბაღდადში და მიიღო ტიტული „ან-ნასირ ლი-დინ ალლჰ“ („აღლაჰის სარწმუნოებისთვის გამარჯვებული“).

ზინჯების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მათ დაკარგეს ქალაქებისა და სოფლების უღარიბესი ფენების მხარდაჭერა. ‘ალი იბნ მუჰამმადმა თავი გამოაცხადა ხალიფად და თავის სახელმწიფოში შეინარჩუნა როგორც მონობა, ისე ექსპლუატაციის ყველა ადრე არსებული ფორმა. ყოფილი მონების ზედაფენა ახლა მსხვილ მიწათმფლობელად და მონათმფლობელად იქცა. ასეთ პირობებში, მასების სწრაფვას მეტი სოციალური სამართლიანობისაკენ რეალური საფუძველი არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, აჯანყებამ დადებითი როლი შეასრულა სახალიფოს ისტორიაში, ვინაიდან ხელი შეუწყო მონობის ინსტიტუტის შესუსტებას, რაც ისლამური საზოგადოების ევოლუციის მანქანებელი იყო, მაგრამ, უფრო გვიან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მომთაბარეთა მოძალებამ და რიგმა სხვა ფაქტორებმა ხანგრძლივად შეაჩერეს აღნიშნული პროცესი.

ზინჯების აჯანყების შემდეგ ‘აბასიანთა სახალიფო აღმოჩნდა ახალი საფრთხის წინაშე, რომელიც მომდინარეობდა **კარმატების (ალ-კარამიტა)** მოძრაობიდან. კარმატების იდეოლოგიის ფუძემდებელი იყო ისმაილიტური ისლამის ერთ-ერთი მისიონერი და ორგანიზატორი (დ5-ი) **ჰამდან კარმატი**, რომელიც თავისი მოძღვრების პროპაგანდას ეწეოდა ერაყში, ქუფის მახლობლად. მისი მიმდევრების გამოსვლები სირიასა და ერაყში (900-902, 906 წწ.) ჩახშობილ იქნა. როცა კარმატების სათავეში დადგა ერთ-ერთი მისიონერი **ალ-ჯანნაბი (აბუ საიდ ალ-ჰასან ალ-ჯანნაბი, 899-913)**, მათ ხელთ იგდეს კუნძული ბაჰრეინი და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი

ნაწილი. დედაქალაქი გახდა ქ. ლაჰსა (დღ. ქ. ჰუქჰუქ-ი, საუდ. არაბეთის აღმოსავლეთით). განსაკუთრებულ ძლიერებას კარმატების სახელმწიფომ მიაღწია X საუკუნეში აღ-ჯანაბის მემკვიდრეების **აბუ ტაჰირ სულაიმანის და აბუ მანსურ აჰმადის** დროს, როცა მათ სახელმწიფოს შეუერთდა არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და სამხრეთ ერაყი. 930 წელს, დიდი ჰაჯის დროს კარმატები თავს დაესხნენ მექას და გაიტაცეს მუსლიმთა სათაყვანო ფეტიში – შავი ქვა, რამაც მთელი ისლამური სამყარო აღაშფოთა. როგორც ჩანს, მექაზე თავდასხმით კარმატებს სურდათ ეჩვენებინათ ორთოდოქსული ისლამის მიმდევრებისთვის, რომ მათი მოძღვრება ილუზიური იყო და ღმერთი არ მფარველობდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ კარმატებს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ისმა'ილიტებთან, 951 წელს ფატიმიანთა მესამე ხალიფა აღ-მანსურის (946-953) თხოვნით და დიდი გამოსასყიდისათვის მუსლიმთა ძვირფასი რელიკვია ქააბაში დააბრუნეს.

977 წელს კარმატების სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება გადაეცა ექვსი კაცისგან შემდგარ უხუცესთა საბჭოს (აღ-იკდანიდა), რომლის თითოეული წევრი თვითონ ნიშნავდა თავის ერთ მოადგილეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავისუფალი იყო გადასახადებისგან, ხოლო მიწაზე და მონებზე სახელმწიფო საკუთრება გამოცხადდა. კარმატები არ აშენებდნენ მეჩეთებს და არ გამოირჩეოდნენ რელიგიურობით, მაგრამ მორწმუნეებს არ სდევნიდნენ. მათი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია ეყრდნობოდა საზოგადოების წევრთა ფორმალურ თანასწორობას. საკულტო რიტუალის იგნორირება და ყურანის თავისუფალი ინტერპრეტაცია ფაქტობრივად ისლამის რეფორმას ნიშნავდა. კარმატები თვლიდნენ, რომ სახალიფოს ყველა პროვინცია უნდა გარდაქმნილიყო მათი მოძღვრების შესაბამისად. ისინი მკაცრ შეფასებას აძლევდნენ სამივე მონოთეისტურ რელიგიას და მათ ადამიანების ჩაგვრის საშუალებად მიიჩნევდნენ. ამასთან ერთად, სოციალური თანასწორობის პრინციპი არ ვრცელდებოდა მონებზე, რომელთა შრომის ექსპლუატაცია დასაშვებად ითვლებოდა.

X ს. 80-იან წლებში კარმატების სახელმწიფო შეავიწროვეს ბედუინებმა, რომლებმაც ამ დროისთვის ირანისა და ერაყის რიგ რაიონებსაც შეუტიეს. XI ს. დამდეგს კარმატების სახელმწიფოში დაიწყო სამოქალაქო ომი: უხუცესთა საბჭოს წინააღმდეგ გამოვიდნენ ოფიციალური ისლამის რესტავრაციის მომხრეები, რაც იმით დამთავრდა, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ტომთა ბელადებმა, მაგრამ ვერ შეძლეს მისი შენარჩუნება. 1082 წელს ბაღდადიდან გამოეზავნილმა ჯარმა საბოლოოდ გაანადგურა კარმატების სახელმწიფო.

3. 'აბასიანთა სახალიფოს მმართველობის სისტემა

'აბასიანთა სახალიფო უმაიანთა სახალიფოზე უფრო მეტად იყო ცენტრალიზებული. არაბი ისტორიკოსები მას სასანიანთა ირანის გაგრძელებად თვლიდნენ, ვინაიდან ამ პერიოდში არაბთა სახალიფოში აღსდგა ძველი, ირანული ტრადიციები და ინსტიტუტები, რა თქმა უნდა, ისლამიზირებული სახით.

სახალიფო იყო თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა ხალიფა – „აღლაჰის აჩრდილი დედამიწაზე“ („ხილლ აღლჰჰ ‘აღლა-ლ-არდ“). ბუვაიჰიანთა მიერ ბაღდადის დაკავებამდე (945 წ.) ხალიფა აერთიანებდა საერო და სასულიერო ძალაუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ‘აბასიანთა ხალიფების აბსოლუტური უმრავლესობა ყოფილი მონა ქალის შვილი იყო, ისინი მაინც განასახიერებდნენ უმაღლეს არისტოკრაციას. უფრო მეტად, ვიდრე უმაიანთა დროს, ხალიფა დაშორდა თავის ქვეშევრდომებს, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ახლა მასთან ურთიერთობა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასახლის დიდი მოხელის – ჰაჯიბის საშუალებით. ამავე დროს, ხალიფა ინარჩუნებდა უმაღლესი მოსამართლის ფუნქციას და მისი ყოველი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

ხალიფას ნება-სურვილისა და მითითების საფუძველზე სახელმწიფოს მართავდა ვეზირი (ვაზირ), რომელსაც ემორჩილებოდა მრავალრიცხოვანი სამოხელეო ბიუროკრატიული აპარატი. XI ს. ცნობილი მეცნიერი ალ-მაჰარდი წერდა, რომ ხალიფა თავის ხელისუფლებას (ვილადა) უნაწილებდა იმპერიის უმაღლეს მოხელეს – ვეზირს. ერთ შემთხვევაში, ეს ხდებოდა ვეზირისათვის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლების (ათ-თაჰჰინდ) მინიჭებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციით (ათ-თანჰინუ). ძირითადად, ვეზირის სტატუსი დამოკიდებული იყო, როგორც სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობაზე, ისე ხალიფასა და ვეზირის პიროვნებაზე. აღმასრულებლისაგან განსხვავებით, სრულუფლებიანი ვეზირი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მუსლიმი.

ვეზირი პასუხს აგებდა საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაზე, აწესრიგებდა სახელმწიფო ხარჯს და სათავეში ედგა სხვადასხვა რანგის მოხელეებისგან შემდგარ კანცელარიას. ამასთან, არ იყო გამორიცხული ვეზირის თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემა. სახალიფოს ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როცა ვეზირების შთამომავლები (ავლჰდ აღ-ფუზარჰ) ამ მაღალ თანამდებობას იღებდნენ მემკვიდრეობით ოთხი თაობის მანძილზე. XI ს. დამდეგიდან ვეზირებს საპატიო ტიტულიც ეძლეოდათ (მაგ., ვაზირ აღ-ფუზარჰ, ‘აღამ აღ-დინ, ამინ აღ-მულუქ და სხვა). მართალია, ვეზირი ძირითადად აღმინისტრაციული და საფინანსო საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ ზოგჯერ სახალიფოს ჯარის სარდლობაც ევალებოდა. ეს თანამდებობა ითვლებოდა მაღალშემოსავლიანად და სწრაფი გამდიდრების საშუალებას იძლეოდა. მაგალითად, იბნ აღ-ფურათი, რომელმაც 909 წელს ვეზირის თანამდებობაზე შეცვალა თავისი ძმა, უმდიდრესი ადამიანი იყო. აღ-მუ‘თასიმის რეფორმების შემდეგ ვეზირი დაჩრდილა თურქმა სამხედრო მოხელემ ამირ აღ-უმარამ.

სახალიფოში დიდი გავლენით სარგებლობდა მთავარი ყადი (კანდი აღ-კულჰთ), რომელიც სათავეში ედგა იმპერიის სასამართლო სისტემას. მას ემორჩილებოდნენ სხვადასხვა პროვინციების და ქალაქების ყადიები. მუსლიმი მოსამართლის დანიშვნის პრაქტიკა უკავშირდება ხალიფა ‘უმარ I-ის სახელს. მის დროს შეუდგნენ საქმიანობას პირველი ყადიები მედინაში, ქუფასა და ბასრაში. ‘აბასიანთა სახალიფოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მთავარი ყადის დანიშვნის უფლება ჰქონდა მხოლოდ ხალიფას, როგორც უმაღლეს რელიგიურ და სასამართლო ავტორიტეტს. ამ თანამდებობაზე

როგორც წესი, ხალიფები არჩევენ ცნობილ ფაქიჰს, რომელსაც შარიათის კარგი მცოდნისა და მეცნიერის რეპუტაცია ჰქონდა. მაგალითად, 'აბასიანთა ერთ-ერთი პირველი ყადი იყო გამოჩენილი მეცნიერი **აბუ აუსუფი (გარდ. 798 წ.)**, რომელიც მოღვაწეობდა ხალიფა ალ-მაჰდისა და მისი შვილების – ალ-ჰადის და ჰარუნ არ-რაშიდის დროს.

ყადი ითვლებოდა სახელმწიფო მოხელედ და ხაზინიდან სათანადო ანაზღაურებას იღებდა. მისი შემოსავლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ ხალიფა ალ-მა'შუნის დროს ეგვიპტის ყადი იღებდა 4000 დირჰემს თვეში. პროვინციის ყადის დანიშვნა თავდაპირველად ადგილობრივი მთავარი მოხელის – ამირას უფლებას შეადგენდა, მაგრამ შემდეგ ეს უფლება მთავარ ყადის გადაეცა. თავის მხრივ, პროვინციის ყადის შეეძლო ცალკეულ რეგიონებში და ქალაქებში დაენიშნა უფრო დაბალი რანგის ყადიები, რომლებიც მის რწმუნებულებად ან მოადგილეებად (ნა'იბ, მრ. ნუფუბ) ითვლებოდნენ. ყადი საქმეს არჩევდა მეჩეთში, თუმცა ხალიფას ან პროვინციის ამირას შეეძლო მოეთხოვა სასამართლო პროცესის გამართვა მის სასახლეში. შარიათის სასამართლოში დაცული უნდა ყოფილიყო საჯაროობა. ყადის განკარგულებაში იყო სასამართლო მოხელეთა მთელი შტატი: ქათიბი (მდივანი, გადამწერი), აღმასრულებელი მოხელე და მსახურები (ჰაჯიბი, მინსაფი, 'ავანი და სხვა). არსებობდა სასამართლო მოწმეების (შაჰიდების) ინსტიტუტიც. სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ამა თუ იმ რთული საკითხის გასარკვევად ყადის შეეძლო მიემართა ისეთი მაღალი ავტორიტეტისთვის, როგორც იყო მუფთი და მისგან მიეღო სათანადო დასკვნა ან ახსნა-განმარტება ფათეის (ფათჲ, მრ. ფათჲჲ) სახით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ყადი იღებდა. ფიქრობენ, რომ მუფთის, როგორც შარი'ათის მცოდნე მრჩეველის თანამდებობა გაჩნდა უკვე უმაიანთა დროს – 'უმარ II-ის ხალიფობის პერიოდში. მუფთის მიერ გაცემული ფათევები, ისევე როგორც სასამართლო საბუთები, გულმოდგინედ ინახებოდა, კეთდებოდა მათი ნუსხა და გადაეცემოდა მომდევნო ყადის. უფრო გვიან შარი'ათის სასამართლომ დაიკავა სპეციალურად მისთვის განკუთვნილი შენობა (მაჰჰამა). არამუსლიმი მოსახლეობა სარგებლობდა სასამართლო ავტონომიით რელიგიური თემების (კონფესიების) მიხედვით.

ხალიფას, ვეზირისა და მთავარი ყადის ადმინისტრაციული უფლებები ვრცელდებოდა უზარმაზარ იმპერიაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ რეგიონებს: არაბული მაღრიბი და ლიბია სიცილიასთან ერთად; ეგვიპტე; სირია-პალესტინა; ჰიჯაზი და იამამა (ცენტრალური არაბეთი); სამხრეთ არაბეთი – იემენი; ბაჰრეინი და ომანი ცენტრით ბასრაში; სავადი – ქვემო მესოპოტამია ქალაქებით ბაღდადი, ქუფა და ვასიტი; ალ-ჯაზირა (ძვ. ასურეთი) ცენტრით მოსულში; ადარბაიჯანი, ქალაქებით არდაბილი, თავრიზი და მარაღა; ალ-ჯაბალი (ძვ. მიდია), რომელსაც შემდგომ ეწოდა ალ-'ირაკ ალ-'აჯამი (სპარსეთის ერაცი) ქალაქებით ჰამადანი (ძვ. ეკტაბანა), არ-რეი და ისბაჰანი (ისტაჰან, ისპაჰან); ხუზისტანი ქ. აჰვაზით; ფარსი, ცენტრით შირაზში; ქერმანი; მუქრანი, თანამედროვე ბელუჯისტანი; სიჯისტანი და სისტანი, ცენტრით ზარანჯში; კუჰისტანი, კუმიის, ტაბარისტანი, ჯურჯანი და არმინია; ხორასანი (ხურასან), რომელსაც მიეკუთვნებოდა ქალაქები ნაისაბური (ნიშაპური), მერვი, ჰერათი და ბალხი, ე.ი. ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი; ხორეზმი; ას-

სულდი (სოლდიანა), ბუხარისა და სამარყანდის ჩათვლით; ფერდანა, რომელიც მოიცავდა დღ. ტაშკენტს (აშ-შსშ). **ცალკეული ოლქის (ან მხარის) აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები: ქურა (მრ. ქუვარ), ისთან (მრ. ასთონ), მიხლან (მახლან), ტასსუჯ (მრ. ტასსანჯ), ჯუნდ (მრ. აჯანდ) და უფრო იშვიათად აბანდ (აქიდან სპ. ალიაბად, ჰისნაბად, რუსთამაბად და სხვა).** თითქმის ყველა ზემომოტანილი ტერმინი არაარაბული წარმომავლობისაა და ამა თუ იმ რეგიონში ადგილობრივი ტრადიციის გავლენით ჩამოყალიბდა. მაგალითად, ტერმინი „ჯუნდ“ თავდაპირველად დამკვიდრდა სირიაში და სამხედრო ოლქის აღსანიშნავად გამოიყენებოდა (**ე. სიხარულიძე**).

‘აბასიანთა დროს სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულის სათავეში იდგა უმაღლესი პროვინციული მოხელე – **ამირა (ამირ, ქართულში დამკვიდრდა ამირა)**, რომელსაც ხალიფა ნიშნავდა ვეზირის წარდგინებით. როგორც წესი, ვეზირის გადადგომის შემთხვევაში ამირაც უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ხშირად ასე არ ხდებოდა. აღ-მავარდი თვლიდა, რომ ამირების ერთი ნაწილი (იმირა ‘ამმა) თავის პროვინციაში სარგებლობდა სრული უფლებებით და ახორციელებდა კონტროლს სასამართლოზე, საგადასახადო სისტემაზე, ყველა სამხედრო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე, ესწრებოდა პარასკევის კოლექტიურ ღოცვას (ხუტბას) კათედრალურ მეჩეთში. მეორე შემთხვევაში, ამირას არ ჰქონდა სასამართლო და ფისკალური ფუნქცია. ასეთი კლასიფიკაცია მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან პრაქტიკულად მის სტატუსს განსაზღვრავდა ისეთი ფაქტორები, როგორც იყო ცენტრალური ხელისუფლებისა და ამირას რეალური ძალაუფლება, დედაქალაქიდან პროვინციის სიშორე და სახალიფოში მიმდინარე პროცესები. ამირას ემორჩილებოდა ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც ასე თუ ისე იმეორებდა ცენტრალური ხელისუფლების ბიუროკრაციას, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით. ძირითადი მოვალეობა, რომლითაც გამოიხატებოდა პროვინციული ხელისუფლების ღოიადობა ბაღდადისადმი იყო საგადასახადო ვალდებულების შესრულება. ფისკალური მოხელე იყო ‘ამილი.

‘აბასიანთა სახალიფოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბულ-ისლამური სახელმწიფოს მართვის სისტემა, შეიქმნა სახელმწიფო უწყებები, რომელთაც დივანებს უწოდებდნენ. ეს უწყებები, რომელთაგან ზოგიერთი თანამედროვე სამინისტროს ან სამმართველოს გვაგონებს, ხელმძღვანელობდნენ იმპერიის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ და საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებას. არაბული წყაროები საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ დივანების სისტემის ასეთი სურათი:

1) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა **ხარაჯის დივანს (დინან აღ-ხარაჯ)** ე.ი. ფისკალურ უწყებას, რომელიც განაგებდა გადასახადების აკრეფის და აღრიცხვის საქმეს. ‘აბასიანთა დროს დაპყრობითი ომებიდან მიღებული ნადავლი აღარ წარმოადგენდა არსებობის წყაროს. ამიტომ სახელმწიფო ხაზინის (ხაზინა, ბაჰთ აღ-მნლ) შევსება მთლიანად საგადასახადო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე იყო დამოკიდებული. მართალია, სახელმწიფო ხაზინა უკვე ‘უმარ I-ის დროს გაჩნდა 638-640 წლებში და ისლამური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაზე მიუთითებდა, მაგრამ ‘აბასიანთა დროს იგი დაიხვეწა და საბოლოო სახე მიიღო. ხარაჯის დივანს, ისევე როგორც სხვა დივანებს, ვეზირი უწევდა მეთვალყურეობას. ასევე, საგადასახადო უწყებას

წარმოდგენდა **დნვან აზ-ზიმამ**, რომელიც ხალიფა ალ-მაჰდის დროიდან ფუნქციონირებდა.

2) **სახელმწიფო ბეჭდის დივანი (დნვან ალ-ხნთამ)**, რომელიც ხალიფას პირად კანცელარიას განასახიერებდა. აქ ხალიფას თანდასწრებით ხდებოდა უმაღლესი გადაწყვეტილების და ბრძანების დამოწმება ბეჭდით.

3) **საიმპერიო კანცელარია ან დოკუმენტთა დივანი (დნვან არ-რასა'ილ, დნვან ინ'შა)**, რომელიც განაგებდა ბოძების, თანამდებობაზე დანიშვნის ან დიპლომატიური მიმოწერის საქმეს. ამ დივანის მეთაური (სნჰიბ) XI ს. დამდეგს იღებდა 3 ათას დინარს წელიწადში.

4) **სამხედრო დივანი (დნვან ალ-ჯაამშ)**, რომელიც, თავის მხრივ, ქვემო უწყებებად იყოფოდა. ხალიფას განკარგულებაში მისი პირადი დაცვის (ჰარას) გარდა იყო ქვეითი ჯარი (ჰარბოდა), მსროლელთა რაზმი (რნმიდა) და კავალერია (ფურსნა). თავდაპირველად 'აბასიანთა პირადი გვარდიის მოვალეობას ასრულებდა სპარსელებისგან დაკომპლექტებული ე.წ. „ხურასანის“ რაზმი, მაგრამ ალ-მუ'თასიმის დროიდან მოკიდებული უპირატესობა თურქულ დაქირავებულ გვარდიას მიენიჭა. არაბები სამხედრო სამსახურს კვლავ ტომობრივი პრინციპით ეწეოდნენ: ცალ-ცალკე იყვნენ წარმოდგენილი ჩრდილოეთ არაბეთის ტომები (მუდარიტები) და სამხრეთის არაბები (იემენიტები).

5) **ხარჯების დივანი (დნვან ან-ნაჰაკათ)** იყოფოდა რამდენიმე განყოფილებად და მას ხალიფას სასახლის შენახვა ევალებოდა.

6) **საფოსტო სამსახური (დნვან ალ-ბარნდ)**, რომელსაც იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში გაფანტული ბარიდების (საფოსტო უწყებების) მეთაურები (ასჰაბ ალ-ბარნდ) აწვდიდნენ მრავალმხრივ ინფორმაციას ამა თუ იმ რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჰარუნ არ-რასიდის დროს იმპერიის მთავარი საფოსტო მოხელე (სნჰიბ ალ-ბარნდ) უშუალოდ ხალიფას ემორჩილებოდა. ბარიდების საშუალებით ხალიფა იღებდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც იმპერიის უსაფრთხოებას ეხებოდა. აქედან გამომდინარე, ბარიდების მეთაური ზოგჯერ ითავსებდა უშიშროების სამსახურის უფროსის მოვალეობასაც და იწოდებოდა, როგორც სნჰიბ ალ-ბარნდ ვა-ლ-ახბნრ. ცნობილია, რომ თავის ინფორმატორებად ხალიფა ალ-მანსური იყენებდა ვაჭრებს, მოგზაურებს და მომსახურების სფეროში დაკავებულ ჯაშუშებს, ხოლო ხალიფა ალ-მა'შუნს ქალებიც ჰყავდა ჩართული ამ სამსახურში. სხვადასხვა ბარიდებიდან ინფორმაციის მოწოდება ხდებოდა სწრაფმავალი აქლემებით, ცხენებით, ზოგჯერ კი სპეციალურად გაწვრთნილი მტრედების საშუალებითაც.

7) **პოლიციის დივანის (დნვან აშ-შურტა)** სათავეში იდგა საჰიბი, რომელიც ქალაქის მთავარ მცველადაც ითვლებოდა. ზოგჯერ ეს დიდი მოხელე ვეზირის რანგსაც აღწევდა. საქალაქო პოლიციის მოხელედ ითვლებოდა **მუჰთასიბი**, ბაზრებისა და ისლამური ეთიკური ნორმების მეთვალყურე.

8) 'აბასიანთა სახელმწიფოში ჩამოყალიბდა მეტად საინტერესო და იმ დროისთვის უდაოდ პროგრესული უწყება – **საჩივრების დივანი (დნვან ან-ნაზარ ჰნ-ლ-მაზნლიმ)**, რომელიც იღებდა ინფორმაციას ფისკალურ, სასამართლო და ადმინისტრაციულ სისტემაში არსებულ დარღვევებსა და უკანონობაზე. ეს უწყება შეიქმნა ხალიფა ალ-მაჰდის დროს და განაგრძობდა ფუნქციონირებას ალ-მუჰთადის (869-870) გამგებლობისას, თუმცა მისი

ადრეული ანალოგი არსებობდა უკვე ხალიფა ‘აბდ ალ-მალიქის დროიდან. აღსანიშნავია, რომ სიცილიის მეფემ როჯერ II-მ (1130-1154) ეს ინსტიტუტი თავის სამეფოში დანერგა, რითაც გზა გაუკაფა ევროპაში.

დივანებისა და კანცელარიის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართული იყო დაბალი რანგის მოხელეების – **ქნთიბების (მრ. ქუთთაბ)** მთელი არმია, რომელშიც არამუსლიმებიც შედიოდნენ. დროთა განმავლობაში დივანების სისტემა ცვლილებას განიცდიდა: ერთიანდებოდა ორი დივანი ან იქმნებოდა ახალი უწყება. მაგალითად, ალ-მუთავაქქილის დროს შეიქმნა ახალი **დნვან ალ-მაგნღნ ვა-ლ-დნღმზნ**, რომელიც თურქი გვარდიელების პრობლემებით იყო დაკავებული. ზოგიერთი დივანი პროვინციაშიც იყო წარმოდგენილი, მაგრამ შესაფერისი სიდიდით და ფუნქციებით.

4. მიწათსარგებლობა და ფისკალური სისტემა

‘აბასიანთა სახალიფოს ბაზისს, ე.ი. არსებობის წყაროს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ხალიფა ალ-მანსურის დროიდან მოკიდებული განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სარწყავი სისტემის მოწესრიგება-განახლებას, რითაც საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება იყო დაკავებული. დიდი მაგისტრალური ან საშუალო არხები სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა, ხოლო ლოკალური მნიშვნელობის სარწყავი ნაგებობა შეიძლებოდა კერძო პირის ხელში ყოფილიყო.

ვარგისი მიწების დიდი ნაწილი ‘აბასიანთა სახალიფოს, ე.ი. სახელმწიფოს განკარგულებაში იყო და გაიცემოდა დასამუშავებლად **იჯარის ან იკტას (იკტა, მრ. იკტა’თ) წესით**. თავდაპირველად იკტა ნიშნავდა მიწის გაცემას გარკვეული გადასახადის გადახდის პირობით ან მიწიდან მიღებული შემოსავლის გაცემას ჯამაგირის ან პენსიის სახით. თანდათანობით იკტა დაუკავშირდა სამხედრო ან სახელმწიფო სამსახურს და, ამგვარად, კარგად რეგლამენტირებული ლენის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა იკტას სხვადასხვა ფორმა, ხოლო X საუკუნეში მისი მთელი შემოსავალი თითქმის უპირობოდ მფლობელის განკარგულებაში გადავიდა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად იკტას მფლობელის (იკტადარი, მუკტა’ი) უფლებები გაიზარდა, რაც პირობით სარგებლობაში მყოფი საკარგავის გადაცემასაც გულისხმობდა. XI-XII საუკუნეებში იკტადარი მის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს, როგორც წესი, თავად გაცემდა იჯარით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იკტამ ფეოდალური მიწათმფლობელობისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა. მონღოლთა ბატონობის დროს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იკტას ნაცვლად გაჩნდა ტერმინი სუიურდალი – მემკვიდრეობითი და თიული – დროებითი საკარგავის (ნადულის) აღსანიშნავად.

სახელმწიფო მიწების ფონდში შედიოდა ე.წ. **მკვდარი მიწებიც (მავათ)**, რომელთა დამუშავება და გამოყენება რაიმე სხვა დანიშნულებით არ ხდებოდა. შარიათის მიხედვით შეიძლებოდა ასეთი მიწების გადაცემა იმათზე, ვინც შეძლებდა მათ დამუშავებას (გაცოცხლებას), მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სათანადო ნებართვით.

მუსლიმურ სამართალში სახელმწიფო მიწებთან იყო გაიგივებული ის მიწებიც, რომელიც ხალიფას ან მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდათ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო მიწებიდან მიღებული შემოსავალი შედიოდა ხაზინაში (ბადთ ალ-მალ), ხოლო სულთნის მიწებიდან აღებული გადასახადი ხალიფასა და მისი ოჯახის წევრების ხარჯების დასაფარავად უნდა გადარიცხულიყო მის პირად ხაზინაში (ბადთ ალ-ხნსა).

მკვლევართა შორის ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებობდა მხოლოდ კერძო მფლობელობა მიწაზე და არა კერძო საკუთრება. ასეთი თვალსაზრისი ემყარებოდა ზოგიერთი ფაიქის შეხედულებებს ამ საკითხზე, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა ადასტურებს მიწაზე კერძო საკუთრების კატეგორიის მიწების – **მულქის (ან მილქი, მრ. ამლჰჰ)** არსებობას. მულქის მფლობელი არ იყო დამოკიდებული რაიმე სამსახურზე, შეეძლო კუთვნილი მიწის ნაკვეთის გაყიდვა-გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა, მაგრამ არ თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. მულქის პატრონის საკუთრებად ითვლებოდა მის ნაკვეთზე არსებული სარწყავი საშუალებებიც. იმ შემთხვევაში, როცა მულქის პატრონს არ რჩებოდა მემკვიდრე, მიწის ნაკვეთი ხაზინას გადაეცემოდა. საშუალო და წვრილი მულქები ცნობილი იყვნენ კატაი'ის სახელით და მათზე ხარაჯის გადასახადი იყო დაწესებული, ხოლო დია'ი უფრო დიდ და პრივილეგირებულ მიწებს მოიცავდა. ამ კატეგორიის მიწის მფობელი იხდიდა 'უშრს, ზოგჯერ კი გადასახადისგან თავისუფლდებოდა კიდევც.

დასამუშავებლად ვარგისი მიწების ნაწილი შესაწირავის სახით გადადიოდა მუსლიმური რელიგიის (მჩეთის, მედრესეს, ზავიდას და ა.შ.) განკარგულებაში. ამ მიწებიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა საკულტო და საქველმოქმედო მიზნებს. ასეთი კატეგორიის მიწები (ან სხვა სახის უძრავი ქონება) ეკუთვნოდა **ვაკფის (ვაკფ, მრ. ავაჰფ, ვუკჰფ)** ფონდს. მისი ჩამორთმევა, გაყიდვა-გასხვისება და დაბეგვრა არ შეიძლებოდა. ვაკფის გამცემს შეეძლო თვითონ დაენიშნა მისი საქმისმწარმოებელი – მუთავალი (მუთავალღ ალ-ა'მალ) ან ზედამხედველი (ნაზირ). მიწის შეწირვა ფორმდებოდა სპეციალური დოკუმენტით, სადაც ხშირად მითითებული იყო შემოსავლის განაწილების წესი. XI საუკუნიდან, მედრესეების ინტენსიური მშენებლობის დროს, ვაკფების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

სახალიფოს ვრცელ ტერიტორიაზე იყო მიწები, რომლებიც სოფლის (კარდა) საერთო მფლობელობაში რჩებოდა, რაც თემის ყველა წევრს უფლებას აძლევდა ესარგებლა მიწით, საძოვრებით და წყლით. ფეოდალიზაციის პროცესთან ერთად სათემო მიწების მოცულობა მცირდებოდა, მაგრამ მიწათსარგებლობის ამ ფორმამ მაინც შეინარჩუნა თავისი ფუნქცია. **სათემო მიწები თეორიულად სახელმწიფო მიწების კატეგორიას განეკუთვნებოდა.**

აბასიანთა სახალიფოში მიწების დამუშავება ხდებოდა მათი **იჯარით (იჯარ)** გაცემით, რაც მკაცრად იყო რეგლამენტირებული. მთავარი მწარმოებელი იყო გლეხი, მიწის მუშა, რომელიც სხვადასხვა ტერმინით აღინიშნებოდა (აჰლ ალ-არდ, აჰლ ალ-ხარჯჰ, რა'იდა, 'ულჰჰ, ფალღჰ და სხვა). საგადასახადო ტრაქტატებში იჯარის შინაარსით გვხვდება ტერმინი მუხარა'ა და აღწერილია მისი სხვადასხვა სახეობა.

სახალიფოს საგადასახადო სისტემა მთლიანად ბიზანტიისა და ირანის ტრადიციებსა და გამოცდილებას ემყარებოდა. ძირითადი გადასახადი, რომელიც დასამუშავებლად ვარგის მიწაზე იყო დაწესებული ცნობილია **ხარაჯის (ხარჯ)** სახელწოდებით. მისი გადახდა შეიძლებოდა როგორც ნატურით, ასევე ფულით. ცნობილია ამ გადასახადის რამდენიმე სახე, კერძოდ: 1) **მუკასამა (მუკასამა)**, რომლის ოდენობა განისაზღვრებოდა მოსავლის სიდიდის მიხედვით; 2) **მისაჰა (მისაჰა)**, რომელსაც იხდიდნენ დასამუშავებელი ფართობის სიდიდის შესაბამისად; 3) მუკატა‘ა, დიდი ფართობიდან ასაკრეფი და რამდენიმე წლით წინასწარ დაწესებული გადასახადი (‘იბრა). უკეთესი საფინანსო-ეკონომიკური ვითარების დროს, მაგალითად, ‘აბასიანთა მესამე ხალიფა ალ-მაჰდის გამგებლობის პერიოდში, უპირატესობა ენიჭებოდა მიწათმოქმედისათვის უფრო ოპტიმალურ მუკასამას, ხოლო ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის შემდეგ სახალიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაუარესების გამო ისევ მისაჰა აღადგინეს. ყველა შემთხვევაში ხარაჯის ოდენობა დაახლოებით მოსავლის 1/3-ს შეადგენდა. მუკასამას გადახდა, როგორც წესი, მოსავლის აღებისას ხდებოდა, ხოლო ფულადი სახით დავალიანების დაფარვა შეიძლებოდა მთელი წლის მანძილზე.

არამუსლიმებისთვის დაწესებულ სულადობრივ გადასახადს ეწოდებოდა **ჯიზია** და მან სრული სახე VIII საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო. ჯიზიას მუსლიმი თეოლოგები და სამართლისმცოდნეები (ფაკიჰები) განიხილავდნენ, როგორც არამუსლიმთა გამოსასყიდს სიცოცხლის, ქონების და თავისი რელიგიური მრწამსის შენარჩუნებისათვის. ამ გადასახადს წელიწადში ერთხელ იხდიდნენ მხოლოდ სრულწლოვანი, ჯანმრთელი მამაკაცები ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად (მდიდრები დაახლ. – 48, საშუალო შეძლების – 24, ღარიბი – 12 დირჰემს), მაგრამ არა წარმართები და ისლამის რენეგატები, რომელთაც შარიათი არ აძლევდა მფარველობის ან უსაფრთხოების გარანტიას. ყველა გამუსლიმებული ჯიზიას გადახდისგან თავისუფლდებოდა. VIII საუკუნემდე სულადობრივი გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ ზიმიების წარმომადგენელი რელიგიური პირები, რომელთაც არ ჰქონდათ საკუთარი შემოსავალი და მთლიანად თავისი კონფესიის სახსრებით არსებობდნენ. XI-XII საუკუნეებში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა ცალკეული კონკრეტული რელიგიური თემის საერთო პასუხისმგებლობას ჯიზიას გადახდაზე. ამ შემთხვევაში თანხა განისაზღვრებოდა თემის წევრთა რაოდენობით და მისი აკრეფა ევალებოდა ზიმიების ავტორიტეტულ წარმომადგენელს ან კონფესიის მეთაურს.

გარდა ზემოაღნიშნული გადასახადებისა, სახალიფოში არსებობდა რამდენიმე ფისკალური ვალდებულება, რომლის შესრულება სავალდებულო იყო მუსლიმისათვის. ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა ისეთი გადასახადები, როგორიცაა **‘უშრი, ზაქათი (ზაქათ) და სადაკა**. ‘უშრი (მეათედი) დაწესებული იყო ან სპეციალურ ე.წ. „‘უშრის მიწებზე“, ან გასაყიდად გამოიზნულ საქონელზე. რაც შეეხება ზაქათსა და სადაკას, ორივე განიხილებოდა როგორც საქველმოქმედო გამოსაღები, რომელიც უნდა მოხმარებოდა სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მუსლიმებს. მისი სიდიდე დამოკიდებული იყო გადამხდელის მატერიალურ შესაძლებლობაზე. სშირად მორწმუნეები სადაკას გაიღებდნენ მეჩეთში. მუსლიმი თეოლოგები ზაქათს და სადა-

კას ქონებრივი გადაანაწილების საშუალებად მიიჩნევენ და მიუთითებდნენ ამ გზით სოციალური ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობაზე. ზოგიერთი ფაქტი ზაქათის ტოლფასად მიიჩნევა წიაღისეულზე (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები) დაწესებულ გადასახადს **ხუმსს (მეხუთედს)**. შარიათი არ იწონებდა მუსლიმთა მიერ მიწის ან სხვა უძრავი ქონების გადასვლას ზიმიების ხელში, მაგრამ თუ ასეთი გარიგება გარდუვალი იყო, მყიდველს უნდა გადაეხადა ხუმსი.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური სამართალი არ ცნობდა ბაჟს დღევანდელი გაგებით, სახალიფოს დიდ ნავსადგურებში (ალექსანდრია, ჯილდა, კულზუმი – დღ. სუეცი, ბასრა და სხვა) განლაგებული იყო საბაჟოები (მარსად, მრ. მარსიდ), ხოლო აღებული ბაჟი ფორმდებოდა როგორც ზაქათი. ცალკეული გამგებლები ცდილობდნენ შეექმნათ თავისი საბაჟოები. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში არ არსებობდა, რაც თავისთავად განსაზღვრავდა ტარიფების მრავალფეროვნებას.

ყველა ზემოწამოთვლილი გადასახადი განიცდიდა ევოლუციას და დროთა განმავლობაში სახეს იცვლიდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული ფისკალური სისტემის გვერდით არსებობდა უამრავი გადასახადი, რომელთა კანონიერება ეჭვს იწვევდა მუსლიმთა ფართო წრეებში და ეკონომიკური ტრაქტატების („ქითაბ ალ-ხარაჯ“) ავტორთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. მუკასამას შეცვლამ მისაჰათი და ზედმეტმა გადასახადებმა საგრძნობლად დაამძიმეს ფელაჰების მდგომარეობა, რასაც სტიქიური აჯანყებები მოჰყვა, თუმცა მიწათმოქმედთა გამოსვლები მანამდეც ხდებოდა. მაგალითად, **776-783 წლებში** შუა აზიაში გაიშალა დიდი მოძრაობა, რომლის მეთაური ცნობილია **მუკანნას (ალ-მუკანნა – სახედაფარული)** სახელით. სახალიფოს ჯარმა შეძლო სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაეკავებინა ბუხარა და სამარყანდი, ხოლო თავად მუკანნა მოკლეს. ასეთი სახის სოციალური გამოსვლები, როგორც წესი, რელიგიური ლოზუნგებით იწყებოდა, რაც საშუალებას აძლევდა სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფებს, შიიტებსა და ხარიჯიტებს, ცენტრალური ხელისუფლებისა და ‘აბასიანთა ხალიფას წინააღმდეგ მიემართათ ისინი.

‘აბასიანთა საგადასახადო სისტემამ გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ყველა ისლამური სახელმწიფოს ფისკალურ სისტემაზე. XIII საუკუნეში მონღოლებმა ხარაჯის აღსანიშნავად შემოიღეს ტერმინი **მნღ**, ხოლო ოსმალეთის იმპერიაში ზოგჯერ ტერმინით **ხარაჯ** აღნიშნავდნენ, როგორც არამუსლიმთა მიერ გადასახდელ სულადობრივ, ისე მიწაზე დაწესებულ გადასახადს.

5. სოფლის მეურნეობა, საქაღაჭო ცხოვრება, ხელთსნობა და ვაჭრობა

VIII საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული დიდი ხნის მანძილზე სახალიფოში არსებობდა მშვიდობიანი აღმშენებლობითი საქმიანობის პირობები, რაც სახალიფოს სხვადასხვა რეგიონში, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის განვითარებას დაეცყო. დიდი საირიგაციო სამუშაოები და არსებული სარწყავი სისტემის ეფექტური გამოყენება, განსაკუთრებით ერაყსა და

ეგვიპტეში, ხელს უწყობდა ტრადიციული სამეურნეო დარგების გამოცოცხლებას, ახალი კულტურების შემოტანას და დანერგვას. სახალიფოს ზოგიერთ პროვინციაში, მაგალითად, სირია-პალესტინაში გავრცელდა ინდოეთიდან შემოტანილი ციტრუსები. თითქმის ყველგან ფართო ხასიათი მიიღო ხორბლის, ქერის, ბრინჯის და ტექნიკური კულტურების წარმოებამ. სირია-ლიბანი და პალესტინა განთქმული იყო მევენახეობით, შაქრის ღერწმის მოშენებით, მებაღეობა-მეხილეობით. სამხრეთ ერაყში, ქერმანში და ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ და სხვა პროვინციებში გაჰქონდათ არაბებისთვის კარგად ცნობილი და თითქმის უნივერსალური ხასიათის კულტურა – ფინიკი (თამრ). შუა საუკუნეების გეოგრაფი ალ-მუკადდასი (X ს.) წერდა, რომ მარტო პალესტინაში არსებობდა 36 დასახელების სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელთაგან შვიდი მხოლოდ აქ მოჰყავდათ. ზეთისხილით სირია და მადრიბი ამარაგებდა მთელ იმპერიას. არაბეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთ აფრიკაში და ირანის აღმოსავლეთით ფართოდ იყო გავრცელებული მომთაბარე მესაქონლეობა. არაბული ცხენი განთქმული იყო და დიდი რაოდენობით გაჰყავდათ სახალიფოს ყველა პროვინციაში. სოფლის მეურნეობის საკითხებით დაინტერესებული იყვნენ მეცნიერებიც, რომელთაც თავიანთ შრომებში შეჰქონდათ მდიდარი მასალა სხვადასხვა რეგიონში დაგროვილი სამეურნეო გამოცდილებიდან.

‘აბასიანთა სახალიფოში მაღალ დონეზე ავიდა საქალაქო ცხოვრება. არაბთა დიდი დაპყრობების შემდეგ მათ ხელში აღმოჩნდა დიდი ქალაქები (დამასკო, ჰაღები, ანტიოქია, იერუსალიმი, ალექსანდრია, ნიშაბური, მერვი, ისფაჰანი, სამარყანდი, ბუხარა და სხვა), სადაც აშკარად იგრძნობოდა ანტიკური, რომაულ-ბიზანტიური ან სპარსული ტრადიციების გავლენა. სახალიფოში გადმოსული მრავალი სირიული, ირანული და ბიზანტიური ინსტიტუტი მიუთითებს გენეტიკურ კავშირზე ანტიკურ და ისლამურ ქალაქებს შორის. ადრე არსებული ურბანისტული ელემენტი ორგანულად დაუკავშირდა ახალ, თვისებრივად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, კულტურას და კლასობრივ განლაგებას ქალაქებში. მართალია, არაბთა დაპყრობების შემდეგ ზოგიერთმა ქალაქმა (მაგ., სირიის სანაპიროზე) დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, მაგრამ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა აქტივიზაციის შედეგად საქალაქო ცხოვრებამ აქაც ახალი იმპულსი მიიღო. ამავე დროს, არაბთა ყოფილი სამხედრო ბანაკების ადგილზე სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენით უკვე VII საუკუნეში აღმოცენდა ახალი ქალაქები (ქუფა, შირაზი, ბასრა, კაირავანი, ფუსტატი), რომლებიც **ამსარის (ალ-ამსარ, მასსარა – ათვისება, დასახლება) ტიპის ქალაქებად არის ცნობილი. შუა საუკუნეების მუსლიმურ ქალაქში, მკვლევართა აზრით, შეიძლება გამოვყოთ საკუთრივ შიდა ქალაქი (მაღონა, შაჰ-რასთან) და ვაჭარ-ხელოსნებით დასახლებული გარე ქალაქი – რაბადი.**

‘აბასიანთა პერიოდში, კერძოდ უკვე X საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბულ-მუსლიმური ქალაქი, რომლის ძირითადი ატრიბუტები იყო: ციხე-გალავანი, ფეოდალის სასახლე-რეზიდენცია, ბაზარი (სუკ), კათედრალური მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯამი), მოედანი, აბანო და ქარვასლები (ფუნდუკი, ვიქნლა), სადაც ინახებოდა გასაყიდად განკუთვნილი საქონელი. ქ. დამასკოში XII საუკუნის მიწურულს 40-დე კეთილმოწყობილი ბაზარი

(კადუნარდა) და 7 ფუნდუკი ფუნქციონირებდა, რაც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიგვიტოთებს. ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ სახალიფოს სხვა ქალაქებიც, სადაც გაჩნდა ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი სპეციალობა და რამდენიმე ათეული სპეციალიზირებული ბაზარი. იმპერიის დიდი სავაჭრო-სახელოსნო ქალაქები პროვინციების მიხედვით ასე შეიძლება განაწილდეს: ერაყში – ბაღდადი, ქუფა, ბასრა; სირიაში – დამასკო, ანტიოქია, ჰალეპი; ეგვიპტეში – ფუსტატი, ალექსანდრია, უფრო გვიან კაირო; ჩრდილოეთ აფრიკაში – კაირავანი, ფესი; ირანში – შირაზი, ისფაჰანი, რეი; ხორასანში – ნიშაბური და მერვი; მავარანაპრში – სამარყანდი და ბუხარა. სირიის ქალაქები განთქმული იყო ლითონის დამუშავებით, მაღალი ხარისხის იარაღით (მაგ., დამასკური მახვილით) და ქსოვილებით, ირანის ქალაქები (შირაზი, ისფაჰანი, რეი, მერვი) ქსოვილების და ხალიჩების დამზადებით, ფარსის ოლქი კი დახელოვნებული იყო პარფიუმერიის წარმოებაში. თითქმის ყველა ქალაქში იყვნენ ქვის და ტყავის დამუშავების ოსტატები. სპარსეთის ყურეში და წითელ ზღვაში მოიპოვებდნენ მარგალიტსა და მარჯანს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო.

‘აბასიანთა სახალიფოში ხელოსნობის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი გამოიყენებოდა: ჰირდა, მრ. ჰირაფ; მიჰნა, მრ. მიჰან; სან‘ა, სინ‘ა, მრ. სინ‘ი. მათი პროფესიული გაერთიანებები, ზოგიერთი მკვლევრის (ლ. მასინიონი, ბ. ლუსი) აზრით, ცნობილი იყო ტერმინით „სინფ (მრ. ასნაფ).“ დღეისთვის დამტკიცებულად ითვლება, რომ ისლამურ ქვეყნებში ხელოსანთა პროფესიული გაერთიანებები XVI საუკუნემდე არ არსებობდა და მათი წარმოქმნა უკავშირდება ანატოლიელი თურქების, ე.წ. „ახნ-ების“ (საძმოების) ინსტიტუტს. მანამდე არსებული ხელოსანთა საძმო („ჯამა‘ა“) შეიძლება უფრო გვიანდელი პროფესიული გაერთიანების, გილდიების (ჰამქრების) წინამორბედად ჩაითვალოს. როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავდა, მართალია, X-XII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში ჩაისახა ვაჭარ-ხელოსანთა გაერთიანებები, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით ამქრული ორგანიზაციების მარტივი ფორმების ევოლუცია საბოლოოდ მხოლოდ XVII საუკუნეში დამთავრდა. რაც შეეხება ტერმინს „სინფ“, იგი გაგებული უნდა იქნეს, როგორც ხელოსნობის ან პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი და არა როგორც ხელოსანთა გაერთიანება. საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებით ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ისლამური აღმოსავლეთი არ იცნობდა საქალაქო აღმინისტრაციას ან მუნიციპალური ხასიათის ინსტიტუტებს.

არაბთა ვრცელი იმპერიის წარმოქმნამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას, მით უმეტეს, რომ ეს საქმე უცხო არ იყო არაბებისთვის. საზღვაო და სამდინარო ფლოტის შექმნამ საშუალება მისცა მათ გაეშალათ სავაჭრო საქმიანობა მაროკოდან და ესპანეთიდან ინდოეთამდე და ჩინეთამდე, სადაც მუსლიმ ვაჭართა კოლონიებიც გაჩნდა. აქტიურად ამოქმედდა სახმელეთო საქარავნო გზები, რომელთაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდათ იმპერიის სხვადასხვა პროვინციებსა და რეგიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ინფორმაციების მიწოდების და, ბოლოს, ყოველწლიური რელიგიური ვაღდებულების – ჰაჯის შესრულებისათვის. იმპერიის დედა-

ქალაქი ბაღდადი და მისი პორტი ბასრა, ფაქტობრივად, მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა. ინდოეთიდან და ჩინეთიდან აქ შემოდის ძვირფასი ქვები, ხე-ტყე, მინერალები და ლითონის ნაწარმი, აბრეშუმი, აფრიკიდან სპილოს ძვალი, შაკანის მონები და სხვა. ჩრდილოეთით მუსლიმი ვაჭრები გავიდნენ ქვემო ვოლგისპირეთზე, ხოლო სამხრეთით წითელ ზღვაზე, სადაც დიდ სავაჭრო ნავსადგურებად იქცნენ აილა (ეილეთი), ალ-კულზუმი (სუეცი) და ჯიდდა. სავაჭრო საქმე თავდაპირველად ქრისტიანების, ებრაელების და ზოროასტრელების ხელთ იყო, მაგრამ შემდეგ დომინანტი ამ სფეროშიც მუსლიმები გახდნენ. ზოგიერთი მათგანის წარმატება მოგზაურობასა და ვაჭრობაში იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ არაბი გეოგრაფების და ისტორიკოსების აღნიშვნის საგანი გახდა. მათი ცნობით, ბასრელი ვაჭრების გემებს საქონელი შემოჰქონდათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და თითოეული მათგანი უზარმაზარ სახსრებს ფლობდა. სწორედ ბასრის, ფარსის რეგიონის სპარსელები და სამხრეთ არაბეთიდან გამოსული არაბები მუსლიმთა შორის საუკეთესო ვაჭრებად ითვლებოდნენ.

უკვე უმაიანთა დროს, ხალიფა 'აბდ ალ-მალიქის რეფორმების შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა არაბულ სამონეტო სისტემას, რომელიც 'აბასიანთა სახალიფოში უფრო დაიხვეწა და მსოფლიო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახდა. არაბული მონეტები (დინარი, დირჰემი, ფალსი) აღმოჩენილია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მონეტების მოჭრა ხდებოდა დედაქალაქში და პროვინციების დიდი ქალაქების ზარაფხანებში. თავდაპირველად სამონეტო საქმეს კონტროლს უწევდნენ ხალიფები, მაგრამ ჰარუნ არ-რაშიდის დროიდან მოკიდებული ზარაფხანებს განაგებდა სპეციალური მოხელე ნაზირ ას-სიქქა. პროვინციებში ჭრიდნენ ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს, უფრო გვიან კი ოქროს დინარსაც. მონეტა იჭრებოდა ხალიფას სახელით, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: რომელიმე პროვინციის გამგებლის (ამირას) მიერ მონეტის მოჭრა საკუთარი სახელით ცენტრალური ხელისუფლების იგნორირებას და მორჩილებიდან გამოსვლას ნიშნავდა. დინარის კურსი ხშირად იცვლებოდა, რაც სახალიფოს საერთო ეკონომიკურ და საფინანსო მდგომარეობას ასახავდა. IX საუკუნის დამდეგს ფულადი ანგარიშსწორება ძირითადად დირჰემებით ხდებოდა, X საუკუნის დამდეგიდან კი უპირატესობა დინარს მიენიჭა, თუმცა სახალიფოს აღმოსავლეთის პროვინციებში დირჰემი კვლავ ინარჩუნებდა თავის პოზიციებს. სავაჭრო-ფინანსური გარიგებები, როგორც წესი, ხდებოდა სარაფების (სარაფ, მრ. საფარიფა), ფულის გადამცვლელთა მონაწილეობით. სარაფების უმრავლესობა ებრაელი იყო და კარგ სამსახურს უწევდა მუსლიმ ვაჭრებს საკრედიტო სფეროში, რითაც აიხსნება ის, რომ ევროპელი ორიენტალისტები მათ ზოგჯერ „ბანკირებსაც“ უწოდებენ. მართალია, შარიათი კრძალავს პირველი მოხმარების პროდუქტებით სპეკულაციას და მევახშეობას (რიბა'), მაგრამ ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა არამუსლიმებზე. ვაჭრობის წესების დაცვას, ქონების და სიცოცხლის ხელშეუხებლობას იცავდა პოლიცია (აშ-შურტა) და მუჰთასიბი. ქალაქის უბნებისა და მთავარი ქუჩების პატრულირება ღამით ევალებოდა სპეციალურ რაზმს, რომელიც დილის პირველ ლოცვამდე (სალათ ას-სუბჰ) ასრულებდა პოლიციის მოვალეობას.

შუა საუკუნეების არაბული ქალაქი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო რეგიონთან, რომელიც ბაზარს ამარაგებდა პროდუქტებით. ქალაქის მოსახლეობის ნაწილი ბალ-ბოსტანს ფლობდა გარეუბანში და თავს ირჩენდა არა მარტო ვაჭრობა-ხელოსნობით, არამედ მიწათმოქმედებითაც. **სოციალური დაძაბულობის გაძლიერებისას სახალიფოს ქალაქებში გაჩნდნენ რელიგიურ სამოსელში გამოსხეული ოპოზიციური დაჯგუფებები (ფითჰან, აჰარუნ), რომლებიც ერთიანდებოდნენ და პრობლემას უქმნიდნენ ხელისუფლებას. X საუკუნეში დაიწყო ამ მოძრაობის დაახლოვება სუფიურ ორდენებთან, რამაც გავლენა მოახდინა საქალაქო ცხოვრებაზე ისლამური სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანაში.**

6. რელიგიურ ყმტკირესობათა სცაცყსი 'აბასიანთა სახალიფოში

'აბასიანთა სახალიფოს საზოგადოებრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა ისლამური თეოკრატიისათვის შესაფერისი რელიგიური დაყოფის საფუძველზე. დომინანტი ამ საზოგადოებაში იყო ისლამური თემი, ხოლო არამუსლიმური კონფესიები ისლამის „მფარველობის“ ქვეშ იყო ჯიზიას გადახდის პირობით. მიუხედავად ლეგალიზებული და შარი'ათით რეგლამენტირებული უთანსწორობისა, არამუსლიმთა მდგომარეობა ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა და უფრო მეტად განისაზღვრებოდა არა შარი'ათით, არამედ ხალიფებისა და მათი მოხელეების პოლიტიკით. ხალიფები და სულთნები დაინტერესებული იყვნენ გამოცდილი ქრისტიანი და იუდეველი ქვეშევრდომების ცოდნითა და გამოცდილებით, ცდილობდნენ მათ გამოყენებას და ამისათვის მათთან თანამშრომლობას მიუღებლად სრულიადაც არ თვლიდნენ. აქედან გამომდინარე, თუ ყოველთვის არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ხშირად იქმნებოდა რელიგიური შემწყნარებლობის ისეთი პირობები, რომლის მსგავსს ვერ ვხედავთ შუა საუკუნეების ევროპაში.

'აბასიანთა ქრისტიანი ქვეშევრდომები ძირითადად არაორთოდოქსული ორი ეკლესიის წარმომადგენლები – **იაკობიტები და ნესტორიანელები** იყვნენ. ნესტორიანელთა პატრიარქი (ან კათალიკოსი) სარგებლობდა უფლებით ჰქონოდა რეზიდენცია ბაღდადში. საპატრიარქოს გარშემო გაჩნდა ქრისტიანთა უბანი, რომელსაც ეწოდა დარ არ-რუმ. ნესტორიანელთა პატრიარქს ემორჩილებოდა შვიდი, მათ შორის ბასრის, მოსულის (მავსილის) და ნასიბინის მიტროპოლიტი. არჩეულ პატრიარქს, ისევე როგორც სხვა კონფესიათა წინამძღოლებს, ამტკიცებდა ხალიფა, რომელიც მას იმპერიის ყველა ქრისტიანის მეთაურად აღიარებდა.

დიდი გავლენით სარგებლობდნენ იაკობიტებიც, მაგრამ ხალიფას კარზე ისინი ნესტორიანელთა მეტოქეობას და წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. 912-913 წლებში სწორედ ნესტორიანელთა სურვილის შესაბამისად ხალიფამ უარი უთხრა იაკობიტების პატრიარქს რეზიდენციის გადატანაზე ანტიოქიიდან ბაღდადში იმ მოტივით, რომ იაკობიტები თითქოს ბიზანტიის ორიენტაციისა იყვნენ, როგორც ამას ამტკიცებდნენ ნესტორიანელები. იაკობიტებს ჰქონდათ მონასტრები ბაღდადში და მის გარეთ, ჰყავდათ მიტროპოლიტი რეზიდენციით თაქრითში. რელიგიური შეხედულებებით იაკობიტებთან ახლოს იდგა კოპ-

ტური და ნუბიის ეკლესია, რომლის მეთაურად ალექსანდრიის პატრიარქი ითვლებოდა.

ისევე, როგორც უმაიანთა დროს, 'აბასიანთა მოსვლის შემდეგაც მუსლიმთა და ქრისტიანთა შორის მიმდინარეობდა დისპუტი რელიგიურ საკითხებზე. ერთ-ერთი პირველი პოლემიკური ტრაქტატის ავტორია თეოლოგი **თეოდორე აბუ კურრა (აბუკურა, გარდ. 820 წ.)**, ცნობილი მეცნიერის იოანე დამასკელის მოწაფე, მელქიტების ეპისკოპოსი ქალაქ ჰარრანში და ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი თხზულება ცნობილი გახდა საქართველოშიც მას შემდეგ, რაც XII საუკუნეში არსენ იყალთოელმა თარგმნა იგი ბერძნულიდან. ასეთივე ხასიათის ტრაქტატი დაუწერია 781 წელს ნესტორიან პატრიარქს ტიმოთეს, ხოლო მუსლიმთა მხრივ ალ-ქინდის („რისნაღათ აბდ ალ-მანსურ“), რომელიც ასახავდა პოლემიკას ისლამისა და ქრისტიანობის ღირსებათა შესახებ. მეორე მუსლიმი მეცნიერის **'აღნ ატ-ტაბარინს (გარდ. 854 წ.)** ნაშრომი, „ქითან ად-დინ ვა-დ-დავლა“, მიზნად ისახავდა ისლამის უპირატესობის წარმოჩენას, მაგრამ გამოირჩეოდა იშვიათი ზომიერებით. ავტორი, ყოფილი ქრისტიანი ტაბარისთანთან, იმოწმებდა ბიბლიას, ალბათ მის სირიულ ვერსიას ან ადრეულ არაბულ თარგმანს. სავარაუდოა, რომ X საუკუნეში არსებობდა ძველი და ახალი აღთქმის არაბული თარგმანი, თუმცა ბიბლიის ცალკეული ნაწილი სირიულიდან ან ბერძნულიდან ითარგმნა უკვე VII ს. მეორე ნახევარში. ძველი აღთქმის თარგმანი შეუსრულებია ეგვიპტელ **სა'ნდ ალ-ჰადჰუმის (საადია გაონს, 882-942)**, რომელსაც არაბულად მოლაპარაკე ებრაელები კითხულობდნენ. ეს თარგმანები აღძრავდა მუსლიმთა ინტერესს პოლემიკისადმი, რაც კარგად გამოხატა IX ს. ცნობილმა არაბმა ლიტერატორმა ალ-ჯაჰიზმა.

მიუხედავად იმისა, რომ შარი'ათი არამუსლიმებს საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრად მიიჩვენდა, მრავალ მათგანს 'აბასიანთა მაღალი მოხელის, ზოგჯერ კი ვეზირის თანამდებობაზეც ნიშნავდნენ. მაგალითად, ქრისტიანი ვეზირი ჰყავდა ხალიფა ალ-მუთაჰის (940-944), ხოლო ალ-მუ'თადიდის დროს (892-902) სამხედრო უწყებას ქრისტიანი ედგა სათავეში. 'აბასიანი ხალიფების პირადი ექიმის მოვალეობას, როგორც წესი, ნესტორიანელები ასრულებდნენ. ოფიციალური ხელისუფლების კეთილ დამოკიდებულებას ნესტორიანელებისადმი ადასტურებს ხალიფა ალ-მუკთაფის მიერ 1138 წელს გამოცემული უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ამ რელიგიის მიმდევრების უფლებები საჯაროდ იქნა აღიარებული. აქედან გამომდინარე, გაკვირვებას არ იწვევს ცნობები ერაყისა და სირიის ქალაქებში ქრისტიანთა სიმრავლის შესახებ. სავარაუდოდ, IX-X საუკუნეებში ისინი ბაღდადში შეადგენდნენ 40-50 ათასს, ხოლო ედესისა და თაქრითის მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანი იყო.

სახალიფოს სხვადასხვა პროვინციაში ქრისტიანების გარდა **იუდეველებიც** ცხოვრობდნენ. ერთი ებრაელი მოგზაურის ცნობით, 1169 წელს ბაღდადში ფუნქციონირებდა იუდეველთა (რაბინათის) ათამდე სკოლა და 23 სინაგოგა, რომელთაგან ერთ-ერთი გაწყობილი იყო მარმარილოს ფილებით, დამშვენებული ორნამენტებით და შემკული ოქრო-ვერცხლით. ებრაელთა თემის მთავარი რაბინი ითვლებოდა დავითის შთამომავლად, აღიარებული იყო იმპერიის ყველა იუდეველის მეთაურად და დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მდიდრულად გამოწყობილ მთავარ რაბინს, როცა მიემართებოდა ხალიფასთან

აუდიენციაზე, თან ახლდა დიდი ცხენოსანი ამაღა და წინ მიუძღოდა მსახური ძახილით: „გზა მიეცით ჩვენს ბატონს, დავითის შვილს!“ რამდენიმე ხალიფას დროს, მაგალითად, ალ-მუ'თადიდის (892-902) გამგებლობისას იუდეველთაგან სულ ცოტა ერთს მაინც ეკავა მაღალი თანამდებობა. ებრაელთა კარგად ორგანიზებული კოლონია ბაღდადში არსებობდა 'აბასიანთა დაცვამდე.

არაბულ წყაროებში რელიგიურ უმცირესობათა აღსანიშნავად ხშირად გვხვდება სიტყვა **საბიები (საბი'უნ, საბი', საბი, საბი'ა, საბა)**. ეს ხალხი ნახსენებია ყურანში, მაგრამ გაუგებარია კონკრეტულად ვისზეა ლაპარაკი. საკითხი გაურკვეველი დარჩა ყურანის კომენტატორებისთვისაც, რომლებიც საბიებს ზოგჯერ **მანდიანებსაც** უწოდებენ. მკვლევართა აზრით, აღნიშნულ ტერმინს შეიძლება სამი სხვადასხვა შინაარსი ჰქონდეს: 1) ამ ტერმინით აღნიშნავდნენ მანიქეველებს; 2) საბიებს (ან მულთასილას) უწოდებდნენ ყოფილ იუდეველთა გაქრისტიანებულ სექტას, რომელიც არაბებს დახვდათ სამხრეთ ერაყში, დღევანდელი ბასრის რეგიონში. მდინარესთან მათი დასახლება იმითაც აიხსნება, რომ სექტის მიმდევრების რელიგიური რიტუალი წყალთან იყო დაკავშირებული. ბასრისა და ქუფის მუსლიმთა თეოლოგებმა, როგორც ჩანს, ყურანში ნახსენები საბიები სწორედ ამ სექტასთან გააიგივეს. არაა გამორიცხული, რომ ეს საბიები იყვნენ ოდესღაც ბაბილონის ტყვეობაში მყოფი იუდეველების შთამომავალნი. მათი რელიგია შეიცავდა იუდაიზმის, ქრისტიანობის, ზოროასტრიზმისა და ძველი ბაბილონის სარწმუნოებრივ ელემენტებს. აქედან გამომდინარე, მათ ბაბილონის საბიებსაც უწოდებენ. სექტის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ ბაღდადშიც და ცნობილი იყვნენ, როგორც ვერცხლის დამუშავების ოსტატი იუველიერები; მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით ისინი შემორჩნენ დღევანდელ ირანსა და ერაყში; 3) იმის გამო, რომ საბიებს ყურანით ჰქონდათ გარანტირებული აჰლ ალ-ქითაბის, ე.ი. მუსლიმთა მფარველობაში მყოფთა სტატუსი, ეს სახელი სასურველი გახდა ქ. ჰარრანის რაიონში თავმოყრილი სემიტურ-პოლითეისტური მოსახლეობისათვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არაბი მუსლიმი და ქრისტიანი აგტორები ხშირად საბიებს უწოდებენ სწორედ ანტიკურ წარმართებს, რომელთა კვალი ჰარრანში შემორჩა. 'აბასიანთა დროს საბიების სახელი მტკიცედ დაუმკვიდრდათ ჰარრანის წარმართებს და მათ გამუსლიმებულ შთამომავლებს. აქაური საბიები ცნობილი იყვნენ ვარსკვლავთმრიცხველობით და მეცნიერების სხვადასხვა დარგების დრმა ცოდნით, რასაც მუსლიმები აფასებდნენ და იყენებდნენ კიდევ. არაბულმა წყაროებმა შემოგვინახეს საბიების წრიდან გამოსული ჰარრანელი მეცნიერის, მათემატიკოსისა და ასტრონომის **აბუ-ლ-ჰასან საბით იბნ კურრას (გარდ. 901)** სახელი. იბნ კურრამ სიცოცხლის დიდი ნაწილი ბაღდადში გაატარა, სარგებლობდა მუსლიმი მეცნიერების აღიარებით და ხალიფა ალ-მუ'თადიდის მფარველობით. მისი შვილი **აბუ სა'ედ სინანი (გარდ. 943 წ.)** იყო სამი ხალიფას – ალ-მუ'თადიდის, ალ-კაჰირის და არ-რადის ექიმი. მან ისლამი მიიღო, აქტიურად ჩაება ბაღდადში საავადმყოფოების მშენებლობასა და მკურნალთა მომზადებაში. სინანს ჰქონია შრომები მათემატიკაში, ასტრონომიაში და მეცნიერების სხვა დარგებში. იბნ კურრას შთამომავლები დიდი ხნის მანძილზე სარგებლობდნენ მეცნიერთა რეპუტაციით.

ტერმინი – საბიები **გავრცელდა ზოროასტრელებზეც (მაჯუნს)**, თუმცა ყურანის მიხედვით ისინი არ ეკუთვნოდნენ აჰლ ალ-ქითაბს. ირანის დაპყრობის შემდეგ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები განაგრძობდა ფუნქციონირებას ირანსა და ერაყში, ხოლო VIII საუკუნეში ინდოეთში გადასახლებულმა სპარსელებმა დღემდე შემოინახეს ეს რელიგია, რომლის მიმდევარიც ყოფილა გამუსლიმებული იბნ ალ-მუკაფა. ასევე ზოროასტრელებად ან ქრისტიანულ ერესად მიიჩნევდნენ არაბები **მანიქეელობას**, მაგრამ მალე მუსლიმთა შორის დამკვიდრდა აზრი, რომ სპარსელი მანის (III ს.) რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება მისი დუალიზმით საშიში იყო ისლამისათვის. 'აბასიანთა ხალიფებმა ალ-მაჰდიმ და ალ-ჰადიმ სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე მანიქეელი, ხოლო პარუნ არ-რაშიდმა თავის სპეციალურ მოხელეს დაავალა მანის მიმდევართა დენის ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, მანისა და მაზდაქის (V-VI სს.) მოძღვრებათა გავლენა იგრძნობოდა მთელი შუა საუკუნეების მანდილზე, განსაკუთრებით 'აბასიანთა სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში.

მიუხედავად იმ ტოლერანტობისა, რომელსაც ისლამური საზოგადოება პრაგმატული მოსაზრებით იჩენდა არამუსლიმებისადმი, ზღვარი ისლამსა და რელიგიურ კონფესიათა შორის ყოველთვის არსებობდა. სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები ვერ იქნებოდნენ ერთმანეთის მემკვიდრეები, აგრეთვე ერთი რელიგიიდან მეორეში გადასვლა ან შერეული ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა, თუმცა დასაშვებად ითვლებოდა ზიმიების გამუსლიმება. შარი'ათის სასამართლო არსებობდა მხოლოდ მუსლიმებისთვის, ხოლო არამუსლიმთა საქმეს განიხილავდა შინაკონფესიური სასამართლო. რელიგიური ფაქტორი საქალაქო ცხოვრებაზეც აისახებოდა: სხვადასხვა რელიგიური თემები განლაგებული იყო ცალ-ცალკე უბნებად (ჰარა, მაჰალა), რომელსაც თავისი სპეციფიკური სახე ჰქონდა.

თაპი VI

‘აბასიანთა სახალიფოს დამტო და მისი შედეგები

1. ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოების წარმოქმნა

რელიგიურ სამოსელში გამოხვეულმა სოციალურმა გამოსვლებმა და სეპარატიზმის გაძლიერებამ ხელი შეუწყო სახალიფოს დასუსტებას და დაშლას, რაც თავისთავად დაემთხვა სახელმწიფოში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესს. ასეთ ვითარებაში სახალიფოს სხვადასხვა რეგიონში წარმოიშვა რამდენიმე დიდი ნახევრად დამოუკიდებელი ერთეული.

უკვე IX ს. პირველ მეოთხედში აღ-მა'შუნის სპარსული წარმომავლობის ცნობილმა სარდალმა **ტაჰირ იბნ ალ-ჰუსაინმა** ხორასანში დასაბამი მისცა **ტაჰირიანთა დინასტიას (821-891)**, რომლის დედაქალაქი იყო ჯერ მერვი, ხოლო შემდეგ ნიშაბური. ტაჰირიანთა გავლენა გავრცელდა ტაბარისტანზე და ირანის სხვა პროვინციებზე. მართალია, ამ დინასტიის წარმომადგენლები ფორმალურად ‘აბასიანთა ხალიფას ვასალები იყვნენ, მაგრამ ფაქტობრივად მათი დამოკიდებულება ბაღდადზე ხარაჯის ნაწილის გაგზავნით შემოიფარგლებოდა. მაშინ, როცა ტაჰირიანები ხორასანს განაგებდნენ, მათი ოჯახის ზოგიერთ წევრს ბაღდადში პოლიციის უფროსის – სპიბ აშ-შურტას მაღალი თანამდებობაც ეკავა. ტაჰირიანები ერთგულად იცავდნენ ორთოდოქსულ ისლამს, ხელს უწყობდნენ ქვეყნის სამეურნეო განვითარებას და მეცნიერებას.

ტაჰირიანთა ბატონობის დროს ირანში გაძლიერდა კიდევ ერთი, **საფარიანთა დინასტია (861-1003)**, რომლის დამაარსებელმა ამირა **ას-საფარმა (ია'კუბ იბნ ლაჰს ას-საფჰარ, 861-879)** ძალით ჩაიგდო ხელში არა მარტო თავისი მშობლიური სისტანი (იგივე სიჯისტანი, დღ. ჰერათის სამხრეთით), არამედ მეზობელი ჰერათი, ქერმანი, ფარსი და, ბოლოს, ხორასანიც, რითაც ბოლო მოუღო ტაჰირიანთა ბატონობას. როგორც მისი ლაკაბი „საფჰარ“ („მესპილენძე“) მიუთითებს, დინასტიის ფუძემდებელი ეკუთვნოდა ხელოსანთა წრეს. საფარიანთა დინასტია გარეგნულად სუნიტური იყო, მაგრამ ხარიჯიტების მხარდაჭერითაც სარგებლობდა. 876 წელს ას-საფარმა ბაღდადის აღება სცადა, მაგრამ მარცხი განიცადა. საფარიანთა დინასტია შეცვალა **სამანიანთა სპარსულმა დინასტიამ (819-1005)**, რომელმაც გააერთიანა ცენტრალური აზიის და ირანის დიდი ნაწილი. ფორმალურად სამანიანებიც ‘აბასიანთა ხალიფას ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ. მათი ორივე დედაქალაქი – ბუხარა და სამარყანდი ისლამური კულტურის და მეცნიერების დონით ბაღდადსაც უწევდა მეტოქეობას. სამანიანთა სახელმწიფოს ბოლო მოუდეს თურქული წარმოშობის **ღახნევიანებმა (X ს. დამლვეი – 1186 წ.)**. ამავე პერიოდში სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში

გაჩნდნენ უფრო წერილი საფეოდალოები, მაგალითად, **აბუ დულაფიანთა – ჰამადანში (825-898)**, **საჯიანთა – აზერბაიჯანში (879-929)** და სხვა.

დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულების წარმოქმნისათვის შესაფერისი პირობები შეიქმნა იმპერიის დასავლეთ პროვინციებშიც. უკვე უმაიანთა დროს VIII საუკუნეში ჩრდილოეთ აფრიკის ბერბერების დიდი ნაწილი ჩათრეული აღმოჩნდა მოძრაობაში, რომელიც მიმდინარეობდა ხარიჯიტული ლოზუნგებით და მიმართული იყო ორთოდოქსული ისლამის და ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბერბერი ტომებისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა ხარიჯიტული ეგალიტარიზმი, მით უმეტეს, რომ ისინი მავლების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. უმაიანთა და 'აბასიანთა ცდას, აღეკვეთათ ბერბერთა გამოსვლები, შედეგი არ მოჰყოლია.

VIII ს. დამლევს და IX ს. დასაწყისში მდგომარეობა მალრიბში გართულდა იმითაც, რომ ფართოდ გავრცელდა ე.წ. „შარიფების ინსტიტუტი“. შარიფებად (შარაფ, მრ. შურაფა, აშრაფ) აქ იწოდებოდნენ არა მარტო ის არაბები, რომელთაც საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდათ მოციქულის შთამომავლობაზე, არამედ მათთან დანათესავებული ბერბერებიც. რელიგიური და სოციალური დემაგოგიით შარიფები ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ მორწმუნეთა მასების გაერთიანებას და მათ გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის. 'აბასიანთა დინასტიის აღზევებას და უმაიანთა საამიროს გაძლიერებას ესპანეთში არსებითი გარდატეხა არაბული მალრიბის ცხოვრებაში არ შეუტანია.

პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო მალრიბში, კერძოდ დასავლეთ ალჟირში, შექმნეს ხარიჯიტებმა VIII ს. დამლევს, როცა სპარსული წარმომავლობის **იბნ რუსთამმა ('აბდ არ-რაჰმან იბნ რუსთამ, 778-788)** შეძლო გაეერთიანებინა ზომიერი ხარიჯიტების – იბადიტების მოძრაობა (იბადიდა). **რუსთამიანთა (ან რუსთუმიანთა)** დედაქალაქი გახდა თაჰართი (თიარეთი, დღ. ალჟირში), რომელიც არაბული მალრიბის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. აქედან მოკიდებული, ისლამური სამყაროს ყველა იბადიტი თავის მეთაურად რუსთამიანთა ამირას მიიჩნევდა. ამ ხარიჯიტულმა დინასტიამ იარსება 909 წლამდე, ე.ი. ფატიმიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე.

ორთოდოქსული ისლამის დაცვა ჩრდილოეთ აფრიკაში და ხარიჯიტების დაშოშმინება ჰარუნ არ-რაშიდმა დაავალა თავის ერთ-ერთ სარდალს ხორასანიდან **იბნ ალლაბს (იბრაჰიმ იბნ ალლაბ, 800-812)**, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა **ალლაბიანთა** სახელმწიფოს (დავლათ ალ-ალაღიბა) იფრიკიაში, ე.ი. დღევანდელი თუნისის ტერიტორიაზე. მართალია, ალლაბიანები (ბანუ-ალ-ალლაბ) ამირებად იწოდებოდნენ და ფორმალურად 'აბასიანთა ხალიფას ემორჩილებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად დამოუკიდებელნი იყვნენ. პირველი, რაც ალლაბიანმა ამირებმა გააკეთეს, იყო ხარიჯიტების გამოსვლების ჩახშობა და ფიქსირებული გადასახადების შემოღება, რითაც სახელმწიფო ხაზინა შეივსო, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა სოციალური დაძაბულობა. ბერბერული ტომების უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ იბრაჰიმ იბნ ალლაბი იძულებული გახდა დროებით თავისი დედაქალაქი კაირავანი დაეტოვებინა.

განსაკუთრებულ ძლიერებას ალლაბიანთა სახელმწიფომ მიაღწია მესამე ამირა **ზიად-ალლამ I-ის (817-838)** დროს. ამირამ შეძლო შეექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტი, რომელიც ჯიჰადის საბაბით არბევდა სამხრეთ ევროპის

სანაპიროსა და კუნძულებს. საზღვაო ძლიერებამ აღლაბიანთა ამირებს საშუალება მისცა 869 წელს დაეპყროთ მალტა, ხოლო 878 წელს სიცილია, რომელიც მუსლიმთა ხელში დარჩა ნორმანების გამოჩენამდე, ე.ი. XI ს. დამლევამდე. აღლაბიანთა დედაქალაქი კაირავანი IX საუკუნეში გახდა არაბული მადრიბის რელიგიური და კულტურული ცენტრი, სადაც ცნობილი ფაკიჰის **‘აბდ ას-სალამ საჰნუნ-ის (777-855)** მიერ შემუშავდა მალიქიტური მაზჰაბის კონცეფცია. კაირავანის დიდი მეჩეთი, რომელიც დღესაც ქალაქის დამაარსებლის ‘უკბას სახელს ატარებს თავიდან აშენდა. ჩრდილოეთ აფრიკის მეორე ცნობილი ქალაქი **რაკკადა** ასევე აღლაბიანთა დინასტიის წარმომადგენლის **იბრჰიმ II-ის (875-902)** მიერაა დაარსებული **263/876 წელს**.

ხარიჯიტობასთან ერთად არაბულ მადრიბში გზა გაიკაფა შიიტობამ. პირველი დამოუკიდებელი შიიტური სახელმწიფოს წარმოქმნა ამ რეგიონში დაკავშირებულია შარიფების მოძრაობასთან, კერძოდ იმამ ჰასანის შეილთაშვილის **იდრის I-ის (789-791)** სახელთან. იდრისი 786 წელს მონაწილეობდა ‘აბასიანთა წინააღმდეგ ჰიჯაზში მოწყობილ წარუმატებელ აჯანყებაში, რის შემდეგაც იძულებული გახდა გაქცეულიყო ჯერ ეგვიპტეში და შემდეგ მადრიბში. მოიპოვა რა ჩრდილოეთ მაროკოს ბერბერული ტომების მხარდაჭერა, მან გააერთიანა ქვეყნის დიდი ნაწილი და, ამგვარად, საფუძველი ჩაუყარა **იდრისიანთა სახელმწიფოს (დავლათ აღ-ადარისა)**. როგორც ჩანს, სწორედ მას დაუარსებია მომავალი დედაქალაქი ფესი (ფანს) ბიზანტიური ვოლუბილისის ადგილზე. ამ ქალაქის მშენებლობა დამთავრდა 808 წელს **იდრის II-ის (808-828)** დროს. ფესი გახდა მადრიბელი შარიფების (შორფა) თავშეყრისა და საქმიანობის ცენტრი. დინასტიის მესამე წარმომადგენლის **მუჰამმადის (828-836)** გამგებლობის პერიოდში გაჩნდა იდრისიანთა დაქვეითების ნიშნები.

იდრისიანთა შიიტური საამირო ძალიან შორს იყო ‘აბასიანთა სახალიფოს დედაქალაქისგან და ფაქტობრივად არავითარ ზეწოლას იქიდან არ განიცდიდა. მაგრამ X საუკუნის დამდეგს, ისევე როგორც რუსთამიანთა და აღლაბიანთა სახელმწიფოებს, მასაც დაემუქრა საფრთხე ფატიმიანებისგან, რომლებმაც 921 წელს აიღეს ფესი. ამის შემდეგაც 974 წლამდე დინასტიის წარმომადგენლები თავს აფარებდნენ მაროკოს ძნელად მისაწვდომ რაიონებს. ამ არაბულ ქვეყანაში დღესაც არიან შარიფები, რომლებიც თავს იდრისიანთა შთამომავლებად თვლიან.

‘აბასიანთა სახალიფოსგან ჩამოცილების ტენდენცია ეგვიპტეშიც გაჩნდა. ხალიფა აღ-მუ‘თაჰმა (866-869) იქ ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად გაგზავნა **აჰმად იბნ ტულუნ-ი (868-884)**, თურქული წარმომავლობის მოხელე, რომელიც მალე ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. ხალიფას ცდა ძალით დაემორჩილებინა იგი, 878 წელს მარცხით დამთავრდა. იბნ ტულუნმა თურქების, ბერბერებისა და სუდანელებისაგან ჩამოაყალიბა დაქირავებული რაზმები, ჩაატარა რეფორმები სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის წასახალისებლად, გაშალა ფართო საირიგაციო და სამშენებლო საქმიანობა. ეგვიპტეში მოჭრილ მონეტებზე ახლა ‘აბასიანთა ხალიფას გვერდით მისი სახელიც გაჩნდა. მართალია, ახლად წარმოქმნილი **ტულუნიაანთა სახელმწიფოსთვის (868-905)** უცხო არ იყო რეპრესიები და სისასტიკე, მაგრამ ეფექტურმა გამგებლობამ კვალი დაამჩნია ქვეყანას. ამას ადასტურებენ არაბი მემატრიანეები, რომლებიც ტულუნიაანთა პერიოდს ეგვიპტის ისტორიის „ოქროს ხანად“ მიიჩნევენ. 879 წელს

კაიროში აგებული იბნ ტულუნის გრანდიოზული მეჩეთი იმ დროის ეგვიპტის სიმბოლოდ დარჩა დღემდე. ხალიფა კარგად ხელაგდა ტულუნიანთა მიღწევებს, მაგრამ ვერ ურიგდებოდა მდიდარი პროვინციის დაკარგვას. 905 წელს ხალიფა ალ-მუქთაფის (902-908) ბრძანებით 'აბასიანთა ჯარი კვლავ შეიჭრა ეგვიპტეში. დინასტიის ბოლო წარმომადგენელი **ამირა ჰარუნ-ი (895-905)** მოკლეს, რითაც დამთავრდა ტულუნიანთა ისტორია, მაგრამ თურქული წარმომავლობის დინასტიების გამგებლობა კვლავ აღსდგა, როცა ეგვიპტე გადაეცა შუა აზიელ თურქ სარდალს **მუჰამმად იბნ ტულჯ ალ-ისშინდს (882-946)**, რომელიც მანამდე დამასკოში იმყოფებოდა. ტიტული „ისშინდ“, რომელიც სპარსული წარმომავლობისაა და გამგებელს ნიშნავს, მან 939 წელს მიიღო ხალიფა არ-რადისგან (934-940). იბნ ტულჯის მემკვიდრეები არ ცდილობდნენ ისშიდიანთა რეჟიმის სრული დამოუკიდებლობის მიღწევას და ფორმალურად მაინც თავს 'აბასიანთა სუნიტი ხალიფების ქვეშევრდომებად თვლიდნენ. მათი გავლენა არა მარტო ეგვიპტეზე, არამედ ცენტრალურ და სამხრეთ სირიაზეც ვრცელდებოდა. იბნ ტულჯის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება დროებით ხელთ იგდო მისი მცირეწლოვანი შვილების მეურვემ, ნუბიელმა საჭურისმა **ქაფურმა (ქნქურ ალ-ისშინდ)**, რომელიც 966-968 წლებში ფაქტობრივად ერთპიროვნულად განაგებდა ეგვიპტეს. მისი გამგებლობის პერიოდში ეგვიპტეს თავს დაატყდა ჭირის ეპიდემია, გვაღვა, შიმშილობა და, ბოლოს, ხანძარი, რომელმაც ასობით სახლი გაანადგურა ფუსტატში.

სახალიფოს ფეოდალური დაშლის პროცესი თანდათან ბაღდადსაც მიუახლოვდა, მოიცვა ერაყი და სირია. X საუკუნეში ასპარეზზე გამოვიდა შიიტ **ჰამდანიანთა** გვარი, რომელიც თაღლიბის ტომს ეკუთვნოდა. ცნობილია ჰამდანიანთა ორი შტო: ერთმა ფეხი მოიკიდა ალ-ჯაზირასა და სირიაში (905-991), რომლის ცენტრი იყო მოსული, ხოლო მეორემ ჩრდილოეთ სირიაში დედაქალაქით ჰალეპში (945-1004). განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია **სირიის ჰამდანიანთა** საამირომ **სადჰ ად-დავლას (945-967)** გამგებლობისას. ამ დროს სწორედ მას მოუხდა სირიის დაცვა ბიზანტიელთა შემოტევისგან. საბოლოოდ ეს საამირო ეგვიპტელი ისმაილიტების ხელში გადავიდა, ხოლო უკანასკნელი ამირა **სა'იდ ად-დავლა (991-1001)** ფატიმიანთა ვასალი გახდა.

მაშინ, როცა 'აბასიანთა ხალიფა ბაღდადიდან კონტროლს ვერ უწევდა მეზობელ სირიას და ირანს, რა თქმა უნდა, მისი ძალაუფლება ვეღარ გავრცელდებოდა შორეულ პროვინციებზე, მაგალითად, იემენზე, სადაც უკვე IX ს. მეორე ნახევარში გაძლიერდნენ ადგილობრივი **ზეიდიტი იმამები**, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ ქვეყნის გაერთიანებისთვის და თავისი ხელისუფლების განმტკიცებისთვის.

2. 'აბასიანთა სახალიფო ბუყაიჰიანთა და სელჩუკთა ბატონობის პერიოდში

X საუკუნის შუა წლებში 'აბასიანთა ხალიფას ადმინისტრაციულ კონტროლს ექვემდებარებოდა მხოლოდ ერაყის მცირე ნაწილი და ხუზისტანი. ძალაუფლებისათვის ბრძოლა გამწვავდა საკუთრივ ბაღდადშიც, სადაც

თურქული წარმომავლობის სარდლები აშკარად უპირისპირდებოდნენ ხალიფას და ერთმანეთს. 'აბასიანთა ხალიფა ტახტისა და ნომინალური ხელისუფლების შესანარჩუნებლად ცდილობდა მხარი დაეჭირა ხან ერთი, ხან მეორე მეტოქე მხარისთვის, რაც სახელმწიფოს უძღურებაზე მიუთითებდა. ახასიათებდა რა შექმნილ ვითარებას, ცნობილი არაბი ფილოსოფოსი **ალ-ფარაბი** წერდა: „წესიერი ადამიანი ვერ იცხოვრებს უწესო საზოგადოებაში. მას არჩევანი არა აქვს, ან უნდა გადასახლდეს უფრო მოწესრიგებულ სახელმწიფოში, თუკი არსებობს ამის საშუალება, ანდა დარჩეს მარტოდმარტო ამ ქვეყანაზე და იყოს უბედური. ასეთი ადამიანისთვის სიკვდილი სიცოცხლეზე უკეთესია“. როგორც ჩანს, არაბი ინტელექტუალები კარგად ხედავდნენ იმპერიის დაქვეითების ნიშნებს, იმ ანარქიას და ძალადობას, რომელმაც დედაქალაქში დაისადგურა და მას მიუღებლად მიიჩნევდნენ.

ამ დროს მეზობელ ირანში, კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით დაილამის მთიანეთში (აქედან „დაილამიტები“) გაძლიერებულმა **ბუვაჰმანთა (იგივე ბუიდების)** გვარმა დაიწყო ირანის გაერთიანება. 945 წლის მიწურულს დაილამიტები შეიჭრნენ ბაღდადში და მათმა მეთაურმა **აჰმადმა** აიძულა ხალიფა ალ-მუსთაქფი (944-946) დაენიშნა იგი ამირ ალ-უმარად **მუ'იზ ალ-დავლას** ტიტულით. ამიერიდან მუ'იზის სახელი ხალიფასთან ერთად აღინიშნებოდა ხუტბაში და მონეტებზე. 'აბასიანთა ხალიფამ დაკარგა საერო ხელისუფლება და ფაქტობრივად ბუვაჰმანთა სრულ კონტროლს დაექვემდებარა. როგორც უმაღლესი სასულიერო ავტორიტეტი იგი ამტკიცებდა საერო მეთაურს – **სულთანს (არაბ. სულტან)**, მაგრამ საკუთარი სასახლის გარეთ მისი უფლებები არ ვრცელდებოდა. ამგვარად, **ბუვაჰმანთა ბაღდადში დამკვიდრების შემდეგ 'აბასიანთა სახალიფოს ისტორიაში დაიწყო მეორე პერიოდი (945-1258), როცა ხალიფები აღარ სარგებლობდნენ რეალური ძალაუფლებით და მხოლოდ სუნიტური ისლამის სიმბოლურ მეთაურებად ითვლებოდნენ.** ბუვაჰმანთა ბატონობის დროს ბაღდადში ხუთი ხალიფა შეიცვალა და არც ერთი მათგანი არ სარგებლობდა სხვა პრეროგატივებით, გარდა ხუტბაში და მოჭრილ მონეტებზე მისი სახელის აღნიშვნისა.

დაილამიტები ზომიერი შიიტები (ისნა'შარია) იყვნენ, მაგრამ მაინც მათმა აღზევებამ გამოიწვია ერაყელი სუნიტების უკმაყოფილება, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავა ხალიფა ალ-მუსთაქფის გადაყენებამ. ბაღდადში დაიწყო შეტაკებები სუნიტებსა და შიიტებს შორის, რასაც მოჰყვა შიიტური უბნის – ქარხის დარბევა. არაბებს უჭირდათ იმასთან შეგუება, რომ მათი ფაქტობრივი გამგებელი მუ'იზ ალ-დავლა ცუდად ფლობდა არაბულ ენას და მასთან ურთიერთობისათვის თარჯიმნის დახმარება სჭირდებოდათ.

ბუვაჰმანთა ძლიერებამ ზენიტს მიაღწია **'ადუდ ალ-დავლას (949-983)** დროს. 977-979 წლებში მან თავის ირანის სამფლობელოს ერაყიც შეუერთა და 983 წლამდე წარმატებით განაგებდა მას. **ის იყო პირველი ბუვაჰმანთა შორის, რომელმაც მიიღო ტიტული „შაჰანშაჰ“ და ხალიფას მიერ სულთანად იქნა აღიარებული.** მართალია, მას დედაქალაქი შირაზიდან ბაღდადში არ გადაუტანია, მაგრამ 'აბასიანთა სატახტო ქალაქის მიმართ იჩენდა მზრუნველობას, რაც ფართო სამშენებლო საქმიანობით გამოიხატა. 978-979 წლებში აშენდა ბაღდადის ცნობილი საავადმყოფო „ალ-'ადუდ“, რომელზედაც, ზოგიერთი ცნობით, 100 ათასამდე დინარი დაიხარჯა. 'ადუდ ალ-დავლას ინიციატივით

გაიშალა დიდი კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც კარგად აისახა იმდროინდელი სახელმწიფო მოხელის და ცნობილი ისტორიკოსის **იბნ მისქაფაჰის** (აბუ 'ალნ აჰმად იბნ მუჰამმად იბნ მა'კსუბ, გარდ. 1030 წ.) ნაშრომში „ხალხების გამოცდილება“ („თაჯჯარიბ ალ-უმაჰ“). 'ადუდ ად-დავლა ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც კარგი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ როგორც განათლებული პიროვნება, ლიტერატურისა და მეცნიერების მეცენატი. მიუხედავად იმისა, რომ მისი შიიტური ორიენტაცია კარგად იყო ცნობილი, შირაზში სამეფო სასახლის კარი ყოველთვის ღია რჩებოდა განსხვავებული შეხედულებების მეცნიერებისათვის, რაც რელიგიური შემწყნარებლობის აღიარებას ნიშნავდა.

XI ს. დამდეგს დაილაამიტების რეჟიმი საგრძნობლად შესუსტდა, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ დინასტიის მეთაურები ხშირად იძულებული ხდებოდნენ ხანგრძლივად დაეტოვებინათ ბაღდადი. ასეთ დროს ხალიფები ცდილობდნენ თავისი შეზღუდული უფლებების გაფართოებას, მაგრამ გარკვეულ წარმატებას მხოლოდ XII საუკუნეში მიაღწიეს.

XI საუკუნე აღინიშნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თურქ-სელჩუკთა შემოსევებით. უკვე 1050 წელს ხალიფა ალ-კა'იმმა (1031-1075) აღიარა სელჩუკთა სულთანი, რის შემდეგაც **1055 წ. ტულრილი (ან თოდრულ-ბეგი) შევიდა ბაღდადში** და იქ ბუვაჰიანთა ასწლოვან ბატონობას ბოლო მოუღო. 'აბასიანთა ხალიფას მდგომარეობა ამით არ შეცვლილა, ვინაიდან ძალაუფლება ახლა სელჩუკთა სულთნის ხელში გადავიდა. სულთანი ტულრილი საჯაროდ აცხადებდა, რომ აღიარებდა 'აბასიანთა ხალიფას სუნიტური ისლამის მეთაურად, რის საპასუხოდ ალ-კა'იმის ბრძანებით ბაღდადში, რამადანის თვეში ხუტბა ალაველინეს ხალიფასა და სელჩუკთა სულთნის სახელზე. ამიერიდან სულთანი გახდა შუამავალი (ბურჰან) ხალიფასა და საერო ხელისუფლებას შორის. მიუხედავად ამისა, ერაყის მოსახლეობა არ იყო კმაყოფილი თურქების რეჟიმით და სცადა კიდევ წინააღმდეგობის გაწევა. ორ მხარეს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა 1058 წელს, როცა სელჩუკმა მეომრებმა ბაღდადის მოსახლეობის ძარცვას მიჰყვეს ხელი. შეტაკებებით მოცული ქალაქი მოულოდნელად დატოვა ტულრილმა, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა ახერბაიჯანში წასულიყო თავისი მეამბოხე ძმის იბრაჰიმ ინალის დასასჯელად. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად ისარგებლა ბუვაჰიანთა თურქული წარმომავლობის სარდალმა **ალ-ბასასირიმ (არსლან ალ-ბასნსირი)** და სცადა ხელში ჩაეგდო ერაყი. მან დაიკავა მოსული, ხოლო შემდეგ შიიტური რაიონის – ქარხის მხარდაჭერით ბაღდადში შევიდა. ალ-ბასასირიმ დამხობილად გამოაცხადა 'აბასიანთა ხალიფა ალ-კა'იმი, რომელსაც მან დაუპირისპირა ეგვიპტის ფატიმიანთა შიიტი ხალიფას აღმუსთანსირის ავტორიტეტი. ერთი წლის მანძილზე, როცა ალ-ბასასირი ბაღდადში იმყოფებოდა, ფატიმიანთა ხალიფას სახელზე 40-ჯერ ალაველინეს ხუტბა. 1059 წლის დამდეგს ტულრილი და შემდეგ კი 'აბასიანთა ხალიფაც ბაღდადში დაბრუნდნენ, ხოლო ალ-ბასასირიმ გაქცევით უშველა თავს. ქარხის შიიტებს თავს დაატყდათ სუნიტების შურისძიება და სასტიკი რეპრესიები. ბაღდადი გახდა სელჩუკთა იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის ცენტრი, რომელსაც განაგებდა ხალიფა სელჩუკთა სულთნის რწმუნებულისა და მაღალი მოხელის – შიჰნას (ან შიჰნეს) ზედამხედველობით. ეს თანამდებობა

ერაყში გაჩნდა XI საუკუნის 50-იან წლებში, ხოლო ბოლო შიჰნა დანიშნა სულთანმა მუ'იზ ად-დინ სანჯარმა (1118-1157) 1135 წელს.

სულთან **აღფ არსლანის (1063-1072)** დროს სელჩუკები ძირითადად იმპერიის გაფართოებით იყვნენ დაკავებულნი, რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მეთაური ერთხელაც არ ყოფილა ბაღდადში. მისი მცდელობით და მექის შარიფისათვის დიდი თანხის გადახდის შემდეგ გადაწედა ისლამის წმინდა ქალაქში ხუტბის აღვლენა 'აბასიანთა ხალიფას სახელზე ფატიმიანთა ხალიფას ნაცვლად, რაც ბაღდადისათვის უფრო პრესტიჟის საკითხი იყო, ვიდრე პოლიტიკური ხასიათის მიღწევა.

თურქ-სელჩუკთა ბატონობის პერიოდში საბოლოოდ გამოიკვეთა სულთნისა და ხალიფას ურთიერთდამოკიდებულება, განისაზღვრა მათი სტატუსი ისლამურ სახელმწიფოში. X საუკუნეში სულთანად ითვლებოდა ყველა საერო ხელისუფლების მატარებელი მაღალი რანგის გამგებელი, რომელიც თავისი ავტორიტეტითა და სტატუსით ვერ გაუტოლდებოდა ხალიფა-იმამს. სელჩუკთა დროიდან მოკიდებული, ტერმინმა „სულტან“ უფრო კონკრეტული შინაარსი მიიღო: ამ ტერმინით აღნიშნავდნენ მხოლოდ დიდი და გავლენიანი სახელმწიფოს სათავეში მდგომი დინასტიის მეთაურს ანუ „ღვთის აჩრდილს დედაძიწაზე, რომლის მფარველობასაც ეძებდა ყველა ჩაგრული“. ხალიფა კვლავ რჩებოდა მუსლიმთა იმამად, ე.ი. რელიგიურ მეთაურად, რაც მას უფლებას აძლევდა „დაეკანონებინა“ სულთნის პრეროგატივები, მაგრამ მას ხელი არ მიუწვდებოდა არც სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეზე და არც სულთნის ქვეშევრდომებზე. ხალიფას მიერ სულთნის კურთხევის რიტუალი ორ მხარეს შორის არსებული ურთიერთობის განუყოფელი ატრიბუტი გახდა. სელჩუკები ცდილობდნენ დანათესავებოდნენ 'აბასიანებს და ამით კიდევ უფრო განემტკიცებინათ თავისი მდგომარეობა. ეს არ გამორიცხავდა სულთნისა და ხალიფას დაპირისპირებას, რომელიც, როგორც წესი, სულთნის გამარჯვებით მთავრდებოდა. ამგვარად, როგორც მეკლეგართა მიერაა აღნიშნული, სულთანსა და ხალიფას შორის დამყარდა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც არსებობდა, ერთი მხრივ, იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპაში რომის პაპს, და მეორე მხრივ, საფრანგეთისა და გერმანიის მონარქებს შორის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ევროპაში უპირატესობა ერთხანს მაინც რელიგიური მეთაურის მხარეს იყო მაშინ, როცა ბაღდადში სასწორი თავიდანვე სულთნის მხარეს გადაიხარა. ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა სელჩუკებმა მიიღეს სუნიტური ისლამი და მისი თავგამოდებული მფარველები გახდნენ, მათი ზედაფენა კი სპარსულ-არაბულ ცივილიზაციას ეზიარა. შემთხვევითი არაა, რომ სელჩუკთა კარზე დაწინაურდა წარმოშობით სპარსელი, აღფ არსლანისა და მალიქ-შაჰის ვეზირი **ნიზამ ალ-მულქი**, გამომჩენილი სწავლული, რომელსაც ეკუთვნის ტრაქტატი სახელმწიფოს მართვის შესახებ „სიფსათ ნამა“ („სიასეთ-ნამე“).

სელჩუკთა დიდი იმპერიის საბოლოოდ დაშლის შემდეგ ერაყი დარჩა ე.წ. „ერაყის სელჩუკიანებს“, რომელთაც პირველობის პრეტენზია ჰქონდათ. 1161 წლის შემდეგ სულთან **არსლანის (არსლან შაჰ ბ. ტუღრილ)** დროს ე.წ. „სპარსეთის ერაყში“ ფაქტობრივი ძალაუფლება გადავიდა სულთნის აღმზრდელის – ათაბეგ შამს ად-დინ ელდიგიუზის, აზერბაიჯანის გამგებლის ხელში. მისი შთამომავლები XII ს. მეორე ნახევარში ერაყს მართავდნენ. ძალ-

აში დარჩა ხელისუფლების განაწილების უკვე აპრობირებული ფორმულა: ხალიფას ხელში დარჩა ხუტბა და რელიგიური ხასიათის საკითხები, ხოლო სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა და საერო საქმეები სულთნის პრეროგატივად ითვლებოდა. სელჩუკთა სასულთნოს დაშლის პროცესით ისარგებლა ზოგიერთმა ხალიფამ და სცადა დაკარგული საერო უფლებების დაბრუნება. ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა ხალიფა **ალ-მუკთაფის (1136-1160)** და მისი მემკვიდრის **ალ-მუსთანჯიდის (1160-1170)** დროს, რომელთაგან მეორის დედა, როგორც ფიქრობენ, ქართველი მხევალი იყო. საინტერესოა, რომ 'აბასიანთა ხალიფა სელჩუკების წინააღმდეგ მოკავშირეებს ერაცს გარეთ, კერძოდ, საქართველოშიც ეძებდა (**გ. ჯაფარიძე**).

XII ს. მიწურულს და XIII ს. დამდეგს ბაღდადის ხალიფებმა გარკვეული წარმატება მოიპოვეს და **ან-ნასირმა (1180-1225)** ერაცის ტერიტორიაზე თავისი ადმინისტრაციული კონტროლი დააწესა, მაგრამ ყოველივე ეს 'აბასიანთა წარსული ძლიერების მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო. ან-ნასირი ცნობილია იმით, რომ სათავეში ჩაუდგა რელიგიურ საძმოს, რომელიც თავისებურ იდეოლოგიურ სისტემას – ფუთუვას (ფუთუვა) ემყარებოდა. ეს მოძღვრება აერთიანებდა ორთოდოქსული ისლამის, ზომიერი შიიზმის, ისმა'ილიტობისა და სუფიზმის ელემენტებს. ხალიფა ცდილობდა ფუთუვას საშუალებით საფუძველი გამოეცალა სახალხო მოძრაობისთვის, შეესუსტებინა სუფიზმი და ამგვარად მიეღწია მუსლიმთა კონსოლიდაციისათვის. 1207 წელს ან-ნასირმა გამოსცა „მანიფესტი“ („მანშურ“), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საძმოს ძირითადი პრინციპები და იდეურ-ესთეტიკური ნორმები. ფუთუვას ფუძემდებლად გამოცხადდა იმამი 'ალი იბნ აბი ტალიბი, მისი მიმდევრები კი უნდა ყოფილიყვნენ მეგობრები (რაფიკ, მრ. რუჟაჟ) და ძმები (ახ, მრ. იხვან). უფრო გვიან, XIII-XIV საუკუნეებში ამ მოძღვრებამ გავლენა მოახდინა ხელოსანთა გაერთიანებაზე ანატოლიაში.

ან-ნასირი ისტორიაში შევიდა, როგორც 'აბასიანთა დინასტიის ბოლო გამონჩენილი მოღვაწე. თავისი ხანგრძლივი გამგებლობის პერიოდში მან შეძლო მოეპოვებინა ავტორიტეტი და გავლენა მთელ ისლამურ სამყაროში, მაგრამ მომდევნო ხალიფების საშინაო და საგარეო პოლიტიკა არ გამოირჩეოდა პრაგმატიზმითა და გონიერებით. დაშლილი სახალიფოს აღდგენის ცდა განუხორციელებელი დარჩა. დინასტიის ისტორია არა მარტო ყოფილ იმპერიაში, არამედ საკუთრივ ერაცშიც უკანასკნელ წლებს ითვლიდა.

3. თბილისის საამირო და არაბთა ბატონობის დასასრული საქართველოში

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა აღმოსავლეთი საქართველო საამიროს სახით 'აბასიანთა სახალიფოს ერთ-ერთი პროვინცია გახდა, ქვეყნის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. არაბებმა ქართლ-კახეთის მოსახლეობას დააკისრეს მძიმე გადასახადები, მოსთხოვეს სამხედრო რაზმებისა და მრავალრიცხოვან მოხელეთა შენახვა, გზების და ხიდების მოვლა-პატრონობა. ახლა არაბები აქტიურად ერეოდნენ დაპყრობილი ხალხების საშინაო

საქმეებში, რაც საქართველოში იმით გამოიხატა, რომ IX საუკუნიდან გაუქმდა ქართლის საერისმთავრო. ამავე დროს, გამკაცრდა არაბთა რელიგიური პოლიტიკა არამუსლიმი მოსახლეობის მიმართ, ხოლო მუსლიმთა რაოდენობა გაიზარდა.

ქართლში არაბთა პოლიტიკას განსაზღვრავდა არა მარტო მათი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, არამედ ეკონომიკური ფაქტორიც. თბილისი ჩართული იყო გაცხოველებულ საქარავნო-სავაჭრო საქმიანობაში სახალიფოს სხვა ქალაქებთან. უფრო გვიანდელ XII ს. ქართულ მონეტებზე არის არაბული ზედწერილები, რაც ისლამურ ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს. თავისთავად ცხადია, რომ თბილისმა ამ დროს ისლამური ცივილიზაციის გავლენაც განიცადა. არაბული წყაროები მიუთითებენ, რომ თბილისელ მუსლიმ მეცმნიერებს იცნობდნენ ბაღდადში, დამასკოში, ჰალეებში, მექაში და ისლამური სამყაროს სხვა ქალაქებში. გარდა თბილისისა, მუსლიმები დიდი რაოდენობით ყოფილან დმანისში (დუმანისში). ცნობილია არაერთი მეცნიერი ნისბით (წარმომავლობის აღნიშვნით) „ათ-თიფლისი“ (გ.ჯაფარიძე). თბილისში მოქმედებდა ზარაფხანა, სადაც იჭრებოდა ვერცხლის მონეტები (ღირჰემები).

საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდში ხალიფას სახელით უმაღლეს ხელისუფლებას განასახიერებდა მისი მოხელე – ამირა. IX საუკუნიდან მოკიდებული თბილისის ამირები დამოუკიდებელი გახდნენ და ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ. მათ ემორჩილებოდნენ რუსთავის და დმანისის ამირები. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლის აღდგენას, რისთვისაც სამხედრო ღონისძიებასაც მიმართავდა. მაგალითად, მორჩილებიდან გამოსული თბილისის ამირას ისჰაკ იბნ ისმა'ილის წინააღმდეგ, **853 წელს, ხალიფას მიერ გამოგზავნილმა თურქმა სარდალმა ბუღა აღ-ქაბირმა (ბუღა თურქი, გარდ. 862 წ.) თბილისი დაიკავა და ამირა სიკვდილით დასაჯა.** მიუხადავად ამისა, საამიროს საბოლოო შემოშორება 'აბასიანთა ხალიფას არ შეეძლო, ვინაიდან ამირას ზურგს უმაგრებდნენ ქართველი დიდებულები. ცნობილია, რომ ბუღა თურქის წინააღმდეგ იბრძოდა ერისთავი **კოსტანტი კახი**, რომელიც შეიპყრო ბუღამ. მისი მოწამებრივი სიკვდილი აღწერილია უცნობი ავტორის მიერ ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში **„კოსტანტი კახის მარტვილობა.“**

არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს შემოშორების ცდას ასევე ადგილი ჰქონდა 914 წელს, როცა ხალიფა აღ-მუკთადირის ბრძანებით სამხრეთ აზერბაიჯანის ამირა აბუ-ლ-კასიმ საჯი შემოიჭრა საქართველოში. მან დაიკავა თბილისი და კახეთში გადავიდა, სადაც რამდენიმე ციხესიმაგრე აიღო, მაგრამ ბოლოს დაუზავდა ქორეპისკოპოს კვირიკეს. კახეთიდან აბუ-ლ-კასიმი ისევ ქართლში შეიჭრა და ქვეყანა ააოხრა. არაბებმა დაარბიეს სამცხე-ჯავახეთიც, მაგრამ თმოგვის ციხე ვერ აიღეს. შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მათ ყველის ციხემ, თუმცა მისი დამცველები ბოლოს მაინც დამარცხდნენ. აბუ-ლ-კასიმმა სიკვდილით დასაჯა ციხისთავი **გობრონი**, რომელმაც უარი თქვა გამუსლიმებაზე. ქართულმა ეკლესიამ იგი მიქელის სახელით წმინდანად შერაცხა. გობრონის მოღვაწეობა და მოწამებრივი სიკვდილი ასახულია ჰაგიოგრაფიულ ძეგლში **„მარტვილობა მიქელისა (გობრონისა)“**, რომლის ავტორია IX საუკუნის დამლევის და X საუკუნის

პირველი მეოთხედის საეკლესიო მოღვაწე **სტეფანე მტბერავი**. ავტორს მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ აქვს ასახული არაბთა ზემოაღნიშნული შემოსევა, მათი სიმრავლე, შეიარაღება, ციხესიმაგრისათვის გამართული ბრძოლა და ქრისტიანთა მძიმე მსხვერპლი. ეს ლაშქრობა იყო არაბთა ბატონობის შენარჩუნების უკანასკნელი ცდა. სახალიფოში გაძლიერებული ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად ცენტრიდანული ტენდენციების შეჩერება შეუძლებელი გახდა. IX ს. 80-იანი წლებიდან მოკიდებული თბილისის საამიროს ჯაფარიანთა გვარის ამირები განაგებდნენ, მაგრამ ბაღდადიდან მათზე რაიმე კონტროლი ფაქტობრივად ვეღარ ხორციელდებოდა. იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად X საუკუნეში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი ირანული წარმოშობის დინასტიების გავლენას დაექვემდებარა.

ამგვარად, არაბთა ბატონობა საქართველოში დაიწყო VII ს. შუა წლებიდან და გაგრძელდა XI ს. შუა წლებამდე. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია ამ პერიოდის სამ ნაწილად დაყოფა: 1) საქართველოში არაბთა გამომჩენიდან საამიროს დაარსებამდე; 2) საამიროს შექმნიდან სახალიფოსგან მის ჩამოშორებამდე, ე.ი. დამოუკიდებელ საამიროდ გადაქცევამდე (IX ს. 80-იან წლებამდე); 3) IX ს. მეორე ნახევრიდან XI ს. შუა წლებამდე, ე.ი. თურქ-სელჩუკების შემოსევამდე (**მ. ლორთქიფანიძე**, იხ.: ქსე, 1, თბ., 1976, გვ.524-525).

XI ს. 60-80-იან წლებში საქართველო ისევ მუსლიმების, კერძოდ თურქ-სელჩუკების შემოსევის (დიდი თურქობა) მსხვერპლი გახდა. **ისლამის ოთხ-საუკუნოვანი ბატონობის ისტორია დამთავრდა მხოლოდ დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის დროს. 1122 წელს დავით IV-მ გაათავისუფლა თბილისი მიუხედავად იქაური მუსლიმების სასტიკი წინააღმდეგობისა.** ამის შემდეგაც, მუსლიმი მოსახლეობა რჩებოდა თბილისში და გარკვეული შეღავათებითაც კი სარგებლობდა. დავით აღმაშენებელი, ქართველთა განათლებული მეფე და „მესიის მახვილი“, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე კარგად ხედავდა ისლამურ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას, იცნობდა და აფასებდა ისლამურ ცივილიზაციას.

არაბულ-ისლამურ სამყაროსთან ხანგრძლივ ურთიერთობას, რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაეველო. საქართველომ გარკვეული ადგილი დაიკავა არაბულ ნარატიულ ძეგლებში. ქართველ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ არაბული წყაროები საქართველოს (ან ქართლის) აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინებს: **ჯურზან (ჯურჯან), ბილანდ ალ-ქურჯ, ბილანდ ალ-აბხზ, ან** სპარსული წარმომავლობის **ქურჯისტან-ს**, ხოლო ქართველის აღსანიშნავად გვხვდება – **ალ-ჯურზ ან ალ-ჯურზნა**, უფრო ხშირად კი **ალ-ქურჯ (გ. ჯაფარიძე)**. ასევე ქართულ ლექსიკაშიც გაჩნდა არაბის აღმნიშვნელი ტერმინები, რომელთაც ხშირად მუსლიმის (მაჰმადიანის) აღსანიშნავადაც იყენებდნენ (ისევე, როგორც უფრო გვიან **თათარს ან სპარსს**). ქართული წყაროების მიხედვით, არაბის მნიშვნელობით გვხვდება **ისმაიტელი, აგარიანი, სარკინოზი**, უფრო იშვიათად კი **არაბიელი (კ. წერეთელი)**. არაბთა ბატონობის დროს დამკვიდრებული მრავალი სამოსელეო ტერმინი დიდხანს შემორჩა ქართულ სახელმწიფოს. თბილისის მართვა-გამგებლობის სარბიელზე ვხედავთ მოხელეთა მთელ ჯგუფს (**შურტა, ამიდი, რაისი, მუჰთასიბი, მუშრიბი, ყადი, შიჰნა**), რომლის არაბულ-ისლამური წარმო-

მაგლობა ეჭვს არ იწვევს. არაბული ტერმინი „ამირა“ ახლა აღნიშნავდა საქართველოს მეფის მოხელეს, რომლის უფლება-მოვალეობა ემთხვეოდა უფრო გვიანდელი მოურავის მოვალეობას (გ. გაბაშვილი, მ. ლორთქიფანიძე). 'აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგაც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველო რჩებოდა მეზობელი ისლამური სახელმწიფოების გავლენისა და სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ორბიტაში. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ისლამურ ქვეყნებთან XIX საუკუნემდე გავრძელდა, რაც, მიუხედავად რელიგიური და პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობებისა, თავის ასახვას პოულობდა ქართული ენისა და კულტურის სფეროშიც.

4. მონღოლთა ექსპანსია და 'აბასიანთა სახალიფოს დაცემა

არაბთა უზარმაზარი იმპერიის დაშლისა და დაცემის პროცესი ისევე სწრაფად განვითარდა, როგორც ეს მოხდა სახალიფოს შექმნის დროს, როცა უღაბნოდან გამოსულმა ტომებმა მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს დიდი ნაწილი დაიპყრეს. 820 წლისათვის ერთი ადამიანის, ბაღდადის ხალიფას ხელთ იყო მეტი ძალაუფლება, ვიდრე რომელიმე სხვა მონარქის ხელში, მაგრამ 920 წლიდან მოკიდებული მისი შთამომავლების უფლებები ძლივს ვრცელდებოდა დედაქალაქის გარეუბანზე. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც კი, როგორიც იყო სოკოებივით აღმოცენებული მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი საფეოდალოები და დინასტიები უნდა შეფასდეს, პირველ რიგში, როგორც სახალიფოს დასუსტების სიმპტომი და არა შედეგი.

სახალიფოს დაცემის ძირითადი მიზეზები მის საშინაო ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. არაბთა დაპყრობითი ომების შედეგები უდავოდ შთამბეჭდავი იყო, მაგრამ დეცენტრალიზაციისა და ცალკეული პროვინციების განცალკევების საფრთხე ყოველთვის იმალებოდა ამ წარმატებების უკან. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ექსპლოატაცია და ზედმეტი გადასახადები 'აბასიანთა პერიოდში უკვე სავსებით კანონიერ მოვლენად ითვლებოდა. კვლავ გრძელდებოდა დაპირისპირება არაბებსა და არაარაბებს, არაბ მუსლიმებსა და ნეომუსლიმებს, ზიმიებსა და მუსლიმებს შორის. სახალიფოს სხვადასხვა რეგიონში შემორჩა წინააღმდეგობანი ჩრდილოეთისა და სამხრეთის არაბებს შორის. არც სპარსელები, თურქები და ქამიტი ბერბერები ქმნიდნენ ერთიან მასას სემიტ არაბებთან ერთად. სპარსელებს კარგად ახსოვდათ თავისი ბრწყინვალე ისლამამდელი წარსული და არც არასოდეს შერიგებიან არაბთა რეჟიმს. ბერბერები, თუმცა უფრო ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გამოხატავდნენ თავის ტომობრივ ინტერესებს და ყოველთვის მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ სეპარატისტული ან სოციალური ხასიათის მოძრაობაში. სირიელები იმედს არ კარგავდნენ, რომ ხელისუფლების სათავეში ისევ აბუ სუფიანის შთამომავლები მოვიდოდნენ და გაათავისუფლებდნენ მათ 'აბასიანთა დინასტიისგან, რასაც სირიის პრივილეგირებული მდგომარეობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. შიიტების, კარმატების, ისმა'ილიტი ასასინების და სხვათა გამოსვლები ხელს უწყობდნენ ცენტრიდანული ძალების გაძლიერებას და სახელმწიფოს დასუსტებას. ისლამს უკვე აღარ შეეძლო თავის გარშემო შემოეკ-

რიბა მრავალრიცხოვანი მიმდევრები და ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებინა ვრცელი ტერიტორია ხმელთაშუა ზღვის აუზიდან შუა აზიამდე. აბასიანთა სასახლის ფუფუნების ფონზე, პროვინციების ცუდი მართვისა და მძიმე საგადასახადო პოლიტიკის შედეგად სოციალური დაძაბულობა არ ნელდებოდა. ხშირი ეპიდემიები, რომელთაც არაბული წყაროები ახსენებენ, მთლიანად აცარიელებდა სამეურნეო რაიონებს და ეკონომიკურ საფუძველს უთხრიდა სახელმწიფოს. ტახტის მსურველი მრავალრიცხოვანი პრეტენდენტები არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ გაუთავებელი დავითა და ერთმანეთთან დაპირისპირებით კიდევ უფრო ასუსტებდნენ მმართველ დინასტიას. ასეთ პირობებში XIII საუკუნეში მონღოლთა სახით გამოჩნდა ახალი ძალა, რომელმაც საბოლოო წერტილი დაუსვა ბაღდადის სახალიფოს ისტორიას.

1253 წელს ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი ჰულაგუ (ჰულანქუ) სათავეში ჩაუდგა დიდ ჯარს და დასავლეთისკენ დაიძრა. დამპყრობთა ტალღამ გადაუარა აბასიანთა იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ საფეოდალოებს და ირანში შეჩერდა. ჰულაგუმ აბასიანთა ხალიფა ალ-მუსთა'სიმს შესთავაზა მონაწილეობა ისმა'ილიტ-ასასინთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. **1256 წელს მონღოლებმა აიღეს ასასინთა ყველა ციხესიმაგრე. მათ შორის ალამუთიც (ჩრდილო-დასავლეთ ირანში) და სექტის წევრები უმოწყალოდ გაჟლიტეს.** მომდევნო წლის სექტემბერში ჰულაგუმ ულტიმატუმი წაუყენა ხალიფას, მოსთხოვა უპირობო მორჩილება, მაგრამ პასუხი კვლავ ბუნდოვანი იყო. 1258 წლის იანვარში მონღოლებმა იერიში მიიტანეს ბაღდადზე. ხალიფას ვეზირი იბნ ალ-აღკამი, რომელიც ხალიფას მორჩილებისკენ მოუწოდებდა, ნესტორიანთა კათალიკოსის თანხლებით (ჰულაგუს ცოლი ნესტორიანელი იყო) სამშვიდობო პირობის გასაგებად მონღოლთა ბანაკში მივიდა, მაგრამ ჰულაგუმ იგი არ მიიღო. ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ „მშვიდობის ქალაქის“ ხელყოფას ან, მით უმეტეს, დანგრევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა „სამყაროს კანონზომიერებათა დარღვევა და საერთო კატასტროფა“ ჰულაგუ არ იზიარებდა. მას უფრო თავისი ასტროლოგების რჩევისა სჯეროდა. **1258 წლის 10 თებერვალს (656 წ. 4 საჰარს) მონღოლები ბაღდადში შეიჭრნენ.** აბასიანთა უკანასკნელი ხალიფა ალ-მუსთა'სიმი და მისი უახლოესი 300 პირი ყადიებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ქალაქი დაარბიეს. ქუჩები სავსე იყო გვამებით და ეპიდემიის საფრთხის გამო ჰულაგუ იძულებული გახდა რამდენიმე დღით ქალაქი დაეტოვებინა. ზოგიერთი ცნობით, მას განზრახული ჰქონდა ბაღდადი თავის რეზიდენციად ექცია და ამიტომ შენობების რაღაც ნაწილი საერთო ნგრევას გადაურჩა, მაგრამ ქალაქისა და მოსახლეობის ზარალი უდიდესი იყო. გარკვეული შედავათები მიიღო მხოლოდ ნესტორიანელთა ეკლესიამ. ამ ტრაგედიის შემდეგ, პირველად ისლამის ისტორიაში ისლამურ სამყაროს აღარ ჰყავდა ხალიფა, რომლის სახელსაც მოიხსენიებდნენ პარასკევის ხუტბაში. ქართული და სომხური წყაროების თანახმად, როგორც მონღოლთა ვასალები, ბაღდადისათვის ბრძოლაში ქართველები და სომხებიც მონაწილეობდნენ.

ბაღდადის აღების შემდეგ, **1260 წელს ჰულაგუმ სირიის დაპყრობა სცადა,** დაიკავა ჰალები, ჰამა და ჰარიმი. იგი დამასკოს აღებასაც აპირებდა, მაგრამ მიიღო ცნობა დიდი ყაენის გარდაცვალების შესახებ და უკან გაბრუნდა.

სირიაში დარჩენილი მონღოლთა ჯარი ქით-ბუდას სარდლობით სასტიკად დამარცხდა ეგვიპტელ მამლუქებთან შეტაკებისას ნაზარეთის მახლობლად **‘ან ჯალუთთან**. ამით დამთავრდა მონღოლთა პირველი ცდა დაეპყროთ სირია.

ჰულაგუ იყო პირველი მონღოლთა შორის, ვისაც მიეკუთვნა ტიტული „ნღ-ხან“. მან ჩაუყარა საფუძველი ილხანთა სახელმწიფოს, რომელიც გაშლილი იყო მდინარე ამუ დარბას ველიდან სირიამდე, კავკასიიდან ინდოეთის ოკეანემდე. ბაღდადი გახდა მონღოლთა იმ პროვინციის ცენტრი, რომელსაც ეწოდებოდა არაბული ერაყი (ალ-‘ირაკ ალ-‘არაბი), ხოლო სახელმწიფოს დედაქალაქად თავრიზი გამოცხადდა. თავად ჰულაგუ 1265 წელს გარდაიცვალა თავის რეზიდენციაში – მარაღაში (ურმიის ტბის აღმოსავლეთით).

მონღოლთა ექსპანსიას სავალალო შედეგი მოჰყვა არა მარტო ‘აბასიანთა სახალიფოსთვის, არამედ მთელი არაბულ-ისლამური ცივილიზაციისათვის, რაც უფრო ნათლად გამოჩნდა მას შემდეგ, როცა დამპყრობთა ტაღლა სირიასაც მიწვა. მიუხედავად იმისა, რომ ჰულაგუს მიერ ერაყის გამგებლად დანიშნულმა **‘ალა’ ალ-დინ ჯუფეინიმ (1226-1283)**, შემდგომში ცნობილმა სპარსელმა ისტორიკოსმა, ოცი წლის მანძილზე ბევრი გააკეთა ბაღდადის აღდგენისა და ერაყის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებისათვის, არც მის ღონისძიებებსა და არც ცნობილი **ყაზან ყაენის (დუნან მაჰმუდ, 1295-1304)** რეფორმებს არ შეეძლო მიყენებული ზარალის თუნდაც ნაწილობრივ ანაზღაურება. ამის დამადასტურებელია ცნობა იმის შესახებ, რომ 1340 წელს ერაყში აკრეფილი გადასახადების საერთო მოცულობა არ აღემატებოდა იმ თანხის 10%-ს, რომელსაც კრეფდნენ ხალიფა ან-ნასირის დროს.

ჰულაგუს მიერ შექმნილი ილხანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც (XIV ს. მეორე ნახევარი) ერაყი დარჩა მის აღმოსავლეთით, კერძოდ ირანში წარმოქმნილი სახელმწიფოებისა და დინასტიების გავლენის ქვეშ. ის **ბრწყინვალე ეპოქა, როცა ეს არაბული ქვეყანა დიდი მუსლიმური სახელმწიფოს ცენტრს და ყოველმხრივ მაღალგანვითარებულ რეგიონს წარმოადგენდა, ბაღდადის ‘აბასიანთა დინასტიასთან ერთად ისტორიის კუთვნილება გახდა.**

თავი VII

‘აბასიანთა ეპოქა და არაბულ-ისლამური ცივილიზაცია

1. განათლება და მეცნიერება

ტერმინით „არაბული კულტურა“ (ან „არაბული მეცნიერება“) აღინიშნება ის დიდი მემკვიდრეობა, რომელიც ისლამის გავრცელების შემდეგ არაბულ ენაზე შექმნეს არა მარტო არაბებმა, არამედ სახალიფოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხებმაც, უპირველეს ყოვლისა ირანელებმა.

ისლამის დროით გაერთიანებულ უზარმაზარ არაბულ იმპერიაში სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა დაიწყო დიდი ანტიკური, რომაულ-ბიზანტიური, სირიული, სპარსული და ინდური კულტურული ტრადიციების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაბულ-ისლამური ცივილიზაცია წარმოადგენს წინა აზიაში და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში შექმნილი დიდი მემკვიდრეობის თავისებურ სინთეზს, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ცნობილმა მკვლევარმა ადამ მეცმა ხაზი გაუსვა ტერმინით „მუსლიმური რენესანსი“.

‘აბასიანთა პერიოდი (განსაკუთრებით VIII ს. მეორე ნახევარი – XI ს.) გამოდგა ყველაზე ნაყოფიერი შუა საუკუნეების არაბული ცივილიზაციისათვის. სწორედ ამ დროს დამთავრდა სამი დიდი ქვეყნის – ერაყის, სირიის და ეგვიპტის არაბიზაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმპერიაში გაერთიანებულმა მოსახლეობამ მიიღო არა მარტო ისლამი, არამედ არაბული ენაც, რომელმაც ისეთივე როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, როგორც ლათინურმა შუა საუკუნეების ევროპაში. ამ დროს არაბულენოვანმა მეცნიერებამ საკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა და არსებითი გავლენა მოახდინა ევროპაზე.

მეცნიერული და კულტურული პროგრესი ყოველთვის მტკიცედ იყო დაკავშირებული განათლების მდგომარეობასთან. ‘აბასიანთა სახალიფო ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. რამდენად აქტუალური იყო აღზრდა-განათლების საკითხი ისლამურ საზოგადოებაში, კარგად ჩანს XII-XIII საუკუნეების ავტორის ბურჰან ად-დინ აზ-ზარნუჯინს ტრაქტატიდან „თა‘ლმ ალ-მუთა‘ალლიმ“, რომლის ნაწილმაც ჩვენამდე მოაღწია. ამ ნაშრომში ავტორმა შეაჯამა ის გამოცდილება, რომელიც არაბებმა დააგროვეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა მოწაფის ფიზიკური და გონებრივი აღზრდა, სწავლების მეთოდები, ურთიერთობა მოწაფესა და მასწავლებელს შორის და სხვა.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მუსლიმი ბავშვები ოჯახში ეცნობოდნენ რიტუალს და ხშირად წერა-კითხვასაც სწავლობდნენ. შემდეგ მათი განათლება გრძელდებოდა მეჩეთთან არსებულ დაწესებულებით (ქუთთაბ),

სადაც ისინი მასწავლებლის (მუ'ალლიმ, ფაკიჰ) ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ არაბული ენის გრამატიკას და ელემენტარულ მათემატიკას, კითხულობდნენ ყურანს, ჰადისებს, ეცნობოდნენ არაბული პოეზიის ნიმუშებს. ამის შემდეგ მოწაფეს შეეძლო სწავლა განეგრძო კერძო მასწავლებელთან, რომელიც გარკვეული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ თავის მოწაფეს აძლევდა მოწმობას (იჯაზა), რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულს გზა ეხსნებოდა კარიერისთვის განათლების, რელიგიის ან სასამართლო ასპარეზზე. გოგონები დაწყებით განათლებას ოჯახში იღებდნენ და რელიგიურ რიტუალსაც იქვე ასრულებდნენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება, ვინაიდან მათთვის სპეციალური სკოლა არ არსებობდა. შეძლებული პირები ამჯობინებდნენ შეილებისათვის დაექირავებინათ კერძო მასწავლებელი – მუ'ადლიბი ან მუდარრიბი (რეპეტიტორი), რომელსაც ანაზღაურება ეძლეოდა მისი კვალიფიკაციისა და რეპუტაციის შესაბამისად. ზოგიერთი ცნობით, მუ'ადლიბი იღებდა საშუალოდ 60-70 დირჰემს თვეში. ტახტის მემკვიდრის მასწავლებლის ხელფასი ბევრად აღემატებოდა ამ თანხას.

X საუკუნეში სახალიფოში ჩამოყალიბდა მედრესეს ტიპის სასწავლებელი (**მადრასა, მრ. მადრისუ**), რომელსაც ხშირად უმაღლესი სკოლის ან სამეცნიერო აკადემიის სტატუსი ჰქონდა. ფიქრობენ, რომ პირველი მედრესეები დაარსდა მავრანაჰრსა და ხორასანში. ასეთი სასწავლებლების შექმნას ხელს უწყობდა ისიც, რომ სახალიფოს ქალაქებში უკვე არსებობდა განათლებისა და მეცნიერების მტკიცე ბაზა ბიბლიოთეკების სახით. 'აბასიანთა პერიოდში ბიბლიოთეკის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები ხიზნათ ალ-ქუთუბ, დარ ალ-ქუთუბ და ქითაბ ხნა (სპარსული).

'აბასიანთა კარის ბიბლიოთეკას საფუძველი ჩაეყარა უკვე ხალიფა აღმანსურის დროს. 830 წელს, როცა ხალიფა ალ-მა'მუნის ინიციატივით და **ჯუნდიშაბურის**⁴² ცნობილი აკადემიის ანალოგიით ბაღდადში დაარსდა სამეცნიერო დაწესებულება **ბაით ალ-ჰიქმა**, 'აბასიანთა ბიბლიოთეკაც მის განკარგულებაში გადავიდა. მას შემდეგ, რაც ხალიფას რეზიდენციამ დროებით სამარაში გადაინაცვლა ბაღდადში დარჩა ბიბლიოთეკა, რომელსაც ახლა **ხიზნათ ალ-მა'მუნ-ს** უწოდებდნენ. IX-X საუკუნეებში ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდა რამდენიმე დიდი მეცნიერი, მათ შორის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის „ფიჰრისთის“ ცნობილი ავტორი იბნ ან-ნადიმ. ეს ბიბლიოთეკა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე არსებობდა, ჰქონდა ოფიციალური დაწესებულების სტატუსი და, ამგვარად, სტიმულს აძლევდა სახალიფოში და მით უმეტეს დედაქალაქში მწიგნობრობისა და საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. მართალია, X ს. შემდეგ ეს ბიბლიოთეკა აღარ იხსენიება, მაგრამ სამაგიეროდ ბაღდადში და სხვა ქალაქებში სწავლულთა, სახელმწიფო მოხელეთა და ცალკეულ გამგებელთა მიერ ბიბლიოთეკების დაარსება და მფარველობა ეპოქის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. მაგალითად, ბაღდადის ახლოს, IX ს. მეორე ნახევარში ხალიფას კართან დაახლოებულ **'აღნ იბნ იაჰმან ალ-მუნაჯჯიმს (გარდ. 888 წ.)** გაუხსნია ბიბლიოთეკა **„ხიზნათ ალ-ქუთუბ“**, ხოლო შაფი'იტური მაჰაბის მეცნიერს **ალ-მავსილის (ჯა'ფარ იბნ მუჰამმად ალ-მავსილნი, გარდ. 935 წ.)** მოსულში დაუარსებია სასწავლებელი **„დარ ალ-ილმ“**, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. ასეთივე ბიბლიოთეკის

არსებობა დადასტურებულია სამხრეთ ერაყის ცნობილ ქალაქ ბასრაში. ბუვაიჰიანთა გამგებლობის პერიოდში, ბაღდადში, ქარხის რაიონში 991-993 წლებში ბიბლიოთეკა დაუარსებია ვეზირს **საბურ იბნ არდაშინს**. ამ ბიბლიოთეკით, რომელშიც ათი ათასამდე წიგნი ყოფილა, სარგებლობდა აბუ-ლ-‘ალა ალ-მა‘არი, მაგრამ სელჩუკთა შემოსევისას (1055-1056 წწ.) იგი დაინგრა. ცნობილი გეოგრაფის ალ-მუკადდასის ცნობით, ბუვაიჰიანთა დროს (Xს.) დიდი ბიბლიოთეკა აუშენებიათ შირაზშიც.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბიბლიოთეკის საქმიანობა კარგად იყო რეგლამენტირებული. როგორც წესი, მის მუშაობას წარმართავდა მოსამსახურეთა მთელი ჯგუფი, კერძოდ მთავარი მოხელე სნჰიბი (ან ვაქილ), ბიბლიოთეკარი (ხაზინ), გადამწერი (ნასიხ) და მსახური (ფარრაშ). მომსახურე პერსონალის რაოდენობა დამოკიდებული იყო ბიბლიოთეკის სიდიდეზე. ცნობილია შემთხვევები, როცა ბიბლიოთეკაში სამსახურით დაიწყო მოღვაწეობა ზოგიერთმა ცნობილმა მეცნიერმა. მაგალითად, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი **იბნ მისქავაჰი (X-XI სს.)** ქ. რეის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მსახურობდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბიბლიოთეკა ღია იყო განათლებით დაინტერესებული ყველა პირისთვის განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა.

სამეცნიერო ლიტერატურის ერთი ნაწილი მეჩეთებშიც ინახებოდა. ამიტომ, IX საუკუნის დამლევადან ისლამურ ქალაქებში გაჩნდა ბიბლიოთეკები, რომლებიც ვაკვს განეკუთვნებოდა და მუსლიმური თემის საკუთრებად ითვლებოდა. კერძო და სასახლის ბიბლიოთეკების არსებობისთვის, რა თქმა უნდა, ამას ხელი არ შეუშლია და სახალიფოს სხვადასხვა პროვინციაში განათლების მეცენატები ყოველთვის ცდილობდნენ ამ საქმეშიც ბაღდადისთვის მიებაძათ.

სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი სპარსელი ვეზირის ნიზამ ალ-მულქის მიერ უმაღლესი სასწავლებლის ტიპის **„მედრესე ნიზამიეს“** დაარსებას. ეს სასწავლებელი, რომელსაც გადაეცა ბიბლიოთეკა „დარ ალ-ქუთუბი“, აშენდა 1064-1066 წლებში. მისი დანიშნულება იყო ყურანის, შაფი‘იტური მახჰაბის და აშარიზმის საფუძველზე ფართო პუმანიტარული განათლების (‘ილმ ალ-ადაბ) მიცემა ახალგაზრდებისათვის. ამ მედრესეს მასწავლებელთა შორის იყო ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მაგალითად, **ალ-დაზალი**, ისლამის დიდი ავტორიტეტი (ჰუ-ჯჯათ ალ-ისლამ) და **ბაჰა’ ად-დინი**, სალაჰ ად-დინის ბიოგრაფიის ავტორი. ფიქრობენ, რომ ევროპის უნივერსიტეტებმა ორგანიზაციული თვალსაზრისით სწორედ „ნიზამიეს“ გამოცდილებით ისარგებლეს.

იმის გამო, რომ მედრესეს დაარსება და მფარველობა ღვთის სასურველ საქმედ ითვლებოდა, სასწავლო დაწესებულებათა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. ცნობილი არაბი მოგზაურის **იბნ ჯუბაირის (გარდ.1217 წ.)** ცნობით, ბაღდადში იყო 30, დამასკოში 20, მოსულში 6, ჰიმსში 1 მედრესე. სასწავლებლების შენებით გატაცება მონღოლთა შემოსევამდე გაგრძელდა, რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ‘აბასიანთა ხალიფა ალ-მუსთანსირის (1226-1242) სურვილით და ინიციატივით ბაღდადში დაარსდა მედრესე **„ალ-მუსთანსირიდა“**, რომელსაც ხალიფამ თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა გადასცა. XI-XII საუ-

კუნეებში დედაქალაქში აშენდა მუსლიმთა (დერვიშების) რამდენიმე ათეული თავშესაფარი (რიბზტ, ზავიდა, თაქნა), რომელთაც, გარდა სუფიზმის პროპაგანდისა, საგანმანათლებლო ფუნქციაც ჰქონდათ.

შუა საუკუნეების აღმოსავლეთში არაბულ-ისლამური სწავლა-განათლებლის და მეცნიერების საქმეს დიდად შეუწყო ხელი ქალაქის წარმოებამ, რადგანაც უფრო გამძლე (ვიდრე პაპირუსი) და უფრო იაფი (ვიდრე პერგამენტი) მასალის არსებობა აადვილებდა წიგნის გავრცელება-გამოყენებას. ქალაქი, რომლის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება, ჯერ სამარყანდში შემოვიდა VIII ს. მეორე ნახევარში, ხოლო შემდეგ მისი წარმოება სახალიფოს სხვა პროვინციებშიც დაინერგა. ფადლ იბნ მაჰა ბარმაქელს, რომელიც 794 წელს ხორასნის გამგებელი იყო, ქალაქის დამამზადებელი სახელოსნო გაუხსნია ბაღდადში, ხოლო მისმა ძმამ ჯა'ფარმა, ჰარუნ არ-რაშიდის მეგობარმა, ქალაქი სახელმწიფო კანცელარიაში შეიტანა, რის შემდეგაც პერგამენტმა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა. XI საუკუნის დამლევეს მთელ მუსლიმურ სამყაროში პაპირუსისა და პერგამენტის ნაცვლად ქალაქს იყენებდნენ.

ახალი და იაფი საწერი მასალის გავრცელებამ, თავის მხრივ, სტიმული მისცა წიგნების გადამწერთა საქმიანობას, რომელიც თანდათან ხელოვნებას დაუახლოვდა. ჩამოყალიბდა არაბული დამწერლობის ორი ძირითადი სახეობა – ქუფური და ნასხი. ისლამის ადრინდელ ეპოქაში წარწერები მეჩეთებში და მონეტებზე ქუფურით სრულდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ყურანზეც, რომელიც არაბი კალიგრაფების (ხატბატ) ოსტატობის გამოვლენის უპირველესი ობიექტი გახდა. რაც შეეხება ნარატიულ ძეგლებს, მათი უდიდესი ნაწილი შესრულებულია ნასხით (ნასხნ).

წიგნების გადამწერთა აღსანიშნავად წყაროებში „ვარრჯ“-ის გარდა გვხვდება სხვა ტერმინებიც (ქნთიბ, მრ. ქუთთაბ; ნსხიხ, მრ. ნუსხანხ), მაგრამ „ვარრჯ“-ის ფუნქცია იყო უფრო ვრცელი და მრავლისმომცველი. შემთხვევითი არაა, რომ ამ ხელობის (ვირჯა) შესახებ სპეციალური შრომები დაიწერა. პროფესიონალ გადამწერთა გარდა, წიგნების გადაწერას ცდილობდა ბევრი მუსლიმი, რაც ადვილი ასახსნელია: ყურანის სურების გადაწერით იწყებოდა თითოეული მორწმუნის განათლება, ხოლო შემდეგ ეს, ფაქტობრივად რელიგიურ რიტუალად ქცეული ტრადიცია, გატაცებულ რჩებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ასეთი „მოყვარული“ გადამწერის ხელნაწერზე ხშირად ჩნდებოდა მინაწერი: „გადაწერა თავისთვის“ („ქათაბაჰუ ლი-ნაფსიჰი“). რამდენად ძლიერი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს გატაცება ჩანს ერთ-ერთი გადამწერის მიერ დატოვებული ცნობიდან იმის შესახებ, რომ „40 წლის მანძილზე მეღანი არ გამშრალა მის კალამზე“. ამასთან ერთად, წიგნის გადაწერა მძიმე შრომაც ითვლებოდა, რის გამოც შეძლებული პირები თავს არიდებდნენ მას და სარგებლობდნენ დაქირავებული პროფესიონალი გადამწერების სამსახურით. მაგალითად, ცნობილი ფილოსოფოსის ალ-ქინდის განკარგულებაში ყოფილა გადამწერთა დიდი ჯგუფი.

ისტორიამ შემოგვინახა გამოჩენილ არაბ გადამწერ კალიგრაფისტთა (ხატბატ) სახელები. პირველნი მათ შორის ყოფილან ვინმე **კუტბა (გარდ. 771 წ.)**, რომელსაც მიეწერება ოთხი სახის საკანცელარიო სტილის შემუშავება და ხალიფა ალ-მა'მუნის მოხელე **არ-რაიჰანნ (თუ არ-რაჰანნ, გარდ. 834 წ.)**, ცნო-

ბილი თავისი განსაკუთრებული ხელწერით. IX-X საუკუნეებში ასპარეზზე გამოვიდა პროფესიონალ გადამწერთა მთელი პლეადა, მაგრამ მიუხედავად მათი მაღალი ოსტატობისა, პირველობას ამ დარგში არაბები მიაკუთვნებენ **იბნ მუკლას** (აბუ 'ალნ მუჰამმად იბნ 'ალნ იბნ მუკლა, 886-940), რომელმაც 'აბასიანთა სამი ხალიფას სამსახურში ყოფნისას მიაღწია სრულყოფას კალიგრაფიაში და ერთხანს ვეზირის თანამდებობაც ეკავა. გადმოცემის თანახმად, კორუფციაში ბრალდებულ მოხელეს ხალიფა არ-რანდნს დროს (934-940) მარჯვენა ხელი მოკვეთეს, მაგრამ ის მაინც ახერხებდა წერას მარცხენა ხელით (ან მარჯვენა ხელის დარჩენილ ნაწილზე მიმაგრებული კალმით). არაბული კალიგრაფიის ამ რეფორმატორმა, რომელიც ჩათრეული აღმოჩნდა სასახლის კულუარულ ბრძოლაში, სიცოცხლე საპყრობილეში დაამთავრა. მისი საქმე განაგრძო ცნობილმა ბაღდადელმა კალიგრაფმა **იბნ ალ-ბავეაბმა** (აბუ-ლ-ჰასან 'ალნ იბნ ჰილალ იბნ ალ-ბავეაბ, გარდ. 1022 წ.), რომელმაც სცადა მეტი სინატიფე მიეცა არაბული დამწერლობისათვის, მაგრამ მისი და კიდევ მრავალი სხვა კალიგრაფის ოსტატობამ ვერ დაჩრდილა იბნ მუკლას ხელოვნება. თანდათანობით არაბ მეცნიერთა შორის გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ მეტისმეტი გატაცება კალიგრაფიით საზიანო იქნებოდა მეცნიერებისათვის, რადგანაც ხდებოდა ყურადღების გადატანა ნაშრომის შინაარსობლივი ღირებულებიდან მისი გადაწერის ხარისხზე. 'აბასიანთა პერიოდის უკანასკნელი ცნობილი კალიგრაფი იყო **აბუ-ლ-მუსთა'სიმი (1221-1298)**, რომელიც მოღვაწეობდა ბაღდადის უკანასკნელი ხალიფას ალ-მუსთა'სიმის სასახლეში. ამიტომ, კალიგრაფის სახელი და მისი წერის მანერაც ამ ხალიფას სახელს დაუკავშირდა.

IX-X საუკუნეებში დაიხვეწა ხელნაწერის გაფორმების და წიგნად აკინძვის წესი. მაგალითად, ხელნაწერებზე გაჩნდა გუმბათის მსგავსი ორნამენტი ('უნან), რომელიც ოვალური, ნახევარმთვარის ან სწორკუთხედის ფორმისა იყო, ხშირად სრულდებოდა ფერადი მელნით და წინ უძღოდა წიგნს ან მის ცალკეულ თავს. ტყავის ყდაში ჩასმულ წიგნს ეწოდებოდა „მუჯალ-ლად“, ყდას „ჯილდ“ (ტყავი), ხოლო მეამკინძმეს „მუჯალიდ“. ცნობილი ბიბლიოგრაფი ან-ნადიმი თავის „ფიჰრისთში“ ასახელებს IX-X საუკუნეების ცნობილ ამკინძავეებს. ზოგჯერ წიგნს, განსაკუთრებით ყურანს, ათავსებდნენ სპეციალურ ყუთში (სუნდუკ), რომელიც ძვირფასი ლითონით ან ქვებით იყო მორთული. ასეთი წიგნი ითვლებოდა კარგ საჩუქრად და მისი შექმნა შეიძლება ბოდა ბაღდადისა და სხვა ქალაქების სპეციალურ ბაზარზე (სუკ ალ-ვარნან), რომელიც ამავე დროს ლიტერატურის მოყვარულთა და მეცნიერთა თავშესაფრის ადგილიც იყო. ბაზრის სავაჭრო-სახელოსნოში (დუქქან) შეიძლება ბოდა ხელნაწერების ან წიგნების შექმნა. IX საუკუნის ბაღდადის წიგნების ბაზარზე ასამდე ასეთი სავაჭრო ყოფილა. წყაროები ასახელებენ ფანტასტიკურ თანხას, რომელიც თითქოს მდიდარ მუსლიმებს გადაუხდიათ წიგნებში, თუმცა მკვლევართა ვარაუდით წიგნის საშუალო ფასი იმ დროს უდრიდა 10 დირჰემს (ე.ი. ნახევარ დინარს), ხოლო უმაღლესი ფასი იყო 100 დირჰემი. სხვადასხვა დროს წიგნის ფასი იცვლებოდა და მერყეობდა დინარის მეოთხედიდან 1 დინარამდე. გადამწერთა შორის იყვნენ ქალებიც, რომელთა

ნამუშევარი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, მაგრამ შედარებით იაფად იყიდებოდა.

საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის გაცნობა არაბ მუსლიმებს შეეძლოთ ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, აგრეთვე ისეთ ძველ სამეცნიერო ცენტრებში, როგორც იყო არ-რუჰჰ' ჩრდილოეთ სირიაში (იგივე ედესა, დღ. ურფა), ჯუნდიშაბური (გონდეშაპური) ირანში (ხუზისტანი) და ჰარრანი ზემო მესოპოტამიაში. არაბთა დაპყრობების დროს ბერძნული სამედიცინო სკოლა ჯერ კიდევ არსებობდა ალექსანდრიაში, ხოლო VIII ს. დამდეგს ის ჯერ ანტიოქიაში, შემდეგ კი ჰარრანში გადავიდა. ნესტორიანელ ქრისტიანთა დიდი კოლონია ნაყოფიერ საქმიანობას განაგრძობდა ედესასა და ანტიოქიაში. ამ სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე სირიელები და ბერძნები ახლა არაბთა სამსახურში შევიდნენ და მათი ექიმები, ასტრონომები, სწავლული მთარგმნელები და მრჩეველები გახდნენ.

შუა საუკუნეების არაბული მეცნიერების განვითარება დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობით, რის შედეგადაც არაბებმა მიიღეს აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის საშუალება. ამ საქმის ერთ-ერთ ინიციატორად ითვლება უმაიანთა ხალიფა მუ'ავია I-ის შვილიშვილი **ხალიფ იბნ აზიდ (გარდ. 704 წ.)**. ხალიფი პირადად იყო დაინტერესებული აღქმით და ცდილობდა ბერძნულიდან თარგმნილი შრომებიდან მიეღო ინფორმაცია მეცნიერების ამ დარგში.

აბასიანთა აღზევების შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეცნიერ-მთარგმნელთა მთელი თაობა, რომელიც, პირველ რიგში, განათლებული სირიელი ქრისტიანების, იაკობიტების და ნესტორიანელების სახით იყო წარმოდგენილი. სირიელები კარგად ფლობდნენ მშობლიურ სირიულს და ბერძნულს, მაგრამ ახალ გამოკვლევებს არაბულ ენაზე წერდნენ. ცნობილია მთარგმნელთა და მეცნიერთა რამდენიმე საგვარეულო (მაგ., **ბახთიშუ'**, **ჰუნადნ**, **მუსნ იბნ შაქირის შთამომავლები**), რომელთა წარმომადგენლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ბერძნული ასტრონომიის, ფილოსოფიისა და მედიცინის მიღწევების არაბებისთვის გაცნობის საქმეში. ასეთი საქმიანობისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდნენ ხალიფები ალ-მანსური, ჰარუნ არ-რაშიდი, ალ-მა'მუნი და ალ-მუ'თასიმი. სწორედ ალ-მა'მუნის დროს დაარსდა ბაღდადში „სიბრძნის სახლი“ („ბაით ალ-ჰიქმა“), სადაც მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები და მთარგმნელები **საბით იბნ ალ-კურრა (გარდ. 901 წ.)** და **აბუ იაჰმ ალ-ბატრიკი (გარდ. VIII ს. დამდეგს)**, რომელსაც მიეწერება არისტოტელეს და სხვა ბერძენ ავტორთა შრომების თარგმნა, აგრეთვე ბა'ალბექელი ბერძენი **კუსტან იბნ ლჰკან (გარდ. 912 ან 913 წ.)**, **ჰუნადნ იბნ ისჰაკი (808-873)** და სხვები. ზოგიერთი მათგანის როლი არაბულ-ისლამური მეცნიერების განვითარების საქმეში იმდენად დიდია, რომ მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და შესაფერისი ადგილის მიჩენას არაბთა ისტორიაში. პირველ რიგში ეს ეხება **ჰუნადნ იბნ ისჰაკს** და **საბით იბნ ალ-კურრას**.

წარმოშობით **ჰუნადნ იბნ ისჰაკი** იყო ნესტორიანელი ქრისტიანი ალ-ჰირადან. სამედიცინო საქმეს იგი დაეუფლა ბაღდადში ცნობილ ექიმებთან, ჯერ იაჰია იბნ მსავაიჰთან, ხოლო შემდეგ მუსა იბნ შაქირის შვილებთან და ალ-მა'მუნის მკურნალთან ჯიბრელ იბნ ბახთიშუ'-თან. ჰუნადნი, გარდა იმისა, რომ

ხალიფა ალ-მუთავაჯილის კარის ექიმი გახდა, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას, რაშიც მას ეხმარებოდნენ მისი შვილი ისჰაკ იბნ ჰუნაინი, დისწული ჰუბაიშ იბნ ალ-ჰასანი და სხვა მოწაფეები. სამედიცინო და ფილოსოფიური ტრაქტატები ხშირად ითარგმნებოდა ბერძნულიდან სირიულზე, ხოლო შემდეგ არაბულ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად ფლობდა ისჰაკ იბნ ჰუნაინი.

მთარგმნელთა და მეცნიერთა მეორე, ე.წ. „ჰარრანის საბიანთა“ ჯგუფს სათავეში ედგა **საბით იბნ ალ-კურრა**, ხალიფა ალ-მუთადიდის კარის ასტროლოგი. მას მიეწერება ბერძენი მათემატიკოსების და ასტრონომების შრომების თარგმნა. გარდა ამისა, საბით იბნ ალ-კურრას შეუქმნია ორიგინალური შრომები აღნიშნულ დარგებში. ჰარრანის სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს აგრძელებდნენ მისი შვილი სინანი (გარდ. 943 წ.), აგრეთვე შვილიშვილები საბითი (გარდ. 973 წ.) და იბრაჰიმი (გარდ. 946 წ.).

შუა საუკუნეების სამეცნიერო-კვლევით „ინსტიტუტს“ წარმოადგენდა IX ს. ბაღდადელი მეცნიერის **მუსა იბნ შაქირის** სახლი. მისი შვილები **მუჰამადი, აჰმადი და ალ-ჰასანი (ბანუ მუსა)** ბერძნულიდან თარგმნიდნენ და თავადაც ქმნიდნენ ორიგინალურ შრომებს მათემატიკაში, ასტრონომიასა და ფილოსოფიაში.

სირიულიდან, ბერძნულიდან და სპარსულიდან სამეცნიერო და, განსაკუთრებით, ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმნამ ხელი შეუწყო არაბული სალიტერატურო ენის განვითარებას და მეცნიერების ყველა დარგში არაბული ტერმინების ჩამოყალიბებას. არაბულ ენაზე ითარგმნებოდა ის, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ყველაფერი, რაც არ თავსდებოდა ისლამური სქოლასტიკის ფარგლებში, ყურადღების მიღმა რჩებოდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ბერძნულიდან ითარგმნა ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების საუკეთესო ნიმუშები, მაგრამ არა ბერძნული ლიტერატურის ძეგლები. მთარგმნელობითი საქმიანობით დაგროვილი მასალების შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე არაბებმა მეცნიერება დაყვეს ისლამურ და არაისლამურ ანუ უცხოურ დარგებად. ისლამურს განეკუთვნებოდა ღვთისმეტყველება, ფიკჰი, გრამატიკა, ისტორია, პოეტიკა და ქითაბა (დოკუმენტების შედგენა, საკანცელარიო საქმე). უცხოური იყო ფილოსოფია, ლოგიკა, მედიცინა, მათემატიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, მექანიკა და ალქიმია.

არაბულ-ისლამური ცივილიზაციის განვითარებას თავიდანვე მყარი იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. არაბებს მიაჩნდათ, რომ ცოდნისკენ მისწრაფება აუცილებელი იყო ყოველი მუსლიმისათვის თუნდაც იმიტომ, რომ ეს შეესაბამებოდა მოციქულ მუჰამედის მოთხოვნებს. შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგის ალ-ღაზალის სიტყვით, „მოციქული დაკარგულად თვლიდა იმ დღეს, რომელსაც მუსლიმისთვის არ მოჰქონდა ცოდნა“. განათლების საწყისად და საფუძველად განიხილებოდა ყურანი და სუნნა (ჰადისების კრებული), ხოლო სამეცნიერო საქმიანობა ისეთ დარგებში, როგორცაა, მაგალითად, ფილოსოფია მიმდინარეობდა რელიგიისა და ფილოსოფიის ზღვარზე. ამიტომ, განსაკუთრებით მდიდარი და მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არაბებმა სწორედ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში შექმნეს. ტერმინით „**ჰალასიფა**“ ან „**ჰუჟამა**“ ისინი აღნიშნავდნენ იმ მეცნიერებს, რომელთა ინტერესებიც გასცდა

რელიგიას და ფილოსოფიაც მოიცვა, ხოლო მუთაქაღლიმები (მუთაქაღლიმუნ ან აჰლ ალ-ქაღლამ) იყვნენ თეოლოგები, რომლებიც მიმართავდნენ ფილოსოფიას, მაგრამ ძირითად ამოსავალ დებულებებს ისლამის ფუნდამენტურ პრინციპებში ეძებდნენ. ისინი არ გამოირიცხავდნენ გონების ('აკლ) საშუალებით ყურანის ახსნას და ინტერპოლაციას. ქაღამის განვითარებამ ზენიტს მიაღწია IX საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ უფრო გვიან, როგორც დიდი არაბი მეცნიერი იბნ ხალდუნი თვლიდა, ქაღამს ('ილმ ალ-ქაღლამ) და ფილოსოფიას შორის ზღვარი წაიშალა.

შუა საუკუნეებში არაბები სწავლულის ან მეცნიერის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს 'ალიმ ('ალიმ, მრ. 'ულამა'), რომელიც აერთიანებდა ყველა განათლებულ პირს ან მეცნიერს, ჰადისების მცოდნეს (მუჰადდის), ფაკიჰს, და, ბოლოს, ისეთ რელიგიურ პირებსაც, როგორც იყვნენ მუფთი, იმამი, ხატიბი და ა.შ. უფრო გვიან 'ალიმს (ან ულემებს) უწოდებდნენ რელიგიის სფეროში მოღვაწე მეცნიერებს. შუა საუკუნეების ისლამურ საზოგადოებაში ინტელექტუალურ საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირად გამოიყენებოდა კიდევ ერთი ტერმინი – ადაბ, რომლითაც აღინიშნებოდა ჰუმანიტარული ცოდნის მთელი კომპლექსი. ადიბი (ადიბ, მრ. უდაბა) იყო არა მარტო ლიტერატორი, არამედ განათლებული და კარგად აღზრდილი ადამიანი. ხალიფა ალ-მამუნის ბრძანებით შეიქმნა იმ ადიბთა სია, რომელთაც შეეძლოთ ლიტერატურისა და მეცნიერების შესახებ თავისი აზრი გამოეთქვათ 'აბასიანთა ბრწყინვალე სასახლეში და შეესრულებინათ ნადმ-ის, ე.ი. ხალიფას თანამეინახის ფუნქცია. მიუხედავად თავისი სოციალური და ეთნიკური წარმომავლობისა, მეცნიერი ყოველთვის და ყველგან დიდი პატივისცემით სარგებლობდა. კარგად ცნობილი არაბი პროზაიკოსი და მოაზროვნე ალ-ჯაჰიზი წერდა: „არ შეიძლება ფეხზე არ წამოდგე მამის წინაშე, არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვო სტუმარი, არ შეიძლება არ მოუარო ცხენს და არ შეიძლება პატივი არ სცე მეცნიერს“-ო.

'აბასიანთა პერიოდის არაბულ-ისლამურ მეცნიერებაში ფილოსოფია (ფალსაფა) არის ის დარგი, რომელმაც ბერძნულ-ელინისტური მემკვიდრეობის განსაკუთრებული გავლენა განიცადა. პირველი დიდი მოაზროვნე, რომელსაც თავისი არაბული წარმომავლობის გამო „არაბთა ფილოსოფოსის“ სახელი დაუმკვიდრდა არის ბასრელი ალ-ქინდი (აბუ იუსუფ აბუ-იბნ ისჰაკ ალ-ქინდი, IX ს., ლათ. Alkindus). იმის გამო, რომ ალ-ქინდი მუთაზილემს თანაუგრძობდა, მან ხალიფა ალ-მუთავაჰქილის დროს დევნაც განიცადა. მის ეკლექტიკურ მოძღვრებაში შეიმჩნევა ნეოპლატონიკური⁴³ თვალსაზრისის გაერთიანება არისტოტელეს შეხედულებებთან. ყველა მეცნიერებათა საფუძველად იგი მიიჩნევდა ნეოპიტაგორიელთა⁴⁴ მათემატიკას. ფილოსოფიის გარდა ალ-ქინდი მუშაობდა ასტროლოგიაში, ოპტიკაში, მედიცინაში და მუსიკის თეორიაში. მას მიაწერენ ორ ასეულზე მეტი დასახელების ნაშრომს, რომელთა დიდი ნაწილი დაიკარგა. X-XII საუკუნეებში ალ-ქინდის სამეცნიერო მემკვიდრეობა ევროპაშიც გახდა ცნობილი. მისი გავლენა განიცადა როჯერ ბეკონმა (დაახლ. 1214-1292), ხოლო შუა საუკუნეების გამოჩენილმა იტალიელმა მეცნიერმა ჯეროლამო კარდანომ (გარდ. 1576 წ.) იგი სამყაროს თორმეტ დიდ მოაზროვნეთა შორის დაასახელა. ბერძნული ფილოსოფიის შე-

თავსება ისლამთან დაიწყო ალ-ქინდიმ, განაგრძო მეორე დიდმა ფილოსოფოსმა ალ-ფარაბიმ, ხოლო დაამთავრა იბნ სინამ.

ალ-ფარაბი (მუჰამმად იბნ თარხან აბუ ნასრ ალ-ფარაბი, გარდ. 950 წ. დამასკოში; ლათ. *Alfarabius, Avennasar*) დაიბადა დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე. მან განათლება მიიღო ბაღდადში, სადაც ეუფლებოდა მედიცინას, ხოლო შემდეგ მოღვაწეობდა კალებში, ჰამდანიანთა ბრწყინვალე სასახლეში. ალ-ფარაბის ფილოსოფიაც სინკრეტული ხასიათისაა, ვინაიდან შეიცავს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს, აგრეთვე სუფიზმის ელემენტებს. გარდა ბერძენი ფილოსოფოსების თხზულებათა კომენტარებისა, ალ-ფარაბის ეკუთვნის ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და მეტაფიზიკური ხასიათის შრომები. მნიშვნელოვანია მისი წვლილი მუსიკის თეორიაში, კერძოდ ამ დარგშია შექმნილი სპეციალური ტრაქტატი „ქითაბ ალ-მუსიკა ალ-ქაბირ“. შუა საუკუნეების არაბ სწავლულთა შორის ალ-ფარაბი არისტოტელეს შემდეგ ცნობილი იყო, როგორც „მეორე მასწავლებელი“ („ალ-მუ‘ალლიმ ას-სანი“).

არაბული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელია იბნ სინა (აბუ ‘ალნ იბნ სინა, 980-1037), რომელიც ევროპაში ავიცენას (ლათ. *Avicenna*) სახელით გახდა ცნობილი. იგი დაიბადა ქ. ბუხარის მახლობლად (დღ. უზბეკეთი) და უკვე ახალგაზრდობაში დაუახლოვდა სამანიანთა ბრწყინვალე კარს. სარგებლობდა რა სასახლის მდიდარი ბიბლიოთეკით, იბნ სინამ მიიღო ფართო განათლება იმდროინდელი ისლამური მეცნიერების თითქმის ყველა დარგში და ოცდაერთი წლის ასაკში, არაბთა მიღწევების სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე საკუთარი ორიგინალური შრომების შექმნა დაიწყო. მისი ფილოსოფიური თხზულება „ქითაბ აშ-შიფა“ („განკურნების წიგნი“) წარმოადგენს ფილოსოფიურ ენციკლოპედიას დამყარებულს არისტოტელეს ტრადიციებზე და მოდიფიცირებულს ნეოპლატონიზმისა და ისლამური თეოლოგიის გავლენით.

მუსლიმური ფილოსოფიის და თეოლოგიის გაერთიანების ცდას ვხედავთ გამოჩენილი მოაზროვნის ალ-ღაზალის (აბუ ჰამიდ ალ-ღაზალი, 1058-1111, ლათ. *Algazel*) თხზულებებში. ალ-ღაზალი დაიბადა ხორასანში, ქ. ტუსში (ირანი) და თავისი მოღვაწეობა დაიწყო, როგორც ორთოდოქსული ისლამის მიმდევარმა, მაგრამ შემდეგ სუფიზმის გავლენა განიცადა. ბაღდადის ცნობილ „ნიჰამიეში“ საქმიანობისას მას სულიერი დეპრესია დაეუფლა, რის შედეგადაც დროებით თავი დაანება თეოლოგიას და ფილოსოფიას, დაიწყო მოგზაურობა და დერვიშის ტანსაცმელში გამოწყობილმა მოიარა სახალიფოს სხვადასხვა პროვინცია, იპილიგრირა ჰიჯაზში. ამის შემდეგ ალ-ღაზალი დაბრუნდა ბაღდადში, სადაც შექმნა თავისი უმნიშვნელოვანესი შრომები, მათ შორის „იჰიბ‘ ულუმ ალ-დინ“ („რელიგიურ მეცნიერებათა აღორძინება“). ალ-ღაზალიმ მოხერხებულად გამოიყენა ბერძნული ფილოსოფიური მემკვიდრეობა ორთოდოქსული, პრაგმატული სისტემის შესაქმნელად და სქოლასტიკური აზროვნება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მისმა შრომებმა, რომელთა ნაწილი ლათინურ ენაზე ითარგმნა, გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეების ქრისტიანული ევროპის დიდი ფილოსოფოსისა და თეოლოგის თომა აკვინელის (1225/26-1274), შემდეგ კი ფრანგი მეცნიერის ბ. პასკალის (1623-1662) შეხედულებებზე. ფიქრობენ, რომ

როგორც მოაზროვნე, ალ-ღაზალი ყველაზე ახლო დგას ქრისტიანული ეკლესიის ცნობილ თეოლოგებთან. ის სქოლასტიკური გარსი, რომელიც ისლამისათვის შექმნეს **აბუ-ლ-ჰასან ალ-აშ'არნიმ (873-935)** და შემდეგ ალ-ღაზალიმ, დღემდე დარჩა. არაბები ალ-ღაზალის სუნიტური ისლამის სულიერ მამად აღიარებდნენ და თვლიდნენ, რომ „თუკი შესაძლებელი იქნებოდა მოციქულის გამოჩენა მუჰამედის შემდეგ, ის აუცილებლად ალ-ღაზალი იქნებოდა“. დიდი თეოლოგი დაკრძალულია თავის მშობლიურ ტუსში. ალ-ღაზალის შეხედულებები სპეციალური გამოკვლევის წყალობით (**ნ. კილაძე**) ხელმისაწვდომია ქართველი მკითხველისთვისაც.

არაბი ფილოსოფოსებისა და სხვა დარგის მეცნიერთა მოღვაწეობამ კვალი დაამჩნია არა მარტო ისლამურ სამყაროს, არამედ შუა საუკუნეების ევროპასაც. ძველი ბერძენი მოაზროვნეების (არისტოტელე, ევკლიდე, პტოლემეოსი, ჰიპოკრატე, გალენუსი, არქიმედი და სხვა) შრომებს ევროპელები აღორძინების ეპოქამდე სწორედ არაბულიდან ლათინურ ენაზე შესრულებული თარგმანებით გაეცნენ.

უკვე VIII საუკუნის დამდეგს ისლამში ჩამოყალიბდა მისტიკური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც **სუფიზმის (თასავეფი)** სახელწოდებითაა ცნობილი. ვინაიდან მისი მიმდევრები, როგორც წესი, უხეში შალის ქსოვილისგან შეკერილ ტანსაცმელს (სუნჰ) ატარებდნენ, მათ სუფიებს უწოდებდნენ. სუფიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია ბასრელი თეოლოგი **ჰასანი (ჰასან ალ-ბასრნი, 642-728)**. სუფიები თვლიდნენ, რომ ნებაყოფლობითი სიღარიბე და ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა ადამიანს აახლოებდა ღმერთთან, იცავდა მას ცოდვებისაგან. ამგვარად, სუფიზმის მხარდამჭერი მუსლიმები გამოხატავდნენ პასიურ პროტესტს ფუფუნებისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამიტომ, მმართველი წრეების სურვილის საწინააღმდეგოდ, VIII-IX საუკუნეებში სუფიზმი ფართოდ გავრცელდა როგორც არაბთა, ისე ირანელთა შორისაც. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ მიმდინარეობას ჰყავდა გამოჩენილი იდეოლოგები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში. ალ-ღაზალის შემდეგ ზომიერი სუფიზმი აღიარა მრავალმა სუნიტმა და შიიტმა თეოლოგმა, გაჩნდა სუფიური ორდენები – ტარიკატები (ტარნიკა, მრ. ტარნიკ). სუფიზმმა შესამჩნევი გავლენა მოახდინა არაბულ და განსაკუთრებით სპარსულ პოეზიაზე.

თავისი მოცულობითა და მასშტაბით თეოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურის გვერდით დგას არაბ ისტორიკოსთა თხზულებები. მართალია, თხრობის ჰადისური ფორმა, პროვიდენციალიზმი (ღვთისნებელობა) და კომპილაციური ხასიათი დიდხანს შემორჩა არაბ მემატიანეთა შრომებს, მაგრამ ისლამური სამყაროსა და ზოგიერთი მეზობელი ხალხების ისტორიის შესწავლისათვის მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

არაბთა დაპყრობების შესახებ დაგროვილი მასალების დიდი კოდიფიკატორი იყო ჰიჯაზელი მეცნიერი **ალ-ვაკიდი (აბუ 'აბდ ალლჰჰ მუჰამმად იბნ 'უმარ ალ-ფაკიდი, 747/8-822)**. ხალიფა ალ-მა'მუნის დროს ის ბაღდადის ყადი ყოფილა. პირველ რიგში ალ-ვაკიდი ითვლება დაპყრობითი ჟანრის – ალ-მადჰის წარმომადგენლად და ცნობილია ნაშრომით „**ფუთუჰ აშ-შამ**“ („სირიის დაპყრობა“). მის საქმეს აგრძელებდა ეგვიპტელი ავტორი **ალ-ჰაქამი**

(იბნ 'აბდ ალ-ჰაქამ, 802/3-871), რომელიც ეკუთვნოდა მეცნიერთა ოჯახს ცნობილს ფიკჰის და ჰადისების დრმა ცოდნით. მისი ნაშრომი „ეგვიპტის, აღმადრბის და აღ-ანდალუსის დაპყრობა“ ითვლება უმნიშვნელოვანეს წყაროდ აფრიკის კონტინენტზე არაბთა ისტორიის ადრინდელი პერიოდისათვის. ასეთივე ადგილი არაბულ ისტორიოგრაფიაში უკავია მეორე ეგვიპტელ ისტორიკოსს იბნ ჰიშამს ('აბდ ალ-მალიქ იბნ ჰიშამ, გარდ. 883 წ.). მისი რედაქციით მოაღწია ჩვენამდე უფრო ადრინდელი მედინელი მეცნიერის იბნ ისჰაკის (მუჰამმად იბნ ისჰაკ იბნ მასნარ იბნ ხიფარ, 704-767) ნაშრომმა, რომელიც წარმოადგენს მოციქულის ბიოგრაფიას სათაურით „ქითაბ სნრათ რასულ ალლჰა“. წინაისლამური არაბული ტომების კარგ მცოდნედ ითვლებოდა ალ-ქალბი (ჰიშამ იბნ მუჰამმად ალ-ქალბი, გარდ. 819-822 წწ. შორის), ქუფელი მეცნიერი, რომელიც ძირითადად ბაღდადში მოღვაწეობდა. მისი ნაშრომი „ქითაბ ალ-ასნამ“ („წიგნი კერპების შესახებ“) ცნობილია ჩვენი მკვლევლისათვის ვ. პოლოსინის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული თარგმანის საშუალებით.

'აბასიანთა პერიოდის არაბულენოვან მემატინეთა დიდი ნაწილი პროირანული ან შიიტური ორიენტაციისა იყო, რაც დამახასიათებელი ნიშანი გახდა ამ დროს მთელი ინტელექტუალური ცხოვრებისათვის. ასეთ მეცნიერთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ ალ-ბალაზურის (ამმად იბნ მამად იბნ ჯაბირ იბნ დნვურ ალ-ბალაზურ, გარდ. 892 წ.) და ალ-მა'კუბის (იბნ ვნდჰ ალ-მა'კუბი, გარდ. დაახლ. 897 წ.). მათი ქრონიკები ასახავენ იმ ეპოქას, რომელმაც მსოფლიო ასპარეზზე გამოიყვანა არაბები.

კლასიკური არაბული ისტორიოგრაფიის აპოგეა დაკავშირებულია ორი ავტორის ატ-ტაბარის და ალ-მას'უდის შრომებთან. მართალია, მოღვაწეობის ხასიათით ეს ორი მეცნიერი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ორივემ დიდი გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელ ისტორიკოსთა შრომებზე. ისტორიული თხზულებების ხასიათი მათ შემდეგ თითქმის არ შეცვლილა. გამონაკლისია მხოლოდ იბნ ალ-ასირის, ალ-ბირუნის და იბნ ხალდუნის შრომები.

წარმოშობით სპარსელი აბუ ჯა'ფარ მუჰამმად იბნ ჯარნრ ატ-ტაბარნი (გარდ. 838/9-923) ტაბარისთანში, შეძლებულ ოჯახში დაიბადა. გადმოცემის თანახმად, ის ფენომენალური მახსოვრობით იყო დაჯილდოებული და ადრეულ ასაკში ზეპირად იცოდა ყურანი. განათლება ატ-ტაბარნი მიიღო ბაღდადში, ქუფაში, ბასრაში და ეგვიპტეში, რის შემდეგაც დასახლდა ბაღდადში და მთელი სიცოცხლე მეცნიერულ საქმიანობას დაუკავშირა.

განსაკუთრებული ადგილი არაბულ-ისლამურ მეცნიერებაში ატ-ტაბარის უკვე შუა საუკუნეების არაბმა ავტორებმა მიაკუთვნეს. მაგალითად, მაკუთ ალ-ჰამავიმი თავის ბიოგრაფიულ ლექსიკონში მას 40 გვერდი დაუთმო. ატ-ტაბარის „მსოფლიო ისტორიას“, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „თარნ არ-რუსულ ვა-ლ-მულჰჰ“ („მოციქულთა და მეფეთა ისტორია“) მაღალ შეფასებას აძლევენ ევროპელი ორიენტალისტები. არც ერთ გვიანდელ არაბ ავტორს არ გადმოუცია უფრო სრულად ისლამის ისტორიის ის ნაწილი, რომელიც ატ-ტაბარის აქვს მოცემული. ეს ავტორები ჩვეულებრივ იღებდნენ მის ნაშრომს და ავსებდნენ მას ალ-ბალაზურით, ან ავრძელებდნენ თხრობას იქიდან, სადაც ატ-ტაბარი შეჩერდა, ე.ი. 915 წლიდან. ეს თხზულება X საუკუნეში

დაამუშავეს მუსლიმურ ესპანეთში უმაიანთა კარის მოხელემ **‘არიბმა (‘არიბ იბნ სა’დ ალ-ქათიბ ალ-კურტუბი, გარდ. X ს. მიწურულს)** და შუა აზიაში სამანიანთა ვეზირმა **მუჰამმად ალ-ბალ’ამნი (გარდ. დაახლ. 974 წ.),** რომელმაც შეამოკლა და სპარსულად თარგმნა იგი. სწორედ სპარსულიდან შესრულებული ოთხტომიანი ფრანგული თარგმანით, რომელიც **ზოტანბერმა** შეასრულა 1867-1874 წლებში, ევროპამ გაიცნო ატ-ტაბარის „ისტორია“.

გარდა ისტორიისა ატ-ტაბარი ყურანისა და შარიათის კარგ მცოდნედაც ითვლებოდა. მას ეკუთვნის 30 ტომისგან შემდგარი ყურანის განმარტება („თაფსირ“), შეუქმნია თავისი თეოლოგიური სკოლა და გატაცებული ყოფილა პოეზიით, მაგრამ გამოჩენილი მეცნიერის ყველაზე დიდ მემკვიდრეობად ითვლება მისი „ისტორია“, რომელიც, **დე გუეს** გამოცემით, 13 ტომს შეადგენს და მოიცავს არაბებისთვის ცნობილ მთელ სამყაროს.

ატ-ტაბარისაგან განსხვავებით, წარმოშობით არაბი **ალ-მას’უდი (აბუ-ლ-ჰასან ‘ალ-იბნ ალ-ჰუსაინ ალ-მას’უდი, გარდ. 956 წ.),** მოციქულის ერთ-ერთი მიმდევრის შთამომავალი, ცნობილი გახდა როგორც „არაბთა ჰეროდოტე“. ის დაიბადა ბაღდადში და მთელი თავისი სიცოცხლე მოგზაურობაში გაატარა. ალ-მას’უდი იყო არა მარტო ისტორიკოსი, არამედ გეოგრაფიც, რაც კარგად ჩანს მის ყველაზე მეტად ცნობილ ნაშრომში „მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მა’ადინ ალ-ჯაჰაჰარ“ („ოქროს ველები და მარგალიტთა საბადოები“). თუ ატ-ტაბარი ტრადიციონალისტად დარჩა და ჰადისების გავლენა განიცადა, ალ-მას’უდი ნაკლებად რელიგიური იყო და ფართო ენციკლოპედისტის სახელი დაიმკვიდრა. ნაწყვეტები ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარის და ალ-მას’უდის თხზულებებიდან, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, გამოქვეყნებულია აკად. **გ. წერეთლის** მიერ „არაბულ ქრესტომათიაში“.

გარდა ვრცელი და ყოვლისმომცველი ისტორიული თხზულებებისა ‘აბასიანთა პერიოდში შეიქმნა ცალკეული რეგიონების ან ქალაქების ამსახველი შრომებიც. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც **ალ-ხატინი ალ-ბაღდადნი (1002-1071)** თხზულება „ბაღდადის ისტორია“, რომელიც შეიცავს მდიდარ ისტორიულ-ტოპოგრაფიულ მასალას.

ორიენტალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ XI საუკუნე არაბული მეცნიერებისათვის ახალი მიღწევებით აღინიშნა და ამაში დამსახურება მიუძღვის დიდ შუა აზიელ მეცნიერს **ალ-ბირუნის (აბუ-ლ-რაჰმან მუჰამმად იბნ აჰმად ალ-ბირუნნი, 973-1050 წ. შემდეგ),** რომელიც გარდა თურქული და სპარსული ენებისა დაეუფლა ებრაულს, სირიულს და სანსკრიტს. საინტერესოა, რომ ალ-ბირუნი, აღიარებდა რა არაბული ენის როლს მეცნიერების განვითარების საქმეში, თვლიდა, რომ მისთვის დამახასიათებელი სინონიმების სიმრავლე დადებითად ვერ შეფასდებოდა. ალ-ბირუნი მოღვაწეობდა ლახნევიანთა კარზე, სადაც სახელი გაითქვა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მათ შორის ისტორიაში შექმნილი შრომებით. აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „ღირსშესანიშნაობანი, დარჩენილი გასულ საუკუნეთაგან“, ცნობილი როგორც „ქრონოლოგია“ და განსაკუთრებით „ინდოეთის ისტორია“, რომლის მსგავსიც, რუსი ორიენტალისტის **ვ.რ.როზენის** აზრით, „არაფერი არ შექმნილა ძველ და შუა საუკუნეების სამეცნიერო ლიტერატურაში“. თავად ალ-ბირუნი თავს ისტორიკოსად არ თვლიდა, რაც აიხსნება მისი გატაცებით მათემატიკით და ას-

ტრონოში. მართალია, მას მიმოწერა ჰქონდა იბნ სინასთან, მაგრამ ფილოსოფიისა და კანონიკური დისციპლინებისადმი მისი ინტერესი უმნიშვნელო იყო. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების არაბულ-ისლამურ მეცნიერებას ალ-ბირუნის სახით დიდი ენციკლოპედისტი ჰყავდა.

‘აბასიანთა პერიოდის გამოჩენილი ისტორიკოსია **იბნ ალ-ასირი** (**‘იზზ ად-დინ აბუ-ლ-ჰასან ‘აღნ იბნ ალ-ასირ, 1160-1233**), რომელმაც თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მოსულში გაატარა. მის „სრულ ისტორიას“ („ალ-ქამილ ჰინ-თ-თა’რინ“) X საუკუნემდე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ატტაბარის თხზულების გადაშუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, თუმცა იბნ ალ-ასირმა შეავსო იგი ჩრდილოეთ აფრიკისა და ესპანეთის შესახებ მოპოვებული მასალებით. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ისტორია“ X საუკუნიდან 1231 წლამდე.

ატტაბარისაგან განსხვავებით, იბნ ალ-ასირი ამუღვენებდა კრიტიკულ, ზოგჯერ სუბიექტურ დამოკიდებულებას ფაქტებისა და მოვლენებისადმი, ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი მისწრაფებების და იდეებისადმი. მისმა ნაშრომმა უდიდესი გავლენა მოახდინა გვიანდელ ავტორთა შრომებზე, ხოლო ორიენტალისტ-ისტორიკოსებისთვის დატოვა ვრცელი და საინტერესო მასალა ისლამური სამყაროს ისტორიის კვლევისთვის. იბნ ალ-ასირისა და სხვა არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის შესახებ გამოვლენილია და შესწავლილი ქართველ არაბისტ ისტორიკოსთა მიერ.

არაბული გეოგრაფიული მეცნიერება შეიქმნა და ვითარდებოდა ისტორიასთან ერთად, მაგრამ თანდათანობით მან დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიიღო. არაბთა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება ინდოეთიდან ესპანეთამდე, მოგზაურობა და ჰაჯი, საფოსტო სამსახურისა და საკანცელარიო საქმის განვითარება, ხელს უწყობდა მდიდარი მასალის დაგროვებას სახალიფოს დედაქალაქში. შემთხვევითი არაა, რომ პირველი არაბი გეოგრაფები სწორედ საფოსტო სამსახურის, ბარიდების მოხელეები იყვნენ. დროთა განმავლობაში არაბთა ინტერესი გეოგრაფიისადმი (ჯუღრჰიდი), რომელსაც ისინი ისევე, როგორც ასტრონომიას, უცხოურ მეცნიერებათა რიგს მიაკუთვნებდნენ გაიზარდა, შემდეგ კი ფართო სამეცნიერო საქმიანობის სახე მიიღო. მეცნიერების ამ დარგის განვითარების პირველ ეტაპზე შეიქმნა აღწერითი ხასიათის შრომები სტანდარტული სახელწოდებით „ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ“ („წიგნი გზებისა და სამეფოების შესახებ“). ამ მიმართულების პირველი ცნობილი წარმომადგენელია **იბნ ხურდაზბიჰი (აბუ-ლ-კასიმ ‘უბაიდ ალლჰ იბნ ‘აბდ ალლჰ იბნ ხურდაზბიჰი (ხურრადზბიჰი, 820/825-911)**, წარმოშობით სპარსელი, ხალიფა ალ-მუთამიდის (870-892) მეგობარი და თანამეინახე (ნადიმი). სამსახურებრივი საქმიანობით ის საფოსტო უწყების – ბარიდის მოხელე იყო, რაც საშუალებას აძლევდა შეეგროვებინა მდიდარი მასალა სავაჭრო მაგისტრატების, ქალაქებს შორის მანძილისა და სახალიფოს ცალკეული რეგიონების შესახებ. მისმა ნაშრომმა – „ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ“ გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შრომებზე. იბნ ხურდაზბიჰის თანამედროვე შიიტი მეცნიერის **ალ-მაკუბის (იბნ ვაღიბ ალ-მაკუბი, IX ს.)** „ქითაბ ალ-ბულდჰან“ („წიგნი ქვეყ-

ნების შესახებ“) ასევე გეოგრაფიული ხასიათისაა. ავტორი გვაწვდის მეტად სასარგებლო საგადასახადო-სტატისტიკურ, ეთნოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ მასალას.

X საუკუნეში კლასიკური პერიოდის არაბული გეოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელი გახდა ყურადღების გადატანა ისლამურ ქვეყნებზე და კარტოგრაფიის განვითარება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს **ალ-ბალხი (აბუ ზაიდ აჰმად იბნ საჰლ ალ-ბალხი, დაახლ. 850-934)**, რომელსაც შეუდგენია დედამიწის ატლასი სათანადო განმარტებებით. მისი ნაშრომი ცნობილია სხვა ავტორთა მიერ მოტანილი მასალებით. ამავე პერიოდს მიეკუთვნება რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი, კერძოდ **ალ-ისტახრი (აბუ ისჰაკ ალ-ფარისი ალ-ისტახრი (დაახლ. 850-934), იბნ ჰაუკალი (აბუ-ლ-კასიმ იბნ ჰაუკალ ან-ნასირი, X ს. მეორე ნახ.)** და **ალ-მუკადდასი (აბუ 'აბდ ალლჰ მუჰამმად იბნ აჰმად ალ-მუკადდასი, 947-X ს. მეორე ნახ.)**.

გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ ხელი შეუწყო არაბული გეოგრაფიული ლექსიკონების შექმნას. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავტორი, რომელსაც ეკუთვნის ასეთი ხასიათის თხზულება „ქვეყნების ლექსიკონი“ („მუ'აჯამ ალ-ბულდანი“) არის **იაკუთი (დჰჰუთ იბნ 'აბდ ალლჰ ალ-ჰამაფი არ-რჰმი, 1178-1228)**, რომელიც, როგორც ჩანს, გაარაბებული ყოფილი ბერძენი მონა იყო. იაკუთი ცხოვრობდა ბაღდადში, სადაც წიგნების გადაწერა-გაყიდვით იყო დაკავებული, თუმცა მეტ დროს მოგზაურობას ანდომებდა, რაც მის თხზულებებშიც აისახა. იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში დაცული ცნობები, რომელიც საქართველოს ეხება, მისაწვდომია ქართველი მკითხველისათვის **ე.სინარულიძის** მიერ შესრულებული თარგმანისა და გამოკვლევის წყალობით. გარდა გეოგრაფიული ლექსიკონისა, მას ბიოგრაფიული ლექსიკონიც შეუდგენია.

შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფების მდიდარი მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1870 წელს ცნობილი ჰოლანდიელი ორიენტალისტის **დე გუეს (M.J.de Goeje)** ინიციატივით დაიწყო და 1894 წელს დამთავრდა კლასიკური არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის გამოცემა („Bibliotheca Geographorum Arabicorum“), ხოლო ცნობილმა რუსმა მეცნიერმა **ე.ი.კრაჩკოვსკიმ** მას ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა (Избранные сочинения, т.IV, М.-Л., 1957).

გეოგრაფიული ლექსიკონების გვერდით გაჩნდა ბიოგრაფიული ლექსიკონებიც. ასეთი ხასიათის ნაშრომის ცნობილი ავტორია **იბნ ხალიქანი (აჰმად იბნ მუჰამმად იბნ იბრაჰიმ აბუ-ლ-'აბბას შამს ად-დინ ალ-ბარმაქი ალ-ირბილი აშ-შაფი'ი, 1211-1282)**, რომელიც არაორდინარული პიროვნება იყო. იაჰია იბნ ხალიდ ალ-ბარმაქის შთამომავალი, იბნ ხალიქანი დაიბადა ირბილში, განათლება მიიღო ჰალეხსა და დამასკოში, ხოლო 1261 წლიდან მოკიდებული რამდენჯერმე დაინიშნა დამასკოს მთავარი ყადის თანამდებობაზე. მისი ბიოგრაფიული ლექსიკონი „ვაჰაფათ ალ-ა'აზნ ვა ანბა' აბნა' აზ-ზამან“ შედგება რამდენიმე ასეული ცნობილი პირის ბიოგრაფიებისგან. იბნ ხალიქანისთვის დამახასიათებელია სიზუსტე, რაც მისი ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებადაა მიჩნეული.

მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დაგროვილი მრავალრიცხოვანი ლიტერატურის დაგროვებამ აუცილებელი გახადა მისი კლასიფიცირება და ბიბლიოგრაფიული ლექსიკონების შედგენა. მათი გაცნობა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ არაბული მეცნიერების მდგომარეობა IX-X საუკუნეებში. ამ უანრის წარმომადგენლად ითვლება **იბნ ან-ნადიმი (მუჰამმად იბნ ან-ნადიმ ალ-ვარრაჟი, გარდ. დაახლ. 990 წ.)**, რომლის „ქითაბ ალ-ფიჰრისთ“ წარმოდგენს ანოტირებულ კატალოგს, სადაც ლიტერატურა დალაგებულია მეცნიერების დარგების მიხედვით. საყურადღებოა ამ ავტორის ლაქაბი „ვარრაჟი“, მით უმეტეს, რომ ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ადამიანს, რომელიც აწარმოებდა ქაღალდს, ვაჭრობდა ქაღალდით და საკანცელარიო საქონლით, მისდევდა საამკინძაო საქმეს, დაკავებული იყო წიგნების გადაწერით და ყიდვა-გაყიდვით. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ „ფიჰრისთი“ XIII საუკუნემდე ცნობილი არ ყოფილა, რაც, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ მისი ავტორი არ სარგებლობდა დიდი მეცნიერის რეპუტაციით და პროფესიით უბრალო „ვარრაჟი“ იყო. რა თქმა უნდა, ეს ხელობა წიგნიერებას მოითხოვდა, ხოლო ყოველდღიური საქმიანობა მას აახლოებდა მეცნიერებთან და სამეცნიერო ლიტერატურასთან. ამ სოციალური წრის წარმომადგენელი ვერ იქნებოდა ხალიფასა და მისი სასახლის „ნადიმ“-ი, ე.ი. თანამეინახე, ვინაიდან ამ თანამდებობას იკავებდა სწავლული, რომელიც კაგად ერკვეოდა კანონიკურ მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში, შეეძლო თავის გამოჩენა მჭერმეტყველებით და იყო ცნობილი შეიხების მოწაფე. შესაძლებელია, ან-ნადიმი იყო „ფიჰრისთის“ ავტორის რომელიმე წინაპარი, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ბიოგრაფიული ლექსიკონი სამაგიდო წიგნი გახდა შემდგომი თაობის არაბი მეცნიერებისათვის. სამწუხაროდ, უდიდესი ნაწილი იმ ლიტერატურისა, რომელსაც ან-ნადიმი ასახელებს თავის ნაშრომში, დღეისათვის დაკარგულად ითვლება. „ფიჰრისთის“ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა შეფასებულია **გ.გ. პოლოსინის** სპეციალურ მონოგრაფიაში და ადვილად ხელმისაწვდომია ქართული მკითხველისათვის.

‘აბასიანთა პერიოდში შეიქმნა სახელმწიფოს მართვისა და საგადასახადო პოლიტიკისადმი მიძღვნილი ტრაქტატები, რომელთა ავტორები უმეტეს შემთხვევაში ხალიფას კართან დაახლოებული მოხელეები იყვნენ. ასე მაგალითად, გამუხსლიმებულ ქრისტიანსა და საჰიბ ალ-ბარიდს **კუდმა იბნ ჯა‘ფარს (IX ს. – X ს. 40-იანი წლები)** ეკუთვნის „ხარაჯის წიგნი“ („ქითაბ ალ-ხარაჯ“). სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საკითხებს ყურადღებას უთმობდნენ ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ადმინისტრაციის საქმიანობაში, მაგრამ ცდილობდნენ თავიანთ ნაშრომებში დაესაბუთებინათ სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. ასეთ მოღვაწეთა შორის იყო აბუ-ლ-ჰასან ალ-მავარდი (**აბუ-ლ-ჰასან ‘ალნ იბნ მუჰამმად იბნ ჰაბნ ალ-მნვარდნ, 974-1058**), რომელიც თავის ნაშრომში „ქითაბ ალ-აჰქამ ას-სულტანიდა“ („გამგებლობის კანონების წიგნი“) ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ შეიძლება გაუძლოს მრავალ უბედურებას, მათ შორის ურწმუნობასაც (ქუფრ), მაგრამ უსამართლობა დაღუპავს მას. არაბი მეცნიერი თვლიდა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციის

ნორმალური ფუნქციონირებისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს არა რელიგიური მრწამსი, არამედ სამართლიანობის პრინციპი.

საყოველთაოდაა აღიარებული არაბთა დიდი წვლილი მედიცინის განვითარებაში. მას შემდეგ, რაც არაბულ ენაზე ითარგმნა **ჰიპოკრატეს⁴⁵** და **გალენის⁴⁶** შრომები, არაბებმა გაშალეს აქტიური პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა ამ დარგში. ჰარუნ არ-რაშიდის, ალ-მაშუნის და ბარმაქიანთა კარის ექიმი იყო ნესტორიანელი ქრისტიანი **ჯიბრნლ იბნ ბახთრშუ** (გარდ. 830 წ.), რომლის შთამომავლები XI ს. მეორე ნახევარშიც ძალიან პოპულარული იყვნენ სამედიცინო სარბიელზე. ამავე პერიოდში სახალიფოს სხვადასხვა ქალაქში გაჩნდა პირველი აფთიაქები. ჰარუნ არ-რაშიდის დროს ბაღდადში დაარსდა საავადმყოფო, რომელიც სპარსული ტრადიციის გავლენით „ბნმარისთნის“ სახელწოდებას ატარებდა. ასეთივე სახის სამკურნალო დაწესებულებებით სარგებლობა მალე შესაძლებელი გახდა სახალიფოს სხვადასხვა ქალაქებში. მსურველს შეეძლო ესარგებლა საავადმყოფოს ბიბლიოთეკაში დაცული სამედიცინო ლიტერატურით და მიეღო პრაქტიკული რჩევა.

გამოჩენილი ექიმი და მეცნიერი **არ-რაზი (აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ზაქარიია⁴⁷ არ-რაზი, ლათ. Rhazes, 854-925 ან 935)** ირანში, არ-რეიში დაიბადა, მაგრამ ერთხანს მოღვაწეობდა ბაღდადში, სადაც სათავეში ედგა მის მიერ დაარსებულ საავადმყოფოს. არ-რაზი ცნობილი გახდა, როგორც პრაქტიკოსი მკურნალი და ნაყოფიერი მეცნიერი, ორასამდე ნაშრომის ავტორი. სამანიანთა გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რეის გამგებელს მანსურ იბნ ისჰაკ ას-სამანის მან უძღვნა ფუნდამენტური ნაშრომი „ქითაბ ალ-ტაიბ ალ-მანსურ“, რომელიც ლათინურად ითარგმნა უკვე XII საუკუნეში და მილანში დაიბეჭდა XV ს. მიწურულს სახელწოდებით „Liber Almansoris“. მისი სამედიცინო გამოკვლევებიდან ასევე კარგადაა ცნობილი ტრაქტატი „ქითაბ ალ-ჯადარნ ვალ-ჰასბა“, რომელიც ზოგიერთ ფართოდ გავრცელებულ დაავადებას (ყვავილი, წითელა) მიეძღვნა, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მეცნიერს მოუტანა სამედიცინო ენციკლოპედიამ „ქითაბ ალ-ჰანე ფი-ტ-ტიბ“ (ან მოკლედ „ალ-ჰანე“ – „ყოვლისმომცველი“), რომელშიც შეტანილია ბერძენი, სირიელი, ინდოელი, სპარსელი და არაბი მკურნალების შეხედულებები სხვადასხვა დაავადებათა შესახებ. აქვე ავტორი გამოთქვამს თავის თვალსაზრისს პირადი პრაქტიკიდან. ეს ნაშრომი პირველად ლათინურად ითარგმნა სიცილიელმა ებრაელმა ექიმმა ფარაჯ ბენ-სლიმმა 1279 წელს, ხოლო 1542 წელს იგი მეხუთედ გამოიცა ვენეციაში სათაურით „Continens“.

არ-რაზი იჩენდა ინტერესს ალქიმიისადმი, რომლის ფუძემდებლად ითვლება VIII საუკუნის მეორე ნახევრის ქუფელი მეცნიერი **იბნ ჰაიანი (აბუ აბდ ალლჰ ჯაბირ იბნ ჰაიან ალ-აზდრ ას-სუფი, ლათ. Geber)**. ამ დარგში არ-რაზის თორმეტამდე ნაშრომი ჰქონია. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა „ქითაბ ალ-ასრარ“ („საიდუმლოებათა წიგნი“), რომელიც გარკვეული რედაქტორული ცვლილებებით უთარგმნია ცნობილ ჯერარდო კრემონელს (XII ს.). არ-რაზი მუშაობდა მეცნიერების სხვა დარგებშიც (ასტრონომია, მათემატიკა, ფილოსოფია, მექანიკა).

არაბული სამედიცინო საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ალ-მაჯუსიმ** (ალ-იბნ ალ-აბბას ალ-მაჯუსი, გარდ. X ს. დამლევს).

როგორც მისი სახელიდან ჩანს, ალ-მაჯუსი ზოროასტრელის შთამომავალი იყო. მან ბუვაიპიანთა ერთ-ერთ წარმომადგენელს 'ადუდ ად-დავლას (949-983) მიუძღვნა თავისი სამედიცინო ენციკლოპედია „ქამილ ას-სინა“ ატ-ტიბბნა“, რომელსაც ზოგჯერ აღნიშნავენ მეორე სახელით „ალ-ქითაბ ალ-მალიქი“. ეს ნაშრომი მოცულობით ჩამორჩება არ-რაზის ენციკლოპედიას, მაგრამ მაინც ცნობილი გახდა ევროპაში ლათინური თარგმანის („Liber Regius“) საშუალებით.

დიდი მეცნიერი **იბნ სინა (იბნ სინა)** უკვე ნახსენები იყო როგორც ფილოსოფოსი, თუმცა ევროპაში მას უფრო იცნობდნენ როგორც სწავლულ ექიმს. მის დიდ სამედიცინო ტრაქტატში, რომელიც ცნობილი გახდა სახელწოდებით „კანუნ“ შეჯამებულია მედიცინაში მანამდე დაგროვილი ცოდნა. XII საუკუნეში იგი ლათინურ ენაზე ითარგმნა, ხოლო 1593 წელს ნაშრომი დაიბეჭდა რომში. ლათინურის გარდა იბნ სინას „კანუნ“-ი ითარგმნა სხვა ენებზეც და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სამედიცინო ბიბლიად რჩებოდა ევროპისათვის. განათლებული არაბები თვლიდნენ, რომ „მედიცინა, როგორც მეცნიერება არ არსებობდა, იგი შექმნა გალენუსმა (ჯალენუსი); მიღწეული ცოდნა დაფანტული იყო, მას თავი მოუყარა არ-რაზიმ; ის არ იყო სრულყოფილი, იბნ სინამ სრულყოფილი გახადა“.

X საუკუნის მიწურულს არაბულ ენაზე ითარგმნა თითქმის ყველა ბერძნული ასტრონომიული და ასტროლოგიური თხზულება, რის შედეგადაც ბაღდადში დიდძალი მასალა დაგროვდა. ობსერვატორია ფუნქციონირებდა სახალიფოს სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის თბილისშიც და, როგორც წესი, ამ დარგში სპეციალური კვლევისა და განათლების ცენტრს წარმოადგენდა. განსაკუთრებული გავლენა არაბული ასტრონომიისა და კოსმოგრაფიის განვითარებაზე მოახდინა II საუკუნის დიდი აღმსარებელი მეცნიერის **პტოლემეის (Batlamiyus)**⁴⁷ ვრცელმა თხზულებამ, რომელმაც არაბულ ენაზე მიიღო „ალ-მაჯისტი“-ის (აქედან „Almagest“) სახელწოდება. ამ ნაშრომზე დაყრდნობით, **მუჰამმად ალ-ხვარიზმიმ (აბუ ჯა'ფარ მუჰამმად იბნ მუსა ალ-ხვარიზმი, IX ს., ლათ. Algorismus, Algorithmus)**, რომელიც ახალგაზრდობაში ბაღდადის „ბადთ ალ-ჰიქმაში“ მოღვაწეობდა, შექმნა თავისი ტრაქტატები და „მსოფლიო ატლასი“ („ქითაბ სურათ ალ-არდ“). ინდური ციფრები, „არაბულის“ სახელწოდებით ალ-ხვარიზმის წყალობით საბოლოოდ დამკვიდრდა აღმოსავლეთში, ხოლო ე.წ. „პოზიციური ათობითი სისტემა“ შემდეგ ევროპაშიც გავრცელდა. დიდია ალ-ხვარიზმის დამსახურება ალგებრის განვითარებაში, რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ სიტყვა „ალგებრა“ მომდინარეობს არაბული ტერმინიდან „ალ-ჯაბრ“, რომელიც მისი ერთ-ერთი ტრაქტატის სათაურშია მოტანილი.

ინდური მეცნიერების გავლენასა და როლზე, აგრეთვე არაბული მათემატიკისა და ასტრონომიის განვითარებაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ უკვე VIII ს. დამლევს ბაღდადში სანსკრიტიდან ითარგმნა ასტრონომიული ტრაქტატი „სიდჰჰანტ“, რომელმაც არაბულად მიიღო სახელწოდება „სინდჰინდ“. IX საუკუნის ბაღდადში **მუსა იბნ შაქირის** სამეცნიერო სკოლა (**ბანუ მუსა**) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთ დისციპლინებს, როგორცაა ასტრონომია, მათემატიკა და გეომეტრია. შუა საუკუნეების არაბმა მეცნიერებმა იცოდნენ, რომ დედამიწა სფეროსებურია და მისი მერიდ-

იანის გაზომვასაც ცდილობდნენ. გამოჩენილი ასტრონომები იყვნენ **მუჰამმად იბნ ჯაბირ ალ-ბატრანი** (გარდ. 929 წ.) და **აჰმად იბნ იუნუსი** (ან იუნის, გარდ. 1009 წ.). დიდ ავტორიტეტად მათემატიკაში ითვლებოდა ბასრელი **იბნ ალ-ჰანსამი** (დაახლ. 965-1039), რომელიც ეგვიპტეში მოღვაწეობდა. **აბუ-ლ-რაჰმან ალ-ბირუნნი**, ჩვენ მიერ უკვე ნახსენები როგორც იტორიკოსი, ნაყოფიერად მუშაობდა ასტრონომიასა და მათემატიკაში, ფარმაკოლოგიასა და მინერალოგიაში. აბასიანთა სახალიფოს დაცემის შემდეგაც ინტერესი ასტრონომიისადმი არ შენეებულა, რისი დამადასტურებელიცაა 1259 წელს სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქ მარაღაში დიდი ობსერვატორიის დაარსება. მისი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ილხანთა კარის ასტრონომი და გამოჩენილი მეცნიერი **ნასირ ად-დინ ატ-ტუსნი (1201-1274)**.

როგორც უკვე აღინიშნა, არაბულ-ისლამური მეცნიერების განვითარებაზე უდიდესი გავლენა სირიულმა სამეცნიერო ტრადიციამ მოახდინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც არაბებმა გაიარეს „მოწაფეობის პერიოდი“, სირიელმა მეცნიერებმა თვითონ დაიწყეს წერა არაბულ ენაზე. ამის მაგალითია სირიელი იაკობიტების კათალიკოსი, XIII საუკუნის მეცნიერი **ბარჰებრაია (Barhebraeus)**, რომელსაც არაბები **იბნ ალ-‘იბრანს (1226-1286)** სახელით იცნობენ. იბნ ალ-‘იბრი დაიბადა მალათიაში (დღ. სამხრ. თურქეთი) და გარდაიცვალა მარაღაში. იგი ცნობილი გახდა როგორც ასტრონომი, გეოგრაფი, ისტორიკოსი და სირიული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი. მარაღას ობსერვატორიაში პირადი დაკვირვების საფუძველზე მას დაუწერია ტრაქტატი კოსმოგრაფიასა და ასტრონომიაში, ფილოსოფიაში კი იბნ სინას გავლენა განიცადა. იბნ ალ-‘იბრის ეკუთვნის „ქრონიკა“, რომელიც ავტორმა სირიულ ეკლესიას მიუძღვნა.

მიღწევებმა ასტრონომიასა და კოსმოგრაფიაში ხელი შეუწვევს წარმატებებს საზღვაო საქმესა და გემთმშენებლობაში. უკვე VIII ს. დამლევს ისლამური იმპერია გადიოდა ექვს ზღვაზე და ორ ოკეანეზე, რაც არაბებს საზღვაო ხალხად აქცევდა, ხოლო სხვადასხვა კლიმატური და სანაგვიცაციო პირობები აფართოებდა მათ ცოდნას. ამ მხრივ არაბებმა დიდი გამოცდილება მიიღეს წითელ ზღვაზე, რომელიც ცნობილი იყო წყალქვეშა მეჩენებით. მათ მიერ დაგროვილმა ცოდნამ თავისი კვალი დაამჩნია ევროპულ ზღვაოსნობასაც, რომელსაც დღემდე შემორჩა ამ საქმესთან დაკავშირებული ტერმინები (ადმირალი, არსენალი, ზენიტი, ბარჟა, გალერა, მუსონი და სხვა). XVI საუკუნეში შედგენილი საზღვაო ენციკლოპედია, რომლის ავტორია ცნობილი ოსმალთა მეცნიერი და ზღვაოსანი სიდი ‘ალი იბნ ჰუსაინი (სიდი ალი ჩელები), შეიცავს ოცდაათამდე რუკას, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად არაბთა მიერ დაგროვილ მასალებზეა აგებული.

2. არაბული ლიტერატურა

‘აბასიანთა პერიოდში დაიწყო არაბული ლიტერატურის, განსაკუთრებით პოეზიის „ოქროს ხანა“, რომელიც ახალი პოეტური სტილის (ბადონი, ‘ილიმ ალ-ბადონი) დამკვიდრებით აღინიშნა. ლიტერატურის, ისევე როგორც მთელი ინტელექტუალური ცხოვრების განმსაზღვრელი გახდა სპარსოფილური მო-

რაობა -შუ'სბნა. ირანული ტრადიციების აღორძინება ხვდებოდა ორთოდოქსული ისლამის წინააღმდეგობას და ხშირად ლიტერატურის ერეტიკული ხასიათის ანუ ზინდიკიზმის (ზინდოკ, მრ. ზანდიკა) გამოვლენად აღიქმებოდა. ზინდიკიზმის მიმდევრად ითვლებოდა ის, ვისი შემოქმედებაც თავისი შინაარსით არ პასუხობდა ან ეწინააღმდეგებოდა ისლამის ფუნდამენტურ პრინციპებს.

კლასიკური არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია სპარსელი მონის შთამომავალი **იბნ ბურდ-ი (აბუ მუ'აზ ბაშშარ იბნ ბურდ, 714/715-784/785)**, რომელიც ბასრაში დაიბადა. გარდა იმისა, რომ არაბების მიერ დაარსებულ ამ ქალაქში ცხოვრობდა მრავალი გამოჩენილი მუთაქალღიმი და ფილოლოგი, აქ შესაძლებელი იყო ურთიერთობა ბედუინებთან, რაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბრმა პოეტს არაბული ენის სრულყოფის საშუალებას აძლევდა. იბნ ბურდი არ მალავდა თავის სპარსოფილობას და ამაყობდა კიდევ იმით, რომ მისი “ენა და სამოსი იყო არაბული, მაგრამ წარმომავლობა სპარსული (აჯამი). პოეტს მიაჩნდა, რომ გონება და პოეტური ნიჭი, რომელიც მას ჰქონდა, მისი ფიზიკური ნაკლის კომპენსირებას ახდენდა. მძიმე ხასიათისა და უპრინციპობის გამო იბნ ბურდი გარემოცული აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი არაკეთილმოსურნეებით, რამაც აიძულა გაქცეულიყო ბასრიდან, მაგრამ „ყველასა და ყველაფერზე“ გაბორბტებულმა პოეტმა ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი. ერთ შემთხვევაში ის სახობო ლექსებს (მადნჰ, მრ. მადნ'ჰუ) უძღვნიდა აბუ მუსლიმს, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალიფა ალ-მანსურს, რომელმაც მოაკვლევინა სპარსელი სარდალი. „დიდება აღლაჰს, რომელმაც წამართვა მხედველობა, რათა არ დამენახა ისინი, ვინც ასე მძულს“, წერდა ალ-ბურდი. თითქმის ყველასგან გარიყული პოეტი მოკლეს ხალიფა ალ-მაჰდის ბრძანებით. შუა საუკუნეების არაბი ფილოლოგები მაღალ შეფასებას აძლევდნენ იბნ ბურდის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და თვლიდნენ, რომ ბრმა პოეტები სხვებზე უკეთესად აღიქვამდნენ სინამდვილეს. მათგან გამორჩეული ადგილი დაიკავა იბნ ბურდმა, რომელმაც პოეზიაში ახალი სტილი დაამკვიდრა.

განახლების პერიოდის მეორე დიდი წარმომადგენელია **აბუ ნუვასი (აბუ ნუვას ალ-ჰასან იბნ ჰანი' ალ-ჰაჰამი, გარდ. 813/815 წ.)**, რომელიც დაიბადა აჰვაზში, ბავშვობა გაატარა ბასრაში და განათლება მიიღო ქუფაში. ერთი წელი მომავალი პოეტი ცხოვრობდა ბედუინებთან და ეცნობოდა წინაისლამურ ე.წ. „უდაბნოს პოეზიას“, მაგრამ ამით მისი უარყოფითი დამოკიდებულება მომთაბარეებისადმი არ შეცვლილა. საბოლოოდ აბუ ნუვასი დასახლდა ბადდადში და იქ გაატარა თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის ნაყოფიერი პერიოდი. სწორედ ბადდადში, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის და მისი შვილის ალ-ამინის სასახლეში მან სახელი გაითქვა როგორც პოეტმა.

აბუ ნუვასის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ყველა ის ჟანრი, რომლითაც ცნობილია არაბული პოეზია, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ის შევიდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ღვინის პოეზიის (ხამრიდჰთ) უდიდესი წარმომადგენელი. რელიგიური სკეფსისი, რომელიც ფაქტობრივად ორთოდოქსული ისლამის ძირითადი პრინციპების უარყოფას ნიშნავდა, იმდენად გამოკვეთილად გამოჩნდა მის პოეზიაში, რომ მმართველ წრეებსა და

კონსერვატორ 'ალიმებს ადვილად შეეძლოთ წაეყენებინათ მისთვის ბრალდება ზინდიკიზმში. შემთხვევითი არაა, რომ პოეტის მეგობარი და მფარველი ხალიფებიც კი იძულებული ხდებოდნენ საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად პერიოდულად გაეკიცხათ და დაესაჯათ კიდევ პოეტი. არაბი ფილოლოგების დამოკიდებულება აბუ ნუვასისადმი თავიდანვე არ იყო ერთგვაროვანი, მაგრამ თითქმის ყველა აღიარებდა მას არაბული სიტყვის უბადლო ოსტატად. როგორც X ს. არაბი ლიტერატორი ალ-ჯაჰიზი შენიშნავდა, მას არ შეხვედრია ადამიანი, რომელიც ისე სრულყოფილად ფლობდა ენას, როგორც აბუ ნუვასი.

სპარსელი მავლას შთამომავალი და აბუ ნუვასის თანამედროვე, ქუფელი **მუსლიმ იბნ ალ-ვალიდ ალ-ანსარი (გარდ. 823 წ.)**, ჰარუნ არ-რაშიდის და ალ-მა'შუნის კართან იყო დაახლოებული. მის სახოტბო პოეზიაში ვერ ვხედავთ შუ'უბიას აშკარად გამოსატყულ ნიშნებს ან ისლამამდელი მემკვიდრეობისადმი ისეთ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, როგორც დამახასიათებელია აბუ ნუვასისათვის, მაგრამ თავისი პოეტური ოსტატობით იგი იბნ ბურდის და აბუ ნუვასის გვერდით დგას. მუსლიმ იბნ ალ-ვალიდის გავლენა განიცადეს IX საუკუნის ცნობილმა პოეტებმა **აბუ თამამმა (აბუ თამამ ჰაბიბ იბნ ავს, 804/806-845/846), ალ-ბუჰთურიმ (აბუ 'უბადა ალ-ვალიდ იბნ 'უბაიდ ალლანჰ ალ-ბუჰთური, 821-897) და იბნ ალ-მუ'თაზმა (აბუ-ლ-'აბბას 'აბდ ალლანჰ იბნ ალ-მუ'თაზ, 861-908)**. სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იბნ ალ-მუ'თაზი 908 წელს ხალიფაც გახდა ტიტულით ალ-მუნთასირ ბი-ლლაჰი, მაგრამ ერთი დღის შემდეგ მოკლეს.

არაბულ პოეზიაში ფილოსოფიურ-ელეგიური ჟანრის (ზუჰდნა) შემქმნელად ითვლება ერაყელი პოეტი, ზედმეტსახელად **აბუ-ლ-'ათაჰია (ნამდვ. სახელი: აბუ ისჰაკ ისმან'ილ იბნ ალ-კასიმ იბნ სუვაიდ იბნ ქაჰსან, 748 825/826)**. ისევე, როგორც მრავალი სხვა ლიტერატორი და მეცნიერი, აბუ-ლ-'ათაჰიაც 'აბასიანთა კართან იყო დაკავშირებული. დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პოეტი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქუფაში, ხოლო შემდეგ დასახლდა ბაღდადში, სადაც სასახლის კარის პოეტის კარიერა გაიკეთა. თავისი ფილოსოფიური ლირიკითა და ასკეტიზმით აბუ-ლ-'ათაჰია შეიძლება ჩაითვალოს სუფიზმისა და აბუ-ლ-'ალა ალ-მა'არის კონცეფციის წინამორბედად, თუმცა მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს უფრო ადრინდელ არაბულ პოეზიაშიც ვხედავთ. იბნ ბურდი და აბუ ნუვასი აბუ-ლ-'ათაჰიას უნიჭიერეს პოეტად მიიჩნევდნენ და მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის შემოქმედებას.

არაბი პოეტების ამ პლედას ეკუთვნის ბაღდადელი **არ-რუმი (აბუ-ლ-ჰასან 'ალი იბნ ალ-'აბბას იბნ ჯურაჯ იბნ არ-რუმი, 836-896)**, მამით ბერძენი და დედით სპარსელი. არ-რუმი მტრულად იყო განწყობილი 'აბასიანთა დინასტიის მიმართ და არ მაღაგდა თავის სპარსოფილობას. ახალგაზრდობაში პოეტმა განიცადა ბასრისა და ქუფის სამეცნიერო სკოლების გავლენა, მიიღო მუ'თაზილიტების ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება და თავის პოეზიაში მაღალი ოსტატობით წარმოაჩინა იგი. მართალია, ხალიფების ალ-მუ'თამიდის (870-892) და ალ-მუ'თადიდის (892-902) დროს მას დევნა არ განუცდია და,

როგორც გამოჩენილი პოეტი, სასახლეშიც იქნა მიწვეული, მაგრამ საბოლოოდ მისი შეხედულებები მიუღებელი აღმოჩნდა 'აბასიანთა კარისთვის. წყაროები გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რომ 'აბასიანთა ვეზირის დავალებით იგი მოწამლეს.

ხალიფას კარის მეხოტბე პოეტთა შორის გამოირჩევა **ალ-მუთანაბი (აბუ-ტ-ტაიმბ აჰმად იბნ ალ-ჰუსაინ ალ-ჯუ'ჰინ ალ-მუთანაბბინ, 915-965)**, ქუფელი არაბი, რომლის მამა წყლის დამტარებელი (საკკა) იყო. 925 წელს, როცა ქუფაში კარმატები შეიჭრნენ, ალ-მუთანაბი ოჯახთან ერთად გაიქცა უდაბნოში, სადაც ბედუინებთან ურთიერთობაში დახვეწა თავისი არაბული ენა. ამის შემდეგ, ზოგიერთი ცნობის თანახმად, სცადა ბედუინთა ამბოხების მოწყობა და თავი მოციქულადაც გამოაცხადა (აქედან „ალ-მუთანაბბინ“ – „ცრუ მოციქული“), მაგრამ დამარცხებული საპყრობილეში აღმოჩნდა. გათავისუფლების შემდეგ დაიწყო მისი, როგორც პოეტის, წარმატებული მოღვაწეობა ჯერ ჰალეებში ჰამდანიანთა კარზე, უფრო გვიან კი ფუსტატში, ეგვიპტის შაგკანიანი გამგებლის – ქაფურის სასახლეში. ერაყში დაბრუნებული პოეტი სარგებლობდა ბუეაიჰიანთა სასახლის მფარველობით. 965 წლის შემოდგომაზე იგი მოკლეს გზაზე ბაღდადსა და ვასიტს შორის. ალ-მუთანაბის მთელი პოეტური მემკვიდრეობა გაერთიანებულია მის „დივანში“, რომელიც კარგადაა ცნობილი არაბული ლიტერატურის მკვლევართათვის. მის კომენტატორთა შორის იყვნენ გამოჩენილი არაბი მეცნიერი აბუ-ლ-'ალა ალ-მა'არი, უფრო გვიან კი ცნობილი ფილოლოგები **ნასიფ ალ-იაზიჯი** და მისი შვილი **იბრაჰიმ ალ-იაზიჯი (XIX ს.)**.

მთელ არაბულენოვან ისლამურ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სირიელი **აბუ-ლ-'ალა ალ-მა'არი (აბუ-ლ-'ალა' აჰმად იბნ 'აბდ ალლჰა იბნ სულაიმან ალ-მა'არბინ, 973-1058)**, „ფილოსოფოსი პოეტთა შორის და პოეტი ფილოსოფოსთა შორის“. ბრმა მეცნიერი და პოეტი 50 წლის მანძილზე თავის მშობლიურ მა'არაში ცხოვრობდა. მისი სამეცნიერო ინტერესები ვრცელდებოდა ისეთ დარგებზე, როგორცაა ენა, ლიტერატურა, რელიგია, ფილოსოფია და სხვა. აბუ-ლ-'ალა ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას, არ სვამდა ღვინოს და ასრულებდა ყველა რელიგიურ რიტუალს. ამავე დროს, იგი სასტიკად ილაშქრებდა რელიგიური ფანატიზმისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, დანაშაულად მიიჩნევდა ყოველგვარ ძალადობას და ადამიანის უმადლეს ღირსებად საზოგადოებისთვის სამსახურს მიიჩნევდა. აბუ-ლ-'ალას შრომების დიდი ნაწილი დაიკარგა, მაგრამ ისიც, რაც გადარჩა, საკმარისია იმისათვის, რომ სირიელ მეცნიერს დიდ არაბ მოაზროვნეთა შორის საპატიო ადგილი მიეკუთვნოს.

'აბასიანთა პერიოდში პოეზიის გვერდით არაბული პროზაც განვითარდა. სპარსული გავლენა, როგორც ჩანს, აქაც იჩენდა თავს, რაზედაც მიგვანიშნებს, პირველ რიგში, იბნ ალ-მუკაფას შემოქმედება.

იბნ ალ-მუკაფა(720-756) წარმოშობით სპარსელი იყო და 'აბასიანთა კარზე მდივნის თანამდებობა ეკავა, თუმცა თავისი საკანცელარიო სამსახური მან უკვე უმაიანთა დროს დაიწყო. წყაროები მას ახასიათებენ, როგორც განათლებულ პიროვნებას, რომელიც ცდილობდა ისლამური საზოგადოებისთვის გაეცნო სპარსული დიდაქტიკური და მხატვრული ლიტერატურა. მისი შუ'უბია

პირდაპირ არ იყო მიმართული არაბთა წინააღმდეგ, ხოლო არაბული ენის კარგ ცოდნას ის იყენებდა არა პოლემიკისთვის, არამედ სპარსული კულტურული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა არაბულ ენაზე დიდაქტიკურ-ბელეტრისტული ჟანრის განვითარებაში, რაც თავისთავად მუსლიმი ინტელიგენტის – ადიბის აღზრდას ემსახურებოდა.

არაბული ლიტერატურის ისტორიაში იბნ ალ-მუკაფა შევიდა, როგორც სპარსულ ენაზე არსებული მდიდარი მემკვიდრეობის მთარგმნელი. მას საშუალო სპარსულიდან (ფალაურიდან) უთარგმნია დიდაქტიკური თხზულება, რომელიც არაბულ ენაზე ცნობილია, როგორც „ქალნლა ვა დიმნა“ (ქართ. „ქილილა და დამანა“). ეს თხზულება ისლამამდელ ირანში შემოვიდა ინდოეთიდან, ხოლო არაბული თარგმანის საშუალებით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, შემდეგ კი უკან, სპარსულ ენაზე ითარგმნა არაბულიდან. სპარსულიდან გადმოღებული „ქილილა და დამანა“ მისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისთვისაც.

იბნ ალ-მუკაფას მიეწერება სხვა პროზაული თხზულებებიც, მაგალითად, „ხოდაი ნამეს“ თარგმნა, აგრეთვე ორიგინალური ტრაქტატების შექმნა. დამრიგებლობითი ხასიათის, მორალისა და ეთიკური ნორმების საკითხებს მოიცავს მისი „ქითაბ ალ-ადაბ ალ-ქაბირ“ და „ქითაბ ალ-ადაბ ას-სალბრ“. ორივე ნაშრომში აისახა ძველი სპარსული, ინდური და ბერძნული ცივილიზაციების გავლენა. სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისა და მართვის საკითხებს მიეძღვნა „რისნლათ ას-საჰაბა“ („მიმდევართა ეპისტოლე“), რომელიც ხალიფა ალ-მანსურისთვის იყო განკუთვნილი. ამ ტრაქტატში ავტორი ყურადღებას ამახვილებს სახალიფოში ჯარის, განსაკუთრებით ხორასნის რაზმების როლზე, სასამართლოსა და გადასახადების საკითხებზე, ურჩევს ხალიფას მეტი ყურადღება დაუთმოს ხელისუფლების სრულყოფას და სამართლიანობის პრინციპის დაცვას. მას მიაჩნდა, რომ სახალიფოს მართვა-გამგებლობის სისტემა უნდა განვითარებულიყო სპარსეთის სახელმწიფოებრივი ტრადიციისა და გამოცდილების გათვალისწინებით და არა არაბულ-ისლამური პრინციპების საფუძველზე. მეტისმეტი გატაცება წინაისლამური სპარსული კულტურით და გამოკვეთილი სპარსოფილობა მიუღებელი აღმოჩნდა ხალიფა ალ-მანსურისთვის, რომლის ბრძანებით იბნ ალ-მუკაფა სიკვდილით დასაჯეს.

არაბული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბასრელ მუ‘თაზილიტს **ალ-ჯაჰიზს (აბუ ‘უსმან ‘ამრ იბნ ბაჰრ ალ-ჰუკაიმნ ალ-ბასრნ, 776-868)**, რომელიც ცხოვრობდა ბაღდადში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხალიფების ალ-მუ‘თასიმის და ალ-ვასიკის ვეზირთან იბნ ზაიათთან. ალ-ჯაჰიზი ენციკლოპედისტი იყო და ლიტერატურის გარდა კარგად ერკვეოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მისი დაახლოებით 200-დე ნაშრომიდან ჩვენამდე მოაღწია 30-მა, დანარჩენი კი ცნობილია მხოლოდ ნაწყვეტების საშუალებით. ალ-ჯაჰიზის თხზულება „წიგნი ძუნწების შესახებ“ მხატვრული პროზის სახით გამოხატული სატირის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და პოპულარული გახდა მთელ არაბულენოვან სამყაროში. ალ-ჯაჰიზის იდეოლოგიური ორიენტაცია შეიძლება შეფასდეს როგორც პროარაბული, რაც აშკარად უპირისპირდებოდა ფართოდ გავრცელებულ სპარსულ მუ‘უბიას.

შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია „სიმღერათა წიგნი“ („ქითაბ ალ-აღან“) , რომლის ავტორია **აბუ-ლ-ქარაჯ ალ-ისფაჰანი (ან ალ-ისბაჰანი, 897-967)**, უმაიანთა გვარის შთამომავალი. როგორ მოხდა მისი ოჯახი ისფაჰანში გაურკვეველია, მაგრამ ცნობილია, რომ შიიტური ორიენტაციის მეცნიერი, რომლის მოღვაწეობა ბაღდადში გაიშალა, არც ‘აბასიანთა და, მით უმეტეს, ბუჰაიჰიანთა მხრიდან დევნას არ განიცდიდა. ბრწყინვალე განათლებისა და ნიჭის წყალობით ის გახდა ადიბი და წარმატებით ასრულებდა ნადნის ფუნქციას სასახლეში.

აბუ-ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანის კალამს, როგორც ფიქრობენ, ეკუთვნოდა რამდენიმე ათეული ნაშრომი, მაგრამ დიდება და სახელი მას მოუტანა „სიმღერათა წიგნი“, რომელიც კლასიკური არაბული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა. ეს თხზულება შეიძლება შეფასდეს, როგორც არაბული ლიტერატურის ანთოლოგია, რომელშიც ავტორმა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად გააერთიანა მრავალმხრივი მასალა არაბულ-ისლამური საზოგადოების კულტურული ცხოვრების შესახებ. „სიმღერათა წიგნის“ პოპულარობაზე მიუთითებს წყაროებში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ, თითქოს, თხზულების შესაძენად ათასი დინარი გადაიხადა ჰაღების ჰამდანიანთა გამგებელმა საიფ ად-დავლამ და, მეორე შემთხვევაში, კორდოვას უმაიანთა ხალიფამ ჰაქამ II-მ. შუა საუკუნეების დიდი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი **იბნ ხალდუნი** თვლიდა, რომ ეს იყო დივანი, რომელიც აერთიანებდა არაბთა მიღწევებს პოეზიაში, ისტორიაში და მეცნიერების სხვა დარგებში. მეცნიერი წერდა, „რამდენადაც მე ვიცი, არ არსებობს წიგნი, რომელიც მისი ტოლფასი იქნება“-ო. ალ-ისფაჰანის ნაშრომი, რომელიც კაიროში ორჯერ გამოიცა (1868 წ. 20 ტ. და 1905-6 წწ. 21 ტ.) დღესაც მკვლევართა და არაბული ლიტერატურის მოყვარულთა შეუწვევებელ ინტერესს იწვევს. ამის დამადასტურებელია რუსულ ენაზე შესრულებული და 1980 წელს გამოცემული „ქითაბ ალ-აღან“-ს შემოკლებული თარგმანი საინტერესო წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (**ა.ბ.ხალიდოვი, ბ.ი.შიდფარი**).

X-XI საუკუნეებში არაბულ ლიტერატურაში გაჩნდა მცირე მოთხრობები ანუ მაკამები, რომელთა პერსონაჟები, შექმნილი ავტორის მიერ, ეკუთვნოდნენ დაბალ სოციალურ ფენებს. მაკამას მთავარი მოქმედი პირი გამოირჩევა საზრიანობით, გონებამახვილობით და გაიძვერობით, რასაც ამუღანებს სხვადასხვა სიტუაციაში. ყოველივე ეს ავტორის მიერ მაღალი ოსტატობით და საინტერესოდაა გადმოცემული. ამ ჟანრის ფუძემდებლად ითვლება სპარსული წარმოშობის არაბი ლიტერატორი **ბადრ აზ-ზამან ალ-ჰამადანი (ჰამაზანი, 969-1008)**, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია ბასრელი **აბუ მუჰამად ალ-კასიმ იბნ ალ-აღარ (1054-1122)**, რომელსაც რამდენიმე ათეული მაღალი მხატვრული ღირსების მაკამა მიეწერება.

‘აბასიანთა პერიოდში (IX-X სს.) შეიქმნა ცნობილი „ათას ერთი ღამის“ ძირითადი ნაწილი, მაგრამ არაბული ზღაპრების, ნოველებისა და იგავ-არაკების ამ ვრცელი კრებულის შექმნა XV საუკუნემდე გაგრძელდა. „ათას ერთი ღამე“, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ზღაპრები მოხეტიალე მოგზაურებისა და მეზღვაურების (მაგ., სინდბადის) შესახებ, შესაძლებელია ბასრასთან იყოს დაკავშირებული. დღეისთვის დამტკიცებულად ითვლება, რომ

ამ პროზაულმა ძეგლმა სულ ცოტა სპარსული, ინდური და ბერძნული გავლენა განიცადა. „ათას ერთი ღამე“ თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზეც (**თ. მარგველაშვილი, ნ.ფურცელაძე, გ.წერეთლის** რედაქციითა და წინასიტყვაობით, 8 ტ.). არაბული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ასევე თარგმნილია და გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების მიერ („არმაღანი“, 1965, 1977, 1982, 1988 წწ.)

3. ბაღდადი – შყა საყკუნეების ისლამური კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

‘აბასიანთა პერიოდში არაბებმა წარმატებები მოიპოვეს სამშენებლო საქმეშიც. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო საკულტო დანიშნულობის შენობების, კერძოდ მონუმენტური მეჩეთების მშენებლობამ. X საუკუნის ბაღდადში იყო ათასობით სამლოცველო, მაგრამ კათედრალური მეჩეთის ფუნქციას სულ 4-5 მეჩეთი ასრულებდა. 993 წელს მათ შეემატა მეექვსე დიდი საკრებულო მეჩეთი ჰარბიას რაიონში. იბნ ჯუბაირი (XII-XIII სს.) აქ 11-დე კათედრალურ მეჩეთს ითვლიდა, თუმცა ამ დროს, მოგზაურის ცნობით, ბაღდადს აღარაფერი დარჩა ძველი დიდებიდან გარდა სახელისა. ასეთივე ტემპით იზრდებოდა მეჩეთების რაოდენობა ძველ ფუსტატში: თუ ადრე აქ იყო ‘ამრისა და იბნ ტულუნის ორი მთავარი მეჩეთი, X საუკუნეში აღ-მუკადდასი ქალაქში ექვს დიდ საკრებულო მეჩეთს ასახელებს, მაგრამ ისინიც ვერ იტევდნენ მლოცველებს. საკულტო ნაგებობათა რიცხვი გაიზარდა სახალიფოს ყველა პროვინციასა და ქალაქში. გარკვეული ევოლუცია განიცადა მეჩეთის არქიტექტურამ: უკვე უმაიანთა დროს მისთვის დამახასიათებელი გახდა გუმბათი და მინარეთი, მაგრამ თუ ადრინდელ ძეგლებს ეტყობოდათ ბიზანტიური გავლენა, IX-X საუკუნეებში არქიტექტურა უფრო ირანული ორიენტაციისკენ ისრებოდა.

უკვე ‘აბასიანთა პირველი ხალიფების დროს ფართოდ გაიშალა ხალიფებისა და ბარმაქიანთა ვეზირების სასახლეების მშენებლობა. ხალიფას სასახლე ფუფუნებისა და ბრწყინვალეების განსახიერება იყო. მას ახლდა დეკორატიული მცენარეებით, სურნელოვანი ყვავილებით და აუზებით დამშვენებული ბაღები. წყაროებში შემორჩენილია ხალიფა აღ-მუკთადირის (908-932) დროინდელი ბაღდადის სასახლის აღწერა. მისი მშვენება ყოფილა დარბაზი (დარ აშ-შაჯარათ) დიდი აუზით, რომლის შუაგულში იდგა ვერცხლისა და ოქროსგან დამზადებული ხე.

აღსანიშნავია, რომ ‘აბასიანთა დროს გაჩნდა ტენდენცია სამეფო რეზიდენციის შენებისა სატახტო ქალაქის გარეთ, რაც არ იყო ტიპური ისლამური ქალაქისათვის. სამწუხაროდ, ამ სასახლეებისა და მეჩეთების დიდი ნაწილი იმდენად განადგურდა, რომ ზოგჯერ მათი ადგილმდებარეობის დადგენაც კი ძნელდება. მხოლოდ სასწაულით გადარჩენილი ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ხალიფა აღ-მუთავაჰქილის (847-861) გრანდიოზული მეჩეთის მინარეთი სამარაში („აღ-მალვიდა“) და ბაღდადის მედრესე „აღ-მუსთანსირიდას“ ნაწილი გვაძლევს მცირე წარმოდგენას იმ გრანდიოზულ

მშენებლობაზე, რომელიც კლასიკურ ეპოქაში გაიშალა სახალიფოში და რომლის შესახებაც ნარატიული წყაროების საშუალებით ვიგებთ. მართალია, ამ პერიოდის ზოგიერთი ძეგლი გადარჩა სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში, მაგრამ მათი აგება დაკავშირებულია ცალკეული ნახევრად დამოუკიდებელი დინასტიების აღზევებასთან. რა თქმა უნდა ისინი ატარებენ საერთო ისლამური არქიტექტურის ნიშნებს, მაგრამ ემჩნევათ ადგილობრივი ტრადიციების გავლენაც. ამ თვალსაზრისით, შეიძლება სახალიფოს ვრცელი ტერიტორია რამდენიმე ნაწილად დაიყოს: სირიულ-ეგვიპტური (ბერძნულ-რომაული ტრადიციით), ერაყულ-სპარსული, მადრიბულ-ესპანური და, ბოლოს, უკიდურესი აღმოსავლეთის რეგიონი ინდური გავლენით. თითოეული მათგანი ხასიათდება თავისებურებით, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია მათი ადგილის განსაზღვრისას არაბულ-ისლამურ სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაში.

ისლამური ცივილიზაციისა და საქალაქო ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი იყო აბანო (ჰამამი), რომელიც ემყარებოდა რელიგიურ ფორმულას – „სისუფთავე სარწმუნოების ნაწილია“. აბასიანთა დროს აბანო დასვენების, გართობის და ფუფუნების სგანი გახდა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. არაბი ავტორები მარტო ბაღდადში ათასობით კეთილმოწყობილი აბანოს არსებობას აღნიშნავენ. როგორც გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ცნობები აბანოების სიმრავლის შესახებ ფაქტია, რომ მან მუსლიმთა ცხოვრებაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

აბასიანთა პერიოდის ისლამური ქალაქი, განსაკუთრებით ბაღდადი და ხალიფას სასახლე წარმოადგენდა კულტურის ცენტრს, სადაც დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ და აფასებდნენ მუსიკალურ ხელოვნებას. არაბული კლასიკური მუსიკის პატრიარქად ითვლება აბუ ისჰაკ იბრაჰიმ ალ-მავსილი (742-804), წარმოშობით სპარსელი, რომელიც ჰარუნ არ-რაშიდის ბრწყინვალე სასახლეში მოღვაწეობდა. მისი მოწაფე იყო ყოფილი მონა – მუნარიკი (აბულ-მუჰანნა მუნარიკი იბნ დაჰინ იბნ ნაფუს, გარდ. 844/845 წ. სამარაში). მომდერალი, რომელიც განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული, იბრაჰიმ ალ-მავსილიმ წარუდგინა ბარმაქიანებს. თავის მხრივ, ფადლ ბარმაქიმ იგი გადასცა ჰარუნ არ-რაშიდს, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა ახალგაზრდა მუნარიკის ხმით. ხალიფამ გაათავისუფლა იგი და სასახლის მომდერლად დატოვა. პროფესიონალ მუსიკოსად ჩამოყალიბდა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის ძმა იბრაჰიმ იბნ ალ-მავდინ (779-839). მან საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას საშემსრულებლო ხელოვნებაში (ალ-დინა ალ-ჯადიდ), რომელიც განსხვავდებოდა იბრაჰიმ ალ-მავსილის მიერ დამკვიდრებული ტრადიციისგან (ატ-ტარნკა ალ-კადრმა). კიდევ უფრო მეტი პოპულარობით აღმაშენისა და ალ-მუთავაქქილის სასახლეში სარგებლობდა ისჰაკ იბნ იბრაჰიმ ალ-მავსილი, 767-850), რომელმაც განაგრძო თავისი მამის იბრაჰიმის ტრადიცია და შესამჩნევი წვლილი შეიტანა კლასიკური არაბული მუსიკის შექმნაში. ისჰაკ ალ-მავსილის საშემსრულებლო ხელოვნება იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ მსმენელს ექმნებოდა შთაბეჭდილება მისი ზებუნებრივი წარმომავლობის შესახებ, ხოლო თავად მუსიკოსი აღიარებულ იქნა ყველაზე დიდ ხელოვნად, რომელიც ოდესმე ჰყოლია ისლამურ სამყაროს. ამასთან ერთად, ისჰაკ ალ-მავსილი ცნობილი იყო, როგორც უგანათლებულესი პიროვნება.

ხალიფა ალ-მა'მუნმა მას უფლება მისცა ეტარებინა ფაკიჰის სამოსი და გაათანაბრა 'ალიმებთან.

ისპაჰ ალ-მავსილის მოწაფეებს შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი ყოფილი მავლას შთამომავალმა აბუ-ლ-დასან 'ალნ იბნ ნაფი'-მა (დაახლ. 790-852), რომელიც ცნობილი გახდა სახელით ზირდბ (შავი ფრინველი). მასწავლებელმა ხელი შეუწყო მის დამკვიდრებას სასახლეში, მაგრამ მეტოქეებთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბაღდადი და მადრიბში გადასახლებულიყო, სადაც კაირავანში, ადლაბიანთა გამგებლის ზიადთ ალლაჰის (817-838) სამსახურში შევიდა. 822 წელს ის გადავიდა ესპანეთში და გახდა უმაიანთა ამირა 'აბდ არ-რაჰმან II-ის (822-852) ნადმი. გარდა მუსიკისა და პოეზიისა, იგი კარგად ერკვეოდა ისტორიაში, გეოგრაფიასა და ასტრონომიაში. ისლამურ ესპანეთში მას იცნობდნენ არა მარტო როგორც დიდ მუსიკოსს, არამედ ჩაცმა-დახურვისა და სუფრის ეტიკეტის საუკეთესო მცოდნესა და კანონმდებელს.

საშემსრულებლო ხელოვნების გვერდით განვითარდა მუსიკის თეორიაც. ტერმინი „მუსნაჰა“ შემოვიდა ბერძნულიდან და ამ დარგში შექმნილ ტრაქტატებში დამკვიდრდა, ხოლო სიტყვა „ლინა“ გამოიყენებოდა, როგორც სიმღერის, ასევე მუსიკის მნიშვნელობით. მუსიკალური ინსტრუმენტების სახელებიც ძირითადად ბერძნული წარმომავლობისაა (მაგ., კითარ, ურდუნ და სხვა). მუსიკის შესახებ წერდნენ გამოჩენილი მეცნიერები ალ-ქინდი, ალ-ფარაბი და არ-რაზი.

მუსიკალურ გემოვნებასთან ერთად 'აბასიანთა სასახლეში ყალიბდებოდა სუფრის ეტიკეტი და კულინარიასთან დაკავშირებული ნორმები. სამზარეულო საქმეზე იწერებოდა წიგნები („ქუთუბ ალ-მატნაბის“), რომელთა რეკომენდაციებს იცნობდნენ და შეძლებისდაგვარად იცავდნენ საზოგადოების ზედა ფენები არა მარტო ბაღდადში, არამედ ისლამური სამყაროს შორეულ რეგიონებშიც, მაგალითად, ესპანეთში. ხალიფას და შეძლებულ ბაღდადეგებს ჰყავდათ თავისი მზარეული (ტაბბახ) და სპეციალური მსახური (შარაბბ), რომელსაც ევალებოდა ღვინის, ხილის, სასმისებისა და სანელებლების შექმნა პატრონისთვის. ისლამის უარყოფითი დამოკიდებულება ღვინისადმი კარგადაა ცნობილი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ 'აბასიანთა დროს ბაღდადი „ღვინისა და სიმღერების“ ქალაქი გახდა. ხალიფა ალ-კაჰირმა (932-934) აკრძალა ღვინის სმა, მაგრამ თავად „ფხიზელი არავის უნახავს“. მისმა მემკვიდრემ არ-რადიმ (934-940) ღვინოსთან დაკავშირებული „ცოდვის მოსანანიებლად“ დიდი საქველმოქმედო თანხა გაიღო, თავად კი ღვინის სმას ისევ განაგრძობდა. სამეფო კარის ბევრი ნადმი, ვეზირი და მაღალი მოხელე ასევე ბაძავდა ხალიფებს ამ „ცოდვაში“. ცნობილი აბუ ნუვასი თვლიდა, რომ ღვინით დროსტარებისთვის უფრო ოპტიმალურად ითვლებოდა თანამეინახეთა 4-5 კაცისგან შემდგარი ჯგუფი. როგორც წესი, სასახლეშიც და მის გარეთაც შეძლებული ბაღდადეგების თავშეყრას, ღვინის სმას და გართობას მომხიბვლელობას აძლევდნენ მოცეკვავე და მომღერალი ქალები. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ღვინით გატაცება ხელს უშლიდა ნარკოტიკული საშუალებების, კერძოდ ჰაშიშის გავრცელებას. ჰაშიშის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებდნენ შაფი'იტები, მაშინ როცა ჰანაფიტები ამ შემთხვევაში მეტ შემრიგებლობას იჩენდნენ. ის ფაქტი, რომ ცალკეული სექტები ზოგჯერ

იყენებდნენ ჰაშიმს, სრულიადაც არ მიგვანიშნებს მის ფართო გავრცელებაზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში ეს სათანადოდ აისახებოდა წყაროებში.

მართალია, შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროში ვერ განვითარდა ხელოვნების ისეთი დარგი, როგორცაა თეატრი, რომლითაც ცნობილია ანტიკური ეპოქა, მაგრამ სანახაობისადმი ინტერესი არაბებისთვის, ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც სხვა ხალხებისათვის, თუ უფრო მეტად არა. ამ მხრივაც ბაღდადი და ხალიფას კარი მაგალითს აძლევდა მთელ იმპერიას.

სახალიფოს დედაქალაქში და მის გარეთაც ხშირად იმართებოდა სპორტული შეჯიბრება, რომელიც მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო სპარსულ ტრადიციასთან დაკავშირებული ცხენბურთი (პოლო) და დოდი. აღ-მას'უდი გადმოგვცემს, რომ არ-რაკაში ჩატარდა დიდი დოდი, რომელსაც ჰარუნ არ-რაშიდიც ესწრებოდა. როცა გამარჯვებული მისი ბედაური აღმოჩნდა, ხალიფამ ვერ დამალა თავისი აღტაცება და კმაყოფილება. შეჯიბრება იმართებოდა სპორტის სხვა სახეობაშიც (შუბისა და ისრის ტყორცნა, ცურვა, ფარიკაობა და სხვა). წყაროებში ნახსენებია ბურთით თამაში, რომელიც მიმდინარეობდა ხის ბრტყელი ჩოგნის (ტაბტაბა) საშუალებით. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია, ეს იყო დღევანდელი ჩოგბურთის წინაპარი.

გართობის ინტელექტუალურ საშუალებად შუა საუკუნეების ბაღდადში იქცა ჭადრაკი (შატრანჯ), რომლის სამშობლოდ ითვლება ინდოეთი. ჯერ კიდევ ისლამამდე ეს თამაში გავრცელდა სპარსეთში, შემდეგ ახლო აღმოსავლეთში და, ბოლოს, ევროპაშიც. სპარსულ გავლენაზე მიგვითითებს ჭადრაკში დამკვიდრებული მრავალი ტერმინი (მაგ., შაჰ მატ). 'აბასიანთა დროს, განსაკუთრებით ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის გამგებლობისას, ჭადრაკმა ფეხი მოიკიდა მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის. ცნობილი მოჭადრაკე იყო 'აბასიანთა სასახლის მოხელე და ლიტერატორი **აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ აჰმდ ას-სულღი (გარდ. 947 წ.)**. არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა ნარდი, რომელიც სპარსული წარმომავლობისაა. არაბები მას უკვე VII საუკუნეში იცნობდნენ, მაგრამ ერთხანს იგი აზარტულ თამაშად და, აქედან გამომდინარე, მუსლიმისთვის მიუღებლად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ნარდი მოსახლეობაში ფართოდ გავრცელდა, ბოლოს კი დასაშვებად იქნა მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ თამაში არ უკავშირდებოდა ფულს (კიმნრ).⁴⁸

'აბასიანთა პერიოდის განათლების, მეცნიერების და კულტურული ცხოვრების მოკლე მიმოხილვაც კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არაბულ-ისლამური ცივილიზაცია, რომელმაც თავის აყვავებას VIII-XII საუკუნეებში მიაღწია, საერთო იყო მთელი ისლამური სამყაროსათვის. არაბებმა აითვისეს და ისლამის ჩარჩოებში მოაქციეს ანტიკური სამყაროს და აღმოსავლეთის მთელი კულტურული მემკვიდრეობა. სწორედ მათ მიერ თარგმნილი და შემოქმედებითი ძიების პროცესში შექმნილი თხზულებების საშუალებით ევროპამ გაიცნო ხმელთაშუა ზღვის აუზისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ რეგიონებში დაგროვილი ცოდნა მედიცინაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში, ასტრონომიასა და სხვა დარგებში. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ არაბთა მიღწევებმა ნიადაგი მოუმზადა ევროპის კულტურულ აღორძინებას.

განსაკუთრებულ როლს არაბულ-ისლამური ცივილიზაციის შექმნაში ასრულებდა პოლიტიკური და კულტურული სამკუთხედი : სირია – ერაყი – ეგვიპტე. მაგრამ იმპერიის სხვა პროვინციები (ცენტრალური აზია, ირანი, მადრიბი, ესპანეთი) არაბული ენისა და ისლამის წყალობით ინტეგრირებული აღმოჩნდა ერთიან კულტურულ პროცესში, რომელიც 'აბასიანთა სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ცალკეულ არაბულ ან არაარაბულ ქვეყნებში არსებული ზოგიერთი თავისებურებანი და კულტურის სპეციფიკური ნიშნები (მაგალითად, არქიტექტურაში) არამცთუ არ ამცირებდა არაბულ-ისლამური ცივილიზაციის ღირსებას, არამედ ამდიდრებდა და უფრო საინტერესოს ხდილიდა

თავი VIII

ისლამი, შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის იდეოლოგია

1. ისლამის საფუძველი – ყურანი და სუჰრა, შარი'ათი

‘აბასიანთა დროს ისლამი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო მესამე მონოთეისტური რელიგია და არაბთა მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერიის იდეოლოგია. ქრისტიანული სამყარო მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდა ამ რელიგიას. პირველი ცნობილი ქრისტიანი მოღვაწე, რომელმაც სცადა ისლამის შეფასება იყო სირიელი **იოანე დამასკელი (დაახლ. 675-753)**, რომელიც ფლობდა არაბულ ენას და ყურანსაც კითხულობდა. თეოლოგიური პოლემიკის გზით ის ცდილობდა ისლამური დოგმატიკის კრიტიკას, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალ რელიგიაში ვერ ხედავდა ქრისტიანობისათვის განსაკუთრებით საშიშ პოლიტიკურ ძალას. ამ დროს სირიელი ქრისტიანები ისლამს ერეტიკულ მოძრაობად, ხოლო მუჰამედს ცრუ მოციქულად მიიჩნევენ. ასეთივე თვალსაზრისი ისლამზე გაერცვლდა ბიზანტიაშიც, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპაშიც. მიუხედავად ორ რელიგიას შორის არსებული დაპირისპირებისა, ისლამის უკეთ გაცნობის მოთხოვნილება განათლებულ ევროპელთა შორის ყოველთვის არსებობდა. უკვე XII საუკუნეში ესპანეთში გაჩნდა ყურანის ლათინური თარგმანი. 1649 წელს საფრანგეთის კონსულმა ალექსანდრიაში **ა. დიუ რიემ** იგი ფრანგულ ენაზე თარგმნა, ხოლო 1734 წელს მუსლიმთა საღვთო წიგნის გაცნობა ინგლისურ ენაზეც გახდა შესაძლებელი. მართალია, მუსლიმურ ესპანეთთან ურთიერთობით და ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგად, ევროპელების ცოდნა ისლამური სამყაროს შესახებ გაფართოვდა, მაგრამ მას მაინც დიდხანს შემორჩა რელიგიური ანტაგონიზმის კვალი და ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. ევროპული ორიენტალისტიკა თანდათან გაცდა კოლონიალიზმის ეპოქასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მოთხოვნებს და მეცნიერების დარგად იქცა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მას გამოეყო ისლამოლოგია, რაც ისლამის კვლევის გაძლიერებით იყო განპირობებული. ისლამოლოგი მეცნიერების მიერ შექმნილი ფუნდამენტური ხასიათის შრომები, აგრეთვე თანამედროვე მკვლევართა გამოკვლევები საშუალებას გვაძლევენ მკაფიო წარმოდგენა მივიღოთ მესამე მსოფლიო რელიგიის – ისლამის შესახებ.

ისლამის (ისლამ – ღვთისადმი მინდობა, მორჩილება) წარმოშობა უკავშირდება დიდ ისტორიულ შემობრუნებას არაბთა საზოგადოებრივ განვითარებაში. ადრინდელი ისლამი პასუხობდა მომთაბარე და წვრილი ვაჭრების ინტერესებს, მაგრამ გვიან იგი ფეოდალური საზოგადოების იარაღი გახდა. ‘აბასიანთა დროს, ე.ი. IX-XI საუკუნეებში ისლამი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავდა მუსლიმთა⁴⁹ ცნობიერებას,

მათ ეთიკურ ნორმებს, ცხოვრების წესს და ურთიერთობას გარე სამყაროსთან. დღეისათვის სადაო აღარაა, რომ ისლამი წარმოიშვა ისლამამდელი არაბების წარმართული ტრადიციის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის ელემენტების სინთეზის საფუძველზე. ამის დამადასტურებელია პირველი მუსლიმური ნარატიული ძეგლი – ყურანი, რომელიც სუნნასთან ერთად ისლამის ძირითად პრინციპებს შეიცავს.

ყურანი (სიტყვისგან „კარა“ – კითხვა) ან როგორც მორწმუნეები ამბობენ „წმინდა ყურანი“ („კურან ალ-ქარიმ“, ზოგჯერ „ალ-ქითაბ“ – საკითხავი წიგნი) შედგება მუჰამედის მიერ წარმოთქმული და მისი სიკვდილის შემდეგ ერთ წიგნად გაერთიანებული ქადაგებებისაგან. მორწმუნეთა აზრით ეს ქადაგებანი წარმოადგენენ „ალლაჰის სიტყვასა და აზრს“, რომელიც წარმოგზავნილია მთავარანგელოზ ჯაბრაილის საშუალებით და წარმოთქმული მოციქულის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე. ყურანი, ანუ „მუსლიმების ბიბლია“ იყოფა 114 თავად ან სურად (სურა, მრ. სუვარ), რომელთაც ასევე ყოფენ ცალკეულ ნაწილებად – აიებად (აია, მრ. აიათ). სურები დალაგებულია სიდიდის მიხედვით: იწყება დიდით და მთავრდება პატარა სურებით. გამონაკლისია მხოლოდ პირველი სურა (ქაითაბა), რომელსაც მორწმუნეები მთლიანად წარმოთქვამენ ლოცვის დროს. ყველა სურა იწყება ფორმულით: „სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა მწყალობელისა“ (ბასმალა), რომელიც არაბული წერითი ეტიკეტის უცვლელი ატრიბუტი გახდა. არც ყურანი და არც რომელიმე სურა არაა აგებული ერთ კონკრეტულ თემაზე ან სიუჟეტზე, რელიგიური და ეთიკური ხასიათის დებულებები გადახლართულია ბიბლიურ სიუჟეტებთან და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებსაც შეიცავს.

უკვე შუა საუკუნეების არაბმა თეოლოგებმა მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ შინაარსითა და ფორმით შეიძლებოდა სურების დაყოფა მექისა და მედინის სურებად, მაგრამ ასეთი მეთოდი აბსოლუტურ შედეგს არ იძლევა. ტექსტის სტრუქტურა და არაბული ენის ორთოგრაფია ართულებდა მორწმუნეთა დიდი მასისთვის, განსაკუთრებით არაარაბებისთვის ყურანის კითხვას და გაგებას, ქმნიდა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რამაც განაპირობა მისი „განმარტებების“ („თაფსირ“) შექმნა. ამასთან ერთად, საჭირო გახდა ყურანის ტექსტის გახმოვანება და დიაკრიტიკული ნიშნების შეტანა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ყურანის კითხვის სხვადასხვა წესი და შეიქმნა მასთან დაკავშირებული დარგიც – ‘ილმ ალ-კირა’ა. ამ დარგში დახელოვნებული მუსლიმები (კარან, მრ. კურან) დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

მუსლიმთა საღვთო წიგნი დაწერილია გარითმული პროზით (საჯ’) და მისი ენა სამაგალითოდ ითვლება ყველა მუსლიმისათვის. ვინაიდან ყურანის კითხვით იწყებოდა ყველა მუსლიმის განათლება, ხოლო რელიგიური დანიშნულებისთვის „ალლაჰის წიგნის“ თარგმნა არ შეიძლებოდა; მისი გავრცელება ხელს უწყობდა არაბული ენის გავრცელებასაც. ყურანის გადაწერა ან ზეპირად ცოდნა საღვთო საქმედ იყო მიჩნეული. რაც შეეხება არამუსლიმთა, კერძოდ ევროპელთა ინტერესს ყურანისადმი, იგი განსაზღვრული იყო პრაქტიკული და სამეცნიერო მიზნებით. აქედან გამომდინარე, იგი ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე სათანადო განმარტებებით და შენიშვნებით.

თანამედროვე ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის მუსლიმთა წმინდა წიგნი მისაწვდომი გახდა არაბულიდან შესრულებული თარგმანების საშუალებით (იხ. ლიტერატურა).

VII საუკუნეში ყურანის შექმნა არა მარტო რელიგიური, არამედ სახელმწიფოებრივი და პრაქტიკული აუცილებლობით იყო განპირობებული. არაბთა დიდი დაპყრობების შემდეგ ისლამი გავრცელდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, რამაც გაართულა ახლად წარმოქმნილი მუსლიმური თემის (უმმას) მდგომარეობა: დამპყრობთა წინაშე დადგა მრავალი საკითხი დაკავშირებული რელიგიურ, ყოფით, სამართლებრივ პრობლემებთან, არამუსლიმებთან ურთიერთობის და სხვა. ყველა ამ საკითხების გადაჭრა უნდა მომხდარიყო ყურანზე დაყრდნობით, მაგრამ მალე გაირკვა, რომ „წმინდა წიგნი“ არ იძლეოდა დამჯერებელ პასუხს ყველა კითხვაზე. საჭირო გახდა სიცარიელის შევსება, ე.ი. ახალი კრებულის, ანუ ყურანის დამატების შექმნა, რომელიც ცნობილია სუნნას (ას-სუნნა) სახელწოდებით.

სუნნა (გზა, მაგალითი, ნიმუში) შედგება ჰადისებისგან (ჰადასა – მოყოლა, ამბის გადაცემა, აქედან: ჰადის, მრ. აჰადის). თავის მხრივ, ჰადისი იყოფა ორ ნაწილად: 1) ისნადი (ისნად), ე.ი. იმ პირთა ჩამოთვლა, რომელთაც მიეწერებათ ჰადისის გადმოცემა. როგორც წესი, ერთ-ერთი ამ გადმომცემთა შორის უნდა ყოფილიყო მუჰამედის თანამედროვე; 2) მათნი – საკუთრივ ტექსტი (ამბავი), რომელიც შეიცავს მოციქულთან დაკავშირებულ პრეცედენტს ან მის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს და დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტული ფაქტისადმი. თავდაპირველად ჰადისების გავრცელება ხდებოდა ზეპირი გადაცემით, მაგრამ IX ს. დამდეგს დაიწყო მათი ჩაწერა და კრებულებად გაერთიანება. ჰადისების გადმოცემას მიაწერენ აბუ ბაქრს, ‘უმარს, ‘უსმანს, ‘ალის, მუჰამედის ერთ-ერთ ძველ მიმდევარს აბუ ჰურაიდრას, მოციქულის სხვა ახლობლებსა და თანამებრძოლებს, რომელთაც სწიბებს უწოდებდნენ. ჰადისების ყველაზე ცნობილი კოდიფიკატორი იყო **ალ-ბუხარი (მუჰამმად იბნ ისმ’ინლ ალ-ბუხარ, 810-870)**. მისი კრებული „ალ-ჯამი“ ას-საჰიჰ“ შედგება 97 წიგნისგან, იყოფა 3450 თავად და დღემდე თეოლოგთა განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს. ასეთივე კრებულების ავტორები არიან: **მუსლიმ ან-ნიშაბურ (917-875)**, ბასრელი **აბუ დაუდი (აბუ და’უდ ას-სიჯისთანი, 817-889)**, **ათ-თირმიზი (აბუ ‘ინს მუჰამმად ათ-თირმიზი, 825-892)**, **იბნ მაჯა (აბუ ‘აბდ ალლჰ ალ-კაზინი იბნ მჯა, 824-887)** და **ან-ნასა’ი (აბუ ‘აბდ არ-რაჰმანი ან-ნასა’ი, 830-915)**. ჰადისების შეგროვებით იყო დაკავებული მოციქულის ქერივი ‘აიშა, რომელიც მუჰამედის პირველ მიმდევარ ქალთა ჯგუფს (საჰაბიდთ) ეკუთვნოდა. ჰადისების კოდიფიკატორებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მიერ მოპოვებული მასალა ყოველთვის სანდო ვერ იქნებოდა, რაც აუცილებელს ხდიდა ისნადების გადამოწმებას. საბოლოოდ სუნნას კრებულებში გაერთიანდა 30-40 ათასამდე ჰადისი, რომლებშიც ისლამის მიმდევრები ცდილობდნენ მიეღოთ პასუხი მათთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა საკითხზე, თუმცა წინააღმდეგობრივ დებულებებს აქაც ხვდებოდნენ. მაგალითად, ჰადისების ერთი ნაწილი შეიცავდა მუსლიმთა უმმას – მეთაურისადმი უსიტყვო მორჩილების მოთხოვნას, მაგრამ უსამართლობის შემთხვევაში ზოგიერთი დასაშვებად მიიჩნეოდა ბრძოლას მის წინააღმდეგ. მათ, ვინც თავის საქმიანობას ჰადისების შესწავლას და განმარტებას უკავშირებდა, მუჰად-

დისებს უწოდებდნენ. ამგვარად, ჩამოყალიბდა მთელი დარგი – ‘ილმ ალ-ჰადის, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისლამური საზოგადოების სამართლებრივი ნორმების, აკრძალულისა (ჰარამ) და დასაშვების (ჰალალ) განსაზღვრაში. ჰადისების ფორმამ გავლენა მოახდინა არაბულ საისტორიო ლიტერატურაზეც. **მუსლიმთა დიდი ნაწილი, რომელიც თავისი რელიგიური და საზოგადოებრივი პრინციპების ძირითად წყაროდ ყურანთან ერთად სუნნასაც მიიჩნევდა, სუნიტად (აჰლ ას-სუნნა) იწოდებოდა.** სუნიტური ანუ ორთოდოქსული ისლამის მიმდევრები ყოველთვის სახალიფოს მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ და გამოირჩეოდნენ მეტი რელიგიური ლიბერალიზმით, ვიდრე ორი სხვა მიმართულების – შიიტობისა და ხარიჯიტობის მიმდევრები.

ყურანსა და სუნნას ეყრდნობა შარი‘ათი (აშ-შარ‘ა; შარ‘ა – კანონი, შარა‘ა – წარმართვა, კანონის გამოცემა), რომელიც წარმოადგენს ისლამური კანონების მთელ სისტემას. შარი‘ათი განიხილავს რელიგიურ და სამოქალაქო პრობლემებს ისლამური მსოფლმხედველობის შესაბამისად. საუკუნეების მანძილზე იგი განსაზღვრავდა მუსლიმთა ცხოვრების ყველა სფეროს დაწვებულს სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობით, დამთავრებულს ყოფითი საკითხებით. ზოგჯერ შარი‘ათის ანალოგად მიიჩნევენ ფიკჰს, რაც მართებული არაა. **ფიკჰი ანუ მუსლიმური სამართალი შარი‘ათის შემადგენელი ნაწილია.** შარი‘ათის საფუძველია: ყურანი, სუნნა, კიასი (კიჰს – ანალოგია), იჯმ‘ (ცნობილ თეოლოგთა საერთო აზრი) და ‘ადათი (‘დათ). შიიტების შარი‘ათი პრინციპულად არ განსხვავდება სუნიტურისგან: თორმეტი იმამის მიერ გამოთქმული შეხედულებები კანონის ძალით სარგებლობს.

2. ისლამური დოგმატიკა, მუსლიმის ყფლება-მოვალეობანი, როცყალი

ყურანზე, ჰადისებზე და მუსლიმ თეოლოგთა ავტორიტეტზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ისლამური დოგმატიკა, განისაზღვრა მუსლიმის უფლება-მოვალეობანი და რიტუალის წესი.

მუსლიმის უპირველესი მოვალეობაა აღიაროს ან დაადასტუროს **(შაჰადა)**, რომ „არაა ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამედია მიციქული ღვთისა“ **(თაჰჰიდ).** ალლაჰის ატრიბუტები მუდმივია და უცვლელი, იგი თავად ქმნის და ცვლის ყოველივეს. მან ექვს დღეში შექმნა სამყარო, შემდეგ კი ადამიანიც. არაბთა წარმართული რელიგიიდან მუჰამედმა შემოიტანა ბოროტი და კეთილი სულების – ჯინების ცნება. ისლამი აღიარებს ანგელოზების მთელ ჯგუფს, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ: ჯაბრ‘ილი (ან ჯიბრ‘ილი, ებრ. გაბრიელი) – მუჰამედთან ალლაჰის წარგზავნილი, მიქაილი – სამყაროს მეთვალყურე, ისრაფილი – განკითხვის დღის მაუწყებელი, აზრაილი – სიკვდილის მაცნე, ბოროტების ანგელოზი – იბლისი (ან შაიტანი). ანგელოზებზე მაღლა დგანან მოციქულები, რომელთაც პერიოდულად აგზავნიდა ადამიანებთან ალლაჰი. მრავალ მოციქულთა შორის გამორჩეულნი არიან: ადამი, ნოე (ნუჰ), აბრაამი (იბრჰიმ), მოსე (მუსა), იესო (ისა). ბოლო და უკანასკნელი მოციქულია მუჰამედი. ახალი აღთქმის პერსონაჟებიდან იესოს

გარდა ისლამში გარკვეული ადგილი მიეკუთვნა ღვთისმშობელ მარიამს, რომელიც ყურანის მიხედვით გამორჩეულია „სამყაროს ყველა ქალისგან“.

ყურანზე დაყრდნობით მუსლიმი თეოლოგები ხატავენ სამოთხის (ჯანნა) და ჯოჯოხეთის (ჯაჰანნამ, ნარ – ცეცხლი) სურათებს. მორწმუნეები, რომელთაც თავისი ღრმა რელიგიურობით და ღვთისათვის სასურველი საქველმოქმედო საქმეებით გამოიჩინეს თავი, სამოთხეში მოხვდებიან ისევე, როგორც საღვთო ომში დაღუპული მეომრები. ისლამის პრინციპებისა და ყურანის უგულვებელყოფა შეიძლება გახდეს განკითხვის დღის მოახლოების ნიშანი. მანამდე კი შესაძლებელია ისლამის მესიის – მაჰდის (მაჰდ) მოსვლა მოციქულ მუჰამედის მიერ დამკვიდრებული მორალური პრინციპებისა და სამართლიანობის აღსადგენად. სუნიტური ისლამის თანახმად, სამყაროში ყველაფერი ღვთის უზენაესი სურვილის მიხედვით ხდება.

ერთდემერთიანობის აღიარების შემდეგ მუსლიმს მოეთხოვება გარკვეულ მოვალეობათა ('იბადათ) შესრულება:

1) **სალათ-ი (თურქ-სპარსული ნამაზი) ანუ ლოცვა**, რომელიც არაბულ ენაზე სრულდება დღეში ხუთჯერ: გათენებისას (სალათ ას-სუბჰ ან სალათ ალ-ფაჯრ), შუადღისას (სალათ აზ-ზუჰრ), დღის მეორე ნახევარში (სალათ ალ-ასრ), მზის ჩასვლისას (სალათ ალ-მადრიბ) და შეღამებისას (სალათ ალ-იშა'). ლოცვა, რომელსაც წინ უძღვის განბანვა (გულუ'), სრულდება სპეციალურ სალოცავ ფარდაზე (საჯნადა) იქ, სადაც დადგება მისთვის განკუთვნილი დრო. მორწმუნე ჯერ ფეხზე დგომით, შემდეგ მუხლებზე დაჩოქილი ასრულებს რამდენიმე მოძრაობას (რაქ'ათ, მრ. რაქ'ათ). სალათის დროს აუცილებელია ფორმულის „ალლაჰი დიდი“ („ალლჰუ აქბარ“) და ყურანის პირველი სურის – ფათიჰა წარმოთქმა. ლოცვის დროს მუსლიმი დგას სახით მექისკენ (კიბლა, ქართ. ყიბლა). თავდაპირველად ყიბლა იყო იერუსალიმი, მაგრამ ჰიჯრის მეორე წელს მეზობელ იუდეველ ტომებთან დაპირისპირების შემდეგ იგი მექამ შეცვალა. მეჩეთში ყიბლის მახვენებელია მიჰრბი, ხოლო მეჩეთს გარეთ იგი უნდა განისაზღვროს გამოცდილი და რიტუალში ჩახედული მორწმუნეების მიერ. შარი'ათი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა მუსლიმი ღრობით თავისუფლდება ლოცვისგან (სტიქიური უბედურება, ომი, ავადმყოფობა და სხვა). მოციქული განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სალათს და ამიტომ ის, ვინც მას შეგნებულად არიდებდა თავს, ურწმუნოდ (ქაფირ) ითვლებოდა. სალათის შესრულების წესი მოციქულ მუჰამედის მიერ იქნა დადგენილი და მილიონობით მუსლიმი მას დღესაც ასრულებს.

მუსლიმ თეოლოგებს მიაჩნდათ, რომ სალათის შესრულებისთვის საუკეთესო ადგილი იყო მეჩეთი, თუმცა კარგად ესმოდათ, რომ მორწმუნეთა დიდი ნაწილისთვის ეს შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ სალათის შესრულება მეჩეთს გარეთაც იქნა დაშვებული. უფრო კატეგორიული იყო მოთხოვნა კოლექტიური რიტუალის ჩატარებისა მეჩეთში პარასკევ დღეს (დავმ-ულ-ჯუმ'ა).

პირველი მეჩეთი (**მასჯიდ, მრ. მასჯიდ**) მუჰამედს აუშენებია მექიდან წასვლის შემდეგ სოფ. კუბაში იასრიბის მახლობლად, ხოლო შემდეგ, 623 წელს ასეთივე დანიშნულების ნაგებობა გაჩნდა მედინაში. არაბეთის ნახევარკუნძულის გარეთ მეჩეთები აუშენებიათ ბასრასა და ქუფაში ცნობილ

სარდლებს 'უთბა იბნ ღაზვანს და სა'დ იბნ აბი ვაკასს 637-639 წლებში. ნი-შანდობლივია, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში მუსლიმები მეჩეთებს აშენებდნენ იქ, სადაც შემორჩენილი იყო სხვა რელიგიების საკულტო ნაგებობათა ნაშთები. VIII საუკუნის დამლევს მეჩეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც მუსლიმთა საკულტო დაწესებულება ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა **მიჰრანი, მინბარი, მაკსურა, მინარეთი და განბანისათვის საჭირო აუზი**. X საუკუნეში დიდ მუსლიმურ ქალაქებში იყო მთავარი საკრებულო მეჩეთი (ალ-მასჯიდ ალ-ჯამე'), რომელიც ვრცელ ეზოსაც მოიცავდა. იმ შემთხვევაში, როცა საკუთრივ მეჩეთი მლოცველებს ვერ იტევდა, შესაძლებლად ითვლებოდა რიტუალისთვის ეზოს გამოყენება. მეჩეთის კარი ყოველთვის ღია უნდა ყოფილიყო მორწმუნეებისათვის, მაგრამ იქ შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ რელიგიური განწყობით, მოწიწებით და ფეხსაცმლის გარეშე. ქალები მეჩეთში საღმთს ასრულებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ მათთვის გამოყოფილი იქნებოდა ადგილი, რომელიც არ მოექცეოდა მამაკაცების მხედველობის არეალში. ადრეულ შუა საუკუნეებში მეჩეთს, რომელსაც „აღლაჰის სახლსაც“ („ბაით ალლაჰ“) უწოდებდნენ, შეეძლო შეესრულებინა სასამართლოს, სკოლის, მუსლიმთა თავშესაფრის და საერთო ხაზინის ადგილის ფუნქციაც. მის გამართულ საქმიანობას უზრუნველყოფდნენ რელიგიური პირები, რომელთაც სათავეში ედგა იმამი (იმამ, ზმნისაგან „ამამ“ – წინ დგომა, ხელმძღვანელობა). პირველ იმამად ითვლება მოციქული მუჰამედი, ხოლო შემდეგ ამ მოვალეობას ასრულებდნენ ხალიფები, რომელთაც დაეკისრათ კოლექტიური ღოცვის ხელმძღვანელობა მთავარ (კათედრალურ) მეჩეთში პარასკევ დღეს. დანარჩენ მეჩეთებში რიტუალს წარმართავდა რომელიმე ავტორიტეტული მუსლიმი, როგორც წესი, მეჩეთის იმამი, რომელიც ასრულებდა **ხატიბის (ხატბ)** მოვალეობას, ე.ი. კითხულობდა ხუტბას, რომელშიც ალლაჰისა და მისი მოციქულის შემდეგ მოიხსენიებდა ქვეყნის გამგებებს (ხალიფას, სულთანს), რაც არსებული რეჟიმისადმი მუსლიმთა ღოიადური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო. ამგვარად, ხუტბას რელიგიურის გარდა პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. 'აბასიანთა დროს დამკვიდრდა ტრადიცია, როცა მთავარ საკრებულო მეჩეთში ხუტბას ალაულებდა არა ხალიფა, არამედ სპეციალურად დანიშნული ხატიბი.

მეჩეთის უფრო დაბალი რანგის მსახურად ითვლებოდა **მუ'აზზინი**, რომელიც მინარეთიდან (მი'ზანა, მრ. მზინუ; მანრა, მრ. მან'ირუ) მოუწოდებდა მუსლიმებს სალოცავად (აზან). სუნიტების აზანი შედგება შვიდი, ხოლო შიიტებისა რვა ფორმულისაგან.⁵⁰ ისლამის ისტორიაში პირველ მუ'აზზინად შევიდა ყოფილი ეთიოპელი მონა, მუჰამედის პირადი მსახური და თანამებრძოლი **ბილალ იბნ რაბბახ**-ი. ხალიფა 'უსმანის დროს მუ'აზზინებს ხელფასი დაენიშნათ და ამ თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიციაც დამკვიდრდა. მეჩეთის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობდა კიდევ რამდენიმე მოსამსახურე, რომელიც შრომის საზღაურს ვაკფის ფონდიდან იღებდა.

2) **მარხვის (საემ)** დაცვა მუსლიმის ერთ-ერთი მოვალეობაა და მოციქულმა ისლამამდელი ტრადიციიდან გადაიღო 624 წელს. იგი სრულდება რამადანის თვეში (მუსლ. კალენდრის IX თვე) ოცდაათი დღის მანძილზე დილიდან მზის ჩასვლამდე. მუსლიმები თვლიან, რომ სწორედ 27 რამადანის

დამეს (ლაილათ ალ-კადრ, ძლიერების ან ღვთიური ნების დამე) მოციქულს პირველად მოველინა ანგელოზი ჯაბრა'ილი, რომელმაც ამცნო, რომ ალლაჰის გადაწყვეტილებით მას უნდა ექადაგა „ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია“ ისლამი. მარხვისგან თავისუფლდებიან მოხუცები, ავადმყოფები, მცირეწლოვანი ბავშვები, ორსული ქალები და ძუძუმწოვარი ბავშვების დედები, აგრეთვე ყველა, ვისაც გადაუღებელი და საპასუხისმგებლო საქმე აქვს შესასრულებელი. მიზანშეწონილად ითვლება გამოტოვებული მარხვის კომპენსირება საქველმოქმედო შესაწირავით და მისი შესრულება რამადანის შემდეგ. შუა საუკუნეებში მარხვის არასაპატიო მიზეზით დარღვევა ისჯებოდა. ასევე მკაცრად სრულდება იგი დღეს ისეთ მუსლიმურ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებას კონსერვატიული რეჟიმი ინარჩუნებს.

3) მუსლიმისათვის უადრესად სასურველ საქმედ (მაგრამ არა აბსოლუტურ მოვალეობად) ითვლება წმინდა მექის (მაქქა ალ-მუქარამა), უფრო სწორად, ქააბას მოხილვა ანუ **ჰაჯი (ჰაჯჯ)**. წმინდა ადგილების მოლოცვა სემიტური მოდგმის ხალხების ტრადიციას და უშუალოდ ისლამთან არაა დაკავშირებული. მუჰამედმა პილიგრიმობა ახალ მონოთეისტურ რელიგიაში დაამკვიდრა. ყველა სრულწლოვანმა მუსლიმმა სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა დიდი ჰაჯის ცერმონიალში, რომელიც იმართება მექაში ზჰ-ლ-ჰიჯჯას თვეში (მუსლ. კალენდრის XII თვე). ჰაჯიზე წასვლა სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ მორწმუნეს ხელს უწყობს ჯანმრთელობა და მატერიალური მდგომარეობა. შარი'ათი გაუმართლებლად თვლის ოჯახის მეთაურის გამგზავრებას საპილიგრიმოდ, თუ მას სიღარიბის გამო უჭირს ოჯახის შენახვა. ზოგიერთი თეოლოგი დასაშვებად მიიჩნევდა სხვის დაქირავებას ჰაჯის შესასრულებლად. ქალები საპილიგრიმოდ მიემგზავრებოდნენ მხოლოდ ოჯახის წევრი მამაკაცების თანხლებით. შუა საუკუნეებში მუსლიმი პილიგრიმები ერთიანდებოდნენ დიდ ქარავნებად, რომელთაც შეიარაღებული რაზმი იცავდა ამრ ალ-ჰაჯის მეთაურობით.

მექაში შესვლის წინ პილიგრიმები იცვამენ ორი ნაწილისგან შემდგარ სამოსს – იჰრამს და ასრულებენ მკაცრად რეგლამენტირებულ ვრცელ რიტუალს, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია დიდ საერთო ლოცვას ქააბას (ქა'ბა) ტაძარში ზჰ-ლ-ჰიჯჯას მეშვიდე დღეს. ქააბას ისლამამდელ ტაძარზე, რომელიც კუბის ფორმის ქვის ნაგებობაა, გადაფარებულია შავი ფერის ქსოვილი – ქისვა, დამშვენებული ყურანიდან ამოკრეფილი ციტატების ოქრონაქარვით. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ქისვა, ჩვეულებრივ, ეგვიპტიდან იგზავნებოდა. ისლამის გაერცვლების შემდეგ ქააბა გახდა ძირითადი ნაწილი დიდი მეჩეთისა (**ალ-მასჯიდ ალ-ჰარამი**), რომელიც ფაქტობრივად ძველ ქააბასთანაა გაიგივებული. ამ მეჩეთის ტერიტორიაზე, როგორც მუსლიმებს მიაჩნიათ, განისვენებენ ისმა'ილი და მისი დედა აგარი (ჰაჯარი), რომელთა გადარჩენას უკავშირებენ ღვთის ნებით გაჩენილ ზამზამის ჭას. მისი წყალი აუცილებლად უნდა დალიოს ყველა პილიგრიმმა.

ზჰ-ლ-ჰიჯჯას მეთუე დღეს პილიგრიმები (ჰუჯჯაჯ) აღნიშნავენ მსხვეპლის შეწირვით: იკვლება ცხვარი, თხა ან აქლემი, ხორცი კი ეძლევათ ღარიბებს. ამის შემდეგ მლოცველები ერთხელ კიდევ გარს შემოუვლიან ქააბას (**ტაფაჰ**) და მიიღებენ რა ჰაჯ-ის საპატიო ტიტულს, მიემართებიან ჰიჯჯაზის მეორე წმინდა ქალაქის – მედინისაკენ (**მადინა ალ-მუნავეარა – ნათელი მედინა**).

გზად მიმავალი მუსლიმები შეივლიან პატარა ქალაქ ტა'იფში, სადაც ლოცულობენ მუჰამედის ბიძის 'აბასის მეჩეთში. მედინაში პილიგრიმების თაყვანისცემის საგანია დიდი მეჩეთი (**მასჯიდ ან-ნაბავი**), სადაც დაკრძალულია მოციქული მუჰამედი. ასევე მედინაში განისვენებენ მოციქულის მეუღლე 'აიშა, ქალიშვილი ფატიმა და პირველი სამი ხალიფა. მუსლიმი თეოლოგების აზრით, სასაფლაოზე სიარული და აკლდამების თაყვანისცემა მიუღებელია, მაგრამ ფაქტობრივად მუსლიმთა დიდი ნაწილი ამ აკრძალვას არღვევს, განსაკუთრებით მედინაში. უკან დაბრუნებულ ჰაჯიებს მოსახლეობა ზემოთ ხელება.

მექის გარდა მუსლიმების საპილიგრიმო ადგილია **ქ. კაირავანი**, დღევანდელი თუნისის ტერიტორიაზე. ქალაქის დაარსება მიეწერება ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთ დამპყრობს უკუბას 670 წელს. მადრიბელი მუსლიმები თვლიან, რომ კაირავანის დიდ მეჩეთში (ჯამა'ა ალ-ქაბირ) შეიღვერ პილიგრიმობა შეცვლის ერთ დიდ ჰაჯს.

მექისა და მედინის შემდეგ, მესამე წმინდა ქალაქად აღიარებულია იერუსალიმი (ალ-კუდს, ბაით ალ-მაკდის, ბაით ალ-მუკადლას), სადაც მუსლიმთა თაყვანისცემის ობიექტია **ჰარამ აშ-შარინი**-ი, ე.ი. მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის ორი ცნობილი მეჩეთი **ალ-მასჯიდ ალ-აკსა (შორეული მეჩეთი)** და **კუბბათ ას-სახრა (კლდის გუმბათი)**, რომელსაც უმარის მეჩეთსაც უწოდებენ. ალ-აკსას ჩრდილოეთით არის ადგილი (მაკამ ალ-აზნა), საიდანაც მუსლიმთა რწმენით მუჰამედი ამადლდა ალლაჰთან სასაუბროდ 27 რაჯაბს (მუსლ. კალ. VII თვე). **პალესტინის ქალაქ ალ-ხალდში (ჰებრონში, არაბ. ჰაბრუნ) მუსლიმთა საპილიგრიმო ადგილია აბრაამის (იბრაჰიმ) საფლავი, რომელიც, ისევე როგორც მექა, ხელშეუხებლად (ჰარამ) ითვლება.**

წმინდა ადგილების, განსაკუთრებით მექის მოხილვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუსლიმთა ერთიანობის დემონსტრირებისათვის. დიდი ჰაჯის ცერემონიაზე თავმოყრილი სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური ჯგუფებისათვის ათასობით წარმომადგენელი თავს ერთიანი მუსლიმური ოჯახის – უმმას წევრად თვლიდა, თუმცა ეს ერთიანობა არ სპობდა არც სოციალურ და არც სახელმწიფოებრივ წინააღმდეგობებს.

დიდი ჰაჯის გარდა შარი'ათი სასურველად თვლის **მცირე ჰაჯის ანუ 'უმრას** შესრულებას მორწმუნისათვის მოსახერხებელ დროს, თუმცა უპირატესობა ენიჭება რამადანის ან რაჯაბის თვეს. 'უმრას დროს მუსლიმი ასრულებს იმავე რიტუალს, რომელიც მიღებულია დიდი ჰაჯის ცერემონიისას, მაგრამ აუცილებლად არ ითვლება მსხვერპლის შეწირვა. 'უმრას მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული, მაგრამ იგი ვერ შეცვლის დიდ ჰაჯს.

4) ადრინდელი და შუა საუკუნეების ისლამი ავალდებულებდა მორწმუნეებს მონაწილეობა მიეღოთ **ჯიჰადში (ჯიჰად)**, ე.ი. საღვთო ომში „ურწმუნოთა წინააღმდეგ“, რაც განპირობებული იყო ისლამის გავრცელების აუცილებლობით. მოციქულის დროს ჯიჰადი მიმართული იყო უპირველეს ყოვლისა წარმართებისა და ისლამის რენეგატების (მუნაფიკ) წინააღმდეგ. მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებს შეეძლოთ ჯიზიას გადახდით თავიდან აეცილებინათ მუსლიმთა თავდასხმა. უკვე შუა საუკუნეებში მუსლიმ თეოლოგთა ნაწილი ჯიჰადს მხოლოდ თავდაცვით ფუნქციას ანიჭებდა. საღვთო ომის მნიშვნელო-

ბით გამოიყენებოდა კიდევ ერთი ტერმინი – **დაზავათი (სიტყვიდან „დაზე“)**, რომლის მონაწილეებს დაზიებს (მრ. ღუზანთ) უწოდებდნენ. მუსლიმებს სწამდათ, რომ საღვთო ომში, ე.ი. „აღლაჰის გზაზე“ ბრძოლაში დაღუპულ მორწმუნეს სამოთხე ელოდა. ჩვენ დროში ჯიჰადმა დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და ხშირად გაგებულია, როგორც მუსლიმთა ძალების მობილიზება აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, თუმცა რეაქციული და კონსერვატიული წრეები ცდილობენ მის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის.

5) ისლამის მიმდევრები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ რელიგიური ხასიათის საშემოსავლო გადასახადი **ზაკათი (ზაკათი)**, რომელსაც საქველმოქმედო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამ გადასახადს იხდიდნენ სრულწლოვანი და შრომისუნარიანი მამაკაცები წელიწადში ერთხელ და მკაცრად განსაზღვრული წესით. რამადანის მარხვის დასასრულს შეძლებული ოჯახის თითოეული წევრი ასევე ვალდებული იყო გაეცა მოწყალება – **ზაკათ ალ-ფიტრ**. საქველმოქმედო შესაწირავად ითვლებოდა **სადაკა**, რომელსაც მორწმუნეები თავისი ნებით გასცემდნენ მეჩეთში პარასკევის ღოცვის შემდეგ. გარდა აღნიშნულისა, მათ წელიწადში ერთხელ უნდა გაეღოთ **‘უშრი (მეათედი)** თავისი ქონებიდან. **მუსლიმი თეოლოგების აზრით, ყველა ეს გადასახადი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილებას და ემსახურებოდა სოციალური თანასწორობის პრინციპს.**

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმის სხვა რელიგიაში გადასვლა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, თეოლოგების ერთი ნაწილი დასაშვებად თვლიდა **თაკიას (თაკიმა – სიფრთხილე, წინდახედულობა)**, რაც ნიშნავს უკიდურესი საფრთხის წინაშე ფორმალურად უარის თქმას ისლამზე, მაგრამ შინაგანად მისდამი ერთგულებას. თაკიას მიზანშეწონილობის შესახებ ერთიანი აზრი ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ მაინც შიიტურ ისლამში იგი ფართოდ გავრცელდა.

3. ოჯახი და ქალის სცაცყესი ისლამურ საზოგადოებაში, ეთიკური ნორმები, ჰიჯრის კალენდარი და ისლამური დღესასწაულები

საუკუნეების მანძილზე ისლამი განსაზღვრავდა მილიონობით მუსლიმის შეხედულებებს, საქმიანობას და პირად ცხოვრებას, ოჯახის ხასიათს, მორალს და ქალის ადგილს საზოგადოებაში.

შარი‘ათის მიხედვით მუსლიმური ოჯახი პოლიგამიური იყო, რაც მორწმუნეს უფლებას აძლევდა ყოლოდა ოთხი ცოლი და მონა ქალები განუსაზღვრელი რაოდენობით. მუსლიმი ქალი ვალდებული იყო ცოლად გაჰყოლოდა მხოლოდ მუსლიმს, მაშინ როცა მამაკაცისთვის ასეთი შეზღუდვა არ არსებობდა. შარი‘ათი ითვალისწინებდა ქორწინების (ზავაჯ) და განქორწინების (ტალაკ) წესებს და იმ უფლებებს, რომლითაც სარგებლობდა ორივე მხარე. საქორწინო გარიგების დროს, რაც ფაქტობრივად მშობლებს შორის ხდებოდა, დიდ როლს ასრულებდა საქმროს მხრივ საცოლისათვის განკუთვნილი გადასახადი (მაჰრ). მთავარი ვალდებულება, რომელსაც შარი‘ათი აკისრებდა ქმარს ცოლის მიმართ იყო მისი უზრუნველყოფა მატე-

რიალურად, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ქორწინებასთანაა დაკავშირებული ე.წ. „კალიმის“ გადახდა, მაგრამ ეს ისლამამდელი ტრადიცია არაა და მისი გაიგივება მაჰრთან არ შეიძლება. ქალს ეკრძალებოდა გამორჩენა საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, სასაფლაოზე სიარული და სტუმრების მიწვევა ქმრის ნებართვის გარეშე. მართალია, ყურანი და შარი'ათი აკანონებენ ქალის მეორეხარისხოვან როლს მუსლიმურ საზოგადოებაში, მაგრამ უკვე ისლამის პირველ საუკუნეებში შეიქმნა ღირსებით გამორჩეული ქალის კულტი. მუსლიმების ღრმა პატივისცემას იმსახურებდნენ მუჰამედის დედა ზამინა, მეუღლე ხადრჯა და ქალიშვილი ფატმა. მათგან პირველი გარდაიცვალა, როცა მუჰამედი სულ ექვსი წლისა იყო და, ბუნებრივია, მუსლიმი ვერ იქნებოდა. ეგვიპტეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა **სითთ ნაფისა**⁵¹, რომელსაც 30-ჯერ შეუსრულებია ჰაჯი მექაში და თავისი ღრმა რელიგიურობით, ყურანსა და ღვთისმეტყველებაში დიდი განსწავლულობით ცნობილი თეოლოგის აშ-შაფი'ის აღიარებაც დაუმსახურებია.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი თეოლოგები ცდილობენ ისლამური საზოგადოების ჰარმონიული და ჰუმანური ხასიათის დასაბუთებას, არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ ფაქტს, რომ ქალი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ღეგალიზებულ დისკრიმინაციას განიცდიდა. ისლამი ქალს აიძულებდა ეტარებინა ჩადრი (ჰიჯაბი, ნიკაბი) და ეცხოვრა სახლის იმ ნაწილში (ჰარამი, აქედან ჰარემი), რომელიც ქმრის გარდა სრულიად შეუვალი იყო ყველა მამაკაცისთვის მცირე გამონაკლისის გარდა (შვილი, მამა). მართალია, უდაბნოსა და მთიანი რეგიონების ტომები ამ წესებს არ იცავდნენ, მაგრამ ქალის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ისლამურ ქვეყნებში თითქმის აბსოლუტური იყო. აღნიშნულ საკითხს ქართულ ისლამოლოგიურ გამოკვლევებშიც დაეთმო ადგილი (**ნ. გელოვანი**).

ისლამმა დაამკვიდრა რიგი ყოფითი ტრადიციებისა, რომელიც დღემდე მტკიცეა და დაცული. ასე მაგალითად, მუსლიმები ასრულებენ წინდაცვეთის წესს (ხითან), თუმცა იგი ისლამამდელ და პროსემიტურ ტრადიციას წარმოადგენს. წინდაცვეთა სავალდებულოა ყველა მუსლიმი ვაჟისთვის ბავშვობის ასაკში ძირითადად 12-13 წლამდე.

თავისებურებით გამოირჩევა **დაკრძალვის ცერემონიალიც (დაჰნი)**. მუსლიმს ასაფლავებენ გარდაცვალების დღესვე ან მეორე დღეს მზის ჩასვლამდე, რასაც წინ უძღვის მიცვალებულის განბანვა და ყურანიდან სპეციალური სურის კითხვა. დაკრძალვის ცერემონიალზე იმამის მეთაურობით სრულდება ლოცვა (სალათ ალ-ჯანაზა, სალათ ალ-მადთ). სუდარაში (ქაჰანი) გახვეული მიცვალებული უნდა დაიკრძალოს მარჯვენა მხარეზე სახით მექისკენ. როგორც წესი, სასაფლაოზე დაკრძალვის ცერემონიალს მხოლოდ მამაკაცები ესწრებიან. მიცვალებულს თან აყოლებენ ფურცელს ყურანის სურებით, რომელიც განკუთვნილია სიკვდილის ანგელოზების მუნქარისა და ნაქირისათვის და განსვენებულის სარწმუნოების დამადასტურებელია. ორთოდოქსული ისლამის თეოლოგები არ მიიჩნევენ გამართლებულად მიცვალებულის ხმამაღალ დატირებას ან აკლდამების შენებას, მაგრამ მორწმუნეთა ნაწილი

ამ მოთხოვნას არ ასრულებდა. X საუკუნეში დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც დაკრძალვის ადგილზე იდგმებოდა საფლავის ქვა.

ისლამის მიერ კანონიზირებულ იქნა ზოგიერთი აკრძალვაც, კერძოდ: მუსლიმებს ეკრძალებათ ღვინის სმა, რაც გადმოცემის თანახმად დაადგინა მუჰამედმა და განპირობებული იყო სარწმუნოების განმტკიცების აუცილებლობით. იგივე შეიძლება ითქვას აზარტულ თამაშებზეც. ღორის ხორცის აკრძალვა, ალბათ, აღმოსავლეთის ცხელი კლიმატით იყო განპირობებული. რაც შეეხება სახვითი ხელოვნების უარყოფას, შეიძლება აიხსნას ჰადისით, სადაც მუჰამედის პირადი დამოკიდებულებაა გადმოცემული ცოცხალი არსების, კერძოდ ადამიანის გამოსახვისადმი და უკავშირდება წარმართული კერპთაყვანისცემის ნაშთებთან ბრძოლის აუცილებლობას. ამ აკრძალვას ისლამში აბსოლუტური ხასიათი არ ჰქონია, რისი დამადასტურებელიცაა სპარსული მინიატურები. **შარი'ათმა აკრძალა ისლამამდელ ჰიჯაზში ფართოდ გავრცელებულ მევახშეობა (რიბა').**

ისლამის მთელი ისტორიის მანძილზე ძალაში იყო და დღესაც განაგრძობს არსებობას **მთვარის, ანუ ჰიჯრის კალენდარი**, რომელიც თავის დასაბამს იღებს ისლამამდელი არაბული ტრადიციიდან. 638 წელს ხალიფა უმარ I-ის ბრძანებით მთვარის კალენდარი ოფიციალურად იქნა მიღებული, ხოლო მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისად გამოცხადდა ჩვენი წელთაღრიცხვის 622 წლის 16 ივლისი, ე.ი. მუჰამედის მედინაში გადასახლების (ჰიჯრის) შემდეგ პირველი მუჰარრამი.

ჰიჯრის კალენდრის მიხედვით წელიწადში არის თორმეტი თვე, რომელთაგან ექვსი შეიცავს 30 დღეს, ხოლო მეორე ექვსი 29-ს. ამგვარად, ჰიჯრის ერთი წელი 354 დღისგან შედგება. მთვარის კალენდარი არსებითად განსხვავდება მზის (ე.ი. გრიგორიანული) კალენდრისგან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წლის თვეები და დღეები მომდევნო წლის სხვა დროსა და სეზონზე მოდის. ამიტომ, მთვარის ე.წ. „მცოცავი კალენდრით“ რომელიმე მნიშვნელოვანი დღესაწაული აღინიშნება თერთმეტი დღით ადრე, ვიდრე გასულ წელს და შეიძლება სხვა სეზონზეც მოვიდეს. დაახლოებით 33 მთვარის (32 მზის) წლის შემდეგ სრულდება სრული წრე და ხდება თვეების დამთხვევა. ისლამურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგალითად, ნარატიულ წაყროებში მოტანილი თარიღების გრიგორიანულზე გადასაყვანად არსებობს რამდენიმე საშუალება (ფორმულა), მაგრამ არც ერთი არაა დაზღვეული ცთომილებისგან. უფრო ოპტიმალურია სპეციალური სინქრონული ცხრილებით სარგებლობა (იხ. ლიტერატურა). მუსლიმური (ჰიჯრის) კალენდრის თვეებია:

1. მუჰარრამ -----30 დღე
2. საფარ -----29 “---“
3. რაბი' ალ-ავეალ -----30 “---“
4. რაბი' ას-სანნი -----29 “---“
5. ჯუმნდა-ლ-ჟულა -----30 “---“
6. ჯუმნდა-ლ-ნხირა -----29 “---“
7. რაჯაბ -----30 “---“
8. შა'ბანი -----29 “---“
9. რამადანი -----30 “---“

10. შავენდლ -----29 “----“
11. ზუ-ლ-კა'და-----30 “----“
12. ზუ-ლ-ჰიჯჯა -----29 (30).

ჰიჯჯის კალენდრის შვიდდღიან კვირაში დასვენების დღედ ითვლება პარასკევი (დავმ-ულ-ჯუმ'ა), თუმცა შუა საუკუნეებში პარასკევი უპირატესად მეჩეთში კოლექტიური ღოცვისთვის იყო განკუთვნილი. ისლამური ტრადიციის თანახმად, „პარასკევი ყველა სხვა დღეებზე უკეთესია“, ვინაიდან ამ დღეს ხდებოდა მოციქულთან და მის პირველ მიმდევრებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. შესაძლებელია, გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ ისლამის გავრცელების წინ შაბათი და კვირა გარკვეული სტატუსით სარგებლობდა ორ მონოთეისტურ რელიგიაში.

ჰიჯჯის კალენდრის მიხედვით მილიონობით მუსლიმი დღემდე აღნიშნავს შემდეგ რელიგიურ დღესასწაულებს:

1. **‘ნდ ალ-ადჰა ან ‘ნდ ალ-ქაბირ (თურქ. ყურბან ბაირამი)**, რომელიც აღინიშნება ზუ-ლ-ჰიჯჯას მეათე დღეს (დავმ ან-ნაჰრ). ეს დღესასწაული გულისხმობს თითოეული პილიგრიმის მიერ სამსხვერპლო საქონლის დაკვლას მექაში. იგივე ცერემონიალი სრულდება ყველგან, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ. მსხვერპლის შეწირვით მთავრდება ჰაჯის რიტუალი და მას მოსდევს საერთო სახალხო დღესასწაული. ‘ნდ ალ-ადჰა იყო ისლამამდელი არაბული ტომების ტრადიცია, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ისლამში.

2. **‘ნდ ალ-ჟიტრ ან ‘ნდ ას-საღნრ (თურქ. ურაზა ბაირამი)** არის მარხვისა და ხსნილის დღესასწაული და აღინიშნება რამადანის დასასრულს, ე.ი. მუსლიმური მეათე თვის – შავვალის დამდეგს. შარი'ათის მიხედვით დღესასწაულის ძირითადი ცერემონიალი – საერთო ღოცვა და მოწყალების (სადაკა) გაცემა უნდა მოხდეს შავვალის პირველ დღეს, მაგრამ საერთო ზეიმი ფაქტობრივად 3-4 დღე გრძელდება.

3. **‘ნდ ალ-მი'რნჯ (თურქ. რაჯაბ ბაირამი)** დაკავშირებულია მოციქულ მუჰამედის ამადლებასთან ალლაჰთან სასაუბროდ და აღინიშნება 27 რაჯაბს. მოციქულის იერუსალიმში გადასვლისა და მისი ფიზიკურად თუ სულიერად ამადლების საკითხი (ალ-ისრ' ვა-ლ-მი'რნჯ) დიდხანს მუსლიმ თეოლოგთა განსჯის საგანს შეადგენდა, მაგრამ მორწმუნეები მას მომხდარ ფაქტად მიიჩნევენ და სათანადოდ აღნიშნავენ კიდევც.

4. **მავლიდ ან-ნაბნ** – მოციქულის დაბადების დღე აღინიშნება რაბნ' ალ-ავვალის 12 რიცხვში. ამ დღეს მიღებულია რელიგიური ლიტერატურის კითხვა. მავლიდი შედარებით ახალ მოვლენად ითვლება და მისი აღნიშვნა ზოგიერთი ტრადიციონალისტი თეოლოგის მიერ კანონიერად არაა მიჩნეული.

ყველა ზემოჩამოთვლილი დღესასწაული საერთო ისლამური ხასიათისაა, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში მან თავისებური ელფერი მიიღო და საუკუნეთა მანძილზე ყოფით ტრადიციად იქცა. ისლამის გავრცელებას ხელი არ შეუშლია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ისლამამდე არსებული ზოგიერთი ტრადიციის და ზნე-ჩვეულებების ახალ რელიგიურ გარემოში დამკვიდრებისათვის. მაგალითად, ირანში და მის მიმდებარე ქვეყნებში დღემდე ფართოდაა გავრცელებული „ნოურუზის დღესასწაული“, რომელიც ხშირად ისლამურ ახალ წელთანაა გაიგივებული. **ისლამურ სამყაროში ჰიჯჯის ახალი წელი (მთვარის**

კალენდრით) იწყება 1 მუჰარრამს და განსაკუთრებულ დღესასწაულად არ ითვლება. რაც შეეხება ნოურუზს, იგი დღესაც აღინიშნება ისლამამდელი, ირანული მზის კალენდრით (შამს) 21 (ან 20, 22) მარტს და უკავშირდება ბუნიაობას – ბუნების გამოღვივებას და ახალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებას.

4. მაზჰაბები

ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო მეოთხე ხალიფა ალის დროს, გამოიკვეთა დაპირისპირებული მხარეების განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხში, რამაც ისლამის განვითარებაზეც მოახდინა გავლენა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ისლამი განუყოფელი იყო ხელისუფლებისაგან, ცხადი იქნება ისიც, რომ არაბთა სახალიფოში რელიგიას წარმმართავი პოლიტიკური დოქტრინის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ყველაზე პრაგმატული და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა ის კონცეფცია, რომელიც ყურანზე და უფრო მეტად კი სუნნაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს სუნიტებმა (აჰლ ას-სუნნა ვალ-ჯამა'ა). მუსლიმთა უმრავლესობა სწორედ ამ მიმართულების, ე.ი. ორთოდოქსული ისლამის მიმდევარი გახდა, თუმცა ამა თუ იმ თეოლოგიურ და სამართლებრივ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა აქაც არ იყო გამორიცხული. აქედან გამომდინარე, სუნიტურ ისლამში VIII ს. მეორე ნახევარში და IX ს. დამდეგს შეიქმნა ოთხი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა ანუ მაზჰაბი (გზა, მრ. მაზჰაბი), რომელთაგან თითოეული თავისი დამაარსებლის სახელს ატარებდა. სულ ცნობილია ოთხი სუნიტური და ერთი შიიტური (ჯა'ფარიტული) მაზჰაბი.

პირველი და უფრო ადრინდელი **ჰანაფიტური მაზჰაბის (ჰანაფიფა)** ფუძემდებელია ქუფელი ფაკიჰი და მუჰადდისი აბუ ჰანიფა (**აბუ ჰანიფა ან-ნუ'მან იბნ სნბით, 80-150/699-767**), სპარსელი მონის შთამომავალი. იგი სწავლობდა ცნობილ თეოლოგთან ჰამად იბნ აბი სულაიმანთან, რომლის გარდაცვალების შემდეგ თავად განაგრძო მისი საქმე. ხელისუფალთა ცდას გამოეყენებინათ მეცნიერის ავტორიტეტი და ცოდნა სახელმწიფო სამსახურში მისი მიზიდვით აბუ ჰანიფა უარით პასუხობდა, რაც მის მიმართ რეპრესიების მიზეზი გახდა. თავისი მოღვაწეობის მანძილზე აბუ ჰანიფას შეუდგენია მრავალი სასამართლო საქმის აღწერა (ოქმი) და გაუცია 64 ფათვა.

აბუ ჰანიფა და მისი მიმდევარი ჰანაფიტები თვლიდნენ, რომ ყურანი შეიძლება ისლამური სამართლის საფუძველი იყოს ყოველგვარი ინტერპოლაციის გარეშე, ხოლო სუნნას ენიჭება დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰადისების მკაცრი შერჩევისა და შემოწმების შემდეგ. ჰანაფიტების მაზჰაბი ცნობს ავტორიტეტულ მუსლიმთა საერთო გადაწყვეტილებას (იჯმ'), პრეცედენტის ანალოგიას და ჩვეულებრივ სამართალს ("ურფ), რომელიც ისლამის გავრცელების შემდეგ ძალაში რჩებოდა მომთაბარე ტომებში. აბუ ჰანიფას ხშირად იმოწმებდა ცნობილი მეცნიერი და პირველი მთავარი ყადი აბუ

იუსუფ იაკუბი. აბუ ჰანიფას და აბუ იუსუფის მოწაფე იყო აშ-შაიბანი (**აბუ 'აბდალლჰჰ მუჰამმად იბნ ჰასან აშ-შაიბანი, 132-189/749-805**), რომელიც ავტორიტეტული ფაკიჰი გახდა ქუფაში, ხოლო შემდეგ ბაღდადში.

ჰანაფიტური მაზჰაბი კარგად ეგუებოდა ადგილობრივ პირობებს, რაც მის ფართო გავრცელებას უწყობდა ხელს. მან ფეხი მოიკიდა ხორასანსა და შუა აზიაში, სირიაში, უფრო გვიან კი იგი მიიღეს თურქ-სელჩუკებმა და ოსმალებმა. ცნობილი ავსტრიელი არაბისტი **ა. კრემერი** თვლიდა, რომ აბუ ჰანიფას სამართლებრივ-თეოლოგიური კონცეფცია შეიძლება შეფასდეს, როგორც დიდი წარმატება, რომელსაც იმ დროს მიაღწია ისლამმა.

მედინელი თეოლოგის **მალიქ იბნ ანასის (გარდ. 179/795 წ.)** სახელს ატარებს მის მიერ შექმნილი მეორე – **მალიქიტების მაზჰაბი (ალ-მალიქიზმი)**. მეცნიერის დაბადების თარიღი ზუსტად არაა ცნობილი (სავარაუდოა 90-97/708-716 წწ.), მაგრამ ვიცით, რომ მან მთელი სიცოცხლე მედინაში გაატარა, უარს ამბობდა ყოველგვარ თანამდებობაზე და შარი'ათის საკითხებითა და მასწავლებლობით იყო დაკავებული. მას ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი „ალ-მუვატტა“ („ყველასთვის მისაწვდომი“). ამ მაზჰაბის მიმდევრები ძირითადად ჰადისებს ეყრდნობოდნენ. მალიქ იბნ ანასმა ჩამოაყალიბა თავისი თეორია ხელისუფლების შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხალიფა დამტკიცებული უნდა ყოფილიყო მექელი და მედინელი ავტორიტეტების მიერ. ამ მაზჰაბს მიმდევრები ჰყავდა არა მარტო ჰიჯაზში, არამედ მაღრიბის არაბულ ქვეყნებში და ესპანეთში. მალიქ იბნ ანასი გარდაიცვალა მშობლიურ მედინაში, სადაც განისვენებს ალ-ბაკი'-ის ცნობილ სასაფლაოზე.

მესამე, **შაფი'იტური მაზჰაბის (აშ-შაფი'იზმი) ფუძემდებელი აშ-შაფი'ი (აბუ 'აბდალლჰჰ მუჰამმად იბნ იდრის აშ-შაფი'ი, 150-204/767-820)** დაიბადა ღაზაში, კურაიშიტი სარდლის ოჯახში, ხოლო განათლება მიიღო მექასა და მედინაში, სადაც სწავლობდა მალიქ იბნ ანასთან. მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ ის დაბრუნდა მექაში და მალე დაინიშნა ვალიდ ნაჯრანში (იემენში), მაგრამ ზაიდიტ იმამთან ახლო ურთიერთობის გამო დაკარგა ეს თანამდებობა და საცხოვრებლად გადავიდა რაკკაში, სადაც ერთხანს სწავლობდა მუჰამმად აშ-შაიბანისთან. 35 წლის ასაკში მან თავისი მაზჰაბის შექმნის შესახებ გამოაცხადა ბაღდადში და მექაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხალიფა ალ-მაშუნმა უკმაყოფილება გამოთქვა მისი შიიტური ორიენტაციის გამო, თეოლოგი ეგვიპტეში გადასახლდა. აქ, ძველ ფუსტატში მისი საფლავი დღესაც მორწმუნეთა საპილიგრიმო ადგილს წარმოადგენს.

აშ-შაფი'იმ სცადა აბუ ჰანიფას და მალიქ იბნ ანასის შეხედულებების გაერთიანება. მისი მთავარი შრომებია ჰადისების კრებული „მუსნად“ („საყრდენი“) და შეიდტომიანი გამოკვლევა ფიკჰის შესახებ („ქითაბ ალ-უმმ“). შაფი'იტურ მაზჰაბს მიმდევრები ჰყავდა თითქმის ყველგან, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებას მან ეგვიპტეში მიაღწია. ამ მაზჰაბს ეკუთვნოდნენ ცნობილი მეცნიერები ალ-აშ'არი, ალ-მავარდი და ალ-ღაზალი.

მეოთხე, **ჰანბალიტების მაზჰაბის (ალ-ჰანბალიზმი) შექმნელი იყო აშ-შაფი'ის მოწაფე აჰმად იბნ ჰანბალი (164-241/780-855)**, რომელიც ბაღდადში მოღვაწეობდა. ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებული მუ'თაზილობის წი-

ნაადმდეგ მის ბრძოლას მოჰყვა პატიმრობა (833-834 წწ.), რამაც მას ორთოდოქსული ისლამის დამცველის რეპუტაცია და პოპულარობა მოუტანა.

იბნ ჰანბალს შეუგროვებია 40 ათასამდე ჰადისი, რომელიც გაერთიანებულია მის „მუსნადში“, აგრეთვე რიტუალის კანონიკური კრებული „ქითაბ ას-სალათ.“ ჰანბალიტების მაზჰაბი ეყრდნობა ჰადისებს და ხასიათდება უკიდურესი კონსერვატიზმით. იბნ ჰანბალი უარყოფდა ყოველგვარ სიახლეს (ბიდ'ა, მრ. ბიდა'), რომელიც ეწინააღმდეგება ყურანს და ჰადისებს. XIV საუკუნემდე ჰანბალიტობა გავრცელებული იყო მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის შექმნას მაზჰაბის დასუსტება მოჰყვა. XVIII საუკუნეში ჰანბალიზმი შემორჩა ჰიჯაზსა და ნაჯდში, სადაც ჰანბალიტი თეოლოგის იბნ თაიმიას (თაკი ად-დინ აჰმად იბნ თაიმშია, 661-728/1263-1328) მოძღვრების საფუძველზე წარმოიშვა ვაჰაბიზმი.

აღნიშნული ოთხი სუნიტური მაზჰაბის გარდა შუა საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში გაჩნდა სხვა მაზჰაბებიც, მაგალითად, **ზაჰირიტების მაზჰაბი (აზ-ზაჰირიია).** მის დამაარსებლად ითვლება და'უდ იბნ 'ალი ალ-ისტაჰანნი, ცნობილი როგორც **აზ-ზაჰირი (200-2 -270/815-883).** ზაჰირიტები დაუშვებლად თვლიდნენ ყურანის ან სუნნას თავისუფალ გააზრებას, ან ინტერპოლაციას. ეს მაზჰაბი გარკვეული გავლენით სარგებლობდა X-XI საუკუნეებში, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გავიდა ასპარეზიდან. სუნიტური ისლამი აღიარებდა ოთხი მაზჰაბის თანასწორობას, თუმცა პრაქტიკულად ამა თუ იმ რეგიონში უპირატესობა ენიჭებოდა იმ მაზჰაბს, რომელსაც მეტი მიმდევრები ყავდა ან მხარს უჭერდა მმართველი დინასტია.

5. შიიზმი და ხარაჯიტობა, სექტები

სუნიტური ისლამის გარდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა კიდევ ერთი მიმდინარეობა – შიიზმი (აშ-შინ'ა – იმამ 'ალის მომხრეთა ჯგუფი, პარტია), რომელიც მთლიანად ეყრდნობა მისი შთამომავალი თორმეტი იმამის ავტორიტეტს. ამ თორმეტიდან უპირველესია 'ალი, რომელსაც სხვადასხვა ცოლისგან მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მათგან გამოირჩევა ის ორი ჯგუფი, რომელსაც დასაბამი მისცეს 'ალის შვილებმა ფატიმასაგან – ჰასანმა და ჰუსაინმა (ალ-'ალაფიდიჟინ – 'ალიდები). იმამიტური შიიზმის (ალ-იმამიია) ცხრა იმამი სწორედ ჰუსაინის პირდაპირი შთამომავალი იყო. იმამების თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე შიიტებისთვის კანონს წარმოადგენს. 'ალის მიმდევრები აღიარებენ ყურანს და სუნნას (ახბარს), მაგრამ სუნიტებისგან განსხვავებით ცნობენ მხოლოდ იმ ჰადისებს, რომლებიც გადმოცემულია 'ალის ოჯახის წევრების მიერ. ისინი უარყოფენ იმ ჰადისებს, რომელთა ისნადები შეიცავს 'ალის მოწინააღმდეგეთა სახელებს (მაგ., 'აიშა, ტალჰა, აზ-ზუბაირი). შიიტების ჰადისების შინაარსი ეხება არა მარტო მოციქულს, არამედ 'ალის და მის შთამომავალ იმამებსაც.

მართალია, შიიზმი გასპარსულებული (ირანული) ისლამის სახელითაა ცნობილი, მაგრამ იგი არაბულ საფუძველზეა შექმნილი VII ს. მეორე ნახევარში და ხელისუფლებისათვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული. ირანელებმა გამოიყენეს ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს პირველი იმამისა და

მეოთხე ხალიფა ‘ალის შვილმა ჰუსაინმა ცოლად შეირთო სასანიანთა უკანასკნელი შაჰის იეზდიგერდ III-ის ქალიშვილი. ამგვარად, მათ დაუნათესავეს ‘ალის ოჯახი ირანის სამეფო დინასტიას და იგი ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადეს. ამასთან ერთად, შიიტები იმოწმებდნენ ერთ-ერთ ჰადისს და ამტკიცებდნენ, რომ მოციქულმა თავად აღიარა ‘ალი თავის მემკვიდრედ. აქედან გამომდინარე, ისინი უზურპატორებად თვლიდნენ პირველ სამ ხალიფას და ბრალად სდებდნენ ‘ალის კანონიერი უფლების წართმევას. ისეთ პირობებში, როცა ბრძოლა არაბულ და სპარსულ ელემენტებს შორის გამწვავდა, შიიტური ისლამი ირანული ინტელექტუალური მოძრაობის – შუ‘უბიას იარაღი გახდა.

შიიტური ისლამის სათავეში დგანან „ღვთით კურთხეული უცოდველი იმამები“, რომელთაგან პირველის – ‘ალის ისტორია კარგადაა ცნობილი, მაგრამ ბუნდოვანია ბოლო XII იმამის მუჰამმადის არსებობის საკითხი. XI იმამს, რომელიც გარდაიცვალა 874 წელს, მემკვიდრე ვაჟი არ დარჩენია. მიუხედავად ამისა, შიიტებს შორის დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს მას ნამდვილად ჰყავდა ვაჟი, რომელიც სიფრთხილის გამო გადამალა, ე.ი. მოაშორა თავის ძმას და იმამობის პრეტენდენტს ჯა‘ფარს, აგრეთვე ‘ბასიანთა ხალიფას. ამგვარად, ბოლო XII იმამი მუჰამმადი „გაუჩინარდა“ სამარაში, მაგრამ მას არ დაუტოვებია ეს ქვეყნიერება, ვინაიდან, მისი მიმდევრების აზრით, იმამის გარეშე შეუძლებელია არსებობა (გ. სანიკიძე). ზემოხსენებული მუჰამმადი უნდა ჩაითვალოს „ფარულ იმამად“ და „დროის მეუფედ“ („კა‘იმ აზ-ზამან“), რომელიც კვლავ მოვევლინება მორწმუნეებს მაჰდის სახით და აღადგენს ისლამურ სამართლიანობას. მაჰდის გამოჩენამდე შიიტური თემის, ე.ი. იმამიტების (ისნა‘შარიტების) სათავეში უნდა ყოფილიყვნენ ბოლო, XI იმამთან დაახლოებული პირები. ამგვარად, შიიტურ ისლამში დამკვიდრდა მაჰდიზმი, რაც ნიშნავს მესიის მოსვლას, რომელიც იქნება მუჰამედის განსახიერება და შეიძლება მის სახელსაც ატარებდეს. მაჰდი ვერ შეცვლის მოციქულს, თუმცა მოვლენილი იქნება ღვთის მიერ, რათა მოამზადოს სამყარო განკითხვის დღის ღირსეულად შესახვედრად. შიიტების ღრმა რწმენით, მაჰდი აუცილებლად მუჰამედის, უფრო სწორად იმამ ‘ალის შთამომავალი უნდა იყოს, რაც მათი აზრით ზოგიერთი ჰადისითაც დასტურდება. ის ადგილი, სადაც მეორმეტე იმამი და მომავალი მაჰდი „გაუჩინარდა“ ითვლება წმინდა ადგილად და დღესაც ათასობით პილიგრიმს იზიდავს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შიიტური ისლამი იმამების მოწამებრივ სიკვდილს, რაც ფაქტობრივად ყველა იმამის სახელთანაა დაკავშირებული.

შიიტური ფიკჰის კოდიფიკატორად ითვლება მეექვსე იმამი **ჯა‘ფარ ას-სადიკი (გარდ. 148/765 წ.)**, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ისლამის მესამე – **ჯა‘ფარიტულ მაზჰაბს (ალ-ჯა‘ფარიზმა)**. ამ მაზჰაბის მიმდევრები, ისევე როგორც სუნიტები ჰაჯს ასრულებენ მექაში, მაგრამ მათთვის ქააბასთან ცალკეა გამოყოფილი ადგილი. გარდა ამისა, შიიტები პილიგრიმობენ ისეთ ქალაქებში, როგორცაა ან-ნაჯაფი, ქარბალა, ყუმი და მეშჰედი.

ერაყის პატარა ქალაქი ან-ნაჯაფი ცნობილია მეჩეთით, რომელშიც განისვენებს პირველი იმამი ‘ალი, ხოლო ქარბალაში, ან-ნაჯაფის ჩრდილოეთით თაყვანისცემის ადგილია მესამე იმამის ჰუსაინის აკლდამა და მეჩეთი. ორივე სამლოცველო გამოირჩევა მდიდრული მორთულობით და ბრწყინვალეობით.

ქ. ყუმში (დღ. თეირანის სამხრეთ-დასავლეთით) შიიტების ყურადღებას იმსახურებს წმინდანი ქალის, მეშვიდე იმამის შვილის ფატიმა მასუმეს აკლდამა. ფატიმას ძმისა და მერვე იმამის არ-რიდას (ან არ-რიზას) აკლდამა დაცულია ქ. მეშქედში (ირანი), სადაც ჩვენ დროშიც ათასობით შიიტი პილიგრიმობს. 'აღის მიმდევართა წმიდა ადგილებად ითვლება ქაზიმადინი ერაყში (ბაღდადის მახლობლად), სადაც იმყოფება იმამიტების მეშვიდე იმამის მუსა ალ-ქაზიმის (გარდ. 799 წ.) და მეცხრე იმამის მუჰამმად ალ-ჯაფანდის (გარდ. 835 წ.) აკლდამები, აგრეთვე სამარა, სადაც დაკრძალული არიან მეთე და მეთერთმეტე იმამები. ასევე საპილიგრიმო ადგილია მედინის სასაფლაო ალ-ბაკი' (ალ-ჯანნათ ალ-ბაკი'). შიიტები დიდი მოწიწებითა და პატივისცემით უვლიან წმინდანთა მავზოლეუმებს (მაზნარ), რომლებიც მრავლად არის ირანში და სხვა ქვეყნებშიც. საფლავების მოვლა და მავზოლეუმების შენება არ იყო ისლამური ტრადიცია, მაგრამ IX საუკუნის მიწურულიდან მან ფართო ხასიათი მიიღო, **ხოლო X საუკუნიდან შიიტურ ისლამში წმინდანთა კულტიც დამკვიდრდა.**⁵² შიიტები ყოველ წელს ფართოდ აღნიშნავენ თავიანთი იმამების მოწამებრივ სიკვდილთან დაკავშირებულ თარიღებს. ასეთია მაგალითად დატირების მისტერია 'აშურა ('აშურა', იგივე შაჰსეი-ვაჰსეი), რომელიც იმართება მუჰარრამის (მუსლ კალ. I თვე) მე-10 დღეს და უკავშირდება მესამე იმამის ჰუსაინის ტრაგიკულ სიკვდილს ქარბალასთან 680 წ. 10 ოქტომბერს. ამ დღეს შიიტები აწყობენ სამგლოვიარო ცერემონიალს, რომლის დროსაც ახსენებენ იმამებს და თვითგვემის გზით ცდილობენ სიმბოლურად გაიზიარონ მათი მოწამებრივი ხვედრი. 'აშურა ყოველთვის რელიგიური ფანატიზმის გაღვივებას უწყობდა ხელს.

როგორც უმაიანები, ასევე 'აბასიანთა ხალიფებიც სდევნიდნენ შიიტებს, რის გამოც მან დევნილი რელიგიის სახელი მოიპოვა და მრავალრიცხოვან სექტებად დაიყო. მათ შორის გამოირჩეოდა **ისმა'ილიტების სექტა (ალ-ისმა'ილიფუნ),** რომელიც VIII ს. მეორე ნახევარში წარმოიშვა. 760 წელს მეექვსე იმამმა **ჯა'ფარ ას-სადიკმა მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა თავის უფროს ვაჟს ისმა'ილს, რაც გაუმართლებლად ჩათვალა შიიტების ერთმა ნაწილმა.** ვინაიდან ისმა'ილი გარდაიცვალა თავის მამაზე ადრე 762 წელს, **სექტანტებმა თავის მეთაურად გამოაცხადეს მისი შვილი მუჰამმად იბნ ისმ'ადლი, რომელიც მათი ბოლო ლეგალური იმამი გახდა.** მომდევნო ისმა'ილიტი იმამების საქმიანობა დიდხანს არალეგალურად მიმდინარეობდა, რის გამოც მათი ისტორია ძნელი შესასწავლია. თავისი საიდუმლო რეზიდენციებიდან ისინი გზავნიდნენ მისიონერებს (დნ'ო, მრ. დუ'ათ) სხვადასხვა ქვეყნებში და ავრცელებდნენ მოძღვრებას იმამების ღვთიური წარმოშობის შესახებ, ცდილობდნენ ყურანის თავისებურ ინტერპოლაციას. ისმა'ილიტი მისიონერები აცხადებდნენ, რომ მუსლიმური სამყარო და შემდეგ მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანებულიყო იმამ-მესიის მეთაურობით, რომელიც 'აღის შთამომავალი იქნებოდა. მომძლავრებული სექტანტები რელიგიური პროპაგანდიდან თანდათანობით ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე გადავიდნენ და X საუკუნეში წარმატებასაც მიაღწიეს. ამასთან ერთად, მუსლიმურ ქვეყნებში არსებულმა თავისებურებებმა და კონკრეტულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო მათ დაყოფას ქვესექტებად, რომლებიც ფაქტობრივად ერთ-

მანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. XI-XII საუკუნეებში ისმა'ილიტები ყოფილან საქართველოშიც, კერძოდ თბილისის საამიროში.

ზომიერ შიიტებს აერთიანებს **ზაიდიტების სექტა (აზ-ზაიდიდა)**, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია მეხუთე იმამის მუჰამმად ალ-ბაჰაირის (გარდ. 732 წ.) ძმის ზაიდ იბნ 'ალის სახელთან. იმამის გაუბედავი მოქმედებით უკმაყოფილო შიიტები გაერთიანდნენ ენერგიული ზაიდის გარშემო. 739 წელს მისი წინამძღოლობით ქუფაში დაიწყო აჯანყება უმაიანთა წინააღმდეგ, მაგრამ 740 წ. 6 იანვარს ზაიდი დამარცხდა და მოკლულ იქნა. მისი მოჭრილი თავი გაუგზავნეს ხალიფა ჰიშამს დამასკოში. ზაიდის მომხრეებმა შექმნეს სექტა, რომელიც მიზნად ისახავდა თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნას 'ალის შთამომავალ მორწმუნეთა მიერ არჩეული იმამის მეთაურობით. ზაიდიტები (ზუჰდ) უარყოფდნენ საიმამოს ან იმამების ღვთიური წარმოშობის კონცეფციას და ფარული იმამის გამოჩენის შესაძლებლობას. ისინი არ წყველიდნენ პირველ სამ ხალიფას და დასაშვებად თვლიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე იმამის არსებობას. ამგვარად, ზაიდიტების სექტას არ ახასიათებდა შიიტური ექსტრემიზმი, რაც მას აახლოებდა კიდევ სუნიზმთან. განსაკუთრებულ წარმატებას ზაიდიტებმა მიაღწიეს იემენში.

შიიტური ისლამის საფუძველზე IX საუკუნეში ერაყში წარმოიშვა **ნუსაირიტების (ან-ნუსაირიდა) ანუ 'ალავიტების** მეტად თავისებური სექტა. მის დამაარსებლად ითვლება **მუჰამმად იბნ ნუსაირ ან-ნამირნ (ზოგჯერ ან-ნუმაირნ, გარდ. დაახლ. 883 წ. ბასრაში)**, რომელიც ქადაგებდა მეთერთმეტე იმამის ჰასან ალ-'ასქარნს (გარდ. 874 წ.) კულტს. ნუსაირიტები თვლიდნენ, რომ სწორედ ხსენებულმა იმამმა ჩამოაყალიბა მათი მოძღვრების ძირითადი არსი. ადრინდელ წყაროებში სექტა ნახსენებია, როგორც „ალ-ნამირიდა“ (იბნ ნუსაირის ნისბის მიხედვით), მაგრამ XI საუკუნიდან მას უფრო ხშირად „ნუსაირიდა“-ს უწოდებდნენ. ამ სექტის თეორეტიკოსად ითვლება აბუ მუჰამმად 'აბდ ალლჰ ალ-ჯანბულანნ ჯანნან (მეზაღე, გარდ. 900 წ.).

ნუსაირიტების მოძღვრება ეკლექტიკური ხასიათისაა და აერთიანებს შიიზმის, ქრისტიანობის და ასტრალური რელიგიური წარმოდგენების (მაგ., მზის, მთვარის, ვარსკვლავების თაყვანისცემის) ელემენტებს. სექტის მიმდევართა ყურადღების ცენტრშია სამება: **'ალი, მოციქული და საღმწი იბნ ჭარისნ**, რომელთაგან ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც მუჰამედის მედინელი მიმდევარი – წარმოშობით სპარსელი. ამ სამებიდან თითოეული განასახიერებს კონკრეტულ რელიგიურ-ფილოსოფიურ თვალსაზრისს. ნუსაირიტები თვლიან, რომ მათი მოძღვრება მთლიანად მისაწვდომია მხოლოდ სექტის ერთი, „განსწავლული“ ნაწილისათვის. ქალების მიერ მისი ათვისება ან რიტუალის შესრულება დაუშვებლადაა მიჩნეული. ნუსაირიტები აღიარებენ სულის გადასახლების შესაძლებლობას, პატივს მიაგებენ იესოს და აღნიშნავენ რიგ ქრისტიანულ დღესასწაულებს (მაგ. შობას, აღდგომას), რიტუალისთვის არ იყენებენ მეჩეთს. სექტის წევრები ერთიანდებიან ცალკეულ რელიგიურ თემებში და არ ემორჩილებიან ერთ საერთო წინამძღოლს. ნუსაირიტები დღევანდელი სირიის მოსახლეობის დაახლოებით თერთმეტ პროცენტს შეადგენენ ლატაკიის, ტარტუსის, ჰამას და ჰიმსის მუჰაფაზებში, ხოლო მეორე ნაწილი ცხოვრობს თურქეთის და ჩრდილოეთ ლიბანის ტერიტორიაზე.

უკიდურესი შიიზმის განსახიერებას წარმოადგენდა **ხატვაბიტების (ალ-ხატვაბიძა)** სექტა, რომელიც ატარებდა მისი დამაარსებლის **აბუ-ლ-ხატვაბის (აბუ-ლ-ხატვაბ ალ-ასადი, დაიდუბა დაახლ. 755 წ.)** სახელს. ხატვაბიტებს ახ-ასიათებლათ განსაკუთრებული შეურიგებლობა და სისასტიკე მოწინააღმდეგეთა მიმართ, აღიარებდნენ იმამების ღვთიურ წარმოშობას, მაგრამ ამავე დროს უარყოფდნენ საიმამოს მემკვიდრეობის პრინციპს. სექტის დამაარსებლის დაღუპვის შემდეგ მისი მიმდევრები ცალკეულ ჯგუფებად დაიყვნენ, მაგრამ საერთო მათ მოძღვრებაში დარჩა იმამების გაღმერთება და იმის რწმენა, რომ მეშვიდე იმამად უნდა ჩაითვალოს აბუ-ლ-ხატვაბი, რომელზედაც გადავიდა „ღვთიური მადლი.“

როგორც უკვე აღინიშნა, შიიზმი დევნილ რელიგიად ითვლებოდა, მაგრამ დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ ირანში. **XVI საუკუნის დამდეგს შაჰ ისმაილის (1502-1524) ინიციატივით იმამიტური შიიზმი სეფიანთა ირანის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა**, რის შემდეგაც გაძლიერდა შიიტი ფაქიძების საქმიანობა რელიგიის, ფილოსოფიის და შარი'ათის სფეროში, ჩამოყალიბდა თეორია ღვთიური სამართლიანობის (ალ-'ადლ) შესახებ. **XVIII საუკუნეში ნადირ შაჰ აფშარის (1736-1747) დროს ადგილი ჰქონდა სუნიზმისა და შიიზმის გაერთიანების ცდას**. ნადირმა აკრძალა პირველი სამი ხალიფას წყევლა და სცადა მიეღწია ჯა'ფარიტული მაზჰაბის ოფიციალურ, მეხუთე მაზჰაბად აღიარებისათვის სუნიტების მიერ, მაგრამ უშედეგოდ. წინააღმდეგობები დარჩა და უფრო გვიან ირანისა და დიდი სუნიტური სახელმწიფოს – ოსმალეთის პოლიტიკური დაპირისპირებისა და მეტოქეობის იდეოლოგიური საფუძველი გახდა. შიიტური ისლამის განსაკუთრებული როლი და ადგილი ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს და იგი ქართველ ავტორთა შრომებშიც აისახა (გ. სანიკიძე).

ხალიფა 'ალის გამგებლობის პერიოდში ხელისუფლებისათვის ბრძოლისას წარმოიშვა ისლამის მესამე მიმდინარეობა – **ხარიჯიტობა**. უკვე VII საუკუნის დამდეგს გამოიკვეთა ამ მიმართულების ძირითადი კონცეფცია. **ხარიჯიტების (ხავჯირჯ) თვალსაზრისით, მუსლიმური თემი უნდა აერთიანებდეს აბსოლუტურად თანასწორუფლებიან მორწმუნეებს, რომელთაც შეუძლიათ აირჩიონ მეთაური – იმამი-ხალიფა**. იმამი დაჯილდოებული უნდა იყოს არა რაღაც ღვთიური თვისებებით, არამედ მუსლიმური თემისადმი ერთგული სამსახურის შეგნებით. იმ შემთხვევაში, თუ იმამი ვერ გაამართლებს ნდობას ან ბოროტად გამოიყენებს მას, თემს შეუძლია გადააყენოს და დასაჯოს კიდევ იგი. ამგვარად, სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის არა იმამს, არამედ მუსლიმურ თემს.

ხარიჯიტები აღიარებდნენ მხოლოდ პირველ ორ ხალიფას – აბუ ბაქრს და 'უმარს. ყურანს ისინი არ თვლიდნენ „ხელთუქმნელად“, უარყოფდნენ XII სურას და მონის მდგომარეობას მუსლიმისათვის შეუფერებლად მიიჩნევდნენ. ხარიჯიტების თვალსაზრისით, ჰაჯის ჩატარება გამართლებული იყო მხოლოდ მექაში, ხოლო რიტუალი და მუსლიმური მორალი მორწმუნეებს მკაცრად უნდა დაეცვათ. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საღვთო ომში მონაწილეობას და თავადაც სასტიკად ებრძოდნენ ყველას, ვისაც ცრუ

მუსლიმებად ან უზურპატორებად თვლიდნენ (მაგალითად, უმაიანთა და 'აბასიანთა ხალიფებს).

ხარიჯიტობა ფართოდ გავრცელდა მოსახლეობის ყველაზე დაბალ სოციალურ ფენებში და მალე ექსპლუატირებული მასების იარაღი გახდა. ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლება ისლამის ამ მიმართულებაში თავის დაუძინებელ მტერს ხედავდა, ხარიჯიტობა ყოველთვის განიცდიდა დევნას და მალე ცალკეულ სექტებად დაიყო. განსაკუთრებული უკომპრომისობით და სისასტიკით გამოირჩეოდა **აზრაკიტების (ალ-აზარაკა)** ხარიჯიტული სექტა, რომლის შემქმნელია ყოფილი მონა **ალ-აზრაკი (ნაფი' იბნ ალ-აზრაკი)**. აზრაკიტები თვლიდნენ, რომ სასჯელს იმსახურებდნენ არა მარტო მათი პირდაპირი მოწინააღმდეგეები, არამედ ის ხარიჯიტებიც, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ ჯიჰადში, მათ შორის ქალები და ბავშვებიც. ამავდროს, აზრაკიტები მეტ ლოიალობას იჩენდნენ არამუსლიმების (ქრისტიანების, იუდეველების) მიმართ, მისაბამად თვლიდნენ რა მათ ერთგულებას თავიანთი რელიგიებისადმი. სექტის წევრები, როგორც წესი, ფანატიზმს იჩენდნენ სისხლისმღვრელ შეტაკებებში, მაგრამ ამას მათთვის საბოლოო გამარჯვება არ მოუტანია. 685 წელს ალ-აჰვაზში ალ-აზრაკის დაღუპვის შემდეგ ხარიჯიტებს თავს დაატყდათ ჰაჯჯაჰ იბნ იუსუფის საშინელი რეპრესიები. მიუხედავად ამისა, VIII საუკუნეში ისინი კვლავ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. ფაქტობრივად ხარიჯიტულ ხასიათს ატარებდა ზინჯების აჯანყებაც (IX ს.), რომლის მეთაური **'ალი იბნ მუჰამმადი**, როგორც ფიქრობენ, აზრაკიტი იყო. შედარებით უფრო მეტი ზომიერებით ხასიათდებოდა ხარიჯიტების სხვა სექტები, კერძოდ **სუფრიტები (ას-სუფრიჰა)** და **იბადიტები (ალ-იბნადიჰა)** ან **აბადიტები**, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს არაბული მადრიბის ქვეყნების ბერბერთა შორის. გაუთავებელმა სისხლისღვრამ დაასუსტა ხარიჯიტები და X საუკუნიდან მოკიდებული მათი როლი სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე შესუსტდა.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი სექტებისა და მათ შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობებისა ისლამმა შეინარჩუნა ისეთი ძლიერი მხარე, როგორცაა უნივერსალობა და ეგალიტარიზმი. ეს რელიგია არასოდეს არ ყოფილა ჩაკეტილი გარკვეულ ეთნიკურ ან რეგიონალურ ჩარჩოებში, რამაც მას საშუალება მისცა მსოფლიოს უდიდესი მონოთეისტური რელიგია გამხდარიყო. ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეებში ამ იდეოლოგიის თავგამოდებული მიმდევრები გახდნენ არაარაბები, კერძოდ სპარსელები, ბერბერები, სელჩუკები, შუა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხები და, ბოლოს, ოსმალო თურქები. უკვე VIII-IX საუკუნეებში მუჰამედის რელიგიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამ კონტინენტზე, ხოლო ცალკეული მუსლიმური თემები დღესაც არსებობენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

თავი IX

ფატიმანთა სახელმწიფო არაბულ მატრიბსა და კვიპრეში (910-1171)

1. ფატიმანთა სახელმწიფოს წარმოქმნა არაბულ მატრიბში

შიიტ ისმაილიტთა მისიონერულ საქმიანობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა ისლამურ ქვეყანაში, IX საუკუნის მიწურულს წარმატება მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. ამ რეგიონში ისმაილიტური მოძღვრების გავრცელებასა და დამკვიდრებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა იემენელმა შიიტმა მისიონერმა აბუ 'აბდ ალლაჰმა (აბუ 'აბდ ალლაჰ აშ-შინ), რომელიც 894 წელს სან'ადან მადრიბში გადასახლდა. იგი სათავეში ჩაუდგა ბერბერების ძლიერ ქითმას (ან ქუთმას) ტომს და 909 წლის მარტში დაიკავა ალლაბიანთა დედაქალაქი რაკკადა, რომელიც კაირავანის სამხრეთ-დასავლეთით აუშენებია ალლაბიანთა ამირას იბრაჰიმ იბნ აჰმადს 877 წელს. ამ უკანასკნელი სუნიტური დინასტიის მეტაური ზიადთ ალლაჰი (903-909) ეკვიპტეში გაიქცა, ხოლო აბუ 'აბდ ალლაჰმა თავი „მაჰდის მაცნედ“ გამოაცხადა.

იმავე 909 წელს მადრიბში გამოჩნდა კიდევ ერთი ისმაილიტი მისიონერი, რომლის სახელი, როგორც ფიქრობენ იყო **სა'იდი (სა'იდ)**. იგი თავს თვლიდა მეექვსე იმამის ჯა'ფარ ას-სნდიკის შთამომავლად და პრეტენზიას აცხადებდა 'ალისა და ფატიმას ოჯახის წევრობაზე, რაც შემდეგ მის მიერ დაარსებული დინასტიის სახელზეც აისახა. სა'იდი მანამდე სირიაში მეტაურობდა იქაური კარმატების აჯანყებას, მაგრამ 902 წელს მარცხი განიცადა, რის შემდეგაც იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. ისარგებლა რა ისმაილიზმის წარმატებით, იგი ჩავიდა ქალაქ სიჯილმასაში (დღ. მაროკოს ტერიტორიაზე), რათა იქიდან დაკავშირებოდა თავის თანამოაზრეებს. მადრიბის ამ ქალაქს მაშინ ფაქტობრივად (758 წლიდან) აკონტროლებდნენ ხარიჯიტები, რომლებისთვისაც ისმაილიტების მოძღვრება მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე, ახლად მოვლენილი მისიონერი საპყრობილეში აღმოჩნდა, რაც ცნობილი გახდა ბერბერებისთვის. აბუ 'აბდ ალლაჰის მეტაურობით ისინი თავს დაესხნენ სიჯილმასას და გაათავისუფლეს პატიმარი, რომელიც 910 წლის იანვარში (297 წ. რაბი' II) რაკკადაში გამოცხადდა მაჰდიდ და მართლმორწმუნეთა მბრძანებლად (ამირ ალ-მუ'მინინ), ე.ი. ხალიფად ტიტულით **'უბაიდ ალლაჰ ალ-მაჰდინ (910-934)**, თუმცა ხშირად მას უფრო მოკრძალებულად **'უბაიდულას** სახელით მოიხსენიებენ. ამგვარად, „წინასწარმეტყველება“ მაჰდის გამოჩენის შესახებ აღსრულდა, ხოლო ბერბერები, რომლებმაც სოციალური სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის პერსპექტივები ხარიჯიტობის

ნაცვლად ისმაილიტების მოძრაობაში დაინახეს, ახლა ფატიმიანთა სახელმწიფოს (დავლათ ალ-ფატიმიდია) მკაცრი და კარგად ორგანიზებული რეჟიმის იარაღად იქცნენ.

უბაიდ ალლაჰის წარმომავლობისა და ფატიმიანთა გენეალოგიის შესახებ არაბ ისტორიკოსთა შრომებში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია დაცული. ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორც არიან იბნ ალ-ასირი (XII-XIII სს.), იბნ ხალდუნი (XIV-XV ს. დამდეგი) და ალ-მაკრიზი (XIV-XV სს.) იზიარებენ თვალსაზრისს, რომლის თანახმად **ფატიმიანები (ფატიმიდურნი)** ხალიფა ალისა და ფატიმას ოჯახს ეკუთვნოდნენ. აქედან გამომდინარე, უბაიდ ალლაჰის მიერ შექმნილ სახალიფოს ისინი ალავიტების სახელმწიფოს უწოდებდნენ. ისტორიკოსების მეორე ნაწილი ფატიმიანთა პირველ ხალიფას თვითმარქვიად მიიჩნევდა, დინასტიის სახელს კი მხოლოდ მის დამაარსებელს უკავშირებდა (**უბაიდუდურნი**). ასეთ ავტორთა შორის არიან იბნ ხალიქანი (XIII ს.), იბნ თაღრი ბარდი (XV ს.) და ას-სუიუტი (XV—XVI ს. დამდეგი). საკითხი ვერ გაირკვა მას შემდეგაც, რაც აბასიანთა ხალიფა ალ-კადირის (991-1031) ინიციატივით შეიქმნა ოფიციალური დოკუმენტი იმ დროის ცნობილი სუნიტი და შიიტი ავტორიტეტების ხელმოწერით. მუსლიმი ალიმები აცხადებდნენ, რომ ფატიმიანებს არაფერი არ ჰქონდათ საერთო ალის ოჯახთან და მათი ხალიფა ერეტიკოსის (ან ვინმე ებრაელის) შთამომავალი იყო. იგივე თვალსაზრისი განმეორებით იქნა დეკლარირებული 1052 წელს. მიუხედავად მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეებისა, რომელთა შორის ბაღდადის აბასიანთა და კორდოვას უმაიანთა ხალიფებიც იყვნენ, ფატიმიანებმა შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება და თავისი სახელმწიფოს გაფართოება მადრიბში, შემდეგ კი მადრიბს გარეთაც.

პირველი ხალიფა უბაიდ ალლაჰი ენერგიულად შეუდგა თავის ხელში სრული ძალაუფლების გაერთიანებას, მაგრამ ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობის დაძლევა მას შეუძლებლად მიაჩნდა გავლენიანი აბუ აბდ ალლაჰის თავიდან მოშორების გარეშე. ისმაილიტმა ხალიფამ წარმატებით გაიმეორა აბასიანთა ხალიფა ალ-მანსურის მაგალითი და მოაკვლევინა თავისი მსხნელი, რასაც აღშფოთებული ბერბერების მღელვარება მოჰყვა. უბაიდ ალლაჰმა მოხერხებულად გამოიყენა ის დაპირისპირება, რომელიც არსებობდა ბერბერებში, კერძოდ მადრიბის აღმოსავლეთით სანჰაჯას (მასში შედიოდნენ ქითამას ბერბერები) და დასავლეთით ზენათას ტომებს შორის, რამაც საშუალება მისცა დაძაბულობა განემუხტა, მაგრამ პრობლემა ამით არ მოხსნილა. 922 წელს ხელისუფლებით უკმაყოფილო ბერბერები, რომლებიც ძველ ხარიჯიტულ ლოზუნგებს დაუბრუნდნენ, კვლავ აჯანყდნენ აბუ იაზიდის მეთაურობით. 946 წელს მათ დაიკავეს კაირავანი, ხოლო შემდეგ ფატიმიანთა ახალი დედაქალაქი **ალ-მაჰდია**, რომელიც ხალიფამ ააშენა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე კაირავანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დედაქალაქად გამოაცხადა 920 წელს. საბოლოოდ ფატიმიანებმა მაინც შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება და შეიპყრეს აბუ იაზიდი, რომელიც საპრობილემში გარდაიცვალა 947 წელს.

უბაიდ ალლაჰ ალ-მაჰდიმ საფუძველი ჩაუყარა ფატიმიანთა ადმინისტრაციას მადრიბში, პროვინციებში თავისი მოხელეები დანიშნა და შემოიღო გადასახადები. ამის შემდეგ დადგა ტერიტორიული გაფართოების საკითხი,

რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა მომდევნო ხალიფების **ალ-კა'იმის (934-946)**, **ალ-მანსურის (946-953)** და **ალ-მუ'იზის (953-975)** დროს. 948 წლიდან სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა **ალ-მანსურია**, რომელიც ატარებდა მისი დამაარსებლის, მესამე ხალიფა ალ-მანსურის სახელს.

ჯერ კიდევ უბაიდ ალლაჰის დროს ფატიმიანთა სახალიფომ შეიერთა ბარკა და ტრიპოლი აღმოსავლეთით (დღ. ლიბია), ხოლო შემდეგ შუა და შორეული მაღრიბი, სადაც ბოლო მოუღო მიდრარიანთა და რუსთამიანთა წვრილ საფეოდალოებს. უფრო სერიოზულ მოწინააღმდეგეს ამ რეგიონში წარმოადგენდა იდრისიანთა შიიტური საამირო დღევანდელი მაროკოს ტერიტორიაზე. მართალია, უკვე 917 წელს იდრისიანებმა ფორმალურად აღიარეს ფატიმიანები, მაგრამ ცდილობდნენ დახმარება მიეღოთ ესპანეთიდან და ამით დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. 958 წელს ხალიფა ალ-მუ'იზმა მაღრიბის საბოლოოდ დასამორჩილებლად გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სარდალი ჯავჰარი, ეგვიპტის მომავალი დამპყრობი. ჯავჰარმა დაიკავა ქალაქები სიჯილმასა, იდრისიანთა დედაქალაქი ფესი, გავიდა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და, ამგვარად, დაამთავრა ჩრდილოეთ აფრიკის გაერთიანება. ადგილობრივი ბერბერთა ტომები ზოგი ძალით და ზოგი მოსყიდვით ფატიმიანთა ვასალებად იქცნენ. ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა დაპირისპირება მუსლიმურ ესპანეთთან: ფატიმიანთა ფლოტის მიერ ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროს დარბევას მოჰყვა უმაიანთა მკაცრი საპასუხო ზომები მაღრიბში, რამაც ფატიმიანები დაარწმუნა მეზობელ ძლიერ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის არაპერსპექტიულობაში.

აღლაბიანთა სახელმწიფოსგან ფატიმიანებმა მემკვიდრეობით მიიღეს კუნძული სიცილია (სიკილიდია), მაგრამ ოთხი წლის შემდეგ იქაურმა მუსლიმებმა **აჰმად იბნ კურჰუბის (912-916)** მეთაურობით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ხუტბა ადავლინეს 'აბასიანთა ხალიფას სახელზე. 917 წელს ფატიმიანთა ჯარმა ძალით დაიმორჩილა კუნძული, თუმცა მასზე პრეტენზიას ბიზანტიაც აცხადებდა. მესამე ხალიფა ალ-მანსურმა 948 წელს სიცილია გადასცა თავის სარდალს **ალ-ქალბის (ალ-ჰასან იბნ 'ალნ იბნ ალ-ქალბნ, გარდ. 965 წ.)** ავტონომიური უფლებებით და იმ პირობით, რომ იგი უზრუნველყოფდა მაღრიბის უსაფრთხოებას ხმელთაშუა ზღვიდან. ბიზანტიელებმა სცადეს კუნძულის ხელში ჩაგდება, მაგრამ საზღვაო ბრძოლაში ორჯერ განიცადეს მარცხი. სიცილიაში დამკვიდრდა ქალბიანთა დინასტია, რომლის დროსაც კუნძული არაბული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი გახდა. მართალია, XI საუკუნის მიწურულს ნორმანების შემოსევის შემდეგ კუნძული ქრისტიანული სამეფო გახდა, მაგრამ არაბულ სამყაროსთან მისი ურთიერთობა არ შეწყვეტილა. მეფე **როჯერ II-ის (1130-1154)** დროს სიცილიაში გაიშალა დიდი სამეცნიერო საქმიანობა, რომლის შედეგებიც მკვლევართა მიერ შეფასებულია, როგორც არაბულ-ნორმანული ან ისლამურ-ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა.

ამგვარად, X საუკუნის პირველ ნახევარში შიიტმა ისმა'ილიტებმა შექმნეს სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ჩრდილოეთ აფრიკის ვრცელ ტერიტორიას ატლანტის ოკეანის სანაპიროდან ეგვიპტემდე. ძლიერი ფლოტი და ჯარი, რომლის ძირითად ძალას ისევ ბერბერების რაზმები შეადგენდნენ, აძლიერებდა ფატიმიანთა ამბიციებს და დღის წესრიგში სვამდა ეგვიპტის შემოერთების

საკითხს, მაგრამ ფატიმიანთა პირველი ხალიფები იძულებული იყვნენ არა-ბულ მადრიბზე კონტროლით დაკმაყოფილებულიყვნენ. მდგომარეობა მხოლოდ მეოთხე ხალიფა ალ-მუ'იზის დროს შეიცვალა.

2. ფატიმიანთა სახალიფო ეკვიპტეში

967 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავის შემდეგ ხალიფა ალ-მუ'იზს საშუალება მიეცა მთელი ძალები მიემართა ეგვიპტის დასაპყრობად. მას კარგად ესმოდა მდიდარი ეგვიპტის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს დიდი ქვეყანა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აზიისა და აფრიკის ისლამურ ქვეყნებს და ფატიმიანებს გზას უხსნიდა სირიის, ჰიჯაზისა და ერაყისაკენ, მხოლოდ ფორმალურად შედიოდა 'აბასიანთა სახალიფოში. ფატიმიანებმა რამდენჯერმე (913-915, 919-921, 925 წწ.) სცადეს ეგვიპტის დაპყრობა, მაგრამ უშედეგოდ.

969 წლის თებერვალში (358 წ. რაბი' II) ფატიმიანთა ჯარი, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი სარდალი **ჯავჰარი (ჯავჰარ ას-სიკილღი**, სპეც. ლიტ-ში გვხვდება „ჯაუჰარი“) კაირავანიდან აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ზღვიდან მას ზურგს უმაგრებდა ძლიერი ფლოტი. ეგვიპტის იხშიდიანთა რეჟიმი უძლური აღმოჩნდა მოწინააღმდეგის წინაშე და იმავე წლის ივლისში ჯავჰარი შევიდა ფუსტატში. მან ამანი მისცა ქალაქის მოსახლეობას და ბრძანა პირველსავე პარასკევს 'ამრის ძველ მეჩეთში ხუტბა აღევლინათ შიიტი ხალიფას ალ-მუ'იზის სახელზე. ეგვიპტის ისტორიაში დაიწყო ფატიმიანთა ორსაუკუნოვანი ბატონობის ხანა.

ახალი რეჟიმის პირველი ნაბიჯები ეგვიპტეში დაკავშირებული იყო ჯავჰარის საქმიანობასთან. **ფუსტატის დაკავების შემდეგ მან ძველი ქალაქის გვერდით საფუძველი ჩაუყარა ახალ ქალაქს, რომელსაც ეწოდა ალ-კაჰირა (ძღვეამოსილი, დღ. კაირო), ხოლო 970 წელს დაიწყო დიდი მეჩეთის – „ალ-აზჰარის“ შენება, რომელიც გაიხსნა 972 წლის იენისში (361 წ. 7 რამადანს). ამიერიდან კათედრალური მეჩეთის ფუნქციას 'ამრისა და იბნ ტულუნის მეჩეთებთან ერთად „ალ-აზჰარიც“ ასრულებდა. 973 წლიდან, ე.ი. ხალიფა ალ-მუ'იზის აქ გადმოსვლის შემდეგ კაირო სახალიფოს დედაქალაქი გახდა, დროთა განმავლობაში კი ისლამური სამყაროსა და აფრიკის უდიდეს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. ჯავჰარის მიერ დაარსებული ქალაქი დღესაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საარაბთაშორისო ურთიერთობებში.**

უკვე ხალიფა ალ-მუ'იზის დროს ფატიმიანთა ხალიფას ავტორიტეტი აღიარეს მექასა და მედინაში, მის სახელზე ხუტბას ადავლენდნენ არა მარტო ჰიჯაზში და მადრიბში, არამედ მოსულსა და იემენში. ნაკლებად შთამბეჭდავი იყო ფატიმიანთა წარმატება სირიაში, სადაც მათ მოუხდათ ჰამდანიანთა საფეოდალოს (ჩრდ. სირიაში), მანამდე ბუვაიჰიანთა სამსახურში მყოფი თურქული გვარდიის და, ბოლოს, ანტიოქიაში შეჭრილი ბიზანტიელების წინააღმდეგობის დაძლევა. მართალია, დროდადრო ეგვიპტელები წარმატებას აღწევდნენ, მაგრამ მაინც მთელი ასი წლის მანძილზე სირიაში ფატიმიანთა კონტროლი მტკიცე და საიმედო არ ყოფილა. ასევე რთული იყო ფატიმიანთა ურთიერთობა ისმა'ილიტ კარმატებთან, რომლებმაც თავისი სახელმწიფო

შექმნეს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო დასავლეთით და ბაჰრეინზე, მაგრამ აქტიურად მოქმედებდნენ სირიაშიც. კარმატებსა და ფატიმიანებს შორის არსებობდა იდეოლოგიური წინააღმდეგობა: კარმატები არ აღიარებდნენ არც ე.წ. „ფარულ იმამებს“ და არც ფატიმიანთა საიმამოს კანონიერებას. ასევე შეუთავსებელი აღმოჩნდა მათი პოლიტიკური ინტერესები სირიაში.

თავისი ძლიერების ზენიტს ფატიმიანთა სახალიფომ მიაღწია მეხუთე ხალიფა **ალ-‘აზიზის (აბუ მანსურ ნაზარ ალ-‘აზიზი, 975-996)** დროს, როცა ეგვიპტელ ისმაილიტთა ხელისუფლება ვრცელდებოდა ატლანტის ოკეანის სანაპიროდან წითელ ზღვამდე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია – ისმაილიტური შიიზმი მიუღებელი იყო ეგვიპტის მოსახლეობის სუნიტი უმრავლესობისათვის, ალ-‘აზიზის მოქნილი პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა შიიტებისა და სუნიტების, მუსლიმებისა და ქრისტიანების მშვიდობიანი თანარსებობა. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქრისტიანი ვეზირი ‘ისა იბნ ნესტორი (‘ისა იბნ ნასტურ), აგრეთვე იერუსალიმისა და ალექსანდრიის მელქიტი პატრიარქები.

ალ-‘აზიზის გამგებლობა ნაყოფიერი გამოდგა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. სწორედ მის დროს 989 წელს „ალ-აზჰარი“ გახდა უმაღლესი ისლამური სასწავლებელი, კაიროსა და მის გარეუბანში აშენდა მეჩეთები, სასახლეები და ხიდები, გაიყვანეს არხები. მაგრამ თავის საშინაო პოლიტიკაში ხალიფამ დაუშვა შეცდომა, რომელიც შემდეგ ძვირად დაუჯდა დინასტიას. მან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით შავკანიანი, ბერბერი და თურქული წარმომავლობის მემორებისგან შექმნა დაქირავებული რაზმები. ეს სამხედრო ძალა მალე გამოვიდა მორჩილებიდან და ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

ალ-‘აზიზის მემკვიდრე **ალ-ჰაქიმი (აბუ ‘ალი მანსურ ალ-ჰაქიმი, 996-1021)** თერთმეტი წლისა ავიდა ტახტზე. მის დროს ქვეყნის შინაპოლიტიკური ვითარება გართულდა, რადგანაც ხალიფამ სცადა უკიდურესი ისმაილიზმის ძალით გავრცელება ეგვიპტეში და სხვა რელიგიურ კონფესიათა დევნის გზას დაადგა. მისი მითითებით დაიწყო პირველი სამი „მართლმორწმუნე ხალიფას“ და მუ‘ავიას წყევლა მეჩეთებში, რამაც სუნიტების აღშფოთება და 1006 წელს აჯანყება გამოიწვია. ალ-ჰაქიმმა შეძლო ჩაეხშო ეს მღელვარება, რომელსაც ხალიფა ‘უსმანის ერთ-ერთი შთამომავალი აბუ რაჰვა მეთაურობდა, მაგრამ იძულებული გახდა სუნიტებისადმი დამოკიდებულება რამდენადმე შეეცვალა.

ალ-ჰაქიმის დროს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქრისტიანი და იუდეველი მოსახლეობის დევნამ. რელიგიურ უმცირესობათა მიმართ გატარდა უფლებების შეზღუდვისა და რეპრესიების პოლიტიკა, რაც საკულტო შენობების დანგრევა-გაპარტახებითაც ხორციელდებოდა. ხალიფას ბრძანებით 1009 წელს დაანგრეს იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ეკლესია. რეპრესიები გავრცელდა მუსლიმ მოსახლეობაზეც. ხალიფამ აკრძალა დღესასწაულები, მუსიკა და გართობა, ქალებს ურჩევდნენ საერთოდ არ გამოსულიყვნენ სახლიდან, ხოლო ისლამური მორალური და ეთიკური ნორმების მცირედი დარღვევისთვისაც დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო დედაქალაქში, სადაც მოსახლეობა ნორმალური ცხოვრების

ელემენტარულ პირობებს იყო მოკლებული. ფატიმიანთა „უცნაური ხალიფას“ არაპოპულარობით ისარგებლა ბაღდადის ‘აბასიანთა ხალიფამ, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ზემოთ უკვე ნახსენები დოკუმენტი ფატიმიანთა „თვითმარქვია დინასტიის“ შესახებ.

ალ-ჰაქიმის გამგებლობა დამთავრდა 1021 წელს, როცა იგი ალ-მუკატტამის მთასთან მხლებლების გარეშე სასეირნოდ გასული უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამან საფუძველი მისცა მის მომხრეებს განეცხადებინათ, რომ ხალიფა „გაუჩინარდა“, თუმცა იმთავითვე გაჩნდა ვარაუდი მისი მოკვლის შესახებ. ფიქრობენ, რომ ოდიოზური ხალიფა, რომელმაც თავი მოაბეზრა ყველას, გახდა მსხვერპლი შეთქმულებისა, რომლის ინიციატორი იყო მისი საკუთარი და – სითთ ალ-მულქი.

„უცნაური“ ექსტრემისტი ხალიფას სახელს უკავშირდება დღეისთვისაც კარგად ცნობილი დრუზების სექტის წარმოქმნა. შიიტი ისმაილიტების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეგვიპტიდან გაქცეული მისიონერი **ად-დარაზი (მუჰამმად იბნ ისმუნლ ად-დარაზნ, გარდ. 1019/20 წ.)** ფეხი მოიკიდა ლიბანის მთიანეთში. დრუზების (დურუზ) სექტისათვის დამახასიათებელია ალ-ჰაქიმის (მაჰდის) კულტი, აგრეთვე თავისი რელიგიური შეხედულებების შენიღბვა და სექტის წევრობის გასაიდუმლოება, რაც ფორმალურად სხვა რელიგიის აღიარებასაც არ გამორიცხავს (თაკნია). რიტუალით დრუზები განსხვავდებიან როგორც სუნიტებისგან, ისე შიიტებისგანაც. მათი რელიგიური მოძღვრების (ად-დურუზია) ფუძემდებლად და იდეოლოგებად ითვლებიან **ჰამზა იბნ ალნ (XI ს. პირველი ნახ.)** და უფრო გვიანდელი მეცნიერი **ათ-თანუნი (ჯამნლ ად-დინ აბდ ალლჰ ათ-თანუნ, 1417-1479)**.

ალ-ჰაქიმის მემკვიდრემ ხალიფა **აზ-ზაჰირმა (აზ-ზაჰირ ლი-დინ ალლჰ, 1021-1036)** უარი თქვა ექსტრემისტულ ისმაილიზმზე და სცადა ზომიერი რელიგიური პოლიტიკის გატარება. მან უფლება მიიღო აღედგინა მეჩეთი კონსტანტინოპოლში და მისი სახელი მოხსენიებული ყოფილიყო ბიზანტიის იმპერიის პროვინციებში არსებულ მეჩეთებში. ამის საპასუხოდ ქრისტიანებს ნება დაერთოთ აღედგინათ მაცხოვრის საფლავის ეკლესია იერუსალიმში.

ფატიმიანთა შემდეგი ხალიფა **ალ-მუსტანსირის (ალ-მუსტანსირ ბი-ლლჰ, 1036-1094)** გამგებლობა ყველაზე ხანგრძლივია ისლამური ქვეყნების ისტორიაში. მის დროს თურქული წარმოშობის სარდალმა არსლან ალ-ბასასირიმ დროებით დაიკავა ბაღდადი, აიძულა ‘აბასიანთა ხალიფა ალ-კა’იმი ეცნო ფატიმიანთა ხალიფას პრეროგატივები და მოციქულის ხალათიც გაეგზავნა მისთვის.

ხალიფამ წარმატებას მიაღწია სამხრეთ არაბეთშიც, სადაც ისმაილიზმმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი: აქ ისმაილიტების მოძღვრებას ნერგავდა მისიონერი **‘ალნ იბნ მუჰამმად ას-სულაჰი (1047-1067)**, ადგილობრივი ყადის შვილი. მან ზედიზე იმამს წაართვა სანა, შემდეგ კი ადენიც დაიკავა. ამგვარად, იემენში შეიქმნა **სულაჰიანთა სახელმწიფო**, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ფატიმიანთა ეგვიპტესთან. საინტერესოა, რომ 1099-1138 წლებში ფაქტობრივად დინასტიის სათავეში იდგა ქალი – **ას-საჰიდა არვა**. 1174 წლის შემდეგაც, როცა იემენი აიუბიანთა ხელში გადავიდა, სულაჰიანთა შთამომავლები XII საუკუნის მიწურულამდე ინარჩუნებდნენ ცალკეულ ციხესიმაგრეებს.

ქვეყნის გარეთ მიღწეული ზოგიერთი წარმატება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მწვავე საშინაო მდგომარეობის კომპენსაცია. მატერიალური ანაზღაურებით უკმაყოფილო დაქირავებული რაზმების თვითნებობამ, რაც ბოლოს შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა, ხალიფას გავლენა და ავტორიტეტი მინიმუმამდე დაიყვანა. თურქმა გვარდიელებმა დაარბიეს ხალიფას სასახლე, ხაზინა და მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკაც არ დაინდეს. მოუსაგლიანი წლები, ეპიდემიები და შიმშილი კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობას. ფატიმიანთა სახელმწიფოს საფრთხე დაემუქრა ეგვიპტის გარეთაც: სირიაში მას დაუპირისპირდნენ სელჩუკები, ხოლო 1071 წელს ნორმანებმა მიიტაცეს სიცილია. ასეთ ვითარებაში ხალიფამ ეგვიპტეში მიიწვია და ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება გადასცა სირიელ სარდალს, 'აქქას გამგებელს **ბადრ ალ-ჯამალის (გარდ. 1094)**, ყოფილ მონას. წარმოშობით სომეხი, ალ-ჯამალი სირიის ერთ-ერთი ამირას სამსახურში დაწინაურდა, ებრძოდა სელჩუკებს და კარგი ადმინისტრატორის რეპუტაციით სარგებლობდა. ეგვიპტეში მან ბოლო მოუღო თურქი გვარდიელების თარეშს, მოაწესრიგა საფინანსო და სახელმწიფო აპარატი, შეავსო დაცარიელებული ხაზინა. მისი სამშენებლო საქმიანობის კვალი დღესაც ჩანს კაიროში ქალაქის სამი კარის – ბნბ ზაფლას (ზავაფლას), ბნბ ალ-ფუთუჰის და ბნბ ან-ნასრის სახით.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ფატიმიანებმა ფაქტობრივად დაკარგეს სირია. ალ-ჯამალიმ ორჯერ – 1063-1064 და 1066-1068 წლებში სცადა დაეკავებინა დამასკო, მაგრამ ჯერ თურქმენებმა და შემდეგ კი სელჩუკებმა არ მისცეს მას სირიის დაბრუნების საშუალება. კაიროს ხალიფას ხელში დარჩა საზღვაო ქალაქები ტვიროსი, ბეირუთი, საიდა (სიდონი), 'აქქა და 'ასკალანი ('ასკალან), ფატიმიანთა მთავარი დასაყრდენი სირიაში. ალ-ჯამალის გარდაცვალების შემდეგ ვეზირი გახდა მისი შვილი **ალ-აჰდალი**, რომელმაც სცადა მამის პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ალ-მუსთანსირის დროს ეგვიპტელ ისმა'ილიტთა შორის მოხდა განხეთქილება, რომელიც მემკვიდრის საკითხს უკავშირდებოდა, მაგრამ მისი შედეგები გასცადა სახელმწიფოს საზღვრებს. 1078 წელს ხალიფამ მემკვიდრის უფლება ჩამოართვა უფროს ვაჟს ნიზარს და გადასცა უმცროსს ალ-მუსთა'ლის. საბოლოო გამარჯვება დარჩა ალ-მუსთა'ლის, რომელიც ხალიფა გახდა. ნიზარი და მისი შვილი ციხეში დაიღუპნენ, მაგრამ მათმა მიმდევრებმა – **ნიზარტებმა (ნიზარტ)** შექმნეს სექტა (ან ორდენი), რომელიც მალე ცნობილი გახდა არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. მისი დამაარსებელი იყო **ალ-ჰასან იბნ ას-საბბჰი (გარდ. 1124 წ.)**, როგორც ფიქრობენ სპარსელი ქ. ტუსიდან, რომელიც თავის წარმომავლობას უკავშირებდა სამხრეთ არაბეთის ჰიმართა მეფეებს. წელიწად-ნახევარი იგი ეგვიპტეში იმყოფებოდა, საიდანაც დაბრუნდა, როგორც ისმა'ილიტი მისიონერი. ას-საბბჰმა ხელში ჩაიგდო ციხესიმაგრე ალამუთი (ალამუთ) ქალაქ ყაზვინის ჩრდილო-დასავლეთით, საიდანაც ხელმძღვანელობდა ორდენის წევრებს ირანში, ერაყსა და სირიაში. თავისი შეხედულებები და პოლიტიკური პლატფორმა ას-საბბჰმა ჩამოაყალიბა ტრაქტატში – „ად-და'ვა ალ-ჯადრდა“ („ახალი მოწოდება“), რომელიც „ნეისმაი'ლიზმის“ სახელითაა ცნობილი, ადრე არსე-

ბული „ძველი მოძღვრებისაგან“ („ად-და'ვა აღ-კადნმა“) განსხვავებით. „ახალი ისმა'ილიტები“ ცნობილი გახდნენ სახელწოდებით „ჰაშშაშუნ“ („ჰაშიშის მწვევლები“), ან „მულჰიდები“ („მალჰიდა“ – „გზააბნეულნი“, განსაკუთრებით ირანში). ისმა'ილიტი ნიზარიტების მთავარ ძალას წარმოადგენდნენ პროფესიონალი მებრძოლები – ფიდაები (ფიდან ან ფიდანე), რომლებიც ინდივიდუალურ ტერორს მიმართავდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ უსიტყვოდ შეესრულებინათ ორდენის მეთაურის, მთავარი და'ის (დნ'ი აღ-დუ'თ) ბრძანება თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ცალკეული სახელმწიფო მოღვაწეების ფიზიკური განადგურებით ორდენი ცდილობდა არ დაეშვა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. საბოლოო მიზანი, რომელსაც ისინი ისახავდნენ იყო ისლამურ ქვეყნებში მტკიცედ დამკვიდრებული იქტას ინსტიტუტის მოსპობა და სასოფლო თემის აღდგენა. მიზნის მისაღწევად ფიდაები იარაღს მიმართავდნენ როგორც მუსლიმების, ისე ქრისტიანების (ჯვაროსნების) წინააღმდეგ, რის გამოც ევროპელებში **ნიზარიტ ისმა'ილიტებს ასასინების, ე.ი. მკვლელების** სახელი დაუმკვიდრდათ. ასასინთა ორდენმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩრდილოეთ სირიაში, სადაც მათ ხელთ იგდეს ციხესიმაგრე მასიაფი (ან მასანდი). სირიელი ისმა'ილიტების უმაღლეს ავტორიტეტად ითვლებოდა „მთის შეიხი“ **რშიდ აღ-დნ სინან-ი (გარდ. 1192 წ.)**.

რაც შეეხება საკუთრივ ეგვიპტეს, აქ აღ-მუსთანსირის შემდეგ XII საუკუნის პირველ ნახევარში მდგომარეობა გაუარესდა. ფატიმიანთა ხალიფებმა მთლიანად დაკარგეს ძალაუფლება და ვეზირებზე ან სამხედრო მეთაურებზე გახდნენ დამოკიდებული. ეკონომიკური დეპრესია და ჯვაროსანთა მხრივ წარმოქმნილი ახალი საფრთხე აახლოებდა დინასტიის აღსასრულს. ასეთ პირობებში 1171 წელს სირიიდან მოსულ ქურთ სარდალს შირქუჰს და მის ძმისწულს სალაჰ აღ-დინს ისლა დარჩენოდათ, რომ საბოლოო წერტილი დაესვათ ფატიმიანთა სახალიფოს ისტორიისთვის.

3. ფატიმიანთა სახალიფოს პოლიტიკური სისტემა, სამეურნეო უზრუნველყოფა, მეცნიერება

ფატიმიანთა სახალიფოს ადმინისტრაციული და ეკონომიკური სტრუქტურა საბოლოოდ ჩამოყალიბდა აღ-მუ'იზის და აღ-აზიზის დროს პირველი ვეზირის **იბნ ქილლისის (აბუ-ლ-ჰარაჯ მა'კუბ იბნ ანსუჰ იბნ ქილლის, 930-991)** აქტიური მონაწილეობით. იბნ ქილლისი იყო ბაღდადელი გამუსლიმებული ებრაელი. ჯერ კიდევ ფატიმიანთა გამორჩენამდე იგი გადასახლდა ეგვიპტეში და ქაფურის საფინანსო მოხელე გახდა, შემდეგ გადავიდა კაირავანში, ხოლო 973 წელს ხალიფა აღ-მუ'ითან ერთად ეგვიპტეში დაბრუნდა. მისი დახმარებით სახელმწიფოში დაინერგა 'აბასიანთა ირანიზირებული ადმინისტრაციული სისტემის ძირითადი კომპონენტები. იბნ ქილლისს მხარს უმაგრებდა ფატიმიანთა მთავარი იდეოლოგი და ისმა'ილიტური სამართლის ფუძემდებელი **იბნ ან-ნუშან-ი (გარდ. დაახლ. 979 წ.)**, რომელსაც მთავარი ყადის თანამდებობა ეკავა. თავის ნაშრომში „და'ნიმ აღ-ისლამ“ („ისლამის საფუძვლები“) ის ამტკიცებდა, რომ სოციალური სამართლიანობის პრინციპი, რომელიც ის-

მაილიტების მოძღვრებაშია მოცემული, დროთა განმავლობაში აუცილებლად განხორციელდებოდა.

ისმაილიტური ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში ვეზირის ან კომპეტენტური მრჩევლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, რომ ხალიფები, როგორც წესი, ადრეულ ასაკში ადიოდნენ ტახტზე და ფაქტობრივად დიდხანს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ვერ ასრულებდნენ. ასე მაგალითად, გახალიფებისას ალ-ჰაქიმი იყო 11 წლის, ალ-მუსტანსირი 7-ის, ალ-მუსტაჲლი 8-ის, ალ-ამირი 5-ის, აზ-ზაჰირი 17-ის, ალ-ფაჲი 5-ის და ბოლო ხალიფა ალ-ადიდი 9 წლისა.

ეგვიპტე მდიდარი სამეურნეო ქვეყანა იყო და ხალიფა მუჲიზმა, პირველ რიგში, მის მაქსიმალურ გამოყენებაზე იზრუნა, რაც საგადასახადო სისტემის მოწესრიგებით გამოიხატა. ძირითადი გადასახადები იყო ჯიზია და ხარაჯა. მიწაზე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია, მაგრამ ხდებოდა მისი იჯარით გაცემა. სახელმწიფოს ხელში გადავიდა საგარეო ვაჭრობა და ფლოტი. ფატიმიანთა ხალიფები დიდი მესაკუთრენი იყვნენ: მაგალითად, კაიროში მათ ეკუთვნოდათ ათასობით სახლი და წერილი სავაჭრო. ფაქტობრივად სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებოდა მრავალი სახელოსნო, რომელიც აწარმოებდა პროდუქციას, როგორც ხალიფას სასახლისთვის, ისე საშინაო და საგარეო ბაზრისთვის. ბრუნვაში შევიდა ფატიმიანთა მიერ მოჭრილი მონეტები.

ეგვიპტის ისტორიის ფატიმიანთა პერიოდი არ იყო ძალიან პროდუქტიული მეცნიერებისა და ლიტერატურის სფეროში. უკიდურესი შიიტური იდეოლოგიის დანერგვა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სუნიზმს აღიარებდა, არ უწყობდა ხელს ინტელექტუალურ საქმიანობას და ფაქტობრივად ზღუდავდა შემოქმედებით საქმიანობას ვიწრო ექსტრემისტული დოგმატიკის გარეთ. მიუხედავად ამისა, ხალიფების ალ-მუჲიზის და ალ-აზიზის ვეზირების იბნ ქილლისის და იბნ ჯამალის პირადი ღვაწლის შედეგად ეგვიპტეში შეიქმნა პირობები მეცნიერული კვლევისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ალ-აჰჰარის“ და სამეფო ბიბლიოთეკის როლი განათლების საქმეში. ზოგიერთი ცნობით, დარბევის შემდეგაც ბიბლიოთეკაში 100 ათასამდე წიგნი ინახებოდა, მათ შორის ატ-ტაბარის „ისტორიის“ ავტორისეული ვერსია და ცნობილი კალიგრაფის იბნ მუკლას ხელნაწერები. ექსტრემისტული შიიზმის პროპაგანდისთვის ხალიფა ალ-ჰაქიმის დროს 1005 წელს დაარსდა სასწავლებელი „დარ ალ-ილმ“, ხოლო მუკატამის მთაზე აშენდა ობსერვატორია. აქ მუშაობდა გამოჩენილი ასტრონომი **იბნ იუნუსი** (**ალბი იბნ აბი საჲდ იბნ იჲნუს ას-სადაჰი, გარდ. 1009 წ.**). იგი დაახლოებული იყო ხალიფას კართან და ასტრონომიული ობსერვატორიის ერთ-ერთ ორგანიზატორად ითვლება. ასევე დიდი მეცნიერი, ასტრონომი, მათემატიკოსი, ექიმი და არისტოტელეს კომენტატორი იყო ბასრელი **იბნ ალ-ჰაისამი** (**აბუჲ ალბი ალ-ჰაისანი იბნ ალ-ჰაისამი, 965-1039**). ერთხანს მას ბაღდადში ვეზირის თანამდებობაც ეკავა, საბოლოოდ კი მთელი სიცოცხლე მეცნიერებას დაუკავშირა. ხალიფა ალ-ჰაქიმმა იგი ეგვიპტეში მიიწვია, მაგრამ შემდეგ საჰყრობილეში ჩასვა. ხალიფას სიკვდილის შემდეგ იბნ ალ-ჰაისამი წარმატებით განაგრძობდა მუშაობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ევროპაშიც გახდა ცნობილი „ალ-ჰაჲენის“ სახელით. მისი ნაშრომი ოპტიკაში „ქითაბ ალ-მანჲიზი“ ითარგმნა ლათინურად უკვე 1572 წელს. ამ მუსლიმი მეცნიერის გავლენა განიცადეს შუა

საუკუნეების დიდმა ევროპელმა მეცნიერებმა როჯერ ბეკონმა, ლეონარდო და ვინჩიმ და იოჰან კეპლერმა. თავის შრომებში იბნ ალ-ჰადისამმა გადასინჯა ევკლიდესა და პტოლემეაიოსის ზოგიერთი დებულება. აღნიშნული პერიოდის ისტორიკოსებიდან შეიძლება გამოვყოთ **ალ-ქინდინი (აბუ 'უმარ მუჰამად იბნ აუსუფ ათ-თუჯინი ალ-ქინდინი, 897-961)** და **იბნ სა-სალამა ალ-კუდანი (გარდ. დაახლ. 1062 წ.)**.

ფატიმიანთა დროს, განსაკუთრებით ალ-აზიზის გამგებლობისას ეგვიპტეში, განსაკუთრებით კაიროში, აღიმართა რამდენიმე საინტერესო ნაგებობა, დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის თანახმად ცნობილ პირთა მავზოლეუმებს მეჩეთებთან აერთიანებდნენ. ძველ ფუსტატში ამ დროს ყოფილა შეიდი, ხოლო კაიროში რვა დიდი მეჩეთი. სამშენებლო საქმეში, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ფატიმიანთა ეგვიპტის „ოქროს ერა“ დაიწყო ალ-მუ'იზის დროს და ზენიტს მიაღწია ალ-აზიზის ხალიფობისას. ალ-მუსთანსირის ტახტზე ასვლის შემდეგაც ისმა'ილიტთა სახალიფო ისლამური სამყაროს წამყვან ქვეყნად რჩებოდა. ფატიმიანთა გამგებლობის პერიოდში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა მთლიანობაში შეიძლება შეფასდეს, როგორც **არაბულ-სპარსული მოვლენა, მაშინ როცა უფრო გვიანდელი აიუბიანებისა და მამლუქთა დროს უფრო მკაფიოდ თურქული გავლენა გამოიკვეთა.**

ფატიმიანთა დროინდელი ეგვიპტის შესახებ პირველხარისხოვან წყაროდ ითვლება სპარსულ ენაზე დაწერილი „საჰარ ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“), რომელიც ეკუთვნის XI საუკუნის მოგზაურს **ნასირ-ი ხუსრაუს**. მოგზაურობა მან დაიწყო მერვიდან, მოინახულა იერუსალიმი და რამდენიმეჯერ იპილიგრიმა პიჯაზში. მისი ნაშრომი მთლიანად ემყარება პირად დაკვირვებებს და ეკუთვნის ე.წ. „საპილიგრიმო წიგნებს“ („ქუთუბ აზ-ზიჰარათ“). თხზულებაში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ 1047 წელს ხალიფა ალ-მუსთანსირის დროს მდინარე ნილოსზე გამართულ ზეიმს, რომელიც არხის გაყვანასთან იყო დაკავშირებული, ქართველი უფლისწულებიც ესწრებოდნენ (**ვალერიან გაბაშვილი, ვია ჟორჟოლიანი**). XI საუკუნის პირველი ნახევრის ქრისტიანი ავტორის **იაჰია ანტიოქელის** ცნობებიდან დასტურდება, რომ ქართველ მეფეებს მართლაც ჰქონდათ ურთიერთობა ფატიმიანებთან, რაც ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ნასირ-ი ხუსრაუს ზემოაღნიშნული ცნობაც, ალბათ, ამ ურთიერთობის ანარეკლია.

მ ა შ ი X

წინა აზიის არაბული ქვეყნები XI-XII საუკუნეებში

1. სირია-პალესტინა ოყრქ-სელჩუკებისა და ჯვაროსნების ექსპანსიის პერიოდში

XI საუკუნის მეორე ნახევარში სირიაში რეალურ პოლიტიკურ ძალას თურქ-სელჩუკები წარმოადგენდნენ. მათი რაზმები აქ უკვე 1070 წელს გამოჩნდნენ და სულთან ალფ არსლანს დაუმორჩილეს ჰალეები (1071 წ.), შემდეგ კი დამასკოც, თუმცა ფატიმიანთა ხალიფა არ აპირებდა სირიის დათმობას. საბოლოოდ ქვეყანა დარჩა სულთან მალიქ შაჰის ძმას ამირა თუთუშს, რომელიც მოკლეს 1095 წელს. თუთუშის შვილები რიდვანი – ჰალეებში (1095-1113) და დუკაკი – დამასკოში (1095-1104) ერთმანეთს ებრძოდნენ. გაუთავებელი შეტაკებებისა და ფეოდალური ანარქიის ვითარებაში სირია-პალესტინაში გამოჩნდა ახალი საფრთხე ჯვაროსანთა სახით.

ჯვაროსანთა ომების სახელით ცნობილია ევროპელ რაინდთა ომები, რომელთა მიზანი იყო წინა აზიის ისლამური ქვეყნების კოლონიზაცია. X-XI საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, ქალაქების ზრდამ და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებამ გამოიწვია გლეხთა მასების გადატაცება და ფეოდალთა მატერიალური მოთხოვნილების გაძლიერება. ფეოდალურ ევროპაში მომწიფდა აზრი, რომ მიზანშეწონილი იყო მოსახლეობის ერთი ნაწილის გაყვანა ევროპიდან და მისი ენერჯის წარმართვა მუსლიმებისგან პალესტინის წმინდა ადგილების, განსაკუთრებით იერუსალიმის გამოსახსნელად. ფართოდ გავრცელებული ხმები აღმოსავლეთის ქვეყნებში დაგროვილი ურიცხვი სიმდიდრის შესახებ, არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა ამ ლაშქრობების დაწყებაში.

ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა ეკუთვნის რომის პაპს გრიგოლ VII-ს (1073-1085), ხოლო პრაქტიკული განხორციელება ურბან II-ს (1088-1099), რომელმაც 1095 წელს საეკლესიო კრებაზე საფრანგეთის ქალაქ კლერმონში ქრისტიანებს მოუწოდა დაეწყოთ დიდი ლაშქრობა „წმინდა მიწის“ და აღმოსავლეთის ქრისტიანთა გამოსახსნელად. ამ მოწოდების საპასუხოდ, ათასობით ევროპელმა რაინდმა „ჯვარი მიიღო“ და წინა აზიისაკენ დაიძრა. ჯვაროსნებს მხარს უჭერდნენ ჩრდილო იტალიის ქალაქები – ვენეცია, გენუა და პიზა. **ცნობილია რვა ჯვაროსნული ლაშქრობა (1096-1270 წწ.), რომელთაგან ბოლო ლაშქრობა მიმართული იყო ეგვიპტისა და თუნისის წინააღმდეგ.**

ჯვაროსანთა პირველი რაზმები სირია-პალესტინისკენ გაემართნენ 1096 წელს. გაიარეს რა მცირე აზია, 1097 წელს ისინი ჩრდილოეთ სირიას მიაღწენ. **1098 წლის თებერვალში გრაფ ბოდუენის მეთაურობით ჯვაროსნები**

შევიდნენ სომხებით დასახლებულ ქალაქ ედესაში (არ-რუჰა, დღ. ურფა), რომელიც 1087 წლიდან სელჩუკებს ეკავათ, ხოლო ჯვაროსანთა გამორჩენის წინ ფორმალურად ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა. ედესა ცნობილი იყო ხელოსნობითა და სატრანზიტო ვაჭრობით, რომელიც მესოპოტამიას სირიასთან აკავშირებდა. ამიტომ, ჯვაროსანთა ინტერესი ამ ქალაქისადმი დიდი იყო. ფრანკებმა ედესა დაიკავეს ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის მოტივით, მაგრამ მათი ნამდვილი მიზანი მალე გამოჩნდა: ბოდუენმა გააუქმა ქალაქის თვითმმართველობა და ვერაგულად მოაკვლევინა სომხების წინამძღოლი ტოროსი. მოსახლეობის ცდას, თუნდაც სელჩუკების დახმარებით გათავისუფლებულიყვნენ იმ ძარცვისა და ძაღადობისგან, რომელიც მათ ჯვაროსნებმა მოუტანეს, შედეგი არ მოჰყოლია. ბოდუენმა თავის სრულ კონტროლს დაუმორჩილა ქალაქიც და მთელი ახლომდებარე რეგიონი, **რითაც საფუძველი ჩაუყარა ჯვაროსანთა პირველ სახელმწიფოს აღმოსავლეთში – ედესის საგრაფოს.**

ედესასთან მიღწეული წარმატებით გამხსნევებული ჯვაროსნების სხვა რაზმები მიაღწენ ანტიოქიას, რომელიც ამ დროს სელჩუკთა ხელში იყო. 1098 წლის ივნისის დამდეგს ნორმანების რაზმის მეთაურის, ჰერცოგ ბოჰემუნდის წინამძღოლობით ჯვაროსნებმა მომქანცველი ალყის შემდეგ შეძლეს კარგად გამაგრებული ქალაქის აღება. ანტიოქიის დასაბრუნებლად სირიაში მოსულიდან გადავიდა სელჩუკთა ძლიერი ჯარი, მაგრამ ჯვაროსნებმა მოახერხეს მისი უკუგდება. ამგვარად, **1098 წლის მიწურულს შეიქმნა ანტიოქიის სამთავრო, რომელსაც სათავეში ბოჰემუნდი ჩაუდგა.**

ევროპელ ქრისტიანთა მომძლავრება ჩრდილოეთ სირიაში არ აღმოჩნდა საკმარისი მუსლიმთა ძალების კონსოლიდაციისათვის. სირია-პალესტინის სანაპირო ქალაქების არაბი გამგებლები კვლავ შიშით უყურებდნენ სელჩუკებს და მზად იყვნენ ჯვაროსნებთანაც კი ეთანამშრომლათ. სელჩუკთა მარცხი აწყობდათ ეგვიპტელ ფატიმიანებსაც, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ სირია-პალესტინის დაკარგვას. ისარგებლა რა სელჩუკთა წარუმატებლობით ანტიოქიასთან, ფატიმიანთა ხალიფამ 1098 წელს დაიბრუნა იერუსალიმი და შეინარჩუნა მთელი სანაპირო ზოლი – ‘ასკალანი (‘ასკალან, ებრ. ‘აშკელონ), ‘აქქა, ტვიროსი (სურ) და ჩრდილოეთით ჯუბაილი (ბიბლოსი). ფატიმიანთა ვეზირს მალიქ ალ-აფდალს კარგად ესმოდა, რომ ეგვიპტის დაპირისპირება ჯვაროსნებთან გარდუვალი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე იგი ცდილობდა მათ გამოყენებას სელჩუკთა წინააღმდეგ. ამიტომ, მან ჯვაროსანთა მეთაურებს შესთავაზა თანამშრომლობა და იერუსალიმის წმინდა ადგილების თავისუფალი მოხილვის უფლება, მაგრამ უარი მიიღო. თვითდაჯერებული ევროპელი რაინდების მთავარი მიზანი ახლა „მსოფლიო ქალაქის“ აღება და იქიდან მუსლიმთა განდევნა იყო.

იმისათვის, რომ ძალები დაეზოგათ ჯვაროსნებმა გვერდი აუარეს სანაპირო საზღვაო ქალაქებს, დაიკავეს ბეთლემი (ბაფთ ლაჰმ) და **1099 წლის 7 ივნისს** იერუსალიმს მიაღწენ. ქალაქს იცავდა ეგვიპტის ათასკაციანი გარნიზონი, რომელმაც თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს. მიუხედავად ამისა, **15 ივლისს ერთოვანი ალყის შემდეგ ჯვაროსნები იერუსალიმში შევიდნენ.** ზოგიერთი ცნობით იერიშის დროს ათასობით მუსლიმი დაიღუპა. მართალია, ეგვიპტელები საბოლოოდ მაინც არ იყვნენ განდევნილი

პალესტინიდან და მათ სამხედრო ბაზად რჩებოდა ქალაქი 'ასკალანი (იაფას სამხრეთით), სადაც იმყოფებოდა ფატიმიანთა ვეზირი მალიქ ალ-აჰდალი, მაგრამ იერუსალიმის დაცემიდან ერთი თვის შემდეგ მან სასტიკი მარცხი განიცადა ჯვაროსნებთან შეტაკებისას ქალაქის მისადგომებთან.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შედეგად შეიქმნა **იერუსალიმის სამეფო**, რომლის მეფე გახდა გოტფრიდ (გოდფრუა) ბულონელი (გარდ. 1110 წ.), თუმცა ტერიტორიულად და ორგანიზაციულად ეს სამეფო ჩამოყალიბდა მისი ძმის ბოდუენ (ბოდლუენ) I-ის (1110-1118) დროს. პირველობისათვის ბრძოლის გამწვავების თავიდან ასაცილებლად ჯვაროსნებმა იგი ედესიდან მიიწვიეს და მეფედ გამოაცხადეს. ახლად შექმნილ სამეფოში შევიდნენ ქალაქები იერუსალიმი, ბეთლემი და ნავსადგური იაფა.

იერუსალიმის შემდეგ ჯვაროსანთა ყურადღება გადატანილ იქნა სირია-პალესტინის საზღვაო ქალაქებზე, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ეგვიპტე-ვენეციისა და გენუის ფლოტის დახმარებით, ჯვაროსნებმა დაიკავეს ქალაქები ჰაიფა, არსუფი და კეისარია – 1101 წ., 'აქქა – 1104 წ., ტრიპოლი, საიდა, ბეირუთი – 1109 წ. და ტვიროსი – 1124 წელს. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ქრისტიანული საფეოდალო – **ტრიპოლის საგრაფო**.

ამგვარად, ჯვაროსანთა მიერ დაპყრობილი სირია-პალესტინის ტერიტორია შემდეგნაირად განაწილდა: ანტიოქია ერგო ნორმანდიელ ბოჰემუნდს, ტრიპოლი მის მეტოქე პროვანსელ რაიმუნდ ტულუზელის შთამომავლებს, ხოლო ედესა და იერუსალიმის სამეფო დარჩა ბურგუნდიელთა დინასტიას. წარმოქმნილი სამეფო-საგრაფოები ფორმალურად ერთიანდებოდნენ იერუსალიმის სამეფოში, რომელსაც ხშირად **ფრანკთა ან ლათინთა სამეფოსაც** უწოდებენ. ოფიციალური ენა გახდა ფრანგული და, შესაბამისად, მიღებულ იქნა ფრანგული სამართალი ან ე.წ. „იერუსალიმის ასიზები“, ან ე.წ. „ფეოდალური კონსტიტუცია“. ამ „კონსტიტუციით“ მეფე იყო „პირველი თანასწორთა შორის“ („*primus inter pares*“), ხოლო მისი ვასალები, ფეოდის მქონე რაინდები, სამხედრო ვალდებულებით იყვნენ დამოკიდებული მეფეზე.

ახლად შექმნილი ქრისტიანული სახელმწიფოს მდგომარეობა არ იყო მტკიცე, რასაც განაპირობებდა რამდენიმე ფაქტორი. ჯერ ერთი, არსებობდა რეალური საფრთხე სელჩუკებისა და ფატიმიანთა ეგვიპტის მხრიდან. მართალია, 1153 წელს ჯვაროსნებმა აიღეს 'ასკალანი, მაგრამ ამით ორ მხარეს შორის დაპირისპირება არ შენელებულა. გარდა ამისა, სირიის უდაბნოდან ყოველთვის იყო მოსალოდნელი სელჩუკებისა და არაბების თავდასხმა, რაც განსაკუთრებით საშიში ჩანდა, ვინაიდან ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის სიძულვილი ფრანკებისადმი კარგად იყო ცნობილი. მაგალითად, აღნიშნული პერიოდის არაბი ავტორი და მოვლენების თვითმხილველი **უსმა იბნ მუნკიზი (1095-1188)** ფრანკებს მაღალ შეფასებას აძლევდა მათი მაღალი საომარი ღირსების გამო, მაგრამ ირონიულად შენიშნავდა – სიმამაცეს ცხოველებიც იჩენენ თავდასხმის დროსო. მისი ცნობებიდან ჩანს, რომ მუსლიმები ფრანკებს მიიჩნევდნენ უკულტურო ბრბოდ, რომელთანაც მშვიდობიანი ურთიერთობა შეიძლებოდა დროებით ტაქტიკური მოსაზრებით, ან იარაღით. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მუსლიმი მეზობლებით გარემოცული სამეფო-სამთავროები დიდი მანძილით იყვნენ დაშორებული ერთმანეთისგან და, რაც მთავარია, არ იყვნენ თავისუფალი ურთიერთდაპირისპი-

რებისა და მეტოქეობისაგან. მართალია, მცირე აზიის სამხრეთ აღმოსავლეთიდან ჯვაროსნებს მხარს უმაგრებდა კილიკიის სომხური სამეფო (1080-1375), მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის. სირიის ქალაქები – დამასკო, ჰალეები, ჰიმსი და ჰამა კვლავ მუსლიმთა ხელში რჩებოდნენ. ორჯერ (1118 და 1163 წწ.) ჯვაროსნებმა სცადეს ეგვიპტეში შეჭრა, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა ვერ შეძლეს. ფრანკების ურთიერთობა არც ქრისტიანულ ბიზანტიასთან ყოფილა მეგობრული, რადგანაც ეს სახელმწიფო ტრადიციულად სირია-პალესტინაზე, განსაკუთრებით კი ანტიოქიაზე, აცხადებდა პრეტენზიას. ასეთ პირობებში ჯვაროსნების თვითდამკვიდრებისთვის აუცილებელ პირობად რჩებოდა საიმედო ციხესიმაგრეების შენება და მუდმივი კავშირი ევროპასთან.

2. ზანქიანთა და აიყბიანთა სახელმწიფო, სალაჰ ად-დინი და ჯვაროსნები

იერუსალიმისა და სირია-პალესტინის სხვა ქალაქების დაკარგვამ შეაშფოთა ისლამური სამყარო და ბიძგი მისცა მუსლიმთა მოძრაობას ჯიჰადის ლოზუნგით. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა ერაცსა და სირიაში დაწინაურებულმა საფეოდალომ, რომელსაც ზანქიანთა სახელმწიფოს უწოდებენ. მისი დამაარსებელი იყო მოსულის თურქული წარმომავლობის ათაბეგი (ათაბაქ)⁵³ **‘იმად ად-დინ ზანქი (ან ზენგე, 1127-1146)**. მან შეძლო ჰარრანის, მოსულის და ჰალეების გაერთიანება, რის შემდეგაც შეუტია ედესას და ოთხი კვირის ალყის შემდეგ 1144 წლის 25 დეკემბერს აიღო ქალაქი. ამგვარად, ჯვაროსნებმა დაკარგეს მათი პირველი საიმედო დასაყრდენი სირიაში, რომელიც იცავდა ლათინთა სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ედესის დაცემას მოჰყვა **ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა (1147-1149)**, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის მაფე ლუი (ლუდოვიკო) VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III ჰოჰენშტაუფენი. ბიზანტიასთან დაპირისპირებისა და სიცილიის ქრისტიანი მეფის როჯერ II-ის პოლიტიკის გამო, რაც ფატიმიანთა ხალიფასთან კავშირსა და ბიზანტიასთან კონფლიქტსაც არ გამორიცხავდა, ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა.

ჯიჰადი, რომელიც წამოიწყო ‘იმად ად-დინმა, განაგრძო მისმა მემკვიდრემ **ნურ ად-დინ მაჰმუდმა (1147-1174)**. 1154 წელს მან დამასკო დაიკავა და თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩრდილოეთი და ცენტრალური სირია, საგრძნობლად შეავიწროვა ანტიოქიის სამთავრო. ჯვაროსნებთან შეტაკებისას მან დაატყვევა რამდენიმე ცნობილი რაინდი, მაგრამ ბოლოს გაათავისუფლა ისინი დიდი გამოსასყიდის ფასად.

ზანქიანთა კარზე თვლიდნენ, რომ დაწყებული ჯიჰადის წარმატებისთვის აუცილებელი იყო მეზობელი ეგვიპტის რესურსების გამოყენება, რაც შეუძლებელი ჩანდა გადაგვარების გზაზე მდგარ ფატიმიანთა სუსტ რეჟიმთან თანამშრომლობით. ნურ ად-დინმა ორჯერ – 1164 და 1167 წლებში სცადა ეგვიპტეში შეჭრა, მაგრამ უშედეგოდ. ორი ისლამური ქვეყნის – სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების საფრთხეს კარგად ხედავდა იერუსალიმის ქრისტიანი მეფე და ცდილობდა არ დაეშვა ეგვიპტის აქტიური ჩართვა ჯიჰადში. 1168

წელს, თითქოსდა ფატიმიანთა ხალიფას თხოვნით და მის დასახმარებლად, ფრანკები ეგვიპტეს მიაღწენ და მოსახლეობის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად დაიკავეს ქალაქი ბილბაისი (იგივე ბილბონს ან ბალბონს), კაიროს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგრამ შეაფასეს რა საკუთარი და მოწინააღმდეგის შესაძლებლობანი, უარი თქვეს ლაშქრობის გაგრძელებაზე და უკან გაბრუნდნენ. ამით ლათინთა მორიგი ცდა დაემორჩილებინათ ეგვიპტე მარცხით დამთავრდა. ნურ ად-დინმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და 1169 წელს უბრძანა თავის სარდალს შირქუჰს გადასულიყო ეგვიპტეში, რათა დაეცვა იგი ჯვაროსნებისგან და ახალგაზრდა ხალიფა ალ-ადიდს დახმარებოდა საშინაო პრობლემების მოგვარებაში. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბაღდადის აბასიანთა ხალიფას თანხმობით და ამიტომ ლეგიტიმურად ითვლებოდა. იმავე წელს შირქუჰი, რომელსაც ახლდა მისი ძმისწული იუსუფი, შევიდა კაიროში და ალ-ადიდის „სურვილით“ დაინიშნა ვეზირის თანამდებობაზე, რაც მთელი ძალაუფლების ხელში ადებას ნიშნავდა. იმავე 1169 წლის 23 მარტს შირქუჰი მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობმა იუსუფმა, რომელიც ისტორიაში შევიდა **სალაჰ ად-დინის (სალადინის)** სახელით. ფატიმიანთა სახალიფოში არსებული წესის თანახმად მან, როგორც ვეზირმა მიიღო ტიტული „ალ-მალიქ ან-ნასირ“.

სალაჰ ად-დინის გამორჩენას ზოგიერთები შემთხვევითობას, ღვთის სურვილს ან ბედისწერას მიაწერდნენ, მაგრამ მის ბიოგრაფიაში გარკვეული კანონზომიერებაც ნათლად იკვეთება. სალაჰის ბაბუა, რომელიც ქურთების ერთ-ერთ ტომს ეკუთვნოდა, თავის ორ შვილთან – შირქუჰთან და აიუბთან ერთად სელჩუკთა სულთნის მასუდის (1134-1152) სამსახურში იყო და ერაყში თაქრითის (ბაღდადის მახლობლად) ციხისთავის თანამდებობა ეკავა. მამის სიკვდილის შემდეგ ეს თანამდებობა დარჩა აიუბს, მაგრამ 1138 წელს, როცა შირქუჰს ერთი გავლენიანი სელჩუკი შემოაკვდა, ძმები იძულებული გახდნენ თავის ოჯახებთან ერთად სირიაში გაქცეულიყვნენ, სადაც თავი შეაფარეს იმად ად-დინის სამეფო კარს. ზანქიანთა სამსახურში ორივე ძმა მალე დაწინაურდა: აიუბი ჯერ ბა'ალბექს განაგებდა, შემდეგ დამასკოს, შირქუჰი კი ნურ ად-დინის სარდალი გახდა მიიღო რა იტას სახით ჰიმსი.

შირქუჰის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო სალაჰ ად-დინის ბრწყინვალე კარიერა, რასაც ხელი შეუწყო მისმა პირადმა თვისებებმა: სამხედრო-ადმინისტრაციულმა ნიჭმა, მიზანდასახულობამ და ჭეშმარიტი მუსლიმის ავტორიტეტმა, რომელიც მან უკვე ახალგაზრდობაში მოიპოვა. მალე ეგვიპტელებისა და სირიელებისათვის ნათელი გახდა, რომ ასპარეზზე გამოვიდა დიდი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე **სალაჰ ად-დინი (ალ-მალიქ ან-ნასირ ას-სულტან სალაჰ ად-დინ ალ-მუსუფ იბნ აიდუბ)**, რომელმაც თავისი სიცოცხლის მთავარ მიზნად ჯვაროსანთა განდევნა დაისახა.

1171 წელს გარდაიცვალა **ფატიმიანთა უკანასკნელი – მე-14 ხალიფა ალ-ადიდი**, რის შემდეგაც სალაჰ ად-დინი ეგვიპტის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. თურქებისა და ქურთებისგან შემდგარი სირიის ჯარის მეთაურის აღზევებას და ფატიმიანთა სახალიფოს დამხობას მთლად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია: ადრინდელი რეჟიმის მომხრეებმა სცადეს აჯანყების მოწყობა, მაგრამ სალაჰ ად-დინი სასტიკად გაუსწორდა მათ. ისარგებლა რა ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებული გართულებით და ქვეყნის სათავეში

მოსული ქურთი სარდლის არამყარი პოზიციით, 1169 წელს იერუსალიმის სამეფოს ჯარი კვლავ მიაღწია ეგვიპტეს, მაგრამ დამიეტასთან (დიმეც) ისევ დამარცხდა. სალაჰ ად-დინი თავად გადავიდა შეტევაზე და ჯვაროსნებს პირველი დარტყმა მიაყენა: დაიკავა პორტი აილა (ეიალეთი) ‘აკაბის ყურეში, რაც წითელ ზღვაზე და ჰიჯაზის სანაპიროზე მუსლიმთა უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თავის გავლენას სალაჰ ად-დინმა დაუმორჩილა მეზობელი ისლამური რეგიონებიც: 1172-1173 წლებში მან შემოიერთა ბარკა და ტრიპოლი დასავლეთით, ხოლო 1174 წელს მისმა ძმამ თურან-შაჰმა დაიკავა იემენი.

ეგვიპტეში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სირია კვლავ ნურ ად-დინის ხელში რჩებოდა, ხოლო სალაჰ ად-დინი ფორმალურად მაინც მის ვასალად ითვლებოდა. ურთიერთობა ორ მხარეს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე დაიძაბა და ნურ ად-დინმა გადაწყვიტა სრულ მორჩილებაში მოექცანა სალაჰ ად-დინი, მაგრამ 1174 წლის 15 მაისს გარდაიცვალა. როგორც ისლამის გმირი და გამორჩენილი მოღვაწე ის პატივით დაკრძალეს დამასკოში მის მიერვე აგებულ „მადრასა ან-ნურიდიაში“. ამის შემდეგ სალაჰ ად-დინი გადავიდა სირიაში და 1174 წლის 27 ნოემბერს არსებითი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა დამასკო, შემდეგ კი ჰომსი, ჰამა და ბა’ალბექი. გარკვეული დაბრკოლება მას შეხვდა ჰალეებთან, მაგრამ 1183 წელს ჩრდილოეთ სირიის ეს დიდი ქალაქიც მის ხელში გადავიდა. ნურ ად-დინის მცირეწლოვანი მემკვიდრე ისმაილი მოსულში გაიქცა.

1175 წელს ბაღდადის ‘აბასიანთა ხალიფამ (მუსთაფა, 1170-1180) სალაჰ ად-დინი დაამტკიცა ეგვიპტის, მალრიბის, ნუბიის, დასავლეთ არაბეთის და ცენტრალური სირიის სულთანად. ზოგიერთი ავტორი წერს, რომ „ხალიფამ გასცა ის, რისი გაცემაც ფაქტობრივად არ შეეძლო“. ამის შემდეგ, არაბი ისტორიკოსის აბუ-ლ-ფიდა’-ს (1273-1332) აზრით, სალაჰ ად-დინი თავს ერთადერთ კანონიერ სულთანად თვლიდა, ეს კი უფლებას აძლევდა მას მეტი ყურადღება დაეთმო ისლამის მიწებისა და მუსლიმების გაერთიანებისთვის. უკვე 1180 წელს ჩრდილოეთ ერაყის (ალ-ჯაზირას) ფეოდალებმა (ზანქიანებმა, არ-თუკიანებმა და სხვა) მასთან ორწლიანი სამოკავშირეო ზავი დადეს, შემდეგ კი მისი ვასალები გახდნენ. სირია-ერაყის დიდი ნაწილის შემომტკიცებამ, რაც 1186 წელს დამთავრდა, სულთანს საშუალება მისცა გამოეყენებინა სამი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, სირია, ერაყი) სამხედრო და მატერიალური რესურსები ჯვაროსნებთან ბრძოლაში.

ჩრდილოეთ სირიაში ყოფნისას სალაჰ ად-დინს ორჯერ დაესხნენ თავს ასასინები, რომელთაც მაშინ სათავეში ედგა „მთის შეიხი“ **რაშნდ ად-დინ სინანი**. ზოგიერთი ცნობით, სალაჰ ად-დინმა 1176 წლის ზაფხულში ალყა შემოარტყა ისმაილიტ ასასინთა ციხესიმაგრეს მასიაფში (ან მასიადი, 45 კმ. ქალაქ ჰამას აღმოსავლეთით), მაგრამ მიიღო ხელშეუხებლობის გარანტია და დაუზავდა მათ. როგორც ფიქრობენ, მას აწყობდა ასასინთა საქმიანობა, თუ ის მიმართული იქნებოდა მისი მტრების – ჯვაროსნებისა და სხვა მეტოქე მუსლიმი ფეოდალების წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ ასასინებმა შეასრულეს მიცემული პირობა.

თითქმის 30-წლიანი ჯიჰადი სალაჰ ად-დინისთვის ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა. მაგალითად, 1177 წლის ნოემბერში არ-რამლას სამხრეთით

იერუსალიმის მეფემ ბოდუენ IV-მ იგი დაამარცხა და აიძულა ეგვიპტეში გადასულიყო. 1179 წელს სალაჰ ად-დინის სარდალმა ფარუკ-შაჰმა რევანში აიღო და საგრძნობი დარტყმა მიაყენა ბოდუენს. მუსლიმთა რაზმები ბეირუთთან და საიდასთანაც გამოჩნდნენ.

1187 წელს სალაჰ ად-დინმა ახალი, გადამწვევტი ნაბიჯი გადადგა სირია-პალესტინიდან ჯვაროსნების გასაძევებლად. ომის დაწყების საბაბი გახდა ფრანკების ერთ-ერთი ბელადის რენო დე შატილონის მიერ კაიროდან დამასკოსაკენ მიმავალი ქარავნის დარბევა, რომელშიც სულთნის დაც იმყოფებოდა. ამ ყაჩაღური თავდასხმით ჯვაროსნებმა დაარღვიეს 1180 წელს დადებული სამშვიდობო შეთანხმება. მთავარი დამნაშავე ამ შემთხვევაში იყო ცნობილი ავანტიურისტი რენო დე შატილონი (**Châtillon**), რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ 1155 წელს კვიპროსის ძარცვით. 16 წლის მანძილზე იგი ტყვედ ჰყავდა ნურ ად-დინს, ხოლო გათავისუფლების შემდეგ დამკვიდრდა ალ-ქარაქში (1176-1187 წწ.), მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და იერუსალიმის მეფის ვასალად ითვლებოდა. მას შემდეგ, რაც მეფემ გაიღო ლუსინიანმა (1189-1190) არ შეასრულა სალაჰ ად-დინის მოთხოვნა გაეთავისუფლებინა ტყვეები, აენახდაურებინა ზარალი და მძარცველები დაესაჯა, მუსლიმთა გაერთიანებულმა ლაშქარმა საომარი მოქმედება დაიწყო. სალაჰ ად-დინმა აიღო რამდენიმე ციხესიმაგრე და ექვსი დღის ალყის შემდეგ დაიკავა ტიბერია. **1187 წლის 4 ივლისს (583 წ. 24 რაბი' II), პარასკევ დღეს, ნაზარეთსა და ტიბერიის ზღვას შორის სოფელ ჰატტინთან (ან ჰიტტინთან) მუსლიმებმა სალაჰ ად-დინის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს ჯვაროსნები.** იერუსალიმის მეფე მრავალ სხვა ქრისტიან დიდებულებთან ერთად ტყვედ ჩავარდა, ხოლო რენო დე შატილონი სულთანმა პირადად სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ მუსლიმებმა დაიკავეს 'აქქა, ბეირუთი, ღაზა, იაფა, კეისარია, 'ასკალანი და ბევრი ციხესიმაგრე. ქრისტიანთა ხელში კვლავ რჩებოდა მიუდგომელი ციხესიმაგრე კრაკ დე შვეალიე (ჰისნ ალ-აქრად) – ჰიმსის ჩრდილო-დასავლეთით, აგრეთვე ქალაქები ტვიროსი, ტრიპოლი (ტარაბულუს დარბ), ანტიოქია და, რაც მთავარია, იერუსალიმი.

1187 წლის სექტემბერში 60 ათასიანი ჯარით სალაჰ ად-დინმა ალყა შემოარტყა იერუსალიმს და 2 ოქტომბერს (583 წ. 27 რაჯაბი) აიღო „მსოფლიო ქალაქი“. მისი ყვითელი დროშა აღიმართა იერუსალიმის თავზე. ისევე, როგორც ჰატტინთან, იერუსალიმშიც ქრისტიანთა მიმართ სალაჰ ად-დინმა „ღმობიერება“ გამოიჩინა: მათ უფლება მიეცათ 40 დღის განმავლობაში დაეტოვებინათ ქალაქი გარკვეული გამოსასყიდის გადახდის შემდეგ. 15 ათასი მცხოვრები, რომელმაც ვერ შეძლო თავის გამოსყიდვა, მონად გაიყიდა. სულთანმა აღადგინა მეჩეთები „კუბბათ ას-სახრა“ და „ალ-აკსა,“ სადაც თავისი ადგილი მიუჩინა ნურ ად-დინის მიერ გამზადებულ მინბარს. ლათინთა პატრიარქის რეზიდენცია სუფიების თავშესაფრად (ხანკა), ხოლო წმ. ანას ეკლესია შაფი'იტების მედრესედ გადაკეთდა სახელწოდებით „სალაჰიდა“. 1188 წელს მუსლიმებმა აიღეს ალ-ქარაქი, რომელიც კეტავდა სირიიდან ეგვიპტისა და ჰიჯაზისაკენ მიმავალ გზას, რითაც დაამთავრა იერუსალიმის სამეფოს დაპყრობა. ერთადერთი ციხესიმაგრე, რომელიც აუღებელი დარჩა იყო კრაკ დე შვეალიე. რაც შეეხება სირია-პალესტინის საზღვაო სანაპიროს, მისი მთლიანად დაბრუნება წილად ხვდათ სალაჰის პოლიტიკურ მემკვიდრეებს.

იერუსალიმის დაკარგვამ შეაშფოთა მთელი ქრისტიანული ევროპა. სამ-
წუხარო ამბის გაგების შემდეგ პაპს ურბან III-ს გული გაუსკდა. გამოცხადდა
მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა (1189-1192), რის შემდეგაც საფრანგეთის მეფემ
ფილიპ II-მ, გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ და ინგლისის მე-
ფემ რიჩარდ ლომგულმა ჯვარი მიიღეს. გერმანელები მცირე აზიაში გადავიდ-
ნენ, მაგრამ კილიკიისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას
1190 წელს იმპერატორი დაიღუპა და მისი ლაშქარიც დაიშალა.

დიდი სიძნელეებით წარიმართა ფრანგი და ინგლისელი რაინდების
ლაშქრობაც. მას შემდეგ, რაც 1190 წელს სიცილიაში გადავიდნენ, ჯვა-
როსანთა მეთაურებს შორის დაპირისპირებამ იჩინა თავი. ფილიპ II 1191 წელს
გემებით ტვიროსის მიმართულებით გაემართა, ხოლო რიჩარდ ლომგულმა
ჯერ კვიპროსი დაიკავა, ხოლო შემდეგ შეუერთდა ჯვაროსანთა გაერთი-
ანებულ ლაშქარს, რომელიც გარს შემოერტყა ქალაქ 'აქქას. 1191 წლის 12
ივლისს სალაჰ ად-დინი იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე, გაე-
თავისუფლებინა ტყვე ფრანკები, დაეთმო ჯვარცმის „წმინდა ჯვარი“, გადა-
ეხადა რეპარაცია და თავის ჯართან ერთად დაეტოვებინა ქალაქი. იმავე
წელს ჯვაროსნებმა იაფაც აიღეს, მაგრამ ამით მათი წინსვლა დამთავრდა,
რაც შინაგანი წინააღმდეგობებითაც იყო განპირობებული. 'აქქასთან მოპოვე-
ბული გამარჯვების შემდეგ ფილიპ II ტვიროსიდან ევროპაში დაბრუნდა 1191
წლის აგვისტოში. ამიერიდან მისი საქმიანობა მიმართული იყო არა მუსლიმე-
ბის, არამედ რიჩარდ ლომგულის წინააღმდეგ. მარტოდ დარჩენილმა რიჩარდმა
რამდენიმეჯერ სცადა იერუსალიმზე გალაშქრება, მაგრამ უშედეგოდ. ფრანკე-
ბის ხელში რჩებოდა ტვიროსი, რომელსაც კონრად მონფერატი განაგებდა.
სალაჰ ად-დინი შესაძლებლად თვლიდა მასთან მოლაპარაკებას, მაგრამ 1192
წელს ჯვაროსანთა ბელადი მოკლეს, როგორც ფიქრობენ ასასინებმა.
მიუხედავად ამისა, ორივე მხარე დაქანცული გაუთავებელი შეტაკებებით იძ-
ულებული გახდა დროებით მაინც სამშვიდობო ვარიანტებზე წასულიყო. **1192
წლის 2 ნოემბერს ჯვაროსნებსა და სალაჰ ად-დინს შორის დაიდო ზავი „სამი
წლით, სამი თვით, სამი კვირით და სამი დღით“.** დაზავების პირობით,
სანაპირო ზოლი იაფასა და 'აქქას შორის კვლავ ლათინთა ხელში დარჩა,
'ასკალანი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, ხოლო რამლა-ლიდის რაიონი
ორად გაიყო. ქრისტიანებს ეძლეოდათ წმ. ადგილების თავისუფალი მოხილვის
უფლება.

მიღწეული ზავის შემდეგ იმავე წლის 10 ოქტომბერს რიჩარდ ლომგულმა
დატოვა სირია, კუნძული კვიპროსი მიჰყიდა ტამპლიერთა ორდენს⁵⁴ და ევ-
როპაში დაბრუნდა. ჯვაროსანთა ერთ-ერთი გამოჩენილი რაინდი, რომელიც
სძულდათ არა მარტო მუსლიმებს, არამედ მის მოკავშირე ფრანკებსა და გერ-
მანელებს, იძულებული გახდა ვაჭრის ტანსაცმლით დაემალა ვინაობა, მაგრამ
ვენასთან იგი იცნეს და შეიპყრეს. ორი წელი მან დაჰყო საპყრობილეში, სა-
დაც მოხვდა იმპერატორ ჰენრი VI-ის ბრძანებით და მხოლოდ 1194 წელს
გაათავისუფლეს დიდი გამოსასყიდის ფასად. სიცოცხლის დარჩენილი წლები
რიჩარდ ლომგულმა მოახმარა თავის დაუძინებელ მტერთან ფილიპ II-სთან
ბრძოლას, რომელსაც შეეწირა კიდევ 1199 წელს.

უფრო ნაკლებად ტრაგიკული, მაგრამ გაცილებით ხანმოკლე გამოდგა ის
დრო, რომელიც სალაჰ ად-დინს დარჩა მშვიდობის დამყარების შემდეგ. ჰაჯი-

დან დაბრუნებული ისლამის დიდი სარდალი ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სულ 57 წლის ასაკში **1193 წლის 3 მარტს (589 წ. 27 საფარი)**. სულთანი დაკრძალეს დამასკოს ციტადელში, მაგრამ 1195 წლის დეკემბერში (592 წ. მუჰარრამი) იგი გადაასვენეს უმაიანთა მეჩეთის ჩრდილოეთით, სადაც მისი მავზოლეუმი დღესაც დგას.

სალაჰ ად-დინი არაბთა ისტორიაში შევიდა, როგორც გამორჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ისლამის მეომარი და მხსნელი. არაბი ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მის პირად თვისებებზე, რამაც განაპირობა მისი მაღალი ავტორიტეტი. მაგალითად, წყაროების თანახმად ფატიმიანთა ხაზინა, რომელიც სალაჰ ად-დინის ხელში აღმოჩნდა, მან მთლიანად თავის ჯარისკაცებს გაუნაწილა. გამარჯვებულმა სარდალმა ხელი არ ახლო ზანქიანთა ოჯახის ქონებას და ყველაფერი ადრინდელ მფლობელებს დაუტოვა. გარდაცვალების წინ ძღვევამოსილი სულთნის პირადი საკუთრება შეადგენდა მხოლოდ 47 დირჰემს და ერთ ოქროს მონეტას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სალაჰ ად-დინის სახეს მეტისმეტად იდეალიზირებულად ჩავთვლით, გვერდს ვერ აუვლით იმ ფაქტს, რომ მისი სახელი რაინდობის, პატიოსნების და კეთილშობილების სიმბოლოდ იქცა არა მარტო ისლამურ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. სალაჰ ად-დინის პიროვნებას და როლს ზემოაღნიშნულ მოვლენებში სპეციალური ნაშრომი – „ქითაბ სნრათ სალანჰ ად-დინ“ უძღვნა მისმა მოსამართლემ და ბიოგრაფმა **ბაჰან ად-დინ აბუ-ლ-მაჰსინ ფუსუფ იბნ შადდადმა, 1145-1234**).

გარდა სალაჰ ად-დინის პირადი ღირსებისა მუსლიმთა წარმატება ჯვაროსნებთან ომში სხვა ფაქტორებმაც განაპირობეს. მძიმედ შეიარაღებული და ჯავშანში ჩამჯდარი ევროპელი რაინდები თავის უპირატესობას ვერ იყენებდნენ სირია-პალესტინის ცხელ ველებზე, სადაც მათი მსუბუქად აღჭურვილი და მობილური მოწინააღმდეგე გაცილებით უკეთ იყო შეგუებული გეოგრაფიულ გარემოს და კლიმატურ პირობებს. გარდა ამისა, მტრულ გარემოცვაში მოხვედრილ ჯვაროსნებს მუდმივად ჰქონდათ თავიანთი რაზმების ცოცხალი ძალით შევსების პრობლემა.

მიუხედავად საშინაო კონფლიქტებისა და საღვთო ომისა, ნურ ად-დინისა და სალაჰ ად-დინის ეპოქა აღინიშნა მიღწევებით მეურნეობის, მშენებლობის და ინტელექტუალური ცხოვრების სფეროში. სულთანი ყოველმხრივ ახალისებდა ვაჭრობა-ხელოსნობას, რაც, პირველ რიგში, იმით გამოიხატა, რომ ყველა დამატებითი გადასახადი გაუქმდა. მიუხედავად რომის პაპების კატეგორიული მოთხოვნისა არ ეწარმოებინათ ვაჭრობა მუსლიმებთან, საომარი მოქმედების დროსაც ვენეციელები და სიცილიელები აღექსანდრიის ხშირი სტუმრები იყვნენ. ჯვაროსანთა ხელში გადასული 'აქქა და ტვიროსი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო (ლევანტის) ვაჭრობაში, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ სულთანმა მოაწესრიგა საბაჟო სისტემა. ეგვიპტელები სალაჰ ად-დინის შემდეგაც კეთილად იყვნენ განწყობილი ვენეციელების მიმართ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ ხელი შეუშალეს ჯვაროსნების მეოთხე ლაშქრობას.

ნურ ად-დინისგან განსხვავებით, რომელიც ჰანაფიტი იყო, სალაჰ ად-დინი შაფი'იტურ მაჰჰაბს ეკუთვნოდა, რითაც აიხსნება მისი ზრუნვა იმამ აშ-შაფი'ის განსასვენებელზე. ადრინდელი რეჟიმის იდეოლოგიის, ე.ი. ისმა'ილიზმის

დევნის შესახებ რაიმე ცნობები არ არსებობს, თუმცა სულთანმა აღადგინა სუნიტური ისლამი. როგორც ჩანს, ეს არ მომხდარა რაღაც განსაკუთრებული ზომების საშუალებით. ამავე დროს, მუსლიმთა კონსოლიდაციის პროცესი უმტკივნეულოდ არ მიდიოდა, რაზეც მეტყველებს შეტაკება, რომელიც მოხდა ერაყელ და სირიელ პილიგრიმებს შორის ჰაჯის დროს 1188 წლის თებერვალში და რომელსაც შეეწირა სალაჰ ად-დინის ძველი თანამებრძოლი ამირ იბნ ალ-მუკადდამი. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა ვეზირი ალ-კადი ალ-ფადლი.

ზანქიანთა და აიუბიანთა დროს დიდი გაქანება მიიღო მედრესეების, საავადმყოფოების, წყალსაცავებისა და არხების შენებამ, ხოლო განახლებული ციხესიმაგრეები განსაკუთრებული სიმტკიცით გამოირჩეოდნენ. ამის მაგალითია თუნდაც 1183 წელს აგებული კაიროს კედელი და ციტადელი. პალეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ დროის შენობებზე ქუფური წარწერები ნახვით შეიცვალა.

ნურ ად-დინი და სალაჰ ად-დინი გამოირჩეოდნენ განათლებისა და სამკურნალო საქმისადმი განსაკუთრებული ინტერესით. გარდა იმ სასწავლებლისა, რომელსაც ხშირად ნურ ად-დინის აკადემიასაც უწოდებენ და სადაც დაკრძალულია ნურ ად-დინი („მადრასა ან-ნურიდია“), მას დაუარსებია შაფი'იტური სკოლა-მეჩეთები ჰალეებში, ჰიმსში, ჰამაში და ბა'ალბექში, აგრეთვე საავადმყოფო (ბნმზრისთან) დამასკოში. ამ ტრადიციას აგრძელებდა სალაჰ ად-დინიც, რაზედაც მეტყველებს მის მიერ კაიროში აგებული საავადმყოფო „ნასირი“. გასათვალისწინებელია, რომ ისლამური საავადმყოფო ამ დროს არა მარტო სამკურნალო, არამედ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების ფუნქციასაც ითავსებდა. თავად სალაჰ ად-დინს, ზოგიერთი ცნობით, ჰყოლია თვრამეტი ექიმი, მათგან რვა მუსლიმი, ხუთი ებრაელი, ოთხი ქრისტიანი და ერთი სამარიტელი.⁵⁵ მათ შორის იყო ცნობილი ებრაელი მკურნალი **იბნ ჯამი'**-ი (ჰიბათ ალლჰაჰ იბნ ჯამი', ან **ჯუმაჰ', გარდ. 1198 წ.**), რომელმაც მიიღო ტიტული „შამს არ-რი'ნსა“. მისი შრომებიდან ცნობილია დიდი სამედიცინო კომპენდიუმი (შემოკლ. „ალ-ირშად“). სწორედ იბნ ჯამი'-ი ითვლება მედიცინაში იმ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად, რომელიც დღეს ფსიქოთერაპიის სახელითაა ცნობილი. მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის ყოფილა **იბნ აბი-ლ-ბაჰან ალ-ისრა'ნილი**, რომელსაც შეუდგენია სახელმძღვანელო საავადმყოფოსთვის „ნასირი“. ასევე აიუბიანთა პერიოდის მეცნიერია – **‘ალბ იბნ ალ-სუჰ იბნ ალ-კიჰტნ (1172-1248)**, ეგვიპტელი, რომელმაც განათლება მიიღო კაიროში, 1187 წელს გადავიდა იერუსალიმში, ხოლო შემდეგ ჰალეებში დამკვიდრდა. მისი მთავარი ნაშრომია ბიოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც მოიცავს 414-დგ ექიმის, ფილოსოფოსის, ასტრონომის ბიოგრაფიას და ცნობილია სახელწოდებით „თა'რნ ალ-ჰუჰამა“. სამედიცინო საქმის ისტორიკოსი იყო დამასკოელი მეცნიერი **იბნ აბნ უსაჰბი'ა (1203-1270)**, რომელიც „ნურნ საავადმყოფოში“ მოღვაწეობდა. მას შეუდგენია 380 პირის ბიოგრაფია, რომელთა დიდი ნაწილი ექიმებს ეკუთვნის. ეს ნაშრომი („უდუნ ალ-ანბა' ჰნ ტაბაკათ ალ-ატბაბა'“) გვაწვდის საინტერესო ცნობებს ისლამურ ქვეყნებში მედიცინის განვითარების შესახებ. ვინაიდან ავტორის მიერ დასახელებული ექიმების დიდი ნაწილი, ამავე დროს, მუშაობდა ფილოსოფიაში,

ასტრონომიაში, მათემატიკასა და სხვა დარგებში, აღნიშნული ნაშრომი ფაქტობრივად არაბული მეცნიერების ისტორიას წარმოადგენს.

აიუბიანთა პერიოდის ებრაელ მეცნიერთა წრეს ეკუთვნოდა **მოსე მაიმონიდი (ან მოშე ბენ მაიმონი)**, რომელიც არაბთა შორის ცნობილია როგორც აბუ იმრან მუსა იბნ მაიმუნ ალ-კურტუბი (1135-1204). 1149 წელს ოჯახთან ერთად მან დატოვა ესპანეთი და 1166 წელს კაიროში დასახლდა, სადაც სასახლის მკურნალის თანამდებობა ეკავა სალაჰ ად-დინისა და მისი შვილის ალ-აზიზის დროს. გარდა სამედიცინო საქმისა, იგი კარგად ერკვეოდა ასტრონომიასა და თეოლოგიაში, თუმცა უფრო მეტად სახელი გაითქვა როგორც ფილოსოფოსმა. მედიცინაში მაიმონიდი ეყრდნობოდა გალენუსის, არ-რაზის, იბნ სინას და იბნ ზუჰრის შეხედულებებს. ამ დარგში მისი პოპულარული ნაშრომია „სამედიცინო ცნობარი“ („ალ-ფუსულ ფი-ტ-ტიბბ“). რაც შეეხება ფილოსოფიას, იგი უახლოვდება იბნ რუშდის კონცეფციას, მაგრამ არ იმეორებს მას. იუდაიზმისა და არისტოტელეს შეხედულებების სინთეზით მეცნიერი ცდილობდა რაციონალიზმის ელემენტები შეეტანა სქოლასტიკაში. ისევე, როგორც იბნ რუშდი, მაიმონიდიც არ ფლობდა ბერძნულს, მაგრამ არაბული თარგმანების საშუალებით ზედმიწევნით დაეუფლა მთელ ანტიკურ ფილოსოფიას. მისი ძირითადი თხზულება – „გზააბნეულთა სახელმძღვანელო“ („დალალათ ალ-ჰა-ჰა-რაჰი“), დაწერილია არაბულ ენაზე (ებრაული ანბანით) და თარგმნილია ებრაულ და ლათინურ ენაზე. ამ ნაშრომმა გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელი ევროპელი მოაზროვნეების (სპინოზა, კანტი) ფილოსოფიურ შეხედულებებზე. ანდერძის თანახმად მაიმონიდი გადაასვენეს პალესტინაში და დაკრძალეს ტაბარიაში, სადაც მისი მოკრძალებული საფლავი ებრაელთა პილიგრიმობის ადგილი გახდა. ეგვიპტელი ებრაელებისთვის სწეულებისგან განკურნების საშუალებად ითვლებოდა ღამისთევსა კაიროში რაბი მოშე ბენ მაიმონის სინაგოგაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია საქართველოს ურთიერთობა სალაჰ ად-დინთან და აიუბიანთა სახელმწიფოსთან 1185 წლის შემდეგ, ე.ი. თამარის მეფობის პერიოდში (**მ. თოდუა, თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე**). ცნობილია ე.წ. „ფიცის წიგნი“, რომელშიც თამარ მეფე ჰპირდებოდა სალაჰ ად-დინს, რომ საქართველოს არ ექნებოდა პრეტენზია ხლათზე (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), რომელიც სალაჰ ად-დინს თავისი გავლენის სფეროდ მიაჩნდა. საქართველოს ურთიერთობა აიუბიანთა სასულთნოსთან განპირობებული იყო ქართული მხარის სურვილით განემტკიცებინა თავისი უფლებები პალესტინის, კერძოდ იერუსალიმის წმ. მიწაზე. ირკვევა, რომ ქართველებს დიპლომატიური მისიის საშუალებით უცდიათ გამოეხსნათ ჯვარცმის „წმ. ჯვარი“, რომელიც 1187 წლის შემდეგ სალაჰ ად-დინის ხელში აღმოჩნდა, მაგრამ ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ ქართველებმა მიიღეს უფლება განეახლებინათ მოღვაწეობა იერუსალიმში და პალესტინის წმ. ადგილები დაუბრკოლებლად მოეხილათ (**გ. ჯაფარიძე**).

3. აიუბიანთა სასულთნო სალაჰ ად-დინის მეშვეობით დროს

სასულთნო, რომელიც შექმნა სალაჰ ად-დინმა და გადაჭიმული იყო ტიგროსიდან ნილოსამდე, გაინაწილეს მისმა მრავალრიცხოვანმა შთამომავ-

ლებმა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა დიდი წინაპრის ნიჭი და მიზანდასახულობა. მისი შვილები ალ-მალექ ალ-აფდალი, ალ-აზიზი და აზ-ზაჰირი აღზევდნენ შესაბამისად დამასკოში, კაიროში და ჰალეებში, ხოლო უმცროსმა ძმამ ალ-ადილმა, რომელიც სალაჰ ად-დინის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა, მიიღო ალ-ქარაქი და აშ-შაუბაქი პალესტინაში. 1196-1199 წლებში, როცა ურთიერთობა აიუბიან გამგებლებს შორის გამწვავდა, უპირატესობა მოიპოვა ალ-ადილმა და ხელში ჩაიგდო ეგვიპტე და სირიის დიდი ნაწილი.

ალ-მალექ ალ-ადილ სააფ ად-დინ I (1199-1218) ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა სალაჰ ად-დინის მემკვიდრეებს შორის, რაც, პირველ რიგში, მის მშვიდობისმოყვარეობაში გამოიხატა იმ დროს, როცა ეპოქის ძირითადი მახასიათებელი ომი და სისხლისღვრა იყო. მან გარკვეული როლი შეასრულა სალაჰ ად-დინის დროს 1192 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების მიღწევაში, ხოლო გასულთნების შემდეგ ყოველმხრივ ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ჯვაროსნებთან. ალ-ადილმა უფლება მისცა ვენეციელებს თავისუფლად ევაჭრათ ალექსანდრიაში, ხოლო პიზელებს ნება დართო ჰყოლოდათ თავისი კონსული. ამ არაორდინარული სულთნის სახელს დღესაც ატარებს მედრესე „ალ-ადილიდია“, რომლის შენებაც მას დაუწვია.

მალექ ალ-ადილის სულთნობის პერიოდს დაემთხვა **ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობა (1199-1204 წწ.), რომელიც ისევ პალესტინის წმ. მიწის გათავისუფლების ღონისძიებით დაიწყო პაპის ინოკენტი III-ის ინიციატივით, მაგრამ დამთავრდა კონსტანტინოპოლის აღებით 1204 წელს.** VII საუკუნიდან მოკიდებული ბიზანტია ითვლებოდა მუსლიმური სახელმწიფოების მეტოქედ და მოწინააღმდეგედ, მაგრამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ მიღებული საღვთო ომის კონცეფცია და პრაქტიკა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მკვლევართა აზრით, კონსტანტინოპოლის ტრაგედიაში არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ ჩრდილო იტალიის ქალაქი-სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში ბიზანტიის გავლენის შესუსტებით. 1204 წლის აპრილში ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის დარბევას შეეწირა ანტიკური და ბიზანტიური კულტურის უნიკალური ძეგლები, დაიწვა და განადგურდა წიგნთსაცავები, სადაც თავმოყრილი იყო ფილოსოფიის, ლიტერატურის, რელიგიის და მეცნიერების სხვადასხვა დარგში საუკუნეების მანძილზე შექმნილი შრომები. მართალია, **ბიზანტიის ტერიტორიაზე ჯვაროსანთა ე.წ. „ლათინთა იმპერიაში“ დიდხანს ვერ იარსება (1204-1261 წწ.), მაგრამ პალეოლოგოსთა მიერ აღდგენილი ბიზანტია ადრინდელი სახელმწიფოს მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენდა.** ამიტომ, აიუბიანთა სასულთნოს და მამლუქებს ბიზანტია სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიდა მაშინ, როცა ჯვაროსნებთან დაპირისპიება კვლავ გრძელდებოდა.

სულთან ალ-ადილის გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა აიუბიანთა სასულთნოში გაუარესდა დინასტიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ამტყდარი დავის გამო. ეგვიპტელი აიუბიანები ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდნენ სირიელ ნათესავებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ჰიმსი, ჰამა და იემენი.

ალ-ადილის მემკვიდრე სულთანი **ალ-ქამილი (ალ-მალექ ალ-ქამილ ნასირ ად-დინ I, 1218-1238)** განაგრძობდა მამის პოლიტიკას. ძირითადი პრობლემა მისთვის კვლავ ჯვაროსნებთან ურთიერთობა იყო. **სწორედ ალ-ქამილის დროს**

დაიწყო მეექვსე ჯვაროსნული ლაშქრობა (1228-1229 წწ.), რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმდროინდელი ევროპის გამოჩენილი მოღვაწე, გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი (მეფობდა 1212-1250 წწ.). იმპერატორი ცდილობდა ესარგებლა სალაჰ ად-დინის შემკვიდრეებს შორის ატეხილი დავით და მათთან მოლაპარაკების გზით ხელში ჩაეგდო იერუსალიმი. ცხადი იყო, რომ ამბიციური იმპერატორი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა არა რელიგიური, არამედ თავისი პოლიტიკური ინტერესებით. მისგან განსხვავებით რომის პაპი გრიგოლ IX (1227-1241), რომელიც მკაცრი თეოკრატიის მომხრე იყო, უარყოფდა მუსლიმებთან რაიმე კომპრომისს. მან ბრალად დასდო ფრიდრიხ II-ს ქრისტიანობის მტრებთან შემრიგებლობა, უწოდა მას „მუჰამედის მსახური“ და განაცხადა, რომ იმპერატორს სურდა წმ. მიწაზე შექმნილი ლათინთა სამეფოს მიტაცება. კონფლიქტი იმდენად გამწვავდა, რომ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის წინ ფრიდრიხ II, როგორც ქრისტიანული რელიგიის მტერი, რომის პაპმა ეკლესიიდან განკვეთა. მიუხედავად ამისა, ჯვაროსნული ლაშქრობა ფრიდრიხ II-ის მეთაურობით მაინც დაიწყო მისივე შედგენილი გეგმით და სამხედრო დაპირისპირების გარეშე მოლაპარაკებით დამთავრდა. **ქალაქ იაფაში, 1229 წლის თებერვალში ორ მხარეს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც ჯვაროსნებმა ათი წლის ვადით დაბრუნეს იერუსალიმი, ბეთლემი და ნაზარეთი.** მანამდე მუსლიმებმა დათმეს ბეირუთი, საფედი, 'ასკალანი და ტიბერია. 1229 წლის ხელშეკრულებით ჯვაროსნებს მიეცათ გასასვლელი 'აქქას ნავსადგურისკენ. თავის მხრივ, ჯვაროსნებმაც აიღეს გარკვეული ვალდებულება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა სულთან ალ-ქამილისათვის დახმარების გაწევას მის ბრძოლაში მრავალრიცხოვან მეტოქეებთან. **ეს იყო პირველი ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მუსლიმ და ქრისტიან მონარქებს შორის.** ერთი თვის შემდეგ, 1229 წლის 18 მარტს ფრიდრიხ II შევიდა იერუსალიმში და თვითონ დაიდგა თავზე იერუსალიმის მეფის გვირგვინი. საპასუხოდ რომის პაპმა იგი ღალატში დაადანაშაულა, ხოლო იერუსალიმის პატრიარქმა ქალაქს ინტერდიქტი⁵⁶ დაადო: იერუსალიმის ყველა ეკლესიაში აიკრძალა ღვთისმსახურება, ვიდრე იქ იმყოფებოდა განკვეთილი იმპერატორი. რომის პაპთან ურთიერთობის გამწვავების გამო ფრიდრიხ II ევროპაში დაბრუნდა. საბოლოოდ ეს დაპირისპირება გრიგოლ IX-ის დამარცხებით დამთავრდა. იგი იძულებული გახდა ელიარებინა მუსლიმებთან დადებული ხელშეკრულება და მოუწოდა სირია-პალესტინაში დამკვიდრებულ ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების⁵⁷ ორდენებს არ დაერღვიათ მშვიდობა. ზემოაღნიშნული ეპიზოდებიდან კარგად ჩანს, რომ ჯვაროსნების მეთაურები უფრო მეტად საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, ვიდრე წმ. მიწის გამოხსნის სურვილით. ცხადია ისიც, რომ სულთანი ალ-ქამილი არ აპირებდა უარის თქმას იერუსალიმზე და, მით უმეტეს, პალესტინაზე. ათწლიანი ხელშეკრულება, რომელიც გარეგნულად სულთნის კეთილი ნების გამოხატულება იყო, წარმოადგენდა ტაქტიკურ ნაბიჯს, რომელიც გადაიდგა აიუბიანთა სასულთნოში მაშინ არსებული ვითარების გათვალისწინებით.

სულთანი ალ-ქამილი აგრძელებდა მამის საშინაო პოლიტიკას, ხელს უწყობდა სამეურნეო ცხოვრებას, ზრუნავდა საირიგაციო სისტემის გამართულ მუშაობაზე, აფართოებდა სავაჭრო ურთიერთობას ევროპასთან. თავისი ქრის-

ტიანი ქვეშევრდომებისადმი განსაკუთრებული ტოლერანტობის გამო კოპტურმა ეკლესიამ იგი ქველმოქმედად გამოცხადა. სულთნის საპატიო სტუმართა შორის იყო **წმ. ფრანცისკ ასიზელი**,⁵⁸ რომელთანაც მას საუბარი ჰქონია რელიგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ალ-ქამილის მეორე მემკვიდრის **ას-სალიჰის (ალ-მალიქ ას-სნლიჰ ნაჯმ ად-დინ ადილუბ, 1240-1249)** დროს თანამშრომლობა ჯვაროსნებსა და ეგვიპტელებს შორის დაირღვა. **1244 წლის სექტემბერში სულთანი 10 ათასიანი ჯარით, რომლის დიდ ნაწილს მონღოლებისგან დევნილი ხვარაზმელები შეადგენდნენ, იერუსალიმში შეიჭრა და ქრისტიანთა დარბევის შემდეგ ქალაქი საბოლოოდ ისლამს დაუბრუნა.**

იერუსალიმის დაკარგვას ევროპამ **მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობით (1248-1254 წწ.)** უპასუხა. საფრანგეთის მეფის ლუი (ლუდოვიკო) IX-ის (1226-1270) მეთაურობით ჯვაროსნები კვიპროსზე გადავიდნენ, ხოლო 1249 წელს ეგვიპტის ქალაქი დამიეტა დაიკავეს. როგორც ჩანს, ფრანკები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პალესტინაში მათი წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ეგვიპტე იყო და მისი დამარცხების გარეშე სირია-პალესტინაში დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა. ლაშქრობის დასაწყისში სულთანი სალიჰი გარდაიცვალა, მაგრამ ეგვიპტელებმა შეძლეს ამ ამბის საიდუმლოდ შენახვა. ჯვაროსანთა შემდგომი წინსვლა შეფერხდა, რადგანაც აღიდებული ნილოსის დელტამ და გავრცელებულმა ეპიდემიამ მათ კაიროსაკენ მოძრაობის საშუალება არ მისცა. დაუძღვრებულ და დემორალიზებულ ჯვაროსნებს ბოლო მოუდეს ეგვიპტის ახალმა სულთანმა **თურან შაჰმა** და მამლუქთა სარდალმა ბაიბარსმა. ჯვაროსანთა ფლოტი, რომელიც იქვე ალ-მანსურასთან იდგა, ასევე განადგურებულ იქნა. ლუი IX სხვა რაინდებთან ერთად ტყვედ ჩავარდა. 1250 წელს იგი დიდი გამოსასყიდით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც უფლება მიიღო 'აქქაში' წასულიყო, იქიდან კი 1254 წელს საფრანგეთში დაბრუნდა.

1270 წელს ევროპაში დაბრუნებიდან 16 წლის შემდეგ ლუი IX სათავეში ჩაუდგა უკანასკნელ **მერვე ჯვაროსნულ ლაშქრობას** და დღევანდელი თუნისის ტერიტორიაზე გადავიდა, მაგრამ ფრანკების ბანაკში კვლავ იფეთქა ეპიდემიამ, რომელმაც იმსხვერპლა მეფე და მრავალი მისი თანამებრძოლი. ფრანკების სტრატეგიული გეგმა დასაველეთიდან დაერტყათ ეგვიპტისათვის განუხორციელებელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნების ბოლო ორი ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, კათოლიკურმა ეკლესიამ პატივი მიაგო ლუი IX-ს და იგი, როგორც სარწმუნოებისათვის მებრძოლი წმინდანად შერაცხა. 1274 წელს პაპმა გრიგოლ X-მ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა მოითხოვა, მაგრამ ამ მოწოდებას მორწმუნეების დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. მალე პაპიც გარდაიცვალა, რაც ერთ-ერთი იტალიელი მემკვიდრის აზრით, იმის მანიშნებელი იყო, რომ „უფალს არ სურდა ახალი ლაშქრობა მაცხოვრის საფლავის გამოსახსნელად“. მართალია, „წმინდა მიწისთვის“ ომის საკითხი შემდეგშიც ბევრჯერ წამოიჭრა, მაგრამ უშედეგოდ. რაც შეეხება სირია-პალესტინაში დარჩენილ ჯვაროსნებს, მათი საბოლოო განდევნა წილად ხვდათ მამლუქებს, რომლებმაც დაამთავრეს 'იმად ად-დინისა და სალაჰ ად-დინის მიერ დაწყებული საქმე.

თავი XI

მამლუქთა სახელმწიფო ეკვიპცესა და სირიაში

1. ბაჰრელი (1250-1390) და ბურჯელი (1390-1517) მამლუქები

ეგვიპტის აიუბიანთა სულთნის ას-სალიჰის დროს საგრძნობლად გაიზარდა თურქული წარმომავლობის მონების (მამლუქ, მრ მამლუქი) რაოდენობა, რაც ვოლგის ქვემო წელზე და ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ მოვლენებთან იყო დაკავშირებული. ამ რეგიონში მონღოლთა ექსპანსიის შემდეგ (XIII ს.) ტყვედ ჩავარდნილ ყივჩაყებს⁵⁹ დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ იტალიელი მონათვაჭრები და ეგვიპტეში გაჰყავდათ. ამრიგად, ეგვიპტელ სულტნებს საშუალება მიეცათ გაუთავებელი ომებისა და შეტაკებების პირობებში სამხედრო ძალად გამოეყენებინათ ბაზარზე ნაყიდი მონები, რომლებიც ისლამის მიღებისა და სათანადო წვრთნის შემდეგ სამეფო გვარდიაში (ჰალკა) ირიცხებოდნენ.

1249 წელს, სალიჰის გარდაცვალების შემდეგ, მცირე ხნით ძალაუფლება ხელთ იგდო სულთნის ქვრივმა, რომელიც ცნობილია სახელით **უმმ ხალნლ შაჯარათ აღ-დურ-ი**⁶⁰. ყოფილმა მონა ქალმა, რომელიც ოდესღაც ბაღდადის 'აბასიანთა ხალიფამ აჩუქა სულთან სალიჰს, ძალაუფლებისადმი ღტოლვა გამოამჟღავნა, რასაც ხელი შეუწყო ე.წ. „ბაჰრელი მამლუქების“ („ალ-მამლუქი აღ-ბაჰრიდინ“) მხარდაჭერამ, მაგრამ იგი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ისლამის იმ პრინციპისათვის, რომელიც გამორიცხავდა ქალის სამხედრო და პოლიტიკურ კარიერას. აქედან გამომდინარე, სალიჰის ქვრივი იძულებული გახდა შერიგებოდა ერაყიდან დაბრუნებული ტახტის კანონიერი მემკვიდრის და სალიჰის შვილის (სხვა ცოლისგან) **თურან-შაჰ-ის (1249-1250)** გასულტნებას. მალე, 1250 წლის 1 მაისს (648 წ. 27 მუჰარრამს) ბაჰრელმა მამლუქებმა მოკლეს სულთანი, **რომელიც ფაქტობრივად უკანასკნელი აღმონდა ეგვიპტელ აიუბიანთა დინასტიიდან**. ასპარეზზე გამოვიდა მამლუქთა გავლენიანი მეთაური (ათაბაქ აღ-ასნქირ) **აიბეგი ('იზ აღ-დინ აიბექ, 1250-1257)**, რომელმაც ცოლად შეირთო სალიჰის ქვრივი შაჯარათ აღ-დური. აიბეგი მამლუქთა პირველი სულთანი გახდა, მაგრამ 1257 წელს ის მოკლეს. შეთქმულებაში ეჭვმიტანილი შაჯარათ აღ-დური, რომელსაც ზოგჯერ „ისლამის პირველ დედოფალსაც“ უწოდებენ, მალე, ამის შემდეგ, მკვდარი იპოვეს. სულთანი გახდა აიბეგის 15 წლის შვილი **ნურ აღ-დინ 'აღი (1257-1259)**, მაგრამ ისიც თავისი წინამორბედის მსგავსად შინაპოლიტიკურ ბრძოლას გადაჰყვა. ქვეყნის სათავეში აღმონდა ბაჰრელ მამლუქთა მესამე სულთანი **კუტუზი (აღ-მუზაფქარ საფი აღ-დინ კუტუზ, 1259-1260)**. ამ დროს, ეგვიპტეს სირიიდან დაემუქრა ახალი საფრთხე მონღოლების სახით.

1260 წლის 3 სექტემბერს (658 წ. 25 რამადანს) მამლუქები სულთან კუტუზის მეთაურობით პალესტინაში დახვდნენ მონღოლებს და სასტიკად დაამარცხეს ისინი **‘აინ ჯაღლუთთან**, ნაბულუსის ჩრდილოეთით. მონღოლი სარდალი ქითბუღა ბრძოლაში დაიღუპა. მამლუქებმა შემოიმტკიცეს მთელი სირია, რომელიც XVI საუკუნის დამდგამდე მათი სასულთნოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. მონღოლთა შემოსევის დროს, 1260 წელს, აიუბიანთა დინასტიის შთამომავლებმა დატოვეს სირია, მაგრამ მათი ერთი ჯგუფი ჰამაში დარჩა. სწორედ ამ სამეფო გვარს ეკუთვნოდა ცნობილი ისტორიკოსი აბუ-ლ-ფიღა’.

მამლუქთა მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად მონღოლთა პირველი ექსპანსია აღკვეთილ იქნა, მაგრამ სულთან კუტუზისთვის ეს უკანასკნელი გამარჯვება გამოდგა – ეგვიპტეში დაბრუნების წინ მას თავს დაესხნენ შეთქმულები და სიცოცხლეს გამოასაღმეს. ამ მუხანათური მკვლელობის ინიციატორად მიჩნეულია სულთნის თანამებრძოლი, მამლუქთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური ბაიბარსი, რომელმაც ამის შემდეგ დაუბრკოლებლად გაიკაფა გზა ხელისუფლებისაკენ.

სალიჰ აიუბის ყოფილი მონა **ბაიბარსი (ალ-მალიქ აზ-ზაჰირ რუქნ ად-დინ ბაიბარს I, 1260-1277)**, ითვლება ბაჰრელ მამლუქთა სასულთნოს ნამდვილ დამაარსებლად და მისი ძლიერების ფუძემდებლად. მან, წინამორბედი სულთნის თავიდან მოშორების შემდეგ, სალაჰ ად-დინის ანალოგიით, საჭიროდ ჩათვალა თავისი ფაქტობრივი ძალაუფლების დაკანონება, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტის – ხალიფას მიერ მისი უფლებების დადასტურებით. ვინაიდან მონღოლთა მიერ 1258 წელს ბაღდადის აღების შემდეგ ამის შესაძლებლობა აღარ არსებობდა, ბაიბარსმა სცადა აღედგინა ხალიფას ინსტიტუტი. ამ მიზნით, **1261 წელს მან ხალიფად გამოაცხადა ‘აბასიანთა დინასტიის ერთ-ერთი შთამომავალი, რომლის გენეალოგია დაამტკიცა ცნობილ თეოლოგთა საბჭომ. თავის მხრივ ახლად მოვლენილმა ხალიფა ალ-მუსთანსირმა ბაიბარსი კანონიერ სულთნად აღიარა და ცნო მისი უფლებები ეგვიპტეზე, სირიაზე, ჰიჯაზზე, იემენზე და ეფრატის მიწებზე.** სამი თვის შემდეგ სულთანმა ხალიფა ერაყში გაგზავნა სახალიფოს ყოფილი დედაქალაქის ბაღდადის გასათავისუფლებლად, მაგრამ, საფიქრებელია, მუსთანსირი დაიღუპა მონღოლებთან შეტაკებისას. ამის შემდეგ ბაიბარსმა კაიროში მიიწვია ‘აბასიანთა მეორე შთამომავალი და ხალიფად გამოაცხადა **ალ-ჰაქიმის** სახელით. აღდგენილი დინასტიის წარმომადგენლები მომდევნო ორნახევარი საუკუნის მანძილზე ერთმანეთს ცვლიდნენ კაიროში და ასრულებდნენ თავის ძირითად მოვალეობას, რაც მამლუქთა სულთნების ლეგიტიმიზაციაში და ვაკუის ფონდის მეურვეობაში გამოიხატებოდა. კაიროს ფსევდოხალიფები კმაყოფილდებოდნენ ბოძებული იქტას შემოსავლით და სირია-ეგვიპტეში პარასკევის ლოცვისას მათი სახელის მოხსენიებით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ზედმეტ ინტერესს გამოიჩენდა სახელწიფო საქმეებისადმი ან პოლიტიკურ ამბიციებს გამოამჟღავნებდა, სულთნები მას უყოყმანოდ ცვლიდნენ. კაიროს ‘აბასიანთა ხალიფების ინსტიტუტი არსებობდა XVI საუკუნის დამდგამდე და მხოლოდ ოსმალთა მიერ სირია-ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

ბაიბარსმა განამტკიცა მამლუქთა რეჟიმი, გადაახალისა ჯარი, გაამაგრა ძველი და ააშენა ახალი ციხესიმაგრეები სირიასა და ეგვიპტეში, გააუმჯობესა საფოსტო კავშირი კაიროსა და დამასკოს შორის. ყურადღება დაეთმო არხების, წყალსაცავების და ხიდების შეკეთება-მშენებლობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ფლოტის აღდგენას, რომელიც 40 ხომალდით შეივსო. ამ ღონისძიებების გატარებამ გააძლიერა სასულთნო, რამაც საშუალება მისცა ბაიბარსს განეგრძო მისი დიდი წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე, ეფექტურად გამოეყენებინა იარაღი ჯვაროსნებისა და მონღოლების წინააღმდეგ. 1265 წლის შემდეგ მამლუქებმა დაიკავეს კეისარია, ჰაიფა, არსუფი,⁶² იაფა და **1268 წლის 19 მაისს (666 წ. 4 რამადანი) ანტიოქია**. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიოქიის აღებას, რომელიც 1098 წლიდან მოკიდებული ფრანკების ხელში რჩებოდა. საფედი – 1266 წელს და მიუდგომელი ციხესიმაგრე **ჰისნ ალ-აქრბდი (კრაკ დე შევალიე)**,⁶³ რომელიც მან დაიკავა 1271 წელს, მამლუქთა სამხედრო ბაზად გადაიქცა. **1271-1273 წლებში ბაიბარსმა დაიმორჩილა ასასინთა ყველა ციხესიმაგრე სირიაში და ბოლო მოუღო მათ ავტონომიურ არსებობას**. 1275 წელს აღსდგა ნუბიის ვასალური დამოკიდებულება ეგვიპტეზე და მამლუქთა გავლენა გაიზარდა მადრიბის ტომებზე. 1267 და 1275 წლებში ბაიბარსმა დამსჯელი ლაშქრობა მოაწყო მცირე არმინიის (სომხური კილიკიის)⁶⁴ წინააღმდეგ. თავისი გამგებლობის 17 წლის მანძილზე მან 38-დე სამხედრო ღონისძიება ჩაატარა: ცხრაჯერ მოუხდა დაპირისპირება მონღოლებთან, ოცდაერთჯერ ფრანკებთან, სამჯერ ისმაილიტებთან და ხუთჯერ გაგზავნა ჯარი კილიკიაში.

ბაიბარსი, ისევე როგორც მისი მომდევნო სულთნები, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. იგი ცდილობდა შეექმნა კოალიცია ილხანთა წინააღმდეგ, რისთვისაც არ ერიდებოდა თანამშრომლობას ბიზანტიასთან, ევროპის კათოლიკე მონარქებთან და ოქროს ურდოსთან. მის დროს ლათინთა მტერმა მიხაილ პალეოლოგმა ნება დართო ეგვიპტელებს იმპერიის დედაქალაქში აღედგინათ ძველი მეჩეთი, რომელიც ჯვაროსნებმა დაანგრეს 1204 წელს. თავის მხრივ, სულთანმა უფლება მისცა მელქიტ პატრიარქს ჩასულიყო კონსტანტინოპოლში, სავაჭრო ხელშეკრულებები დადო სიცილიის მეფე შარლ ანჟუსთან (ცნობილი ჯვაროსნის ლუი IX-ის ძმასთან), ჯეიმს არაგონელთან და ალფონსო სევილიელთან.

სულთანი დაუინებით ცდილობდა ისლამის გავრცელებას ოქროს ურდოში და წარმატებასაც მიაღწია. **1262 წელს ჩრდილოეთის ულუსის ყაენი ბერქე, რომელიც უკვე ქრისტიანი იყო, მოულოდნელად გამუსლიმდა**. 1269-1272 წლებში ეგვიპტესა და მის ახალ მოკავშირეს შორის ცხრაჯერ მოხდა დესპანების გაცვლა. მიუხედავად ამისა, საფრთხე ილხანთა ირანის მხრიდან კვლავ არსებობდა. 1277 წელს მონღოლები, რომელთა ჯარში, როგორც ილხანთა ვასალები, გაერთიანებული იყვნენ სელჩუკები, ქართველები და სომხები, სასტიკად დამარცხდნენ მამლუქებთან შეტაკებისას ალბისთანთან (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში). ქრისტიანთა მონაწილეობამ მონღოლთა ომებში გამოიწვია ბაიბარსის საპასუხო ღონისძიებები.⁶⁵ კერძოდ, როგორც მკვლევართა მიერაა დადგენილი, ბაიბარსის დროს ქართველებმა დაკარგეს ჯვრის მონასტერი, რომელიც დაუბრუნდათ მხოლოდ XIV ს. დამდეგს (**დ. გონილეიშვილი**).

ბაიბარსმა დაამთავრა ეგვიპტეში სუნიტური ისლამის აღდგენისა და განმტკიცების პროცესი, რომელიც სალაჰ ად-დინმა დაიწყო. ის იყო პირველი სულთანი, რომელმაც სუნიტური ისლამის ოთხივე მაჰზაბს თანაბარი უფლება მიანიჭა და შემოიღო ე.წ. „წმინდა მამალის“⁶⁶ გაგზავნა ჰიჯაზში დიდი ჰაჯის დროს. მან მოაწესრიგა საფოსტო სამსახური, რამაც საშუალება მისცა კვირაში ორჯერ მიეღო საჭირო ინფორმაცია სახელმწიფოს ყველა კუთხიდან. ბაიბარსის დროს კაიროდან დამასკომდე მგზავრობას მხოლოდ ოთხი დღე სჭირდებოდა.

არაბთა ისტორიაში ბაიბარსი შევიდა, როგორც გამორჩეული მუსლიმი რაინდი და დიდი მოღვაწე, რომელმაც პოპულარობით სალაჰ ად-დინიც კი დაჩრდილა, მაგრამ მკვლევართა დამოკიდებულება მისდამი უფრო კრიტიკულია და მის უარყოფით მხარეებსაც ასხავს. მაგალითად, ცნობილი ავტორი **აგვუსტ მიულერი** თვლიდა, რომ ბაიბარსში ერთიანდებოდა „ცუდი პიროვნება და კარგი მონარქი, რაც აღმოსავლეთში სავსებით შეთავსებადი იყო“. ეგვიპტის ამ გამოჩენილ სულთანში თანაარსებობდნენ „იულიუს ცეზარის ნიჭი და ნერონის ვერაგობა“ (ს. **ლენ-პული**). შესაფერისი გამოდგა მისი სიცოცხლის დასასრულიც: სულთანი გადაეცა იმ საწამლავს, რომელიც გამზადებული ჰქონდა ერთ-ერთი არასასურველი აიუბიანი ამირასათვის. ბაიბარსი დაკრძალეს დამასკოში „აზ-ზაჰირიდას“ მედრესეში, რომელიც შემდეგ ცნობილ ბიბლიოთეკად გადაკეთდა.

ბაიბარსის ახალგაზრდა მემკვიდრეების **ბარაქას (1277-1279)** და **სალამიშის (1279)** გამგებლობა არაეფექტური და ხანმოკლე გამოდგა. მამლუქთა რაზმის ერთ-ერთმა ყივჩაყმა მეთაურმა **კალაუნმა (ალ-მალიქ ალ-მანსურ საიფ ად-დინ კალაუნ, 1279-1290)** ადვილად ჩამოიშორა ისინი გზიდან და სულთანი გახდა.

კალაუნმა მთლიანად განაგრძო მისი გამოჩენილი წინამორბედის პოლიტიკა და წარმატებასაც მიაღწია. გასულთნების პირველ წელს მას შეხვდა გარკვეული წინააღმდეგობა სირიაში ბაიბარსის ერთგული ამირებისგან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც სულთნის უახლოეს გარემოცვას ეკუთვნოდა (როგორც ამირ ალფ) და მონაწილეობდა ბრძოლებში მონღოლთა წინააღმდეგ. კალაუნმა სწრაფად შემოიმტკიცა სირია, რის შემდეგაც დარჩა ორი ძირითადი პრობლემა: მონღოლებისგან ქვეყნის დაცვა და ფრანკებთან ბრძოლა. მონღოლები კვლავ დაუინებოთ ცდილობდნენ გამოეყენებინათ ჯვაროსნები მამლუქთა წინააღმდეგ. ამ მიზნით ჰულაგუს მემკვიდრეებმა აბალამ (1265-1281) და მისმა შვილმა არღუნმა (1284-1291) კავშირი გააბეს რომის პაპთან და ევროპელ მონარქებთან, მაგრამ მამლუქთა გაძევება სირიიდან ვერ შეძლეს. მიუხედავად რიცხოვრივი უპირატესობისა, აბალას ჯარი სასტიკად დამარცხდა ჰიმსთან 1281 წლის 1 ნოემბერს. **მართალია, მალე ამის შემდეგ, ყაზან ყაენის დროს (1295-1304) ილხანებმა ისლამი მიიღეს, მაგრამ მეტოქეობა მამლუქებსა და მონღოლებს შორის არ შეწყვეტილა.**

სულთანი კალაუნი განაგრძობდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას და ეძებდა მოკავშირეებს მონღოლთა წინააღმდეგ. მის დროს გააქტიურდა ეგვიპტის ურთიერთობა გენუის რესპუბლიკასთან, ბიზანტიასთან, საფრანგეთთან, კასტილიასთან და განსაკუთრებით ოქროს ურდოსთან.⁶⁷ კილიკიის სომხურმა სამეფომ 1283 წელს კვლავ განიცადა მამლუქთა თავდასხმა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც თითქოს მონღოლები იღებდნენ მისგან და იძულებული

გახდა ყოველწლიურ რეპარაციაზე დათანხმებულიყო. ამის შემდეგ, 1285 წლის 25 მაისს (684 წ. 19 რაბი' I) 38 დღიანი ალყის შემდეგ კალაუნმა დაიკავა ჰოს-პიტალიერთა ძლიერი ციხესიმაგრე ალ-მარკაბი (კალ'ათ მარკაბ, დღ. ლატაკი-ასა და ტარტუსს შორის). **კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო წარმატება, რომელსაც მუსლიმებმა მიაღწიეს ტრიპოლისათვის ბრძოლაში. 1289 წლის (688 წ.) აპრილში კალაუნმა აიღო ფრანკების ციტადელი და მიწასთან გაასწორა.** უფრო გვიან ქალაქი აღსდგა, მაგრამ არა იქ, სადაც ძველი ტრიპოლი იყო. ამ გამარჯვებით მუსლიმებმა ფაქტობრივად დაამთავრეს ჯვაროსნების განდევნა სირია-პალესტინიდან.

სულთან კალაუნის გამგებლობა აღინიშნა წარმატებებით აღმშენებლობის სფეროშიც. მის დროს აიგო ან შეკეთდა ციხესიმაგრეები დამასკოში, ჰალეში, ბა'ალბექში და სხვაგან. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი საავადმყოფო („ბნმარისთან ალ-მანსურ“), რომელიც ააშენა კაიროში 1284 წელს. იმ დროისთვის ეს იყო კეთილმოწყობილი სამკურნალო დაწესებულება, რომლის პაციენტები და მომსახურე პერსონალი შედგებოდა როგორც მამაკაცებისაგან, ისე ქალებისაგან. საავადმყოფოში იყო ლაბორატორიები, აბაზანები, დისპანსერული განყოფილება, სამზარეულო, სათავსოები და სპეციალური დარბაზი, სადაც შეიძლებოდა ინფორმაციის მიღება ან ცოდნის გადრმავება სხვადასხვა დაავადებათა ხასიათისა და პროფილაქტიკის შესახებ. მკურნალობა აქ უფასო იყო და მის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო ხაზინა ან ვაკფი ფარავდა. საავადმყოფოსა და მისი დამაარსებლის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ იქ დიდხანს ინახებოდა კალაუნის ხალათი, რომელსაც თითქოს ავადმყოფის განკურნება შეეძლო.

კალაუნი იყო ერთადერთი მამლუქი სულთანი, რომლის მემკვიდრეები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე განაგებდნენ ეგვიპტეს. მისი შვილის ალ-აშრაფის (ალ-აშრაფ ალ-ხალღლ, 1290-1293) დროს დამთავრდა ჯვაროსნებისგან სირია-პალესტინის გათავისუფლება. 1291 წელს მამლუქებმა აიღეს ბეირუთი, საიდა (სიდონი), ტვიროსი და 'აქქა. მართალია, სირიის პატარა კუნძულ არვადს ფრანკები ერთხანს ინარჩუნებდნენ, მაგრამ 1302 წელს ისიც დაკარგეს. ამგვარად, ჯვაროსნებმა სრული კრახი განიცადეს, რაშიც თავისი წვლილი მამლუქებმაც შეიტანეს.

ალ-აშრაფის დროს მამლუქთა შორის თავი იჩინა მათთვის ესოდენ დამახასიათებელმა შინაფრაქციულმა ბრძოლამ, რომელსაც სულთანიც შეეწირა. მოკლეული სულთნის ადგილი დაიკავა მისმა ძმამ, ცხრა წლის **ან-ნასირმა (ან-ნასირ მუჰამმად, 1293-1341)**, რომლის გამგებლობა ორჯერ შეწყდა (1293-1294, 1299-1309 წწ.). უფრო ნაყოფიერი და მშვიდობიანი გამოდგა ან-ნასირის სულთნობის მესამე პერიოდი (1310-1341 წწ.).

იმ დროს, როცა მამლუქები ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერმანეთს ეცილებოდნენ, მონღოლებმა არაერთხელ სცადეს სირიის დაპყრობა. 1299 წელს ისინი შეიჭრნენ სირიაში და ჰომსთან გამარჯვების შემდეგ 1300 წელს დამასკოც დაიკავეს, მაგრამ იმავე წელს უკან გაბრუნდნენ. მომდევნო წლებში (1303, 1312-1313 წწ.) მათი მორიგი ცდა ასევე მარცხით დამთავრდა. მამლუქებმა საბოლოოდ განიმტკიცეს პოზიციები სირიაში და, ბოლოს, 1323 წელს ორ მხარეს შორის ზავი დაიდო. სულთნის რეპრესიები დაატყდათ თავს ლიბანელ დრუზებს და შიიტებს, რომლებიც დამოუკიდებლობის ტენდენციებს ამჟღავ-

ნებდნებდნენ. დაისაჯა კილიკიის სომხური სამეფოც, რომელსაც საბოლოოდ ისევ მამლუქებმა მოუღეს ბოლო 1375 წელს, როცა აიღეს და დაანგრეს მისი დედაქალაქი სისი.

ან-ნასირი ისტორიაში შევიდა, როგორც ექსტრავაგანტური, ფუფუნებისა და ხელოვნების მოყვარული სულთანი. მისი მითითებით ჩატარდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სამუშაოები, ნილოსი არხით დაუკავშირდა ალექსანდრიას, აშენდა 30-მდე მეჩეთი, აბანოები, სკოლები და სხვა. 1304 წელს მან დაამთავრა თავისი მედრესეს მშენებლობა და უწოდა მას „ან-ნასირიდა“. ასეთი სამშენებლო საქმიანობა და სულთნის ხელგაშლილობა, ბუნებრივია, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, ამძიმებდა მოსახლეობის საგადასახადო ტვირთს და იწვევდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. ვითარების გამოსასწორებლად სულთანმა ბრძანა ქვეყნის ხელახალი აღწერა, გააუქმა სავაჭრო ბაჟი რიგ პროდუქტებზე და სცადა კონტროლი დაეწესებინა პურის ფასებზე. აღნიშნულ ღონისძიებებს მხოლოდ დროებითი შედეგი მოჰყვა. ეკონომიკურ კრიზისს დაერთო სტიქური უბედურებაც: 1348-1349 წლებში ეგვიპტეს და სირიას თავს დაატყდა ჭირის ეპიდემია, რომელმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა.

ან-ნასირის მემკვიდრეებიდან არც ერთი არ დარჩენილა ტახტზე დიდხანს. მომდევნო 41 წლის მანძილზე ეგვიპტეში შეიცვალა თორმეტი სულთანი, რომელთაც მამლუქები მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია სულთანი **ან-ნასირ ჰასანი (1347-1351, 1354-1361)**, რომელმაც სახელი გაითქვა კაიროში აგებული მშვენიერი მეჩეთით. **ბაჰრელთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ას-ნასირ ჰაჯი (1381-1382, 1389-1390)**, რომლის გამგებლობა შეწყვიტა ჯერ დროებით და შემდეგ საბოლოოდ მამლუქმა ბარკუემმა. ეგვიპტის სათავეში მოვიდა მამლუქთა ახალი ჯგუფი, რომელიც უფრო ხშირად ბურჯელების სახელითაა ცნობილი.

შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები მამლუქთა პირველ – ბაჰრელთა სასულთნოს ხშირად უწოდებენ თურქების სახელმწიფოს (დავლათ ათ-თურქ), ხოლო მეორე, ცნობილია ჩერქეზების სახელმწიფოს (დავლათ ალ-ჯარქას) სახელით. გასათვალისწინებელია, რომ ჩერქეზეთს ეგვიპტეში უწოდებდნენ არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიას, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას. ცხადია, რომ ჩერქეზებად ითვლებოდნენ კავკასიური წარმოშობის მამლუქები, რომელთა რაზმები შექმნა სულთანმა კალაუნმა და განაღობა კაიროს ციტადელში (ბურჯ), საიდანაც მათ მიიღეს მეორე, ფართოდ გავრცელებული და ლიტერატურაში დამკვიდრებული სახელწოდება – **ბურჯელი მამლუქები (ალ-მამლიქ ალ-ბურჯიდიუნ).**

გარდა წარმომავლობისა, ბურჯელები იმითაც განსხვავდებოდნენ ბაჰრელებისაგან, რომ მათ უარი თქვეს სულთნის მემკვიდრეობითობის პრინციპზე: ამიერიდან სულთანს ირჩევდნენ მამლუქთა რაზმების მეთაურები – ბეგები (ამირები)⁶⁸. რა თქმა უნდა, მეტოქე ბეგებს შორის უპირატესობას აღწევდა ის, ვისაც ჰყავდა ძლიერი რაზმი და ბრძოლის ველზე დაამტკიცებდა, რომ იყო უძლიერესი ძლიერთა შორის. ადგილი ჰქონდა მემკვიდრეობითობის აღდგენის მცდელობასაც. ბარკუეისა და კა'ით ბეგის (კა'ით ბნა) შთამომავლები ერთხანს სასულთნოს სათავეში იდგნენ. 23 ბურჯელი სულთნიდან, რომელთა გამგებლობა მთლიანად 134 წელს მოიცავს, ცხრა მათგანი ქვეყანას

განაგებდა 124 წლის მანძილზე. მათ შორის ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა სულთან კა'ით ბეგის (1468-1495) გამგებლობა. თითქმის ყველა სულთანი კავკასიური წარმომავლობისა იყო. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ ქუშკადამი (1461-1467) და თიმურ-ბუღა (1467), რომლებიც ბერძნებად არიან მიჩნეული.

საგარეო პოლიტიკაში და სასულთნოს ინტერესების დაცვის საქმეში ბურჯელი მამლუქები თავის ბაჰრელ წინამორბედებს ბევრად ჩამორჩნენ. მათ არ მოუპოვებიათ რაიმე სამხედრო წარმატებები, რაც XV ს. ეგვიპტელი მემ-ტიანის იბნ თაღრი-ბარდის აზრით, აიხსნება ბურჯელთა დაბალი დისცი-პლინით. სწორედ ამ რეჟიმის დროს, 1400 წელს სირიას თავს დაატყდა დიდი უბედურება თემურ ლენგის (თემურ ლანკ) სახით. მამლუქებმა სულთან ფარა-ჯის მეთაურობით ვერაფერად წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მტერს, რომელ-მაც დაარბია ჰალეები, ჰიმსი და ჰამა. **1401 წლის თებერვალში თემურ ლენგი შევიდა დამასკოში და ცნობილი უმაიანთა მეჩეთიც არ დაინდო.** მართალია, მალე იგი უკან გაბრუნდა, მაგრამ სირიის გაპარტახებული ქალაქებისთვის ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ მეცნიერთა და ხელოსანთა საუკეთესო ნაწილი მან შუა აზიაში გარეკა. მართალია, თემურის მემკვიდრეებს არ უცდიათ ასეთი შორეული და სახიფათო ლაშქრობის გან-მეორება, მაგრამ მათი პრეტენზიები მამლუქთა სულთნის მიმართ არ გამ-ქრალა. მაგალითად, შაჰ რუხმა (1404-1447) წერილი გაუგზავნა სულთან ბარს-ბეის (1422-1432), რომელშიც წერდა, რომ სურდა „წმინდა ქისვა“ გაეგზავნა მექაში, რაც ტრადიციულად მხოლოდ ეგვიპტის სულთნის პრეროგატივა იყო. ოთხივე მაჰაბის ყადიების რჩევით, ბარსბეიმ უარი თქვა შაჰის ამბიციების დაკმაყოფილებაზე და ურჩია მას ქისვის ნაცვლად მექაში ფული გაეგზავნა. ამის შემდეგ, შუა აზიიდან კაიროში ჩავიდა მეორე ელჩობა საბუთით, რომ-ლითაც ეგვიპტის სულთანი შაჰ რუხის ვასალად ცხადდებოდა, მაგრამ ეს ვიზიტიც უშედეგოდ დამთავრდა. მალე ურთიერთობამ ორ სახელმწიფოს შო-რის აზრი დაკარგა, ვინაიდან თემურიანთა მდგომარეობა გართულდა, ხოლო ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე გამოვიდნენ სეფიანთა და ოსმალთა სახ-ელმწიფოები.

ბურჯელი მამლუქების მთელი ისტორიის მანძილზე ერთადერთი სამხე-დრო ხასიათის წარმატება მოიპოვა სულთანმა **ბარსბეიმ 1426 წელს, როცა მამლუქებმა დაიპყრეს კვიპროსი და ტყვედ აიყვანეს მისი ქრისტიანი მეფე.** დიდი რეპარაციის სანაცვლოდ, მამლუქებმა მეფე გაათავისუფლეს და კუნძ-ულს ყოველწლიური გადასახადი დააკისრეს. იმ დროს, როცა ბურჯელთა სახელმწიფო თავისი ძლიერების ზენიტში იყო, კვიპროსის გარდა კონტროლს უწევდა ჰიჯაზს, იემენს, ნუბიას და ბარკას.

XV საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული მამლუქების გავლენას სირი-აში დაემუქრნენ თურქმანული დინასტიები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა აღმავლობის გზაზე მდგარი ოსმალეთი. სულთანი კა'ით-ბეგი (1468-1496) ცდილობდა არ გაემწვავებინა ურთიერთობა თავის სუნიტ მეზობლებთან და 1491 წელს ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, მაგრამ ორ მხარეს შორის დაპირისპირება გარდუვალი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც 1509 წელს ეგვიპტის ფლოტმა წითელ ზღვაში მარცხი განიცადა პორტუ-გალიელებისაგან, საფრთხე შეექმნა არა მარტო მუსლიმთა სავაჭრო ინტერე-

სებს ამ რეგიონში, არამედ ჰიჯაზის წმინდა ქალაქებსაც. ასეთ ვითარებაში ასპარეზზე გამოვიდა ოსმალეთი, რომელმაც 1517 წელს ბოლო მოუღო მამლუქთა სასულთნოს.

2. მამლუქთა სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური სისტემა და სამეურნეო ცხოვრება

მამლუქთა მიერ ეგვიპტესა და სირიაში შექმნილი მამლუქთა სასულთნო ბაზარზე ნაყიდი ყოფილი მონების სახელმწიფო იყო, სადაც მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა მათი წრიდან გამოსულ სამხედრო-ფეოდალურ ოლიგარქიას. მამლუქები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული თავის პატრონთან (უსთახ), ხშირად მათი რაზმები პატრონის ლაკაბს იღებდნენ (მაგ., სწლიჰიდა, ზნჰირიდა) და ერთი ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ (ხუშდნშ, ხუშდნშიდა). მეტოქეობა და შეტაკებები ცალკეულ რაზმებს შორის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ბურჯელების დროს მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო: ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სულთნის პირადი გვარდია (ალ-ჯილბან, ალ-ჯულბან), ადრინდელი სულთნების სამსახურში მყოფი ვეტერანი მამლუქები (ალ-კარანისა, ალ-კარანის) და ის მამლუქები, რომლებიც წინათ ამირების სამსახურში იყვნენ, მაგრამ შემდეგ სულთნის სამსახურში გადავიდნენ (სადჰიდა). ამ რაზმში ხშირად ხედებოდნენ ასაკოვანი ან ცუდად გაწვრთნილი მამლუქები, რაც დაღს ასვამდა მის ბრძოლისუნარიანობას. მამლუქები ცდილობდნენ (განსაკუთრებით ბურჯელების დროს) თავისი წრიდან აერჩიათ სულთანი იმ ვარაუდით, რომ წარმატების შემთხვევაში გავლენიან თანამდებობებს დაიკავებდნენ. საერთო ბედით გაერთიანებული მამლუქები ერიდებოდნენ კონფლიქტს ოჯახის შიგნით, მაგრამ ყოველთვის მზად იყვნენ მეტოქე რაზმებთან ბრძოლისთვის. ისინი ეგვიპტელებისაგან გამოირჩეოდნენ გარეგნობით, ენით და რაც მთავარია სოციალური პრივილეგიებით, მაგრამ ქვეყნის მართვა-გამგებლობისა და სათანადო მატერიალური ბაზის უზრუნველყოფის აუცილებლობა აიძულებდა მათ ეთანამშროლათ მკვიდრ მოსახლეობასთან. მამლუქთა რაზმებს მეთაურობდნენ ბეგები (ბიქ, მრ. ბაქაფთ), ან ამირები, რომლებიც სამი რანგისა იყვნენ: ამირ მი'ა ვა მუკადდამ ალფ, ამირ ტაბლხან და ამირ 'აშარა. რაზმში გაერთიანებული მამლუქების რაოდენობაც ნაწილდებოდა მეთაურის რანგის შესაბამისად: დაახლოებით 1000-მდე, 40 და 10 მეომარი. უმაღლესი რანგის ამირების (ამირ ალფ) რაოდენობა დაახლოებით 24-ს შეადგენდა.

ფართოდ გავრცელებული მონათვაჭრობის გამო ეგვიპტეში დიდი რაოდენობით გროვდებოდნენ აფრიკელი მონებიც, რომელთაც მომსახურების სფეროში ან შავ სამუშაოზე იყენებდნენ. ტყვედ ჩავარდნილი ჯვაროსნების ნაწილიც მონებად იყიდებოდა ან იგზავნებოდა სასულთნოს სხვადასხვა პროვინციაში საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოსაყენებლად.

მამლუქთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს სათავეში იდგა სულთანი, რომელიც ყოველთვის აწყდებოდა დაბრკოლებას თავისი დინასტიის დამკვიდრების საქმეში. ცნობილია შემთხვევები, როცა ბურჯელი სულთნები

ცდილობდნენ მემკვიდრედ დაეტოვებინათ შვილები, მაგრამ როგორც წესი, ასეთი ცდა მარცხით მთავრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კაიროში იმყოფებოდა 'აბასიანთა ხალიფა, სულთანი ითვლებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო მეთაურად და „ორი წმინდა ქალაქის“ – მექისა და მედინის მფარველად. იგი ნიშნავდა თავის მოადგილეს – ნაიბს (ნა'იბ ალ-ქაფილ), რომელიც ზოგჯერ ვეზირსაც ცვლიდა, ქაითბს – მთავარ საკანცელარიო მოხელეს, მუჰთასიბებს და დივანების მეთაურებს. სულთანი, როგორც უმაღლესი მოსამართლე, ნიშნავდა ოთხივე მაზჰაბის ყადიებს და მუფთიებს კაიროში, ხოლო სირიაში კი შაფი'იტური მაზჰაბის სამ მუფთის (დამასკოში, ჰალეპში და ტრიპოლში). სულთანი აბსოლუტური ძალაუფლებით სარგებლობდა, მაგრამ შეეძლო მოეწვია საკონსულტაციო საბჭო (მაჯლის ას-სალტანა), რომელშიც შედიოდა ყველა მაღალი რანგის მოხელე. ადმინისტრაციული აპარატის სათავეში იდგა ვეზირი, რომელიც ხშირად ფორმალურად გამუსლიმებული კოპტი იყო. ბურჯელი მამლუქების დროს ვეზირის გავლენა შესუსტდა, ვინაიდან მისი ფუნქციები ნაწილობრივ სხვა მოხელეებს გადაეცა. მრავალრიცხოვან დივანებს შორის გამოირჩეოდა ჯარის დივანი (დოვან ალ-ჯააშ), რაც რეჟიმის სამხედრო ხასიათთან იყო დაკავშირებული. დივანის განკარგულებაში იყო ყველა ბეგის (ამირას) მამლუქთა სიები მათი შენახვისთვის საჭირო ხარჯების ჩვენებით. ამ უწყებას მეთაურობდა ნაზირ ალ-ჯააშ-ი, რომელსაც ემორჩილებოდა ორი მაღალი მოხელე – ერთი ეგვიპტის და მეორე სირიის პროვინციისთვის. მაღალი საფინანსო მოხელე იყო ნაზირ ალ-დავლა, რომელიც ვეზირის წინაშე აგებდა პასუხს. ან-ნასირ მუჰამმადის დროს შეიქმნა ახალი საფინანსო უწყება (დოვან ალ-ხასს), რომლის ნაზირმა შეითავსა ვეზირის მრავალი ფუნქცია.

მამლუქთა ეგვიპტე იყოფოდა სამ ძირითად რეგიონად: დამანჰური, ასიუტი და ალექსანდრია. ზემო და ქვემო ეგვიპტე შესაბამისად იყოფოდა 7 და 13 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელთაგან თითოეულს სულთნის სახელით მართავდა მამლუქი ნა'იბი (ნა'იბ ას-სალტანა). ეგვიპტის პროვინციული გამგებლები ატარებდნენ ქაშიფის (ქაშიფ) ან ვალის (ვალ) ტიტულს. სირია იყოფოდა ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად ან სანა'იბოდ (დამასკო, ჰალეპი, ტრიპოლი, ჰამა, ჰიმსი და ალ-ქარაქი), რომელთაგან თითოეულს სათავეში ედგა სულთნის მიერ დანიშნული მაღალი რანგის ამირა ან ნა'იბი. სელჩუკთა დროიდან დამკვიდრებული ტრადიციით სირიის პროვინციების ამირებს ენიჭებოდათ ტიტული „ამირ ალ-უმარა“.

ეგვიპტე დიდი ისლამური ქვეყანა იყო და რელიგიის წარმომადგენლები აქ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. რელიგიის საკითხებს განაგებდა სულთნის მიერ დანიშნული შეიხ-ულ-ისლამი. უპირატესი გავლენით სარგებლობდა შაფი'იტური მაზჰაბი, რომელსაც აღიარებდა მოსახლეობის დიდი ნაწილი. შარი'ათის სასამართლოს მოხელედ ითვლებოდა თარჯიმანი (თარჯუმან), რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მამლუქები საკმარისად არ ფლობდნენ არაბულ ენას. სამხედრო რაზმებს ჰყავდათ თავიანთი ყადიები (კანდ ალ-ასქარ) მაზჰაბების შესაბამისად. გარდა ჩვეულებრივი შარი'ათის სასამართლოებისა, რომელთა საქმიანობა ძირითადად მეჩეთებში მიმდინარეობდა, არსებობდა სპეციალური სასამართლო, რომელიც საჩივრებს არჩევდა უშუალოდ სულთნის

ხელმძღვანელობით. ასეთი სასამართლო (ან-ნაზარ ჭი-ლ-მაზნლიმ), რომელსაც ხშირად სააპელაციო ინსტანციას აღარებენ, არსებობდა უკვე სულთან ბაი-ბარსის დროს. მისი მუშაობისთვის გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილი და გარკვეული დღეები (კვირაში ორჯერ გარდა რამადანის თვისა). ბურჯელთა გამგებლობის დასასრულს ამ სასამართლომ დაკარგა მნიშვნელობა და ფაქტობრივად აღარ მოქმედებდა. არამუსლიმ მოსახლეობაზე ვრცელდებოდა მუსლიმურ ქვეყნებში მიღებული სასამართლოს კონფესიონალური სისტემა. სასამართლო და დამსჯელი ფუნქციები ჰქონდათ ისეთ მოხელეებსაც, როგორც იყვნენ მუჰთასიბი და პოლიციის მეთაური – ვაზლ აშ-შურტა. მუჰთასიბად, უმეტესად, რელიგიური პირი (ჩაღმოსანი) ინიშნებოდა, ხოლო პოლიციის სათავეში მამლუქი იდგა. კაიროში საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა ორი ვალი. მუჰთასიბი და პოლიციის მეთაურები ყოველდღე ხვდებოდნენ სულთანს და ინფორმაციას აწვდიდნენ ქალაქში არსებული ვითარების შესახებ. პოლიციას ჰყავდა თავისი მოხელე ყველა პროვინციაში.

მამლუქთა სასულთნო დაფუძნებული იყო სათანადო ბაზისზე, რომლის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა იკტას ინსტიტუტი. მამლუქი ამირები იღებდნენ იკტას, რომლის შემოსავლის 2/3 რიგითი მამლუქების შენახვას ხმარდებოდა. მამლუქთა სამსახურში იმყოფებოდა ე.წ. „ჰალკას“ ჯარი, რომელიც შედგებოდა არამამლუქებისაგან და ასევე იკტას ინსტიტუტზე იყო დამყარებული. იკტას მემკვიდრეობით გადაცემა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ მამლუქთა შვილები (ავლად ან-ნას) კარგავდნენ მამების მიერ მოპოვებულ უფლებებს და ხშირად არასამხედრო სფეროში, მაგალითად, საკანცელარიო უწყებაში საქმიანობდნენ. ამგვარად, ხდებოდა იკტას გადანაწილება ბაზარზე ნაყიდი მამლუქების სასარგებლოდ. იკტა ეძლეოდათ სულთნის სამსახურში მყოფი მომთაბარე ტომების შეიხებსაც. სულთნის რიგითი მამლუქები იღებდნენ ხელფასს და პროვიანტს, ზოგჯერ კი იკტას მფლობელნიც ხდებოდნენ. ბაჰრელი მამლუქების დროს იკტას გაყიდვა-გასხვისება სასტიკად იკრძალებოდა, მაგრამ უკვე XIV საუკუნეში გაჩნდა ამ კანონის დარღვევის მაგალითები. როგორც წესი, იკტადარი ცხოვრობდა კაიროში ან პროვინციის ცენტრში, სადაც სამსახურს გადიოდა. ფელაჰი მიწაზე იყო მიმაგრებული და ეკრძალებოდა მისი მიტოვება.

ბურჯელების დროს იკტას ინსტიტუტი გავრცელდა აბასიანთა ხალიფაზეც, ხოლო მოხუცი ან ავადმყოფი მამლუქებისა და მათი ოჯახებისთვის გამოიყო სპეციალური მიწები (რიხე), რომელიც თავისუფალი იყო გადასახადისგან და მემკვიდრეობითაც გადადიოდა. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კარგად ცნობილი მულქის კატეგორიის მიწებს, XIII-XIV საუკუნეებში მათი რაოდენობა სასულთნოში უმნიშვნელო იყო, მაგრამ XV საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა. იკტას ინსტიტუტის კრიზისის პირობებში მულქის ხვედრითი წონა გაიზარდა. დამუშავებული მიწების ფონდის დიდი ნაწილი ვაკუს ეკუთვნოდა. ამ მიწებზე დასახლებული ფელაჰები იხდიდნენ იმავე გადასახადს, რასაც სხვა მიწათმოქმედი მოსახლეობა, მაგრამ რელიგიურ დაწესებულებათა სასარგებლოდ. არამუსლიმები, ისევე, როგორც სხვა ისლამურ ქვეყნებში, ვალდებული იყვნენ გაეღოთ ჯიზია.

მძიმე ექსპლუატაცია, რომელსაც ფელაჰები, ე.ი. ეგვიპტის მთავარი მწარმოებელი კლასი განიცდიდა, ხშირად იწვევდა მღელვარებას. თითქმის პერმა-

ნენტული ხასიათისა იყო მამლუქების ბრძოლა ბედუინებთან, რომლებიც მართალია ფელაჰებთან შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ, მაგრამ, როგორც შუა საუკუნეების ცნობილი არაბი ავტორი ალ-მაკრიზი წერდა, უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ „უცხოელ მონებს“ – მამლუქებს. 1253 წლიდან მამლუქთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ბაჰრელები, ასევე ბურჯელები სასტიკად ახშობდნენ ბედუინების გამოსვლებს.

მამლუქთა ბატონობის პერიოდში მმართველი სამხედრო ოლიგარქიის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი ასპარეზი ქალაქი იყო. ეგვიპტისა და სირიის ქალაქები წარმოადგენდნენ მაღალგანვითარებული ხელოსნობისა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ანუ ლეგანტის ვაჭრობის ცენტრებს. საერთო დაინტერესება ასეთი ვაჭრობით იმდენად დიდი იყო, რომ ჯვაროსანთა ექსპანსიამაც ვერ ჩაახშო იგი. უფრო მეტიც, XIV საუკუნეში ვენეციელების გააქტიურებამ ეგვიპტესა და სირიაში, აგრეთვე მამლუქების ხელშეწყობამ ახალი იმპულსი მისცა მას.

XV საუკუნეში სამეურნეო საქმიანობის პირობები და ეკონომიკის მდგომარეობა მამლუქთა სასულთნოში გაუარესდა. პირადი გამორჩენის მიზნით, სულთანმა ცდილობდა მონოპოლია დაეწესებინა ფართო მოხმარების საქონლისა და პროდუქტის (მაგ., შაქრის, სანელებლების) წარმოება-გაყიდვაზე, არ ერიდებოდა აშკარა სპეკულაციას. საერთაშორისო ვაჭრობას აფერხებდა გაზრდილი ბაჟები. მაღალი ფასები პურზე და სხვა პროდუქტებზე ხშირად იწვევდა მოსახლეობის დაპირისპირებას სულთნის ადმინისტრაციასთან. XV-XVI სს. ეგვიპტელი მემკვიდრე იბნ იასი წერს, რომ სულთან კანსუჰ ალ-დავრის (1501-1516) ბრძანებით, ხელი უნდა მოეკვეთათ იმისთვის, ვინც გაბედავდა შეეჩერებინა მისი მამლუქი, რომელსაც შეეძლო მისულიყო ბაზარში და წაეღო ის, რაც სურდა. ასეთი განუკითხაობის პირობებში, ბუნებრივია, მამლუქთა რეჟიმის ავტორიტეტი მაღალი ვერ იქნებოდა. გარდა ამისა, ეგვიპტის მოსახლეობის მდგომარეობას ამძიმებდა ნილოსში წყლის დაბალი დონე, კალიის შემოსევა, შიმშილობა და ეპიდემიები, რომელთა შედეგადაც ბურჯელების დროს მოსახლეობა თითქმის ორი მესამედით შემცირდა. დაქვეითებას განიცდიდა მამლუქთა პრივილეგირებული ზედაფენაც, რომელიც ვეღარ ახერხებდა ბაზარზე დიდი რაოდენობით მონების შექენას. მკვლევართა ვარაუდით, XV საუკუნის დამდეგს ბურჯელთა რაოდენობა 4 ათასს აღწევდა, საუკუნის დამდეგს კი ასეულის მეთაური ამირების რიცხვი შეადგენდა 15-ს, ორმოცი მამლუქი ჰყავდა 10 ამირას, ათი მამლუქი 60-ს, ხოლო სულთნის მამლუქთა რაზმი არ აღემატებოდ 800 მხედარს (**ლ. ა. სემიონოვა**). სამხედრო რეჟიმის შესუსტებამ გამოაცოცხლა ბედუინთა ტომები, რომლებიც უკვე სისტემატურად ესხმოდნენ თავს სამეურნეო ზოლში დასახლებულ ფელაჰებს და სოფლებს ძარცვავდნენ.

ამგვარად, XVI საუკუნის დამდეგს, როცა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ორი დიდი ისლამური სახელმწიფო – სეფიანთა ირანი და ოსმალთა სასულთნო, ბურჯელ მამლუქთა რეჟიმი განწირული აღმოჩნდა. 1517 წელს ოსმალებმა ეგვიპტე დაიპყრეს და საბოლოო წერტილი დაუსვეს მამლუქთა სასულთნოს ისტორიას. რაც შეეხება მამლუქობას, როგორც სამხედრო-კორპორაციული სისტემა, იგი უფრო სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და არსებობდა კიდევ დიდხანს – XIX საუკუნის დამდეგამდე.

3. მამლუქთა სახელმწიფოს ადგილი არაბთა ისტორიაში (მეცნიერება, კულტურა)

მამლუქთა სახელმწიფოს ისტორიის მოკლე მიმოხილვაც კი შეუძლებელია ამ პერიოდის (XIII-XVI სს.) კულტურული მემკვიდრეობის შეფასების გარეშე. არაბთა ისტორიის ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი გამორიცხავს ბურჯელთა პოზიტიურ როლს ისლამური კულტურის განვითარების საქმეში, მაგრამ გვერდს ვერ აგუვლით იმ ფაქტს, რომ ორივე რეჟიმის დროს ეგვიპტესა და სირიაში გაჩნდა მშვენიერი არქიტექტურული ძეგლები, მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაიწერა სამეცნიერო ტრაქტატები, ხოლო არაბულმა ისტორიოგრაფიამ აყვავება განიცადა. იბნ ხალდუნისა და ალ-მაკრიზის ცნობილი სახელების გარდა, არაბულ ისტორიოგრაფიას ამშვენებს ეგვიპტელ ავტორთა მთელი პლეადა, რომელშიც ბოლოა იბნ იასი – მამლუქთა სახელმწიფოს დაცემის მომსწრე და მხილველი.

მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ XI საუკუნიდან ეგვიპტე აღმოჩნდა განსაკუთრებულ პირობებში. არაბული ცივილიზაციის ტრადიციული რეგიონები სირია და ერაყი ვერ გადაურჩნენ სელჩუკებს, მონღოლებს, ჯვაროსნებს და, ბოლოს, თემურ ლენგის შემოსევებს. ეგვიპტის ბრძოლა ამ დამპყრობლებთან ფაქტობრივად იწყებოდა და მთავრდებოდა სირიაში. ამგვარად, ეგვიპტეში შენარჩუნებულ იქნა და განაგრძობდა არსებობას ისლამური კულტურული ტრადიცია, რომელსაც სხვა არაბულ ქვეყნებში საფუძველი გამოაცალეს გამანადგურებელმა შემოსევებმა. აიუბიანების და ბაჰრელი მამლუქების დროს ეგვიპტეში მეცნიერებისათვის არსებობდა სათანადო მატერიალური ბაზა, ხოლო სამხედრო წარმატებებმა და სასულთნოს მაღალმა ავტორიტეტმა გარკვეული იმპულსი მისცა ინტელექტუალურ საქმიანობას. ცივილიზაციის ორი ატრიბუტი – წიგნი და მეცნიერება ისტორიულად შექმნილი ობიექტური ვითარების გამო ეგვიპტეში უფრო საიმედოდ აღმოჩნდა დაცული, ვიდრე სირიასა და ერაყში. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებდნენ იმ წარმატებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ეგვიპტეში მამლუქთა გამგებლობის პერიოდში. პოლიტიკურად, და, მით უმეტეს, კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით, ეგვიპტე ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული აზიის არაბულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით სირიასთან. აქედან გამომდინარე, ის სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ეგვიპტეში იქმნებოდა ფატიმიანთა დროიდან მოკიდებული მამლუქთა პერიოდის ჩათვლით, შეიძლება შეფასდეს როგორც არაბულ-ისლამური ცივილიზაციის ნაწილი.

მამლუქთა პერიოდის ეგვიპტეში არაბი მეცნიერები განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ ისეთ დარგებში, როგორცაა ისტორია და გეოგრაფია. სწორედ ეს დარგები დაედო საფუძვლად ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებებს (მაგსუ'ა), რომელთა ავტორები იყვნენ არა მარტო მეცნიერები, არამედ მაღალი კვალიფიკაციის მოხელეები. მათ მიერ თავმოყრილი მასალა სახელმწიფოს ადმინისტრაციული, ფისკალური და სოციალური საკითხების გარშემო, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ დროის სირია-ეგვიპტის შესახებ. გარდა იმისა, რომ ასეთი ხასიათის თხზულება სახელმწიფო მოხელეებს ეხმარებოდა

პრაქტიკულ საქმიანობაში, ამასთან აკმაყოფილებდა საზოგადოების განათლებული ფენების ინტერესს მეცნიერების სხვადასხვა დარგებისადმი და ემსახურებოდა არაბთა მიერ დაგროვილი ცოდნის პოპულარიზაციას. ამ თხზულებების გაცნობა საშუალებას აძლევს მკითხველს შეაფასოს არაბულ-ისლამური მეცნიერების მიღწევები IX-X საუკუნეებიდან მამლუქთა ეპოქამდე.

პირველი დიდი ისტორიკოსი, რომლის ცნობებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაჰრელ მამლუქთა ისტორიის შესწავლისათვის არის აიუბიანთა შთამომავალი **აბუ-ლ-ფიდა'** (**იმზდ ად-დინ ისმან'ლ იბნ 'აღნ ალ-აფჰონ, 1273-1331**). იგი დამასკოში დაიბადა, 12 წლის ასაკში მონაწილეობდა ცნობილი მარკაბის ციხის აღებაში, 16 წლისა იბრძოდა ტრიპოლის გათავისუფლებისათვის, შემდეგ კი, როგორც მამლუქთა მოხელე, ერთგულად ემსახურებოდა სულთან ან-ნასირს. სიკვდილამდე იგი განაგებდა ქალაქ ჰამას, რომელიც მის დროს ლიტერატურული და სამეცნიერო საქმიანობის ცენტრად იქცა. აბუ-ლ-ფიდა' დაინტერესებული იყო პოეზიით და მეცნიერების სხვადასხვა დარგებით, მაგრამ პირადად შესამჩნევი კვალი დატოვა ისტორიასა და გეოგრაფიაში. მის მატეანეში – „**ალ-მუხთასარ თა'რნხ ალ-ბაშარ**“ („გაცობრიობის მოკლე ისტორია“), თხრობა იწყება სამყაროს შექმნიდან და მთავრდება 1329 წლით. ვინაიდან ავტორი კარგად იცნობდა მამლუქთა სასულთნოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, მისი ცნობები ამ თემაზე მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. აბუ-ლ-ფიდა'ს გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი ძირითადად სირიას და მის მეზობელ ქვეყნებს მოცავს. XIII-XIV საუკუნეების ეგვიპტელ ავტორთა შორის აღნიშვნის ღირსია კიდევ ორი სახელმწიფო მოხელე: უკვე ნახსენები **აჰმად ან-ნუგადრ (1279-1333)** და **აბუ ბაქრ იბნ ად-დავდარ (XIV ს.)**, რომლებმაც დეტალურად აღწერეს სულთან ან-ნასირ მუჰამადის გამგებლობა.

მამლუქთა პერიოდის ზოგიერთი ავტორის ნაშრომი შეიცავს საინტერესო ცნობებს ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობებისა და საქართველოს შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი პირველია **ალ-'უმარი (შიჰნბ ად-დინ იბნ ჭადლ ალლანჰ ალ-'უმარნ, 1301-1349)** ან-ნასირ მუჰამადის მდივანი (ქათიბ-ი) და ენციკლოპედისტი. მისი ნაშრომი „ათ-თა'რნჰ ბი-ლ-მუსტალაჰ აშ-შარნჰ“ („მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება“) წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საქართველოსა და ირანის ისტორიისთვის. ავტორმა იგი შეადგინა კანცელარიის მოხელეებისთვის მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და პირადი დაკვირვების საფუძველზე. ამ ნაშრომის დამატებად ითვლება სირიელი მეცნიერის **თაკნ ად-დინ ალ-მუჰიბბინ (გარდ. 1384 წ.)** „თასნჰ ათ-თა'რნჰ ბი-ლ-მუსტალაჰ აშ-შარნჰ“ („მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა“).

ალ-'უმარისა და ალ-მუჰიბბინ თხზულებათა ნაწილი, მათ შორის ცნობები საქართველოს შესახებ, მცირე დამატებებით შევიდა ცნობილი ეგვიპტელი ენციკლოპედისტის **ალ-კალკაშანდის (შიჰნბ ად-დინ აბუ-ლ-'აბბან აჰმად იბნ 'აღნ ალ-კალკაშანდ, 1355-1418)** ნაშრომში „სუბჰ ალ-ა'შნ ჭნ სინნ'ათ ალ-ინშა“ („განთიადი ცუდად მხედველისა ეპისტოლოგრაფიის ხელოვნებაში“). ვინაიდან ალ-კალკაშანდი იყო იმ უწყების მოხელე, რომელსაც საქმე ჰქონდა საგარეო ურთიერთობებისა და დიპლომატიური მიმოწერის უწყებასთან (დნვან

ალ-ინშა), მას მოაქვს უაღრესად საინტერესო მასალები ამ თემაზე, კერძოდ საქართველოს მეფეებთან ეგვიპტელი სულთნების მიმოწერის წესსა და ეტიკეტზე. ალ-უმარის, ალ-მუჰიბის და ალ-კალკაშანდის ცნობები საქართველოს შესახებ შესწავლილია და გამოქვეყნებული ქართველი არაბისტი ისტორიკოსის **დიტო გონილეიშვილის** მიერ.

მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის ისტორიის საკითხებს მოიცავს ორი ავტორის – კაიროელი მოხელის **ნასირ ად-დინ მუჰამმად იბნ ალ-ფურათის (1334-1405)** და **მუჰამმად იბნ დუკმაკის (გარდ. დაახლ. 1407 წ.)**, დამიეტას გამგებლის შრომები, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ითლება ის წვლილი, რომელიც თავისი ქვეყნისა და კაიროს შესწავლაში შეიტანა ეპოქის გამორჩეულმა მეცნიერმა **ალ-მაკრიზიმ**.

თაკე ად-დინ აჰმად იბნ 'ალე ალ-მაკრიზი (1364-1442) დაიბადა კაიროში, სადაც წარმატებით დაეუფლა კანონიკურ მეცნიერებას. მისი მასწავლებლები ყოფილან იბნ დუკმაკი და იბნ ხალდუნი. ეგვიპტეში მას ეკავა ყადის და მუჰათასიბის თანამდებობა, 1408 წლიდან კი იმყოფებოდა სირიაში, სადაც ასწავლიდა პადისებს და ვაკვის საქმეს განაგებდა. 1430 წელს მან შეასრულა ჰაჯი და ერთხანს დარჩა ჰიჯაზში, რათა მოეპოვებინა მასალა ამ რეგიონის, სამხრეთ არაბეთის და სხვა ისლამური ქვეყნების შესახებ, რაშიც მას ჰაჯიები ეხმარებოდნენ. 1435 წელს იგი დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის დარჩენილი წლები ეგვიპტეს და მშობლიურ კაიროს მიუძღვნა.

სხვა არაბი ავტორებისაგან განსხვავებით, ალ-მაკრიზი თითქმის მთლიანად ისტორიით იყო დაინტერესებული და ამას იმით ხსნიდა, რომ „ისტორია, როგორც მეცნიერების დარგი, გამოირჩევა თავისი ღირსებითა და კეთილშობილებით“. მისი პირველი ცნობილი ნაშრომი „ქითაბ ალ-მაჟაზიზ ვა-ლი-თიბნრ ფი ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ნასრ“ („სწავლისა და დარიგების წიგნი კვარტალებისა და ძეგლების აღწერაში“) კაიროს მიეძღვნა და ისტორიულ-გეოგრაფიულ ენციკლოპედიად ითვლება. ეს თხზულება ხშირად მოიხსენიება მოკლე სათაურით „ალ-ხიტატ“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისტორიასა და გეოგრაფიაში არსებობდა სპეციალური ჟანრი, რომელიც გულისხმობდა ცალკეული ადგილების, ქალაქების და უბნების შესწავლას. ამ ნაშრომში ალ-მაკრიზის მოაქვს არაბული ისტორიოგრაფიისათვის უნიკალური მასალა კოპტების შესახებ, დაწყებული პირველი პატრიარქებით, დამთავრებული 1354 წელს მათი დევნით. ისტორიკოსი ეყრდნობა არა მარტო ადრინდელი არაბი მეცნიერების, არამედ ქრისტიან ავტორთა შრომებსაც და აღწერს 86 კოპტურ მონასტერს და 72 ეკლესიას.

ალ-მაკრიზის მეორე ნაშრომია „ქითაბ ას-სულჷქ ლი-მა'რიჷათ ალ-მულჷქ“ („მმართველი მეფეების შესწავლის გზების წიგნი“), რომელიც მოიცავს ეგვიპტის ისტორიას 1181 წლიდან 1440 წლამდე. მართალია, ამ თხზულების ნაკლად ითვლება ის, რომ ავტორი არ ასახელებს გამოყენებულ წყაროებს, მაგრამ მის მიერ მოტანილი ცნობები ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის უდავოდ მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს. ეგვიპტესთან დაკავშირებული მოვლენებისა და ისტორიული ფაქტებისადმი ალ-მაკრიზის ინტერესი კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი ტრაქტატიდან „ქითაბ ალ-იდნასათ ალ-უმმა“, რომელიც მიეძღვნა ე.წ. „შიმშილობის წლებს“. ცნო-

ბილია, რომ უძველესი დროიდან XV საუკუნის ჩათვლით მოუსავლიანობის, ეპიდემიებისა და ომების შედეგად ეს უბედურება თავს ატყდებოდა ეგვიპტის მოსახლეობას. რაც შეეხება მთლიანად ალ-მაკრიზის სამეცნიერო მემკვიდრეობის შეფასებას, იგი სრულადაა გამოხატული ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის **ე. კატრმერის (1782-1852)** მიერ: „ალ-მაკრიზის შრომების რაოდენობა და მოცულობა გასაოცარია. თავისი ფართო, დაუღალავი კვლევით, მან შუქი მოჰფინა ყველაფერს, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი ეგვიპტის პოლიტიკურ და ლიტერატურულ ისტორიასთან.“ ამ შეფასებას აკად. **ე.ი.კრაჩკოვსკიც** იზიარებდა.

ალ-მაკრიზის მოწაფე იყო იბნ **თაღრიბარდი (აბუ-ლ-მაჰსინი აბუ-ლ-იბნ თაღრიბარდი, ან თაღრიბირდი, 1409-1470)**, ბაჰრელ მამლუქთა შთამომავალი და სულთნის კართან დაახლოებული მეცნიერი. მისი პირველი ნაშრომია „ან-ნუჯუმ აზ-ზაჰირა ჰნ მულთჰ მისრ ვა-ლ-კაჰირა“ („ბრწყინვალე ვარსკვლავები ეგვიპტისა და კაიროს მეფეთა შორის“), ხოლო მეორე – „ჰავანდის ად-დუჰჰურ“ („ეპოქის მოვლენები“). პირველი მოიცავს პერიოდს არაბთა დაპყრობებიდან 1467 წლამდე, ხოლო მეორე 1441 წლიდან 1469 წლამდე. ორივე ნაშრომში წარმოდგენილია საინტერესო მასალა აიუბიანებისა და მამლუქების ფრაქციული შეტაკებებისა და სახალხო გამოსვლების შესახებ. იბნ თაღრიბარდის თანამედროვე მეცნიერები იყვნენ კაიროელი მასწავლებელი **‘აბდ არ-რაჰმან ას-სახანენი (1427-1497)** და მამლუქის შთამომავალი, ალექსანდრიის, შემდეგ კი ალ-ქარაქის და საფედის გამგებელი (ჰაქიმი-ი) **ალ-ხალილ იბნ შაჰინ აზ-ზაჰირი (გარდ. 1468 წ.)**. ორივე დასახელებულ ავტორს ხელი მიუწვდებოდა ისეთ მასალებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის. კიდევ უფრო ნაყოფიერ მეცნიერად ითვლება **ჯალალ ად-დინ ას-სუჰეტი (1445-1505)**, რომელიც მამლუქთა პერიოდის სხვა ავტორებისგან განსხვავებით არ ყოფილა სახელმწიფო მოხელე. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა კაიროში. ას-სუჰეტი წარმატებით მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში (თეოლოგია, ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია, არაბული ენა და სხვა). გარდა ამისა, იგი ცნობილია, როგორც კარგი კალიგრაფი. 600-დე ნაშრომიდან, რომელიც მას მიეწერება, მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა.

მამლუქთა ეპოქის ყველაზე დიდ ისტორიკოსად და მოაზროვნედ მიჩნეულია იბნ **ხალდუნი (ვალე ად-დინ ‘აბდ არ-რაჰმან იბნ მუჰამმად იბნ ალ-ჰასან იბნ ხალდუნი, 1332-1406)**. ჰადრამავთიდან ესპანეთში გადასახლებული არაბის შთამომავალი, იბნ ხალდუნი ქინდას ცნობილ ტომს ეკუთვნოდა. 1248 წელს, სევილიის დაცემის შემდეგ, მისი მამა გადავიდა თუნისში, სადაც დაიბადა მომავალი ისტორიკოსი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ახალგაზრდობაშივე იბნ ხალდუნი ინტერესს იჩენდა მეცნიერებისადმი, დიდი ხნის მანძილზე დაკავებული იყო ადმინისტრაციული და დიპლომატიური საქმიანობით მადრიდსა და ანდალუსიაში. 1382 წელს ჰაჯის საბაბით მან მადრიდი დატოვა და საბოლოოდ დასახლდა კაიროში, რომელსაც ისლამური ცივილიზაციის ცენტრად თვლიდა. აქ იგი სარგებლობდა სულთან ბარკუკის მფარველობით და ექვსჯერ მალიქიტი ყადის თანამდებობაც ეკავა. თავისი ოჯახის საზღვაო

კატასტროფაში დაღუპვის შემდეგ იგი განმარტოებით ცხოვრობდა ფაიუმის ოაზისში, რომელიც მიიღო იქტას სახით. 1400 წელს იბნ ხალდუნი აღმოჩნდა თემურ ლენგის მიერ გარშემორტყმულ დამასკოში სულთან ფარაჯთან ერთად და ქალაქის ჩაბარების საკითხზე მოლაპარაკებაშიც მონაწილეობდა. სიცოცხლის დარჩენილი წლები მან გაატარა კაიროში, სადაც გარდაიცვალა 1406 წლის 17 მარტს ყადის მოვალეობის შესრულებისას. დაკრძალულია იქვე ბნ ან-ნასრის მახლობლად.

იბნ ხალდუნის ფუნდამენტური ნაშრომი, ვრცელ სათაურს ატარებს, მაგრამ ცნობილია როგორც „ქითნბ ალ-‘იბარ“ („დარიგებათა წიგნი“). მკვლევართა აზრით, თხზულების შესავალი – „მუკადდიმა“ შეიძლება შეფასდეს, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი ან სოციალურ-ფილოსოფიური ტრაქტატი და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იბნ ხალდუნი თვლიდა, რომ საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავდა არა პოლიტიკური ხასიათის ცვლილებები, არამედ სამეურნეო საქმიანობა, რომელიც გამოიხატებოდა მომთაბარეობით (ე.ი. ექსტენსიური მეურნეობით), მიწათმოქმედებით და, ბოლოს, საქალაქო ცხოვრებით. ყველა სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიას ის ჰყოფდა სამ ძირითად ეტაპად: ზრდა, აყვავება და დაცემა. მიუხედავად იმისა, რომ იბნ ხალდუნი არაბი იყო, იგი უარყოფითად აფასებდა ბედუინების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და მათ კულტურის დამანგრეველად მიიჩნევდა. მისი აზრით, ცივილიზაცია იქმნება ქალაქში, მაგრამ საქალაქო ცხოვრება აღუნებს ადამიანს, აკარგვინებს მას საბრძოლო თვისებებს და, საბოლოოდ, ხელს უწყობს მის გადაგვარებას. საინტერესოა, რომ თავის ტრაქტატში იბნ ხალდუნმა არ შეიტანა მოციქულის ბიოგრაფია, რაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ მეცნიერი საზოგადოების განვითარების თავის კონცეფციას აგებდა რაციონალისტურ საფუძველზე.

„ქითნბ ალ-‘იბარის“ მეორე ნაწილი ეთმობა მსოფლიო ისტორიას, სადაც ცენტრალური ადგილი არაბებს უკავიათ. თხრობას ავტორი წარმართავს თანმიმდევრობით, დინასტიებისა და სახელმწიფოების შესაბამისად. განსაკუთრებით საინტერესოა მესამე თავი, რომელიც დღემდე უმთავრეს წყაროდ რჩება ბერბერების ისტორიისათვის.

ყველა ცნობილი არაბი ისტორიკოსივით იბნ ხალდუნი დაინტერესებული იყო გეოგრაფიით, იყენებდა პტოლემეაიოსის და ალ-იდრისის შრომებს, რითაც აგრძელებდა კლასიკური გეოგრაფიის ტრადიციებს. მისი ვარაუდით, დედამიწა სფეროსებური უნდა ყოფილიყო, დასახლებული იყო მისი მეოთხედი ნაწილი და იყოფოდა შვიდ ნაწილად. საყურადღებოა იბნ ხალდუნის შენიშვნა იმის შესახებ, რომ კლიმატი (ალ-ჰავა) მოქმედებს ადამიანის თვისებებზე, მის გარეგნობაზე. ამგვარად, გეოგრაფიული გარემოს როლი ხალხის, საზოგადოების განვითარებაზე არაბ ავტორთა შორის პირველად სწორედ იბნ ხალდუნმა აღნიშნა. ამ საკითხში იგი შეიძლება ჩაითვალოს XVIII ს. ცნობილი განმანათლებლის და ფილოსოფოსის **შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1755)** წინამორბედად (**ე.ი.კრანკოვსკი**).

იბნ ხალდუნის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომია „რიჰლათ იბნ ხალდუნ ფი-ლ-ღარბ ვა-ლ-მაშრიკ“ („იბნ ხალდუნის მოგზაურობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“), რომელიც უფრო ავტორის პირადი ცხოვრების პერიპეტებს ასახავს, ვიდრე მის სამოგზაურო შთაბეჭდილებებს.

ისევე, როგორც ბევრმა მუსლიმმა და ევროპელმა მოაზროვნემ, იბნ ხალდუნმაც განიცადა ავეროიზმის გავლენა, მაგრამ როგორც მართლმორწმუნე მუსლიმი, რელიგიას განიხილავდა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის საშუალებად. იგი აღიარებდა რელიგიის როლს ადამიანებისა და ხალხების გაერთიანების საქმეში, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარებისათვის მატერიალურ ფაქტორს მაინც უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა. ბოროტება და სიკეთე, წერდა არაბი მეცნიერი, ყოველთვის არსებობდა. ადამიანის ვალია მიისწრაფოდეს სიკეთისაკენ და უარყოს ბოროტება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იბნ ხალდუნმა, ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა გაუსწრო თავის ეპოქას და სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი არაბული და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში.

მამლუქთა პერიოდის არაბული ისტორიოგრაფიის ბოლო წარმომადგენელია **იბნ იასი (მუჰამმად იბნ აჰმად იბნ იაჰს, 1448-1524)**, მამლუქთა შთამომავალი. მისი „მატიანე“ („ბადჰი‘ აზ-ზუჰჰურ ჰნ ვაკჰი‘ ად-დუჰჰურ“) მოიცავს ეგვიპტის ისტორიას „სამყაროს შექმნიდან“ 1522 წლამდე. მართალია, XV საუკუნემდე მის ნაშრომს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ XV ს. მეორე ნახევრისა და XVI ს. დამდეგისათვის პირველხარისხოვან წყაროდ ითვლება. იბნ იასი გვაწვდის ცნობებს ოსმალთა მიერ სირია-ეგვიპტის დაპყრობის შესახებ, რისი თვითმხილველიც თავად იყო.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ეგვიპტემ შეინარჩუნა ის ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ ალ-აზჰარის აშენებამდე შეიქმნა ყურანის, ჰადისების და ფიკჰის შესწავლასთან დაკავშირებით. მუსლიმ მეცნიერთა დიდი ნაწილი (აღიშნულები) სწორედ ამ დარგში მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი იყო **იბნ თაიმიია (თაკი ად-დინ აჰმად იბნ თაიმიია, 1263-1328)**, რომელიც ჰარანში დაიბადა, მაგრამ მონღოლთა შემოსევის დროს დამასკოში გადასახლდა. 1284 წლიდან იგი ასწავლიდა დამასკოს „სუქქარიფას“ მედრესეში, სადაც შეცვალა თავისი მამა, შემდეგ კი უმაიანთა მეჩეთში დამკვიდრდა. 1300-1303 წლებში იგი აქტიურად გამოდიოდა მონღოლთა წინააღმდეგ და სულთანს ჯიჰადისაკენ მოუწოდებდა. უკიდურესი ჰანბალიტიზმა, რომლის მიმდევარიც იბნ თაიმიია იყო, მის წინააღმდეგ განაწყოდა გავლენიან შაფი‘იტ თეოლოგებს, რის შედეგადაც ერთი წელი კაიროს საპრობილეშიც იჯდა. მიუხედავად დევნისა, იბნ თაიმიას მოძღვრება გადარჩა და XVIII საუკუნეში საფუძვლად დაედო ვაჰაბიზმს. როგორც მუჰადდისი და ისტორიკოსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ასევე კაიროს ყადი **იბნ ჰაჯარ ალ-ასკალანნი (1372-1449)**, რომელსაც უკვე ცხრა წლის ასაკში ზეპირად სცოდნია ყურანი.

ისლამის ადრეულ პერიოდს, კერძოდ მოციქულ მუჰამედს მიუძღვნა თავისი შემოქმედება ეგვიპტელმა პოეტმა **შარაჰ ად-დინ მუჰამმად ალ-ბჰსირნი (1213-1296)**. მისი პოემა ატარებს მოციქულის მოსახსენის „ალ-ბურდას“ სახელს. ეს ნაშრომი ძალიან პოპულარული ყოფილა ისლამურ ქვეყნებში, რაზედაც ისიც მეტყველებს, რომ მას ბაძავდნენ და თარგმნიდნენ სპარსულ, თურქულ და სხვა ენებზე. ფიკჰის, ლიტერატურის, ენისა და ისტორიის სპეციალისტად ითვლებოდა სირიელი პოეტი და მეცნიერი **ზადნ ად-დინ იბნ ალ-გარდნი (1290/2-1349)**, რომელიც მა‘არათ ან-ნუ‘მანიდნ იყო, მაგრამ ჰალებში მოღვაწეობდა. მის

მრავალრიცხოვან შრომებს შორის არის იბნ მალიქის ცნობილი ტრაქტატის „აღფიდას“ კომენტარები.

სულთან კალაუნის მიერ კაიროში დაარსებულმა საავადმყოფომ ახალი სტიმული მისცა სამედიცინო საქმის განვითარებას. სწორედ აქ მუშაობდა ბაიბარსის ყოფილი ექიმი **იბნ ან-ნაფისი**, არაბთა შორის უფრო მეტად ცნობილი თავისი ნისბით **ალ-ღურაში (გარდ. 1288 წ.)**. გარდა მედიცინისა, იგი გატაცებული ყოფილა არაბული ენის გრამატიკით, ლოგიკით და ისლამის საკითხებით. იბნ ან-ნაფისს შეუდგენია სამედიცინო ენციკლოპედია („ქითაბ აშ-შამილ ჭნ-ს-სინა‘ა ატ-ტიბბიდა“). მისი თეორია ფილტვებისა და სისხლის მიმოქცევის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ევროპელმა მეცნიერებმა დაადასტურეს მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შემდეგ. მამლუქთა დროს წარმატებები იქნა მოპოვებული მედიცინის ისეთ დარგში, როგორცაა ოფთალმოლოგია.

არაბებისთვის, როგორც მომთაბარეებისთვის ოღითგანვე იყო ცნობილი საქონლის, კერძოდ აქლემის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პრობლემები, მისთვის დამახასიათებელი დაავადებები და მათი მკურნალობის წესი, მაგრამ ვეტერინარიამ (ბაღტარა) მეცნიერული კვლევის ხასიათი ისლამურ პერიოდში მიიღო. ამ დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ეგვიპტელი აბუ ბაქრ იბნ ბადრ ალ-მუნზირი, სულთან ან-ნასირის მეჯინიბე და ვეტერინარი, რომელიც უფრო მეტად ცნობილია, როგორც **ალ-ბაღტარ ან-ნასირი (გარდ. 1340 წ.)**. პატრონის თხოვნით მას დაუწერია ვრცელი ნაშრომი ვეტერინარიაში, სადაც შეჯამებულია ამ დარგში არაბთა მიერ დაგროვილი ცოდნა. ეს ტრაქტატი ცნობილი გახდა სახელწოდებით „ქითაბ ან-ნასირი“ და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გვერდით გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული მატერიალური კულტურის სფეროში. მამლუქთა პერიოდის არქიტექტურა და სამშენებლო ხელოვნება უშუალოდ ზანქიანთა და აიუბიანთა ტრადიციას აგრძელებდა, თუმცა იგრძნობა მუსოპოტამიური გავლენაც. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც მონღოლთა ექსპანსიის გამო მშენებელ-ხელოსანთა ერთმა ნაწილმა ეგვიპტეს შეაფარა თავი. ამავე დროს, მუსლიმებმა გაიცნეს და აითვისეს ციხესიმაგრეების შენების ე.წ. „ნორმანული სტილი“, რომელიც სირია-პალესტინაში ფრანკებმა შემოიტანეს. ასეთი სტილითაა აგებული დიდხანს აუღებლად მიჩნეული ალ-აქრადი, ალ-მარკაბი და აშ-შაკნფი (ბელფორტი). ‘აქქაში ფრანკების ეკლესიის კარი მუსლიმებისთვის იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ ქალაქის აღების შემდეგ 1291 წელს მამლუქებმა იგი კაიროში გადაიტანეს და ან-ნასირის მეჩეთში გამოიყენეს. სკოლები, მეჩეთები და მავზოლეუმები აშენდა ბაჰრელების – კალაუნის, ან-ნასირის და ალ-ჰასანის, აგრეთვე ბურჯელების – ბარკუის, კა’ით ბეგის და ალ-ღავრის დროს.

ჯვაროსანთა ეპოქამ, რომელიც მამლუქთა დროსაც გაგრძელდა, გავლენა მოახდინა, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთზე და მის სამეურნეო ცხოვრებაზეც აისახა. სირია-პალესტინიდან ევროპაში შევიდა მრავალი ისეთი კულტურა, რომელიც მანამდე უცხო იყო მისთვის, მათ შორის – შაქარი, ბრინჯი, ციტრუსი და სანელებლები, რომლისადმი ინტერესი მთელი შუა საუკუნეების

მანძილზე არ შენელებულა. აღმოსავლეთში ევროპელებმა გაიციეს კომპასი (ქუნბანს), რომელიც მართალია ჩინური წარმომავლობისაა (ისევე, როგორც ქალაქი), მაგრამ მას არაბები იყენებდნენ. ეს უმნიშვნელოვანესი სანავიგაციო საშუალება ევროპაში პირველად იტალიელმა ზღვაოსნებმა შეიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ XI-XIII საუკუნეებში სირია-პალესტინა ორი რელიგიის წარმომადგენელთა დაპირისპირების ასპარეზი გახდა, ევროპელებმა შეძლეს ბევრი ახალი და სასარგებლო ენათ აქ. მართალია, ისლამურმა სამყარომ ამ დროს დაკარგა ადრინდელი შემოქმედებითი უნარი, მაგრამ განვითარების დონით იგი კვლავ საგრძნობლად უსწრებდა დასავლეთს. რა თქმა უნდა, ევროპას შეეძლო ისლამური საზოგადოების გაცნობა ესპანეთშიც, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ჯვაროსანთა ლაშქრობების შემდეგ, XIII საუკუნეში, ევროპელი სწავლულები დაინტერესდნენ არაბული მეცნიერების მიღწევებით, აღიარეს მისი უპირატესობა და შეუდგნენ არაბულ ენაზე შექმნილი შრომების თარგმნას ლათინურ ენაზე. მაგალითად, კატალონიელი **რაიმონ ლულიუსი (ლათ. Lullius, ესპ. Lulio, გარდ. დაახლ. 1315 წ.)** ამტკიცებდა, რომ მუსლიმებთან სამხედრო დაპირისპირება უაზრობა იყო, ხოლო აღმოსავლეთის შესწავლა და მშვიდობიანი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა. სწორედ ასეთი განათლებული და საღად მოაზროვნე ევროპელების ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი ახლო აღმოსავლეთის შესწავლას პარიზის, სალამანკას (ესპანეთი) და სხვა უნივერსიტეტებში. მიუხედავად რელიგიური ანტაგონიზმისა, რომელსაც ჯვაროსნების დროს კონკრეტული პოლიტიკური სარჩული დაედო, ისლამური სამყარო არა მარტო ამდიდრებდა ევროპას თავისი მიღწევებით, არამედ აიძულებდა მას დაენახა თავისი ნაკლი და გადაეღვა ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ (**უ. მონტგომერი უოტი**).

თავი XII

არაბები ესპანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში

1. ესპანეთის ყმაიანთა საამირო (756-929)

VIII საუკუნის დამდეგიდან მოკიდებული ესპანეთი, რომელსაც არაბები უწოდებდნენ „ალ-ანდალუსს“, უმაიანთა სახალიფოში შედიოდა. ადმინისტრაციულად იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული არაბულ მადრიბთან, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ესპანეთს განაგებდა კაირავანიდან (და არა დამასკოდან) გამოგზავნილი მოხელე. ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ არაბები და ბერბერები, რომელთა შორის ხშირი იყო დაპირისპირება ტომობრივ (ქალბიტები და კაისიტები) ან სოციალურ ნიადაგზე (არაბები და მავლები). ამავე დროს მიმდინარეობდა ახალმოსახლეთა ადაპტაციის პროცესი, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ მუსლიმები ადვილად უნათესავდებოდნენ ესპანელებს. ასე მაგალითად, ესპანეთის პირველი მუსლიმი გამგებლის მუსა იბნ ნუსაირის შვილმა ‘აბდ ალ-‘აზიზმა ცოლად შეირთო ვესტგუთების უკანასკნელი მეფის ქვრივი და სევილიაში დამკვიდრდა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, არაბმა სარდალმა თავისი ქრისტიანი ცოლის გავლენით დაუშვა ისეთი ყოფითი ნორმები, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა ორთოდოქსი მუსლიმებისთვის და ამის გამო ის მოკლეს. სწორედ ადგილობრივი თავისებურებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით VIII ს. დამდეგს ესპანელი მუსლიმები ეგუებოდნენ ბილინგვურ (არაბულ-ლათინურ) მონეტებს, მაგრამ 720 წლიდან ფისკალური რეფორმის შემდეგ აქ მოიჭრა და ბრუნვაში შევიდა უმაიანთა სახალიფოში მიღებული ფულადი ნიშნები. მუსლიმური ესპანეთის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ასრულებდა სევილია, რომელმაც შეცვალა ვესტგუთების დროინდელი ტოლედო, მაგრამ 717 წლიდან ქვეყნის დედაქალაქი გახდა კორდოვა.

ჩრდილოეთ აფრიკასთან მჭიდრო ურთიერთობის გამო იქ განვითარებული მოვლენები ხშირად ესპანეთში პოულობდა გაგრძელებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ბერბერების მოძრაობას, რომელიც ხარიჯიტული ლოზუნგებით მიმდინარეობდა. მაგალითად, 741-742 წლებში უმაიანთა ხალიფა ჰიშამმა ვერაფრით ვერ შეძლო აჯანყებულთა დაშოშმინება და იძულებული გახდა სირიიდან ესპანეთში გაეგზავნა ახალი რაზმები, რომელთაგან თითოეულს (ჯუნდ) დაევალა ქვეყნის ერთი რომელიმე რაიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სირიიდან მოსულმა არაბებმა, რომელთა შორის უმრავლესობას სამხრეთის არაბები (კაჰტანიანები) შეადგენდნენ, 742 წელს აშკარა უპირატესობა მოიპოვეს. ამის შემდეგ სირიული ელემენტი ესპანეთში გაძლიერდა, რაც დამასკოს კონტროლის განმტკიცებას ნიშნავდა. იბერიის ნახევარკუნძულზე გადასულ პირველ მუსლიმებს, მათ შორის, ატ-ტარიკის მეომრებს და 716

წელს 'აბდ არ-რაჰმან ას-საკაფინს ოთხასი კაცისგან შემდგარი რაზმის წევრებს ეწოდებოდათ „აღ-ბაღადიდუნ“ ან „აღ-არაბ აღ-აკდამუნ“ („ძველი არაბები“) მაშინ, როცა სირიიდან გამოგზავნილ არაბებს უწოდებდნენ „აშ-შამიდუნ“.

749-750 წლებში სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში განვითარებულმა მოვლენებმა პირდაპირი გავლენა მოახდინეს ესპანეთზე. ახლად აღზევებულმა 'აბასიანთა ხალიფამ რეპრესიებს მიმართა უმაიანთა წინააღმდეგ. დევნას გადაურჩა მეთექვსმეტი წლის შვილიშვილი 'აბდ არ-რაჰმანი, რომელიც დედით ბერბერი იყო. მან შეძლო ეგვიპტეში გაქცევა, შემდეგ კი თავი შეაფარა მადრიდს, სადაც თავისი ნათესავი ბერბერების მფარველობით სარგებლობდა (აქედან მისი ზედმეტი სახელი დწხილ – თავშეფარებული). 'აბდ არ-რაჰმანმა გამოიჩინა კარგი ორგანიზატორული უნარი, გააერთიანა ბერბერები და სირიელების მხარდაჭერით შეძლო ესპანეთში გადასვლა. **756 წლის 14 მაისს 'აბდ არ-რაჰმან I იბნ მუ'ავია⁹⁹ კორდოვას მეჩეთში აღ-ანდალუსის ამირად გამოცხადდა. ამგვარად, შეიქმნა კორდოვას დამოუკიდებელი უმაიანთა საამირო. მართალია, მისი მეთაური 'აბდ არ-რაჰმან I (756-788) ამირად იწოდებოდა, მაგრამ ამიერიდან მუსლიმური ესპანეთი აღარ წარმოადგენდა 'აბასიანთა სახალიფოს პროვინციას.**

'აბდ არ-რაჰმან I-ის ამირად გამოცხადების შემდეგ ესპანეთს მიაშურეს უმაიანთა გვარის გადარჩენილმა წევრებმა და მათმა მომხრეებმა, რათა დახმარებოდნენ ამირას 'აბასიანთა ხალიფასთან ბრძოლაში. მათგან, ყველაზე აქტიური იყო 'აბდ აღ-მალიქ იბნ უმარ იბნ მარვანი, რომელიც სევილიის გამგებელი გახდა. სწორედ მან ურჩია ამირას შეეწყვიტა 'აბასიანთა ხალიფას სახელზე ხუტბის აღვლენა, რაც სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. თავისი გამგებლობის 33 წლის მანძილზე 'აბდ არ-რაჰმან I-მა ბევრი გააკეთა დინასტიის განმტკიცებისთვის. 'აბასიანთა ხალიფა აღ-მანსურის ცდამ გამოეყენებინა საკუთრივ ესპანეთში მოქმედი უმაიანთა მოწინააღმდეგეები და იქ 'აბასიანთა კონტროლი აღედგინა, არავითარი შედეგი არ გამოიღო. თავისი დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთით ამირამ ააგო სამეფო რეზიდენცია „არ-რუსნაჰა“, ხოლო ქალაქში დაიწყო დიდი კათედრალური მეჩეთის შენება. 'აბდ არ-რაჰმანის მტრებიც კი იძულებული გახდნენ ელიარბინათ მისი ნიჭი და მიღწევები. არაბული წყაროების თანახმად, თავად ხალიფა აღ-მანსური მას უწოდებდა „კურაიშიტების შევარდენს“ და კმაყოფილებას გამოთქვამდა იმით, რომ ეს საშიში მეტოქე შორს იმყოფებოდა მისგან.

არაბთა ბატონობის დასაწყისში ისლამის ძალდატანებით გავრცელებას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ესპანეთშიც არ ჰქონია ადგილი, მაგრამ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე, როცა მალიქიტების მარჯობა აქ ოფიციალურად იქნა აღიარებული, ხელისუფალთა რელიგიური პოლიტიკა უფრო მკაცრი და მიზანდასახული გახდა. აქედან მოკიდებული, ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმების პროცესი დაჩქარდა, რის შედეგადაც IX საუკუნის შუა წლებში ესპანელების დიდი ნაწილი უკვე მუსლიმი იყო. ყოფილ ესპანელ ქრისტიანებს ისლამის მიღების შემდეგ ეწოდებოდათ **მუსლიმა (მხ. მუსლიმი)** ან **ასლიმა (მხ. ასლამი)**, ე.ი. ნეომუსლიმები. მათი შთამომავლები აღინიშნებოდნენ ტერმინით **მუვალლადუნ (მხ. მუვალლად – რენეგატი)**. გარდა ასეთი გამუსლიმე-

ბული ესპანელებისა, რომელთა გაარაბება სწრაფად ხდებოდა, არაბულ ენას და კულტურას ითვისებდნენ ესპანელი ქრისტიანებიც. ისინი ცნობილი გახდნენ სახელწოდებით **მუსთარაბ** (გაარაბებული) ანდა **მოსარაბები**, როგორც მათ ევროპელები უწოდებდნენ. მოსარაბები არ ივიწყებდნენ თავის ძველ ესპანურ ენას – რომანსეს და ლათინურს, მაგრამ ხშირად არაბულ ენაზე ქმნიდნენ ლიტერატურას და რელიგიურ შრომებს. ზოგიერთი ცნობით, სწორედ არაბიზირებული ქრისტიანებისათვის შექმნა ბიბლიის არაბული ვერსია სევილიელმა ეპისკოპოსმა იოანემ.

‘აბდ არ-რაჰმან I-ს და მის მემკვიდრეებს მოუხდათ ბრძოლა ქრისტიანულ სამთავროებთან ქვეყნის ჩრდილოეთით და სეპარატიზმთან საკუთრივ საამიროში. მუსლიმურ ესპანეთს საფრთხეს უქმნიდა მეზობელი ფრანკების (კაროლინგების) სახელმწიფოც. კარლოს დიდი (771-814) ცდილობდა შეევიწროებინა მუსლიმები და 778 წელს სარაგოსამდეც (სირაკუსტა) მივიდა.

ესპანეთის უმაიანთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის სრულყოფა წილად ხვდა დინასტიის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ ამირას **‘აბდ არ-რაჰმან II-ს (822-852)**. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელი უმაიანები მტრულად იყვნენ განწყობილი ‘აბასიანთა მიმართ, ბაღდადის გავლენა ამ დროს შესამჩნევი გახდა, ხოლო სირიული ტრადიციები თანდათან ერაყულით შეიცვალა. აქედან გამომდინარე, მმართველობის აპარატიც ‘აბასიანთა სახალიფოს ანალოგიით გადაკეთდა. ბაღდადის კულტურული გავლენის მჩვენებელია ცნობილი ერაყელი სწავლულისა და მომღერლის **ზირაბის** მოღვაწეობა კორდოვაში. ასევე დიდი გავლენით სარგებლობდა ბერბერული წარმომავლობის ფაკიჰი, იმამ მალიქ იბნ ანასის მოწაფე **ჰაჰმდ იბნ ჰაჰმდ (გარდ. 849 წ.)**, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ესპანეთში მალიქიტური მასჰაბის დამკვიდრებაში.

‘აბდ არ-რაჰმან II-ის დროინდელი საგარეო ფაქტორებიდან აღსანიშნავია ვიკინგების⁷⁰ 80 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტის თავდასხმა 844 წელს ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ხმელეთზე გადასულ ვიკინგებს, რომლებიც სევილიისკენ გაემართნენ, მუსლიმებმა ალყა შემოარტყეს და სასტიკად დაამარცხეს. გადარჩენილებმა ისევ თავის ხომალდებს მიაშურეს და გაეცალნენ ესპანეთს.

თავის მემკვიდრეებს ‘აბდ არ-რაჰმან II-მ კარგად ორგანიზებული და ძლიერი სახელმწიფო დაუტოვა, თუმცა უკვე მის დროს დაიწყო და შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა სეპარატიზმი, რომელიც ბერბერების გარდა ახლად გამუსლიმებული ესპანელების – მუვალლადების გამოსვლებითაც გამოვლინდა. სამი მომდევნო ამირას **მუჰამმად I-ის (852-886)**, **ალ-მუნზირის (886-888)** და **‘აბდ ალლჰჰის (888-912)** მთავარი პრობლემა სწორედ აღნიშნული პროცესის შეჩერება და სეპარატიზმის აღკვეთა იყო. განსაკუთრებით საშიში და ამავე დროს ხანგრძლივი გამოდგა ვესტგუთების ერთ-ერთი გამუსლიმებული შთამომავლის (მუვალლადის) **‘უმარ იბნ ჰაჰსუნ**-ის აჯანყება. თავისი კარიერა მან დაიწყო იმით, რომ სათავეში ჩაუდგა ყაჩაღების ჯგუფს სამხრეთ ესპანეთში და ხელში ჩაიგდო ერთ-ერთი ციხესიმაგრე ძნელად მისადგომ ბობასტროს მთებში. ფაქტობრივად იბნ ჰაჰსუნი ჩამოცილდა საამიროს და კავშირი გააბა მადრიბელ მუსლიმებთან იმ იმედით, რომ მათი დახმარებით დაიმორჩილებდა მთელ ესპანეთს. მეამბოხის მხარეს გადავიდნენ ესპანელი მუვალ-

ლადები მაშინ, როცა არაბები მას „წყეულ გაიძვერას“ უწოდებდნენ. იბნ ჰაფსუნი თავისი წინაპრების რელიგიას დაუბრუნდა, რითაც მოსარაბების მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ სამაგიეროდ დაიპირისპირა მუვალლადები. 910 წელს ამბიციურმა ესპანელმა თუნისში ახლად შექმნილი ფატიმიანთა სახალიფოსგანაც კი სცადა დახმარების მიღება. 917 წელს იბნ ჰაფსუნი გარდაიცვალა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება კიდევ ათი წელი ებრძოდა მის მემკვიდრეებს. აღნიშნული ეპიზოდი კარგად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც დახვდა ესპანეთში უმაიანთა დინასტიის ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენელს და სახელმწიფო მოღვაწეს ‘აბდ არ-რაჰმან III-ს.

2. უმაიანთა სახალიფო ესპანეთში (929-1031)

ამირა ‘აბდ ალლაჰის მემკვიდრე, მისი შვილიშვილი ‘აბდ არ-რაჰმან III (912-961), ოცდასამი წლის ასაკში გახდა ამირა და თითქმის ნახევარი საუკუნე მართავდა სახელმწიფოს. პირველი, რითაც მან დაიწყო მოღვაწეობა, იყო ქვეყნის ერთიანობის აღდგენა. მეთოდურად, ერთიმეორის მიყოლებით მან თავის კონტროლს დაუმორჩილა ესპანეთის ყველა ისლამური პროვინცია, მათ შორის იბნ ჰაფსუნის საფეოდალოც. ამის შემდეგ დადგა ისლამური ესპანეთის ორი საშიში მეტოქის – ჩრდილოეთის ქრისტიანული სამთავროებისა და მაღრიბში წარმოქმნილი ფატიმიანთა შიიტური სახალიფოს გაუვნებელყოფის საკითხი. მანამდე ხალიფამ მიზანშეწონილად ჩათვალა შეეცვალა მუსლიმური ესპანეთისა და მისი მეთაურის სტატუსი: **929 წლის 16 იანვარს, პარასკევის ხუტბაში ‘აბდ არ-რაჰმან III გამოცხადდა ხალიფად „ალ-ხალიფა ან-ნასირ ლი-დინ ალლჰა“-ის ტიტულით.** ამგვარად, ესპანეთის ახალი ხალიფა თავისი ავტორიტეტით დაუპირისპირდა, პირველ რიგში, ფატიმიანთა ხალიფას და პრეტენზია განაცხადა არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი მაღრიბის მორწმუნეების მეთაურის (ამირ ალ-მუ’მინინ) პრეროგატივებზე. ერთი მხრივ, დინასტიის წარმომავლობა (კურაიშიტი-უმაიანები) და მეორე მხრივ, სახელმწიფოს ძლიერება იყო ის არგუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ‘აბდ არ-რაჰმან III. ამიერიდან ისლამურ სამყაროს ჰყავდა ორი სუნიტი ხალიფა ბაღდადსა და კორდოვაში.

უმაიანთა ახალი სახალიფოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა ‘აბდ არ-რაჰმან III-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. უკვე 931 წელს მან თავის კონტროლს დაუმორჩილა მაღრიბის დიდი ნაწილი, მაგრამ 959 წელს ფატიმიანთა შემოტევის შემდეგ მას მხოლოდ ტანჯერი (ტანჯა) და სეუტა (საბთა) დარჩა. 973-974 წლებში უმაიანთა სარდლის ღალიბის ლაშქრობას მოჰყვა მაღრიბის დიდი ნაწილის ისევ კორდოვას ხალიფას ხელში გადასვლა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამდე აქ მდგომარეობა არ შეცვლილა.

თავისი გამგებლობის პირველი ოცი წელი ‘აბდ არ-რაჰმან III-მ შეაღწია ქვეყნის ერთიანობის აღდგენას და ჩრდილოეთ ესპანეთის ქრისტიანულ სამთავროებთან ბრძოლას. არც მუსლიმები, არც არაბები და არც ბერბერები არ

დასახლებულან ჩრდილოეთ ესპანეთში, რაც მათთვის მეტისმეტად მკაცრი კლიმატით და ადგილობრივი მოსახლეობის მტრული დამოკიდებულებით აიხსნება. ამ რეგიონის ქრისტიანული რეგიონები – გალიცია (ჯილღნკიდა), ასტურია (აშთურნშ), ლეონი (ლიდუნ), კასტილია (კაშტნლა), ნავარა (ნაბზრა), არაგონი (არაღუნ) და ბარსელონა (ბარშილუნა) სახალიფოს ვასალებად ითვლებოდა, მაგრამ მათ მოსახლეობას არ ჰქონდა აჰლ ალ-ჰიმმას სტატუსი. დროდადრო ჩრდილოეთ ესპანეთის სამთავროები გამოდიოდნენ მორჩილებიდან და თავისი ტერიტორიის გაფართოებას ცდილობდნენ მუსლიმთა ხარჯზე. 920-924 წლებში აბდ არ-რაჰმან III-ის ლაშქრობამ ჩრდილოეთში, რომელსაც ჯიჰადის ხასიათი ჰქონდა, ბოლო მოუღო ქრისტიანთა თავდასხმებს მუსლიმებზე. 951-961 წლებში ჩრდილოეთ ესპანეთის ყველა სამთავრო იძულებული გახდა ელიარებინა კორდოვას პირველობა, ეცნო თავი მის ვასალად და ყოველწლიური გადასახადის ვალდებულება აეღო. X საუკუნის მიწურულს მუსლიმთა კონტროლი მთელ ესპანეთზე თითქმის აბსოლუტური იყო.

აბდ არ-რაჰმან III-ის და მისი შვილის **ჰაქამ II-ის (961-976)** გამგებლობის პერიოდში ისლამურმა ესპანეთმა მიაღწია თავისი ძლიერებისა და აყვავების ზენიტს. სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი ამ დროს შეადგენდა 6,245,000 დინარს. მისი ერთი მესამედი ხმარდებოდა სამხედრო საქმეს, ერთი მესამედი კი განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი სამშენებლო საქმიანობისათვის.

ჰაქამ II-ის გამგებლობის პერიოდში ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა რამდენიმე მოღვაწე, რომელთაც გარკვეული კვალი დატოვეს მუსლიმური ესპანეთის ისტორიაში. პირველ რიგში ესაა აბდ არ-რაჰმან III-ის დროინდელი სარდალი **დალიბი (დნლიბ იბნ აბდ არ-რაჰმან)**, ყოფილი საკალიბას⁷¹ რაზმის წევრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ჯიჰადში ჩრდილოეთ ესპანეთის ქრისტიანთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის 972 წელს მას მიენიჭა მთავარსარდალის მაღალი სამხედრო წოდება „ალ-კა'იდ ალ-ა'ლჰა“, ხოლო 975 წელს ებოძა ორი მოოქროვილი მახვილი და საპატიო ტიტული „ზუნ-ლ-საფაჰან“ („ორი მახვილის მატარებელი“).

ხალიფა ჰაქამ II-ის კიდევ ერთი ცნობილი მოხელე **უსმან იბნ მუსჰაფი (ჯა'ჰარ იბნ უსმან ალ-მუსჰაფი)**, ვალენსიის ნაკლებად ცნობილ ბერბერულ ოჯახს ეკუთვნოდა. მისი მამა განათლებული კაცი – მუ'ადლიბი და ალ-ჰაქამის მასწავლებელი ყოფილა. ამ გვარის წარმომადგენელი – ჯა'ფარი გახდა ხალიფას მრჩეველი და კორდოვას გამგებელი (სნჰიბ ალ-მადნა), ხოლო მეორე – ჰიშამ იბნ მუჰამმადი ცნობილი სარდალი (კა'იდ-ი) იყო. თავისი გამგებლობის მიწურულს ხალიფამ სამსახურში აიყვანა 700-დე ბერბერი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროს ბერბერები მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ.

ჰაქამ II-ის მემკვიდრე **ჰიშამ II (976-1009, 1010-1013)** 12 წლისა გახალიფდა. ამიტომ ფაქტობრივი ძალაუფლება მცირეწლოვანი ხალიფას რეგენტების ხელში გადავიდა. პირველ რიგში ეს იყო ცნობილი **ჯა'ჰარ ალ-მუსჰაფი**, რომელსაც მხარს უჭერდა ხალიფას კარზე დაწინაურებული გავლენიანი მოხელე **მუჰამმად იბნ აბნ 'ამირ-ი**. საბოლოოდ მუჰამმადმა თავისი სიმამრის დალიბის დახმარებით გზიდან ჩამოიცილა ალ-მუსჰაფი და გახდა რეგენტი, მაგრამ ბრძოლა ხალიფას კარზე ამით არ დამთავრებულა და გადაიზარდა დაპი-

რისპირებაში იბნ აბი 'ამირსა და დალიბს შორის. საბოლოოდ დალიბი მოკლეს და გამარჯვება იბნ აბი 'ამირს დარჩა. მუსლიმური ესპანეთის ისტორიაში დაიწყო ე.წ. 'ამირიანთა გვარის ფაქტობრივი გამგებლობის პერიოდი.

იბნ აბი 'ამირი იყო იემენელი არაბის შთამომავალი მა'ზრიფის ტომიდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ესპანეთის დაპყრობაში და ალხესირასში დამკვიდრდა. თავისი მოღვაწეობა მან დაიწყო კორდოვაში ფიკჰის შესწავლით, ხოლო შემდეგ ხალიფას კანცელარიაში მოიკიდა ფეხი. გავლენიანი მფარველების დახმარებით, რომელთა შორის იყო ჰაქამ II-ის ქვრივი სუბჰ-ი (უმცვალად), ნიჭიერმა და ამბიციურმა არაბმა გზა გაიკაფა ხელისუფლებისაკენ, დაიკავა ჰაჯიბის მაღალი თანამდებობა და ფაქტობრივად ხელისუფლების სადავეებს დაეპატრონა, თუმცა ფორმალურად ქვეყნის სათავეში კვლავ ხალიფა ჰიშამ II იდგა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იბნ აბი 'ამირი უთმობდა ჯიჰადს ჩრდილოეთ ესპანეთის ქრისტიანული სამთავროების წინააღმდეგ. მას მიეწერება 57-დე ლაშქრობა, რისთვისაც დაიმსახურა ტიტული „ალ-მანსურ ბი-ალლჰ“ („ალლაჰისათვის გამარჯვებული“), თუმცა ისტორიაში იგი შევიდა **ალ-ჰაჯიბ ალ-მანსურ-ის** სახელით. გრძნობდა რა ხელისუფლების უზურპაციით შექმნილი ვითარების სირთულეს, ჰაჯიბი ცდილობდა მოეპოვებინა საზოგადოების ავტორიტეტული წრეების მხარდაჭერა. ამ მიზნით იგი დაუახლოვდა ორთოდოქსული ისლამის მესვეურებს და თეოლოგებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ანტისქოლასტიკური შეხედულებების გავრცელების გამო. ჰაჯიბის ბრძანებით გაანადგურეს სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული მრავალი ისეთი ნაშრომი, რომელიც რელიგიის წარმომადგენლებს მიუღებლად მიაჩნდათ. უფრო პოზიტიური იყო ალ-ჰაჯიბ ალ-მანსურის საქმიანობა სამხედრო სფეროში. მან გადაახალისა ჯარი, რაც გულისხმობდა საკალიბას გვარდიის შესუსტებას და ბერბერებისგან შედგენილი რაზმების უფრო ეფექტურ გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ალ-ჰაჯიბ ალ-მანსურის მეტისმეტი აღზევება კანონიერი ხალიფას უფლებების იგნორირებას ნიშნავდა, სამხედრო წარმატებები და ადმინისტრაციის ეფექტური ფუნქციონირება უზრუნველყოფდა სტაბილურ მდგომარეობას მთელ სახელმწიფოში. 1002 წლის 9 აგვისტოს (392 წ. 27 რამადანს) ძღვევამოსილი ჰაჯიბი გარდაიცვალა ჩრდილოეთ კასტილიაში ლაშქრობის შემდეგ. ხალიფა ჰიშამმა ხელისუფლების სადავეები გადასცა მის შვილს **'აბდ ალ-მალიქს**, რომელმაც წარმატებით განაგრძო მამის პოლიტიკა. მან აღადგინა ესპანეთის გავლენა მაროკოზე, განაგრძო ჯიჰადი ჩრდილოეთით და მიიღო ტიტული „ალ-მუზაფჰარ“ („ძღვევამოსილი“). მისი გამგებლობის ექვსი წლის მანძილზე შენარჩუნებულ იქნა ადრე მიღწეული წარმატებები, მაგრამ 1008 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი ძმა და 'ამირიანთა გვარის ბოლო ჰაჯიბი **'აბდ არ-რაჰმან-ი (ალ-მა'მუნ)** ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან პრეტენზია განაცხადა ტახტზე, რითაც დაკარგა ავტორიტეტი და იმათი მხარდაჭერა, ვინც აქამდე ურიგდებოდა ჰაჯიბების შეუზღუდავ ძალაუფლებას. არც კორდოვას მოსახლეობა, არც საკალიბას და ბერბერების რაზმები აღარ ემორჩილებოდნენ ჰაჯიბს, რაც პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებს ქმნიდა.

1008-1031 წლებში ესპანეთში დაიწყო და გაძლიერდა უმაიანთა სახალიფოს დაშლის პროცესი. ჰიშამ II-ის შემდეგ ხალიფას ტახტზე შეიცვალა ექვსი უმაიანთა და სამი ჰამმუდიანთა ნახევრად ბერბერული წარმომავლობის ხალიფა.

ჰამმუდიანთა გვარის ფუძემდებელი **‘ალნ იბნ ჰამმუდ-ი (1016-1018)** იმამ ‘ალის შთამომავლად ითვლებოდა, მაგრამ ბერბერთა წრეს ეკუთვნოდა. თავდაპირველად მან ფეხი მოიკიდა დღევანდელი მაროკოს ტერიტორიაზე – სეუტასა და ტანჯერში, ხოლო შემდეგ გადავიდა ესპანეთში, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდა მალაგაში (მალაგა). 1016 წელს მან კორდოვაც დაიკავა და თავი ხალიფად გამოაცხადა. ჰამმუდიანთა პირველი ხალიფა შეცვალა მისმა ძმამ **ალ-კასიმმა (1018-1023)**, მაგრამ აჯანყებულმა მოსახლეობამ ის ქალაქიდან გააძევა, ხოლო მისი ძმისწული **მაჰმუდ**, რომელიც მალაგას მართავდა მოკლეს. 1058 წელს, როცა მალაგა სევილიელმა ‘აბბდლიანებმა აიღეს, ჰამმუდიანთა ბატონობაც დამთავრდა.

1031 წელს ესპანეთის უმაიანთა სახალიფო გაუქმდა. მის ტერიტორიაზე აღმოცენდა მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი საფეოდალოები (ტა’იფა, მრ. ტაფა’იფ). შედარებით მსხვილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს სათავეში ედგნენ ‘აბბდლიანები (სევილიაში), ატლასიანები (ბადახოსში), ზორიანები (გრენადაში), ზუ-ლ-ნუნიანები (ტოლედოში) და ჰუნდიანები (სარაგოსაში). XI საუკუნეში მიუხედავად დამოუკიდებელი მუსლიმი გამგებლების (მულტაქ ატ-ტაფა’იფ) გაუთავებელი კონფლიქტებისა, არაბულ-ისლამურ ცივილიზაციას ესპანეთში თავისი შემოქმედებითი უნარი არ დაუკარგავს. ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო აღარ არსებობდა, მაგრამ ესპანეთი კვლავ ისლამური ქვეყანა იყო და დროდადრო პოულობდა ძალას ჩრდილოეთ ესპანეთიდან მომდინარე საფრთხის მოსაგერიებლად. XI საუკუნეში დაიწყო ესპანელ ქრისტიანთა მიზანდასახული და კარგად ორგანიზებული ბრძოლა ესპანეთის დაბრუნებისთვის, რომელიც **რეკონკისტას (ესპ. Reconquista)** სახელითაა ცნობილი. დაქსაქსული, ავტორიტეტულ მეთაურს მოკლებული ესპანელი მუსლიმებისთვის ნათელი გახდა, რომ გარეშე ძალების მოხმობისა და გამოყენების გარეშე ქრისტიანთა შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა.

3. მუსლიმური ესპანეთი და არაბული მადრიბი XI-XV საუკუნეებში (კრენადის სასულთნო და რეკონკისტა)

1037 წელს ჩრდილოეთ ესპანეთში შეიქმნა კასტილიისა და ლეონის გაერთიანებული სამეფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ენერგიული ფერნანდო I (1037-1065). მან საფუძვლიანად შეარყია მუსლიმთა პოზიციები, ხოლო ალფონსო VI-ის (1065-1109) დროს **1085 წელს ქრისტიანებმა ტოლედოც აიღეს.** ასეთ ვითარებაში ესპანელი მუსლიმები იძულებული გახდნენ დახმარება ეთხოვათ ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმებისთვის. აქედან მოკიდებული, ისლამური ესპანეთის ბედი არაბულ მადრიბზე გახდა დამოკიდებული.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოიშვა ე.წ. **მურაბიტების (ალ-მურაბიტუნ) სამეფო**, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მაროკოელი

მალიქიტი თეოლოგი **‘აბდ ალლჰი იბნ ანსინ ალ-ჯაზუნლი (მოკლეს 1058 წ.)**. ბერბერების ამ რელიგიურმა საძმომ, რომლის ძირითად დასყრდენს წარმოადგენდა ბერბერული სანჰჯას ტომი, მეტი უსაფრთხოებისათვის გადაინაცვლა სამხრეთისაკენ და მიადწია დღევანდელი სენეგალისა და ნიგერის საზღვრებს, სადაც ააშენა ციხესიმაგრე რიბატი. გარეგნობით მურაბიტები გამოირჩეოდნენ იმით, რომ იფარავდნენ სახეს, ისევე როგორც ამას დღესაც აკეთებენ თუარეგები.

1055 წელს მურაბიტებმა დაიწყეს მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ, დაიკავეს დღევანდელი მაროკო და ალჟირის დიდი ნაწილი. 1062 წელს რელიგიური საძმოს მეთაურმა **ჟუსუფ იბნ თაშუფინმა (ან თაშფინმა, 1061-1106)** ⁷² ააშენა ქალაქი მარაქეში (მარრჰეში), რომელიც მისი დედაქალაქი გახდა. მურაბიტები ეკუთვნოდნენ მალიქიტურ მახჰაბს და ფორმალურად აღიარებდნენ ‘აბასიანთა ხალიფას.

1086 წლის ზაფხულში ჟუსუფ იბნ თაშუფინი ესპანელი მუსლიმების თხოვნით პირენეის ნახევარკუნძულზე გადავიდა ქრისტიანული საფრთხის მოსაგერიებლად. ქალაქ ბადახოსის (ბატალიავს) მახლობლად **ალ-ზაღლდაკასთან 1086 წლის 2 ნოემბერს (479 წ. 22 რაჯაბი)** მან სასტიკად დაამარცხა ალფონსო VI-ის ჯარი და დროებით შეაჩერა ქრისტიანთა ექსპანსია. იბნ თაშუფინმა შეასრულა ადრე დადებული პირობა და მადრიბში დაბრუნდა, მაგრამ კიდევ ორჯერ (1088 და 1090 წლებში) მოუხდა ლაშქრობა ესპანეთში იქ მდგომარეობის გაუარესების გამო. მესამე ლაშქრობის დროს მან შეუტია ადგილობრივ მუსლიმურ საფეოდალოებს, რადგანაც ურთიერთდაპირისპირება და მეტოქეობა საფრთხეს უქმნიდა ისლამს მთელ ესპანეთში. მურაბიტებმა დაიკავეს ქალაქები სევილია, სარაგოსა, კორდოვა, ვალენსია და, ამგვარად, 1102-1110 წლებში ალ-ანდალუსი მადრიბის სამეფოს შეუერთეს. დიდი ქალაქებიდან ქრისტიანთა ხელში დარჩა მხოლოდ ტოლედო.

მურაბიტების რეჟიმი, რომელიც ძირითადად ბერბერთა სამხედრო ძალას ეყრდნობოდა არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. უდაბნოს ხრიოკი ტრამალებიდან კეთილმოწყობილ და კულტურულ ესპანეთში დასახლებულმა ბერბერებმა მალე დაკარგეს ბრძოლის უნარი, რასაც ხელისუფლების არაეფექტური მართვაც დაემატა. კრიზისის ნიშანი გაჩნდა უკვე 1118 წელს, როცა ქრისტიანებმა მუსლიმებს წაართვეს სარაგოსა. მას შემდეგ, რაც 1144-1145 წლებში მუსლიმური ესპანეთი ანარქიამ მოიცვა, ჩრდილოეთ აფრიკაში გამოჩნდა ბერბერების ახალი ჯგუფი, რომელმაც თავის ხელში აიღო ესპანეთის გადარჩენის საქმე. ამ ბერბერების ასპარეზზე გამოსვლა ე.წ. „მუვაჰიდების მოძრაობასთან“ იყო დაკავშირებული.

ჯერ კიდევ XII საუკუნის დამდეგს მარაქეში თავისი რელიგიური შეხედულებების ქადაგება დაიწყო თეოლოგიაში გაწაფულმა ბერბერმა **იბნ თუმართმა**, რომელმაც განათლება მიიღო კორდოვაში, მექასა და ბაღდადში. 1121 წელს მან თავი გამოაცხადა მაჰდიდ და სათავეში ჩაუდგა რელიგიურ საძმოს (ორდენს), რომელიც მალე პოლიტიკური ბრძოლის გზას დაადგა. თავის მოძღვრებაში იბნ თუმართი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუსლიმთა ერთიანობის საკითხს – თავჰიდს. ამიტომ, მისი მიმდევრები ცნობილი გახდნენ როგორც **მუვაჰიდები (ალ-მუვაჰიდიუნ)**, ხოლო ეგროპაში მათ იცნობდნენ **ალ-**

მოპავიდების ან აღმოპადების სახელით. იბნ თუმართი, როგორც სულიერი მოძღვარი და ბელადი, პირადად მონაწილეობდა ბრძოლებში მურაბიტებთან და 1130 წელს დაიღუპა ერთ-ერთი შეტაკებისას.

მურაბიტებსა და მუვაჰიდებს შორის იყო ბევრი საერთო ნიშანი: ორივენი ასპარეზზე გამოვიდნენ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ორივე მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ ბერბერები, ორივეს საქმიანობა რელიგიური პროპაგანდით დაიწყო და, ბოლოს, ორივე ესპანეთთან აღმოჩნდა დაკავშირებული. მაგრამ არის განსხვავებაც, კერძოდ: მურაბიტები ეკუთვნოდნენ სან-ჰანჯას მომთაბარე ტომთა გაერთიანებას, ხოლო მუვაჰიდები ატლასის მთების მასშუდას ტომიდან იყვნენ. მურაბიტებისაგან განსხვავებით, მუვაჰიდები ფორმალურადაც არ აღიარებდნენ 'აბასიანთა ხალიფას. თუ მურაბიტების მეთაურები სჯერდებოდნენ ტიტულს „ამირ ალ-მუსლიმინ“, მუვაჰიდების სათავეში უკვე „ამირ ალ-მუ'მინინ“-ი იდგა. პირველი, ვინც ამ ტიტულს ატარებდა იყო **'აბდ ალ-მუ'მინი (1130-1163)**, იბნ თუმართის მიმდევარი და თანამებრძოლი, რომელიც საძმოს დამაარსებლის დაღუპვის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მუვაჰიდებს. 1147 წელს მან დაიკავა მარაქეში და ხალიფად გამოცხადდა. 1159-1160 წლებში მუვაჰიდებმა გააერთიანეს მთელი მაღრიბი, ტრიპოლიტანია, კირენაიკა და მურაბიტების მემკვიდრეები გახდნენ.

მუვაჰიდების აქტიური ჩარევა ისლამური ესპანეთის საქმეებში დაიწყო უკვე 1145 წელს, ხოლო 1157 წლიდან 'აბდ ალ-მუ'მინის ჯარმა დაიკავა რიგი ციხესიმაგრეებისა პირენეის ნახევარკუნძულზე, მათ შორის სევილიაც. მაღრიბელების ძირითადი ბაზა გახდა გიბრალტარი, სადაც ერთხანს თავად 'აბდ ალ-მუ'მინი იმყოფებოდა. 1162 წლის დამდეგს იგი დაბრუნდა მაროკოში და საფუძველი ჩაუყარა ციხესიმაგრეს სახელწოდებით **რიბნტ ალ-ქათჰ (დღ. რა-ბატი)**. მალე ამის შემდეგ 1163 წელს იგი გარდაიცვალა.

'აბდ ალ-მუ'მინის მემკვიდრეები **აბუ ია'კუბ ანსუფი (1163-1184)** და **აბუ ანსუფ ა'კუბ ალ-მანსურ-ი (1184-1199)** საღვთო ომს უკვე ესპანეთის ტერიტორიაზე ეწეოდნენ. **1195 წლის 18 ივლისს (591 წ. 8 შა'ბან-ი) ალარკოსთან (ალ-არაქ)**, ტოლედოსა და კორდოვას შორის მომხდარ დიდ ბრძოლაში მუვაჰიდებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ეს გამარჯვება უკანასკნელი გამოდგა. **1212 წლის 17 ივლისს (609 წ. 15 საქარ-ი) ლას ნავას დე ტოლოსასთან (ალ-იკაბ)** ლეონის, ნავარის და არაგონის გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მუსლიმები. ამას მოჰყვა კასტილიისა და ლეონის საბოლოო გაერთიანება 1230 წელს, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მუსლიმთა მდგომარეობა. მუვაჰიდები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ესპანეთის ზოგიერთ რაიონს, მაგრამ ქვეყნის ცენტრალიზებული მართვა უკვე შეუძლებელი იყო. ჩრდილოეთ აფრიკიდან მოსული ბერბერული დინასტიის საბოლოო მარცხს იმანაც შეუწყო ხელი, რომ მან ვერ შეძლო ესპანეთის მუსლიმი მოსახლეობის გაერთიანება ქრისტიანული საფრთხის წინაშე, ვინაიდან მუვაჰიდების მიერ შემოტანილი მაჰდის ინსტიტუტი უცხო აღმოჩნდა არაბი და სხვა ესპანელი მუსლიმებისთვის.

მუვაჰიდების სახელმწიფოს კრიზისი ესპანეთიდან მაღრიბზეც გავრცელდა. მაროკოსა და იფრიკიაში ამას მოჰყვა ე.წ. **მარინიანთა** და **ვატ-ტნსიანთა** სახელმწიფოების წარმოქმნა. ბერბერები, რომლებიც ეკუთვნოდნენ

საპარის ბანუ მარინის (ზანათას განშტოების) ტომს, ასპარეზზე გამოვიდნენ XII საუკუნეში. ისინი მუვაჰიდებთან ერთად იბრძოდნენ ალარკოსთან. XIII საუკუნის შუა წლებში მათ დაიკავეს მექნესი (1244 წ.), ფესი (1248 წ.), სიჯილმასა (1255 წ.) და, ბოლოს, მარაქეში (1269 წ.). მაროკოში დამკვიდრების შემდეგ თავის დედაქალაქად მარინიანებმა გამოაცხადეს ფესი და, როგორც მუვაჰიდების მემკვიდრეებმა, სცადეს მთელი მადრიბის გაერთიანება. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს სულთან **აბუ-ლ-ჰასან 'ალნ' (1331-1348)** დროს, როცა მათ ხელში გადავიდა თლემსენი (1337 წ.) და თუნისი (1347 წ.). მარინიანთა გამგებლობისას მადრიბში გაძლიერდა რელიგიური ასკეტიზმი (მარაბუტობა) და ჯიჰადის საკითხი აქტუალური გახდა, მაგრამ მეზობელ ესპანეთში ვითარების მუსლიმებისთვის სასარგებლოდ შემობრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მარინიანთა ისტორია შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 1) 1269-1358 წლები, როცა მათ მიაღწიეს სამხედრო ძლიერებას, დაიკავეს მადრიბის მთავარი ქალაქები და ჩამოაყალიბეს სახელმწიფო სტრუქტურა; 2) 1358-1465 წლები, რომელიც ხასიათდება მარინიანთა დასუსტებით, გავლენის სფეროს დაეწროებით და შინაგანი კრიზისით. XIV საუკუნის მიწურულს მაროკოში თანდათანობით უპირატესობა მოიპოვა ზანათას ბერბერების მეორე ჯგუფმა – **ვატტასიანებმა (ბანუ ვატტას)**. 1472 წელს ვატტასიანებმა შეძლეს აეღოთ ფესი, რომელიც ამ დროს იდრისიან შარიფებს ეკავათ. მათი ამირა **მუჰამმად აშ-შაიხი** სულთანად გამოცხადდა, მაგრამ მალე მას დაემუქრა საშიში მეტოქე **სა'დის** გვარის შარიფების სახით. 1549 წელს ვატტასიანებმა დაკარგეს ფესი და 1554 წელს მათი სახელმწიფო დაეცა. ამავე დროს, მუსლიმებს გამოუჩნდათ ახალი საფრთხე პორტუგალიელების სახით, რომლებმაც 1415-1578 წლებში რამდენჯერმე სცადეს ფესის მოკიდება სეუტასა და მადრიბის სხვა ქალაქებში.

კიდევ ერთი ისლამური სახელმწიფო, რომლის დახმარების იმედი ჰქონდათ ესპანელ მუსლიმებს იყო **ჰაფსიანთა (ბანუ ჰაფს)** საფეოდალო თუნისსა და აღმოსავლეთ ალჟირში. დინასტიის ფუძემდებლად ითვლება **აბუ ჰაფს 'უმარი (გარდ. 1176 წ.)**, იბნ თუმართის მოწაფე და 'აბდ ალ-მუ'მინის სარდალი. მისმა შთამომავლებმა ამირა **აბუ ზაქარიჰჰა' ძაჰჰა I-მა (1228-1249)** და **ალ-მუსთანსირმა (1249-1277)** საფუძველი ჩაუყარეს ძლიერ სახელმწიფოს თუნისში. ალ-მუსთანსირი (აბუ 'აბდ ალლჰაჰ მუჰამმადი) მას შემდეგ, რაც 1253 წელს მექის შარიფისაგან მიიღო ხალიფას ტიტული („ალ-მუსთანსირ ბი-ლლჰაჰ“), თავს 'აბასიანთა მემკვიდრედ თვლიდა. ჰაფსიანთა პერიოდის თუნისი გახდა ესპანეთიდან დევნილი მუსლიმების თავშესაფარი და ისლამური კულტურის ცენტრი, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მას არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ესპანეთში მიმდინარე პროცესებზე. საბოლოოდ ჰაფსიანთა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა ოსმალთა გამოჩენის შემდეგ.

XIII საუკუნიდან მოკიდებული, ესპანეთის მუსლიმთა დიდი ნაწილი დარჩა ქრისტიანთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და იძულებული გახდა შეგუებოდა ახალ გარემოს. მუსლიმებმა შეინარჩუნეს თავისი რელიგია და ცნობილი გახდნენ სახელწოდებით **მუდეჯარები (არაბ. მუდაჯჯან)**. ზოგიერთი მათგანი ივიწყებდა არაბულ ენას და უახლოვდებოდა ქრისტიან ესპანელებს.

შეიძლება ითქვას, რომ მუდეჯარები (იგივე მუდეჰარები) ისლამურ ქვეყნებში მცხოვრები ზიმიების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

დე ტოლოსასთან მოპოვებული წარმატების შემდეგ ესპანელმა ქრისტიანებმა გააძლიერეს მუსლიმებზე შეტევა. 1236 წელს მათ აიღეს კორდოვა, ხოლო 1248 წელს სევილია. ისლამის ერთადერთ ბურჯად მთელ ესპანეთში რჩებოდა გრენადის (დარნატა) სასულთნო სამხრეთ ესპანეთში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ნასრიანთა დინასტიის აღზევებასთან.

გრენადის „ისლამური ოაზისის“ დამაარსებლად ითვლება **მუჰამმად I იბნ ალ-ნუსრ-ი (1232-1273)**, რომლის წინაპრები მედინის ხაზრაჯის ტომს ეკუთვნოდნენ. იბნ ნასრმა, რომელსაც იბნ ალ-აჰმარსაც უწოდებდნენ (აქედან ბანუ-ლ-აჰმარ) 1237 წელს დაიკავა და გაამაგრა გრენადის ციხესიმაგრე „**ალ-ჰამრა**“ („**ალ-ჰამრა**““) და თავი კასტილიის ქრისტიანული სამეფოს ვასალად გამოაცხადა, თუმცა მადრიდიდან დახმარების მიღებაზეც არ ამბობდა უარს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთის მთიანი რეგიონის სიახლოვე ისლამურ მადრიბთან და მოქნილი პოლიტიკა ქრისტიან მეზობლებთან ურთიერთობაში, საშუალებას აძლევდა მას შეენარჩუნებინა ისლამის ბოლო დასაყრდენი იბერიის ნახევარკუნძულზე. აყვავებას გრენადის სახელმწიფომ მიაღწია 1344-1396 წლებში, როცა აშენდა მავრიტანული⁷³ არქიტექტურის შედევრი, **სამეფო სასახლე-რეზიდენცია „ალ-ჰამრა“**. გრენადა გახდა ყველა ესპანელი მუსლიმის თავშესაფარი და იმ დიდი ისლამური ცივილიზაციის ცენტრი, რომლის ისტორიაც ესპანეთში დასასრულს უახლოვდებოდა.

1469 წელს კასტილიის დედოფლის ისაბელის და არაგონის მეფის ფერდინანდ II-ის ქორწინების შემდეგ ორი სამეფო გაერთიანდა, რამაც ქრისტიანთა ბრძოლა უფრო ეფექტური გახადა. ამავე დროს, გრენადის სასულთნოში გამწვავებულმა შინაღინასტიურმა დაპირისპირებამ გაართულა მუსლიმთა ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა. ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით 1462 წელს ქრისტიანებმა დაიკავეს გიბრალტარი (ჯაბალ ტარიკ), რომელიც მანამდე დასავლეთიდან კეტავდა გრენადას, ხოლო 1487-1489 წლებში დაეცა მალაგა (მალაკა) და ალმერია (ალ-მარიდია). მალე, ამის შემდეგ, 1492 წლის დამდეგს ნასრიანთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა **მუჰამმად XII აბუ აბდ ალლჰამმა (ეგრ. ბოაბდილი, 1486-1492)** მიიღო გადაწყვეტილება საპატიო კაპიტულაციის შესახებ. სულთანს და გრენადელ მუსლიმებს უფლება დართეს მშვიდობიანად დაეტოვებინათ ესპანეთი და მადრიბში გადასახლებულიყვნენ. ძალის გამოყენების გარეშე, 1492 წლის 3 იანვარს (897 წ. 2 რაბი' I) გრენადა ქრისტიანთა ხელში გადავიდა. ალ-ანდალუსის ბოლო მუსლიმი მბრძანებელი გადასახლდა მაროკოში და გარდაიცვალა ქალაქ ფესში 1533 (ან 1534) წელს.

რეკონკისტას დამთავრების შემდეგ მუსლიმთა ერთი ნაწილი დარჩა ქრისტიანთა მიერ დაბრუნებულ ტერიტორიაზე. მუსლიმები ერთიანდებოდნენ თავიანთ რელიგიურ თემებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, კერძოდ მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაში, მაგრამ XV საუკუნის მიწურულს და განსაკუთრებით XVI საუკუნეში ინკვიზიციის გაძლიერების გამო მათი მდგომარეობა გაუარესდა. გავლენიანი კარდინალის ხიმენეს დე სისნეროს ინიციატივით დაიწყო მუსლიმთა ძალით გაქრისტიანება. 1502 წელს გრენადაში, ხოლო 1525-1526 წლებში ქვეყნის სხვადასხვა პროვინ-

ციაში ხელისუფლებამ აიძულა მუსლიმები მიეღოთ ქრისტიანობა ან დაეტოვებინათ ესპანეთი.

გრენადის დაცემის შემდეგ ყველა ესპანელ მუსლიმს, მათ შორის მუღაპერებსაც, უწოდებდნენ მორისკებს (Moriscos). მიუხედავად დევნისა, გრენადის დაკარგვიდან 100 წლის შემდეგაც მორისკები, რომლებიც წარმოშობით, უმეტესად, ესპანელები იყვნენ, მტკიცედ ინარჩუნებდნენ ისლამს. იყენებდნენ რა ე.წ. „თაკიას“ ინსტიტუტს, ისინი ზოგჯერ ფორმალურად იღებდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ეს არ ცვლიდა მათ დამოკიდებულებას ისლამისადმი. ამის დამადასტურებელია ე.წ. „ალჰამიადოს“, რომელიც დაწერილია ესპანურ ენაზე არაბული ანბანით და მოიცავს მორისკების სარწმუნოებისა და პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს. მორისკების განსაკუთრებული როლი წარმოების სფეროში, მაღალი შობადობა, ისლამისადმი ერთგულება და ორიენტაცია გარე ისლამურ სამყაროზე, შეუძლებელს ხდიდა მათ საბოლოო ინტეგრაციას კათოლიკურ საზოგადოებასთან და აძლიერებდა ქრისტიანთა ეჭვებს. 1566 წლიდან ხეწოლა მორისკებზე გაძლიერდა, რასაც მოჰყვა მათი აჯანყება 1569 წელს და გარკვეული დახმარების მიღება ალჟირიდან, მაგრამ მალე ქრისტიანული ესპანეთი რადიკალურ ზომებზე გადავიდა. 1609-1614 წლებში გამოცემული ედიქტების საფუძველზე ათასობით მორისკი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და მალრიბში გადასახლებულიყო. კორდოველები და გრენადელები ძირითადად თლემსენსა (თალამსან) და ფესში სახლდებოდნენ, ხოლო სველიელები თუნისში. ესპანელ მუსლიმთა ცალკეული თემები დიდხანს ინარჩუნებდნენ თვითმყობადობას და არ განიცდიდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციას. სწორედ მორისკებისგან შეიქმნა ე.წ. „მალრიბელ მეკობრეთა“ რაზმები.

ამგვარად, რეკონკისტამ და ინკვიზიციამ ესპანეთიდან მალრიბში გადაისროლა ევროპის კონტინენტზე ისლამური ცივილიზაციის უკანასკნელი წარმომადგენლები. ზოგიერთი ავტორის ვარაუდით, გრენადის დაცემიდან XVII საუკუნის პირველ მეოთხედამდე დაიღუპა ან განდევნილ იქნა დაახლოებით 3 მილიონი მუსლიმი (ფ. ჰითი).

4. ისლამური ესპანეთის ადგილი არაბთა ისტორიაში (ადმინისტრაციული სისტემა, სამეყრნეთ ცხოვრება, მეცნიერება და კულტურა)

ესპანეთში უმაიანთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემა საბოლოოდ IX საუკუნეში, ამირა აბდ არ-რაჰმან II-ის დროს ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმ დაპირისპირებისა, რომელიც არსებობდა ბაღდადსა და კორდოვას შორის, ისლამურმა ესპანეთმა აბასიანთა სახალიფოს გავლენა განიცადა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა, მათ შორის, სახელმწიფოს მართვის სფეროშიც. ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები და ცხოვრების წესი ესპანეთშიც დაინერგა და ამ თვალსაზრისით უმაიანთა სახელმწიფო გამონაკლისს არ წარმოადგენდა, თუმცა ევროპის კონტინენტზე

შექმნილი არაბულ-ბერბერული კონგლომერატი, რომელსაც ესპანური ელემენტებიც დაემატა, რიგი თავისებურებით ხასიათდებოდა.

ესპანეთის უმაიანთა სახალიფო იყო თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა ხალიფა, მუსლიმთა უმაღლესი ავტორიტეტი. ხალიფას პირველი მოხელე – ჰაჯიბი (ჰნჯიბ) ვეზირის ფუნქციას ასრულებდა, ხელმძღვანელობდა კანცელარიისა და სამოხელეო აპარატის მუშაობას. სახალიფო იყოფოდა პროვინციებად (ქურ, მრ. ქუვარ, ან იკლემ), რომელთა რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა ძნელდება. თითოეულს მართავდა ხალიფას მიერ დანიშნული ვალი (ვნლი). ესპანეთშიც, როგორც ყველა ისლამურ ქვეყანაში, მოქმედებდა შარი'ათის სასამართლო, ხოლო მაჰაბებიდან უპირატესობა ენიჭებოდა მალიქიტების სკოლას. არამუსლიმები ერთიანდებოდნენ თავიანთ რელიგიურ თემებში და ავტონომიით სარგებლობდნენ. ესპანეთში გადასვლის პირველივე დღიდან, გრენადის დაცემამდე, მუსლიმთა ბატონობა ემყარებოდა ბერბერებისა და არაბებისგან შემდგარ რაზმებს. განსაკუთრებული როლი არაბული ელემენტის გაძლიერებისთვის შეასრულეს ცალკეულ პროვინციებში განლაგებულმა რაზმებმა (ჯუნდ, მრ. ჯუნუდ, აჯნად). მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდა ევროპელი მონებისგან შემდგარი ჯარი – საკალიბა. უმაიანები ამ რაზმებს იყენებდნენ უკვე 'აბდ არ-რაჰმან II-ის დროს, მაგრამ მათი როლი და გავლენა გაძლიერდა 'აბდ არ-რაჰმან III-ის დროიდან, როცა საკალიბას რიცხვი 3750-დან 13750-დამდე გაიზარდა. მონები დიდი რაოდენობით შემოჰყავდათ ებრაელ მონათვაჭრებს და ხშირად მათი რეექსპორტი ხდებოდა სხვა ისლამურ ქვეყნებში. ზოგჯერ ამ თეთრ მონებს ღულამებს უწოდებდნენ და მომსახურების სფეროში ან ადმინისტრაციულ სამსახურში იყენებდნენ. საკალიბას გაძლიერებამ შესამჩნევად შეასუსტა ჯუნდების გავლენა.

უმაიანთა ესპანეთში ჩამოყალიბდა დინასტიურ მოხელეთა მთელი კასტა (ბანუ აბნ 'აბდა), რომელსაც მიაჩნდა, რომ იგი წარმომავლობით უმაიანთა მავლებს ეკუთვნოდა. ამ კასტის სხვადასხვა გვარების წარმომადგენლებს ეკავათ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა, იყვნენ ვეზირები, მდივნები, ხაზინადარები (ხუზუნ) და ქალაქების გამგებლები (ასჰაბ ალ-მადინა). ნათესაური კავშირებისა და მემკვიდრეობითობის წყალობით მოხელეთა ეს შეძლებული ჯგუფი დიდხანს ინარჩუნებდა გავლენას და ადმინისტრაციული ელიტის მდგომარეობას. კორუფციასა და კანონდარღვევებთან ბრძოლაში პოლიციასთან (აშ-შურტა) ერთად მონაწილეობდა „საჩივრების უწყება“, რომელსაც სათავეში ედგა სპეციალური მოხელე – სჰიბ ალ-მაჰალიმი.

არაბთა ხანგრძლივ ბატონობას და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა მტკიცე ბაზისი, რომელიც მეურნეობის სხვადასხვა დარგს მოიცავდა. ისლამური ესპანეთი, პირველ რიგში, მებაღეობა-მეზღვეობის ქვეყანა იყო. მართალია, არაბები არ ყოფილან საირიგაციო საქმის ფუძემდებლები, მაგრამ მათ კარგად აითვისეს და ესპანეთში შეიტანეს მრავალი სიახლე, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის სამეურნეო განვითარებას. ესპანურ ენაში დღემდე შემორჩა საირიგაციო სამუშაოებთან დაკავშირებული არაბული ტერმინები. სწორედ არაბთა ბატონობის დროს გავრცელდა აქ სანელებლების დასამზადებლად საჭირო მრავალი კულტურა, აგრეთვე ბრინჯი, შაქრის ლერწამი, თუთის ხე, ფინიკის პალმა, ციტრუსები,

ბამბა და სხვა. მართალია, ესპანეთს არ ყოფნიდა საკუთარი მარცვლეული, მაგრამ მეზობელი მადრიდიდან მისი შემოტანა პრობლემას არ წარმოადგენდა. არაბების ტრადიციული დარგი – მესაქონლეობა შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ იგი არ ასრულებდა არსებით როლს. სანაპირო ზოლზე მისდევდნენ მეთევზეობას.

შუა საუკუნეების მაღალგანვითარებული ქვეყნის შესაფერისი იყო მუსლიმიური ესპანეთის საქალაქო ცხოვრება. დიდი ქალაქები კორდოვა (კურტუბა), სევილია (იშბილიდა), გრენადა (ღარნატა), სარაგოსა (სარაკუსტა), ტოლედო (ტულადტულა) და ვალენსია (ბალანსიდა) განთქმული იყვნენ ხელოსნობით. დედაქალაქი კორდოვა ცნობილი გახდა ქსოვილებით და ტყავის დამუშავების ხელოვნებით, რაც მადრიდიდან შემოვიდა. იმდროინდელი სპილენძის ჭურჭელი და კორდოვაში დამზადებული იარაღი, ინკრუსტაცია ფოლადსა და ძვირფას ლითონებზე მეტყველებს ესპანელი ხელოსნების მაღალ ოსტატობაზე. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სამშენებლო საქმეშიც. კარგადაა ცნობილი ე.წ. „მავრიტანული სტილი“, რომელიც ესპანეთში შეიქმნა არაბული, ბერბერული და ადგილობრივი ტრადიციების სინთეზის საფუძველზე. მავრიტანული არქიტექტურის ნიმუშად ითვლება ცნობილი „ალჰამრას“ (ეგრ. ენებში „ალჰამრა“) სასახლე, რომელსაც დღესაც ალტაცებაში მოჰყავს მნახველი. ზოგიერთი ავტორი ამ ნაგებობას თვლის სამშენებლო ხელოვნების შედევრად, რომლის ძირითადი კომპონენტებია ოსტატურად დამუშავებული ქვა, წყალი (შადრევნები, აუზები) და დეკორატიული მცენარეები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასახლე ისლამურ ესპანეთს განასახიერებდა, მისი მშენებლობით განცვიფრებულმა ინკვიზიტორებმა ხელი ვერ აღმართეს მასზე. „ალჰამრასგან“ განსხვავებით, მხოლოდ ნანგრევების სახით შემორჩა პირველი უმაიანი ხალიფების ბრწყინვალე რეზიდენცია „მადინათ აზ-ზაჰრა“, რომელსაც ‘აბდ არ-რაჰმან III-მ ჩაუყარა საფუძველი კორდოვადან 8 კილომეტრით მოშორებულ გარეუბანში. სასახლე დაინგრა უკვე 1013 წელს, მაგრამ არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ეს ისლამური ნაგებობა რომაულ-ბიზანტიური სამშენებლო ტრადიციის ნიშნებსაც ატარებდა. ასევე შთამბეჭდავია კორდოვას კათედრალური მენეთის გადარჩენილი ნაწილი. მისი მშენებლობა დაუწყიათ ადრე და სრული სახე მიუღია X საუკუნეში. ესპანეთში დამკვიდრებული მშენებლობის მავრიტანული სტილი გავრცელდა არაბული მადრიდის ქვეყნებშიც, სადაც დასახლდნენ რეკონკისტას დროს ესპანეთიდან გაძევებული მუსლიმები.

მიუხედავად იმისა, რომ კორდოვას სახალიფო პოლიტიკური თვალსაზრისით უპირისპირდებოდა ფატიმიანებს და ‘აბასიანთა სახალიფოს, ეს ხელს არ უშლიდა მის სავაჭრო ურთიერთობას მთელ მუსლიმურ სამყაროსთან. კარგად დაცული გზები და ფუნდუკები (ფუნდუკ, მრ. ჭანდიკ – სასტუმრო), ვაჭრების ქონებისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობა, ყოველივე ეს ხელს უწყობდა სავაჭრო საქმიანობას. X საუკუნეში კორდოვა მთელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა.

მუსლიმური ესპანეთის სახელმწიფო ენა იყო არაბული, რომელზეც შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. X-XI საუკუნეებში, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განათლება მხოლოდ კლერიკალური წრეების პრივილეგიად რჩებოდა, ესპანეთში წერა-კითხვის მცოდნე

იყო მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. გადმოცემის თანახმად, ხალიფა ჰაქამ II-ს კორდოვაში დაუარსებია 27 სკოლა. მის დროს კორდოვას დიდ მეჩეთში ფუნქციონირებდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ბევრი კაიროს „აღ-აზჰარის“ და ბაღდადის „ნიჰამიუს“ წინამორბედად მიიჩნევენ. აქ განათლებას იღებდნენ ახალგაზრდები არა მარტო ესპანეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც. ხალიფა ჰაქამ II-მ გააფართოვა და კეთილმოაწყო ეს „მეჩეთი-უნივერსიტეტი“, იქ სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები. მისი სამეფო ბიბლიოთეკა, ზოგიერთი ცნობით, 400 ათას ხელნაწერს ითვლიდა. თავად ხალიფა ცნობილი იყო, როგორც ისტორიკოსი და ბიბლიოფილი, რომლის ემისრები ისლამურ ქვეყნებში ეძებდნენ, ყიდულობდნენ და კორდოვაში აგზავნიდნენ წიგნებს. ჰაქამ II-ის გატაცებაზე წიგნებით მივითითებს ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მან ათასი დინარი შესთავაზა აბუ-ლ-ფარაჯ ალ-იხფაჰანის მისი „ქითაზ ალ-აღნის“ პირველი ეგზეგეზისთვის.

მტკიცე მატერიალური ბაზა, რომელიც აბდ არ-რაჰმან III-ის და ჰაქამ II-ის დროს შეიქმნა, საკმარისი აღმოჩნდა ფართო სამეცნიერო-კულტურული საქმიანობისათვის XI საუკუნეშიც, ე.ი. სახალიფოს დაშლის პერიოდში. იმ დროს, როცა ესპანეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ნაცვლად აღმოცენდა მრავალრიცხოვანი საამიროები, არაბულმა კულტურამ შეინარჩუნა სიცოცხლის უნარი, რაც ძალიან ჰგავს აბასიანთა სახალიფოში არსებულ ვითარებას. განათლებისა და მეცნიერების საქმეს ხელი შეუწყო ქალაქის წარმოებამ, რომელიც აღმოსავლეთიდან ჯერ მაროკოში დაინერგა, XII საუკუნეში კი ფართო ხასიათი მიიღო ესპანეთში, საიდანაც გზა გაიკაფა საფრანგეთში, სიცილიასა და იტალიაში, ხოლო შემდეგ მთელ ევროპაში.

ანდალუსიური კულტურა და მეცნიერება საერთო ისლამური ცივილიზაციის ნაწილს შეადგენს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ატტაბარის „ისტორიის“ დამუშავება და გაგრძელება 915-დან 932 წლამდე ითავა ხალიფა ჰაქამ II-ის სწავლულმა მდივანმა **‘არიზმა (‘არიბ იბნ სა‘დ ალ-ქათიბ ალ-კურტუბი, X ს.)**. იგივე შეიძლება ითქვას ანდალუსიის არაბულ პოეზიაზე, რომელმაც აბასიანთა გავლენა განიცადა. გამონჩენილი პოეტები იყვნენ კორდოველები **იბნ აბდ რაბბიჰ-ი (860-940)** და **იბნ ზაიდუნ-ი (1003-1070)**, სევილიელი **იბნ ჰანი’ ალ-ანდალუსი (გარდ. 973 წ.)** და სევილიელი ამირა **ალ-მუ‘თამიდ-ი (1040-1095)**. რეკონკისტას პერიოდში ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ ლინგვისტი **იბნ მალიქ-ი (გარდ. 1274 წ.)** – ცნობილი გრამატიკული ტრაქტატის „ალფიდას“ ავტორი და გრენადელი ვეზირი, ისტორიკოსი და ლიტერატორი **ლისან ად-დინ იბნ ალ-ხატნბ-ი (1313-1375)**.

ალ-ანდალუსის არაბული ისტორიოგრაფიის სათავეებთან იდგა დიდი ფაკიჰი და ენციკლოპედისტი **‘აბდ ალ-მალიქ იბნ ჰაბნბ-ი (დაახლ. 796-853)**. მან გააფართოვა ანდალუსიელების სამეცნიერო ჰორიზონტი და იგი არაბული სამყაროს სხვა რეგიონების სულიერ ცხოვრებას დაუახლოვა. ფუსტატში და მედინაში ყოფნისას (823-824, 831-832 წწ.) მას გაუკეთებია 1000-დე სამეცნიერო ხასიათის ჩანაწერი, რომელიც ესპანელებს გააცნო. იბნ ჰაბნბის დეაწლის შედეგად ანდალუსიაში დამკვიდრდა არაბული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ყველა ჟანრი (სწრა, მადნხი, ტაბაკთ, მსოფლიო ისტორია და სხვა). ისლამური ესპანეთის ისტორიას უძღვნეს შრომები ანდალუსიელმა ის-

ტორიკოსებმა, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ კორდოველი აბუ ბაქრ იბნ 'უმარ-ი (გარდ. 977 წ.), რომელმაც თავის „თა'რინ“-ში მოგვცა ესპანეთის ისტორია არაბთა გამოჩენიდან 'აბდ არ-რაჰმან III-ის გამგებლობის დასაწყისის ჩათვლით. მასვე მიეწერება ნაშრომი არაბული ენის საკითხებზე. არაბებისა და ალ-ანდალუსის ისტორიას მიეძღვნა მეორე კორდოველი მეცნიერის აბუ მარვან იბნ ჰამდან-ის (გარდ. 1076 წ.) მრავალრიცხოვანი შრომები, ხოლო მუ-ვაჰიდების ბატონობის პერიოდი კარგად აისახა XIII საუკუნის მაროკოელი ისტორიკოსის 'აბდ ალ-ვაჰიდ ალ-მარნაქუშის თხზულებაში.

არაბული მადრიბისა და ალ-ანდალუსის ერთიანი სამეცნიერო სივრცის არსებობას ადასტურებს ცნობილი მალიქიტი თეოლოგის ალ-ხუშანის (აბუ 'აბდ ალლჰ მუჰამმად იბნ ალ-ჰარის ალ-ხუშან (გარდ. დაახლ. 981 წ.) მოღვაწეობა. იგი დაიბადა კაირავანში X ს. დამდეგს, სწავლობდა ჯერ მალიქ იბნ ანასის მოწაფეებთან თუნისში, შემდეგ კი კორდოვას ცნობილ მეცნიერებთან. 932 წელს ის დაბრუნდა ჩრდილოეთ აფრიკაში და ერთხანს მასწავლებლობდა სეუტაში, მაგრამ საბოლოოდ მაინც კორდოვაში დამკვიდრდა. ხალიფა ალ-ჰაქამ II-მ სახელმწიფო სამსახურში მიიწვია მადრიბელი მეცნიერი. ალ-ხუშანი ყოფილა ასამდე ნაშრომის ავტორი მალიქიტური მაჰჰაბის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, თავისი მფარველი ხალიფას თხოვნით მას შეუდგენია ბიოგრაფიული ლექსიკონებიც („ტაბაკათ 'ულამ' იფრიკია“, „თა'რინ 'ულამ' ალ-ანდალუს“, „ჟუკაჰ ალ-მალიქიდა“).

იმ სახელოვან მოაზროვნეთა შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ესპანეთის ისლამური მეცნიერების განვითარებაში არის იბნ ჰაზმი (აბუ მუჰამმად 'აბდ იბნ აჰმად იბნ სა'ნდ იბნ ჰაზმ, ლათ. Abehazam, 994-1064), პოეტი, თეოლოგი და ფილოსოფოსი, რომელსაც ეკუთვნის რელიგიების ისტორიაში შექმნილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი („გადამწვევტი სიტყვა სექტების, ერესისა და სარწმუნოების შესახებ“). ამ ტრაქტატის ავტორი, რომელიც ზაჰირიტების მაჰჰაბს ეკუთვნოდა, კრიტიკულად აფასებდა როგორც ქრისტიანობას, ასევე ისლამში წარმოქმნილ მიმდინარეობებსა და სექტებს. ნაშრომის მწვავე პოლემიკური ხასიათის გამო იგი დევნასაც განიცდიდა. იბნ ჰაზმის მოღვაწეობის უფრო ადრინდელ პერიოდს ეკუთვნის ტრაქტატი „ტავკ ალ-ჰამმა“ („მტრედის ყელსაბამი“), რომელიც მიეძღვნა სიყვარულისა და მეგობრობის თემას.

მუსლიმურ ესპანეთში არაბული ფილოსოფიის განვითარებას დასაბამი მისცეს იბნ ბაჯჯამ (აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ღაჰდ იბნ ბაჯჯა, გარდ. 1139 წ.) და იბნ ტუჰაფლი (მუჰამმად იბნ 'აბდ ალ-მალიქ იბნ ტუჰაფლი, გარდ. 1185/86 წ.). ამ ორ მეცნიერს აერთიანებს ისიც, რომ ორივეს მაღალი თანამდებობა ეკავა ესპანეთში და ორივემ სიცოცხლე მაროკოში დაამთავრა. კიდევ უფრო დიდი სახელი ანდალუსიას მოუტანა კორდოველმა ექიმმა და ფილოსოფოსმა იბნ რუშდმა (აბუ-ლ-ვალიდ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ რუშდ, ლათ. Averroes, 1126-1198), რომელსაც ეკავა ყადის თანამდებობა სევილიასა და კორდოვაში, იყო სასახლის მთავარი მკურნალი. 1182 წელს იგი მიიწვიეს მარაქეში აბუ და'კუბ დუსუფის სასახლეში, სადაც მან შეცვალა იბნ ტუჰაფლი, როგორც ექიმმა. 1194 წელს ფილოსოფიური შეხედულებებისა და ერესში დადანაშაულების გამო იგი გააძევეს სასახლიდან, თუმცა მალე ისევ აღადგინეს სამსახურში.

იბნ რუშდი გარდაიცვალა მარაქეშში, საიდანაც იმავე წელს გადაასვენეს მშობლიურ კორდოვაში.

იბნ რუშდის ძირითადი სამედიცინო ნაშრომია ენციკლოპედიური ხასიათის „სრულყოფილი მედიცინა“ („ქულლიჰდჰთ ფი-ტ-ტიბბ“), მაგრამ განსაკუთრებული სახელი და დიდება მას ფილოსოფიურმა ტრაქტატებმა მოუტანეს. იბნ რუშდი ცნობილია, პირველ რიგში, როგორც არისტოტელეს დიდი კომენტატორი. მან არ იცოდა ბერძნული და უნდა დაკმაყოფილებულიყო იმ არაბული თარგმანებით, რომელიც შესრულებულია მისი წინამორბედების მიერ, მაგრამ მკვლევართა აზრით, არც მანამდე და არც შემდეგ არისტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებები ასე ღრმად და სრულყოფილად არავის არ შეუფასებია. იბნ რუშდის მთავარი ფილოსოფიური ნაშრომი „თაჰჰფუთ ათ-თაჰჰფუთ“, პოლემიკური ხასიათისაა და მიმართულია ალ-ღაზალის ცნობილი სქოლასტიკური ტრაქტატის „თაჰჰფუთ ალ-ფალსიფა“-ს („ფილოსოფოსთა არათანმიმდევრობა“) წინააღმდეგ.

არაბული ფილოსოფიის მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც მოაზროვნე და ფილოსოფოსი, იბნ რუშდი უფრო დასავლეთს ეკუთვნის, ვიდრე აზიას ან აფრიკას. სწორედ დასავლეთისთვის გახდა იგი „დიდი მასწავლებლის“ – არისტოტელეს „დიდი კომენტატორი“. ებრაულ და ლათინურ ენებზე შესრულებული თარგმანების წყალობით, იბნ რუშდი გაიცნო არამუსლიმურმა სამყარომ და სათანადოდ დააფასა კიდევ. XII საუკუნის დამლევიდან XVI საუკუნის დამლევაამდე ავეროიზმი რჩებოდა აზროვნების სკოლად, რომელიც თავისი რაციონალისტური დებულებებით უპირისპირდებოდა შუა საუკუნეების ისლამურ, თალმუდისტურ და, ბოლოს, ქრისტიანულ სქოლასტიკას, თუმცა იბნ რუშდი არასოდეს ღიად არ გამოსულა ისლამის წინააღმდეგ და მისი ფილოსოფია უფრო მეცნიერულ, წმინდა არისტოტელიანიზმს წარმოადგენდა. ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც ევროპაში გაიშალა მის შემდეგ, სწორედ იბნ რუშდის სახელს უკავშირდება.

ესპანეთში, კერძოდ კორდოვაში დაიწყო XII საუკუნის დიდი გეოგრაფისა და კარტოგრაფის, იდრისიანთა შთამომავალი მაროკოელის **‘აბდ ალღაზმ იბნ მუჰამმად ალ-იდრისის (1100-1165)** მოღვაწეობა. იგი დაიბადა სეუტაში, განათლება მიიღო კორდოვაში და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დასახლდა ქრისტიანულ სიცილიაში, სადაც სარგებლობდა მეფე როჯერ II-ის მფარველობით. აქ, პალერმოში მან შექმნა დიდი გეოგრაფიული თხზულება, რომელიც თავის მფარველს მიუძღვნა სახელწოდებით „როჯერის წიგნი“ („ქითაბ რუჯჯან“, ან „ალ-ქითაბ არ-რუჯჯან“). ეს თხზულება შუა საუკუნეების საუკეთესო გეოგრაფიულ ტრაქტატად ითვლებოდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

ალ-იდრისის შემდეგ გეოგრაფია მალრიბსა და ესპანეთში ძირითადად აღწერითი ხასიათის შრომებითაა წარმოდგენილი და რამდენიმე ცნობილი მოგზაურის სახელს უკავშირდება. მათ შორის, პირველ რიგში, დგას **იბნ ჯუბაირი (აბუ-ლ-ჰუსაინ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ ჯუბაირ, 1145-1217)** ვალენსიიდან. 1183 წლიდან მოკიდებული მან მოიარა ჰიჯაზი, ერაყი, სირია, ეგვიპტე და ბოლო მოგზაურობისას გარდაიცვალა ალექსანდრიაში. მისი სამოგზაურო ჟანრის ნაშრომი („რიჰლა“) საუკეთესოდ ითვლება და ყოველთვის დიდი პოპულარო-

ბით სარგებლობდა. იბნ ჯუბადრის საქმე განაგრძო მისმა თანამემამულემ გრენადიდან **აბუ ჰამიდ ალ-ღარნატიმ (1080-1169/1170)**, რომელიც რუსეთშიც ყოფილა 1136 წელს. მოგზაურთა ამ პლედის ბოლო წარმომადგენელია **იბნ ბატუტა (მუჰამმად იბნ 'აბდ ალლჰი იბნ ბატუტა, 1304-1377)**, რომელიც დაიბადა ტანუერში და გარდაიცვალა მარაქეში. XIV საუკუნის პირველ ნახევარში მან ოთხჯერ იპილიგრიმა მექაში, მოინახულა ცვილონი, ჩინეთი, მალდივის კუნძულები, ცენტრალური აფრიკა, ვოლგისპირეთი და კონსტანტინოპოლი. მისი მოგზაურობის აღწერა (თუჰჰათ), რომელიც 1357 წელს ჩაწერილი და რედაქტირებული ყოფილა გრენადელი ადიბის, კანცელარიის ყოფილი მოხელის **იბნ ჯუზაიდს** მიერ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მუსლიმურ ესპანეთში ჯერ კიდევ არაბთა გამონენამდე ცხოვრობდნენ ებრაელები, რომლებმაც ისევე განიცადეს არაბიზაცია, როგორც ადგილობრივმა ესპანელმა ქრისტიანებმა ანუ მოსარაბებმა. მათი წრიდან გამოვიდა რამდენიმე დიდი მეცნიერი, რომლებმაც ისევე, როგორც იბნ რუშდმა დასავლეთში უფრო გაითქვეს სახელი, ვიდრე აღმოსავლეთში. ზოგიერთი მათგანი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან და მაღალ თანამდებობასაც აღწევდა. პირველი მათ შორის იყო **ჰასდად იბნ შაბრუტი (905-975)**, 'აბდ არ-რაჰმან III-ის და ალ-ჰაჰამ II-ის კარის ექიმი, საფინანსო მოხელე და დიპლომატი. იგი სრულყოფილად ფლობდა არაბულ, ებრაულ და ლათინურ ენებს, აგრეთვე ადგილობრივ ესპანურს (რომანსეს). იბნ შაბრუტს ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო ესპანელ ებრაელებთან, რომელთა მეთაურად (ნასი) იგი ითვლებოდა, არამედ იუდეველთა თემებთან აღმოსავლეთში, ბიზანტიასა და იტალიაში. მან თავი მოუყარა თაღმუდით დაინტერესებულ ებრაელთა ჯგუფს, რომლის მიზანი იყო ძველი ებრაულის, როგორც მეცნიერების ენის, აღორძინება, მაშინ, როცა სალაპარაკო ენად ესპანელი იუდეველები არაბულს და ესპანურს იყენებდნენ. ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა **სოლომონ ბენ გაბიროლი (სულადმან იბნ ჯაბონრულ, ლათ. Avicebron, დაახლ. 1021-1058)**, რომელიც დაიბადა მალაგაში (მნლაკა) და გარდაიცვალა ვალენსიაში. შუა საუკუნეების ევროპაში მისი ფილოსოფიური შეხედულებები ცნობილი გახდა ლათინური თარგმანის საშუალებით და მიჩნეულ იქნა „ებრაელ პლატონად“. XII საუკუნის დამდეგს გაჩნდა არა მარტო არაბულიდან ძველ ებრაულზე თარგმნილი შრომები, არამედ ორიგინალური სამეცნიერო ლიტერატურაც. ამ პერიოდის მეცნიერია ტოლედოელი **აბრაჰამ ბენ ეზრა (აბრაჰამ იუდეი, 1092-1167)**, ბიბლიის ცნობილი კომენტატორი, ასტროლოგიური ტრაქტატების, ალ-ხორიზმის და ალ-ბირუნის შრომების (ტაბულების) მთარგმნელი. ებრაულ და არაბულ ენებზე წერდა გრენადელი პოეტი **მოშე ბენ ეზრა (1055-1135)**. ანდალუსიის ებრაული პოეზიის ზოგიერთი ნიმუში ქართულ ენაზედაცაა თარგმნილი და გამოქვეყნებული (იხ. ლიტერატურული ჟურნალი „არმაღანი“, 1977 წ.).

სწავლულ ებრაელთა როლი არაბული მეცნიერების დასავლეთში გატანის საქმეში განსაკუთრებული იყო, ვინაიდან მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ესპანელ არაბებთან და შეეძლოთ ორ მხარეს შორის შუამავლის როლი შეესრულებინათ. არაბული ლიტერატურის გავლენა აისახა ებრაულ ლიტერატურაზეც: ძველ ებრაულზე ითარგმნა ალ-ჰარირის განთქმული მაკამები და ასევე არანაკლებ ცნობილი „ქაღნა ვა დიმნა“ („ქილილა და დამანა“). ორი

კულტურის ურთიერთობის ნათელი მაგალითია ეგვიპტეში დამკვიდრებული, ესპანური წარმომავლობის დიდი ებრაელი მოაზროვნის **მაიმონიდის** სამეცნიერო მემკვიდრეობაც.

როგორც მუსლიმური ესპანეთის ისტორია გვიჩვენებს, პოლიტიკურად და სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობით აღ-ანდალუსი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ისლამურ სამყაროსთან, განსაკუთრებით არაბულ მადრიბთან, რაც თავისთავად კულტურულ ურთიერთობასაც განაპირობებდა. ბევრი ესპანელი მეცნიერი მოღვაწეობდა ჩრდილოეთ აფრიკაში, უფრო მეტად კი მაროკოში და ხშირად სიცოცხლესაც იქ ამთავრებდა. აქედან გამომდინარე, მუსლიმური ესპანეთი და არაბული მადრიბის ქვეყნები ისლამური ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით ერთ რეგიონად მოიაზრება. ესპანელ და მადრიბელ მეცნიერთა მეორე ნაწილი (მაგ., იბნ ხალდუნი) მუშაობას აგრძელებდა ეგვიპტესა და სირიაში, ე.ი. ისეთ ქვეყნებში, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ისლამური ცივილიზაციის განვითარებაში.

ესპანეთთან და არაბულ მადრიბთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სიცილიას, რის გამოც ხშირად ამ კუნძულს ანდალუსიის „ლიტერატურულ პროვინციას“ უწოდებენ. არაბულ-სიცილიური კულტურის ზოგიერთი მოღვაწე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მადრიბთან და ანდალუსიასთან. მაგალითად, ცნობილი სიცილიელი პოეტი **იბნ ჰამდისი** (1055-1132) ცხოვრობდა სევილიაში, კუნძულ მაიორკაზე და მაროკოში. არაბი მოგზაური **იბნ ჯუბაირი**, რომელმაც სიცილია მოინახულა 1185 წელს, ამ კუნძულს აღარებდა ანდალუსიას და იქაური ქრისტიანების ურთიერთობას მუსლიმებთან სანიმუშოდ მიიჩნევდა. განათლებულ მუსლიმთა ერთი ნაწილი ამჟობინებდა ცხოვრებისა და საქმიანობის გაგრძელებას ისლამურ ესპანეთსა და მადრიბში, მაგრამ მუსლიმთა დიდი ნაწილი მაინც კუნძულზე რჩებოდა. მართალია, სიცილიელმა მუსლიმებმა ბოლოს მაინც მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ არაბული ენა და არაბულ-ისლამური კულტურული ტრადიციები დიდხანს შეინარჩუნეს (**რ.გ. ლანდა**).

ესპანეთი ევროპის კონტინენტის ნაწილია და მუსლიმ არაბთა ურთიერთობა ქრისტიანულ სამყაროსთან გარდუვალი იყო. რა თქმა უნდა, რელიგიური ანტაგონიზმი და პოლიტიკური დაპირისპირება, ხელს უშლიდა ევროპელებს ისლამური ცივილიზაციის ობიექტურ შეფასებაში, მაგრამ ისლამური ესპანეთის მიღწევები და უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მისი არ აღიარება და გაუთვალისწინებლობა წიგნიერ ევროპელებს შეუძლებლად მიაჩნდათ. მაგალითად, უკვე XIII საუკუნის დამდეგს ცნობილმა იტალიელმა მათემატიკოსმა **ლენარდო ფიბონაჩიმ (დაახლ. 1180-1240)** ქალაქ პიზადან, ევროპას გააცნო არაბების მიერ დანერგილი ციფრული სისტემა. არაბული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და გამოყენების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ სწავლული მთარგმნელები, რომელთა სახელებიც არაბ ავტორებთან ერთად ისტორიას შემორჩა. მათ რიცხვში ერთ-ერთი პირველია **ჯერარდო კრემონელი (გარდ. 1187 წ.)**, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ კრემონიდან. იგი დიდხანს ცხოვრობდა ტოლედოში და, როგორც ფიქრობენ, სათავეში ედგა მთარგმნელთა მთელ ჯგუფს. მას ეხმარებოდა ესპანელი მოსარაბი **ღალიბი (Galippus)**. ჯერარდო კრემონელს მიეწერება ასამდე ნაშრომის თარგმნა, რომელთაგან ბევრი ნაკლებად ცნობილი სხვა მთარგმ-

ნელების მიერ შეიძლება იყოს შესრულებული. ასევე არაბული სამეცნიერო ლიტერატურის ლათინურად თარგმნის საქმეს დაუკავშირა თავისი ცხოვრება გაურკვეველი წარმომავლობის თუნისელმა კონსტანტინე აფრიკელმა (გარდ. 1087 წ.), რომელიც დამკვიდრდა სამხრეთ იტალიაში მონტე-კასინოს ბენედიქტელთა მონასტერში⁷⁴, სადაც სამედიცინო ტრაქტატების თარგმნით იყო დაკავებული. მის მრავალრიცხოვან თარგმანებს შორის არის სამედიცინო კომპენდიუმი (Liber regius). არაბულ-ისლამური მეცნიერებით პირადად იყო დაინტერესებული ალფონსო X კასტილიელი (1252-1284). მისი მითითებით დაიწყო არაბული სამეცნიერო ტრაქტატების თარგმნა არა მარტო ლათინურ ენაზე, არამედ ესპანური ენის კასტილიის დიალექტზეც. XII საუკუნის დამდეგს ესპანელმა გაქრისტიანებულმა ებრაელმა პედრო ალფონსომ თარგმნა 33 არაბული ზღაპარი, რომელთაც დიდი ინტერესით კითხულობდნენ ესპანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

ასეთი ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობის შედეგად არაბული მეცნიერება, ლიტერატურა, განსაკუთრებით მედიცინა და ფილოსოფია მისაწვდომი გახდა ევროპელებისათვის, ხოლო არაბული სამეცნიერო ტერმინები ევროპულ ენებშიც დამკვიდრდა. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ესპანურმა ენამ შემოინახა 4 ათასამდე არაბული ტერმინი, მაშინ, როცა გერმანული წარმომავლობის ლექსიკა ამ ენაში 90-ს არ აღემატება (რ.გ. ლანდა).

ესპანურ-მადრიბული მეცნიერების უკანასკნელი წარმომადგენელია ლეო აფრიკელი (Leo Africanus), რომელიც არაბთა შორის უფრო ცნობილია, როგორც ალ-ჰასან იბნ მუჰამმად ალ-გაზუნ აზ-ზაჰჰთი ალ-ჰინი (ან როგორც ეჟჰანა ალ-ასად ალ-ღარნატი). მომავალი მოგზაური და მეცნიერი დაიბადა ესპანეთში და, როგორც ჩანს, გრენადის დაცემამდე გადასახლდა მაროკოში, სადაც ვატკასიანთა დინასტიის მოხელე გახდა. ლეო აფრიკელი ბევრს მოგზაურობდა, რაც დამთავრდა სიცილიელი მეკობრეების მიერ მისი დატყვევებით, რის შემდეგაც ის აღმოჩნდა რომის პაპის ლეო X-ის განკარგულებაში. ქრისტიანობის მიღების შემდეგ განათლებულ არაბს რომის პაპმა საშუალება მისცა არაბული ენის მასწავლებლად ემუშავა და სამეცნიერო საქმიანობა ეწარმოებინა რომსა და ბოლონიაში. ესპანური ენის გარდა, რომელიც მისთვის თითქმის მშობლიური იყო, ლეო აფრიკელი წარმატებით დაეუფლა იტალიურ და ლათინურ ენებს. ფიქრობენ, რომ მან შეძლო დაბრუნებულიყო მადრიბში, ისევე აღიარა ისლამი და გარდაიცვალა თუნისში დაახლოებით 1552 წელს.

ლეო აფრიკელის არაჩვეულებრივი ბიოგრაფია, რომელიც მისი ცხოვრების ესპანურ, მადრიბულ და ევროპულ პერიოდებს აერთიანებს, ორი ცივილიზაციის ურთიერთობის მაგალითია. იტალიაში ყოფნისას 1527 წელს მას ლათინურ ენაზე შეუდგენია 30-დე ცნობილი არაბი ფილოსოფოსისა და ექიმის ბიოგრაფიები, რომელიც გამოიცა 1664 წელს და საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი, რითაც ლეო აფრიკელი შევიდა მეცნიერების ისტორიაში არის მისი „აფრიკის აღწერა“ („Description de l'Afrique“), რომელიც ჯერ იტალიურ ენაზე გახდა ცნობილი 1550 წელს, შემდეგ კი იმავე XVI საუკუნეში ითარგმნა ლათინურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. მისმა ცხრა ნაწილისაგან შემდგარმა აღწერითმა გეოგრაფიამ შეავსო

ევროპელთა ცოდნა მთელი ჩრდილოეთ აფრიკისა და „შავი კონტინენტის“ შესახებ. მართალია, ავტორი არაბი იყო, მაგრამ ფაქტია ის, რომ მისი ფუნდამენტური ნაშრომი შეიქმნა ევროპელებისათვის არაბთა მიერ დაგროვილი ცოდნის საფუძველზე. „აფრიკის აღწერა“ პირველად იტალიურ ენაზე გახდა ცნობილი და მისი არაბული ორიგინალი არ არსებობს. ამიტომ იგი შეიძლება შეფასდეს, როგორც არაბი (და ფაქტობრივად მუსლიმი) ავტორის მიერ ევროპულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი.

იბერიის ნახევარკუნძულზე განვითარებული მოვლენებით XV საუკუნის მიწურულს დამთავრდა არაბთა ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი, რომელიც აღინიშნა ისლამის განმტკიცებით, მუსლიმ არაბთა დამკვიდრებით აზიისა და აფრიკის კონტინენტზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არაბულ-ისლამური ცივილიზაციის შექმნით. ის დიდი სამეცნიერო-კულტურული მიღწევები, რომელიც შუა საუკუნეების ესპანეთში და ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნებში მოიპოვეს არაბებმა და სხვა მუსლიმმა ხალხებმა, მემკვიდრეობით მიიღეს ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილმა დიდმა სახელმწიფოებმა – პირველ რიგში კი ოსმალეთის იმპერიამ.

შენიშვნები

1. არაბეთის ნახევარკუნძულის სრული ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება წარმოდგენილია **ე.ა.ბელიაევის** ნაშრომში: *Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье*, М., 1966, с. 31-55.

2. ყურანის მიხედვით, **სამუმის** ცეცხლისგანაა შექმნილი ჯინი (XV, 27), სხვაგან კი ის გაიგივებულია საშინელ სასჯელთან (LII, 27). ასეთივე შინაარსით გვხვდება სამუმი ჰადისებში. ცნობილი მოგზაური **ჩარლზ მ. დოუტი**, რომელმაც 1876-1878 წლებში მოიარა ცენტრალური არაბეთი შენიშნავდა, რომ ბედუინები სამუმის დროს სახეს იფარავდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მხურვალე ქარისგან შეიძლებოდა დაღუპულიყო არა მარტო ადამიანი, არამედ სუსტი აქლემიც. მექას სამუმი ემუქრებოდა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

3. სახელი „აღნან“ ორჯერ გვხვდება ნაბატიათა წარწერებში, მაგრამ არაა დაფიქსირებული წინაისლამურ პოეზიაში და იშვიათად იხსენიება ისლამურ ლიტერატურაში. არ ჩანს ეს სახელი არც უმიათა პერიოდში და არც ბედუინთა ურთიერთობის ამსახველ წყაროებში. შეიძლება, იგი მომდინარეობს მექაში დამკვიდრებული ტრადიციიდან. არაბი ავტორებიდან ეს სიტყვა გვხვდება წინაისლამური არაბული ტომების კარგი მცოდნის **იბნ ალ-ქალბის** ნაშრომში (VIII ს. მიწურული და IX ს. დამდეგი).

4. **შეიხის (შაიხ, მრ. შუჰჰ)** პირდაპირი მნიშვნელობაა მოხუცი, მაგრამ როგორც წესი, იგი აღნიშნავდა ტომის ან გვარის მეთაურს, უფრო გვიან რელიგიურ პირს, სუფიური ორდენის ან ვაჭარ-ხელოსანთა გილდიის წინამძღოლს, ზოგჯერ ფეოდალს ან რომელიმე თანამდებობის პირს (მაგ., შაიხ ალ-ბალად).

5. **სეიდი (საჰიდ)** ნიშნავს ბატონს, მეთაურს, ბელადს. ისლამის გავრცელების შემდეგ შიიტები სეიდებს უწოდებდნენ მოციქულის შთამომავლებს (ავღანდ არ-რასულ), უფრო ხშირად კი იმამ ჰუსაინის მემკვიდრეებს. ცნობილ მუსლიმ ქალებს ასევე უწოდებენ „საჰიდა“-ს ან „სითთ“-ს.

6. ისლამამდე არაბულ ტომებში სისხლის აღების ინსტიტუტთან დაკავშირებული იყო ე.წ. „დიია“ („diya“), რომელიც გულისხმობდა კომპენსაციას დაზარალებული მხარის სასარგებლოდ. მოციქულმა მიიღო ეს ისლამამდე ტრადიცია, დააკანონა და სამართლებრივი სტატუსი მისცა. მუსლიმური სამართალი ითვალისწინებს კომპენსაციას არა მარტო შემთხვევითი ან განზრახ მკვლელობის დროს (დაზარალებულის ახლობლების თანხმობით), არამედ მრავალ სხვა შემთხვევაშიც. კომპენსაციის სიდიდე განისაზღვრებოდა ზარალის ხასიათის შესაბამისად.

7. „აჰმამ ალ-არაბ“ შეიცავს არაბული ტომების, გვარების ან ცალკეულ პირთა ურთიერთდაპირისპირების და ბრძოლის აღწერას. მაგალითისთვის

შიდილება დავასახელოთ თუნდაც „ბასუსის ომი“ („ჰარბ ბასუს“), რომელიც V ს. დასასრულს დაიწყო ორ მონათესავე ტომს – ბანუ ბაქრსა და ბანუ თაღლიბს შორის და თითქმის 40 წელი გაგრძელდა. დაპირისპირების მიზეზი გახდა ის, რომ თაღლიბის ბელადმა მოკლა აქლემი, რომლის პატრონი იყო ბაქრის წარმომადგენელი ქალი ბასუსი. სისხლისღვრა დამთავრდა მაშინ, როცა ორივე მხარემ ერთმანეთი დაასუსტა და საქმეში ჩაერია მეზობელ ლახმიანთა მეფე მუნზირ III. ამ გადმოცემათა შეკრება და წერილობით გაფორმება არაბებმა დაიწყეს VIII ს. დამდეგს და IX ს. დამდეგს. „არაბთა ღვებების“ პირველი კრებული შეუდგენია არაბ ფილოლოგს აბუ 'უბაიდას (728-825), მაგრამ მან ჩვენამდე ვერ მოაღწია. მის მიერ შეკრებილი მასალით სარგებლობდნენ უფრო გვიანდელი ავტორები იბნ 'აბდ რაბბიში (860-940), აბუ-ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანი და იბნ ალ-ასირი.

8. ენდოგამია ნიშნავს ქორწინებას საგვარეულოს ფარგლებში. მისგან განსხვავებით, **ეგზოგამია** გამოირიცხავს ქორწინებას ნათესავებს შორის.

9. ტოტემიზმი არის რელიგიის ძველი, პრიმიტიული ფორმა, რომელიც ნათესავად და მფარველად აცხადებს რომელიმე ცხოველს, მცენარეს, საგანს ან მოვლენას. ტოტემი ღმერთი არაა და მას თაყვანს არ სცემენ.

10. ანიმიზმი (ლათ. Anima, Animus – სული) ნიშნავს სულების არსებობის აღიარებას. საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ სტადიაზე ადამიანებს სჯეროდათ, რომ მათ გარშემო არსებულ საგნებს, ცხოველებს ან მცენარეებს ჰქონდათ სული. ანიმისტური ელემენტი თითქმის ყველა რელიგიისთვისაა დამახასიათებელი.

11. სამხრეთ არაბეთის ისლამამდელი პერიოდის ისტორიის საკითხებზე შუა საუკუნეების არაბი ისტორიკოსები მიმართავდნენ ამ რეგიონის ყველაზე კომპეტენტურ ავტორს ალ-ჰასან იბნ აჰმად ალ-ჰამდანის (გარდ. 360/970-971 წ.).

12. პტოლემაიოსთა ან ლაგიდების სამეფო არსებობდა ელინისტურ ეგვიპტეში (ძვ.წ.ა. 305-30 წ.). მისი დამაარსებელია ალექსანდრე მაკედონელის სარდალი და მეგობარი პტოლემაიოს (Ptolemaios) I სოტერი.

13. სასანიანთა სამხედრო ექსპედიციის დროს იემენში ჩასულ სპარსელებს და იქ დარჩენილ მათ შთამომავლებს არაბები უწოდებდნენ აბნ'-ს (აბნ' ჰურს – სპარსელთა შვილები, აბნ' ალ-დაჰაკან – დეჰყანთა შვილები, აბნ' ალ-აჰრან – თავისუფალთა შვილები). ირანს მოწყვეტილი სპარსელების გაარაბებას დაემთხვა მათი გამუსლიმება, კერძოდ 628 წელს ისლამი მიუღია უკანასკნელ მარზბანს – ბზანს. იემენის მუსლიმი სპარსელები ირანიდან უფრო გვიან მოსულ სპარსელებს თავისიანებად აღარ მიიჩნევდნენ და მათ მავლებად თვლიდნენ. აბნ'-ს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ სოფლებშიც და ქალაქებშიც, კერძოდ სან'ასა და 'ადენში, მისდევდნენ ხელოსნობას და ვაჭრობას, მონაწილეობდნენ შინაპოლიტიკურ კონფლიქტებში. მათი წრიდან გამოვიდა ცნობილი მეცნიერი **ვაჰბ იბნ მუნაბბიში**, რომელიც იემენელ ებრაელადაა მიჩნეული, აგრეთვე რამდენიმე პოეტი და ფაკიჰი.

14. ნაბატიანთა შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ძირი „ნბტ“ საერთო სემიტურია, რაც ართულებს მათი წარმომავლობის გარკვევას. ერთნი თვლიან, რომ ისინი სამხრეთ არაბეთიდან იყვნენ, სხვები კი მათ ისტორიულ

სამშობლოდ არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთს (ჰუჰჰ) მიიხ-
ნევენ.

15. არამეული არის ერთ-ერთი სემიტური ენა, რომელიც ძვ.წ.ა. IX საუ-
კუნეში გავრცელებული იყო სირია-მესოპოტამიაში, პალესტინასა და ფინიკი-
აში. ძვ.წ.ა. VII-IV საუკუნეებში არამეული გახდა საკანცელარიო ენა აქემენი-
ანთა ირანში, ასურეთ-ბაბილონში, უფრო გვიან კი ნაბატიანთა და პალმირას
სამეფოებში. არამეული ენის ედესის დიალექტზე ანუ სირიულზე შეიქმნა
მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა (III-XIV სს.). არამეულის თანამედროვე
დიალექტებია აღმოსავლეთში ასურული, ხოლო დასავლეთში მა'ლულას ენა
(**კ. წერეთელი**).

16. ნესტორიანელთა სექტის შემქმნელია კონსტანტინოპოლელი ერესიარქი,
ეპისკოსი ნესტორი (IV ს.), რომელიც წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. 431 წ.
ეგესის საეკლესიო კრებაზე ნესტორის მოძღვრება, მაცხოვრის ბუნების შეს-
ახებ, უარყოფილ იქნა. ნესტორიანელებმა მარცხი განიცადეს ბიზანტიაში, მა-
გრამ შეძლეს შეექმნათ თავისი ეკლესია ირანში, სირიასა და ერაყში.
ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწის და მკვლევარის აზრით, აღმოსავლური ეკლესი-
ისთვის ტერმინი „ნესტორიანული“ შეუფერებელია და მიუღებელი (**მ. ჩაჩი-
ბაია**).

17. ზამზამის ჭა მდებარეობს ქააბას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მუსლიმები
თვლიან, რომ ეს ჭა გაჩნდა ღვთის ნებით უდაბნოში დარჩენილი ჰაჯარის და
მისი შვილის ისმა'ილის გადასარჩენად. მის მომვლელად და მეთვალყურედ
ითვლებოდა მოციქულის პაპა 'აბდ ალ-მუტტალიბი, რომელმაც თითქოს ასევე
ღვთის ნებით თავიდან აღმოაჩინა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში და
მის გარეთ არის კიდევ რამდენიმე ჭა, ზამზამი დღესაც განსაკუთრებული
სტატუსით სარგებლობს, ვინაიდან მასთანაა დაკავშირებული მუსლიმთა
პილიგრიმობის (ჰაჯის) რიტუალი, რომელიც თავის საწყისს ჯაჰილიის პე-
რიოდში იღებს.

18. ჰანიფებს უწოდებენ ისლამამდელ არაბ მონოთეისტებს, რომელთა მოძ-
ღვრება გავრცელდა არაბეთის სამიწათმოქმედო რეგიონში – იამამაში.
ჰანიფები აღიარებდნენ ერთ ღმერთს – რაჰმანს, ღოცულობდნენ სამჯერ, არ
სვამდნენ ღვინოს და მიზანშეწონილად თვლიდნენ მხოლოდ ერთი ვაჟის
ყოლას. მათ მოძღვრებაში გარკვეული ადგილი ეკავა „განკითხვის დღეს“ და
სამოთხის ცნებას. მოციქულ მუჰამედის დროს ჰანიფების სათავეში იდგა
მუსაფლიმა, მცირე მიწის ნაკვეთის მფლობელი. დაახლ. 620 წელს ჰანიფებმა
ჰაჯარში, იამამის მთავარ ქალაქში იგი წინამძღოლად გამოაცხადეს. როგორც
ჩანს, არაბი მონოთეისტების შესახებ იცოდნენ მექაშიც. 634 წელს მუს-
ლიმებმა ხალიდ იბნ ალ-ვალიდის მეთაურობით დაამარცხეს და ფიზიკურად
გაანადგურეს მუსაფლიმა და მისი მიმდევრები. შუა საუკუნეების ისლამურ
ლიტერატურაში ტერმინს „ჰანიფ“ სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებდნენ.

19. ქრისტიანი ავტორები თვლიდნენ, რომ **ბაჰირა** იყო ერეტიკოსი, რომელ-
მაც გავლენა მოახდინა მომავალ მოციქულზე. ბიზანტიური წყაროები მას
უწოდებენ ნასტურს (ნესტორს) ან სერგიუსს (სარჯი), უფრო გვიან კი გაჩნდა
ბაჰირას ბერძნული ეკვივალენტი – პახირა (**გ. ჯაფარიძე**)

20. მუჰამედის ბიძა **'აბდ ალ-უზზა**, ზედმეტ სახელად აბუ ლაჰაბ (ცეცხ-
ლის ალის მამა) თავდაპირველად მხარს უჭერდა მოციქულს. მისი შვილები

‘უთბა და ‘უთადა დაქორწინებული იყვნენ მუჰამედის ქალიშვილებზე რუკადასა და უმმ ქულსუმზე, მაგრამ მუსლიმებთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ მან აიძულა შვილები განქორწინებულიყვნენ. მოციქულის ქალიშვილები მამის სახლში დაბრუნდნენ და შემდეგ ცოლად გაჰყვნენ უსმან იბნ ‘აფფანს. აბუ ლაჰაბი გარდაიცვალა მალე ბადრთან ბრძოლის შემდეგ, ხოლო მისმა შვილებმა ისლამი მიიღეს 630 წელს. მუსლიმებს სჯერათ, რომ აბუ ლაჰაბი და მისი ცოლი უმმ ჯამლ ჯოჯოხეთში იტანჯებიან, რადგანაც არ მიიღეს „ჭეშმარიტი სარწმუნოება,“ შეურაცყოფდნენ მოციქულს და სამართლიანად დაწყევლილ იქნენ მისგან.

21. ქალკედონი (Chalkēdōn) არის ქალაქი მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. აქ 451 წლის ოქტომბერში შედგა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 640-დე საეკლესიო მოღვაწე. კრებამ მტკიცედ განსაზღვრა მართლმადიდებლობის დოგმატი – იესო ქრისტეს ორბუნებიანობა (დიოფიზიტობა), შექმნა კონსტანტინოპოლის და იერუსალიმის საპატრიარქოები. ბიზანტიელი არქიმანდრიტის ეგტიქეს ახალი ქრისტოლოგიური მოძღვრება მაცხოვრის ღვთაებრივი ერთბუნებიანობის შესახებ (მონოფიზიტობა) უარყოფილ იქნა.

22. კტესიფონი (არაბ. ალ-მადნ’ინ) მდებარეობდა მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ალ-მადნ’ინის სახელწოდებით, როგორც ჩანს, არაბები აღნიშნავდნენ ორ ქალაქს – კტესიფონს და ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ძველ სელევკიას.

23. ძვ.წ.ა. I საუკუნიდან ეგვიპტე რომის იმპერიის პროვინციად ითვლებოდა. 395 წ. რომი ბიზანტიამ შეცვალა. არაბთა გამოჩენის წინ ეგვიპტის მკვიდრი მოსახლეობის – **კობტების (არაბ. კობტ, კობტῶ, მრ. აკბῶტ)** დიდი ნაწილი მონოფიზიტურ ქრისტიანობას აღიარებდა.

24. ალექსანდრიის პატრიარქი კიროსი ცდილობდა ბიზანტიაში ოფიციალურად მიღებული მართლმადიდებლობის (დიოფიზიტობის) დამკვიდრებას. არაბულ წყაროებში კიროსი მოხსენიებულია როგორც „მუკავკის“. ამ სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. არაბი ლექსიკოგრაფები მას ეგვიპტის ბიზანტიელი სატრაპის ტიტულად თვლიდნენ. გამოთქმულია ვარაუდი რომ მუკავკისი და ქართლის კათალიკოსის კირონ (კირიონ) I შეიძლება ერთი და იგივე პირი იყოს (**ზ. ალექსიძე** – ქსე, 5, თბ., 1980, გვ. 534).

25. ალექსანდრია (არაბ. ალ-ისქანდარიჰა) აშენდა ალექსანდრე მაკედონელის მითითებით (ძვ.წ.ა. 332-331 წწ.). ქალაქი იყო ელინისტური კულტურის ცენტრი სულ ცოტა ოთხი საუკუნის მანძილზე. პტოლემეოს I-ის დროს (ძვ.წ.ა. 305-283) ალექსანდრიაში დაარსდა დიდი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება (აკადემია) – მუსეონი. აქვე არსებობდა განთქმული ბიბლიოთეკა, რომელიც ზოგიერთი ცნობის თანახმად, თითქოს არაბთა შემოჭრის დროს განადგურდა. დღეისთვის გარკვეულია, რომ ბიბლიოთეკა დაზარალდა არაბთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე და მუსლიმთა ექსპანსიის დროს ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა.

26. ე.წ. „ტრაიანეს არხი“ არსებობდა ჯერ კიდევ ფარაონების დროს. რომის იმპერატორმა ტრაიანემ (53-117) აღადგინა იგი, მაგრამ მალე არხი

სილით ამოივსო. 'ამრის მიერ აღდგენილი არხი აკავშირებდა ნილოსს წითელი ზღვის ნავსადგურ ალ-კულზუმთან (დღ. სუეცი). თავდაპირველად, 'უმარ I-ის საპატივცემულოდ მას ეწოდა „ხალჯ ამრ ალ-მუ'მინინ“, შემდეგ კი ეგვიპტის ფატიმიანთა ხალიფას ალ-ჰნჯიმის (გარდ. 1021 წ.) სახელი.

27. მოციქულის ქადაგებათა ცალკეული ფრაგმენტები შემორჩენილი იყო ჩანაწერების სახით ან ძველი მუსლიმების მახსოვრობაში. მათი შეგროვება დაიწყო ჯერ კიდევ აბუ ბაქრის დროს. მოპოვებული მასალა შემკვიდრებით მიიღო 'უმარ I-მა, რომელმაც ის შესანახად გადასცა თავის ქალიშვილს და მოციქულის ქერივს ჰაფსას. „სადვთო წიგნის“ ტექსტის მოძიებასა და დადგენაში ზადდ იბნ საბითთან ერთად მონაწილეობდა რამდენიმე მექელი კურაიშიტი.

28. ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისით, **პირველი მეჩეთი (მასჯიდ, მრ. მასჯიდ)** მოციქულის მითითებით აუშენებიათ მედინის მახლობლად სოფელ კუბაში. ეს მეჩეთი კვადრატული ფორმისა იყო და მლოცველები სახით აღმოსავლეთისკენ იდგნენ. მედინაში აგებული მეჩეთი, რომელიც მოციქულის სახლის გვერდით იდგა, ორიენტირებული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ე.ი. მექისკენ (კიბლა).

29. 'ამრ იბნ ალ-წსი იყო მექელი ვაჭარი, რომელმაც ისლამი მიიღო 628 წელს, მონაწილეობდა ომანის არაბული ტომების დამორჩილებაში და სირიის დაპყრობაში. ხალიფა 'უსმანმა მის საფინანსო მოხელედ დანიშნა 'აბდ ალლაჰ იბნ სა'დი, რომელმაც შემდეგ შეცვალა 'ამრი.

30. ფატიმას გარდა 'ალის ჰყავდა კიდევ რამდენიმე ცოლი: ხავლა, უმმ ალ-ბანინი-ი, ას-საბჰჰ (უმმ ჰაბინი-ი), ლაჰლჰ ბინთ მას'უდ-ი, ასმჰ ბინთ 'უმადს-ი და უმჰმა ბინთ აბი-ლ-წს-ი.

31. მონოთელიტობა (ან მონორეგიზმი) ეწოდება VII საუკუნეში გავრცელებულ მოძღვრებას, რომლის თანახმად იესო ქრისტესთვის დამახასიათებელია ორი ბუნება, მაგრამ მისი ნება და ქმედება ღმერთკაცურია. ამ დოგმატის მიზანი იყო მონოფიზიტობის და დიოფიზიტობის გაერთიანება. ეგვიპტეში მის წინააღმდეგ გამოვიდა მონოფიზიტური, კოპტური ეკლესია, რომელიც შეიქმნა V საუკუნეში და სათავეში ჩაუდგა ეგვიპტელების ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ.

32. შიიტების ერთ-ერთი ვერსიით ჰასანის სიკვდილის მიზეზი იყო არა საწამლავი, არამედ მძიმე ჭრილობა, რომელიც მას ერაყში მიაყენა 'ალის მტერმა ალ-ჯარჰჰ იბნ სინანმა. 45 წლის იმამი გადაიყვანეს მედინაში, სადაც ის გარდაიცვალა. შიიტებმა ჰასანი შერაცხეს „თავგანწირულთა საიდად“ („საჰიდ აშ-შუჰადაჰ“).

33. მარდაიტების (არაბ. ჯარჯიმა) წარმომავლობის შესახებ ცოტაა ცნობილი. ისინი ქრისტიანები იყვნენ, ესმარებოდნენ ბიზანტიელებს და სირიის ჩრდილო-დასავლეთიდან საფრთხეს უქმნიდნენ სახალიფოს. ანტიოქიის აღების შემდეგ არაბთა რაზმი ჰაბინ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის მეთაურობით მარდაიტების წინააღმდეგ გაიგზავნა, მაგრამ საფრთხე მათგან მაინც დარჩა.

34. დავით და კონსტანტინე, მხეიძეთა ფეოდალური გვარის წარმომადგენლები, VIII საუკუნის პირველ ნახევარში არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავრები იყვნენ. ისინი გმირულად ებრძოდნენ მურვან ყრუს, ტყვედ ჩავარდნენ და მოწამებრივი სიკვდილი მიიღეს. დაღუპული გმირები თანამემ-

მულეებმა დაკრძალეს მდინარე წყალწითელის ნაპირზე, სადაც ყოფილა მცირე ეკლესია, რომელიც X საუკუნეში ბაგრატ III-მ გააფართოვა. ამჟამად იქ არის სამონასტრო ანსამბლი. დღევანდელი სახე მას მიუღია XIX საუკუნეში და ცნობილია „მოწამეთა მონასტრის“ სახელით (ტყობუდიდან 35 კმ. მოშორებით). „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“ ადრე ყოფილა დაწერილი, მაგრამ მისი პირვანდელი (კიმენური) ტექსტი დაიკარგა. ჩვენამდე მოაღწია უფრო გვიანდელმა – XII საუკუნის უცნობი ავტორის მიერ რედაქტირებულმა ვერსიამ. ქართულმა ეკლესიამ დიდმოწამეთა – დავითისა და კონსტანტინეს მოსახსენიებელ დღედ გამოაცხადა 15 ოქტომბერი (იხ.: „საეკლესიო კალენდარი“, 2008).

35. არაბი აბო ქართლის ერისმთავარს ნერსეს გამოჰყვა ბაღდადიდან, სადაც ის აბასიანთა ხალიფას ბრძანებით იმყოფებოდა. ნერსემ იგი მსახურის სახით საქართველოში ჩამოიყვანა მას შემდეგ, რაც ხალიფა აღ-მაჰდიმ გაათავისუფლა და სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა. საქართველოში აბომ ქრისტიანობა მიიღო, რამაც შეაშფოთა არაბთა ადგილობრივი ხელისუფლება რადგან ისლამი კატეგორიულად უკრძალავს მუსლიმს სხვა სარწმუნოებაზე გადასვლას. მას შემდეგ, რაც გაქრისტიანებულმა აბომ უარი თქვა დაბრუნებოდა ისლამს, თბილისის ამირას ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს (6. I. 786 წ.), დაწვეს და ფერფლი მტკვარში ჩაყარეს. იოანე საბანისძის „აბოს წამება“ („მარტვილობა ჰაბო ტფილელისა“) დაიწერა 786-790 წლებში, ე.ი. იმ დროს, როცა ისლამის მოძალების პირობებში ქრისტიანული რელიგიის მესვეურებმა სერიოზული საფრთხე დაინახეს თავის მრევლში („შიშითა განილევნიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა“). ქართულმა ეკლესიამ, როგორც სამაგალითო ქრისტიანი და თბილისის მფარველი, აბო თბილელი წმინდანად შერაცხა. მის მოსახსენიებელ დღედ ითვლება 21 იანვარი (იხ.: „საეკლესიო კალენდარი“, 2008).

36. უკბას პირველი მეჩეთი უბრალო ნაგებობა იყო. სრული სახე მან მიიღო IX საუკუნეში, როცა მეჩეთის გაფართოებისათვის გამოყენებულ იქნა მარმარილოს სვეტები კართაგენის ნანგრევებიდან. მეჩეთის ოთხკუთხედი მინარეთი მიგვიითებეს სირიულ გავლენაზე. ამ მეჩეთის წყალობით კაირავანი გახდა მადრიბელი მუსლიმებისთვის მეოთხე წმ. ქალაქი მექის, მედინის და იერუსალიმის შემდეგ. თავად უკბა თავის თანამებრძოლებთან ერთად დაკრძალულია სოფელში, რომელიც ატარებს მის სახელს – სნდნ უკბა და მადრიბელ მორწმუნეთა პატივისცემით სარგებლობს.

37. კართაგენი იყო ქალაქი-სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში (დღ. თუნისის ტერიტორიაზე). მას საფუძველი ჩაუყარეს ფინიკიელმა (ტვიროსელმა) კოლონისტებმა ძვ.წ.ა. IX ს. დამდეგს. III პუნიკური ომის შემდეგ ძვ.წ.ა. 146 წელს კართაგენი რომაელებმა დაანგრიეს.

38. ბერბერები ეკუთვნიან სემიტურ-ქამიტურ ენათა ჯგუფის ხალხს, რომლის წინაპრები ჩრდილოეთ აფრიკაში მოვიდნენ დასავლეთ აზიიდან. ძველი ეგვიპტელები ბერბერებს უწოდებდნენ „ლიბუს“ ან „ლებოს“. აქედანაა ნაწარმოები სახელწოდება „ლიბია“. ვარაუდობენ, რომ ეთნონიმი „ბერბერი“ (არაბ. – „ბარბარ“, „ბარბარნ“, მრ. „ბარბირ“, „ბარბირა“) უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „Barbaros“.

39. ფიქრობენ, რომ სახელწოდება „ანდალუსია“ არის დამახინჯებული „Vandalucia“. ამ სიტყვით აღინიშნებოდა ესპანეთის სამხრეთი ნაწილი – ანდალუსია (დედაქალაქი სევილია). ვანდალების მიერ ამ რეგიონის დაპყრობის შემდეგ 554-624 წლებში ანდალუსიის სამხრეთი სანაპირო ქალაქები ბიზანტიელებს ეკავათ.

40. **ჰარნან (რომ. Hellenopolis)** იყო ძველი ქალაქი ჩრდილო მესოპოტამიაში იმ გზაჯვარედინზე, სადაც იკვეთებოდა გზები მცირე აზიიდან, სირიიდან და მესოპოტამიიდან. ფიქრობენ, რომ იქ დაიბადა პატრიარქი აბრაამი. არაბებმა ქალაქი დაიკავეს 19/640 წელს.

41. **ალ-ჰარამ აშ-შარეფ** არის ის ადგილი, სადაც თითქოს ბიბლიურ აბრაამს (არაბ. იბრჰჰემ) მსხვერპლად უნდა შეეწირა თავისი შვილი ისაკი. ძველმა ებრაელებმა ძვ.წ.ა. პირველ ათასწლეულში აქ ააგეს პირველი დიდი სამლოცველო ე.წ. „სოლომონის ტაძარი“. ძვ.წ.ა. 586 წელს ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსარ II-მ აიღო იერუსალიმი, დაანგრია ტაძარი და მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონში გარეკა. დაიწყო ებრაელთა „ბაბილონის ტყვეობა“, რომელიც დამთავრდა ძვ.წ.ა. 538 წელს, როცა სპარსეთის მეფე კიროსმა იუდეველები სამშობლოში დააბრუნა. მეფე ჰეროდე I-ის დროს ძვ.წ.ა. I საუკუნეში იმავე ადგილზე აშენდა ახალი ტაძარი, მაგრამ მალე რომაელებმა დაანგრიეს ტაძარიც და იერუსალიმიც. 135 წ. რომაელებმა ჩაახშვეს პალესტინის დიდი აჯანყება, რასაც მოჰყვა ქვეყნიდან ებრაელთა გასახლება. როცა პალესტინაში გამოჩნდნენ მუსლიმი არაბები, იუდეველთა სრულიად უმნიშვნელო და მცირერიცხოვანი თემები შემორჩენილი იყვნენ მხოლოდ სანაპირო ქალაქებში (იაფა, ჰაიფა).

42. **ჯუნდიშაბური (გონდუშაბურ)** დაარსებულია ხუზისტანში სასანიანთა მეფის შაბურ I-ის (242-272) მიერ.

43. **ნეოპლატონიზმი** არის ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც გავრცელდა რომის იმპერიის დაქვეითების პერიოდში (III-IV სს.). IV საუკუნეში შეიქმნა ნეოპლატონიზმის სირიული სკოლა, რომელმაც პითაგორიზმის გაფლენა განიცადა.

44. **პითაგორა სამოსელი (Pythagóras, ძვ.წ.ა. 570 დაახლ. 500)** იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი. პითაგორას აზრით, ყოველივეს საფუძველი რიცხვია, ხოლო ყოველ რიცხვს გეომეტრიული სიდიდე შეესაბამება. მას მიეწერება მოძღვრება სულის უკვდავებისა და გადასახლების, მისი მარადიული მიმოქცევის შესახებ. **ნეოპითაგორიზმი** არის მიმართულება ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში (ძვ.წ.ა. I ს. – ახ.წ.ა. III ს.) და ნიშნავს განახლებულ პითაგორიზმს.

45. **ჰიპოკრატე (Hippokratēs, არაბ. ბუკრატ, ძვ.წ.ა. 460-377 ან 356)** იყო ბერძენი ექიმი, მეცნიერი, მედიცინის ფუძემდებელი.

46. **კლავდიუს გალენუსი (Galenos, Galenus, არაბ. ჯალენუს, 129-201)** იყო რომაელი ექიმი, ბუნებისმეტყველი, ფილოსოფოსი.

47. **კლავდიუს პტოლემეაიოსი (Ptolemaios)** იყო II საუკუნის ალექსანდრიელი ბერძენი მეცნიერი, რომელმაც შეიმუშავა სამყაროს გეოცენტრული სისტემის თეორია. მას ეკუთვნის 30 ტომისგან შემდგარი ასტრონომიული ტრაქტატი, რომელიც არაბულად ითარგმნა და ცნობილი გახდა სახელწოდებით „ალ-

მაჯისტრ“. არაბულიდან ეს ნაშრომი პირველად ლათინურ ენაზე თარგმნა ჯერარდო კრემონელმა 1175 წელს და ევროპაში დამკვიდრდა სახელწოდებით „Almagest.“ პტოლემეოსის მეორე დიდი ნაშრომია „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ რვა წიგნად. მასში შეტანილია რუკები და ბერძნების მიერ მანამდე დაგროვილი ცოდნა გეოგრაფიაში.

48. ნარდი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთში. არაბულად „ნარდ“ ნიშნავს თამაშს, ხოლო „ნარდაშირ“ კამათლებს. ეს თამაში ისლამამდე იყო ცნობილი ირანში. შესაძლებელია, ქართულში კამათლები შემოვიდა სპარსულიდან („ქაბათეინ“), თუმცა იგი არაბული წარმომავლობისაა და უნდა ნიშნავდეს „ორ კუბს“ (ჯ. გიუნაშვილი). ნარდის შესახებ ცნობილია მოციქულის ერთ-ერთი ავტორიტეტული მიმდევრის აბუ ჰურაირას შემდეგი თვალსაზრისი: „ის, ვინც ნარდს თამაშობს ფულზე, ემსგავსება იმას, ვინც ჭამს ღორის ხორცს; ვინც თამაშობს უფულოდ ჰგავს იმას, ვისაც ხელი აქვს ღორის სისხლში; ის კი, თვალყურს რომ ადევნებს ამ თამაშს, უტოლდება იმას, ვინც უყურებს ღორის ხორცს“ (ფ. როზენტალი).

49. „მუსლიმის“ გარდა ფართოდაა გავრცელებული ტერმინი „მუსულმანი“. მკვლევართა აზრით, იგი შეიძლება იყოს „მუსლიმ“-ის და სპარსული „მან“ სუფიქსის კომბინაციით წარმოქმნილი ზედსართავი. შესაძლებელია, რომ ევროპულ ენებში ადგილობრივი „man“, „mann“ ელემენტის გავლენით ჩამოყალიბდა „Muselmänner“, „Muzelmannen“ და ა.შ. [EI,N.ed].

50. აზნ-ი რეგლამენტირებულია და გულისხმობს სათანადო ფორმულების წარმოთქმას მუ'აზზინის მიერ. ჩვეულებრივ იგი შედგება შვიდი ფორმულისაგან: 1. ალლჰუ აქბარ (აღლაჰი დიდია, თაქბირ), 2. აშჰადუ ან ლჰ ილჰჰა ილლა ლლჰჰ (ვმორწმობ, რომ არაა ღმერთი გარდა ალლაჰისა) 3. აშჰადუ ანნა მუჰამმადან რასულ ალლჰჰ (ვმორწმობ, რომ მუჰამედი მოციქულია ალლაჰისა), 4. ჰადჰა 'ალა-ს-საღთ (მოდით სალოცავად), 5. ჰადჰა 'ალა-ლ-ჰადჰა (მოდით გადასარჩენად), 6. ალლჰუ აქბარ, 7. ლჰ ილჰჰა ილლა ლლჰჰ. სხვადასხვა მაზჰაბის მიმდევრები ამა თუ იმ ფორმულას რამდენჯერმე იმეორებენ. დილის აზანს, როგორც წესი ემატება ფორმულა: ას-საღთ ხადრ მინ ან-ნავმ (ლოცვა ძილზე უკეთესია). შიიტები მესამე და მეექვსე ფორმულას შორის იმეორებენ: ჰადჰა 'ალა ხადრ ალ-'ამალ (მოდით კარგი საქმისთვის).

51. სით ნაფისა (სით ნაჰნსა, ან საიდლა ნაჰნსა) იყო ჰასან იბნ ზადდ იბნ ალ-ჰასანის ქალიშვილი. იგი ცოლად გაჰყვა ჯა'ფარ ას-სადიკის შვილს ისჰაკ ალ-მუ'თამინს და მასთან ერთად ეგვიპტეში გადასახლდა. გარდა იმისა, რომ სით ნაფისა გამოირჩეოდა დიდი განსწავლულობით და რელიგიურობით, მორწმუნეთა აზრით, იგი ზებუნებრივი ძალითაც (ქარმა) იყო დაჯილდოებული. მისი დიდი პატივისმცემელი ყოფილა ცნობილი თეოლოგი **აშ-შაჰი'ნ**, რომელიც გარდაცვალების შემდეგ დაასვენეს სით ნაფისას სახლში, რათა მას განსვენებულისთვის წაეკითხა ყურანის სათანადო სურა. თავად წმინდანი ქალი გარდაიცვალა 824 წლის ნოემბერში (208 წლის რამადანი). მის ქმარს სურდა ნაფისას გადასვენება მედინის ცნობილ ალ-ბაკი'-ის პანთეონში, მაგრამ მორწმუნეთა მოთხოვნით გადაწყდა მისი დაკრძალვა კაიროში,

როგორც ამბობენ მისივე ხელით გამზადებულ განსასვენებელში. ცნობილ აღკარნაქას სასაფლაოზე დღესაცაა დაული სითთ ნაფისას მავზოლეუმი.

52. მუსლიმი წმინდანების შესახებ სპეციალური ნაშრომის ავტორია ირანული სუფიზმის წარმომადგენელი, IX ს. მეორე ნახევრის და X ს. დამდეგის თეოლოგი **აღ-ჰაქიმ ათ-თირმიზნ**. თავის თხზულებაში „სნრათ აღავლიან“ “ ის ამტკიცებდა, რომ ღრმა რელიგიურობით და ისლამური ცხოვრების წესით გამორჩეული მორწმუნე უახლოვდებოდა ალლაჰს, მასზე გადადიოდა ღვთიური მადლი (ბარაქა) და, ამგვარად, იგი ხდებოდა „ვაღნ აღლან“. სიკვდილის შემდეგ მისი საფლავი განსაკუთრებულ ზრუნვასა და თაყვანისცემას იმსახურებდა.

53. ათაბაგს (ან ათაბეგს) თურქ-სელჩუკები უწოდებდნენ სულთნის მემკვიდრის აღმზრდელს, მაგრამ უფრო გვიან ამ საპატიო ტიტულით მოიხსენიებდნენ ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილი საფეოდალოების გამგებლებს. ათაბაგის ინსტიტუტი XIII საუკუნეში საქართველოშიც არსებობდა. პირველი ათაბაგი ყოფილა ივანე მხარგრძელი. ვინაიდან ათაბაგობა გახდა სამცხის მთავართა ტიტული, წარმოიშვა სახელწოდება „სამცხე-საათაბაგო.“

54. ტამპლიერთა კათოლიკური ორდენი (ფრანგ. temple - ტაძარი, templiers - მეტაძრეები) შეიქმნა იერუსალიმში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ. 1128 წელს მისი წესდება დაამტკიცა რომის პაპმა. მიზანი იყო პილიგრიმთა დაცვა და ჯვაროსანთა სახელმწიფოების გაფართოება. ორდენის წევრები ატარებდნენ თეთრ მოსასხამს წითელი ჯვრით. XIV საუკუნეში საფრანგეთში ტამპლიერებს ბრალად დასდეს მწვალებლობა, რითაც დასაბამი მიეცა მათ დევნას. 1312 წელს რომის პაპმა კლემენტ V-მ (1305-1314) გააუქმა ეს ორდენი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება ჯვაროსან ტამპლიერთა ურთიერთობის შესახებ ქართველებთან (**შ. ბადრიძე**).

